14
83/2
57

ISSN 0132—589 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

11

1983

# მნათობი

წელიწადი 59-ე | № 11 | ნოემბერი, 1983 წ.

17431

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . 3
ნელი ბატიაშვილი — დინება. რომანი . . . 5
ზაქარია შერაზადიშვილი — ლექსები . . . 58
გურამ რჩეულიშვილი — მარინე. პიესა . . . 62
ლადო სულაბერიძე — ლექსები . . . 87
იორამ ქემერტელიძე — მეუღლე. ნოველა . . . 89

### ჩვენი მივლინებით

მირონ ხერგიანი — წეროების პოლიგონი. ნარკვევი. დასასრული . . . 95

### რუსთველოლოგია

თამაზ ჭილაძე — ვარდის ფურცლობის ნიშანი. დასასრული . . . 106

### მეცნიერება

ვახტანგ გოილაძე — ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი . . . 152

### საზღვარგარეთის ლიტერატურა

გივი მაღულარია — ფრანც კაფკა . . . 158

### წიგნების მიმოხილვა

დავით კაციტაძე — ქართველი დიპლომატი პოლონეთსა და ირანში . . . 165
სოლომონ ხუციშვილი — მრავლისმეტყველი ფურცლები . . . 168
ზურაბ სარჯველაძე — ჯავახური დიალექტის ლექსიკონის შედგენის ცდა . . . 171
რევაზ ჩხარტიშვილი — პოეტის თვალსაწიერი . . . 174

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ კომუნისტური იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობის დროშა!
შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავისათვის

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ო. პაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## პოეტი მაინც...

გინდ ღარიბობდეს,
გინდ მათხოვრობდეს,
გინდ ოქროს ედგას
    წინ მთა-გორებიც —
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.

გინდ ხალიფობდეს,
გინდ ბატონობდეს,
გინდ დღეებს წვავდეს
    გულის სწორებით —
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.

უნდა ცხოვრობდეს
უნდა ცხოვრობდეს,
უნდა სუნთქავდეს
    მგოსნის ცხოვრებით —
ნიკორწმინდობდეს, სვეტიცხოვლობდეს
ფიქრით, ლოცვებით და ამბორებით.

ქვეყანა მიაქვს შურს უბოროტესს,
მიწა სავსეა
    ქვეყნის ჭორებით...
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.

1983 წ. ივლისი.

კ. მარქსის სახ. [illegible] სსრ
სახელმწიფო [illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲐᲒᲔᲠ ᲚᲐᲛᲐᲜᲩᲐ...

სულ ერთი წუთით
მე ვმართავდე ძალებს მაგიურს,
სულ ერთი წუთით
მე მისმენდეს წუთისოფელი —
მე აქ ვიხმობდი ყველა შავ სულს,
სულს მარადიულს,
აქ ჩემს ძახილზე
გაჩნდებოდა მეფისტოფელი.

დღეს ასჯერ უფრო გაწაფული,
ასჯერ გაქნილი,
რომ ათას წლებშიც
არ შეჰყრია
სუსხი სიბერის;
დღეს ასჯერ უფრო თავგასული,
ალვირახსნილი,
აქ ჩემს წინ
სახტად მოიყრიდა
მუხლს ლუციფერი.

მე კი მათ ერთად
გავუჩენდი ჩემს დიდ განაჩენს,
ყველას,
ვინც დღემდე
მოდგმებს მოსდევს
მტრად და სირცხვილად:
მე აქ ახალ ძეგლს დავუდგამდი
რაინდს ლამანჩელს
და ყველა დემონს
აქ ვაქცევდი ქარის წისქვილად.

1983 წ. სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ბატიაშვილი

# დინება

რომანი

1

გზა კუნძულამდე ცუდად ახსოვდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

ახსოვდა გამგზავრება.

მატარებელი საცაა დაიძვრება.

ვაგონთან დედა და ძმა დგანან. დედა ძლივს იმაგრებს თავს, რომ არ ჩაიკეცოს, ძმაზეა დაყრდნობილი და სისხლისაგან დაცლილ სახეზე მხოლოდ თვალებილა ატყვია — უშველებელი, გაოგნებული, ცარიელი.

თითქოს მოულოდნელად, შემთხვევით მოხდა ყველაფერი. არ ელოდა, ისე დაატყდა თავს ბედისწერის ცელი. განშორების წუთი მაინც მოვიდა, უაზრო, სიკვდილივით მძაფრი და გარდუვალი. იცოდა, მაგრამ არა სჯეროდა, იმედის ბურუსი აძლებინებდა უკვე რამდენიმე თვეა, ბოლო წუთებში რალაც შეიცვლებაო, იმაგრებდა გულს. ბოლო წუთიც მოვიდა და არაფერი შეიცვალა, გარდა იმ ბურუსის გაფანტვისა.

ძმა ულიმოდა და ხელს უქნევდა, თუმცა მატარებელი ჯერ ისევ იდგა. მერე დედას დახედა, შუბლი ოფლს დაესველებინა, საფეთქლებისაკენ წასულიყო მისი მლაშე ღვარი. შეკუმშული თითებიდან ხელსახოცი გამოაძრო ძმამ, სათუთად მოწმინდა ოფლი.

მერე შექანდა ვაგონი.

მარიკამ დაინახა, როგორ დაწია უკან დედის გახევებული სხეული ვახტანგმა, მერე კიდევ ერთხელ დაუქნია ხელი.

ვაგონი ნელა მიგორავდა და მარიკა ხედავდა მათ.

ამ წუთებს მარიკა კიდევ ერთხელ მოიგონებს მრავალი წლის შემდეგ.

ძმა მუხლებზე იდგება დედის სარეცელთან. ქალის პატარა, დამჭკნარი ხელი თავის დიდრონ ხელებში ექნება მოქცეული და მშრალი, დახეთქილი ტუჩებით რაღაცას იტყვის. სიტყვებს ვერ გაიგონებს მარიკა, სხეული უკარნახებს, სწორედ ეს უნდა ეთქვა, შეახე ხელი, სანამ თბილიაო.

მერე დაინახავს, როგორ ამოცურდებიან დედის შუბლზე ოფლის წვეთები და როგორ შეიწოვენ მისი სახის არაამქვეყნიურ ნათებას.

უცებ მოეჩვენება, ცოცხალი არისო დედა. იმ იდუმალ წუთებში დაიკარგება ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და იგი მარადიულის ნაწილად აღიქვამს სულს. მაგრამ ეს იქნება წუთით.

ძმა დედის სასთუმალქვემოდან ხელსახოცს გამოაცურებს, ქათქათასა და ლამაზად დაკეცილს, სათუთად მოწმენდს ოფლს, კი არ მოწმენდს, შუბლ-

ზე დააფენს ხელსახოცს, თხელი ბატისტი უცებ შეიწოვს სინესტეს.

და მარიკას ის შორეული საღამო მოაგონდება, მოაგონდება ვაგონის მოგუდული ჰაერი, დედის უშველებელი თვალები, ერთადერთი, რაც ეტყობოდა მის სისხლისაგან დაცლილ სახეს, მოაგონდება ოფლით დანამული დედის შუბლი და ნათლად დაინახავს, როგორ გამოაცლის შეკუმშული თითებიდან ხელსახოცს ძმა, როგორ შეუმშრალებს სახეს.

მხოლოდ ახლა იგრძნობს მარიკა, როგორი ყოვლისმომცველი შიშის დათრგუნვა უხდებოდა მშობელს, როცა შვილი ცხოვრების პირისპირ დგებოდა, ხოლო მას აღარ შეეძლო თავის გაჩენილს გადაფარებოდა. პირველი დარტყმა თვითონ მიეღო.

ახლა, როცა სამუდამოდ ტოვებდა შვილებს, ეს დარდი ხომ არ მიჰყვებოდა თან...

მერე შეახებს შუბლზე ხელს და ის სითბო, ნესტიანი და უსასრულობისაკენ დენადი, საუკუნოდ დაამახსოვრდება.

იგრძნობს მისი სისხლიცა და ხორციც, რა ძვირფასი იყო ეს ქალი მისთვის, ადამიანისათვის არ არსებობს იმაზე დიდი ციხე-სიმაგრე, იმაზე დიდი იმედი, ვიდრე მისადმი ნდობაა, უსაზღვრო, ყოველგვარ ეჭვსა და მერყეობაზე ამაღლებული.

ვის შეუძლია ასე გენდოს, თუ არა ამ ქალს, რომელიც წავიდა.

მამას ჩახვეული ნინიკო წყნარად ტიროდა, ტირილის ხმა თითქმის არ ისმოდა, მხოლოდ მხრები უცახცახებდა მამის მძიმე მკლავებქვეშ.

ხოლო მამაკაცის გზაარეული მზერა ისეთის გამწარებით დაძრწოდა ოთახში, თითქოს მას და მხოლოდ მას ევალებოდა ამ უმძიმეს წუთებში ოჯახის გადარჩენა, ის კი, საჭირო საგანს, რომელიც ამ გადარჩენის უტყუარ საშუალებას წარმოადგენდა და სადღაც აქ, ამ ოთახში უნდა ყოფილიყო, ვერა და ვერ პოულობდა.

როგორ არ ჰგავდა ეს დაუძლურებული და ამავე დროს, სიმწრისაგან უიმედოდ ამბოხებული მზერა მამის ჩვეულ, ირონიით დაღდასმულ გამომეტყველებას, ყოველდღიურობის ნებისმიერ გამოვლინებას ერთნაირად აუღელვებელი ქირქილით რომ ეგებებოდა და დაცინვა უფრო ხელშესახები რომ ყოფილიყო, იმ წუთის შესაფერ ლათინურ ფრაზასაც ისროდა, თანაც ისეთი პათოსით, თითქოს სცენაზე იდგა...

...მატარებელი მიჰქროდა და მის მონოტონურ ხმაურში ფხიზლობდა მარიკას დაცარიელებული სული. არაფერზე ფიქრობდა, არაფერი აგონდებოდა. არც წარსულთან ასეთი უაზრო ანგარიშსწორება აწუხებდა, არც იდუმალებით მოცული მომავალი აფორიაქებდა. იწვა გაოგნებული, აყოლილი და დამორჩილებული ხეტიალის სევდიან ვნებას და შეჰყურებდა ფანჯარაზე გარედან აკრულ სიბნელეს.

თითქოს მატარებლის ქროლვით გამოწვეულ ქარს აეკრა იგი.

ზოგჯერ საგზაო ნათურა აფეთქებდა ღამეს. სიბნელეს ელვის ბზარი უჩნდებოდა. მერე დახუჭულ თვალებში დიდხანს იდგა ამ ბზარის სიკაშკაშე და გრძნობდა მარიკა, რა ღრმა და ყოვლისმომცველი იყო სიბნელე.

როცა წყალწყალა ტუშივით ნაცრისფერი ნათება ჩამოიღვარა ერთფეროვანი, მოსაწყენი ციდან, გააბაცა ღამე და ამ შუქით ჩამორეცხილმა არყის ხეთა ტანებმა რბილი სითეთრით იელვეს, მაშინღა მოერია ბურანი.

მოგვიანებით კი, არ უნდოდა და თავს ძალა დაატანა, გადაყლაპა ჩაით ოდნავ შეფერილი თბილი წყლის რამდენიმე ყლუპი.

მოღრუბლული ცა წვიმას აპირებდა, დაჭაობებულ მიწას ბალახი ფარავდა — მაღალი, მსუყე, შხამიანი. ალაგ-ალაგ, სადაც ბალახსაც ვერ მოეკიდებინა ფესვი, ჭაობის ყავისფერი „ჟელე" თიმთიმებდა.

ახსოვდა ქალი, რომელსაც მის პირდაპირ ქვემო საწოლი ეკავა. იმ ქალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი საცოდავი ღიმილი ჰქონდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

ახსოვდა, გადამეტებულად გულწრფელი იყო იგი და მისი ასეთი გულწრფელობა, ალბათ, იანინამ განაპირობა, იანინამ, როგორც კი სალაპარაკო შემოელეოდათ, მაშინვე საკუთარი ამბების მოყოლას რომ იწყებდა. ყვებოდა ყველაფერს და სრულიადაც არა სცხვენოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სასირცხვილო არც არაფერი უთქვამს, უბრალოდ, მარიკა ფიქრობდა, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული ასეთი თავგამოდებული გულახდილობა ყოვლად უადგილო იყო.

აღარ ახსოვდა რას ყვებოდნენ. ყოველთვის ფანჯრიდან იყურებოდა და არასოდეს ერეოდა მათ საუბარში.

ერთხელ მიაქცია იანინას სიტყვებს ყურადღება და დაამახსოვრდა კიდეც.

— ხან ბებიასთან ვცხოვრობდი, ხან დედასთან. ერთხელ მამამაც წამიყვანა თავისთან. ყველას თავს ვაბეზრებდი, ყველას ვაწუხებდი, უჩემოდ მშვენივრად ჰქონდათ აწყობილი ცხოვრება, მე კი წარსულისაკენ ვახედებდი, გუნებას ვუფუჭებდი... — თან ილიმებოდა, ტუჩის კუთხეები ზემოთ ეგრიხებოდა, ლოყებზე პატარა ღრმულები უჩნდებოდა.

— ტაკიმასხარას ჰგავს ეს გოგო, — გაიფიქრა მაშინ მარიკამ.

ქალი კი ხშირად იმეორებდა ერთსა და იმავეს.

— ჩემი ქმარი? ხუთი წელი მალოდინა, ხუთი წელი მაწამა... ვიცი, იმ ქალს დაუნიშნა პაემანი. ჩვენი ქალაქიდანაა და შორიდან ვიცნობ. ბედი გინდა ყველაფერში, რაღა ამ ვაგონით მგზავრობს. სულ როგორ უნდა დამცინოდეს...

ღია ფანჯრიდან მტვერი შემოდიოდა. ლოგინის გადახალისებაზე არავინ ფიქრობდა და მტვრისაგან განაცრისფერებული თეთრეულის ხმარება უჭირდათ ქალებს. არადა, ფანჯრის დაკეტვაც არ შეიძლებოდა, ჰაერი მაშინვე მატარებლის სპეციფიკური სუნით ივსებოდა, იხუთებოდა, მძიმდებოდა. ეს აღიზიანებდა ყველას.

— მტვერი მერე ნახეთ, — ჩაიცინოდა იმ ქალის ქმარი თავისი ღრმა, მკვრივი ბანით, კი არ იცინოდა, თანამგზავრებს დასცინოდა, ვერ გაეგო, ისეთი წვრილმანის გამო, როგორიც განაცრისფერებული თეთრეულია, როგორ უნდა შეწუხებულიყო ადამიანი.

ალბათ ასეთი ხმისათვის შეიყვარა ცოლმა თავის ქმარი, თორემ შესაყვარებელი სხვა არაფერი ჰქონდა ამ ჩამრგვალებულ, კოტიტა არსებას, რომელსაც ყველაფერთან ერთად, ერთი საძაგელი ჩვეულებაც ჰქონდა, საუბრისას თვალებში უცქერდა ყველას და შესაფერ წუთს ელოდა, თვალი რომ ჩაეკრა მოსაუბრისთვის.

გარეთ კი სცენასავით ტრიალებდა მიწა.

ერთმანეთს სცვლიდნენ დეკორაციები სოფლებისა — სწორი, განიერი ქუჩები და სწორ ხაზზე დალაგებული ხის დაბალი სახლები, ზოგიერთი ჯერაც ისლით რომ იყო გადახურული... მერე კი ისევ უკიდეგანო, თვალშეუდგამი მიწა, გადამხმარი ბალახის დაძონძილი სამოსი ძლივს რომ უფარავდა სხეულს და ფართო და მღვრიე მდინარეები, მიწის ნაგლეჯები რომ მოექცია მოთენთილ ტოტებში და გაუთავებელი რიგი ხიდებისა.

ახსოვს ტბა.

გამთენიის ბინდი ფარავდა ტბას. ზედ მატარებლის ძირთან, ქვევით, ლურჯ წყალში ტივტივებდა ნავი. არყის ხეები ისე ახლოს იდგნენ, მათი ფშვინვა ისმოდა.

მატარებელი იდგა.

ალბათ დიდხანს იდგა, რადგან სწორედ ამ დგომამ გამოაღვიძა ასე ადრე. ყველას ეძინა. ის კი გასცქეროდა ტბას და სიამოვნებით ისრუტავდა მის გრილსა და ნედლ სუნს.

მერე ჩაეძინა და როცა ხელმეორედ გაიღვიძა, მატარებელი უკვე მიჰქროდა, ფანჯრიდან ტბა აღარ მოჩანდა, ხო-

ლი მამაკაცი ნიშნისმოგებით იმეორებდა რამდენიმე სიტყვას.

— მორჩა, ჩვენ უკვე ორთქლმავალი გვექნება. ჭვარტლი ეხლა ნახეთ...

არა, ნამდვილად მოსწონდა ეს ხმა მარიკას და არა მარტო იმიტომ, მასში რაღაც ურყევი, მტკიცე და უცვლელი რომ ელერდა. ყველაზე მეტად ამ ხმაში ის ირონია იზიდავდა, რომლითაც გაპოხიერებული იყო ამ მამაკაცის მთელი არსება.

ზედმეტად მოლაპარაკე ხალხი არ უყვარდა. მათ ხმაში ყოველთვის გრძნობდა სიბრიყვეს ან სიცრუის ელფერს, ხოლო ბრიყვები და მატრაკვეცები, თავდღითი და ქლესა ხალხი ვის უყვარდა, მას რომ ჰყვარებოდა. მხოლოდ ირონიას ეგუებოდა მისი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, დაქუცმაცებული სამყარო; ირონიით აკავშირებდა ერთმანეთთან უამრავ გათავისებულ თუ გაუთავისებელ საგანს.

მაგრამ, რად გინდა, რა, — გაიფიქრა მარიკამ, — უწმაწურია და ბინძური.

ფათერაკთა მოყვარულთათვის ამ ხანგრძლივ და გულისგამაწყალებელ მგზავრობაში საინტერესო მხოლოდ ის იქნებოდა, როგორ გაჰკრა ფერდი ორთქლმავალმა თითქოს უკვე გადასწრებულ სატვირთო ავტომანქანის კუდს.

გოგონები ის იყო რესტორანში შევიდნენ.

მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა და უცებ დაამუხრუჭეს. რომ არ დაცემულიყვნენ, რომელიღაც მაგიდას ჩააფრინდნენ. ოფიციანტმა ქალმა კი, წვნიანით სავსე თეფშები რომ მოჰქონდა, თავი ვერ შეიკავა, წინ გამოქანდა, მარიკას დაეჯახა, ლანგარი აუტრიალდა და წვნიანი ზედ გადაამხო. როცა მატარებელი გაჩერდა, წინსაფარი მოიძრო და იმით ჩამოუწმინდა ტანსაცმელი.

— ღმერთო, დაგვიფარე, — ბუტბუტებდა ფერდაკარგული.

ხალხი მატარებელს ტოვებდა და ბოლო ვაგონისაკენ გარბოდა.

ოფიციანტმა წინსაფარი მაგიდაზე დააგდო, იატაკიდან ლანგარი და გატეხას გადარჩენილი რამდენიმე თეფში აიღო და ისიც ხალხს გაჰყვა.

ახლა იანინამ დაავლო ხელი წინსაფარს, ჯერ დაბერტყა, კომბოსტოსა და კარტოფილის ნაკუწები დააყრევინა, მერე რამდენჯერმე ჩამოუსვა მარიკას უკვე დასველებულ კაბაზე.

გადააბიჯეს წვნიანითა და დალეწილი ჭურჭლით სავსე იატაკს და როცა ძირს ჩავიდნენ, ზოგი უკვე ბრუნდებოდა უკან.

მატარებლის უკანასკნელი ვაგონიდან კარგა მოშორებით, ლიანდაგთან ახლოს, გადაბრუნებული სატვირთო ავტომანქანა ედო. ირგვლივ ხის ცარიელი ყუთები მიმოფანტულიყო.

მძღოლს ყური ჰქონდა ჩამოხეული და ჭრილობიდან გადმოსული სისხლი კისერს სქლად შეწებებოდა, იგი უაზროდ აცეცებდა თვალებს. მთვრალი იყო.

— ოდნავ გაგეხახუნა, შე უბედურო, თორემ... — ლაპარაკობდა ვიღაც.

— გადავასწარი, ხომ გადავასწარი, — იგინებოდა მძღოლი.

— სისხლი! — შფოთავდა იანინა.

მარიკას ტანსაცმელი მიწებებოდა ტანზე და სწვავდა.

— წავიდეთ, — თქვეს კაცებმა.

— მანქანა მაინც დაუყენეთ ფეხზე, — წუხდა იანინა, — რა უნდა ჰქნას, სოფელი შორსაა.

— საიდან იცი, — იკითხა მარიკამ.

— არაფერი მოჩანს და...

ახლაღა მოათვალიერა იქაურობა.

ცის ერთი კიდიდან მეორემდე მხოლოდ ტრამალი იყო გაწოლილი, გაუდაბურებული, გახევებული.

— მანქანის ჩრდილში გამოიძინოს, გამოფხიზლდება, — იცინოდნენ კაცები და მატარებლისაკენ მიდიოდნენ.

— მანქანა მაინც დაუყენეთ ფეხზე, — უკან მისდევდა იანინა, — რა ხალხია, კაცის შებრალება არ იციან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსრულებელი არაფერია და ეს გზაც ჩათავდა. დედამიწის კიდეს მიღწეული მატარებელი ისეთი სიმყარით ჩამოდგა და დადუმდა, თითქოს არც არასოდეს შეუკივლია ომახიანად და მჭახედ, არც არასოდეს დაუკლაკნია თავისი ძლიერი ხერხემალი.

ახლა ღამის გასათევი უნდა მოეძებნათ.

გემი, რომლითაც გზა უნდა გაეგრძელებინათ, მხოლოდ მეორე დღეს გავიდოდა ნავსადგურიდან.

ქალაქში რამდენიმე სასტუმრო იყო, მაგრამ გამოცდილება აკლდათ და ვერსად დაიდეს ბინა. ბოლოს ისევ სადგურში დაბრუნდნენ, დედათა და ბავშვთა მოსასვენებელ ოთახში იპოვეს ორი ადგილი და დამშვიდდნენ.

ახსოვდა, ბორცვიანი შემოგარენი ჰქონდა ქალაქს და ცენტრალურ ქუჩაზე ტრამვაი დაუდიოდა. ბორცვებზე პატარა სახლები შეფენილიყვნენ. მათ მორყეულ ღობეებს მაღალი ბალახი უმაგრებდა ძირს.

ახსოვდა, კინოში მოისურვეს შესვლა. საბილეთო სალაროსთან აურზაური იდგა. ამან მშობლიური ქალაქი მოაგონა.

აღარ ახსოვდა ნახეს თუ არა ფილმი.

ქუჩაში ბანანს ყიდდნენ.

რიგში ჩადგნენ და იყიდეს ორი თუ სამი აცმა.

ფართოჯიბეებიანი ქვედატანები ეცვათ. ხილი ჯიბეებში ჩაილაგეს. მერე ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ჰამდნენ. ბანანი მწიფე იყო, შოკოლადისფერი.

ახსოვდა ზღვის სანაპირო, კვერცხის ცილასავით გამჭვირვალე მედუზები, წითელი ჯვრები ეხატათ ზურგზე.

სადღაც ისადილეს.

სადღაც ივახშმეს.

კარგად ახსოვდა, როგორ გაუჭირდა ღამის გათევა დედათა და ბავშვთა მოსასვენებელ ოთახში.

ოცამდე საწოლი იდგა. მთელი ღამე ღნაოდნენ ბავშვები, მთელი ღამე გადიოდნენ და შემოდიოდნენ მათი მშობლები, მთელი ღამე ჩურჩული და მოგუდული სიცილი იდგა ოთახის დახუთულ, მბჟუტავი ნათურებით ამღვრეულ სიბნელეში.

—არა უშავს, გემზე გამოიძინებ. მშვენიერი კაიუტა გვაქვს. — იანინას მოსწონდა სიტყვა „კაიუტა" და წამდაუწუმ იმეორებდა.

მაგრამ ვერც გემზე მოისვენა მარიკამ. მთელი ორი დღე, სანამ კუნძულის სანაპიროს მიადგებოდნენ, თავბრუსხვევისა და ღებინების მძაფრ გრძნობას ვერაფერი მოუხერხა. არაფერი უჭამია, მხოლოდ დროგამოშვებით ყლაპავდა რომელიღაც მლაშე მინერალურ წყალს, იანინას რომ ამოჰქონდა რესტორნიდან.

იწვა გულაღმა და რატომღაც ბრაზობდა.

არავინ დაიჯერებს, რომ ვთქვა, უკან დაბრუნების მერე მარიკა კუნძულის შესახებ არაფერს ჰყვებოდა-მეთქი, თუმცა, მაინცა და მაინც, არავის შეუწუხებია შეკითხვებით. ეშინოდათ, კუნძულზე დაბრუნების წადილი არ გაეცხოველებინათ მასში. შესაძლოა, ამგვარი რამ კიდევ თვლემდა გოგოს სულში და არ უნდოდათ გამოეფხიზლებინათ იგი, საკვები მიეცათ.

ერთხელ თუ შესძლო ამგვარი ნაბიჯის გადადგმა, რატომ არ შეეძლო, მეორედაც გაეკეთებინა იგივე.

როცა პირველად განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, არავინ დაფიქრებულა სერიოზულად. იყო რაღაც არტისტული ამ გადაწყვეტილებაში და შეიძლება ამიტომაც ფიქრობდნენ, არაფერია სახიფათოო. მით უმეტეს, რომ მარიკა სრულიად მოულოდნელად ალაპარაკდა და ისეთი გადამეტებული აღფრთოვანებით მიეცა ოცნებას, რომ ამას მხოლოდ სიცილი შეეძლო გამოეწვია. უცებ იფეთქა და უცებვე ჩაქრება, — გაიფიქრა ყველამ.

ახლა უკვე ეშინოდათ.

უგულისყუროდ დაინტერესდნენ კუნძულით და რადგან არც გოგოს უყვარდა ბევრი ლაპარაკი, მით უმეტეს, თუ იგი პირად განცდებს შეეხებოდა, კუნძულზე გატარებული პირველი დღეების

გახსენებით დაიკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა ყველამ.

მშვენიერი ამინდი იდგა, როცა კუნძულს მიადგნენ.

ნავსადგურის დაბორცვილ ლანდშაფტს სიმწვანე ნამდვილად აკლდა და კაშკაშა მზისგან თეთრად ელავდა მისი ხრიოკი მიწა. ეს მან ჯერ კიდევ გემიდან დაინახა. მერე ტაქსით გადასერეს ნავსადგური.

ჩახრამულ, ვიწრო ქუჩებზე მანქანა უსიამოვნოდ ქანაობდა. ხანგრძლივი მგზავრობით გამოთაყვანებული მარიკა სანახევროდ თვლემდა. ის მაინც დაინახა, რა მოსაწყენი და დაბეჩავებული იერი ჰქონდა ქალაქს, რა საცოდავად მიწეპებოდნენ ერთმანეთს ხის ლაყლაყა ფანჩატურები, ღია ფანჯრებიდან როგორ გადმოეფინათ თავიანთი ჭრელჭრული შიგნეული და როგორი ქინით ეტანებოდნენ მზეს.

იანინამ მანქანის გაჩერება ითხოვა.

— გადავიდეთ.

მზე ანათებდა, მაგრამ არ ათბობდა. ჰაერი ანკარა იყო და სუსხიანი, ლორლი თვალ-მარგალიტივით ელავდა.

ქვევით იწვა ზღვა, წყნარი, გატრუნული. მზეზე ითბობდა თავის მკვრივ, ლაპლაპა ქედს და მოსიყვარულე ძალლივით ნაზად ლოკავდა მზის უხვ ნათებაში გათქვეფილსა და მოთენთილ მიწის სათუთ ზიგზაგს.

მოშორებით ქალაქიც დაინახა, ქალაქი, რომელიც ის იყო დატოვეს.

ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილ სახლებს თითქოს განცალკევებისა ეშინოდათ, სიფრიფანა კედლებით თავდადებით ებჯინებოდნენ ერთი-მეორეს და ერთ მთლიან ლაქად ჩაყონილიყვნენ ხმელეთში.

მიწას შეუმჩნევლად შეეპარა ბუჩქნარი და როცა მანქანით საოლქო ცენტრს მიუახლოვდნენ, დაბალი, გაფარჩხული ხეებიც გამოჩნდა.

გზატკეცილი ქალაქის ცენტრალურ ქუჩას შეუერთდა და მანქანა მაღალსართულიან შენობებს შორის აღმოჩნდა. მერე მარცხნივ შეუხვია და ერთხანს პარკს მიუყვებოდა, მალევე შედგა და სულ ორიოდ წუთის შემდეგ ვოგონები კულტურის განყოფილების გამგის კაბინეტში, გრძელ მაგიდასთან ისხდნენ.

მაღალი, მხრებში მოხრილი მამაკაცი მათ წინ ბოლთასა სცემდა და ღიმილით ლაპარაკობდა.

— სიმართლე გითხრათ, სამხრეთიდან არავის ველოდით. როგორ მოგწონთ კუნძული? თუმცა ჯერ რა, ესესაა ჩამოხვედით. რომელი გემით იმგზავრეთ? დიახ, დიახ, მახსოვს, „კრილიონით". მშვენიერი გემია...

ეს კი ნამდვილად არ მეგონა, ამ გაუბედურებულ ფანჩატურებს ასეთი ნათელი ოთახები თუ ექნებოდა. სინათლე პირდაპირ ჭახჭახებს, — ფიქრობდა მარიკა და თვალს ადევნებდა ქანქარასავით ამოძრავებულ კულტურის განყოფილების გამგეს.

— ისეთი პრეტენზიები აქვთ... ჩვენ, რასაკვირველია, უნდა დავაკმაყოფილოთ ჩამოსულთა მოთხოვნები, მაგრამ ყველას ცენტრში დატოვება, დამეთანხმებით, შეუძლებელია. შეუძლებელია არა მარტო იმიტომ, ადრე თუ გვიან, აქაც რომ შეივსება ყველა ადგილი, მარტო ამიტომ არა, ჩვენ სკოლები სხვა ქალაქებშიც გვაქვს. მითხარით, რა დააშავეს, მაგალითად, აი, იმ ქალაქის პატარა მოქალაქეებმა, რომელსაც ამ დილით მიადექით „კრილიონით"? მითხარით, რა დააშავეს?

ისეთი დაჟინებით მოითხოვდა პასუხს კულტურის განყოფილების გამგე, იანინა უხერხულობისაგან წამოწითლდა.

— არაფერი, — გაისმა მისი შეწუხებული ხმა.

— მეც მაგას ვამბობ, არაფერი. თქვენ, სამხრეთელებს, კუნძულის სამხრეთ ნაწილში გაგიშვებთ. იქ შედარებით უფრო თბილა, ქარებიც ისეთი ძლიერი არ იცის.

მამაკაცმა შეწყვიტა სიარული და თუ აქამდე ზურგით იყო მიმართული კედლისაკენ, რომელსაც სანახევროდ კუნ-

ძულის რუქა ფარავდა, ახლა მიუტრიალდა მას, თვალით მოძებნა სამხრეთდასავლეთის რომელიღაც წერტილი და მერე გამეტებით დაარტყა საჩვენებელი თითი.

— მგონი მეხუთე კლასში ვიყავი, — ალაპარაკდა იანინა, — კუნძულის შესახებ უნდა დაგვესწავლა მთელი თავი. ორიანი მივიღე.

— იზარმაცეთ?

— ერთი სასაცილო ჩვეულება მქონდა. გაკვეთილი ვიცოდი თუ არა, ხელს მაინც ვიწევდი. ტყუილი არ მიყვარდა, არც მასწავლებლის შეცდომაში შეყვანა მიცდია არასდროს, მცხვენოდა, რომ არ ავწიო ხელი, მასწავლებელი რას იფიქრებს მეთქი. კარგია, რომ ადრე დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალება მეძლევა, — გულიანად გაიცინა იანინამ, — ისიც ხდება ხოლმე, შეცდომას დაუშვებ, გამოსწორებით კი ნურას უკაცრავად...

— ვფიქრობ, თქვენ ასეთი მძიმე სასჯელი არ გემუქრებათ, — გაიცინა მამაკაცმა.

— დღეს მივუსწრებთ მატარებელს?

— მიუსწრებთ, — მამაკაცმა საათს დახედა, — სულ რაღაც სამი საათის გზა გელოდებათ წინ. დაღლილები კი ხართ, მაგრამ ცოტაც გაუძელით და... რა კარგია, რომ შევთანხმდით, რომ იცოდეთ, როგორ მიჭირს ჩამოსულებთან ლაპარაკი...

სადგურის შენობა პატარა იყო და ფარღალალა. სამაგიეროდ მისმა სისუფთავემ მიიქცია მარიკას ყურადღება. ვაგონიც სუფთა იყო, მორეცხილ იატაკს ხის სასიამოვნო სურნელი სდიოდა.

მატარებელმა დასავლეთისაკენ ჰქნა პირი და სულ მალე შამბნარით შემოსილი ბორცვების რკალში აღმოჩნდნენ. შამბნარს ბუჩქი შეენაცვლა, მერე ბორცვებმა თვალსა და ხელს შუა აიწიეს, ამაღლდნენ და ფიჭვებით შეიბურეს ფლატე.

ფიჭვნარში თხელი ნისლი თვლემდა. ზოგჯერ, იშვიათად, მაგრამ მაინც, ნისლში ისეთი სიცხადით გამოჩნდებოდა რომელიმე ფიჭვის მეჩხერტოტებიანი ტანი, თითქოს დაეხატათ [illegible] ხატათ კეთილსინდისიერად, მონდომებით, არ გამოეტოვებინათ არც ერთი წიწვი, არც ერთი ნაკეცი, არც ერთი ხვეული და ღვივოდა ის ერთადერთი ფიჭვი საღამოსაკენ გადაქანებული დღის რბილ შუქში, უკან მოეტოვებინა იდუმალებით აღსავსე სამყარო და თვითონ, ამ სამყაროს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, წინ წამოსულიყო, წამოსულიყო, რათა თავისი საიდუმლო გაენდო სხვისთვის, აევსო ის სხვა რაღაც ამაღლებულით, რაღაც მშვენიერით.

მატარებელი ძლივს მიიკვლევდა გზას მთათა ხვეულებში, მერე გვირაბი დაიწყო, გვირაბი კი არა, გვირაბთა მთელი რიგი. საღამოს შუქი ვერ ასწრებდა ვაგონში შემოსვლას, რომ ისევ გვირაბის ნესტიანი, უჰაერო სიბნელე ეუფლებოდა მგზავრებს. ბორბლების გამაყრუებელ ხმაურს ველარ იტანდა ყური, თვალს აცრემლებდა ვაგონის მბჟუტავი ელექტრონი.

— დაითვალე? — ეკითხება იანინა.

— რა უნდა დამეთვალა, — გაღიზიანებული პასუხობს მარიკა.

— რამდენი გვირაბი გავიარეთ.

— მოგცლია.

-- მალე ჩათავდება. ოცამდე ყოფილა.

ახსოვდა, სიბნელემ რა ერთბაშად შეიწოვა მატარებლიდან გადმოღვრილი ხალხის ნაკადი და ისინი ბაქანზე მარტონი როგორ აღმოჩნდნენ.

მერე ვიღაც ქალი მიუახლოვდათ, — სკოლის დირექტორი გახლავართო, — გაიცინა და ჯერ მარიკას თითებში შეაცურა თავისი ხელი. მარიკას ჩვარივით შემოეთელა იგი, თხელი და უძლური. შეშინებულმა გაშალა თითები, არაფერი ვატკინოო ამ ქალს.

— პიანისტის ხელი პიანისტის ხელია, — მხიარულად თქვა ქალმა.

— ახალი ამბავი, — გაიფიქრა მარიკამ.

— ცენტრიდან დამირეკეს, მოდიანო...

არასოდეს დაავიწყდება რა დაღვრემილი და პირქუში ეჩვენა იმ ღამეს ქალაქი, რა დაუნდობელი სიმკაცრით იყონებოდა სიბნელეში ხის საპყარი, კუტი სახლების მზერა, რა ავისმომასწავებლად ჰრიალებდა სასტუმროს ციცაბოდ აყუდებული ვიწრო კიბე, რომელსაც მეორე სართულამდე უნდა მიეყვანა გოგონები, როგორ ბჟუტავდა ერთადერთი ნათურა გრძელ, კარებებით დაჩეხილ დერეფანში.

— თქვენ ალბათ არ გივახშმიათ, — ამბობს ქალი.

— ჩვენ დღეს, საერთოდ, არაფერი გვიჭამია, — აგონდება იანინას.

— მაშინ, წავსულიყავით სადმე, ჯერ მხოლოდ ცხრაა, სიბნელემ არ შეგაშინოთ.

— ამ ქალაქში შეიძლება სადმე წასვლა? — კითხულობს მარიკა.

— რა თქმა უნდა, — იცინის ქალი, — გვაქვს კინოთეატრი, კლუბი, ბიბლიოთეკა, რესტორანი...

— გასტრონომი? — აწყვეტინებს მარიკა.

— დავიღალეთ, — მარიკას უხეში ტონის შერბილებას ცდილობს იანინა.

— ხუმრობა საქმეა, ამხელა გზა? — ამბობს ქალი.

— გასტრონომამდე მიმაცილებთ? — ეკითხება იანინა.

ძნელი დასაჯერებელი იყო ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელ დღეებში მოხდა, ყველაზე მეტად კი ის, აქ რომ იყო, ამ სასტუმროში, ამ ქალაქში, ამ კუნძულზე და ვერ გაეგო მარიკას, რატომ მოხდა ასე, რატომ გამოიწია მისმა სხეულმა ამ უცნობი, უცნობი კი არა, ჯერ კიდევ გუშინ საერთოდ არარსებული სამყაროსკენ. რას ეძებდა აქ, მის რომელ სურვილს ესალბუნებოდა იგი თავისი მზით, თავისი ზღვით, თავისი მიწითა და ჰაერით. მას ახლაც არ სჯეროდა ამ სამყაროს არსებობა, რადგან არ არსებობდა მასთან შეხების არც ერთი წერტილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მამაკაცს, რომელიც, რატომღაც, კულტურის განყოფილების გამგე აღმოჩნდა, ან ამ ქალის, მუსიკალური სკოლის დირექტორი ვარო, გოგონებს რომ წარუდგა. მარიკას იგი მაშინვე არ მოეწონა, თონთლო ხელის მტევანი ჰქონდა და მეტად არასასიამოვნო სიცილი იცოდა. როგორც ჩანდა, წინა კბილები არ უვარგოდა და სიცილის დროს ცდილობდა ბაგე არ მოეცილებინა მათთვის. ეს სიცილი კი არა, სახის წვალება იყო.

წარსული ახლა დამთავრდა, ამ რამდენიმე წუთის წინ, ამ გამოფიტული ხის შენჯღრეულ ნაგებობაში შესვლისას, რომელსაც გოგოს გასაკვირად მეორე სართულიც აღმოაჩნდა. დაირღვა ყველა გუშინდელი კონტაქტი, გაიფანტა ყველა გუშინდელი აზრი, ყველაფერი გუშინდელი გულგრილად შეიწოვა დროის მდინარებამ და მხოლოდ სხეული დატოვა გუშინდელი, დაღლილი თავისი სიცარიელით, დაბნეული და ხვალინდელი დღის მტკივნეული მოლოდინით სავსე.

ხვალ...

ხვალ ყველაფერი, რასაც მიწვდებოდა მარიკას თვალი და გონი, მოითხოვდა ახლიდან დაბადებას, ახლიდან გააზრებას...

არა და, რა არასერიოზულად დაიწყო ყველაფერი.

დირექტორის კაბინეტიდან გამოვიდა. სახეზე ღიმილი აითამაშა და თანაკურსელთ, რომელთაც სასწავლებლის დერეფანი აევსოთ, განუცხადა:

— მივდივარ.

— სად?

იმ შორეული კუნძულის სათქმელად გამზადებულმა ბაგემ ჯერ რამდენიმე დამცინავი ფრაზა ისროლა, მერე გასცა ჩადენილი ცოდვა. მსმენელთა შორის ამას მხოლოდ სიცილი შეეძლო გამოეწვია, რადგან ყველამ მშვენივრად იცოდა, მარიკა აუცილებლად კონსერვატორიაში გააგრძელებდა სწავლას და რა თქმა უნდა, კუნძულის სახელი სა-

თამაშოდ, ბურთივით იყო გადაგდებული სასწავლებლის დერეფანში.

მერე მოელუშათ სახე თანაკურსელებს. ეს დაცინვა იყო, დაცინვა, რომელიც მხოლოდ იმ ორ მამაკაცს არ ეკუთვნოდა, ასე უშედეგოდ რომ ცდილობდნენ იმ შორეული მიწისათვის მუსიკის მასწავლებლის ხელში ჩაგდებას და დირექტორის კაბინეტში შესულ მოსწავლეებს ნახევარი საათის განმავლობაში აღელვებით უხატავდნენ კუნძულის სამოთხეს, არამედ მათიც, რადგან ისინი, სერიოზულნი და მომავალზე ფიქრით აფორიაქებულნი, შიშით ელოდნენ გამოძახებას. იმდენად იშვიათად ემთხვევა საკუთარი სურვილი და მიზანი სხვათა საჭიროებას, არავის არა ჰქონდა იმედი, კმაყოფილი რომ გამოვიდოდა კაბინეტიდან.

მარიკას კი ყოველივე ეს თამაშად უჩანდა, ჩვეულებას არ ღალატობდა და ასე უტაქტოდ ხუმრობდა.

— მართლა?

— მაშ!

— კარგი, ერთი...

— ხელი მოვაწერე.

— რა გენაღვლება, ლამისაა კონსერვატორიაში უგამოცდოდ დაგსვან, — და ყველამ დაიჯერა, შეიძლება მართლაც მოეწერა ხელი. კონსერვატორიაში მოხვდებოდა და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი.

სიცილი უცებ შეწყდა.

— წადი, წადი...

მარიკამ სიცილით დატოვა სასწავლებლის შენობა და მერე სახლამდეც კი არ მიჰყოლია სურვილი, კიდევ ერთხელ მოეთხრო ვინმესთვის ჩადენილი ხუმრობის თაობაზე.

მაშინ აპრილი იდგა, წვიმიანი და ცივი. კვირტი გვიან დასკდა და სიმწვანემ მხოლოდ მაისის საზეიმო დღეების შემდეგ ამოისუნთქა.

მარიკას არც ეს შეუმჩნევია. მთელი მისი გონება და დრო მხოლოდ მუსიკით იყო დაკავებული.

ასე იყო ყოველთვის. შრომის საოცარი უნარით დაეჯილდოებინა ბუნებას. მეცადინეობა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. ამხანაგებთან დამოკიდებულებაში ნაძალადევი და ხელოვნური, აქ, როიალთან. ისეთი გულწრფელი და ნამდვილი იყო. ისეთი ზომიერი და უბრალო, ყველას აოგნებდა და სახტად ტოვებდა. აქ იყო მისი ჭეშმარიტი ადგილი და ამას ყველა, მტერიცა და მოყვარეც, გრძნობდა.

შესაძლოა ეს ჯერ არ იცოდა თვითონ, ჯერ პატარა იყო ამგვარი თვითანალიზისათვის, მაგრამ მთელი მისი არსება ისეთი ძალით მიექანებოდა მუსიკის სიღრმეებისაკენ, არაფერს შეეძლო ამ შინაგანი სწრაფვის შეჩერება, რადგან იქ, იმ სიღმრეებში იყო დამარხული მისი სულის თავისუფლება, მისი სულის სიმართლე.

თვითონ არ იცოდა, მაგრამ ეს იცოდა დედამ, ამიტომ არასოდეს საყვედურობდა ქალიშვილს, რომ ჭინჭარივით ისუსხებოდა. არ უნდოდა გაფანტულიყო ის მიზანსწრაფვული ლტოლვა, რომლითაც ასე დაეჯილდოებინა განგებას მისი ქალიშვილი. დრო თავისას წაიღებს და თავისას მოიტანსო, — ფიქრობდა, — ყველაფერი მოწესრიგდებაო, — იმშვიდებდა თავს.

კუნძული ვილას ახსოვდა.

მაგრამ მაინც შეახსენა თავი.

თანაკურსელი ესტუმრა, იანინა ერქვა. მეტი არაფერი იცოდა ამ გოგონას შესახებ. წითური თმა ჰქონდა, ხშირი, კისერზე ჩამოშლილი. შეჭორფლილი მრგვალი სახე ყოველთვის უღიმოდა. ვარდისფერი დასთამაშებდა ყვრიმალზე და ეს სისალისა და სინორჩის იერს აძლევდა. შეიძლება ამის ბრალიც იყო, შეთქვირებულ, ფაშფაშა შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა. არა და, ნაზი იყო. ერთი კია, დიდი მკერდი ჰქონდა, შეუფერებლად დიდი მისი გამხდარი სწორი მხრებისათვის.

— ხელი შეგიშალე?

გულგრილად შეათვალიერა სტუმარი.

— ძნელია ამ სიცხეში მეცადინეობა.

მარიკას არაფერი უპასუხია, არ შე-

იძლება ამ გოგოს, რომელსაც მხოლოდ სასწავლებლის დერეფანში ხვდებოდა და ხან ესალმებოდა, ხან თვალს არიდებდა, მასთან სხვათა შორის შემოევლო. საქმე ექნებოდა უთუოდ და უნდოდა, ჩქარა ეთქვა თავისი სათქმელი. არ უყვარდა, როცა მეცადინეობაში უშლიდნენ ხელს.

— არა, მესმის, რომ ყველაფერი ხუმრობა იყო, მაგრამ მე მაინც შემოვიარე, ყოველი შემთხვევისათვის. მინდა რომ იცოდე, რა ვიცი, რა არ ხდება.

ვერ მიხვდა რაზე ლაპარაკობდა იანინა.

— კულტურის სამინისტროში უკვე ვიყავი, გავაფორმე განაწილება.

— ააა... მე, ალბათ, კონსერვატორიაში ჩავაბარებ. — გაეცინა მარიკას.

— რა თქმა უნდა.

— სახლიდან გიშვებენ?

— წელს კონსერვატორიაში მაინც ვერ მოვხვდები, საერთოდ თუ მოვხვდი... იქ ერთი წელი ორ წლად ჩამეთვლება, ხელფასიც ორმაგია, თანაც კუნძული, ხომ წარმოგიდგენია...

მარიკას არ აინტერესებდა არც კუნძული, არც ორმაგი ხელფასი, არც ერთი ნამუშევარი წლის ორ წლად ჩათვლა და არც მოსწავლეები. სამასწავლებლო პრაქტიკისათვის სასწავლებლის დირექციამ ერთი მოსწავლე ჩააბარა და იმასთანაც უჭირდა მეცადინეობა.

— ყოველი შემთხვევისათვის გითხარი.

— გასაგებია.

ყოველი შემთხვევისათვის ნათქვამმა რამდენიმე სიტყვამ სულ მალე სახტად დატოვა მარიკას მთელი ოჯახი.

ჯერ, რა თქმა უნდა, არავის სჯეროდა ამ მოულოდნელად მიღებული გადაწყვეტილებისა და ძმა, ორი წლით უფროსი მარიკაზე, გადამეტებულად პატივმოყვარე და ჩხუბისთავი, სიცილისაგან ძლივს იბრუნებდა სულს.

— ისეთი მონდომებით იჯდა როიალთან ამდენი წელი, არ შეეძლო არ აეწყვიტა.

ხოლო ნინიკო, ძმაზე ერთი წლით უფროსი, წამდაუწუმ იხვეწებოდა:

— მეც წამიყვანეთ.

— თავი არ გამომეყოფა არსად, არ იტყვიან, რა ოჯახია, ორი გოგო ჰყავდათ და ვერც ერთს ვერ მოუარესო? — ეპასუხებოდა ძმა. —ორივე ესე როგორ უნდა გაუბედურებულიყვნენო.

მერე კი, როცა მარიკამ შეწყვიტა მეცადინეობა, თუმცა გამოცდები კარს მოდგომოდა და მთელი ენერგიით მიეცა იმ ხანგრძლივი მგზავრობისათვის მზადებას, რომელიც ორი თვის მერე ელოდა, ყველა ჩაფიქრდა.

მან კი სარდაფიდან ამოათრია მუყაოს რამდენიმე ყუთი, რომლებშიც მისი სკოლისდროინდელი ნოტები ელაგა და გადარჩევა დაიწყო. სახეზე ნათელივით ედგა ღიმილი. ასეთი ღიმილი მხოლოდ მაშინ ეუფლება ადამიანს, როცა სული მისი ადრე არგანცდილ ჰარმონიას აღმოაჩენს.

— რატომ. — სასოწარკვეთით თქვა დედამ.

არავინ იცოდა რატომ.

ალბათ არც მარიკას გაეგებოდა საკუთარი სისხლისა, რომელმაც დააყრუა, დააბრმავა და მოლოდინის ცივი კედლით გამოყო ოჯახის დანარჩენი წევრებისაგან.

— მინდა, — თქვა გულგრილად...

— ვინ არის იანინა? — იკითხა მამამ.

— არის რა... ბებიასთან ცხოვრობს, — უპასუხა ძმამ. მას უკვე ზოგი რამ გაეგო დის თანამოაზრის შესახებ.

— მერე, ბებიას დატოვება შეიძლება? — შეწუხდა დედა, — მოხუცი იქნება.

— ნუ გეშინია, — გაეცინა ბიჭს, — გაძლებს კიდევ ასი წელი.

— უშვებს?

— შენ უშვებ?

— არ ეცოდება, მერე?

— ძაღლი ჰყავთ ერთი, თვალებდაჭყეტილი და გალოკილი.

— ძაღლის წაყვანაც უნდა? — შეეშინდა დედას.

— ძალლიც შენ იდარდე, — ჩაერია და.

— არა მგონია, ძაღლი ბებიასთან უკეთ იქნება. იცის ეს.

— რა შუაშია ძაღლი, — გაბრაზდა მამა.

— ვამბობ ყველაფერს, რაც ვიცი. — განმარტა ძმამ.

— მშობლები?

— ადრე დაცილებულან. მამას ცალკე ოჯახი აქვს; დედას — ცალკე. მამამისმა ახლახან ახალი „მოსკვიჩი“ შეიძინა, დედის ოჯახობა კი ჯერ ისევ „პობედით“ დაჰქრის.

მამას მეტი არაფერი უკითხავს.

მან მშვენივრად იცოდა, მარიკას არ ეწეოდა არც კუნძულის მოსახლეობაში მუსიკალური განათლების შეტანის წადილი, არც მოგზაურობისადმი დაუოკებელი ჟინი. მოგზაურობისადმი ლტოლვა მას საერთოდ არ ახასიათებდა, ზაფხულშიც კი, როცა ოჯახი ქალაქის ახლოს რომელიმე აგარაკისაკენ აიღებდა გეზს, დედისა და და-ძმის აღელვებული სახეების გვერდით განსაკუთრებულად იგრძნობოდა ქალიშვილის ინერტიული, მოდუნებული განწყობილება. ბავშვობიდანვე არ უყვარდა შეჩვეული გარემოს გამოცვლა.

ვახტანგისა და ნინიკოს სახლში შეტყუება ყოველთვის პრობლემად იყო ქცეული. დედას ყელი ჰქონდა ჩახლეჩილი მათი სახელების ძახილით. დღენიადაგ ტყეში ან მდინარის პირას ეყარნენ და არავინ იცოდა, რას აკეთებდნენ იქ. სახლში ან ჰინჰრით დასუსხულნი ბრუნდებოდნენ, ან კოღოებით დაკბენილნი და დედას მხეცებივით ულრენდნენ.

მარიკა კი ჰამაკში იწვა და თვლემდა. მარტოობა არ აწუხებდა და არასოდეს ეძებდა თანატოლებთან კონტაქტს.

გვიან ეცნო საკუთარი თავი.

ვაი თუ ამით დამსგავსებოდა შვილი მამას.

რამდენჯერ მომხდარა, გაალიზიანებდა ცოლის ყურადღება და სითბო, ოჯახში დატრიალებული არავითარი უსიამოვნება რომ არ ანელებდა, ვაჟიშვილის საკუთარი თავისადმი გადამეტებული ყურადღება, ხშირად ხდებოდა აყალ-მაყალის მიზეზი, ნინიკოს უდარდელი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ, ცუდი იყო ეს თუ კარგი და მარიკას უმადურება დედის საოცარი, გამორჩეული სიყვარულის წილ. შეიპყრობდა ვნება მიეტოვებინა ყველაფერი, გაქცეულიყო, გადაკარგულიყო სადმე, დაეწყნარებინა აფორიაქებული სული. ძლიერი იყო ეს სურვილი, ძნელად დასამორჩილებელი, მაგრამ არასოდეს გაქცეულა. არასოდეს გადაკარგულა.

რა აჩერებდა? მოვალეობის მძიმე ტვირთი და შიში, ჩვეულებრივი შიში ხანში შესული მამაკაცისა შეჩვეული გარემოს გამოცვლის მიმართ.

— რომელიმე ჩვენთაგანი ხომ არ ალიზიანებს? იქნებ ყველანი ერთად?

იქნებ არც აქ ჰგავდა მარიკა მამას?

მაშინ საიდან გაჩნდა ძლიერი სურვილი წასვლისა, ყველაფერი დანარჩენი რომ დაჩრდილა?

იქნებ ძალა ვიხმაროო, — გაიფიქრა და შეეშინდა. ცუდად რომ დამთავრებულიყო ყოველივე?

აგვისტოს დასაწყისში თავის ოთახში შეუძლვა ქალიშვილს, უსიტყვოდ გაუწოდა კონვერტი, რომელშიც იმდენი ფული იდო, პირი არ ეკეტებოდა, ერთხანს ჩუმად იდგა, სევდიანი ღიმილით ათვალიერებდა გოგოს გულგრილ სახეს. ბოლოს წყნარად თქვა.

— ჰამე მხოლოდ საუკეთესო.

იანინა დაბრუნდა.

— დამაგვიანდა? — იკითხა და სანოვაგე მაგიდაზე დაალაგა, — ისე გავყევი როზას, ფულის წაღება დამავიწყდა. იმან გვიყიდა ყველაფერი.

— როზა?

— ჩვენს დირექტორს როზა ჰქვია და ძალიან კეთილი ქალია, ძეხვიც გვიყიდა, ყველიც, ზღვის კომბოსტოს კონსერვიცა და შოკოლადიც.

— აქ ზღვის კომბოსტოს ჭამენ?

იანინას გაეცინა.

— აი, ნახავთ, რა მშვენივრად მოეწყობით. მოკლე ხანში ბინასაც მოგცემთო.

— ცალ-ცალკე თუ ორივეს ერთად? — მერე თვითონვე გასცა მარიკამ საკუთარ შეკითხვას პასუხი, — თუ აქ გათხოვდებით, ცალ-ცალკეო.

იანინამ ისევ გაიცინა.

— სკოლას ორი ფორტეპიანოსა და ორი ბაიანის მასწავლებელი ჰყოლია.

— წყვილად.

— სკოლა ორი წელია რაც არსებობს და პირველ წელს მიღებული ბავშვები უკვე მესამე კლასში არიან.

— კი, იქნებიან, — დაეთანხმა მარიკა.

— მე ველარ შევძლებ მაგათ გაძღოლას და კიდევ კარგი, ჩამოხვედითო.

— რატომაო?

— კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი ჰქონია დამთავრებული. თუ არ დაიზარებთ და მეც წამამაცადინებთ, კარგი იქნებაო.

— რა თქმა უნდა, კარგი იქნება, — გაეცინა მარიკას.

— სოლფეჯიოსა და მუსიკის ისტორიას ვალენტინას ქმარი ასწავლის. მასაც კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი დაუმთავრებია.

— ვალენტინა პიანისტია?

— ძლიერი ბანი ჰქონია და დიდ იმედებს ამყარებენ მასზე.

— იმედით ცოცხლობს კაცი.

მერე კი, როცა ცოტად თუ ბევრად, შეეჩვია ხის ფანჩატურებსა და ღია საკანალიზაციო გაყვანილობას, ფიცრებით გადახურულსა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილს, შეეჩვია ზღვის კომბოსტოს სუნს, რომლითაც უხვად იჟღინთებოდა ქალაქი როცა ქარი ზღვიდან უბერავდა, ხოლო ქარი ხშირად უბერავდა ზღვიდან. შეეჩვია ქალაქის ორიოდ ქუჩას, ასფალტდახეთქილსა და ტალახიანს, შებინდდებოდა თუ არა, მაშინვე რომ იკეტებოდა თავის დაკონკილ სხეულში, გემო გაუსინჯა კუნძულის პურსა და წყალს, გაეცნო მუსიკალური სკოლის ორიოდ მასწავლებელს და დაიჯერა ქალაქში მცხოვრები ადამიანების არსებობა, გუნებაც გამოუკეთდა.

ქალაქის გარეუბანშიც მოუხდა გასვლა. იქ კი ბლოკის ხუთსართულიანი შენობების მთელი მასივი იყო გაშენებული. ნახა მდინარე, რომლის მდორე წყალი ისე იყო ავსილი მორებით, კაცს მეორე ნაპირზე გადასვლა არ გაუჭირდებოდა, გახედა მთებს, რომელთა კალთები ფიჭვით იყო დაფარული და ზღაზვნით ეშვებოდა ზღვისაკენ, ხოლო ზღვას თავისი ღრმა, ძლიერი სუნთქვით ისეთი სიმშვიდე შემოჰქონდა ხმელეთზე, მის დარღვევას ალბათ ვერაფერი შეძლებდა. ქალაქი მოეწონა. ხის ფანჩატურებმა სიღატაკის ელფერი დაკარგეს და რაღაც საოცარი ჰაეროვნება შეიძინეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ზღვის კომბოსტოს სუნიც კი მოეწონა. შემდეგ არა ერთხელ უსეირნია ზღვის სანაპიროს იმ ნაწილში, სადაც დატბორილ წყალს შამბნარივით მოსდებოდა მისი გრძელი, მუქი სიმწვანითა და თევზის სუნით სავსე ფოთლები...

თერთმეტი თვის შემდეგ დაბრუნდა სახლში.

ახსოვს, კარის გაღება შეაგვიანეს, შეაგვიანეს სულ ერთი წუთით, მარიკამ კი გაიფიქრა შინ არავინააო, ხელჩანთა ყავისფერი ფილებით მოკირწყლულ იატაკზე დაუშვა და საათს დახედა.

ხუთი სრულდებოდა.

როცა კარი გააღეს და დედის სახემ ინათა ჩაბნელებული დერეფნიდან, მაშინღა შენიშნა, ორივე ხელით კარის ჩარჩოს ჩამოკიდებოდა. ასე იცოდა ადრეც, თუ მაშინვე არ გაუღებდნენ კარს, ისე მიეყრდნობოდა ჩარჩოს, თითქოს დაღლილი იყო და დგომა უჭირდა.

იდგა დედა, პატარა და წყნარი, გაოცებული შეჰყურებდა შვილს და ისე ჩაზრდოდა დერეფნის იატაკს, გადაადგილება უჭირდა, შვილისათვის რომ დაეთმო გზა და სახლში შეეყვანა.

ვერ დაიჯერა ქალმა, რომ მიილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაცდელის ჟამი, ისევე, როგორც ადრე, უკანასკნელ წუთამდე სწამდა, შვილი რომ არ მიატოვებდა. შორი გზიდან მოდიოდა მარიკა და ამ გზის ყოველი მოსახვევი დედის წინააღმდეგ იყო ამხედრებული.

ძრწოდა ქალი.

არავინ იცოდა იმ თერთმეტთვიანი მოლოდინის ფასი. დღე საქმეში კლავდა დროსაცა და გულისტკივილსაც. ღამე? რამდენჯერ მომხდარა, შუაღამისას წამოუწყია თეთრეულის რეცხვა შვილზე ფიქრით შიშაყოლილსა და აგზნებულს. სისხამზე მიუჯდებოდა ხოლმე მარიკა როიალს. საუზმემდე ორი საათი უნდა ემეცადინა. სწორედ ამ მეცადინეობის ხმას გამოჰყავდა დედა ბურანიდან. შემოესმოდა თუ არა მუსიკის ხმა, საბოლოოდ ფხიზლდებოდა.

მთელი თერთმეტი თვის მანძილზე ინათებდა თუ არა, იმ მუსიკის ხმას ელოდა ქალი, ჯერ ისევ მძინარი. ელოდა და წვალობდა.

ბოლო ხანებში კი ერთი საშინელი სიზმარი აეკვიატა, — ვითომ ეძინა და მუსიკის ხმა აფხიზლებდა. ეს მარიკა უკრავდა შოპენს.

მაშინ შეეცოდა საკუთარი თავი, იტირა.

— მამაშენმა გუშინ მიტკალი მომიტანა, სახლში ორი გასათხოვარი ქალი გყავს და გამოგადგებაო, — უთხრა შვილს.

დიდ ოთახში მაგიდაზე დაეხვავებინა საზეწრედ გამზადებული ნაჭერი.

— რა არის ახალი, — იკითხა მარიკამ.

ეთერი გარდაგვეცვალა. ბოლო ხანებში ქმრის გადიდებული სურათის ქვეშ იჯდა სულ. იქნება ათი დღე.

— ბებია ეთერი? იქნებოდა ასი წლის.

— ოთხმოცდათოთხმეტის. — დედამ ტირილი დაიწყო.

— მეზობელს დასტირი ჯერაც?

— შენ? შენ როგორა ხარ. რატომ არ შეგვატყობინე, დაგხვდებოდით.

— რა უშავს მერე.

— ხომ არა გშია.

— არა.

— გეჭამა რამე.

— არაფერი არ მინდა.

— დაიღლებოდი.

დედამ ხელსახოცი მოიცილა სახიდან და მარიკას დააკვირდა.

— გამოიცვალე? — ღმერთო... თერთმეტი თვე... გციოდა?

— ერთხელ იცი რა ვქენი? ბებია ეთერი ამოდიოდა კიბეზე, მგონი პური ამოჰქონდა, „ეთერ ქალო, ქვეყნის თვალოო“, — მივაძახე.

— ეგ რა გიქნია, —შეიცხადა დედამ.

— არა მგონია, იმ სიტყვებს მოეკლა ბებია ეთერი. ეს ერთი ათი წლის წინ იყო.

— რატომ ჰქენი ეს?

— წინათაც ასე იყო და ახლაც ასეა, „ბებიას“ და „ეთერის“ რატომღაც ვერ ვუხამებ ერთმანეთს.

დედამ გაიცინა, მერე სიცილი ისევ ტირილში გადაუვიდა, შვილისაკენ გაქანდა და მაშინ გადაეხვია პირველად მარიკას, სველი სახე გოგოს მხრებში ჩამალა და ხელისგულებში გამომწყვდეული ჩიტივით აცახცახდა.

— ვილას უნდა დაუტოონ გასაღები,

— იცინოდა მარიკა, — მთელს სადარბაზოში ეთერის მეტი არავინ იყო სახლში დღისით.

— თინიკო გკითხულობდა ხშირად, შენს წერილს თუ მიიღებდა, მოდიოდა კიდეც.

— გამიკვირდა მისი წერილი, რომ მივიღე. ბოლო ხანებში ძალიან იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს... მერვე კლასიდან მუსიკალურ სასწავლებელში არ გადავედი? აბა, დაითვალე...

— ბაზარში შემხვდა, შენი ამბავი ძალიან გაიკვირვა, მივწერო, მისამართი მაშინ მივეცი. ვახტანგია შენზე ალესილი, რატომ არ უპასუხე წერილზე, ჩემს ცხოვრებაში აღარ მივწერო, იმუქრება.

— გადასარევი პირდაპირ, ყველას სათითაოდ ხომ ვერ მივწერდი.

— ნინიკოსათვის [illegible]

მარქსის სახ. სა[illegible] სსრ
სახელმწიფო რეს[illegible]

მეტი ვერ გამოიმეტე. მთელი კვირა ითვალა და მაინც ექვსიაო, იძახდა.

— რა ექვსი სიტყვა...

— „მე კარგად ვარ, თავად როგორ გიკითხოო“. დაგავიწყდა?

— ნინიკოც იმუქრება?

— წერილს ელოდები, შეიძლება ერთი თვეც ელოდო და უცებ მხოლოდ ექვსი სიტყვა... არ იცი, ნინიკოს ამბავი, მოკვდა სიცილით. ისე, არც ჩვენ გვათამამებდი გრძელი წერილებით.

— მოსაწერი არც არაფერი იყო.

— იანინა როგორაა.

— რა ვიცი...

— ერთად არ ჩამოსულხართ? — გაიკვირვა დედამ.

— იქ დარჩა, — შეყოყმანდა მარიკა.

— კუნძული მოეწონა?

მერე კი, ჩვეულებისამებრ, როცა სამზარეულოს გრძელ მაგიდასთან მთელი ოჯახი შეიკრიბა, მარიკა დიდხანს ლაპარაკობდა თავის მგზავრობასა და კუნძულის შესახებ. ცდილობდა, რაც შეიძლება ხელშესახებად დაეხატა შორეული მიწის მთა და ბარი, ნისლი და ტყე, მდინარე და ზღვა, ხის სახლებით შეხორხლილი ქალაქი და რესტორანი, სადაც ყოველდღე სადილობდა, მისი შემოდგომა, ზამთარი თუ გაზაფხული, თავისი წვიმებითა და თოვლით, ქარითა და მზით. ზოგჯერ ძმა შეაწყვეტინებდა, უმადური ხარო, — იტყოდა, ან ნინიკო ჩაიცინებდა, შეიძლება ლასეროსში მოხვდე, პიეტრო-მონტში ან სანკარლოს დე ბარილოჩეში, ყველგან შეიძლება მოხვდე, მაგ კუნძულზე კი ძნელი სავარაუდევია. რა ჭკუა ჰქენი, რომ წახვედიო.

— შე გეოგრაფო და ისეთო... — დასცინებდა ძმა.

დედა კი, მშვიდი ღიმილით სავსე, ვახშმის სამზადისით იყო გართული. მამა ყურადღებით შესცქეროდა შვილს და ყოველ მის სიტყვას წონიდა.

— ხალხი? — ჰკითხა, — ხალხი მოგეწონა?

— ალბათ.

— ჯერ გაუკვირდა კაცს. შვილი მხოლოდ ბუნებაზე რომ ლაპარაკობდა, თითქოს კუნძულზე გასასეირნებლად იყო ჩასული და მეტი არაფერი. არ მოეწონა მისი ტონი, წყნარი და ზომიერი, მოკლებული აღფრთოვანებასა და გულისტკივილს. ჩვეული ირონიაც კი არ იგრძნობოდა.

დაცარიელებული ეჩვენა შვილი.

მერე თითქოს მიუხვდა დაფარულს. სახლში მის ჯერ კიდევ დანაწევრებულ შინაგან ცხოვრებას მშვენივრად ამთლიანებდა მუსიკა. იქ? იქ ვის უნდა მიკედლებოდა გოგო, თუ არა ბუნებას და შვილის სამყარო ქვეშეცნეულად ბუნებისაკენ მიისწრაფოდა, ეგონა, მის გაუცნობიერებელ სულიერ სატკივარს ბუნების მშვიდი მორჩილება უშველიდა რამეს. ყოველივე ეს ამ ადამიანის ნიჭიერებაზე მეტყველებდა, მაგრამ რას მიაწერდა მამა იმას, მარიკას ისიც რომ ახსოვდა, როდის იჩინა თავი პირველმა კვირტმა. ეს მოხდა თორმეტ მაისს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გოგო იჯდა და ელოდა როდის გამოისხამდა ხე კვირტს, ითვლიდა დღეებს და საათებს.

და იგრძნო მამამ, რაღაც სიმწარე ბუდობდა ამ სიზუსტეში. იგი აწრიალებული მოლოდინით იყო სავსე.

— ხომ არავინ შეუყვარდა, — ფიქრობდა მამა.

— კუნძულზე მინდა, — იცინოდა ნინიკო.

— უმადური, — იმეორებდა ძმა.

მარიკა კი ყვებოდა პირველად როგორ გაუსინჯა გემო ზღვის კომბოსტოს კონსერვს, როგორ შეეზიზღა იგი თევზის მძაფრი სუნის გამო, ყვებოდა ისე, თითქოს მას კი არ ეხებოდა ნათქვამი, არამედ სხვას, რომელსაც, შესაძლოა, თავისი ახლობლისაგან გაეგონა ეს.

იმ ღამეს კუნძული დაესიზმრა მარიკას.

თევზის ფორმა ჰქონდა კუნძულს, თევზივით იყო წაგრძელებული და ბოლოც თევზივით ორად გაჰყოფოდა. ძა-

ლაგამოცლილი მისვენებულიყო მკვრივსა და გაყინულ წყალზე.

ალაგ-ალაგ გაეღონა წყალს და ჩატბორებულიყო. სიზმრის იდუმალ შუქზე ისე თიმთიმებდნენ ტბორები, თითქოს ამაზრზენი იარებისაგან იხრწნებოდა მიწა. ხოლო სივრცე, უთავბოლო და უნდილი, ნელა იჟღინთებოდა რაღაც უცნაური მოლოდინით, რომლითაც, რატომღაც, ცოცხლობდა კუნძული.

შეირხეოდა ოკეანე, მისი დაგრაგნილი ბრჭყალები საბედისწერო რკალად შემოეტმასნებოდნენ მიწის კიდეთა სათუთ ზიგზაგს და დაიძაბებოდა კუნძული, დაიბურცებოდა, თითქოს კიდევ უფრო ავიწროებდნენ მის ისედაც ვიწრო ჰურჰელს.

იქნებ წამოსულიყო წვიმა.

იქნებ წვიმას მაინც დაეშოშმინებინა ოკეანე, მიეყუჩებინა მიწა. ზეცის აბრეშუმივით მოშრიალე, ლბილსა და სათუთ თმაში გახვეულიყო ყველაფერი და ძნელად გასარჩევი გამხდარიყო ზღვარი ყრუ, ჯიუტ ძალასა და გაუსაძლის ტკივილს შორის.

საშველივით ელოდა სიზმარი წვიმას.

მაგრამ წვიმა არსად იყო.

ოკეანის ტალახისფერი სხეული ზრიალით იწყებდა მტვრევას, საიდანღაც, სიღრმიდან, ორთქლივით ამოდიოდა ენერგია და ავსებდა მოძრაობის უაზრო ჟინით. იგი დრაკონს ემსგავსებოდა ლოდებივით აგორებული კუნთებით, უმიზეზოდ გაბოროტებული სულითა და იმ ერთადერთი სურვილით, დაეხარჯა მოზღვავებული სიშმაგე.

იცოდა, რომ სიზმარი იყო და შიში მაინც უგუბებდა სულს.

თავს ძალა დაატანა და შეწებებული ქუთუთოები ააგლიჯა ერთმანეთს. სიბნელეს გაუსწორა თვალი, საკუთარი სხეულის სიცივე და სიმძიმე იგრძნო.

გათენებამდე კარგა მანძილი იყო დარჩენილი. ხელმეორედ დაძინებისა შეეშინდა. დიდხანს იწვალა. მერე ისევ მოერია თვლემა და ახლა ქალაქი ნახა. კუნძულის სანაპიროს რომ გასდევდა. ვიწრო. ჰუჰყიანი ქუჩებით. მეჩხერი, დამპალი ღობეებითა და გუბეებად ჩამდგარი ამღვრეული წყლით, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდი, რომელიც უნდა გაგეტოპა.

მიდიოდა და მის ნაფეხურებს ნელა ავსებდა ტალახი და წყალი.

გაშიშვლებული, გაძარცვული იდგა ქალაქი.

იცოდა, ვერავის იპოვიდა, მაინც ჩაჰყურებდა ფანჩატურებს ხის ჩარჩოებით დაქუცმაცებულ პატარა თვალებში, მათი სიბრმავე და სიცარიელე აოცებდა, აშინებდა, მერე გარბოდა, უკან კი ქუჩა მისდევდა, გამოფიტული ხის ხიწვიანი საცეცებით ეხებოდა, აჩერებდა და შველასა სთხოვდა თუ ემუქრებოდა, ვერ გაეგო.

ქალაქის ბოლოს ტანდახეთქილი ფიჭვნარი და წიწვებით გადალობილი სივრცე დახვდებოდა.

ყველაფერი ნაცნობი და შემაძრწუნებელი იყო. თითქოს ვიღაც ემალებოდა, სადღაც, კუნძულის სიღრმეში იტყუებდა, ულიმოდა და ემუქრებოდა.

მერე ქალაქში დაბრუნდა.

მოეთოვა. ქალაქის შიშველი სხეული თოვლს შეემოსა, გაეყუჩებინა. გუბეები გაყინულიყვნენ და შეორთქლილ სარკესავით დაბინდული მათი ყინული ესვენა აქა-იქ.

როცა ხელმეორედ გამოფხიზლდა, ღამე მილეულიყო და ოთახში გამთენიის გრილი ნათება იდგა...

იმ დილამ დედასაც აუხდინა სიზმარი.

მთელი ღამე იწრიალა, ვერა და ვერ დაიძინა, როდის-როდის წაიღო ბურანმა და აჰა, ჩაესმა კიდეც როიალის ხმა.

მარიკა სავარჯიშოებს უკრავდა.

— დასაკარგი უკვე დაიკარგა, გასაცემი უკვე გაიცა, — გადაულაპარაკა ქმარს.

— O saneta[1] Simplicitas, — ჩაიცინა ქმარმა.

დედა ვერ მიხვდა რა უთხრა კაცმა, ის კი კარგად იცოდა, რომ დასცინა.

— ლათინურს იმიტომ სწავლობდი,

ო. წმინდა უმანკოება.

მე გაგემწარებინე, — გაუღიმა ცოლმა, — პირველი დღიდანვე ცდილობდი ამას.

ქალს ის მოაგონდა, ქორწილის დღეს რომ ირონიით წასჩურჩულა ქმარმა რამდენიმე ლათინური სიტყვა. მათი ჟღერა დღესაც ყურში ედგა.

ოდესლაც თავგამოდებით სწავლობდა მამაკაცი ლათინურს, თუმცა იგი არანაირად არ ეხმიანებოდა მის პროფესიას.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა უკვე ძნელი სათქმელი იყო რა იზიდავდა ამ ენისაკენ. ერთი კია, იმდენად კარგად შეისწავლა, ციცერონსა და სენეკას კითხულობდა დედანში. მერე მიატოვა ეს საქმე. თვითონაც არ იცოდა ოჯახმა შეუშალა ხელი თუ სხვა რამემ. ენამ მალე იცის დავიწყება, სამაგიეროდ ლათინური ფრაზეოლოგია მტკიცედ ჩაიბეჭდა მეხსიერებამ და რალაცნაირ, სულიერ განთავისუფლებას გრძნობდა, როცა რომელიმე მათგანის გახსენების საშუალება მიეცემოდა.

ოჯახის წევრებსაცა და ნაცნობ-მეგობრებსაც სჯეროდათ ლათინური ენის ცოდნა ყურადღების მისაქცევად ჭირდებოდა კაცს, განათლებული და იუმორით აღსავსე ადამიანის შთაბეჭდილების დატოვება სურდა. ეს ასე არ იყო, მაგრამ ამას ახლა უკვე ალარავითარი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა. ან ვის დააჯერებდა, როცა რომელიმე ფრაზას წარმოვთქვამ, უპირველესად საკუთარ თავს დავცინიო. სიმართლე რომ ითქვას. არცა ცდილობდა შეეცვალა ახლობელთა აზრი, ეს სრულებით არ აწუხებდა.

ერთს ნანობდა მხოლოდ.

მისმა არც ერთმა შვილმა არ მოინდომა ამ ენასთან ურთიერთობა, თუმცა მამა ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე ეხვეწებოდა, მოდით, ჩავუჯდეთო ლათინურს.

2.

რეალურობა დაჰკარგა კუნძულზე გატარებულმა რამდენიმე თვემ, გაითქვა- ნტა დროსა და სივრცეში. ერთხელ სიცილითაც კი თქვა, რა ვქნა და ვერავინ დამაჯერებს, იქ რომ ვიცხოვრეთ ოდესლაც.

ბიბლიოთეკა

ეს შეიძლება ასეც იყო, რადგან კუნძულიდან დაბრუნების შემდეგ მისი ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგა და ისე დაიწყო დენა, როგორც იდენდა, ის თერთმეტი თვე საერთოდ რომ არ არსებულიყო. მაგრამ მხედველობას, ყნოსვასა თუ სმენას მარიკას დაუკითხავად უამრავი ისეთი რამ შემოენახა, იშვიათად, მაგრამ მაინც, აუცდენლად რომ დაეჯახებოდა რაიმე მიმსგავსებულს და მაშინ ვერც თავშეკავება შველოდა გოგოს და ვერც ჩვეული გულგრილობა სენტიმენტალური განცდების მიმართ. წლების მიღმა დარჩენილი, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში საფუძველს სრულიად მოკლებული სახეები ერთმანეთის მიყოლებით ისეთი სიმძაფრითა და ცხოველმყოფელობით დაიწყებდნენ მახსოვრობის სიღრმეებიდან ამობოლქვას, იმდენი წვრილმანი სიზუსტე მოჰქონდათ თან, იმდენი ფერი და ზიგზაგი, მათგან თავის დაღწევა ძნელი იყო.

დაბნეული შეათვალიერებდა იქაურობას, მართლა კლუბის სკვერში ხომ არა ვზივარ იქ, იმ შორეულ მიწაზე, ან ახლახან ხომ არ ჩაიარა სკოლის დერეფანში „შიპრით“ გაჟღენთილმა ვადიმმა.

ისე მოთენთავდა ეს უცნაური შინაგანი ხილვა, თითქოს ახლა, ამ ერთ წამში გადაელახა მთელი ის უშველებელი სივრცე თავის მშობლიურ ქალაქსა და იმ კუნძულს შორის. გაეღიმებოდა საკუთარ თავზე და ეს ღიმილი ერთხანს დაუმძიმებდა გუნებას.

თურმე კუნძული მაინც არსებობდა, ფეთქავდა მის სულში და შესაფერ დროს ელოდა, რომ ამოტივტივებულიყო თავისი თევზივით წაგრძელებული სხეულით. იგი არ ემორჩილებოდა მარიკას სურვილებსა და მიზნებს, მის ყოველდღიურ წესრიგს, მას თავისი სიცოცხლე ჰქონდა, თავისი რეალობა.

მარიკას არ უყვარდა კუნძულთან განმარტოება.

საიდანაც არ უნდა დაეწყო ჩახვევა მოგონებათა მორევს, ერთისაკენ მიიწევდა მუდამ, ერთს უტრიალებდა, ერთით ივსებოდა. ის ერთი კი მამაკაცი იყო, მამაკაცი, იმ დღეს, კვირტის შობის დღე რომ შეარქვა მერე, მოულოდნელად რომ გადაეყარა ბაზრისაკენ მიმავალ გზაზე.

კინოთეატრს გასცდა და აი ისიც...

შორიდანვე დაინახა.

ტყაპუჭი ეცვა, თავზე არაფერი ეხურა. ცალ მხარზე მოგდებული ზურგჩანთა და ორლულიანი მოკლე თოფი მოჰქონდა. მძიმე ჩექმებს მოაბრახუნებდა ხის ტროტუარზე. ღონიერ წვივებზე შემოტმასნოდა ჩექმებში ჩატანებული შარვალი.

ნელა უახლოვდებოდა მარიკას.

ჭაღარა, შეთხელებული და მოშვებული თმა ტყაპუჭის ბეწვიან საყელოს სცემდა. გრძელი, კუნთიანი სახე ოთხკუთხედი, ორად გაპობილი ნიკაპით უმთავრდებოდა, ხორციანი პირი განსაკუთრებულად გამოკვეთილიყო სწორი, თხელი ცხვირის გამო, რომლის სიფრიფანა ნესტოები სუნთქვის დროს ცხენივით ებურცებოდა. თვითონაც, რაღაცნაირად, ცხენივით მოაბიჯებდა, ლაღად და დაძაბულად ერთსა და იმავე დროს.

რაღაც უცხო, შორეული იმზირებოდა მისი მოჭუტული თვალებიდან. გაცრეცილ, დაღარულ სახეს სხვა მიწის ქარი და დაუმორჩილებლობა მოჰქონდა.

მარიკა არ შეუმჩნევია, ისე ჩაუარა გვერდით. შეიძლება შეამჩნია კიდეც და ყურადღების ღირსად არ ჩათვალა. შედგა და მხრიდან გადმოცურებული ტვირთი მოხერხებულად მოიგდო ზურგზე.

გოგო იდგა და მიმავალს გასცქეროდა, ხედავდა, როგორ მიჰქონდა ტანი, მსხვილი და ძლიერი, ესმოდა, როგორ ილეოდა მისი ნაბიჯების ხმა.

უცნაური მარტოობა იგრძნო. უსაშველო სევდით აევსო გული. თითქოს არც თავშესაფარი ჰქონდა, არც ჰყავდა ვინმე. დახმარების ხელი რომ გაეწოდა და იდგა ასე, უსავანო და უძლური [illegible] ცასა და მიწას შორის. [illegible] მოსული და არც არსაიდან [illegible] იდგა და უსმენდა სიჩუმეს, დაუსრულებელს, დაურღვეველს...

დრო გადიოდა.

ხვალინდელ დღეს გუშინდელზე მეტი საქმე მოჰქონდა და რაც მეტს შრომობდა მარიკა, რაც მეტს კითხულობდა და სწავლობდა, მით უფრო მეტი ჯაფა ელოდა წინ, მეტი გაურკვევლობა.

უკვირდა ნიჭიერ მუსიკოსად რომ თვლიდნენ, ბრაზდებოდა, როცა ეტყოდნენ, შენგან ბევრს მოველითო, რადგან ხედავდა — რამდენს ესაჭიროებოდა შეცნობა და ჩაწვდომა, რამდენ ძალასა და შეუპოვრობას მოითხოვდა მიზანი, დღითი დღე უფრო და უფრო რომ შორდებოდა და მიუწვდომელიც კი ეჩვენებოდა ზოგჯერ.

ბავშვობისას ყველა გულწრფელია და უშუალო, ამ გულწრფელობას ან სკარლატის სონატის დაკვრაში გამოამზეურებ, ან ცეკვასა და სიმღერაში, ლექსის წაკითხვის დროს, ახლობელთა პორტრეტების ხატვაში. ბავშვებისათვის ადვილია გულწრფელობა. მას არაფერი უდგას წინ. მისი ახალშობილი, მიამიტი და მიმნდობი სული ჯერ არ დამდგარა სამყაროს პირისპირ. მას ჯერ კიდევ უმაგრებს ზურგს ბუნება, მასში ჯერ კიდევ ფეთქავს ბუნების ლტოლვა გამთლიანებისაკენ, ერთმანეთში შერწყმისაკენ.

რა ბედნიერი იყო მაშინ, როცა კლავიატურაზე თითების აცეკვებაღა იყო საჭირო იმის მისაღწევად, რასაც ახლა ამდენი ფიქრი ჰქირდებოდა. თითების აცეკვებას კი არაფერი უნდოდა მეცადინეობის მეტი. რამდენჯერ მომხდარა, გამოთაყვანებული მჯდარა როიალთან, არც თავისი თავისათვის უსმენია და არც რაიმეზე უფიქრია, მთლიანად მინდობილი იყო ბავშვურ ალღოს და ამ ალღოს არასოდეს უმტყუნია, არასოდეს დაუტოვებია მშრალზე.

ნიჭიერიაო, — ამბობდნენ.

წლები ემატებოდა და რაც უფრო

ივსებოდა გონი მისი სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობის გზაზე. მით უფრო ძნელი და იქნებ შეუძლებელიც ეჩვენებოდა, ყოფილიყო ისეთივე უშუალო და მართალი, როგორც ადრე, ბავშვობის ბედნიერ ხანაში. მის წინ ისევ მუსიკა იყო, მაგრამ ზურგს აღარ უმაგრებდა სამყაროსთან ის იდუმალი კავშირი, ბრმად და უცდომელად რომ დაატარებდა ბგერათა საიდუმლოებით მოცულ გზებზე. ახლა ეს კავშირი აღარ არსებობდა, ახლა თავად უნდა შეექმნა იგი თავისი ტვინითა და გულით. დიდი სიმამაცე იყო საჭირო ნდობოდი მხოლოდ საკუთარ თავს, არა და, ვის შეეძლო შველა. შვილმა კაცმა ვერ შეჭამა, ერთი კაცის ლუკმა იყოო...

ძნელი აღმოჩნდა უშუალობა, გულწრფელობა, სიმართლე. არა იმიტომ, ზოგი რამის დამალვა რომ გწადია ცნობისმოყვარე, უვიც და გაცვეთილ ადამიანებთან, ასეთი ხალხი რა სათვალავში ჩასაგდებია, ან შეიძლება საკუთარი ცხოვრების დაუფარავად, შეულამაზებლად ჩამოღერღვამ თუნდაც იოტისოდენად მიგაახლოვოს იმ სიმართლესთან, რომელსაც სული შენი ეძებს დღეს და რომელსაც მოგთხოვს ხვალ მკაცრი და ეჭვიანი მსმენელი, ძნელად რომ ენდობა ხელოვანს.

ვახშმობისას ისევ ერთად იკრიბებოდა ოჯახი, მხოლოდ ვახტანგი აკლდათ ხშირად. ინსტიტუტი უკვე დაემთავრებინა, მაგრამ ჯერ არსად მუშაობდა. მთელი დღე თავისუფალი ჰქონდა და მაინც დილით გასული გვიან ღამით ბრუნდებოდა. ვერავინ ეკითხებოდა ვერაფერს, ისეთი გულძვირი სახე ჰქონდა. სარფიან სამსახურს ეძებდა ბიჭი, ქალაქში ძნელი იყო მშენებელი ინჟინრისათვის ასეთი ადგილის შოვნა, ქალაქიდან გასვლა მას არ უნდოდა და დრო უქმად ადნებოდა ხელში.

— მაგხელა რომ ვიყავი... — სამდურავს ამბობდა მამა.

— უყვარს. — ამართლებდა დედა.

— შოათრიოს, თუ უყვარს.

— გოგო არა ჩქარობს.

— გოგო არჩევს, — ეცინოდა ნინიკო, — ეს გასაგებია. მე ის ვერ გამიგია, როგორ ეგუება ვახტანგის ამაყი ბუნება ამგვარ ყოფას. არავინ შემოაკვდეს.

— ესეც მთელი დღე უკან დასდევს, არიქა, არ დავიღუპო, ჩემზე უკეთესს არსად გადაეყაროსო, — ბრაზობდა მამა.

— ხომ არსებობს სიყვარული, — ჩაერეოდა მარიკა.

— სწორია, — აჰყვებოდა ნინიკო, — თუ უყვარს, რატომ აწვალებს, თუ არ უყვარს, ჩამოიცილოს, დარდით არ დავიხოცებით, როგორმე...

— ფულიან ადგილს ეძებს, იქნებ ფულიანი მაინც შეიყვაროს, ფუი.

— შეიძლება არ იცის, უყვარს თუ არა, ხომ ხდება ასე, — აღარ იცოდა როგორ დაეცვა დედას ვაჟიშვილის რჩეული.

— მჯერა, იმიტომ, რომ უაზროა.

— დიახ, ყველამ შენსავით კი არ იცის ზეპირად, რა უნდა და რა არა: — არ ათავებდა სიცილს ნინიკო.

— მამას ეგ უნდა უთხრა? სულ დაკარგე სირცხვილი, ვითომ შენც საათივითა გაქვს აწყობილი საქმე. გადაგვიყოლა შენმა სწავლა-განათლებამ.

— როდემდე უნდა ვეძიო ნაცნობები, არიქა, მიშველეთ, შვილს გამოაგდებენ სასწავლებლიდანო. სინდისი გაქვს? — ახლა ნინიკოს მიუტრიალდებოდა მამა.

— არა.

— ვახტანგმაც გაგისწრო და მარიკამაც. დაგავიწყდა რომ ორივეზე უფროსი ხარ?

— მართლა?

უკვირდა მარიკას, როგორ ცხოვრობდა ასე გულარხეინად და ხასიათწამხდარი არასოდეს ახსოვდა. ყველაფერი ახარებდა, ყველაფერი ატკბობდა. მოვიდოდა წვიმა და უხაროდა, რომ წვიმდა. „წვიმა მოდის, წვიმა მოდისო“, ღიღინებდა. მოვიდოდა თოვლი და დააბიჯებდა უსაზღვროდ ბედნიერი. არ ჩაუთვლიდნენ საგანს და აბა რა გეგონა ლამაზო გოგოო, — სიცილით ეუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდა საკუთარ თავს. მზიან დღეს ლექციაზე რა გააჩერებდა, მეგობარი ერთი და ორი კი არა ჰყავდა, მარტოს რომ ესეირნა. წვრილმანებს არასოდეს გამოჰკიდებია, არც არავისი შურდა, არც პირველობას იჩემებდა. თამამი იყო და ლაღი. უყვარდა ლამაზად ჩაცმა და თმის ვარცხნილობებს ყოველდღე იცვლიდა.

— ვის ეპრანჭები, გოგო, — ჰკითხავდა დედა.

— საკუთარ თავს, — იყო პასუხი.

უკვირდა მარიკას, როგორ ახერხებდა თავისი თხელი, ბუწუწა თმისაგან ასეთი მრავალგვარი ვარცხნილობის შექმნას. ამას ხელოვანის ნიჭი ჰირდებოდა უთუოდ. რაც არ უნდა ჩაეცვა, ყველაფერს მოიხდენდა, ლამაზი ტან-ფეხი ჰქონდა და არ ეპუებოდა მოკლე ტანსაცმლის ხმარებას.

— ქალო, კაბა დააგრძელე, — ეტყოდა მამა.

ხელგაშლილი იყო და თუ ფული ჩაუვარდებოდა ხელში, მაშინვე გამოუყვანდა წირვას. ტანსაცმლის გაჩუქება იცოდა და მეგობარი გოგონების გული ჰქონდა მოგებული.

რაც არ უნდა ჩაედინა, არასოდეს დაფარავდა. არც ტყუილი უყვარდა. დასამალ-დასაჩქმალს არც არაფერს ჩადიოდა და რომ ჩაედინა კიდეც, ალბათ იმასაც გულღიად ჩამოკაკლავდა. არაფერი არ მიაჩნდა ამქვეყნად იმის ღირსად, ღრმად ჩაემარხა გულში, ან იმაზე ეფიქრა და ეწვალა, მომხდარი ამბავი როგორმე შელამაზებულად მოეთხრო სხვისთვის.

მამას ყველაზე მეტად ნინიკოსაკენ მიუწევდა გული, რატომღაც ეცოდებოდა გოგო, ალბათ იცოდა, ქალიშვილის ლაღი ბუნება ადამიანის ფლიდობას შეეჯახებოდა სადმე. არაფერზე ეუბნებოდა უარს და ნინიკოც მშვენივრად სარგებლობდა ამით.

— მამიკო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

— რა ღირს.

— ისე, რა.

— მარტო ნინიკოს უნდა? — ატყდებოდა დედა, — მარიკაც შენი შვილი არ არის?

— მერე, ვინ ამბობს არ არისო? — მამის მაგივრად პასუხობდა ნინიკო.

— არავინ, — ეცინებოდა მამას.

მერე ნინიკო თავისას გააჩუქებდა და მარიკას ჯერ ისევ ჩაუცმელ ტანსაცმელს დაავლებდა ხელს.

— ეგ მარიკასია, — გადაელობებოდა დედა.

— მერე, ვის გაუყვია ჩემი და მარიკას ქონება? — გაიკვირვებდა.

— არავის, — თავისი ოთახიდან გამოსძახებდა მარიკა.

— გესმის? — ბედნიერი იყო გოგო.

ნინიკოს ხშირად აკითხავდნენ ამხანაგები, მეტწილად საღამო ხანს შემოივლიდნენ და გვიანობამდე რჩებოდნენ, გაჰქონდათ ჟივილ-ხივილი.

მარიკასთან იშვიათად თუ მოვიდოდა ვინმე, რამდენიმე წუთით შემოირბენდა, არც კი ჩამოჯდებოდა, უხერხულად იხდიდა ბოდიშს, ან წიგნს დატოვებდა, ან ნოტებს ითხოვდა და გაქრებოდა.

მხოლოდ თინა თუ შემოივლიდა ცოტა ხნით.

ამხანაგს სთხოვდა აუცილებლად:

— დაუკარი რამე.

მარიკას არასოდეს შეუსრულებია მისი თხოვნა.

— რა, — აიჩეჩავდა მხრებს.

— რაც გინდა, —გაიღიმებდა თინა.

— მართლა ფიქრობ, რომ დაკვრა ვიცი?

სათნო, დამყოლი ხასიათი ჰქონდა თინას, ხათრიანი და უბოროტო იყო. იქნებ სწყინდა კიდეც—მარიკა არაფრად აგდებდა მის სურვილს, მაგრამ წყენა არასოდეს გამოუხატავს. უარს მოისმენდა და მყუდრო, თვინიერი ღიმილი მოეფინებოდა.

თითქოს დამაამებლად უნდა ემოქმედა ამ ღიმილს მარიკაზე, პირიქით კი ხდებოდა. აგონდებოდა, ადრე სხვის სახეზეც ენახა ამგვარი ღიმილი და წვალობდა, ვერ მოეგონებინა ვინ იყო ის სხვა.

ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს ის სხვა, რომელიც ვერა და ვერ გაეხსენებინა, ამ ღიმილთან ერთად აქვე იყო, ამ ოთახში და უთვალთვალებდა, აკვირდებოდა.

დედას ახალისებდა თინას სტუმრობა. შეურჩევდა ყველაზე მოსახერხებელ ადგილს, — მოისვენეო, — მზრუნველად ეტყოდა, მერე ტკბილეულს მიართმევდა, იცოდა, უყვარდა ტკბილი და მისთვის ყოველთვის ჰქონდა შემონახული რაიმე. გვერდით მიუჯდებოდა, აუცილებლად გამოკითხავდა როგორ გრძნობდა თავს დედამისი, ბოლო ხანებში რა მოხდა ახალი და კარგი.

არც მარიკა და არც დედა არასოდეს არ ახსენებდნენ კუნძულს, თუმცა ორივეს თინას დანახვაზე კუნძული აგონდებოდა. დედა უსაზღვროდ მადლიერი იყო თინასი. იმ ძნელბედობის ჟამს ჯერ ისევ პატარა გოგონას ყურადღება და სითბო მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. მაშინდელი მხარდაჭერის წილი იყო ეს, საოცრად ნათელი, სიხარულით აღსავსე ურთიერთობა მასთან.

მარიკას კი ჯერ ისევ უკვირდა, რამ აალებინა კალამი თინას, რამ მიაწერინა წერილი იმ ადამიანთან, რომელთანაც რა ხანია გაწყვეტილი ჰქონდა ურთიერთობა და სავსებით შესაძლებელია, დავიწყებასაც იყო მიცემული, წერილი კი არა, წერილების მთელი დასტა, მით უმეტეს, რომ პასუხად ან მშრალი, ოფიციალური სიტყვებით დამძიმებული თაბახის ფურცელი მოუვიდოდა, ან, საერთოდ, არაფერი.

ასე იფიქრა, ცნობისმოყვარეობის ბრალიაო ეს. მერე გაიკვირვა, რადგან თინას არავითარი დაინტერესება არ გამოუჩენია იმ შორეულ მიწაზე გატარებული თვეების მიმართ. ჯანმრთელი დაბრუნდა და ესაა მთავარიო, — უთხრა მაშინ.

— როგორაა დედაშენი.

— როგორ იქნება. მუშაობს. დაღლილი კია. თოთხმეტი წლიდან მუშაობს. საკერავ მანქანას მივუჯდები თუ არა, მაშინვე ზურგი მეწვისო, ამბობს.

— ძნელი დრო იყო, ომი, უსახსრობა.

— პენსიაზე მინდა გავიდე, მაგრამ ვერ გავძლებო.

— სახლში ცოტაა საქმე?

— ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ და მეც ხომ ვეხმარები რაღაცას.

— რა თქმა უნდა. მე კი სამი მყავს, სამი კი არა, ოთხი. არც ერთი არ გაატოკებს ხელს. არც მინდა. ნეტავი თავიანთ საქმეს მიხედონ რიგიანად. სწავლის საქმე როგორ მიდის.

— ჩვეულებრივ.

თინა ფილოლოგიურზე სწავლობდა. პირველი ორი თუ სამი წელი უშედეგოდ გადიოდა მისაღებ გამოცდებზე და ახლა მხოლოდ მეორე კურსზე იყო.

— სტიპენდიას ხომ იღებ.

— კი. განა არ ვიცი, სანამ სამსახურში არ ჩავდგები დედაჩემი პენსიაზე გასვლას არც დააპირებს.

— რამდენი წლისაა.

— უკვე მეორე წელია პენსია დაუნიშნეს

— მართალია. გაგიჭირდებათ ორ კაცს პენსიით ცხოვრება. ახლა გყოფნით ალბათ.

— კი...

წყნარად, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ყურადღებით უსმენდნენ ერთმანეთს, წყნარი სახეები ჰქონდათ. არ იღიმებოდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, როგორი სიამოვნებით ეძლეოდნენ საუბარს, როგორ ესმოდათ ერთმანეთის.

მარიკა მოშორებით იჯდა და საუბარში არასოდეს ერეოდა. გრძნობდა, მესამე ხმა აუცილებლად რომ ვააფუჭებდა ამ მშვენივრად შეხმატკბილებულ დუეტს. მისთვის ისიც საკმარისი იყო ეს დუეტი ოთახს სიმყუდროვით რომ ავსებდა.

— ჭამე, ჭამე, იქნებ არ მოგწონს...

— რას ამბობთ... მაგრამ, ამდენი ჭამა?

— რა იმდენი შენა ჭამე...

— ბევრი...

— მოიცა. ერთი...

— ჩვენ'ა მეზობლად ქალი გარდაიცვალა.

—რას მელაპარაკები. შვილი ჰყავდა?

— ნატო. მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს.

— რა უნდა ჰქნას უდედოდ. მამა თუ ჰყავს.

— ჰყავს. სახლიდან იყო წასული. ეხლა უკან დაბრუნებას აპირებს.

— შვილს უპატრონებს...

— რა ვიცი, სულ ქალებისაკენ ჰქონდა გულისყური, სვამდა...

— მაგნაირი კაცი...

— მეცოდება...

— ნიჭიერია?

— ამდენი არ ვიცი...

— ლამაზია?

— არა უშავს.

— მარიკაც ველარ დამშვიდდა. არაფერს ამბობს, მაგრამ, ვგრძნობ უჭირს.

— ეგ როდის ამბობდა რამეს.

მარიკას უკვირდა. ამ ორ ადამიანს ოთახში მესამე ადამიანის არსებობა დავიწყებოდათ.

მაინც, ვისი ღიმილი ჰქონდა ამ გოგოს...

ვინ იყო მასთან მთელი საღამო...

— შენ ისეთი კარგი გოგო ხარ, ისეთი მოწესრიგებული... შენი იმედი მაქვს. ეხლა კია ყველაფერი წყნარად, მაგრამ ხვალ? თუ კი ერთხელ შესძლო... რა ვიცი, წელს ამთავრებს და...

თინა თავს უქნევდა და ილიმებოდა...

თითქოს არაფერი ჰქონდა ასაღელვებელი დედას. სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადება ყოველგვარი მოულოდნელობისაგან იყო დაზღვეული. აპრილი იწურებოდა, ერთი თვეღა დარჩენილიყო იმ გადამწყვეტ დღემდე, მაგრამ ცხოვრებით, რომლითაც კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ უნდა ეცხოვრა მარიკას, არავინ დაინტერესებულა „მაესტროს“, როგორც მარიკა უწოდებდა თავის პედაგოგს ღრმა პატივისცემითა და მოკრძალებით, ალბათ ჰქონდა თავისი აზრი სტუდენტის მომავალი საქმიანობის თაობაზე, მაგრამ არასოდეს არაფერი უთქვამს. არც არავინ ეკითხებოდა რამეს. ერთი კია, თუ არანაკლები პატივისცემით ეკიდებოდა მარიკას, არანაკლებ უყვარდა. დიდ ხანს უთმობდა მასთან მეცადინეობას, თუმცა უამრავი საქმით იყო დატვირთული და ყოველთვის განიცდიდა დროის ნაკლებობას.

მათი შეხვედრის დრო ყოველთვის საღამო იყო.

პროფესორი მოითავებდა ყველა დანარჩენ საქმეს, ცოტას დაისვენებდა, ივახშმებდა, ადრე ვახშმობას იყო მიჩვეული, მერე უყვარდა მარიკასთან განმარტოება.

ამ შეხვედრებს დედა არასოდეს ესწრებოდა. თუ პროფესორის ნახვა უნდოდა, კონსერვატორიაში მიაკითხავდა. ასაღელვებელს არაფერს ეტყოდა „მაესტრო“. მასაც ღრმად სწამდა თავისი სტუდენტის ნიჭიერება და ერთი და იგივე სიტყვებით ამთავრებდა საუბარს ქალთან.

— ხელი უნდა შეუწყოთ. სიმშვიდე უნდა იყოს მის გარშემო, — თუმცა მშვენივრად იცოდა. ეს ქალი შვილისათვის ხელის შეწყობისა და მის გარშემო სიმშვიდის შენარჩუნების მეტს არც არაფერს აკეთებდა.

ერთხელ მაინც გაჰყვა გაკვეთილზე. მარიკას წინა საღამოს სიცხემ აუწია, ალბათ გაცივდა. ყელიცა ტკიოდა. „მაესტროსთან“ წასვლაზე უარი მაინც არ უთქვამს, უარი კი არა, დაიჟინა, უნდა წავიდეო.

დედა იძულებული შეიქნა გაკვეთილზე გაჰყოლოდა სიცხისაგან წამოჭარხლებულ შვილს.

როიალს მიუჯდა მარიკა, ბახის დაკვრა დაიწყო, მაგრამ გააჩერა მასწავლებელმა. ხელები უკანკალებდა გოგოს.

შემდეგ დიდხანს ისაუბრეს მასწავლებელმა და მოსწავლემ. საუბრის მონაწილე არა ყოფილა დედა, იგი მხოლოდ მოწმე იყო, ოთახის კუთხეში სავარძლის კიდეზე ჩამომჯდარი, ორივე ხელით სავარძლის სახელურს ჩაფრენილი, სმენად ქცეული.

თუმცა იმ საუბრიდან ბევრი ვერაფერი გაიგო, ერთს კი მიხვდა, მეტად დაძაბული იყო მარიკას შინაგანი ცხოვრება და რარიგ ცდებოდა ყველა, ვინც მისი სახის ინერტულ, გარე სამყაროს მიმართ ყოველგვარ ინტერესსმოკლებულ, წყნარ და უმოძრაო გამომეტყველებას აიგივებდა იმასთან, რაც ამ სახის იქით ხდებოდა. უკვირდათ კიდეც, როგორ ახერხებდა გოგო ამ მაღალი სიჩქარეებით აღსავსე დროში ასე შენელებულად ცხოვრებას. ფეხის აჩქარებაც კი არ იცოდა, პირწმინდად იყო გათავისუფლებული ყოველგვარი ფუსფუსისა და მოუსვენრობისაგან.

თვალებდახრილი იცოდა ჯდომა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არც კი გისმენდა. რამდენჯერ გაუმეორებიათ მისთვის ერთი და იგივე იმის შიშით, ვერ გაიგოო. გვიან იცოდა თქმა.

— მესმის. მერე?

— დაგვცინის? — იცინოდა ხოლმე ნინიკო.

ახლაც ასე იჯდა. იდაყვებით დაყრდნობოდა კლავიატურის კიდეს, ხელისგულებით ეჭირა თავი და ისე ლაპარაკობდა, თითქოს უჭირდა აზრის გამოტანა, აზრის გამოტანა კი არა, იმ მრავალწახნაგიანი საფიქრალის, რომელსაც მისი გონი დაეძებდა. სიტყვების გარსში მოქცევა.

— ბახისათვის არა ვარ მზად.

— რატომ.

— ...

— რა ხდება გამაგებინე.

— ბახში არის მისწრაფება სიკვდილისაკენ, არის აღფრთოვანება სულისა, რომელმაც გადალახა არყოფნის შიში და ამ არყოფნაში დაინახა განთავისუფლება, გასხივოსნება, არის სამყაროს იდუმალი ჰარმონიის უმცირეს ნაწილაკად გადაქცევის გრანდიოზულობა, მაგრამ...

— მაგრამ?

— მასში ისმის დროის მსვლელობაც. დრო ამზადებს ადამიანის მოკვდავ ბუნებას სამყაროსთან შერწყმის გზაზე. ბახი აღწერს ცხოვრებას, მას მარტო სული არ აინტერესებს, მას აინტერესებს სხეულიც. მასში შეცნობილია ყველაფერი, წარსულიც, აწმყოც, მომავალიც მან ერთი რამ არ იცის მხოლოდ, როდის დადგება ბოლო წამი, ახლა თუ ლოდინია საჭირო. როგორ უნდა შესრულდეს იგი... სად იწყება მიღება ცხოვრებისა, ისეთის, როგორიც არის, სად იწყება შეგუება იმასთან, რასაც ვერ ეგუებოდი ჯერ კიდევ გუშინ... სად უნდა დატოვო გულისტკივილი, რითაც ცხოვრობ, რამ უნდა გააქარწყლოს იგი. რა ემართება კაცის სულს, რომელიც არყოფნას აღფრთოვანებით იღებს და ისე ფართოვდება, სამყაროს მოიცავს მთლიანად. სად იცვლის სახეს ადამიანის ტანჯვა, როგორ იქცევა იგი ზეიმად...

დედამაც კი, თუმცა სანახევროდაც ვერ გაიგო რას ეხებოდა ნათქვამი, იცოდა, აქ ვერავინ მიეხმარებოდა შვილს, აქ მიხმარება შეუძლებელი იყო. თუ აქამდე მოხვედი, მერე მარტომ უნდა გააგრძელო გზა.

— მე აქ ველარ დაგეხმარები. იქ, სადაც შენ დგახარ, ყველა მარტოა, მეც, — ყრუდ გაისმა „მაესტროს“ ხმა.

იცოდა პროფესორმა, რა ძნელი იყო გზა მარადიულის ძიებისა და რა წამიერი, ეფემერული, მასთან შეყრის ჟამი. რამდენ ფიზიკურ და სულიერ ძალას მოითხოვდა იგი და რა უცებ გამოგეცლებოდა ხელიდან, თითქოს არც არსებულიყოს არასდროს. სამაგიეროდ იმ ერთ წამში როგორ სცლიდა ადამიანს, ათავისუფლებდა, ასვენებდა, უბრუნებდა ძალას, საკუთარ შესაძლებლობებში არწმუნებდა, აცისკროვნებდა, ახალ ძიებათა გზებზე აყენებდა, ბიძგს აძლევდა...

თავის სიყმაწვილეს აგონებდა პროფესორს მარიკა. ოღონდ იგი ასეთი მარტოსული არა ყოფილა, მხიარული იყო და ადამიანებთან ურთიერთობა ართობდა. იცოდა, ნიჭით დაეჯილდოებინა ბუნებას და უყვარდა ტრაბახი, თუმცა არად აგდებდა სხვათა და სხვათა აზრს. მაგრამ როდესაც მუსიკასთან პირისპირ

რჩებოდა, სადღაც იკარგებოდა მისი თავდაჯერებულობა და ეჭვით ევსებოდა გონი. თუნდაც სულ უმნიშვნელო წარუმატებლობაც კი აბნევდა, საკუთარი ნიჭის მიმართ უნდობელსა და ურწმუნოს ხდიდა. იმასაც კი გაიფიქრებდა ნირწამხდარი, ყველა მისი ნაცნობ-მეგობარი მასზე ნიჭიერი და ძლიერი რომ იყო. ისა სჯობდა სათოფეზე არ გაჰკარებოდა როიალს.

რა ადვილია ნიჭით აღბეჭდილი სულის დარღვევა, ბრიყვებს კი, ალბათ, თავიანთი სიბეცე აძლევთ იმ ძალას, ერთხელ არჩეული გზიდან რომ ვერ გადააყენებთ ვერასგზით.

წარუმატებლობა კი ბევრი იყო, უმნიშვნელოცა და მნიშვნელოვანიც.

მარიკა...

ამგვარ ნიჭს ბედისწერა უნდა ერქვასო, — ფიქრობდა პროფესორი.

უყვარდა მოსწავლის თვალთვალი, როცა გოგო როიალს მიუჯდებოდა, მასწავლებლის მოლოდინში სკამს ოდნავ გააცურებდა უკან, როიალს დააცილებდა.

სიკეკლუცე ნამდვილად აკლდა. არც ჩაცმას აქცევდა ყურადღებას. ერთხელ სიცილით უთხრა პედაგოგმა:

— შენ ისევ ამ კაბით გამომეცხადე? ვერა ხედავ, აცივდა.

— შევეჩვიე, — უხალისოდ გასცა პასუხი და მომდევნო გაკვეთილზე იმავე კაბით მობრძანდა. სხვა გამოიცვლიდა უთუოდ.

თავის თანატოლებს არაფრით ჰგავდა და დროის გარეთ დარჩენილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იქნებ ეს მოსწონდა ყველაზე მეტად მამაკაცს, ან ის, ყოველთვის მოუხეშავი, მაგრამ ბუნებრივი რომ იყო გოგოს მოძრაობა. არ ახსოვდა, როდისმე ძალა დაეტანებინოს საკუთარი სხეულისათვის, ლამაზი, ქალური მიმოხვრისათვის ხარკი გადაეხადოს. სხვა სტუდენტები ხომ ეპრანჭებოდნენ, მარტო გოგონები კი არა, ვაჟებიც — ორიგინალობდნენ, მახვილსიტყვაობდნენ. ვერც გაამტყუნებდი მათ, უნდოდათ კარგი შთაბეჭდილება მოეხდინათ პედაგოგზე. მარიკა კი იმდენად ჩვეულებრივი იყო, იქნებ ყურადღებაც არავის მიექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მიხვდა, თავად გასჩენოდა გოგოს წინაშე თავის მოწონების სურვილი.

ლამის არის მე დამაწყებინოს მანჭვა-გრეხა, — გამოუტყდა თავს. გაიცინა.

როგორ არა ჰგავდა მარიკა იმ სტუდენტს, ამ ცამეტი წლის წინ რომ შემოუღო კაბინეტის კარი და მერე, არც გასჭირვებია, ისე დარჩა ამ სახლში. ის სულ სხვა იყო, ლამაზი და ტანადი, ჩამოქნილ ფეხებზე შემდგარი, შველივით დაცქვეტილი, ქალური სიკეკლუცითა და ალღოთი სავსე, უპასუხოდ რომ არ ტოვებდა პედაგოგისა და მამაკაცის არც ერთ გამოხედვას, არც ერთ, თუნდაც უმნიშვნელო მოძრაობას. როგორი ხელები ჰქონდა, ნაზი და თბილი, გლუვი, მკრქალი კანით ზღვარდადებული, როგორი სიარული იცოდა, თითქოს მიცურავდა, ტანი არ შეერხეოდა ოდნავ. ცამეტი წელი გავიდა, რაც ის ქალი მისი მეუღლეა და ისევ ისეთია, თითქოს არც ერთი დღე არ მომატებია. მხოლოდ ამაყი და თავის თავში დარწმუნებული სახე გაუხდა. გაუღიმებდა ქმარს და თითქოს ეუბნებოდა, — შემიძლია გავაკეთო, შემიძლია არა... წლებს რაღაც მაინც უნდა მიემატებინა მისთვის, შეეცვალა. მარტო ქალობა, მახვილივით რომ იცოდა მოქნევა მისი, აღარ იყო საკმარისი. იაფფასიანი ეჩვენებოდა ცოლი.

მარიკას ხეშეშ ხელებს კი, შესაძლოა, მამაკაცის ხელი ჯერაც არ მიკარებოდა. მძიმედ და ნელა დააბიჯებდა, თითქოს ტვირთს დაათრევდა, მხრებზე უხერხულად მოგდებულს...

არა და, რა ადვილი იქნებოდა ცოლის თავიდან მოცილება, თუნდაც იმ მიზეზით, შვილი რომ არ ეძლეოდა და არა...

ქალი კი ალბათ ფიქრობდა, ასე ცხოვრება რომ უკეთესი იყო. ლამაზი, მკვრივი მკერდისა და ახალგაზრდულად აზიდული, ვიწრო თეძოების შენარჩუ-

ნება არც ისე იაფად ღირებული საქმეა, როგორც ზოგიერთ ტლუს ჰგონია.

ვერაფერს გრძნობდა ცოლი, ალბათ იმიტომ,-ამ ცამეტი წლის მანძილზე არაფერი საეჭვო რამ არ შეუმჩნევია ქმრისათვის, თუმცა მშვენიერი შესახედაობის გოგონები ეხვია გარს.

და ფიქრობდა კაცი, მარიკასთან ვერასოდეს ვერ იქნებოდა იმაზე ახლოს, ვიდრე იყო, თუმცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ჯან-ღონითა და სურვილით ალსავსეს, ყველაფრის თავიდან დაწყების ძალა ერჩოდა.

იცოდა კაცმა, სხვა მღელვარებით იყო სავსე მარიკა. მას არ აინტერესებდა არაფერი მუსიკის გარდა, რომელიც მის ნედლ სულს მარადიულის ძიებით ჰკვებავდა კიდეც და არცა ჰკვებავდა. მოსწავლე არ აქცევდა ყურადღებას არაფერს ყოველდღიურს, მას არარეალურად თვლიდა და რეალურს მხოლოდ ამქვეყნიურის მიღმა ეძებდა. თვითონაც ამ გზებით უვლია, თვითონაც იქ უძებნია დასაყრდენი. მერე ჩაწვდა სიმართლეს. თურმე კაცის მიწიერი ცხოვრება აყალიბებდა იმ სამყაროს, საითკენაც მიისწრაფვოდა ასეთი თავგამეტებით, აყალიბებდა თავისი შფოთითა და ბორგვით, თავისი არსებობის არამყარობით, იმ ყოველდღიურობით, ზვიადად რომ დასცქეროდა იგი ზევიდან, არაფრად აგდებდა, აყალიბებდა თავისი შეუჩერებელი ცვალებადობით, იმ წინააღმდეგობათა ერთმანეთისაკენ ლტოლვით, მერე ერთიმეორეში რომ ილვრებოდნენ და თუმცა ერთმანეთს არარად ქცევას უქადდნენ, მაინც აპირობებდნენ, ჰქმნიდნენ ერთმანეთს. სიმართლე კი ცხოვრების ამ ურთულეს შკალაზე მოძრაობდა და ყოველთვის ახლიდან მისაგნები იყო...

ვერაფერს ამას ვერ ეტყოდა მასწავლებელი მოსწავლეს, ამის სწავლება არ შეიძლებოდა, ყველაფერი ეს გოგოს ყოველდღიურობას უნდა ეშვა.

რა მშვენიერი იქნებოდა იგი მაშინ, როცა მისი ბუნებრივობა სრულყოფას მიაღწევდა...

სახლში დაბრუნებისთანავე სიცხე გაუზომეს მარიკას. აეწია, ოცდაცხრამეტს მიახლოვებოდა ვერცხლისწყლის სვეტი. მერე მთელი კვირა იავადმყოფა.

კვირის ბოლოს თინამ მოინახულა უკვე გამოჯანსაღებული ამხანაგი.

ნინიკოც დაბრუნდა შინ და შემოსვლისთანავე დაიწყო ლაპარაკი.

— წარმოგიდგენიათ? ამას ვიფიქრებდი?, — მერე ალარავის დაუცადა ეკითხა, რა მოხდაო, — თურმე ოცდაათ-ოცდაათ მანეთს უმატებდა ყველაფერს.

— რა ოცდაათ-ოცდაათ მანეთს. — თავისი ოთახიდან გამოვიდა ძმა.

— სახლში ხარ? — გაუკვირდა ნინიკოს.

— ზოგჯერ ესეც ხდება.

— ნათელას არ მოჰქონდა ჩემთან რალაც-რალაცეები? ბოლოს ხომ ფეხსაცმელი მოიტანა, მეტალისქუსლიანი, — მერე მოაგონდა ზედ რომ ეცვა, გაიხადა, ხელში შეატრიალა.

— ეეს?

— აბა... იმ კაბებისათვისაც წაუმატებია, ამას წინ რომ ვიყიდეთ მე და მარიკამ. ჩემი ხომ ნათელასვე ვაჩუქე, მე ხომ მარიკასას ვხმარობ.

— როგორ გაიგე, — იკითხა მარიკამ.

— ლამარამ მითხრა, ძალიან ლამაზი ფეხსაცმელია და რა იაფად იყიდეო. ძალიან იაფად-მეთქი... რას ამბობ, მე და ნათელამ ერთად წამოვილეთ ეგენი, ნათელას თავისთვის უნდოდა, სამოც მანეთს სთხოვდაო. მე კი ჯერ ასი მითხრა, მერე, თუმანს დავაკლებინებო, მადლობაც კი მათქმევინა. — გაიცინა ნინიკომ.

— ფულს შოულობს ხალხი...

— კიდევ კარგი, რომ მამათქვენი შინ არ არის.

— მერე სხვების ფასებიც გავიკითხე. ყველაფერი ნათელას არ მოჰქონდა? მოკლედ, კარგი შემოსავლის წყარო ვუშოვნივარ.

— რა გაცინებს, მერე, — ბრაზობდა ძმა.

— აბა, ჯავრს მოვაკვლევინო თავი?

ღმერთმა მომცეს და მაგნაირ მათხოვრებს კიდევაც მოვატყუებინებ თავს.

— ხედავთ?

— ამ სისულელეებს ის გერჩივნა გემეცადინა ნორმალურად.

— რა გინდათ, ხალხნო. გასული წლის გამოცდა ხომ ჩავაბარე. კიდევაც ჩავაბარებ. მეტი რა ვქნა.

— სად არის მამაჩემი, — ინატრა ვახტანგმა, — ერთი კარგი ლათინურის ჩახუჭუჭება რა მადლი იქნებოდა...

მარიკა ჯერ დას უყურებდა, მერე, რატომღაც, თინასკენ გაიხედა. თინა მაგიდასთან იჯდა და ისიც ნინიკოს მიჩერებოდა. მარიკა მთელი ტანით უნდა მიტრიალებულიყო ამხანაგისაკენ, მისი სახე რომ დაენახა. ექვსი თუ შვიდი დღის წოლას ისე მოეთენთა, საწოლში გვერდის შეცვლაც კი ეზარებოდა, მაინც წამოიწია და მიტრიალდა, თითქოს ვიღაცამ აიძულა.

თინა იღიმებოდა მისთვის ჩვეული წყნარი ღიმილით. გაურკვევლობა ეწერა ღიმილს, თითქოს ჯერაც ვერ გაეგო რაზე ხარხარებდა ნინიკო.

არა, არაფრით არა ჰგავდა ეს გოგო იანინას.

იანინას მწითური, მხრებზე ჩამოშლილი თმა ჰქონდა და შეჭორფლილი სახე. მხიარული, ჭროლა თვალები თითქოს უცეკვავდა, ოდნავ ამობურცული ზედა ტუჩის კუთხეები ზევით ეპრიხებოდა და ღიმილით უვსებდა სახეს. ხმამაღალი ლაპარაკი იცოდა, ერთ ადგილზე ვერ დასვამდი, ისეთი მოუსვენარი, ანცი ბუნებისა იყო.

თინას კი შავგვრემანი სახე და მოკლედ შეჭრილი ხშირი, უხეში თმა ჰქონდა. ისეთი სიწყნარე ედგა სახეზე, თითქოს განძრევაც კი ეზარებოდა. გაიღიმებდა და ღიმილი კიდევ უფრო მატებდა სიწყნარეს.

— ზარმაცია ეს გოგოო, —რამდენჯერ უფიქრია მარიკას.

და მაინც იანინა მოაგონდა, იანინა, იქ, კუნძულზე, მაისში, ერთ-ერთი საგამოცდო დღის ბოლოს რომ წამოეწია კიბეზე.

— როგორ მოგეწონა ჩემი ბავშვები, — ჰკითხა.

მარიკამ მხრები აიჩეჩა. ბავშვები მოსეწონა, კარგად უკრავდნენ, მაგრამ არ იცოდა რა ეპასუხა. ბოლო ხანებში დატრიალებული აურ-ზაურის გამო, რომლის მიზეზად ყველა და მათ შორის მარიკაც, იანინას, მხოლოდ და მხოლოდ იანინას თვლიდა, არავინ ცემდა ხმას გოგოს, ზიზღით უყურებდნენ და სრულიად არა თვლიდნენ უხერხულად მისი ყურისათვის მისაწვდომად ჩაელაპარაკათ რაიმე შეურაცხმყოფელი. მეტიც, ვაჟკაცობად მიაჩნდათ ეს.

— იქნებ მომავალ წელს აქ სულაც არ იყო, მაგრამ თუ დარჩი, გთხოვ, რა არ ხდება ამ ქვეყნად...ჩემი ბავშვები შენ აიყვანე...

მარიკას პასუხის ღირსადაც არ ჩაუგდია იანინა. ერთი კი შეავლო თვალი და კიბეზე დაეშვა.

— ტუტუცი, — გაიფიქრა მაშინ, — ალბათ გაქცევას აპირებს. ეხლა კი არა, მაშინ უნდა გაქცეულიყო, როცა გამოაშკარავდა მაგისი კარგი ქალობა. ალბათ ეგონა, გადავივიწყებდით...

თვალწინ დაუდგა იანინა, დარდისაგან ჩამქრალი, გაშტერებული თვალებით, გაფერმკრთალებული, მჭკნარი სახით, განსაკუთრებული სიცხადით რომ დამჩნეოდა ჭორფლი, ზევითაპრეხილკიდეებიანი ტუჩებით, ისევ რომ იღიმებოდნენ, მაგრამ ეს ღიმილი ძველ ღიმილს აღარა გავდა, წყნარი იყო, ყრუ ტკივილით სავსე...

და ახლა, ამდენი წლის მერე მიხვდა მარიკა, რატომ ადრევე არ გაიქცა იანინა, რატომ აიტანა ამდენი სიმწარე, მოსწავლეები შეეცოდა, ვერ მიატოვა გამოცდების წინ.

— უაზრობა იყო ყველაფერი, ვითომ რა მოხდა ისეთი, — გაიფიქრა და რატომღაც, იანინა მოენატრა, — სად არის ეხლა, ნეტა...

თინას დააკვირდა, ეცადა ღიმილის გარდა სხვა მსგავსებაც აღმოეჩინა და ვერ შეძლო.

შეეწყვიტა ღიმილი ამხანაგს, თით-

ქოს ეგრძნო ვიღაც უთვალთვალებდა, რაღაც საიდუმლოს გამოძალვა სურდა. შეეწყვიტა ღიმილი და იანინას სახის ნათებაც ჩამქრალიყო, ვითომ არც ყოფილიყოს არასდროს.

— რომელი საათია, — წამოიძახა უცებ.

— რა მნიშვნელობა აქვს, — ნინიკო ისევ იცინოდა და სიცილითვე შეეპასუხა დას. — შენ მაინც უნდა იწვე.

— რვა. — უპასუხა თინამ.

— რვა. — გაიმეორა მარიკამ. — ხვალ ავდგები.

— დაწყნარდი, ადგები, — აგრძელებდა და, — ოჯახში ერთი ბუზონი გვყავს, მეორე ეიფელი, მარტო მე ვარ სალახანა და გამფლანგველი, — უხსნიდა თინას.

ყველამ გაიცინა.

არასოდეს დაავიწყდება მარიკას, როგორ აჰყვა საერთო სიცილს თინა, როგორ ჩნდებოდა და იკარგებოდა იანინას სახე, თითქოს ანთებდნენ და აქრობდნენ ასანთს.

მეორე დღეს, დილით, კონსერვატორიაში არ წასულა, სასწავლებელში მიირბინა და მდივან ქალს დაადგა თავზე.

— იანინა გახსოვთ?

— ერთად არ წახვედით იქ? რა მიგარბენინებდათ. ნეტა.

— მისამართი მინდა.

— იანინასი? — გაიკვირვა ქალმა, — საიდან მოგიტანო.

— სადღაც ხომ უნდა იყოს აღნიშნული.

— ქალაღდებში ქექვა მაკლია მე? — მერე დაფიქრდა. — ვისთან დაამთავრა, აღარ გახსოვს?

— არც მცოდნია არასდროს.

— სასწავლო ნაწილს ეცოდინება.

— აქ არის?

— შედი. ჰკითხე.

— თქვენ ჰკითხეთ. თქვენი ჭირიმე.

ქალმა ზლაზვნით წამოსწია თავისი გასქელებული სხეული სკამიდან.

— ისე როგორ დაკარგეთ ერთმანეთი... — ჰკითხა მამაკაცმა, რომელიც იქვე ტრიალებდა.

მარიკა დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო. შემობრუნდა მდივანი ქალი.

— ინგა მიხაილოვნასთან დაუმთავრებია.

— ვინაა ინგა მიხაილოვნა.

— მიანსაროვა. დაურეკე და გეტყვის.

— თქვენ დაურეკეთ, თქვენი ჭირიმე.

— დედა, — გაეცინა ქალს, — ეგ როგორი გამხდარხარ.

ტელეფონის ნომერი მოძებნა და დარეკა. მისამართი თაბახის ფურცელზე ჩაიწერა, ყურმილი დაკიდა, ქაღალდი ოთხად გადაკეცა და ღიმილით გადასცა მარიკას.

სასწავლებლიდან გამოვიდა და მხოლოდ მაშინ დახედა მისამართს.

რამდენიმე სიტყვამ, გაკრული ხელით რომ ეწერა ყვითელ ქაღალდზე, ხელის ერთი მოსმით გადაუგორა გულიდან დროის ის უშველებელი ლოდი, რომლის ქვეშაც განისვენებდა ხსოვნა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით დარჩენილი საკუთარი ცხოვრების თერთმეტი თვისა.

რა ახლოს ყოფილა კუნძული, სულ რაღაც ათიოდე წუთის სავალზე...

არ ახსოვს როგორ აღმოჩნდა ქალაქის ძველი უბნის ერთ ვიწრო, ხმაურიან ეზოში.

— იანინა? ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინ გაემგზავრა სადღაც, მგონი განაწილებით... მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა თუ არა... მერე აღარ გამოჩენილა.

— ბებია?

— გარდაიცვალა ამ ორი წლის წინ.

— დასაფლავებაზე არ ჩამოსულა?

— არა.

— მშობლები?

— იცით, ბებიას ოთახი მე მომაკუთვნა აღმასკომმა. არსებობს ასეთი კანონი... ჩემი რა ბრალია, ოთხი სული ვცხოვრობდით ათ კვადრატულში. იანინა ხომ მაშინვე ამოწერეს, ოთახი გათავისუფლდა... მოკლედ, დაგვლანძღეს, დაგვთათხეს... როგორც ხდება ხოლმე, — არეულად ლაპარაკობდა ახალგაზრ-

და ქალი და სველ ხელებს ჰრელ წინსაფარზე იმშრალებდა.

—დედამისის მისამართი?

— არ ვიცი. ეზოში არავინ არ იცის. სანამ მეორედ გათხოვდებოდა, აქა ცხოვრობდა, გადაჰამა მთელი ეზო, ამიტომ... იანინა კი, ნამდვილად ვიცი, აღარ გამოჩენილა. გათხოვდა ალბათ იქ. სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა.

— ძაღლი? — იმ წუთში მარიკას ძაღლის ბედიც არანაკლებ აინტერესებდა. ძაღლიც ხომ იანინასთან იყო დაკავშირებული.

— კი, ჰყავდათ. ბებია რომ მოკვდა, მერე მგონი მანქანამ გაიტანა, ჩვენ არ მოგვეკარა, იანინას დედამაც არ წაიყვანა, ძაღლი-ღა მაკლია. მეტი არაფერიო. მანქანამ გაიტანა, კი. შოკოლადისფერი იყო, პატარა. თქვენ ვინა ბრძანდებით.

მარიკა დაფიქრდა.

— არავინ.

ქუჩაში გამოვიდა და შედგა. უცებ ვერ მოიაზრა საით უნდა წასულიყო. ისევ ეზოს ჰიშკარს მიეყრდნო.

უცნაური მარტოობა იგრძნო. უსაშველო სევდით აევსო გული. თითქოს არც თავშესაფარი ჰქონდა, არც ჰყავდა ვინმე, დახმარების ხელი რომ გაეწოდა. და იდგა ასე, უსავანო და უძლური ამ მიწასა და ცას შორის, არც არსაიდან მოსული და არც არსაითკენ მიმავალი, იდგა და უსმენდა სიჩუმეს, დაუსრულებელს, დაურღვეველს...

3.

ხშირად ხდება, ერთხელ წაკითხულ წიგნს ისევ და ისევ უბრუნდება ადამიანი და რაც უფრო ემატება წლები, გამოცდილება და სიბრძნე, მით უფრო ულრმავდება მას, აღმოაჩენს მასში რაღაც ისეთს, რაზეც ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა.

ვინ იტყვის იმას, თითოეული ჩვენთაგანის წარსული ასეთი წიგნი არ არისო, ვის ეყოფა თავხედობა, განაცხადოს, ქს წიგნი მთელი სიგრძე-სიგანითა მაქვს შესწავლილი და ვერაფერს აღმოაჩენთ იქ ისეთს, ერთ მშვენიერ დღეს გამაოცოს, დამაფიქროს ან შემაშფოთოსო.

ბიბლიოთეკა

წარსულის გახსენება იმით იყო სახიფათო მარიკასათვის, მუდამ სისხლის პირველ აფეთქებას რომ დასტრიალებდა თავს და სევდით ავსებდა. დანარჩენს, ყველაფერს, მხოლოდ მტვრად მიიჩნევდა, ყოველდღიური საზრუნავიდან ადენილ მტვრად, კუნძულიდან წამოსვლის მერე ისე საფუძვლიანად რომ გადაიწმინდა და გადაიფერთხა, ველარაფერი ამოშლიდა მას, ველარაფერი აბორიალებდა.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მაინც ამოიშალა, მაინც აბორიალდა. ისე ამოიშალა და აბორიალდა, არც ერთი მარცვალი არ დაუკლია, არ შთაუნთქავს დროის იმ უსასრულო დინებას, მისი ქარისათვის გატანებაც რომ სურდა სხვა მრავალ და მრავალ ქარს გასატანებელთა გვარად.

თითქოს ვილაცას საგულდაგულოდ მოეხვეტა, შეეგროვებინა ის მტვერი, მარიკას სულის ყველაზე ბნელ, ყველაზე ძნელად ჩასაღწევ ხვეულებში საგულდაგულოდ გადაეჩქმალა.

კიდევ კარგი, ჩააღწია, კიდევ კარგი, შეიცნო, მაგრამ შეიცნო კი?

ისეთი იდუმალებით მოსავდა ის ყოველდღიური, თითქოს ყველასათვის ცხადზე უცხადესი მოვლენები თავის არსსა და დანიშნულებას, ბოლომდე გარკვევა იქნებ შეუძლებელიც იყო.

და ყველა ის სახე და ხასიათი, ყველაფერი, რაც კუნძულზე ენახა და განეცადა, მასში ახლიდან ჩაისახა, ახლიდან დაიწყო ელერა, ახლიდან შეუდგა ერთხელ უკვე განვლილ გზას და მარიკა დაჰყვა მათ ნებას, თითქოს ისინი მისი სულისა და სხეულის ნაწილები იყვნენ.

როზა...

პატარა, ჩუმი ნაბიჯებით იცოდა სიარული, მოცეკვავის სიმსუბუქითა და სინარნარით. საკუთარ სახლშიც კი და ალბათ მაშინაც, მარტო რომ იყო, ისე

უხმაუროდ სრიალებდა, ოთახში ყოველთვის რიგიანად მილაგებულ და დასუფთავებულ ნივთებსაც კი არ ესმოდათ მისი იქ ყოფნა, არასულიერ საგანთა შეწუხებასაც ერიდებოდა თითქოს.

პატარა, ლამაზი ტერფები ჰქონდა და თუმცა ტანსაცმლისათვის მაინცადამაინც არ იწუხებდა თავს, იქნებ ამისათვის ფულიც არა ჰყოფნიდა, ფეხსაცმელი ყოველთვის ლამაზი და კარგად მორგებული ეცვა, იმდენად ლამაზი და კარგად მორგებული, კაცს სიამოვნებდა მათი ცქერა.

საუბრის დროს გულხელის დაკრეფა უყვარდა. თითებს ისე სათუთად შემოილაგებდა ორივე ძუძუზე, თითქოს საკუთარ სხეულს ეფერებოდა. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით იცოდა ლაპარაკი და როცა ალაპარაკდებოდა, სიჩუმე ისადგურებდა ირგვლივ. თან ილიმებოდა; მსხვილი, ამობურცული და ჩაშავებული წინა კბილები ჰქონდა. ამიტომ არ უყვარდა სიცილი, მხოლოდ ილიმებოდა, თან ცდილობდა ბაგე არ მოეცილებინა კბილებისათვის და თუ ადრე აღიზიანებდა მარიკას ეს, ეჩვენებოდა, ისედაც ულამაზო სახეს უფრო რომ იმახინჯებდა ქალი, მერე შეეჩვია და ველარ ამჩნევდა.

სახით კი მართლა ულაზათო იყო.

წყალ-წყალა, ახლო-ახლო და ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა. ბაცი, მეჩხერი წამწამების შავად შეღებვა იცოდა და ეს ხაზს უსვამდა თვალების ფორმას, მრგვალსა და პატარას. უპეებჩავარდნილი და მაღალყვრიმალებიანი ლოყები ყბებისაკენ ორი ღრმა ნაოჭით ეშვებოდა, უკანა კბილები თუ აკლდა, და კუნთიანი სახის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გრძელი, ხორციანი ცხვირი ჰქონდა. ზედა ტუჩი სწორი ხაზივით გასდევდა ცხვირზე არანაკლებ ხორციან ქვედა ტუჩს, რომლის სიმძიმის შეკავება თითქოს უჭირდა ნიკაპს, ისე იყო ჩაზნექილი.

წარბები სრულიადაც არ ჰქონდა ხშირი, მაგრამ მაინც იწიწკნიდა, ალბათ რაიმე ფორმის მიცემა უნდოდა მათთვის, მაგრამ ვერ ახერხებდა. ამ თხელი, ბუწუწა ღინღლის დამორჩილება არც ისე ადვილი იყო.

დიდი, მისი სახისათვის შეუფერებლად დიდი შუბლი ჰქონდა, რამდენიმე ღრმა ნაოჭით დაჩეხილი. ამ შუბლის დაფარვა იცოდა წითლად შეღებილი თმით.

მხრებზე ჩამოშლილი, კიბე-კიბედ აჭრილი თმის დახვევა იცოდა. სასაცილო და გულისამაჩუყებელიც კი იყო იგი მაშინ, რომელიღაც ჭრელი ნაჭრის ნაკუწებით რომ აიხვევდა თმას და მისი პატარა, კეფასთან შეპრტყელებული თავი აყვავებულ ბუჩქს დაემგვანებოდა მაშინვე. თმას იბულულებდა თხემსა და კეფასთან, ოდნავ მაინც რომ დაეფარა ულამაზო თავის ფორმა.

როცა პირდაპირ უყურებდა მარიკა ამ სახეს, ეცოდებოდა როზა, იმიტომ კი არა, ულაზათო სახე რომ ჰქონდა, ამ სახეს იგი მალე შეეჩვია, არა, რაღანაირი, კეთილი და საბრალო გამომეტყველება ჰქონდა მის თვალებს. პროფილიდან კი, როცა ქალის მზერა სხვა მხარეს იყო მიმართული, მარიკას ეს სახე მკაცრი და შეუბრალებელი ეჩვენებოდა.

ორმოცდაათს გადაცილებული იყო. ასაკის დაფარვას არა ცდილობდა, მაგრამ არც ხაზგასმა უყვარდა მისი. გარდერობის განახლებისათვის მაინცადამაინც არ იხარჯებოდა, მაგრამ თუ კი შეიძენდა რამეს, აუცილებლად ჭრელს. ალბათ ფიქრობდა ჭრელი სახესაც გამოუცოცხლებდა და ახალგაზრდულ იერსაც შემატებდა ერთდროულად.

გალამაზებას ცდილობდა, მაგრამ თავისი შეუხედაობის აღნიშვნა მაინც იცოდა.

— როგორ მინდოდა ლამაზი ვყოფილიყავი, — იტყოდა გულწრფელი სინანულით, — ადამიანის სილამაზის ჩემნაირი თაყვანისმცემელი არ მეგულება არსად და სწორედ მე რატომ უნდა გავჩენილიყავი ასეთი, — თან ისე გაილი-

მებდა, თითქოს ეს სურვილი ახალგაზრდობასთან ერთად წარსულისათვის ჩაებარებინა უკვე.

ეს სიტყვები მსმენელში უხერხულობას ბადებდა და ამ უხერხულობის დასაფარად არა ერთსა და ორს უთქვამს:

— რას ამბობ, შეიძლება ულამაზესი არა ხარ, მაგრამ მეტად სანდომიანი სახე გაქვსო.

ძნელი სათქმელია, რამდენად უყვარდა ქალაქს როზა, მაგრამ მისადმი ნდობით რომ იყო გამსჭვალული, ეს აშკარა იყო. საღამო ისე არ ჩაივლიდა, ვინმეს არ შეეღო მისი სახლის კარი, არ მიჯდომოდა პატარა, ფეხმორყეულ მაგიდას, სამზარეულოს ფანჯარასთან რომ მიედგა პატრონს და ქაფქაფა ჩაის ხვრეპაში არ ჩამოემარცვლა თავისი სატკივარი, არ მოეოხებინა გული ჩივილითა და ოხვრით.

დამშვიდებას ელოდნენ მისგან და დასამშვიდებლად ზოგჯერ ისიც საკმარისია, ვინმე რომ მოგისმენს, მოგისმენს ყურადღებითა და თანაგრძნობით, მოგისმენს ბოლომდე, არ შეგაწყვეტინებს სიტყვას, ფანჯრიდან ქუჩაში მოსიარულეთა თვალ-თვალს არ დაიწყებს, ან კიდევ უარესი, რეპროდუქტორს არ აუწევს ხმას, ეხლა, მგონი, საესტრადო კონცერტი იწყებაო.

ათი წელი სრულდებოდა, რაც კუნძულზე ცხოვრობდა როზა და ამ ათი წლის განმავლობაში არავინ წამოსულა მისგან გულნატკენი, ისეთი გულწრფელი სახით იცოდა ადამიანის მოსმენა, ისეთი სიტყვების შერჩევა შეეძლო აღელვებული კაცის დასამშვიდებლად და არა მარტო დასამშვიდებლად, გასამხიარულებლადაც კი, ამას მხოლოდ აღფრთოვანება შეეძლო გამოეწვია. ჩანდა, კარგად იცნობდა ადამიანს, იცოდა მასთან ურთიერთობის მეტნაკლებად სწორი გზის შერჩევა, მშვენივრად იყენებდა ამ ცოდნას და უშუალობის ბეწვის ხიდზე საკმაოდ მყარად გრძნობდა თავს.

მძიმე ცხოვრებით უცხოვრია, ბევრი ტანჯვა უნახავს, კეთილი ბუნებისაა და ღალატი არ იცის, არც არასოდეს ცოდნიაო, — ამბობდნენ მასზე. ეს კი ბ... ნიშნავდა, ძალიან ბევრსაც. ... არ ჩასაფრებია თავისი ცხო... ნდაც ბედნიერებით აღსავსე გზაზე გამყიდველი კაცის მოშაკედინებელი ენა.

ხოლო ძნელი ცხოვრებით რომ უცხოვრია როზას, ამის შესახებ კარგად იცოდა ყველამ. მან, შესაძლოა, სწორედ თავისი ცხოვრების გულწრფელი ჩამოკაკვლით დაიწყო ურთიერთობა ქალაქთან, არაფერი დაფარა, ან თუ დაფარა, ისე, რომ არავის შეპარვია ეჭვი. შესაძლოა, არც არაფერი დაუფარავს, რადგან თუ რაიმეს დაფარვა ეწადა, უპირველესად თავისი წარმოშობის შეურაცხმყოფელი ისტორია უნდა დაეფარა, მან კი, პირიქით, სწორედ აქედან დააწყებინა საკუთარი თავის გაცნობა სხვას.

გოგონებთანაც აქედან დაიწყო.

დედას, სიყვარულზე გადაგებულ ქალს, რომელსაც რომელიმე ერთი კი არა, საერთოდ მამაკაცი უყვარდა, თავისი მღელვარე ახალგაზრდობის მოსაგონრად „როზა“ შეერქმია შვილისათვის, ყვავილის სახელწოდებაზე უკეთესად რა უნდა მისადაგებოდა სიყვარულის ნაყოფს...

გოგონებს ეხამუშათ გადაჭარბებული, შესაძლოა ბრიყვული სიალალით მონათხრობის მოსმენა, მაგრამ ხომ იყვნენ ისეთებიც, ასეთ ნდობას საკუთარ სატკივარზე რამდენიმე უხერხულად მოსასმენი ფრაზით რომ უპასუხებდნენ და ახლად გაცნობილს უახლოეს მეგობრად მიიჩნევდნენ.

ამას პირველი სიყვარულის უიღბლობა მოჰყვა.

ლამაზი იყო ის ბიჭი. თუმცა ტანადობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჩაფსკვნილი, ღონიერი ტანი ჰქონდა. იცოდა თავისი ფასი და სახეზე კმაყოფილი ღიმილი დათამაშებდა. გოგონები ეხვივნენ თავს და ისიც, რა ენაღვლებოდა, ხან ერთთან ატარებდა საღამოს, ხან მეორესთან. ბოლოს ისე გათამამდა, დამცინავი სიტყვების მეტი აღარაფერი ამოსდიოდა პირიდან. სწორედ მაშინ

გაიცნო როზამ იგი, გაიცნო და შეუყვარდა. ბიჭი შვიდი თუ რვა წლით იქნებოდა როზაზე პატარა, ქალს იმ ხანებში შესრულებოდა ოცდარვა წელი, მაგრამ სიყვარულს რა უნდა მოეკითხოს, მოვა და წყალს გაატანს მთელს შენს ჭკუაგონებას.

ერთი ნაცნობი გოგონას ოჯახს ქალაქგარეთ პატარა აგარაკი ჰქონდა. შენობა კი იყო პატარა, ვიწროაივნიანი პაწაწინა ოთახისაგან შედგებოდა სულ, მაგრამ სახლი ვის რაში ჭირდებოდა, როცა მას ხილის მშვენიერი ბაღი ერტყა გარშემო.

მამაჩემი მიწას კი არ ამუშავებს, ეფერებაო, — იტყოდა ხოლმე ის ნაცნობი გოგონა, იტყოდა სიხარულითა და ამაყად, თან აუცილებლად დაპატიჟებდა ვინმეს, ხილით გამასპინძლებას არ აკმარებდა, სახლშიც გაატანდა, გულუხვი იყო, დაუნანებლად იცოდა გაცემა.

ერთხელ როზაც დაპატიჟა.

ის ყმაწვილიც იქ იყო, თავდაჯერებული და ამაყი, ბალახზე მიწოლილიყო. გარს ისევ გოგონები ეხვივნენ.

მწყურიაო, — თქვა და მასპინძელი გაემართა სტუმრისთვის წყლის მოსატანად. უშველებელი ტოლჩა მოიტანა, ისეთი სიფრთხილით მოჰქონდა, თითქოს ეშინოდა არაფრისთვის წამოეკრა ფეხი. წყალი არ დაელვარა.

ტოლჩაში არ ჩაუხედია ბიჭს, ამისათვის სად ეცალა, თავისი სილამაზის დემონსტრირებით იყო გართული, ისე მოიყუდა და გაშრა. ტოლჩა ცარიელი იყო.

გადაიხარხარა. რა უნდა ექნა, არ შეიმჩნია წყენა.

სხვამ გამოართვა ჭურჭელი, როგორ არა გრცხვენიაო, — შეუტია მასპინძელს. ახლა მეორემ მოუტანა ტოლჩა.

არც მაშინ ჩაიხედა შიგ, შერცხვა უნდობლობის გამოცხადებისა, საკუთარ დამცირებად ჩათვალა ეს.

ჭურჭელი მეორედაც ცარიელი აღმოჩნდა. ისევ გადაიხარხარა და ტოლჩა როზას ესროლა.

როზამ კი ნამდვილად მოუტანა წყალი. ვაჟმა იკადრა და ჯერ შიგ ჩაიხედა.

ამ ამბის მოყოლა აშკარად სიამოვნებდა ქალს. თვალები ისეთი სიხალისით უციმციმებდნენ, მსმენელი უთუოდ გაიფიქრებდა, ამ წუთებში როზა ბედნიერიაო.

ბიჭმა სწორედ ის მასპინძელი გოგონა მოიყვანა ცოლად.

მამაკაცებს ის ქალები მოსწონთ, რომლებიც ატყუებენ და დასცინიანო, — გაიფიქრა მაშინ.

როგორ შეიძლებოდა ახლად შექმნილი ოჯახის მიმართ ბოროტად განწყობილიყო როზა, პირიქით, სულ იმას ცდილობდა სიამტკბილობა შეეტანა შეუღლებული ახალგაზრდების ურთიერთობაში, რომელიც ერთად ცხოვრების პირველივე დღეებიდანვე დაძაბული, ერთმანეთის პატივისცემას მოკლებული იყო. ალბათ ამაში ქმარი უფრო იყო დამნაშავე, ვიდრე ცოლი, რადგან კაცი სულ გარე-გარე დადიოდა და ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა სახლში, ხოლო ქალს თავშეკავების უნარი სრულიად არ აღმოაჩნდა, დღენიადაგ წივილ-კივილი გაჰქონდა და მალე მთელი ქალაქი აალაპარაკა თავის უიღბლობაზე.

მაგრამ ის, რაც მოხდა მათი ქორწინების მესამე წელს, გაფუჭებული ურთიერთობის ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა.

ქმარი, ჩვეულებრივ, დილით დაბრუნდა სახლში, ნასვამი და მოთენთილი. ერთი სული ჰქონდა როდის მიაღწევდა საწოლამდე, ხოლო ცოლმა, არც მეტი და არც ნაკლები, ბავშვის შარდით სავსე ღამის ჭურჭელი გადაამხო ზედ.

სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა იქ როზა, წინა დღეს ეთხოვა მეგობარს, ბავშვისათვის რძე ამომიტანეო.

ის იყო რძე აეტანა და გაქცევას აპირებდა, სამსახურში აგვიანდებოდა, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრა თუ არა, მაშინვე რკინიგზელთა კლუბი ჩააბარეს და ისიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

დაიბნა კაცი. ყველაფერს ელოდა,

ამას კი რა მოაფიქრებდა. თანაც, მოწმეც რომ იქვე იდგა.

ერთი კი გაიწია ცოლის საცემად, მერე განწირული ხმით დაიყვირა, — ეეჰო, — და კარში გავარდა. ისე მიიჯახუნა კარი, კედლებმა ზანზარი დაიწყეს.

— დაანგრიე. შენი აშენებული ხომ არ არის, — დაედევნა ცოლის არანაკლებ განწირული ხმა.

როზა უკან გაჰყვა კაცს, თავს არაფერი აუტეხოსო, შეეშინდა.

სამსახურში აღარ წასულა, მთელი დღე კაცის დამშვიდებას მოანდომა.

იმ ღამეს ქმარი კიდევ ერთხელ აუჯანყდა ცოლს და როზასთან დარჩა.

ეს, რაღა თქმა უნდა, კაცის ძალდატანებით მოხდა.

ასე შეეწირა ქალის პატიოსნება ორი უგუნური ადამიანის უგუნურ ურთიერთობას.

კაცი ოჯახში აღარ დაბრუნებულა, მეორე დღესვე წამოიღო თავისი ტანსაცმელი და მშობლებს შეუსახლდა.

პირველ ხანებში სულ როზასთან იყო, მერე იქიდანაც გადაიკარგა და ათასში ერთხელ თუ შეუღებდა კარს.

გაგდების ღირსი კი იყო, მაგრამ გასაგდებად როგორ გაიმეტებდა. როცა ერთ გადაბრუნებულ სიტყვასაც ვერ ეუბნებოდა, სევდიანი სახითაც ვერ შეხვდებოდა, რადგან სიხარულის მღელვარე ტალღა ისე გადაურეცხავდა მოლოდინის შხამნასვამი დღეების ნალექს, თითქოს არც არსებულიყოს არასდროს.

მერე მეორე ცოლი მოიყვანა და როზას არაფერი დარჩენოდა იმის მეტი, მეორედ შექმნილ ოჯახშიც კეთილმოსურნედ შესულიყო.

მაგრამ, როცა მეორე ცოლსაც გაცილდა, ისევ განაახლა როზასთან მეორედ დაოჯახების წინ გაწყვეტილი ურთიერთობა, არც ახლა დააგვირგვინა იგი ქორწინებით, პირიქით, სადღაც მესამე ცოლიც იპოვა და ქალს მესამედ შექმნილი ოჯახის დამეგობრება ელოდა; ვეღარ აიტანა, მიატოვა მშობლიური ქალაქი და კუნძულზე გამოიქცა.

ძნელი მისახვედრია, რა აიძულებდა როზას ასეთი გულახდილი ყოფილიყო, ერთი კია, ქალაქს ღირსეულად დაფასებინა ამგვარი ნდობა, მის ცხოვრებაში ცუდი ბევრი ვერაფერი დაენახა და თუ დაენახა, ისიც ეგრძნო, როგორი ცხოველმყოფელობით ჟღერდა მასში მონანიების სევდიანი ბგერა, ყველაფრის გამგებ, სანდო ადამიანად ჩაეთვალა იგი და ისეთივე გულწრფელობით ეპასუხა.

იქ, სადაც არაფერი ეგულებათ მიმალულ-მიჩქმალული, ის, რაც არავითარ ეჭვსა და ცნობისმოყვარეობას აღარ იწვევს, ალბათ ნდობას ბადებს.

კუნძულზე კი რაც მოხდა, ყველას თვალწინ მოხდა და ქალაქს ქალის გულახდილობა აღარაფერში ესაჭიროებოდა.

ალეკოს, რომელსაც ქალაქმა „კროცა" შეარქვა, შესახედად თითქოს არა უჭირდა რა, ტანადი იყო, პირისახითაც არავის ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ერთი ცუდი ჩვეულება ჰქონდა. უცხო ადამიანთან გაცნობისას სახელს კი იტყოდა თავისას, მაგრამ გვარს აუცილებლად მოიტყუებდა. ერთი სახელგანთქმული ადამიანის გვარი ჰქონდა ამოჩემებული, იმ გვარით წარსდგებოდა და ისეთი კმაყოფილება ეფინებოდა სახეზე, თითქოს ის გამოჩენილი კაცი მისი მამა ან ბიძა ყოფილიყოს.

ნაცნობთა იმ ვიწრო წრეს, რომელთანაც ახალგაზრდა კაცს სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა და რომლის ყურამდეც პირველმავე ასეთმა შემთხვევამ დაუბრკოლებლივ მიაღწია, ჯერ ხუმრობა ეგონა, ანცი ბუნებისაა და ხალხის გასამხიარულებლად თუ აკეთებსო ამას, გაიფიქრა, თუმცა მთლად ვერ გაიგო რითი შეეძლო ასეთ უკბილობას ხალხის გამხიარულება. მაგრამ ამგვარი „ხუმრობები" უსასრულოდ გაგრძელდა. მის უსასრულოდ გაგრძელებაში ახალგაზრდა კაცს პროფესია უწყობდა ხელს, ჟურნალისტი გახლდათ, განაწილებით ჩამოსულიყო საქალაქო გაზეთში სამოღვაწეოდ და სულ ახალ-ახალ ადამიანებთან უხდებოდა კავში-

რის დამყარება, კიდევ ერთი, თუ ქალი მოეწონებოდა, მას კი თითქმის ყველა ქალი მოსწონდა, აუცილებლად აეკიდებოდა, თუ ბედი გაუღიმებდა და გაცნობას მოახერხებდა, რა თქმა უნდა, გვარს მოატყუებდა და თავისი მიამიტი თუ ბრიყვული ბუნების წყალობით დარწმუნებული იყო, არავის ეპარებოდა ეჭვი, მით უმეტეს, რომ წერილებს ფსევდონიმით ბეჭდავდა.

ამით ორ რამეს მიაღწია ალეკომ, ქალაქმა მეტსახელი შეარქვა და ის რამდენიმე კაცი, ვისთანაც მოეხერხებინა და დაახლოებულიყო, განირიდა.

სწორედ ამ ახალგაზრდა კაცის სიყვარული არგუნა ახლა ბედმა როზას. სხვათა შორის, როზასაც მოატყუა გვარი და ქალმა კარგა ხანს ვერ გაიგო ეს. როცა დაცილდნენ, მაშინ მოკრა ყური და ძალიან ეწყინა, რატომ ადრე არ მითხარითო. ვინ იფიქრებდა, რომ არაფერი იცოდა.

იმ ხანებში მიიღო ქალმა ერთოთახიანი ბინა. მაშინ დამთავრდა ქალაქის გარეუბანში ხუთსართულიანი სახლების მთელი კომპლექსი და როზა, რომელსაც უკვე ოთხი წელი შესრულებოდა, რაც მეთევზეთა კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობდა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი მუსიკალური სკოლა, და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, სავსებით დამსახურებულად შეასახლეს ცალკე ბინაში. ამას იგი დაჯილდოებად თვლიდა და ამაყობდა კიდეც.

ალეკო ქალთან გადასახლდა. საერთო საცხოვრებელში ცხოვრებას, სადაც ყველა ალმაცერად უყურებდა, ისევ როზასთან ცხოვრება ერჩია, მით უმეტეს, რომ არც სისუფთავე აკლდა და არც სმა-ჭამა.

ალეკო თავხედი აღმოჩნდა და ძუნწი.

იმას კიდევ აიტანდა ქალი, მთელ ხელფასს ხელუხლებლად რომ ინახავდა, მანეთსაც არა ხარჯავდა და ჯიბის ფულსაც კი როზას ართმევდა. ძველებურად აგრძელებდა ცხოვრებას, ხან ერთ ქალს აეტორღიალებოდა, ხან მეორეს, ბოლოს როზას მეგობრებსაც შეუჩნდა, ბიბლიოთეკარ ქალს, პატარა, ხორცსავსე და კეკლუც ქალს და იქნებ მიზანსაც მიაღწია, მაშ ერთი ხანობა რატომ უნდა ჩამოვარდნილიყო მეგობრებს შორის გაუგებრობა. ერთმანეთის ნახვა აღარ უნდოდათ, ბოლოს შერიგდნენ.

მაშინ განაცხადა როზამ, განაცხადა ამაყად:

— იმდენად თბილი და ენაწყლიანია ალეკო, ძნელია მედგრად დაუდგე მის შემოტევას, ხოლო ადამიანს გაგებისა და პატიების ნიჭი უნდა ჰქონდეს.

ასე იყო თუ ისე, ერთად ცხოვრობდნენ ალეკო და როზა. ქალის ხელფასი თვიდან თვემდე არ მიყვებოდა ორ ადამიანს, ამიტომ გადაწყვიტა კლუბის გამგემ მუსიკაში კერძო გაკვეთილები ჩაეტარებინა.

მართალია მუსიკისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ნოტები ხომ იცოდა.

მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ვინ მოთვლის რამდენი გაისტუმრა უარით.

მერე კი, როცა ქალაქმა შეძლო და გახსნა მუსიკალური სკოლა, როზა დირექტორის ყველაზე შესაფერ კანდიდატურად მიიჩნია, ჩვენიანია და გულით მოეკიდებაო საქმეს. გამოცდილი ჰყავდათ ქალი, ენერგიული და შრომისმოყვარე იყო.

ერთად ცხოვრების ხუთი წლის თავზე ალეკო ისევ საერთო საცხოვრებელს დაუბრუნდა. როზა ირწმუნებოდა, ჩემი ინიციატივით მოხდაო ეს. კაცს კი იმდენი ვაჟკაცობა აღმოაჩნდა, ქალს რომ უხსენებდნენ, მხოლოდ გაიღიმებდა, ერთი გადაკრული სიტყვაც არ წამოსცდენია მასზე.

მარიკას კარგად ახსოვდა ალეკო. თუმცა არასოდეს აკიდებია გოგოს, ალბათ ერთადერთს მშვენიერი სქესის წარმომადგენელთაგან, არასოდეს გამოუთქვამს სურვილი მარიკასთან დაახლოებისა, მაინც ამრეზილად უყურებდა კაცს. მისი მხრები არ მოსწონდა. თითქოს ნორმალური აღნაგობის სხეული უნდა ჰქონოდა და მაინც მხრებს რალა-

ცა აკლდა, მეტისმეტად დაქანებული თუ იყო, ხელები თითქოს პირდაპირ კისრის მალებზე ეკიდა.

როზას მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულად თვლიდნენ. თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი რომ იყო, ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. სანამ კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობდა, ყოველ შაბათს ისეთ მხიარულ საღამოებს აწყობდა, ისეთი გონებამახვილობით ადგენდა გასართობ პროგრამას, ქალაქის მთელი ახალგაზრდობა სულმოუთქმელად ელოდა იმ დღეს.

ლექსებს წერდა, მერე ახლობლებს უკითხავდა სიყვარულსა და ბუნების მშვენიერებაზე შექმნილ პწკარებს და თუმცა მათში ყველაფერი როდი იყო რიგზე, აზრის გამოტანა ჭირდა გადამეტებული პათეტიკურობით მოგვირისტებული სტროფებიდან და ხშირად არც სასვენი ნიშანი იჯდა თავის ადგილზე, მსმენელს მაინც აღაფრთოვანებდა და რამდენჯერ მომხდარა, მასთან მხოლოდ იმიტომ შეუვლიათ, ლექსები მოესმინათ — ავტორის მიერ ცახცახა ხმით წაკითხული.

ხატვაც უყვარდა. ხშირად ეჭირა ფანქარი ხელში. კლუბში გამოფენილი სტენდები ხომ უკლებლივ მისი გაფორმებული იყო.

ხატვა, ალბათ, უკეთესად იცოდა, ვიდრე მუსიკა, რადგან ამ ორი წლის წინ ქალაქში დონატ ლაბისი, ნამდვილი მხატვარი, გადმოსახლებულიყო და მისგან ესწავლა ზოგი რამ.

მხატვარი თავის ქალიშვილს, ვალენტინას ჩამოჰყვა მატერიკიდან. გოგომ მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა თუ არა, მაშინვე კუნძულისაკენ გამოემართა სამუშაოდ. ეს მხარე თავისთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილად ჩათვალა. კონსერვატორიაში თუ უნდოდა სწავლის გაგრძელება და მოგეხსენებათ, სამუშაო სტაჟს რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისაღები გამოცდების კონკურსში გამარჯვებისათვის. კუნძულზე ერთი ნამუშევარი წელი ორ წლად ითვლებოდა და დროის მოგება თუ გადაეწყვიტა ვალენტინას. მაგრამ რატომღაც აგვიანებდა უკან გამგზავრებას, ოჯახიც უშლიდა ხელს. კუნძულზე ჩამოსვლის პირველსავე წელს გათხოვდა. იგი [illegible] ცოლად, მუსიკის ლიტერატურისა და სოლფეჯიოს მასწავლებელს. შვილიც მაშინვე გაუჩნდათ, ბიჭი ერთი წლისა ჰყავდათ უკვე.

შვილს მამა ჩამოჰყვა, თავისი თვალით უნდა ენახა, როგორ მოეწყობოდა ქალიშვილი, მერე კუნძული მოეწონა და აქ დასახლება გადაწყვიტა. უკანვე გაემგზავრა, ერთ თვეში ისევ კუნძულზე დაბრუნდა, თან რამდენიმე საეტიუდო ყუთი, უამრავი ტილო და მუყაო, ზეთისა და აკვარელის საღებავებით სავსე უთვალავი ყუთი, სანგინი და ნახშირი, ზეთის გამხსნელები, სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ფუნჯები და კიდევ უამრავი სხვა წვრილმანი ჩამოიტანა; ჩამოიტანა სამი სხვადასხვა ზომის მოლბერტი და პირველ ხანებში მეზღვაურთა დასასვენებელ სახლში დასახლდა. ქალაქის მმართველობამ იქ გამოუყო ოთახი, სამოთახიანი ბინის მიცემასაც შეპირდნენ პირველსავე მრავალსართულიან სახლში, რომლის მშენებლობაც დამთავრდებოდა. ეამაყებოდათ მისი ჩამოსახლება. სახელოვანი მხატვარი თუ იყო დონატ ლაბისი.

სწორედ მან აჩუქა როზას აკვარელის საეტიუდო ყუთი, ქალი ზეთის საღებავებით მუშაობისათვისაც მშვენივრად რომ ხმარობდა, საღებავებით აუვსო ხელჩანთა და ზედ რამდენიმე სხვადასხვა ზომის ფუნჯიც დაადო, მერე ტილოს გადაჭიმვა ასწავლა წინასწარ მომზადებულ ჩარჩოზე და დაუგრუნტა კიდეც იგი. ხატვასა და ფერწერაში რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარა, ნატიურმორტები ახატვინა ფანქრითა და ფერით, რამდენიმე სიტყვით კომპოზიციის არსი აუხსნა და მერე პლანერზეც გაიყვანა.

ამასობაში მოვიდა ზამთარი. პლანერზე ხატვა აღარ შეიძლებოდა და როზა ფანჯარას მიუჯდა.

ფანჯრიდან თოვლში გარინდებული ხუთსართულიანი სახლები მოჩანდა.

მდინარეც მოჩანდა. მასში აღარ ტივტივებდნენ მორები. იგი გაყინული იყო. მოჩანდა ბორცვები. მათი დაფხავებული კიდეები თოვლს ამოევსო. ჩაშავებული ფიჭვები განსაკუთრებული სიცხადით გამოკვეთილიყო დაბალი, ნისლიანი ცის ქვეშ.

იმდენი ხატა. ერთი წლისა თუ წლინახევრის მერე საკუთარი ნამუშევრების გამოფენაც კი მოაწყო კინოთეატრის ფოიეში და კიდევ ერთხელ გააოცა ქალაქი თავისი ნიჭიერებით.

ამ გამოფენას ჩაუსწრეს გოგონებმა. ის კიდევ არაფერი, გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვარს ფერწერის ანბანიც რომ არ გაეგებოდა, ფერწერა რაც შეიძლება მჭახე და კონტრასტული ფერების ერთიმეორის მიყოლებით დალაგება რომ ეგონა, ძნელი. აღმოჩნდა ამდენი „ზამთრის" ნახვა, რადგან ყველა ერთნაირი იყო. ჯერ გოგონებმა რა იცოდნენ ფერწერისა და მათაც გაუჭირდათ გამოფენის ჩათავება. არა და იძულებულნი იყვნენ თითოეულ ნამუშევართან რამდენიმე წუთით მაინც გაჩერებულიყვნენ, როზა თან ახლდათ და იმიტომ. ნახატებს დარაჯობდა ქალი, ვინმეს რომ არ გაეყოლებინა რომელიმე.

მერე შთაბეჭდილების წიგნი მოურბენინა მხატვარმა და იანინას მთელი საათი დაჭირდა შიგ ჩაწერილი ქება-დიდების წასაკითხად. ჩაათავა და თვითონაც მოჰკიდა ხელი კალამს.

რამდენიმე დღეში გამოფენა დაიხურა და სულზე არ ჩამოგვისწრიათ, — გაიცინა მარიკამ.

ნახატების უკან გადმოტანაში იანინა მიეხმარა როზას. ქალმა სარდაფში ჩაზიდა თავისი „ზამთრები", მერე პირველსავე კვირა დღეს სკოლის პედაგოგები დაპატიჟა, ყველისა და ძეხვის ბუტერბროდებით, კატლეტითა და შემწვარი მაკარონით, მოხარშული კარტოფილითა და ბაზარში ნაყიდი კომბოსტოს მწნილით გაუმასპინძლდა მათ. სასმელიც საკმაოდ აღმოაჩნდა იმისათვის, გვიან ღამემდე რომ ეცეკვათ და ეხმაურათ სტუმრებს.

დონატ ლაბისიც აქ იყო. მას ახლად გამომცხვარი მხატვრისათვის ერთი საქებარი სიტყვაც არ უთქვამს, მთელი საღამო სულ „ზამთრის მხატვარს" ეძახდა დაცინვით და არაყიც ძალიან ცოტა დალია. ერთი კია, იანინას არ აცილებდა თვალს და მერე ხმამაღლა განუცხადა როზას:

— ეს გოგო მოიყვანე ჩემთან.

— მოგეწონა?

— თანახმა იქნება რამდენიმე საათი შემომწიროს? ოღონდ ტანსაცმელს მე შევურჩევ.

— მართალი ხარ, საინტერესოა, — მოჭუტული თვალებით დააკვირდა იანინას როზა, — გემრიელი დასახატია.

— უყურე შენ, — გაეცინა დონატს, — მართალი მხატვარივით არა ლაპარაკობს?

— მამა, — თქვა ვალენტინამ, — მაინცადამაინც გინდა აწყენინო როზას?

არ მოეწონა ეს ხმა მარიკას. ასეთი ყალბი ხმა ჯერ არ მოესმინა არსად. რაღაცნაირად, ცხვირში ლაპარაკობდა ვალენტინა.

მამამ თითი დაუქნია ქალიშვილს.

იანინა კი წამოჭარხლებულიყო და თვალები სად დაემალა, არ იცოდა.

მსუსხავი სახე ჰქონდა დონატს, მოზრდილი, მაგრამ ლამაზი ცხვირი, მგრძნობიარე ტუჩების სიცხადეს მოკლებული, მოუხელთებელი ხაზი და ორად გაპობილი ნიკაპი, მაღალი, ნათელი შუბლი, უკან გადავარცხნილი ჭაღარა და ტალღიანი თმა, ლამაზი თავი, ამაყად რომ ეჯდა მსხვილ კისერზე, დაბალი ტანი, მუხლებში ოდნავ გაღუნული ფეხები, სიარული მსუბუქი. ახალგაზრდული, ტანის მიმოხრა დახვეწილი, ოდნავ ქალურიც, რადგან სიარულის დროს მხრების ისეთი მიმოხრა იცოდა, თითქოს ცეკვავდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კაცის გარეგნობაში მაინც თვალები და ხელის მტევნები იყო. ალესილი მზერა ჰქონდა, ფრინველივით ჩასაფრებული თვა-

ლები — პატარა და მრგვალი; ხოლო დაძარღვული ხელები თუმცა სიდიდით არ გამოირჩეოდნენ, მათში ძალა იგრძნობდა. დროდადრო თითების მუჭში მოქცევა უყვარდა, თითქოს სრესდა რაღაცას.

ჩანდა, მოსწონდა ყურადღების ცენტრში ყოფნა და თუმცა სასმელს არ ეტანებოდა, ხალხის ყურადღებით თვრებოდა. ბევრს ლაპარაკობდა და ლაპარაკს უფრო და უფრო გონებამახვილურს ხდიდა. იმ საღამოს, პირველ საღამოს, გატარებულს დონატთან ერთად, მარიკა თეატრალურ წარმოდგენასავით იგონებდა. ახსოვდა მისი აღფრთოვანებული სახე, კეკლუცი და რაღაცნაირი, მოლოდინით აღსავსე იერი, ჩანდა, თავის მოწონება სურდა. გაეცინა მარიკას. გრძნობდა, არც ერთი იმათგანი არ ღირდა იმად, დონატ ლაბისს მათ წინაშე რომ გადმოეშალა მთელი თავისი არტისტულობა.

მომდევნო კვირას როზამ გოგონებს მიაკითხა და დონატთან წავიდეთო, — სთხოვა.

გოგონები ჯერ კიდევ სასტუმროში ცხოვრობდნენ.

მუსიკალურ სკოლასთან ახლოს, ზედ ქუჩის პირას, ხის სახლების წინ, რვასართულიანი შენობა აეშენებინათ. მშენებლობა უკვე დამთავრებული იყო და საცაა შესახლდებოდა ხალხი. აქ უპირებდნენ გოგონებს ოროთახიანი ბინის მიცემას. მანამდე კი სასტუმროსათვის უნდა გაეძლოთ, მეტი რა გზა ჰქონდათ. სიმართლე რომ ითქვას, მაინცადამაინც არ გასჭირვებიათ სასტუმროში ცხოვრება. მართალია, კეთილმოუწყობელი იყო, მომსახურე პერსონალი, დამლაგებლიდან დაწყებული და დირექტორით დამთავრებული, ისეთი გულისყურით ეკიდებოდნენ გოგონებს, ეს კეთილმოუწყობლობა ადვილი ასატანი ეჩვენებოდა ორივეს.

იანინამ მაშინვე დაიწყო ჩაცმა.

არც მარიკას დაუდია თავპატიჟი, ერთი კი თქვა, მე რაღა შუაში ვარო, მაგრამ გაჰყვა მათ. დონატის ნახატების ნახვა სურდა, აინტერესებდა, ასეთ თავშეუკავებელ კაცს რისი შექმნა შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმას აპირებდა.

ჯანღიანი ცა ქალაქს დაწოლოდა თავზე. რვასართულიანი სახლის სახურავი ნისლს წაეღო.

— თოვლი არ მოვიდეს, — თქვა იანინამ.

— ნოემბრის ბოლომდე არ იქნება.

— მენატრება, ჩვენთან იშვიათად იცის.

— მოიცა, მოგბეზრდება კიდეც.

ერთხანს ხის სახლებს შორის დარჩენილი ვიწრო გასასვლელებით იარეს, მერე სარკინიგზო ხაზზე გავიდნენ და სამხრეთისაკენ ჰქნეს პირი. განძელებზე მიაბიჯებდნენ და ხელმარცხნივ, რკინიგზის გადაღმა, ბორცვებში ჩამკვდარ ბუჩქებს შეჰყურებდნენ, გაფარჩხულსა და გაშიშვლებულს.

მეზღვაურთა დასასვენებელი სახლიც გამოჩნდა, გრძელი, ყვითელი შენობა, ბორცვის კალთაზე ლამაზად შემდგარი.

დონატის ოთახი, ან, როგორც თვით მხატვარი უწოდებდა, სახელოსნო, შენობის მეორე სართულზე აღმოჩნდა.

ახსოვდა მარიკას, როგორ გაუღიმა კაცმა სტუმრებს, მერე თითოეულს სათითაოდ როგორ ჩამოართვა პალტო და ოთახის კედელთან სიგრძით მიდგმულ, ალბათ, თვით მხატვრის მიერ შეკოწიწებულ მაგიდასთან როგორ მიიპატიჟა ისინი.

— მოგწონთ კუნძული?... ალბათ გაოცებთ ასე ცოტა ნამუშევარი რომ მიკიდია კედელზე, ასე ცოტა და ასე უმნიშვნელო.

— სიმართლე რომ გითხრან, აოცებთ, — თქვა როზამ.

— კუნძულამდე რაც კი რამ მქონდა გაკეთებული, ყველაფერი მატერიკზე დავტოვე, თან არაფერი წამომიღია. აქ ჩემი შემოქმედების ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს, — გაიღიმა დონატმა, — ასე მგონია და რა ვიცი, შეიძლება ვცდები. ძველი ნამუშევრები მხოლოდ ხელს შემიშლიდნენ.

— როგორც გოგენი, — ეს ისევ როზა იყო.

— გოგენი? — ისევ გაიღიმა დონატმა, — თუნდაც, როგორც გოგენი.

— გოგენზე ბევრი ისეთი რამ მსმენია...

— რა, მაგალითად...

— ცუდი, — ისე თქვა როზამ, თითქოს მხოლოდ ამიტომ აეყარა გული მასზე.

— შემოქმედის სულში ისეთი ჯოჯოხეთი ტრიალებს, იმდენ წამებას უძლებს იგი... ეს კი რაღაც წვრილმანებს ჩაჭიდებია და რას ამბობს, თვითონაც არ იცის, — გაცხარდა დონატი, სკამიდან წამოხტა, ფანჯარასთან მიირბინა, მაგრამ გარეთ არ გადაუხედია, უკან გამობრუნდა, სკამი მოაცილა მაგიდას, შუა ოთახში ხმაურით დადგა, დაჯდა ზედ და ფეხი ფეხზე შემოიდო, ხელები მუხლებს შემოაჭდო და ისე გაირინდა, თითქოს თვითონ ყოფილიყოს გოგენი, ბრალდებათა მოსასმენად მომზადებული.

ერთხანს იჯდა ასე. მერე თვითონ დაარღვია სიჩუმე:

— გინახავს გოგენის თუნდაც ერთი ტილო?

— საიდან, — გაიკვირვა როზამ.

დონატმა ჩაიცინა.

— ხედავთ, როგორ მოგვიწყვია ცხოვრება. დანაშაულს, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი, რა სწრაფად ვავრცელებთ, როგორ ვეწაფებით, თითქოს მხოლოდ დანაშაულისათვის ცოცხლობს კაცი, თითქოს მხოლოდ ამ დანაშაულს შეუძლია დაგვანახოს კაცის სამყარო, — თქვა მერე, თქვა ისეთი გულისტკივილით, თითქოს თვითონაც არა ერთხელ გამხდარიყოს ამისი მსხვერპლი.

ეს აღარ იყო ის კაცი, ამ ერთი კვირის წინ რომ ნახა მარიკამ. მისი გულდაჯერებული უფლებამოსილება ორჭოფობას შეეცვალა. სახეც გამოცვლოდა თითქოს, ნაკვთები ისე იყონებოდნენ ერთმანეთში, ძნელი იყო მათი განცალკევებით აღქმა. სახეზე მხოლოდ ის ძარღვი ცოცხლობდა, თავისი ლურჯი დინებით შუბლს რომ უჩეხდა ორ[illegible]

— დაღლილი თუა, — გაიფიქრა მარიკამ.

მერე გაუბედავად წავიდა თავისი ნამუშევრებისაკენ და გოგონებიც მიჰყვნენ თან.

აქ, შავი ტუშითა და აკვარელით შესრულებულ ნახატებში დახვეწილი უბრალოებით თვლემდა ნისლში ჩაძირული ფიჭვნარი, წყნარი, დამორჩილებული ამ ცასა და მიწას, გახვეული მათს მქრქალ ანარეკლში, თვლემდა და ამავე დროს ნელ-ნელა გშორდებოდა, იკარგებოდა, იშრიტებოდა, დაუსაბამი, იდუმალებით მოცული სივრცეებისაკენ მიედინებოდა, თითქოს ეს დინება იყო ერთადერთი, რაც მისი სულისა და სხეულის დასრულებას ესაჭიროებოდა, ესაჭიროებოდა მის საბოლოო სახეს, რომლითაც დამბადებელს, საწყისს, თესლს, რამაც აღმოაცენა, უნდა შერწყმოდა და სიცარიელის ყოვლისმომცველობას ზიარებოდა.

მხოლოდ ერთადერთ ფიჭვს ოდნავ შეენელებინა დინება, უკან მოეხედა, სიყვარულით სავსე თვალები სულ ერთი წუთით შეეჩერებინა უკვე გამოვლილ გზაზე და ამბობდა:

— აი, როგორი ვიყავი მაშინ...

და იდგა ფიჭვი საღამოსაკენ გადაქანებული დღის რბილი შუქით სავსე, იდგა და ულვივოდა ყოველი წიწვი, ყოველი ნაკეცი, ყოველი ხვეული.

აქ იყო ზღვა, ზღვა და ცა, ორივე ერთად, სახელოსნოდან საგონებელში წასული ხმელეთის ვიწრო ხაზით გამოყოფილი, მწუხრის ნაცრისფერსა თუ ცისფერში ჩაღვრილი, ზღვა ცად ასული, ცას შერწყმული, თუ პირიქით, ცა ჩამოსული დაბლა, ზღვაში ჩაფლული, ჩაკარგული. ისინი იზიდავდნენ მარიკას თავისი ინტიმურობითა და გულითადობით, მაგრამ აშინებდნენ კიდეც რაღაც ამოუცნობი, ზეშთაგონებული არსის სისავსით, დროთა დინებას იქით დარჩენილი უსასრულობითა და მარადჟამობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სოფელი, მოპირდაპირე კედელზე აკრული, თავისი ერთმანეთზე მიჯრილი სიფრიფანა კედლებით, ნათელი და სევდიანი ჩრდილებითა და ალაგ-ალაგ სამკაულებივით დაბნეულ სხივთა სიკაშკაშით, უცნაური, ნოსტალგიის მაგვარი მონატრებით ავსებდნენ გოგოს, მასში იმდენი ნაცნობი და ახლობელი, მაგრამ ამავე დროს, შორეული და უკვე დაკარგული იყო.

იმ ზღვისა თუ ცის დუმილისა და უშფოთველობის შემდეგ, სადაც არ იყო არც სევდა და არც გულისტკივილი, სადაც ყველაფერი მიწიერი გახსნილიყო, გაზავებულიყო ერთმანეთში და რაღაც სხვა, ამოუცნობ რეალობას ნაზიარევი, მწუხრის ნაცრისფერსა თუ ცისფერში ჩაღვრილიყო, ეს სოფელი, დაწერილი განსაკუთრებული სინაზითა და სითბოთი, გაუბედავი, მერყევი შტრიხებით სავსე, ისეთი განწირულებით ავსებდა გოგოს, ისეთი სინანულით...

ეს იყო დროის უსასრულო დინების ვიწრო სარკმლიდან დანახული ადამიანთა მიწა, დამორჩილებული დაბადებისა და სიკვდილს, დამორჩილებული დაღუპვისა და განახლების სევდიან პოტენციას, დამორჩილებული ერთხელ მიგნებული ჰარმონიის მსხვრევითა და დაქუცმაცებით აღსავსე სულიერ ტრაგიზმს, დამორჩილებული თვითგადარჩენის ინსტინქტს. გამწარებით რომ დაეძანებოდა ახალ, სხვა საყრდენთა ძიებების ტანჯვით აღსავსე უგზოობაზე...

— რას იტყვით? — იკითხა დონატმა.

უნდოდა გულგრილად ეთქვა ეს ორი სიტყვა, თითქოს მხოლოდ თავაზიანობას უხდიდა ხარკს და სხვა არაფერი, მაგრამ ისეთი ეჭვითა და მღელვარებით იყო სავსე მისი ხმა, მარიკას გაუკვირდა, როგორ შეეძლო კაცს სერიოზულად მოეპკიდებოდა გოგონების აზრს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი, როგორ შეეძლო თუნდაც უმცირესი მნიშვნელობა მიეცა იმ ახლად გამოჩეკილ არსებაცია მოწონება-არმოწონებისათვის, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ არც ფერწერისა და არც ცხოვრებისა, საერთოდ.

ან რა უნდა ეთქვა მარიკას ყოველფერს, რასაც ხედავდა, იმდენად გაურკვეველ, ბუნდოვან განცდებს იწვევდა მასში, ისეთ დაულაგებელ, ყოველგვარ შინაგან კავშირს მოკლებულ აზრს ბადებდა, მის ჯერაც მცირე განათლებასა და ღარიბ ცხოვრებისეულ გამოცდილებას რომ უჭირდა მისი შეკავება, გაანალიზება, განზოგადება და ისიც, იფეთქებდა და მაშინვე ქრებოდა, ისე, კვალსაც რომ არ ტოვებდა მის გონებაში.

და რადგან შეუძლებელი იყო მისი შეცნობა, უბრალოოდ, მოწონსო, ვერ დააცდევინა ენას, თავხედობად ჩათვალა ეს.

— ამაფორიაქა. — გაუბედავად თქვა იანინამ.

დონატმა თითქოს უფრო მყარად იგრძნო თავი, აღელვებული სახე კმაყოფილების ღიმილმა დაუმშვიდა და ამან კიდევ ერთხელ გააკვირვა გოგო.

— ასე ცოტა თუ ყოფნის... — გაიფიქრა.

და მაშინ იყო, გაუფრთხილებლად შემოაღო ვილაცამ კარი და რბილი, ღრმა ბანით ჩაიმღერა:

— სალამი.

— არტემი? — თქვა დონატმა, — რას გვეტყვის ახალს არტემი?

— წვიმს.

— მართლა? — დონატი ფანჯრისაკენ გაქანდა.

„ნუთუ ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, წვიმს თუ არა“. — გაიფიქრა მარიკამ.

არტემმა ღიმილით აადევნა თვალი მხატვარს და ისევ ჩაიმღერა:

— არ ვიტყუები.

— გოგონებს თუ იცნობ. — იკითხა როზამ.

— ვიცნობ. შენი ხელქვეითები არიან. ერთ-ერთს სისტემატურად ვხვდები რესტორანში. ისეთი თავდაჯერებით შემოდის და გადის, მდიდარი უნდა იყოს.

— კი. ვსადილობ რესტორანში. —

გააწყვეტინა მარიკამ, — სიმდიდრე თავდაჯერებულს ხდის ადამიანს?

— თავდაჯერებულები ბრიყვებიც არიან, — ჩაერია დონატი.

— ბრიყვი არ უნდა იყოს, თვალებზე ვატყობ.

— სიმდიდრეს რაზე მატყობთ? — თავი შეითვალიერა მარიკამ.

— აკი გითხარით, თავდაჯერებულობაზე.

— გოგონები თუ იცნობენ არტემს? — ეს ისევ როზა იყო.

— მთავარია ჩვენ გვიცნობდნენ, — განაცხადა მარიკამ.

— მწარე ენა გქონიათ.

— ესაც სიმდიდრის დამადასტურებელია?

არტემმა გაიცინა.

— ჩემგან განსხვავებით თქვენ კეთილი ჰაცი ყოფილხართ. გარდა ამისა მშვენიერი, ჯანმრთელი კბილების პატრონი, იმიტომ ხომ არ იცინით ასე თავშეკავებულად, კბილების გამოჩენა რომ გსურთ?

ყველა დაიძაბა.

— მარიკა, — ჩუმად თქვა იანინამ.

არტემმა ისევ გაიცინა.

— რა თქმა უნდა. რალაცით ხომ უნდა მოგაწონოთ თავი.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ასეთი ლაპარაკი იცის, საერთოდ კი თვინიერი ჰაბუკია, — ჩაერია დონატი.

— მეც. როგორც ხედავთ, თვინიერი ვარ.

შემდეგ კი დაზავების ნიშნად საცეკვაო მუსიკა ჩართეს.

— არ უნდა იყოთ ასეთი კატეგორიული, — ალაპარაკდა არტემი.

— კატეგორიული? — ვერ მიუხვდა მარიკა.

— თუმცა, ეს ასაკის ბრალია. რამდენი წლისა ხართ. ჩვიდმეტის? თვრამეტის? როგორ დავბერებულვარ, რამდენის ვიქნები, როგორ გგონიათ.

— არ ვიცი. მაგრამ კარგად რომ ცეკვავთ, ამას მეც ვხვდები.

— რატომ, თქვენც?

— ამაცეკვეთ.

როზა დონატის ნამუშევრებს ათვალიერებდა, ხოლო დონატი იანინასთან ცეკვავდა, და ისეთი დარბაისლური მიმოხრა ჰქონდა, ისეთი უშფოთველი და არხეინი იყო...

ახლა, როდესაც კარგა ხანია წარსულს ჩაბარებოდა დონატთან არა მარტო პირველი, არამედ ყველა მომდევნო შეხვედრაც, უხვად რომ ჩაფანტული იყო იმ თერთმეტ თვეში და ასე ცხოველმყოფლად იფეთქა ამდენი წლის შემდეგ, ხვდებოდა გოგო, რატომ უჭირდა, რატომ უძნელდებოდა მასთან ურთიერთობა, ხოლო ბოლო დროს არიდებდა კიდეც თავს. რალაც მოძრავი, სლიპი და საჩოთირო იყო მასში. ყოველთვის ახლიდან იყო საჭირო ამ კაცის გაცნობა. არა მარტო იმიტომ, მალიმალ რომ ეცვლებოდა განწყობა და ყოველთვის ძაბავდა მარიკას, რალაც მოულოდნელთან შეხვედრის წინათგრძნობას აღუძრავდა, სახეც ახლებური ჰქონდა მუდამ, სახეც ყოველთვის ეცვლებოდა, თითქოს ყოველი ახალი განათება ახლიდან ბადებდა მას, უცვლიდა ნაკვთებსა და გამომეტყველებას, თითქოს თვითონაც არა ჰქონდა შეგნებული თავისი თავი და ყველაფრით გარე სამყაროზე იყო დამოკიდებული.

ამას თუ გაურბოდა გოგო.

არა და, იქნებ სწორედ ეს იზიდავდა პირველ ხანებში, მასთან ყოველი გამომშვიდობება ახალი შეხვედრის სურვილს უჩენდა, უჩენდა ცნობისწადილს, იქნებ ხვალ მაინც ჩაწვდომოდა მას, ამოეხსნა იგი.

მერე კი, როცა მთელი სიცხადით წარმოჩინდა მისი ხასიათის სამი უცვლელი ხაზი, ხაზი ჭირვეულობისა, რომელიც არასოდეს სუსტდებოდა და ყოველთვის ერთნაირი სიძლიერით ბურავდა მის კარგსაცა და ავსაც, ხაზი სიძუნწისა, რომლის დაფარვასაც ცდილობდა, მაგრამ სიძუნწე ისეთი რამაა, რაც უფრო შეეცდები მიჩქმალო, მით უფრო წამოყელყელავდება, და სხვაზე ჭორაობის დაუოკებელი სურვილი, ამ კაცის მიმართ ზიზლის გრძნობა გაუჩნდა.

რადგან ისე არაფერი ამცირებს კაცს, როგორც ჰირვეულობა, სიძუნწე და ჭორაობისადმი მიდრეკილება.

მაგრამ ეს იყო მერე, რამდენიმე თვის შემდეგ. მაშინ კი, იმ კვირა დღეს დონატ ლაბისმა მარიკას მოკრძალება დაიმსახურა.

— დაგხატავო? რა გითხრა,—დაინტერესდა როზა, როცა ისევ განძელებზე შედგეს ფეხი და უკან გამოუყვნენ გზას.

— მაგაზე არაფერი უთქვამს.

— აბა, რაზე გელაპარაკებოდა ამდენს.

— თავის პერსონალურ გამოფენაზე.

— რაო...

— ერთ ცნობილ ხელოვნებათმცოდნეს დაუთვალიერებია და უთქვამს, ახლა კი ვხედავ ნამდვილ მხატვრობას რომ არ უწერია გადაშენებაო.

— თავი იქო, ხომ? — ჩაერია არტემი.

წვიმას საგრძნობლად ეკლო, ახლა მხოლოდ ცრიდა. ცა ისევ მძიმე იყო და დაბალი, ჰაერში მიწისა და გამხმარი ბალახის სუნი ტრიალებდა.

ახლა არტემი ალაპარაკდა, ალაპარაკდა თავისუფლად, შინაურულად და ის გაიფიქრა მარიკამ, ტყუილად ხომ არ შემოსწყრა ამ კაცს. ასეთი იყო ალბათ, ყველასთან თავისუფალი და შინაურული, სიტყვებს არ აქცევდა ყურადღებას და რაც მოადგებოდა ენაზე, აუცილებლად იტყოდა. დაცინოდა ადამიანთა პატივმოყვრულ გრძნობებს, მაგრამ შემთხვევით ჩამოვარდნილ უთანხმოებას არასოდეს მიიყვანდა აურზაურამდე, ისევ თვითონ დაიხევდა უკან, არ ერცხვინებოდა საკუთარი თავმოყვარეობის შელახვისა, არაფრად აგდებდა ამას. ამიტომ თუ ტოვებდა კეთილი, რბილი ადამიანის შთაბეჭდილებას.

— ჯერ ადრეა ზამთარი, ისეთი შემოდგომა გვიდევს წინ...

— კი, თუ ამ ტალახს დავაღწევთ თავს.

— თავი არ შეგაცოდა?

— თავის შეცოდება უყვარს? — კითხულობს მარიკა.

— ზოგჯერ, — იცინის არტემი.

— არაფრად ჩაუგდიათ, — გულისტკივილით ამბობს იანინა, — საგამოფენო დარბაზიც კი დონატს მოუხეხია. არც მეთვალყურე გამოუყვიათ გამოფენისათვის. თვითონ დარაჯობდა თურმე საკუთარ ნახატებს. მერე მობეზრებია და დაუკეტია.

— მეც ასე არ გამიკეთეს? — ამბობს როზა.

— ცოლი რომ მიხმარებოდა, რა მოხდებოდა, ვითომ, — კითხულობს მარიკა.

— არ შეიძლება ასე მოექცე ადამიანს.

— იმედის გადასაწყვეტი არაფერი ჰირს, ღმერთივით ხატავს, ეგ არის, რომ ბავშვივით იცის გულის დაწყვეტა, თუ რამე ეწყინა, მორჩა, აღარ ავიწყდება, — არტემი ფიცრის სველ ღობეებს ეჭიდება, ცდილობს ღობის ძირში დადგას ფეხი და ტალახს ასცდეს.

მარტო არტემი კი არა, მარიკაცა და როზაც ასეთი წვალებით მიიკვლევენ გზას. მხოლოდ იანინა მიდის თავისუფლად, ტალახს არ ეპუება, გუბეებსაც მოურიდებლად მოარღვევს თავისი ლამაზი წვივებით.

არტემი სასტუმროსთან გამოეთხოვა მათ. არტემი წავიდა, მაგრამ ამას არ დაუღონებია მარიკა, ამ კაცთან ახალი, მალე შეხვედრის სურვილი არ ჩამდგარა მასში. ის განცდა, რომელიც მაშინ, იმ კვირა დღეს, დონატის სახელოსნოდან წამოჰყვა გოგოს, ძნელად შესაცნობი კი იყო, მაგრამ იგი სიხარულთან უფრო აღმოჩნდა წილნაყარი, ვიდრე სევდასთან.

— არტემს ერთი გოგო უყვარს, სკოლას ამთავრებს წელს, — თქვა როზამ. — გოგოს მშობლები კი უარზე არიან.

— რატომ? — გაუკვირდა მარიკას.

— არტემი ხომ იქნება ოცდაათის. გოგო კი ჩვიდმეტისა არ არის ჯერ.

მეორე დღეს კი კაბინეტის ფანჯრიდან დაანახა როზამ ის გოგო.

კინოთეატრთან შეჯგუფული თანაკლასელებისაგან სიმაღლითაც გამოირჩეოდა იგი და ხორცის სისავსითაც.

მთელი ჯგუფი ყაყანებდა ერთხმად, ის კი ჩუმად იდგა, თმაგაშლილი და ყელმოღერებული. შარვალი ეცვა, ბარძაყებზე შემოტმასნილი, ვიწრო. ფეხები ერთმანეთთან მიეტყუპებინა და დამცინავად დაჰყურებდა ამხანაგებს.

— არტემი რას აკეთებს, — იკითხა სხვათაშორის.

— ნავთობს ეძებს. გარეუბანში ჭაბურღილი უდგათ გეოლოგებს...

— ეგ ისეთი გოგო ჩანს. უკან არაფერზე დაიხევს.

პედაგოგები ერთობოდნენ. მთელი დღის მუშაობის შემდეგ, როცა ყურში მოსწავლეების მიერ უგულისყუროდ გარჩეულ ნაწარმოებთა გაუბედავად ალებული ბგერები ქლრიალებდა ისევ. სერიოზულად არავის შეეძლო რამით დაინტერესება. სიტყვები მდორედ მოედინებოდნენ მთელი დღის პირმოხეული ლაპარაკის შემდეგ, როცა იძულებული ხარ ერთი და იგივე იმეორო, იჯუჯღუნო, ხშირად ხმასაც აუწიო და იყვირო უყურადღებო და ზარმაცი მოსწავლეების შემყურემ. ხმაც კი ყველას ერთნაირი ჰქონდა, ჩახლეწილი, გაგუდული.

— დონატთან რატომ მეგობრობს, ვერ გამიგია.

— მდიდარი ყოფილა დონატი.

— ვითომ?

— შვილს არაფერი ეტყობა, და.

— ძუნწია, არ აძლევს.

— საიდან უნდა ჰქონდეს ამდენი.

— უბრალო ვილაც ხომ არ გგონია, მაგას რომ სურათები აქვს გაყიდული.

— მერე აქ რა უნდა. მდიდრები კუნძულზე არ დაიარებიან.

— ვა, კაცია და გუნება.

— სიძისათვის ერთი პალტოც ვერ უყიდია და...

— არ იცით? ცოლს გამოქცევია.

— როგორ თუ გამოქცევია. ცოლის მოცილებას რა უნდა, გაცილდეს:

— გაცილებულია.

— მეტი რაღა უნდა.

— მაინც არ ასვენებს, გაიგე?

— შვილი ჰყავთ საერთო და ხანდახან კი უნდა დაენახოს.

— თავს იკლავს შვილისთვის. სულ მამის გაზრდილი ყოფილა.

— კოჭლიაო ამბობენ იმ ქალზე.

— კოჭლი რომ ყოფილა, ეს არაფერი, მგონი ვერ იყურება ხეირიანად.

— საცოდავი.

— სად იპოვა ასეთი...

— აღარ გახსოვთ, როგორ უჭირდა ხალხს ომის მერე.

— შენ წარმოიდგინე, არ მახსოვს.

— საიდან გემახსოვრება, მე კი მახსოვს. არც სახლი ჰქონია, არც ფული...

— აბა ცარიელი ნიჭის ანაბარა შორს ვერ წახვალ.

— სალებავებსაც ყიდვა უნდა...

— გამოუკვებავს ცოლს.

— აბა, სწორი უქნია მოხუცთა თავშესაფარში რომ გაუმწესებია, დედა. რატომ გააჩინა კოჭლი.

— ვინ?...

იანინას თავი არ აუწევია, კედელთან იდგა, რომელიღაც წიგნში ჩაერგო თავი და არავის არ აქცევდა ყურადღებას.

— რომ მოხუცებულა, მერე?

— აბა, ახალგაზრდას მოერეოდა ვითომ კოჭლი და ყრუ?

— ვერ მოერეოდა.

— ეხლა აცხადებს ჩემი ყოფილი ქმრის ქონების ნახევარი ჩემია. აბა ტყუილად ვასვი და ვაჭამე მაშინო...

— ფულს მოსდევს ლამაზი?

— აბა დონატი ვის რაში უნდა.

— რატომ, მშვენიერი კაცია.

— კი. უნდა მისცეს ცოტა.

— ცოტა არ უნდა. ნა-ხე-ვა-რი.

— არაფრის მომცემი ეგ არ არის.

—ძუნწებს აქვთ სწორედ ქონება.

— საიდან იცი ამდენი...

— სადაც წახვალ. შენი ჰუჰყიანი სასჯდომი თან გაგყვებაო. არ იცი ეს შენ?

— ნეტა ის თუა მართალი, რასაც ამბობენ...

— ცოლს უთქვამს თურმე...

— შეიძლება ბოლმამ ათქმევინა, აბა, კოჭლის, ბრუციანის სიყვარული ადვილი გგონია შენ?

— რალას დასდევს მაშინ.

— ფულს დასდევს. ვერ გაიგე?

— მისცეს ამანაც და მოიშოროს.

— არ აძლევს, ვაი.

— მაშინ ჰყავდეს ის ქალი და ჰქონდეს ფული. როცა შიოდა, მაშინ ხომ კარგი იყო.

— სხვათა შორის, არც ერთხელ არ მიუღია ვალენტინას დედის წერილი.

— საიდან იცი.

— რადგან ვამბობ, ესე იგი, ვიცი.

—მორბიან ესენი და მოსდევთ... რა ჰქვია იმ ქალს?

— ვიოლეტა.

— ვალენტინა, ვიოლეტა... ძალიან კარგია... მოსდევს ვიოლეტა. კოჰლობით, რა თქმა უნდა.

— დამშვიდდნენ. ვერ დაეწევა.

— ფეხით მოსდევს, თუ.

— გამწარებული ქალი რას იზამს, რა იცი. იქნებ ფეხითაც მოსდევს.

— მოკლედ, მშვენივრად აუწყია ცხოვრება დონატს.

— რა თქვენი საქმეა.

— ვინ ამბობს ჩვენი საქმეაო? ღმერთმა დაგვიფაროს...

— აბა, რა გალაპარაკებს.

— არ უნდა ვიცოდეთ, ვინ ცხოვრობს ჩვენს გვერდით?

მარიკა დირექტორის მაგიდასთან იჯდა და მოსწავლეთა დახასიათებებს წერდა.

მერე შემოაღო კარი ვალენტინამ და ყველა გაჩუმდა.

— ბინას როდის აძლევენ მამაშენს, — ჰკითხა როზამ.

— ამ რვა სართულიანში მისცეს უკვე.

— კი, ჩვენს პირდაპირ, — თქვა მარიკამ.

— ერთად იცხოვრებთ?

— მე ხომ მაქვს. გარდა ამისა, მარტო მირჩევნიაო, ასე თქვა. მუშაობაში არავინ შეუშლის ხელს.

— გოგოებს გაუცვალე ბინა. გვერდით ეყოლებოდი. მამას მოვლა ხომ უნდა. — თქვა ბაიანისტმა მიშომ.

— არ ვიცი...

— იანინა, — ეს ისევ როზა [illegible] ხვალ რვა საათზე აქა ვარ[illegible]

— მეცადინეობას [illegible] იკითხა ვალენტინამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აბა.

— კმაყოფილი ხარ პედაგოგის?

— უსაზღვროდ, — და როზა მადლიერების ნიშნად მხარზე მოეფერა იანინას, — ასეთი თავდადებული ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. ყოველდღე მამეცადინებს.

4.

ძნელი სათქმელია, როდის გაუჩნდა სურვილი ამ კაცთან გამოლაპარაკებისა, შეიძლება პირველსავე დღეს, როცა მუსიკალური სკოლის დარბაზში შევიდა და რადგან ჯერ არც ერთი მოსწავლე არ მოსულიყო, ესტრადაზე ავიდა, პიანინოზე რამდენიმე აკორდი აიღო, ისე, უბრალოდ, უყურადღებოდ, ინსტრუმენტის ჟღერისათვისაც არ მიუქცევია ყურადღება, მერე მოშორებით მდგარ მასწავლებლისათვის განკუთვნილ პატარა მაგიდაზე ილლიაში ამოდებული საკლასო ჟურნალი დადო და ფანჯრისაკენ წავიდა.

ფანჯრიდან კი ხის რამდენიმე ფანჩატური მოჩანდა, დაბალი, სახურავებდაქანებული. ამ ფანჩატურებიდან ერთ-ერთი, რომელიც ლი ჩან მინის სახლი ალმოჩნდა, დანარჩენებისაგან იმით გამოირჩეოდა, მოვლილი. ნაპატრონები რომ იყო. შეიძლება ამგვარ შთაბეჭდილებას იმიტომ ტოვებდა, ფანჯრის ჩარჩოები და დარაბები თეთრად რომ შეელებათ. სხვებს ლურჯად ჰქონდათ შეღებილი და წვიმისა და მზისაგან გამოხუნებულ სილურჯეს ჰუჰყის ფერი დადებოდა. გარდა ამისა, ფანჩატურიდან მესერამდე დარჩენილი ორიოდ მტკაველი მიწა მაღალღეროიანი ყვითელი ყვავილებით მოეფინათ და ყვავილებსაც უვლიდნენ ალბათ. რადგან ოთხფურცლიანი, თეორგულიანი გვირგვინი სიხალისით ელავდა. მეზობელი ფანჩატურების წინ კი ათასი ნივთი ეგდო მტვერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოს მესერიც მყარი და ლამაზი ერტყა. გვიან შეამჩნია მარიკამ, ამ მესერთან კაცი რომ იჯდა. ის იქნებ მიწაზეც იჯდა, რადგან შემართული წვივები მთელ ტანს უფარავდა. მაინც ეტყობოდა, ტანდაბალი უნდა ყოფილიყო. მუხლისთავებზე გადმოეფინა დიდრონი, ბებრული ხელები და გახევებულიყო. უსინათლო ხომ არ არისო, გაიფიქრა რატომღაც. თეთრი, მეჩხერი წვერი უფარავდა ნიკაპს, თავზე შავი ნაჭერი ჰქონდა წაკრული.

მერე მოსწავლეები მოგროვდნენ. მარიკამ მათ გაცნობასა და გაკვეთილებისათვის დროის შერჩევას ორი თუ სამი საათი მოანდომა და როცა ისევ მარტო დარჩა, ფანჯარასთან მივიდა. გაუკვირდა. კაცი დილანდელივით იჯდა, მუხლისთავებზე გადმოეფინა ხელები ისევ. უსინათლო იქნებაო ნამდვილად, — დაიჯერა, მაგრამ როცა მოსწავლეთა მეორე ნაკადიც გაისტუმრა და უკვე მოსაღამოებულზე მესერის ძირში უწინდებურად გარინდებული კაცი ისევ დაინახა, შეეშინდა, ხომ არ მოკვდაო. გაიფიქრა, სასწრაფოდ დატოვა დარბაზი და სამასწავლებლოში შევარდა. იქ არავინ დაუხვდა და დირექტორის კაბინეტი შეაღო.

— ხალხნო, იმ კაცს ხომ არაფერი მოუვიდა!

როზამ გაიცინა.

— ნუ გეშინია.

— იცი, ვიზე ვამბობ?

— ვიცი.

— რა მოხდა, — იკითხა იანინამ, რომელსაც სკოლის ბიბლიოთეკიდან ნოტების მთელი დასტა ამოეტანა და ახლა კლასების მიხედვით ალაგებდა.

— ლიმ შეაშინა, ჩინელმა. ასე იცის ჯდომა. მთელ დღეებს მესერთან, პატარა მორზე ჩამომჯდარი ატარებს.

— საოცრება თუ გინდა. ნამდვილი ჩინელია?

— ახლაა ესეთი წყნარი, თორემ ადრე, ცოლის კივილ-წივილით იკლებდა ქალაქს.

— ცემდა?

— რა ვიცი, რას უშვებოდა, მაგრამ მწარე ენა აქვს.

— ახლა?

— ახლა, მადლობა ღმერთს, ალარავის ელაპარაკება.

— ასე მარტოა სულ?

— არ იკარებს არავის. მესერთან ჯდომა ურჩევნია ქვეყნად ყველაფერს.

— მე კი შემაშინა და...

— ვინ არის, იცი?— მოაგონდა როზას, — შურას ქმარი.

— შურას...

— შენ რომ შეგპირდა თეთრეულს დაგირეცხავო, ჩვენი დამლაგებლის.

— ჩინელი ქმარი ჰყავს? უყურე შენ.

სექტემბრის ბოლომდე დარბაზის ფანჯრებიდან უთვალთვალებდა მარიკა ჩინელს. არაფერი არ იცვლებოდა. დღეები თბილად აგრძელებდნენ დინებას, ყვითელი ყვავილები ძველებური სიხალისით ელავდნენ, ხოლო ჩინელი ფეხმოუცვლელად იჯდა ერთხელ და ალბათ სამუდამოდ ამორჩეულ კუნძზე, ერთხელ და სამუდამოდ აჩემებულ პოზაში, რომელიც დარბაზის ფანჯრებიდან საკმაოდ მოუხერხებელი და არტისტულიც კი ეჩვენებოდა. სამაგიეროდ, ისე შერწყმოდა იქაურობას ლის მუხლისთავებზე გადმოფენილი დაშრეტილხელებიანი მდუმარება, ზოგჯერ, უფრო დილაობით, როცა ჩინელი ჯერ კიდევ არ დაბრუნებოდა თავის ადგილს მესერთან, გარემოს რაღაც აკლდა და რატომღაც მოუსვენრობა ისადგურებდა მარიკაში.

საღამოობით კი, როცა ბინდი დედდებოდა, როცა დღის შუქი პირწმინდად იკრიბებოდა, მის თეთრ წვერსა და ფერმკრთალ ხელებს არაფერი ანათებდა, ძნელდებოდა ლის გარკვევით დანახვა დარბაზის გაჩახჩახებული ფანჯრებიდან. ამ დროს ჩინელი გოგოს რაღაც არარეალურ, იდუმალი არსით მოცულ საგნად ესახებოდა. მისი ყოფნა იქ, ხის სახლების უკვე ჩამუქებულ, ზღვარდაკარგულ ჩრდილებში, რაღაც უცნაური, შიშის მომგვრელი გრძნობით ავსებდა და ეს გრძნობა არც მარტო სახლამდე მიჰ-

ყვებოდა, ზოგჯერ ძილსაც უფრთხობდა ხოლმე.

სექტემბრის ბოლოს კი, როცა შურამ დარბაზის კარი შეუღო და განუცხადა, თეთრეული შეგიძლია წაიღოო, მარიკას გაეხარდა, გაეხარდა, ასე მოულოდნელად რომ მიეცა საშუალება ახლოს მისულიყო ლისთან, მის რეალურ არსებობაში დარწმუნება უნდოდა თითქოს.

მორზე ჩამომჯდარი ლი მესერს მიყრდნობოდა, თვალები დაეხუჭა და შავ ხილაბანდში გამოკრული თავი უკან გადაეგდო, მზისათვის შეეშვირა ფერმკრთალი, შეშუპებული სახე. მზეს კი მესერის ჩრდილი დაეკრა მისი სახისათვის და მხოლოდ მეჩხერ, ქარიფანქია წვერს და მუხლისთავებზე გადმოფენილ ხელებზე ედგა.

მესერის კუტიკარი მჭიდროდ იყო მიხურული და დაიბნა მარიკა, ვერ გადაეწყვიტა, გამოეღო იგი და ყვავილებს შორის დარჩენილი ვიწრო, ქვებით მოკირწყლული ბილიკით პირდაპირ სახლისაკენ წასულიყო, თუ აქედან შეეძახა შურასათვის. ეგონა, ეძინა ჩინელს და ფრთხილობდა არ გაეღვიძებინა იგი.

— თეთრეული გინდოდა? — თვალები არ გაუხელია ლის, ისე შეატოკა ქვედა ყბა და ააცანცარა წვერი. ხმა მაღალ რეგისტრში მოწრიპინე და ხრინწიანი ჰქონდა. თქვა და ჩაახველა, ხმის დაწმენდა უნდოდა თითქოს, — მალე გეახლებათ თუ სადმე არ გააბა ლაილაი, პურზეა გადასული.

მოულოდნელობისაგან შეკრთა მარიკა.

— მაშინ... — მერე შემოვივლიო, უნდოდა ეთქვა და ჩინელმა გააწყვეტინა.

— მერე იქნება ვერცა ნახო. შურა ის ქალია, სახლში ჯდომა რომ არ უყვარს, — ქუთუთოები შეარხია, თვალები ოდნავ გაიფართოვა და ღიმილიანი ყურადღება დასცდა მის შავ ნათებას, — მოუცადე.

ისეთი მოხერხებით გადაცურდა მორიდან იქვე, მესერის ძირში დაბუდებულ ბალახზე, ტანი ოდნავადაც არ შეურხევია, ხელებიც ისევ მუხლისთავებზე ეწყო.

„ადგილი დამითმო“, — გაიფიქრა მარიკამ. ადგილის დათმობა მარიკასთან საუბრის სურვილს ნიშნავდა და გოგოც დაჰყვა მის ნებას.

ძლივს მოახერხა მორზე ჩამოჯდომა და როცა ჩამოჯდა, იგრძნო როგორ შეიმართა მისი წვივები ჩინელის წვივების გვარად და როგორ დაუფარა მთელი ტანი. ხელის მტევნებიც სწორედ ისე გადმოეფინენ მუხლისთავებს, როგორც ლიმ იცოდა. ამ მორზე, რომელიც სულ ერთი მტკაველით აცილებოდა მიწას, სხვაგვარად ჯდომა შეუძლებელი იყო.

— რატომ ყვირი ამდენს, გგონია ყვირილით გააგებინებ ადამიანს იმას, რაც ისე არ ესმის?

— ისმის? — გაოცდა მარიკა.

— დარბაზში ატარებ გაკვეთილებს, დარბაზის ფანჯრები კი ჩემს სახლს გადმოსცქერის.

— ხომ შევაშინებ მაინც, არაფრის გაკეთება არ უნდათ.

— ვერც შეაშინებ. ისა ჰგონიათ, მასწავლებელი ყვირილისათვის არის გაჩენილი. ერთხელ ვიფიქრე, ავალ და ვეტყვი-მეთქი.

— ამობრძანება გინდოდათ? — აღელვა ამ უკარება კაცის ამდენმა ყურადღებამ.

— აღარ ამოვედი. შენ თვითონ მოხვიდოდი ჩემთან.

— ალბათ თქვენს მეუღლესთან ხშირად მომიწევს მოსვლა.

— შენ აქ იმიტომ ჩამოხვედი, ჩემს მეუღლეს თეთრეული არეცხინო? — გაეცინა ლის, „ჩემს მეუღლესო“, გადაპრანჭულად და დაცინვით წარმოთქვა.

— არა, — მოსწავლესავით სწრაფად და უაზროდ გასცა პასუხი.

— არც აქაური მუსიკალური სკოლის ბედი გაწუხებდა დიდად.

— ალბათ.

— არც ორმაგი ხელფასი გჭირდებოდა და არც სტაჟი.

— უველაფერი გცოდნიათ, — რამდენი უფიქრია ჩემზეო, ესიამოვნა.

— ვინც ააუ უკრავს, იმას არც ფული ჭირდება და არც სტაჟი.

— თქვენ იცით, როგორ ვუკრავ?

— აკი გითხარი, დარბაზში ატარებ გაკვეთილებს-მეთქი. დარბაზის ფანჯრები კი ჩემს სახლს გადმოჰყურებს.

— მისმენთ?

ჩინელს მოსმენა არასოდეს ყვარებია მარიკას, გუნებას უმძიმებდა ყოველთვის. თითქოს მხოლოდ იმიტომ აქებდნენ, მეტს რომ მოელოდნენ მისგან, მეტს მოითხოვდნენ, მეტის მიცემას კი შეძლებდა თუ არა, არ იცოდა, რადგან არც ისე იშვიათად მდგარა დაბნეული და უსუსური ჯერ კიდევ გუშინ სავსებით გათავისებული ნაწარმოების წინ. ჯერ კიდევ გუშინ როგორი თავისუფლებით იყო სავსე, როგორი სიცხადით გრძნობდა ყოველი ბგერის, ყოველი წერტილის, ყოველი რკალისა თუ ხაზის აუცილებლობასა და სიმართლეს. რა უშუალო და გულწრფელი იყო მისი „ტუშე" და როგორი განუსაზღვრელი სივრცეები იშლებოდა „შავი სანოტო ნიშნებით შემოფარგლული ფურცლების იქით. მეორე დღეს კი ყველაფერი დაკარგულიყო, გამქრალიყო, გადაკეტილიყო, არ ესმოდა არც ერთი ბგერა და რაც უფრო მეტად ატანდა თავს ძალას, მით უფრო აუარესებდა საქმეს. ისეთი განწირული აწყდებოდა კლავიატურას, როგორც ფრინველი ბადეს.

მაგრამ ეს ქება არ იყო. ეს გოგოს სურვილთა წიაღში შეღწევის ცდასა ჰგავდა და რადგან არ იცოდა რა დახვდებოდა იქ ჩინელს, მისი სხეულისა და სულის ბნელ ვიწროებში, სადაც მარიკასათვისაც და ალბათ უპირველესად მარიკასათვის ბინდით მოსილიყო ყველაფერი, შეუცნობელი და საშიში, ერთხელ რომ უკვე აჩვენა თავისი ყოვლისშემძლეობა, ჩვრად აქცია მისი ნება, ყოველგვარი წინააღმდეგობის არა მარტო ძალა, სურვილიც კი დააკარგვინა და მხოლოდ თავისთვის სასურველი /გზებით ატარა, გაუგებარი, ბნელი და ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული გზებით, ამ ქუნძულზე ჩამოიყვანა, ვაი, თუ რაიმე შეურაცხმყოფელი ეპოვა ლის, მით უმეტეს, რომ ადამიანისა და ცხოვრების მცოდნესა ჰგავდა და არც მოურიდებლობა აკლდა მაინცა და მაინც.

— საიდან იცით ამდენი, — თქვა უკმეხად.

— ნუ ჰირვეულობ, — ისევ გაეცინა ლის, — ყველა, ვინც რაღაცას ნიშნავს ცის ქვეშეთში, აქედან იწყებს. შენ იმიტომ ჩამოხვედი ჩვენთან, ეს ქალაქი უნდა გაგეცნო, მე გაგეცანი...

— აი, თურმე რისთვის ჩამოვსულვარ, — გულწრფელად გაიკვირვა მარიკამ. გაიკვირვა და ისე თავისუფლად, ისე გულიანად გადაიხარხარა, სახტად დატოვა ჩინელი, — რა უბრალოდ ახსენით ყველაფერი.

— არაფერი შენ არ გესმის, — სიცილი აუტყდა ლისაც, თვალები დაენამა ცრემლით.

დაძაბულმა წუთმა მშვიდობიანად ჩაიარა და ისინი დაუტკბნენ ერთმანეთს.

— ოროთახიანის ნაცვლად ერთოთახიანი მოგვცეს. მე შევსახლდი, იანინამ კი მუსიკალური სკოლა არჩია. ქვემო სართულზე ერთი განაპირა ოთახი იყო თავისუფალი, იქ ვიცხოვრებო. როზამაც არ უთხრა უარი. ჩემთან არ მოისურვა ყოფნა.

— იქნებ შენ გინდოდა მარტო ცხოვრება...

— ცალკე ყოფნა ყველას ურჩევნია.

— დონატი შენს სართულზეა?

— სამოთახიანში. ჩვენ დაგვიბრიყვეს მარტო. დიდ ამბებს აპირებს. ორი ოთახის გაერთიანება უნდა, სახელოსნო მჭირდებაო დიდი. ბოლო დღეებში კედლებს ანგრევდა იანინასთან ერთად.

— ქალიშვილი და სიძე რას აკეთებენ ამ დროს.

— ქალიშვილს პატარა ბავშვი ჰყავს, სიძეს კი ხმა არ გაუფუჭოს მტვერმა...

— მისგან მომღერალი მაინც არ გამოვა.

— რატომ.

— ყველაფერს დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ხმა უკანკალებს.

— დანარჩენი რაღაა.

— მარტო შენი დაკვრა კი არ მესმის მე, იგორის სიმღერის ხმაც გამოდის ხანდახან. «Люди гибнут за металл» — აკანკალებს თავის წვრილ ხმას ჩინელი, — ის კი არ იციან, თვითონაც რომ მაგგვარად იღუპებიან.

— ვითომ? — ეკვობს მარიკა.

— თუ სხვამ მოისურვა გამდიდრება, ს ხარბია, გაუმაძღარი, შეუბრალებელი, თუ თვითონ სურს ეს, მტკიცედ სჯერა, რომ კანონიერია სურვილი მისი.

— არა მგონია გამდიდრებაზე ფიქრობდეს, საიდან, რისგან, ვისგან.

— ღმერთმა ქნას...

— მე იანინასი მიკვირს. ადვილი საქმეა ჯერ კედლის დანგრევა და მერე იმისი ჩატანა ქვევით? წუხელ [illegible] ღამე ეზიდებოდნენ ვედროებით.

— დონატს ეგ უშველის ვითომ?

— რა, ეგ.

— კედლების ნგრევა.

— სახელოსნო მჭირდებაო დიდი. ნიჭიერი და განათლებული კაცი ჩანს. — სამაგიეროდ მეტისმეტად დიდ ყურადღებას აქცევს ხალხის ყბედობას, ფაციფუცაა და საკუთარ თავს გადამეტებული სერიოზულობით აღიქვამს. საკუთარი თავის დავიწყება არ შეუძლია.

— იანინა კი იკლავს თავს და... არ იღლება მაინც? ყოველ დილას ორ-ორი საათი მაინც უზის როიალს, მუსიკას სწავლის. რაღაცა მართლა სწავლა, სკარლატის სონატას უკრავს ქალი, ბახის ინვენციას... ნახა საქმე.

— ეეე... რამდენი რამ არ იცი.

— რა ხდება. — დაინტერესდა მარიკა.

— რაღაც ყოველთვის ხდება, — ჩაიცინა ლიმ. — მე ამის თქმა არ მინდოდა, როგორ ცნობისმოყვარე ყოფილხარ.

— რას ბრძანებთ, — ეწყინა მარიკას.

— სხვისი არასოდეს არაფერი არ მაინტერესებს.

— მერე. ეგ კარგი გგონია?

— ვერ გავიგე რა არის კარგი. ხან ასე ამბობთ, ხან ისე.

ლი ისევ იცინის და რა მხიარული კაციაო, — ფიქრობს მარიკა, რატომ ვერ ეგუებიანო, — უკვირს.

— ისე გატყობ, არ გიყვარს იანინა.

— ან რატომ უნდა მიყვარდეს, ან რატომ უნდა მძულდეს.

— არადა, კარგია, როცა გიყვარს, გიყვარს და ემსახურები. უნდა შეიყვარო და ემსახურო.

— რატომ, ვინ...

— არაფრისათვის და ყველა.

— როგორ...

— არ ვიცი როგორ, — ლი უცებ წყვეტს სიცილს, თვალებს ხუჭავს, ყუჩდება, თითქოს საკუთარ სხეულს უგდებს ყურს, მოულოდნელად შეძრულს, — არ ვიცი როგორ. მე ერთი რამ ვიცი მხოლოდ. ვისრუტავ იმ ჰაერს, რომლითაც სიყვარული სუნთქავს, ვიკვებები იმ წყლითა და პურით, რომლითაც სიყვარული იკვებება, იმ მზისა და ცის ქვეშ ვცხოვრობ, სადაც სიყვარულს დაუდია ბინა, ამიტომ ჩემშიც ფეთქავს მისი ნამცეცი, ერთადერთი სრულყოფილი და უხრწნადი, რაც გამაჩნია. იმას უნდა მიაგნო და თუ მიაგენი...

— დავუშვათ, მივაგენი, — მოწყალე ღიმილით დაჰყურებს მარიკა მოხუცის მუხლისთავებზე გადმოფენილ დაღლილ ხელებს.

— თუ მიაგენი... — ჩურჩულით იმეორებს ჩინელი.

„არტისტიც ყოფილა", — ფიქრობს მარიკა და იცინის.

— უნდა მიაგნო და მიჰყვე...

— თქვენ თუ მიჰყვებით...

— განა ყველა მხიარულია, ვინც იცინის...

— თქვენ ისე მშვენივრად ლაპარაკობთ...

— ვინც იცის, ის არ ლაპარაკობს, ვინც ლაპარაკობს, მან არ იცის.

— არა მგონია, თქვენ გეცოდინე-ბათ...

კიდევ ერთხელ ჩაიცინა ლიმ.

— სიბრძნე სიმშვიდეს ბადებს და არა სევდას.

მუსიკალური სკოლისაკენ ღიმილით წავიდა. როგორ ამალაპარაკა, მგონი ცოტა წავიჭორავეთ კიდეცო, — ფიქრობდა. სადღაც გამქრალიყო ის მოკრძალება თუ შიში, ჩინელი რომ ბადებდა მასში. არც ის აწუხებდა შურა რომ არა და არ გამოჩნდა და უთეთრეულოდ ბრუნდებოდა უკან.

მაგრამ, როცა მოსაღამოვდა და მარიკამ დარბაზის ფანჯრებიდან კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ლის, უწინდებურად უცხო და შორეული ეჩვენა იგი. თითქოს იმდღევანდელი შეხვედრა საერთოდ არ არსებულიყოს.

დღის შუქი ის იყო ლაფავდა სულს. მიწიდან წამოსული ბინდი, შეუმჩნევლად სქელდებოდა, მიიწევდა მაღლა, ჯერ ისევ ფეთქავდა ლი, ფეთქავდა მისი წვერი და ხელები, შავი ხილაბანდით წაკრული თავი. ნელა, ძალიან ნელა იხვევდა ბინდს, ნელა, ძალიან ნელა ითქვიფებოდა მასში, ნელა, ძალიან ნელა კარგავდა სიცხადეს მისი ხორციანი, ხორციანი კი არა, შეშუპებული სხეული. ბინდმორეული ჰაერი საშრობი ქაღალდივით იწოვდა მის რეალობას და სადღაც, საიდუმლოებით მოცული გზებისაკენ მიაქანებდა. ისიც, დაფიქრებული და სევდიანი, ემორჩილებოდა ძალადობას, მაგრამ არა, ეს არ იყო ძალადობა, ეს ჩინელის სულის ერთადერთი სურვილი იყო, ერთადერთი ნუგეში; მას სურდა გამქრალიყო.

და იგრძნო მარიკამ, რაღაც ტანჯავდა მოხუცს და ეს ტანჯვა ის ძაფი იყო, რომლითაც იგი ასე ტრაგიკულად უკავშირდებოდა დამბადებელს.

ვერა, ვერ შეელეოდა სული მისი ამ ტკივილს. იგი ამ ტკივილისათვის გაჩენილიყო, ამ ტკივილისათვის ცოცხლობდა. ის იყო ერთადერთი ღირებული რამ, რაც გააჩნდა, რასაც უნდა მოეკლა და რაც უნდა ხლებოდა თან მის სულს სიკვდილის მერეც, ეს ტკივილი იყო მისი უკვდავება.

მერე უცებ ჩამობნელდა და ჩინელის სხეული გაქრა. მაშინღა მოაგონდა მარიკას მოხუცის სიტყვები. განა ყველა მხიარულია, ვინც იცინისო. მაშინ იგრძნო ამ სიტყვების მთელი განწირულება და შერცხვა. თვალნათლივ დაინახა, როგორი ქარაფშუტა და თავხედი იჯდა იგი ლის გვერდით ლისავე მორზე, როგორ დასცინა როცა თავი გაუყადრეს, თავისუფლება მისცეს...

იმ ღამეს გვიან დაწვა. სკოლისათვის განკუთვნილ მუსიკალურ ლიტერატურას ათვალიერებდა დიდხანს, მერე, რატომღაც, თავისი ბავშვობა გაახსენდა და სევდა უფრო მოეძალა.

ბავშვობა ჩვეულებრივი, ყოველგვარი სათავგადასავლო ამბებისაგან განთავისუფლებული ჰქონდა, მაგრამ იმ ღამეს მოსაგონარი მაინც გამოინახა, მოსაგონარს მაინც მიაგნო მისმა შეწუხებულმა სულმა. თითქოს ჩინელთან დაკავშირებული გულის ტკენა არ იყო საკმარისი, თითქოს მეტი ნაღველით სურდა ავსილიყო...

. . .

იმ წელს პირველად მიდიოდა სკოლაში.

ახსოვდა, ფანჯრის რაფაზე როგორ ჩამოედო თავი და ღამეს ზვერავდა. ჯერ მხოლოდ ბნელ კედელს ხედავდა, ფანჯრის წინ ამოყვანილს, მერე წვიმა დაინახა. წვეთები ისეთი სიფრთხილით ეშვებოდნენ მიწაზე, თითქოს სიბნელისა ეშინოდათ. ტყეც ბნელი იყო, აკვარელის საღებავივით იღონებოდა ღამის სველ შუქში. მინდვრის ბოლოს აივნიანი თეთრი სახლი, აგარაკის მაღაზია ლაქად დამჩნეოდა ღამეს.

სიგრილემ დაუსუსხა შიშველი მკლავები. სასთუმალზე მიწვა, საბანი წაიფარა და კიდევ დიდხანს უსმენდა წვიმის გამაბრუებელ ხმაურს.

სისხამზე გაეღვიძა. ვერ გაარჩია წვიმა ხმაურობდა ისევ თუ ტყეს არხევდა ქარი. წვიმას გადაეღო. ბინდს ბზარი გასჩენოდა. ბზარის სიფერმკრთალეში

ტყის აეურული თავი ტოკავდა. მისი შრიალი აცოცხლებდა დილაბინდის მოდუნებულ მაჯისცემას. ჰაერში სველი მიწის გრილი, ნედლი სუნი იდგა. ბინდი ნელა ეშვებოდა მიწისაკენ, იბლანდებოდა ტყის დატოტვილ სხეულში. მერე დილის ნესტიან ჰაერში გაითქვიფა და გოგომ დაინახა ხეთა განთავისუფლებული ტანები.

სწრაფად ისაუზმა. არ უჭირვეულია. კვერცხის გულსაც კი არ აარიდა პირი.

მალაზიამდე ათრეული ნაბიჯით იარა. მზე იკბინებოდა. წუხანდელი წვიმა მძივად ასხმულიყო ბალახზე. მალაზიის უკანა კართან შედგა, სწორედ იქ, სადაც ერთმანეთზე შეელაგებინათ ხის ცარიელი ყუთები. იქაურობა მოათვალიერა. შორიახლოს პატარა ჭალლი დასდევდა მწერს, სასაცილოდ დახტოდა. შორს, რომელიღაც აგარაკის წინ, ჰამაკში ვიღაც ირწეოდა.

თითისწვერებზე შედგა და რომელიღაც ყუთი დაითრია. ყუთების მთელი სვეტი შეტოკდა, გადმოიხარა და ხმაურით გაიშალა მიწაზე. გოგომ გვერდზე გახტომა ძლივს მოასწრო. შეეშინდა, მაგრამ არ გაქცეულა. ყველაზე ახლოს დაცემულ ყუთს ჩაავლო ხელი და გაიქცა. ყუთი გზადაგზა იშლებოდა და რაც უფრო ჩქარა გარბოდა, მით უფრო მეტად რახრახებდა. მინდორი ჩაათავა. მალაზიისაკენ გააპარა თვალი. მისთვის არავის ეცალა. იქვე ჩაცუცქდა და ყუთი ფიცარ-ფიცარ დაშალა. ფიცრები მკლავებზე დაილაგა, ღელისაკენ გაიქცა და ბუჩქნარში შეძვრა.

ღელე დამშრალი იყო. ღელეს იქით, ფერდობზე, ახალგაზრდა ტყე შეფენილიყო, ტანწვრილი და ხშირი. პატარა, სუსტი ტოტები ვერ აკავებდნენ მზეს და ბალახიან მიწაზე უხვად ეფინა ნათელი ლაქები. მზეში ტყე უფრო ნაზი, უფრო სუსტი ჩანდა.

სახლიდან ქურდულად წამოღებულ დანას, პერანგში რომ ჰქონდა გამოკრული, პირი მოუსინჯა და უკმაყოფილება დაეტყო...

წინა დღის და-ძმის ლაპარაკისათვის მოეკრა ყური, გზისაქეთა აგარაკის ბავშვებს ეომებოდნენ გზისიქითელები. მაღლა, ტყეში შტაბიც ჰქონდათ [illegible] იარაღს მალავდნენ თურმე.

თუმცა მარტოც მშვენივრად ერთობოდა, ხან ხატავდა, ხან კენჭებით თამაშობდა, ხანაც მეზობლად დასახლებული ბებიისა და შვილიშვილის კნუტთან ატარებდა დროს, უყვარდა ის კნუტი, მაინც აღელდა, ომობანას თამაშში ჩაბმა მოისურვა და ის გაიფიქრა, ფიცრებისაგან ხმლები რომ გამოვთალო და ვახტოს მივცე, ნამდვილად მიმიღებსო რაზმში.

...სადილობამდე ფიცარი თალა. ხმალს სახელურიც გაუკეთა. საქმე რომ მოათავა ნახელავი მოსინჯა, ესიამოვნა, მსუბუქი, ადვილად მოსაქნევი გამოსულიყო. მერე დაიხედა ხელებზე. თითებშუა წყლულები გასჩენოდა, ტკიოდა.

მომდევნო დღესაც დანა ეჭირა ხელში. ცდილობდა წყლულებისათვის აეცილებინა იგი. საქმეში გაერთო და ტკივილი დაავიწყდა. წყლულები დასკდა და წებოვანმა სითხემ ხელისგულებზე გადმოჟონა.

შებინდებისას დაბრუნდნენ ვახტანგი და ნინიკო. აივნის კუთხეში აჩურჩულდნენ. უხმოდ გაუწოდა ხმლები ძმას.

— მიმიღეთ რაზმში.

— სისულელეა. დაფქვავ ყველაფერს.

— არ დავფქვამ.

— გაწამებენ და დაფქვამ. ხმლებს კი დავიტოვებ. გამოგვადგება.

ზურგი შეაქცია, ჰამაკისაკენ წავიდა.

ფეხზე რაღაც რბილის შეხება იგრძნო. წვივზე აბობღდებოდა კნუტი. ამოიგმინა, თავით დაითრია, თათებში ჩაავლო ხელი და ხის ხორკლიან ტანს შემოჰკრა. უცებ მოიქანცა. თითქოს გადმოაპირქვავეს და გადმობერტყესო საგულდაგულოდ. ისეთი სიცარიელე იგრძნო. კნუტი მძიმედ ესვენა ხელში. შეეშინდა. ხელი გაუშვა. მიწაზე დაეცა კნუტი. მაშინვე წამოხტა. ჯერ ხეს

ეცა თავბრუდახვეული, მერე მიმართულება შეცვალა და გაქრა.

სხეული დაძაბა და ღრმად ჩაისუნთქა. მკერდი ჰაერით აევსო, ხველა მოეძალა. ამოიხრიალა. თვალებზე მოადგა ცრემლი. წარბები აჭიმა. ქუთუთოები რომ არ მოხუჭოდა და ცრემლი სახეზე არ გადმოღვრილიყო.

გამთენიისას თბილმა სასთუმალმა და ოფლიანმა კისერმა გამოაღვიძა. გვერდის შეცვლა სცადა და მხოლოდ თვალების გახელა შეძლო. ახლა კი ვერაფერი მოუხერხა ცრემლს, ნაკადად რომ გადმოედვარა სახეზე და ყვრიმალები აუწვა. ვაი-ვაგლახით დაითრია დამძიმებული ტანი, წამოჯდა და ღია ფანჯრიდან გასძახა სიბნელეს.

— ფისო...

ახლაც კი, როცა ათეულ წელზე მეტი ჩამდგარიყო მას და იმ ხმლებს თუ კნუტს შორის, სინდისის ქეჯნის სიმწარეს ვერაფერს უხერხებდა...

მეორე დღეს, დილით, როცა კიბეზე ჩადიოდა და გულდაწყვეტილი ისევ იმაზე ფიქრობდა, ჩინელს ალბათ ვეღარ დავენახებიო, დონატს გადაეყარა.

— სკოლისაკენ? — ჰკითხა დონატმა და ჩაიცინა. — წუხელ დიდი ამბის მოწმე გახლდით მე და იანინა.

— ისევ კედელი ჩაგქონდათ ქვევით?

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს და კედლის ჩატანას მოვრჩით. ახლა გაჯი ამოგვქონდა. გალესვა ხომ უნდა.

— გალესვითაც თქვენ უნდა გალესოთ?

— ვცდი.

— არაფერია იმაზე კარგი, როცა კაცს ყველაფერი ეხერხება.

— ჰოდა, სადარბაზოში ვალერის შევხვდით.

— ვინ არის ვალერი?

— არ იცნობ? — დაეჭვდა დონატი. — შენი ნებაა... ვალერი არტემის ხნისაა, არტემთან მუშაობს და მშვენიერი მამაკაცია. ამბობენ ძალიან ლონიერიაო და მჯერა... მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.

— რატომ, აქვს...

— მთელი ტომარა გაჯი თვალისდახამხამებაში ამოგვირბენინა, თუმცა მთვრალი იყო.

ბიბლიოთეკა

— ვალერის სმაც ყვარებია.

— არც ესაა მთავარი.

— იქნებ გამიმხილოთ, რაში მდგომარეობს მთავარი.

— ის შენთან მოდიოდა და ხელცარიელი არა.

— ჩემთან?

— წითელი თავსაფარი და სუნამო მოჰქონდა საჩუქრად.

— ჩემთვის?

— ასე გამოდის.

— თქვენ ისეთი ყურადღებიანი ხართ, გეცოდინებათ, რომელი სუნამო იყო.

— რატომაც არა. „წითელი მოსკოვი".

— წითელი ფერი ჰყვარებია ვალერის. თუ მოდიოდა, რატომ არ მოვიდა.

— იანინა გადაუდგა წინ. ახლა გვიანია და თანაც ნასვამი ხართო.

— საჩუქრებიც უკან გაატანა? ეს რა უქნია.

— დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ საჩუქრები იანინას მიაჩეჩა შენთვის გადმოსაცემად, თან ხელზე ამბორი დაავალა. დღეს მოგართმევს ალბათ. თანაც, იანინასთან იჩხუბა.

— რატომ...

— მარიკასთან იმიტომ არ მიშვებ, ვიღაც ჰყავს ალბათო.

ახლა კი დაიჯერა.

სკოლაში შესვლისთანავე როზას შეეფეთა. დირექტორს სადღაც აგვიანდებოდა და ჩქარობდა.

— დღის ბოლოს ჩემთან შემოხვალ.

— ესროლა მარიკას.

პირდაპირ დარბაზისაკენ წავიდა. მოსწავლე უკვე მოსულიყო და გამებს ურახუნებდა.

მერე იანინამ შემოუღო კარი და გაიღიმა.

— რა არის ახალი, — ჰკითხა მარიკამ.

— რა უნდა იყოს.

— წუხელის დიდი ამბის მომსწრენი ყოფილხართ.

— მაინც გითხრა? — ეწყინა იანინას, — ვთხოვე. არაფერი წამოგცდეს-მეთქი...

— რატომ... არ უნდა ვიცოდე, რა ხდება ჩემს გარშემო?

— არაფერიც არ ხდება. უბრალოდ, ნასვამი იყო. რა ჭკუა მოეკითხება ნასვამს.

— არ ვიცნობ, არ მიცნობს. ასეთი არაფერი გამიგია.

— შეიძლება სადმე მოგკრა თვალი და... მთვრალი... ხომ იცი...

— საჩუქრები რატომ დაიტოვე... არაფერი არ ვიცი მე...

— არ მინდოდა ხმაური აეტეხა, წყნარად გავისტუმრებდი. ისე დავუბრუნებდი იმ რაღაც თავსაფარსა და სუნამოს უკან. შენ ვერ გაიგებდი ვერაფერს.

— რატომ არ უნდა გამეგო არაფერი...

— გაიგე და ხომ ხედავ, ნერვები აგეშალა. რა საჭირო იყო...

— ის რაღა იყო, ვიღაცა ეყოლებაო...

— ეგეც გითხრა?

— როგორც ხედავ, მითხრა.

— რა უნდა ეთქვა, იმიტომ, რომ ვალერი კარგი ადამიანია და მთვრალი რაღაცას ჩაიბურტყუნებს, რა სალაპარაკოა. მერე შეიძლება დამეგობრდეთ კიდეც და რატომ უნდა გქონდეს ხინჯი გულში.

— საიდან იცნობ ასე კარგად იმ კაცს.

— კარგად არ ვიცნობ, მაგრამ თავიდანვე ცუდი რატომ უნდა ვიფიქრო ადამიანზე.

— შეურაცხყოფილი მე ვარ და შენ ვალერის იცავ?

— ჩემი დასაცავი არავის არაფერი ჭირს. დონატმაც ალბათ იმიტომ გითხრა, შენი გამხიარულება უნდოდა.

— რაა?

— ის, რომ ამაზე მხოლოდ გაცინება შეიძლება.

— სიცილი არ ვიცი მე. დაუბრუნე ყველაფერი და რაც შეიძლება ჩქარა. ახლავე. ამ წუთში...

— ამ წუთში არ შემიძლია. მოსწავლეს ველოდები.

ეროვნული

მერე მოსწავლეც შემ[illegible] ნამ გაკვეთილს დაიწყებდა, ფანჯრიდან გადაიხედა. ჩინელი ჯერ არ გამოსულიყო გარეთ.

— მენუეტი, — ბრძანა.

— გამები?

— გამები ბოლოს.

შესვენებაზე, რომელიც პირველის ნახევრიდან ორ საათამდე ჰქონდა, სადილობდა. იმ დღეს კი არ უსადილია, როგორც კი პირველი ცვლის უკანასკნელი მოსწავლე გაისტუმრა, გამოკეტა დარბაზის კარი და ჩინელთან წავიდა. თუმცა, იმას ფიქრობდა, სირცხვილით როგორ უნდა დავენახოო, მაინც წავიდა, რადგან წაუსვლელობა არ შეეძლო.

წუხანდელიდან გამოყოლილ ნაღველს დილანდელ ამბავთან ერთად ისიც დამატებოდა, დღის პირველ ნახევარში უგულისყუროდ რომ ჩაატარა ექვსივე გაკვეთილი.

გუნებაწამხდარი მიადგა ლის.

— გუშინ მშვენიერ გუნებაზე გაგიშვი და ეს რა დაგმართნია, — სიცილი შეაგება ლიმ.

მარიკა აღელდა და დაიბნა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო, ის იყო, რომ ალაპარაკდა, ალაპარაკდა სწრაფად და ხმამაღლა, მკაცრად და კატეგორიულად, მაგრამ დაუფიქრებლად, გაუაზრებლად. ლაპარაკობდა და გრძნობდა, იმას არ ამბობდა რაც აწუხებდა. ყველაფერი, რისი გაგებაც შეიძლებოდა მისი ენერგიულად ამოხეთქილი ხმიდან, რომლის დატეხვასა და სიტყვების გარსში მოქცევას ძლივს ასწრებდა ენა, ნაკლებადმნიშვნელოვანი იყო და არ იმსახურებდა ამდენ აღელვებას, ხოლო იმის თქმა, რაც აწუხებდა, ძნელი იყო, ძნელი კი არა, შეუძლებელი, თვითონაც არ იცოდა, თვითონაც ვერ გაეგო იგი.

ლი ყურადღებით უსმენდა, მოუხელთებელი ღიმილი ედგა მოჭუტულ თვალებში.

— დონატი, დონატი... — ჩაილაპარაკა, როცა ბოლო სიტყვაც ამოხეთქა

მარიკას სხეულმა, შედგა და ამოისუნთქა.

— დონატი რა შუაშია. არ უნდა მცოდნოდა? იანინას კი დამალვა უნდოდა. ასეთი რამის დამალვა შეიძლება? ხვალ რომ უარესი ჩაიდინოს? უგემური და უფერულია ეგ გოგო. ყველაფერში სხვას ემორჩილება. თავისი არაფერი გააჩნია. როგორიც თვითონაა, ისეც უკრავს. სულელი.

— იანინა წყალივითაა. — წყნარად ალაპარაკდა ლი, — იგი ფერსა და გემოს შეიძლება მოკლებულია, მაგრამ ყველა გემოსა და ფერის საწინდარია მაინც. იგი ყველაშია და ყველაფერში. არ არსებობს საგანი, რომელიც არ ისწრაფვოდეს სრულყოფისაკენ, საკუთარ შესაძლებლობათა საბოლოო ამოწურვისაკენ. და იცი, რატომ? იმიტომ, რომ მათში დგას წყალი.

— თქვენ ისე გაუგებრად ლაპარაკობთ...

— არაფერია, გაიგებ. წინ დიდი გზა გაქვს გასავლელი.

— თქვენ არ გიყვართ დონატი. მე გუშინაც შევნიშნე ეს. ამიტომ ასხამთ ხოტბას იმ გოგოს.

— რა შენიშნე, — ლი ჩვეული მოხერხებით გადაცურდა მორიდან ბალახზე.

მარიკა უსიტყვოდ ჩამოჯდა მორზე. ჩამოჯდომა ისევ გაუჭირდა. მაგრამ როცა ხელები შემართულ მუხლისთავებს გადააწყო, რალაცნაირი შვება იგრძნო. თითქოს მოქანცული იყო და დასვენების შესაძლებლობა მიეცა. ვერ გაიგო, გუშინდელივით როგორ გაიშინაურა ჩინელმა იგი, რა საშიში თავისუფლებით ალქურვა.

— არ ვიცი, არ ვიცი, — თავისი გააგრძელა ისევ, — თქვენ თქვით, რომ უნდა მიყვარდეს ყველა. მითხარით, როგორ უნდა მიყვარდეს ყველა, როცა, არ მიცნობს, არ ვიცნობ და მთვრალი, გატიალებული...

. . .

იმ დღეს კიდევ ერთხელ გააკვირვა მარიკა.

დღის ბოლოს დირექტორთან შევიდა. კაბინეტში მოეყარა [illegible] ყველა პედაგოგს. მამაკაცები[illegible]და ოთახში სიგარეტის ბოლი იდგა.

როგორც კი შევიდა, მაშინვე მიახალა როზამ.

— დილით აგვიანებ ხოლმე. მშობლები უკმაყოფილოები არიან.

— დიდი-დიდი ხუთი წუთი დამაგვიანდეს, — გაეცინა მარიკას. — ხუთი წუთისათვის?

— არიან ისეთებიც, ნახევარ წუთსაც რომ არ გაპატიებენ.

— მარიკამ რომ მუშაობა იცის, ბევრი ვერ დაიკვეხნის, — ჩაერია იანინა.

— არა მჭირდება მე შენი დაცვა.

— ამაში არავის ეპარება ეჭვი, მაგრამ ეცადე, აღარ დააგვიანო.

— რომლის მშობელი იყო.

— ეხლა, რომლის, — გაეღიმა როზას, — საჩხუბრად კი არ მითქვამს.

— არ მეტყვი?

— არა.

— გეშინია, არ გადავემტერო?

— ადრე ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა ისეთი სახე გაქვს...

— ვისთვის არ უჩივლიათ, — გაეცინა ვადიმს, ბაიანისტს. იგი მხოლოდ იმით იქცევდა მარიკას ყურადღებას, „შიპრის“ გადამეტებული ხმარება რომ იცოდა. გაივლიდა ვადიმი დერეფანში და უკან ოდეკალონის მძაფრ სუნს დატოვებდა, თვითონ მოეფარებოდა თვალს, სუნი კი კარგა ხანს ხუთავდა დერეფნის ისედაც დაგუბებულ ჰაერს.

— ფანჯარა მაინც გამოაღეთ, — თქვა ზიზლით მარიკამ.

— ეს კიდევ არაფერი.

— მაპატიეთ, დაუკითხავად შემოვიჭერი თქვენთან, — გაისმა მამაკაცის ხმა და ფანჯრისაკენ მიტრიალებულებმა კარისაკენ ჰქნეს პირი.

— ოო, ვალერი, რამ მოგიყვანა, — გაეცინა როზას.

— ვატყობ, იცი, რამაც მომიყვანა, — გაეცინა ვალერისაც.

— ნათელმხილველი ხომ არა გგონივარ.

— ნათელმხილველი არა. ქალაქის მესაიდუმლე კი ხარ. გამიგია.

— შენს საიდუმლოს ჯერ არ მოუღწევია ჩემამდე.

— მჯერა. მჯერა...

— დასვით ვალერი. — ბრძანა დირექტორმა.

— დაჯდომის ღირსი არა ვარ. — კართან აიტუზა, საშუალო სიმაღლისა იყო, ღიმილიანი სახე ჰქონდა მაშინაც, როცა არ იღიმებოდა. — ღმერთმა დამიფაროს, ცუდს ვერაფერს ვიფიქრებ ვერც იანინაზე და ვერც დონატზე, მაგრამ ვიცი, რომც არაფერი თქვან მათ, ჭორი მაინც გავრცელდება. პირდაპირ ჰაერიდან იყონება ეგ ოხერი. — ჯერ მხოლოდ როზას უყურებდა. მერე კაბინეტს მოავლო თვალი და ერთი წამით მარიკაზე შეაჩერა მზერა. ისევ გაიღიმა და გაჩუმდა.

— მერე. ჩვენ რა ჭორიკანები მოგვნახე.

— მე აქ ჭორიკანებს კი არა, პატიებას ვეძებ. წუხელის ნასვამმა სისულელე ჩავიდინე და არ მინდა ამით რაიმე დავუშავო ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობ.

— შენ კი იცნობ, ის არ გიცნობს, თორემ, — ღიმილი არა სცილდებოდა როზას სახეს.

— მეც არ ვიცი, როგორ დამემართა ეს, სამაგიეროდ ის ვიცი, ბოდიში რომ უნდა მოვუხადო ამ პატიოსან ადამიანს ყველას წინაშე.

— თუ შეიძლება ის... მოკლედ, იანინა დაგიბრუნებთ...

— რა თქმა უნდა, — წამოწითლდა ვალერი.

მერე იანინას გაჰყვა.

როზა ფანჯარასთან მივიდა.

— ოჰ. არტემი უცდის დაბლა.

მალე ვალერიც გამოჩნდა. სწრაფად, თითქმის სირბილით უახლოვდებოდა არტემს და ისეთი მსუბუქი იყო, ისეთი ლაღი... ბავშვსა ჰგავდა, გახარებულს იმით, თავისი არეული საქმეების მოწესრიგება რომ შეძლო.

არტემმა მაღლა ამოიხედა. ღია ფანჯარაში მდგარ როზას მხიარულად დაუქნია ხელი და ამხანაგს გა[illegible]

არა. ვალერიზე აღარ [illegible] რიკა. ახლა დონატზე იყო გაავებული. თითქოს მის წინაშე დანაშაული ვალერის კი არა, დონატს ჩაედინა. დონატს, რომელსაც ადამიანის უნებლიე, დაუფიქრებელი ნაბიჯი ეჭვიანი სუნთქვით გაეყოლინთა და ისე გამოეფინა საქვეყნოდ.

. . .

მეორე დღეს, შესვენებისას, რესტორანში წასვლის მაგიერ ისევ ლისთან ჩავიდა.

— თქვენ მართალი ხართ, დონატი არაფრად არვარგა. — უთხრა.

— მე ეგ არ მითქვამს და არც არასოდეს ვიტყვი.

— აბა, გუშინ... მაგრამ ეს ხომ ასეა.

— ეს არაა ასე და საერთოდ, ადამიანის გაწირვა, ვინც არ უნდა იყოს ის, არ შეიძლება.

— რატომ.

— გაწირავ და უამრავ ისეთს დაკარგავ, რაც გიყვარს.

— თქვენ იმის თქმაც შეგიძლიათ, შეიყვარებ კაცს და უამრავ ისეთს ვერ დაინახავ, რაც გძულსო. გიყვართ ასეთი ლაპარაკი, შეგატყუეთ.

— შემიძლია, — გაეღიმა ლის.

— მაშინ, ვერ გამიგია, მიყვარდეს თუ მძულდეს. ორივე შემთხვევაში ვკარგავ.

— არ უნდა იყო ასეთი სწორხაზოვანი. ბუნებასთან დამოკიდებულების ერთადერთი სწორი გზა მრუდეა.

— დონატი ბუნებაა?

— ადამიანიც ბუნებაა, მისი სისხლი და ხორცი.

— მაშინ, არც იანინაა მართალი. მას უყვარს.

— უყვარს?

— უყვარს. თქვენ იანინას ყოველთვის იცავთ. ის კი დონატისნაირია. ერთნაირები ერთად შეიყარნენ.

— შენ ისევ სწორხაზოვანი ხარ. უნდა იცოდე, თუ რაიმეს განადგურება

გინდა, ჯერ უნდა გაათვართოო, გაამაგროო.

— იანინას დონატის განადგურება უნდა? — გაოცდა გოგო, — თქვენ არ იცით, თქვენ არ გინახავთ ისინი ერთად...

— მე ის არ მითქვამს დონატის განადგურება უნდა-მეთქი. დონატის გადარჩენაა საჭირო.

— როგორ, რომ ემსახურება, იმით? გადაბრუნებულს ერთ სიტყვასაც არ ეტყვის.

— ასეა.

— საოცრება თუ გინდათ... ეს ხომ პირიქით აფიქრებინებს კაცს, ყველაფერში კარგი ვარო.

— მე რა გითხარი, ჯერ უნდა გააფართოოს, გაამაგროს-მეთქი.

— მიჭირს თქვენი სიტყვებიდან აზრის გამოტანა, მაგრამ დავუშვათ ასეა. თქვენ გგონიათ ეს იცის იანინამ?

— არ იცის და არც არის საჭირო, იცოდეს. უნდა გიყვარდეს და თუ გიყვარს, შენდობაც შეგიძლია.

— სულ ესაა?

— გეცოტავა?

— სიმართლე გითხრათ...

— ნიჩქისიალოს თორმეტი ვაჟი ჰყავდა. უფროსს სილოციუსს ეძახდნენ, იგი ხეების წინაპარი იყო, მეორე, ხაიკეჩეუ, სალათის მფარველი, მესამე, ვამაციე, პოლოკის წინაპარი გახლდათ, მეოთხე, მეცზიციაცე — ხავსის, მეხუთე, ცზიაოელო — ველური ბალახის... როგორც ხედავ, ყველაფერი მოდის ერთიდან.

— ვინ იყო ის, ნიჩქი...

— ნიჩქისიალო ჯადოქრის შვილი გახლდათ. იგი ურჩხულის წელს, ურჩხულის თვეს, ურჩხულის დღესა და ურჩხულის საათს დაიბადა. ხედავ, როგორ მახსოვს ბავშვობისდროინდელი ზღაპარი. მითხარი, არ გენატრება შენი სახლი?

— ჯერ ეხლა არ ჩამოვედი? — მხრები აიჩეჩა მარიკამ, უცნაურად შეუქანდა გული. თითქოს ჩაწვდა კიდეც და ვერც ჩაწვდა ჩინელის სადარდელს, — ჯერ ეხლა არ ჩამოვედი?

მერე გაბედა და შეჰკადრა კაცს.

— რატომ არ დაბრუნდებით?

— რატომ არ დავბრუნდი ორმოცი წლის მერე?

— თუნდაც...

— ორმოცი წლის მერე დაბრუნება აღარ შეიძლება.

რატომაო, აღარა ჰკითხა. რამდენჯერ უნდა ეკითხა, საზღვარი ხომ უნდა ჰქონოდა მის მიუხვედრელობას თუ არა, თავშეუკავებლობასა და უზრდელობას მაინც.

— სამშობლოს მიწაზე ვივლი და მაინც მონატრება მომკლავს, — თითქოს მიუხვდაო გოგოს, თქვა ჩინელმა.

შეიძლება ასეც ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ მტკიცედ სჯეროდა მარიკას, დიდ სურვილს რომ მაინც ეწერა ახდენა, მთელი სამყარო რომ აღდგომოდა წინ. მთავარი იყო ამ სურვილით ყოფილიყავი სავსე.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა, ან საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ამ გზებით უნდა ევლო თვითონაც, რომ დანაშაულის ტვირთი მასაც გაუმწარებდა სიცოცხლეს, მასაც აგრძნობინებდა საკუთარ უსუსურობასა და რაც არანაკლებია, სიმდაბლეს თვისას.

— და თუ გყავს, ძმა, — რადგან ერთხელ დაიძრა ყინული, შეჩერება ძნელი იყო.

ორივე.

— მე და მყავდა მხოლოდ. თერთმეტი წლისა ვიყავი დაო-ცო რომ დაიბადა. იცი, რას ნიშნავს დაო-ცო? საიდან გეცოდინება, დიდ შეცდომას. მშობლები ხანში იყვნენ შესულები, როცა დაო-ცო გაჩნდა. ამიტომ შეარქვეს ეს სახელი. სკოლაში წავიდოდა და სახელს გამოუცვლიდნენ. მოსწავლეებს სკოლის უხუცესი მასწავლებელი არქმევდა მუდმივ სახელს. სახელის შერჩევა ჩვენში მეტად სერიოზულ საქმედ ითვლებოდა. ნეტავი, რა დაარქვეს დაოცოს, — ჩინელმა ისევ ბალახზე გადაცურება დააპირა და მარიკამ დაასწრო, ფეხებთან ჩაუცუცქდა.

— ასე მირჩევნია. — ჩაცუცქდა და

შეაჩერდა ჩინელის შეშუპებულ, მეჩხერი წვერით დაცვარულ სახეს, თვალებს, ვიწროსა და ჩამქრალს.

— საწყალი დაო-ცო... პატარაობიდანვე უბანდავდნენ ტერფებს. ფეხის გულისაკენ უკეცავდნენ ერთი ციცქნა თითებს და ისე მჭიდროდ უბანდავდნენ, ტკივილისაგან ღამეები არ ეძინა, კვნესოდა, ბორგავდა. გამთენიისას თუ მიეცემოდა თვლემას. ყოველ კვირა უცვლიდნენ სახვევს და ასე უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ ტერფი რკალის ფორმას არ მიიღებდა. ლამაზად სწორედ ასეთი ტერფი ითვლებოდა. შეიცოდებდი გოგოს, არ დაუბანდავდი ტერფებს და ქალიშვილობაში შესულს იქნებ ესაყვედურა კიდეც მშობლებისათვის, ვინ იცის.

— თქვენც გამოგიცვალეს სახელი?

— რა თქმა უნდა. პატარაობაში შუანერს მეძახდნენ. შუან-ერი ნასკვს ნიშნავს. იმიტომ თუ შემარქვეს ასე, შეთვისებული ვყოფილიყავი ოჯახთან, არსად გადავკარგულიყავი... რამდენი დღესასწაული გვქონდა... ახალი წელი, წითელი ახალი წელი, ათასნაირი ფანრებითა და შუანსიებით სავსე. ყველაზე მეტად „დრაკონის ფანრები“ მიყვარდა. ისინი მეჭირა ხელში, როცა დრაკონის ცეკვას ვცეკვავდი. ახლა „ფანრების დღესასწაული“, „მოსავლის დღესასწაული“, „ჩენიანი“, „დუანდუ“... ლი ნელა და გაუბედავად ლაპარაკობდა, ბევრი რამ ალბათ აღარ ახსოვდა, მაგრამ ისიც კი, რაც ახსოვდა, ტკივილით მოარღვევდა ზედდაწოლილ წელთა არაფრისმთქმელ ბინდს, — ნამდვილი არტისტი იყო ყველა, ნამდვილი არტისტი...

ზოგჯერ მგონია, ყველ[illegible] არ არსებობს, მე თვითონ შევთხზე საკუთარი თავი რომ დამერწმუნებინა ვარსებობო. ჩემს სიცოცხლეს არა ჰქვია სიცოცხლე, არც ჩემს სიკვდილს ერქმევა სიკვდილი. სიკვდილი ისაა, მშვიდი სულით რომ ჩაბარდები არყოფნას. მე კი სული ჩემი სამარადჟამო თრევისათვის გავწირე...

— ვინ დაიკვეხნის იმას, სწორად მიცხოვრიაო, — ლის დამშვიდებას შეეცადა მარიკა, — ვის შეუძლია არ შეეპაროს ეჭვი...

— ჭეშმარიტი ღმერთის წინაშე ყალბ საკმეველს არ აფრქვევენ. ვერავის მოატყუებ საკუთარი თავის გარდა, და თუ გსურს, ატყუე რამდენიც გინდა, სიმართლეს მაინც ვერსად გაექცევი. ამ ქვეყნად მხოლოდ სიმართლე არსებობს, ჩვენ, ყველანი, ამ სიმართლის ნაწილები ვართ...

ლი გაჩუმდა.

უსიტყვოდ გაცილდა ჩინელს, მუსიკალური სკოლისაკენ წალასლასდა. ლის სუსტი, ყრუ ხმა ედგა ყურში. არა, არ ლაპარაკობდა ეს ხმა, იგი შრიალებდა, შრიალებდა ნიავდაცემული ბალახივით, შებინდებისას ფენა-ფენად წამოშლილი ფოთოლივით, ღამით ჩუმად შემოპარულ წვიმასავით, ფეხაკრეფით რომ უვლის მიწას და ლოკავს, ეფერება...

გაფაციცებული და შიშდაკრული ეძლეოდა ამ შრიალს მარიკა, შიშდაკრული და სევდით სავსე, რადგან გრძნობდა, მალე უნდა მილეულიყო იგი, გათავებულიყო...

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადიშვილი

## ვაზიანი

*ვაზი ჩემი უძველესი და ერთადერთი ღვთაება.*

ვაშა! მორჩა
სეტყვის ღრუბლის
თვალთვალი და ღამის თევა,
საქართველო ყველა უბნით
გადიარა მაინც რთველმა!

შავი, მტევანმუგუზალი,
რომ მოჰფინა
გულს ჯავარი,
მუკუზნობდა მუკუზანი,
რქაწითლობდა გურჯაანი!

შევაშველეთ ფრთხილად მტევანს,
როგორც ნამდვილ
ცურს ხელები,
უჭირს ახლა მარანს ტევა
შუმის, ჯაგნის, ჩურჩხელების.

მტევნის ფერი
სხვა ფერს ახშობს,
მტევნის მადლი ბოროტს ლახვრავს,
ვაზის გარდა, მე არც მახსოვს,
სხვა ღვთაება არც მინახავს!

ვუძლეთ ღრუბლის მტრობას ამდენს,
არ გვაკლებდა სეტყვის ცვენას,
მაინც, სარქველს
ყურს რომ ვადებ,
ვისმენ ქვევრის გულისცემას!

სუნთქვაც მესმის, გამიმართლა
ჯანმა, გულმა, თვალისჩინმა,
ბადაგი მაქვს,
ყლუპი შევსვი,
სულში ცეცხლი გამიჩინა!

პირმოხსნილი საწნახლიდან
ახლაც სიტკბოს წებო ღვენთავს,
ძველთაგანვე სხვა არ მინდა,
ვაზის ღმერთი
მყოფნის ღმერთად!

მაინც ვლოცავ
რთვლის ნასეტყვის
ჩაკარება-ჩათავებას,
გვიხაროდეს, სხვას რას გეტყვით,
ვაზი ძმობის სათავეა!

ეს ჩხავერი
და ეს ციცქა,
ხვანჭკარა და მუჯურეთი,
ყველა ცალკე ხატად იქცა,
მაგრამ ერთად გახლავთ ღმერთი!

ვმაჰრობთ, ღვინოს ველით გვიან,
თან ვიცი, რომ
წილს მომიწყავს,
ვაშა, ვაზის რელიგიას,
რაც ვერავინ დამავიწყა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გადასასხმელი სისხლი

ზვინი ზვინურად ზვინობს,
მწიფს მზედაკრული ხილი,
დუღს ჩვენი ღვინო —
ქვევრში
დატყვევებული ლხინი.

ღვინო საკადრი უფლის,
ნარჩევი მისხისმისხით,
სისხლი მეხუთე ჯგუფის,
გადასასხმელი სისხლი!...

სულში ჩამღვრელი რწმენის,
რომ გაზიარებს კრძალვას,
ჩქეფს უკვდავების წვენი,
გამოსაზოგი წამლად.

მსუყეს, სქელსა და მტუტეს
კაცი ნალებად შედღვებს, —
დავრდომილებს და კუტებს —
წელში გამართავს ერთ დღეს.

საწადელს განა ფარავს,
სარქველს აწვება ჯანყით,
სურნელით ავსებს მარანს,
როგორც ხეობას ჯანღი.

ამხედრებაა სარქველს,
არა, არ იშლის ამბოხს...
გავხსნით, სიმღერას სათქმელს
ჩვენი ბაგეთი ამბობს...

მტევანო, ჯიქნის გეშის,
მარცვალო, ცერის სიმსხოვ,
საწნახლებიდან ქვევრში
მღვრიედ ჩაცლილო სისხლო...

გამქრობს ჭვლისა და ქარის,
გამშლელს ძარღვის და კუნთის
რიონ-ენგური, მტკვარი
გიკმევენ ქებას კუთვნილს.

ზვინი ყოველი ზვინობს,
ხვავობს ხილი და ხმილი,
მალე ჩაიწმენდს ღვინო —
ჯაჭვასახსნელი ლხინი...

წმინდა, — საკადრი უფლის,
ნარჩევი მისხისმისხით,
სისხლი მეხუთე ჯგუფის,
გადასასხმელი სისხლი!..

## საახალწლო მისამართები

მკვიდრნო ონჭევის, ძეგლევის,
შქმერის, წკადისის, სხანარის,
ჰიორელნო თუ გლოველნო,
ნატვრა რად გვინდა სხვა რამის,
მამულისათვის მოგვევლოს!

ქვაგახეთქილას ქორთელნო,
მკვიდრნო კლდისუბნის, წკადისის,
ტბეთის, აბარის, ჰიბრევის,
მრავლობთ ბადიშის ბადიშით
და არასოდეს იბნევით.

ბაჯიხეველნო ძალუმნო,
კლდეს შენაზარდნო წედურნო,
მთისკალთელებო, სორელნო...

ვერა და ვერ დაგემდუროთ
ჰალაკ-ხევებო სოველნო!

შქმერო, ღებო და ყველა სხვავ,
ვინც ვერ გახსენე აქამდი,
ყველა აქ იგულისხმებით,
სიტყვები თქვენთვის საკადრი
აწონილი მაქვს მისხლებით.

მთაც კი ვერაფერს დაგაკლებთ,
სოფელს უხანით, უთესეთ,
არ გაცდენილხართ ვაგლახად,
ვის ვიტყვი თქვენზე უკეთესს,
კლდესაც პირიქით დალახვრავთ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ულაყი

რომ არ ჩაგთვალონ იაბოდ,
რომ ულაყობდე ულაყად,
ჯერ უნდა კარგად იამბო,
მერე კი სხვისიც უარჰყავ.

თავალერილო ულაყო,
რა საერთო გაქვს ვერაგთან,
სხვისი ვით უნდა უარჰყო,
თუ უკეთესი
ვერა სთქვა?!

## გადარჩენილი სიცოცხლეები

— რამდენსაც უნდა აქაფდე
და რბევა გაიიოლო,
შენთა ტალღათა მარქაფებს
კაცს არ გავატან რიონო!

განწირულთ შენთა კიდეთგან
კვლავაც წაგართმევ პირიდან,
დამიჯაბნიხარ... კიდევაც
ზედ გადაგივლი ირიბად!

დაქანდი, მერე მაქადნე,
რბევა ვით გაიიოლო...
ზოგთა სიცოცხლე აქამდეც
ხომ გამოგტაცე რიონო!..

## შვილიშვილი

შენ, სიხარულო,
დიდო, ზოგადო,
მინდა ლოყაზე
ლოყა მოგადო!

ყველგან, ყოველგან
ბაგე შეგახო,
სულ მთლად მამულო,
სულ მთლად ვენახო!

მარტო შენი ვარ,
ვარ ნინიკოსი,

მარადწლოვანი
სუფთა ბალახის,
ტალახში ნავალ
ფეხებს გიკოცნი,
კი ხარ საკოცნი
შენი ტალახით!...

ჩემი სიცოცხლის
დიდი მინდი ხარ,
მომატებული
ქართულ საყმოში,
ოფლში ცვარული

თმებით მინდიხარ,
კვლავაც საკოცნი,
კვლავაც საყნოსი.

ყელს შესაბმელი
შენ ხარ ლილ-კილო,
შენ ხარ სირბილი,
ქროლა, ჭენება...
რა ვქნა, რომ მინდა
მაგრად გიკბინო —
სულის და გულის
შესაჯერებლად...

შენ ხარ ქარების
მოვლა მარულით,
რომ ცივ ლოყაზე
ლოყა მოგადო...
ეს სიხარული,
კვლავ სიყვარული
და ალმაფრენა
განვაზოგადო...

შენ ხარ მგლის ლეკვი,
ჯერაც უგეში,
ყველა შენ გშველის,
ყველა შენ გითმობს...
ჰა, ჩაგიკრინე
სულაც უბეში,
თოვლში გაყინულ
მაგ ხელ-ფეხს
გითბობ!..

შენ ჩემი ვაზის
სავსე ჰერეხო
და მტევნის ჯერაც
მკვახე ისრიმო,
სულ მსურს გიცქირო,
გჯუჯლნო, შეგეხო,
გკოცნო, გიფერო,
გდიო, გისმინო...

ისევ ლოყაზე
ლოყა მოგადო,
რომ გამამრავლო,
განმაზოგადო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ რჩეულიშვილი

# მ ა რ ი ნ ე

პიესა

## მოქმედი პირები

**მარინე** — გოგო, რომელსაც მოუკლეს შეყვარებული.
**ცირა** — კუტი გოგო, მისი ამხანაგი.
**ქეთო** — ცირას დედა.
**ნატა**
**მარგო** | **სუსანა** — ქეთოს ამხანაგები.
**ნანა** — ნატას შვილი.
**მათხოვარი**
**დათო** — დეფექტური დიდი ბიჭი.
**ქოფაკი** — მარინეს ძაღლი.
**კატა** — ცირას ფისო.
**ლანა** —
**ბრმა** — ვიოლინოზე დამკვრელი ბოშების ჯგუფი.
ფეხშიშველა მოდღლეზილი ბოშა.
**დათვი** — | **გურამი** — | **თემო** — მეზღვაურები ტელეგადაცემიდან.
არეული საზოგადოება ტელეგადაცემიდან.
**ხალხი** — მარტო იმისათვის, რომ მათხოვარს ფული ჩაუყარონ.

სცენის მარცხენა მხარეს მოჩანს დიდი ოთახი, სადაც დგას ორი საწოლი, ერთში, კედელთან, წევს ცირა, მეორეში — დედამისი ქეთო. საწოლების შუაში ტელევიზორია. იქვე — მაგიდა, ორი სკამი. ტიხარი ერთი მთლიანი ფიცარია სცენის სიღრმეში წასული, მის მარჯვნივ არის ვიწრო შუკა, ხოლო შუკის მარჯვენა მხარეს შედარებით პატარა ოთახი, ისიც ისე გადატიხრული. ამ ოთახში თხელფეხება მაღალ სკამზე ზის მარინე. ქოფაკი უკანა ფეხებზე წამოსკუპული კუთხეში. შუკის თავზე მავთულზე კიდია ნიშანი — „მანქანის გასასვლელი არ არის". სიღრმეში ჩანს მოციმციმე რეკლამა და მოძრავი მანქანები.

სცენას ძველ ბოძზე დაკიდებული რეკლამა ანათებს. ნელა ბაცდება ელექტრონის შუქი. თენდება.

შუკის სიღრმიდან საკისრებიან ოთხთვალაზე დაკრული მათხოვარი მოგორავს, ცალ ხელზე მხოლოდ სამი თითი აქვს, მეორე ხელი მოგლეჯილი აქვს და ზედ მიმაგრებული მსხვილი ჯოხით აძლევს ბიძგებს. ის ნათურის ქვეშ ჯდება.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. დილა მშვიდობისათ! (პირჯვარს იწერს).

არ ეცხელება ალბათ დღეს, ისე როგორც გუშინწინ. წვიმის შემდეგ რომ ჩამოიბურა, კინაღამ მეც კი არ დავტოვე ჩემი ადგილი. (იხდის თავიდან დიდ, გრძელკეპიან ქუდს).
ესეც ნაცადი ჩემი კარტუზი
და ერთად-ერთი ჩემი ერთგული.
ღმერთო, ნუ მიწყენ! (ისევე იწერს

პირჯვარს, ქუდს დებს ოთხთვალას წინ).

მოიღეთ მოწყალება!
საწყალს ნუ დაამადლებ
ათ-თხუთმეტ კაპიკს.

მარინე დგება სკამიდან, წინ გამოდის, უყურებს ცარიელ ქუჩას, დღის სინათლე მატულობს, მარინე შედის და ისევ ისე ჯდება.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. საწყალი გოგო,
ისევ არ სძინავს,
ოთხი თვე გადის,
რაც გიო მოკლეს, ჩემი მფარველი.
სანამ ის იყო,
ვერვინ ბედავდა ჩემ წყენინებას
და ფულიც მქონდა
ნათხოვარს ზევით ხუთი მანეთი.
სულ ერთად იყვნენ გათენებიდან...

მალლა იყურება. უფრო თენდება. მეეზოვე გვის, მტვერს აყრის მათხოვარს. ის ყურადღებას არ აქცევს.

ჰო მზეც ამოდის...
როგორ უყვარდათ მათ ერთმანეთი.
მგელს დაემსგავსა ახლა ეს გოგო.
ვგრძნობ რომ მსხვერპლს —
(მსხვერპლი მოჰყვება ზედვე,
არ მოასვენებს იმ ბიჭის სული...

შუკაში ზევიდან ქვევით ვილაც მოდის, მათხოვარი მეჩხერ კბილებს აჩენს, ცხვირი ნახევრად წაგლეჯილი აქვს, იღრიჯება, თხოულობს.

მიეცით კაპიკი საწყალს, ორჯერ
დამარხულს
და სასწაულით ორჯერვე ცოცხლად
ძლივს გადარჩენილს.
(ფულს უყრიან ქუდში).
გმადლობთ, ბატონო,
ღმერთსა ვთხოვ ასმაგად გადაგიხადოს (ნასიამოვნები უყურებს ხურდას).
ორმოცი კაპიკი,
პირველი სიფთა,
სარფიანად დაიწყო ეს დღე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მარინე უმოძრაოდ ზის სკამზე, მერე სახელდახელოდ ისწორებს კაბას, თმებს — ერთი ხელის გადასმით და ამაყი სახით გამოდის ღია მხარიდან პირდაპირ სცენაზე. აცვია ბიჭის პერანგი [illegible] საყელოიანი, გული ორ ღილზე [illegible] და დიდი, შავსამაგრებიანი სახელოები ბოლომდე ჩამოშვებული; პერანგი ჩატანებული აქვს ვიწრო, შავ ქვედატანში. ის არც უყურებს მათხოვარს, მიდის შუკის სიღრმეში, ოთახში სკამის ფეხთან მიბმული ძაღლი რჩება.

სცენის მარცხნივ მოთავსებულ ოთახში ქეთო სკამიდან იღებს ხალათს, ლოგინშივე იცვამს, დგება. ცირა შემოტრიალდება მისკენ. ოთახში მზის პირველი სხივი შედის. მარინეს ოთახში ისევ ოდნავ სიბნელეა.

ც ი რ ა. ადექი, დედა?

ქ ე თ ო. ჰო, ცირა. უკვე დროც არის ადგომის, რვაზე სამსახური დამეწყება, თუმცა დღეს გვიან წავალ, გუშინ ვთხოვე უფროსს, შენი კაბა მაქვს დასამთავრებელი.

ც ი რ ა. რა კარგია!

ქ ე თ ო. თანაც მოდაზე უნდა შეგიკერო, წელში ვიწრო, ზევით გამოყვანილი, ამოჭრილი გულით და გრძელი, მკლავის სიმსხოზე შემოჭერილი, სახელოებით, ერთ საათში ნატა მოიტანს მოდების ჟურნალს.

ც ი რ ა. ვიცი, როგორსაც ამბობ, მარინეს რომ ეცვა შარშან, არა?

ქ ე თ ო. ჰო, ოღონდ ქვევით იქნება გაშლილი, მარინეს კი ქვევითაც მოჭერილი ჰქონდა.

ც ი რ ა. (ნაღვლიანად) ეგრე ჯობია, მე მოჭერილი არ მინდა, სწორეა.

ქ ე თ ო. (ჰკოცნის) ახლავე დავადგამ საუზმეს, პირსაც დაგაბანინებ.

შემოაქვს იქითა ოთახიდან ნავთქურა, ანთებს, ზედ ტაფასა დგამს. მერე ცირასთან მიაქვს ტაშტი და თუნგი, ცირა საწოლიდან გადმოწვება, პირს იბანს, შემდეგ იმშრალებს, ქეთო ფანჯარაში იყურება.

ქ ე თ ო. აგერ, შენი შვილობილი, უკვე იქა ზის და მათხოვრობს, საცოდავი.

ც ი რ ა. დედი, დღესაც გაუტანე რა კერძი, ცოტა რძეც, ჰო? (ჰკოცნის დედას).

ც ი რ ა. მარინესაც გაუტანე, კარგი?

გუშინაც არ უჭამია არაფერი.

ქ ე თ ო. მარინეს? აბა რა, ახლავე.

ც ი რ ა. არა, აქ მოვიდეს, ჯობია, ერთად ვისაუზმებთ, თან ცოტას დაველაპარაკები, იქნება გული გადააყოლოს საწყალმა გოგომ. (თავისთვის). ზოგჯერ გული არც კი მიშვებს, რომ ვანუგეშო, ან რა უნდა ვუთხრა, ისეთი ბიჭი იყო გიო, თან როგორ უყვარდა, აი, მე რომ დედა აღარ მყავდეს. ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! (ამასობაში ქეთოს ჩააქვს კერძი მათხოვრისათვის).

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. დილა მშვიდობისა, ქალბატონო, ისევ შეწუხდით ასეთი ულირსისათვის, ისევ გაისარჯეთ, გმადლობთ, გმადლობთ.

ქ ე თ ო. ცირას უთხარი მერე მადლობა, ის არის შენი მფარველი. (იხედება მარინეს ოთახში) ნეტა ასე ადრე სად წავიდა ის გოგო, თანაც სულ მშიერი.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. დილით გავიდა აქედან, არც კი შემომხედა, უწინ კი სულ მესალმებოდა, სანამ გიო იყო ცოცხალი, ახლა ვერც კი მამჩნევს, რაღაც ცუდია მაგის თავს, რამე არ მოუვიდეს.

ქ ე თ ო. მეც მაგას ვამბობ, მეტის მეტად დარდობს, არც ეგრე ვარგა. (მიდის).

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. (თავისთვის) დარდისგან კაცი უმეტესად კეთილი ხდება,
გულისხმიერიც,
თუმცა, ვინ იცის.
ეგ კი დარდს არ გავს —
დასუსტებული ნერვების ნაყოფს.
ასეთი სახე, მარინეს რომ აქვს,
არც კი მინახავს ჩემს ცხოვრებაში...

ჰოო... (ეშვება მთლიანად) დამავიწყდა კიდეც რაზე დავიწყე, ჰო, (დაბნეულად) ღმერთო, შენ უშველე ყველა ცოდვილს!... (პირჯვარს იწერს, იღრიჯება, სამათხოვროდ ემზადება).

ამასობაში ცირა საზუმობს, ერთი-ორი კაცი ფულს უგდებს მათხოვარს.

ც ი რ ა. გმადლობთ, დედიკო, რა გემრიელია, რომ იცოდე, არა, ასე მარტო შენ იცი საჭმლის გაკეთება, რომ იცოდე, რა კარგი იყო, აბა ნახე, გასინჯე.

ქ ე თ ო. მართლა მშვენივრად გამომსვლია, აილე კიდევ.

ც ი რ ა. არა, დედა, მარინეს შეუნახე.

ქ ე თ ო. არ არის სახლში, ხომ გითხარი, დილითვე წასულა.

ც ი რ ა. მაშინ თბილად შეახვიე, ან მერე გაუცხელე, დედიკო.

ქ ე თ ო. ეს აილე, მანამდე სადილიც იქნება. ის კი, შენც იცი, დილით წასული, შეიძლება, საღამომდეც არ მოვიდეს, ალბათ, ახლა უკვე პროკურორთან ზის და უყურებს დაბლვერილი. ასეთი ყოჩაღი თუ იყო, არასოდეს არ მეგონა, რა ვიცი...

ც ი რ ა. დედა! მარინე ძალიან კარგი გოგოა, თუმცა, შენც მაგას არ ამბობ...

ქ ე თ ო. ჰო, ეგ ერთადერთია, ვისთანაც ამხანაგობ შენ, ყოველთვის სიამოვნებით ამხანაგობდი.

ც ი რ ა. უფრო სწორად, ვინც ჩემთან ამხანაგობს და ვისაც არ ვწყინდები, მაგრამ ბოლოს, გიოს ამბის შემდეგ, სულ სხვანაირი გახდა, უცხოა თითქოს.

ქ ე თ ო. კიდე კარგად არის შვილო, ის ჰყავდა მხოლოდ.

ც ი რ ა. არა, დედა, დარდზე არ ვამბობ, ღმერთო, ნუ მიწყენ, თავისთვის რომ აეტეხა რამე, ისე არ გამიკვირდებოდა, როგორც...

ქ ე თ ო. ჰო, ძალიან გამოიცვალა, ნუ ნერვიულობ, ცირა, შენთვის არ შეიძლება...

ც ი რ ა. მე, მაგალითად, ვერ შევძლებდი მაგდენს, თუმცა, მე არც შეიძლება შევედარო.

(შუკაში მოდის ნატა, მათხოვარს ხურდას ჩაუგდებს და დაუკაკუნებლად შედის ქეთოსთან).

ნ ა ტ ა. გამარჯობათ, დღეს დილით გავიგე, იმ ავაზაკ მკვლელს ერთ კვირაში გაასამართლებენ, ივანემ თქვა, დახვრეტენო.

ც ი რ ა. დახვრეტენ?!

ნ ა ტ ა. მარინე უნახავთ პროკურორთან, მერე უმაღლეს სასამართლოში ვი-

ბიბლიოთეკა

ლაც ნაცნობები მიუგზავნია. ახია, რა კარგია!

ქ ე თ ო. რა არის კარგი, უბრალოდ ღირსია და მორჩა, ეგეთებმა არ უნდა იცოცხლონ.

ნ ა ტ ა. არ უნდა იცოცხლონ, სწორია, ნამდვილად ღირსია დახვრეტის, იმისმა ამხანაგებმა ყველგან შეიტანეს განცხადება, წარმოგიდგენია, თვითეულზე ასზე მეტი კაცი აწერს ხელს, რომ ის დახვრიტონ, ასეც უნდა, სხვები ჭკუას ისწავლიან. მართლა, რა უნდა მეთქვა, ბუაძე როა — მომღერალი, სოპრანო, შარშან დაამთავრა კონსერვატორია, იცნობ შენ, ცოლად მიჰყვება. აბა ვის, თუ გამოიცნობთ.

ცირა თითქმის ყურს არ უგდებს, ჰერში იყურება, კედლისკენ ოდნავ გადაბრუნებული. ამ დროს ოთახში დაუკაკუნებლად შემოდის მარგო.

მ ა რ გ ო. Как, как? ბუაძე? ახ, ვიცი, за кого же? ქეთო, დროა, არ მოდიხარ?

ქ ე თ ო. ჯერ არა, შესვენების შემდეგ მოვალ, ცირას კაბა უნდა გამოვჭრა (ათვალიერებს ნატას მოტანილ მოდების ჟურნალს).

ნ ა ტ ა. ამაშუკელზე.

მ ა რ გ ო. შეუძლებელია!

ეჰ, ზოგს რა ბედი აქვს, ფული აქვთ და იცვამენ, ახლა, ხომ იცი, ყველაფერი ჩაცმაა, რამდენი ხანია, მინდა ასეთი კაბა შევიკერო, დეკოლტე.

ნ ა ტ ა. მაგას ფული უნდა, ჩემო კარგო.

მ ა რ გ ო. მეც მაგას ვამბობ, ეს ახლანდელები კი მეტს არაფერს უყურებენ.

ნ ა ტ ა. შენ ახლანდელებისაგან რა გინდა, შენი ასაკისებზე ილაპარაკე.

მ ა რ გ ო. То есть, ჩვენი — შენი და ჩემი, не так ли милая? რაღაც ძალიან მაბერებთ; არც ჩვენ დროს იყვნენ, ну, что я говорю; ახლაც მახსოვს, был у меня жених, ქორა, აი კავალერი, რა სიტყვა-პასუხით, обоятельный был человек, ქეთო, აბა, მაჩვენე, როგორ უკერავ ცირას; ძვირფასი ნაჭერია. საინტერესოა, როგორ ახერხებს ხალხი ფულის შოვნას?

ქ ე თ ო. რა ფულის, ჩემო კარგო, მთელი წელი ვაგროვებდი.

მ ა რ გ ო. არ მოდიხარ? უნდა ექონდეს, რომ შეაგროვო, მე წავედი.

ნ ა ტ ა. მეც დამაგვიანდა, მოიცა, მოვდივარ.

გადიან. მარგო იაპონურ ქოლგას შლის, ნატა ხელმკლავს უჭრის, ლაპარაკობენ სცენიდან ზურგით შებრუნებულნი.

ნ ა ტ ა. აუტანელი სიცხეა.

მ ა რ გ ო. Да, да, ужасно печет, საშინელი სიცხეა, თანაც ჯერ დილაა.

ნ ა ტ ა. წარმომიდგენია, შუადღეს რა იქნება!

შუკის სიღრმიდან შემოდიან ბოშები, თითქმის ერთ მწკრივზე დაწყობილნი. ლენას თმები გაუშლია, წითელი ნაჭრით შუბლი აქვს გაკრული, და „პლისე" კაბა და ჩექმები აცვია, ხელით მოჰყავს ბრმა ვიოლინოზე დამკვრელი, მეორე მაღალ მოღლღეზილ ბოშას უჭირავს ათსიმიანი გიტარა და ჯაჭვზე გამობმული დათვი მოჰყავს.

მარგო და ქეთო ჩერდებიან, უყურებენ, მათხოვარი წინ გამოაგორებს თავის ოთხთვალას, აშკარად ნასიამოვნებია. ბოშებს უკან მოსდევს ამ უბნელი დებილი დიდი ბიჭი — ღათო. ხან ახლო მივა დათვთან, ხან უკან გარბის, მოღლღეზილი ფეხშიშველა ბოშა ათვალიერებს შუკას, მერე ნიშანს აძლევს სხვებს, ყველანი იმარჯვებენ საკრავს, დათვი ორ ფეხზე დგება, დაძუნძულებს, საიდანღაც კიდევ ორი გამვლელი გამოდის, მათხოვარი ქუდს უწვდის, მაგრამ ფულს არ აძლევენ, უსმენენ ბოშებს.

ს ა მ ი ვ ე  ე რ თ ა დ. ჩვენ ფულს არ
ვითხოვთ ბოშები,
ვმღერივართ,
რა ვქნათ,
თავს ვირთობთ.
გვიყვარს, როცა ვინმე გვისმენს,
მოგვისმინეთ!
ეს სიმღერა ათ თაობას უმღერია,
დიდ „ტაბორში" ატამანთან
დაბმულ ლხინში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ტრამალში ყმაწვილ ბოშას
მარტოდ მარტოს
დროზე ადრე
დამიწებულ საყვარელთან.
მ ა რ ტ ო  კ ა ც ე ბ ი. (უკრავენ და მღერიან).
გიცდით, ლანა,
შენ დაიწყე,
ჩვენ მოგისმენთ
მერე გეტყვით
მოძახილებს.
ლ ა ნ ა. მე ვიყავი თოთხმეტი წლის,
როცა მომიტაცა
ხუჭუჭა გიორგიმ.
შავი ცხენით
ბნელ ღამეში.
წინ ტრამალში
გადაშლილი...
უკან დარჩა
„ტაბორი“ და
მკრთალი შუქი.
ყ ვ ე ლ ა  ე რ თ ა დ:
(აჯავრებენ ცხენის ჭიხვინს, ჭენებას, ერთი გულზე ირტყამს ხელებს, მეორე გიტარაზე აბრახუნებს, მესამე პირით გამოსცემს უცნაურ ხმას).
იჭენე, ცხენო!...
იჭენე, ცხენო!...
ხელი მოუმართე
ხუჭუჭა გიორგის,
გოგო მოიტაცა
მან ულამაზესი.
(ისევ ჭიხვინი, ჭენების გამოჯავრება).
ლ ა ნ ა. ნუ ჭიხვინებთ,
გაიგონებს მამაჩემი...
წინ მე ვზივარ,
უკან გიორგი,
ველარ ვხედავ სინათლეებს.
შუაღამეა,
ცხენი მარტო დანავარდობს,
ჩვენს გარშემო ტკეპნის მიწას
და
ბალახს ძოვს.
ყ ვ ე ლ ა  ე რ თ ა დ:
ძოვე, ძოვე,
ფშუ! ფშუ! (ერთი უსტვენს ნელა).
წყალიც შესვი,
დაისვენე,
თორემ, ტრამალს,
იცოდე, რომ
ბოლო არ აქვს.
ლ ა ნ ა. ჩემი გიორგის
გრუზა თმები ახლაც მახსოვს...
მიწას ჰქონდა მიწის გემო
და ნაყოფის სუნი.
მე გავძეხი მისი კოცნით,
ის კი,
როგორც ცეცხლის ალი
თივის ზვინში,
შეტრუსული მზისგან თმებით,
ტრიალებდა
გასაშლელად მომზადებულ
ჩემს კოკრებში.
ეჰ, რა მოვყვე?...
ე რ თ ი. ჭიხვინებს ხმამაღლა.
დათვი თავისთვის გადადის მალა-ყებს.
მ ე ო რ ე. ჩუ, არ გესმით?
ყ ვ ე ლ ა  ე რ თ ა დ:
ატამანი, ატამანი,
აგერ ბუმბა,
მისი შვილი.
შ ე ძ ა ხ ი ლ ი.
(იძახის მოდლღეზილი ბოშა):
აუ, გიორგი,
გრუზა გიორგი!...
ყ ვ ე ლ ა  ე რ თ ა დ.
გიორგი, როგორც
ცეცხლის ალში თივის ზვინი,
იწვის,
იწვის
და დაიწვა უბედური.
ლ ა ნ ა. თავს დაგვადგნენ,
მაშინ გიორგი მოკლა ბუმბამ.
მე გადავრჩი, -
წამიყვანა თავის ცოლად.
ჩუ,
ღამეა,
„ტაბორიდან“ ფიქრით ვხედავ
გიორგის საფლავს.
ბუმბა მკოცნის,
საძულველი ჩემი ქმარი,
მე ცივი ვარ,
როგორც წყალში მუგუზალი...
მიტრიალებს
ცხელ დიდ თათებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაქვავებულ და გაყინულ ძუძუებში.
შორს კი, იქით,
სადაც მარტო ყორღანია,
დიდ ტრამალში,
თქეშში,
ღვარში,
გიორგის ლანდს თმებს უწეწავს
გიჟი ქარი
და იმისი კბილებიდან სისხლის სუნი
ახლაც მოდის.
ქინი მიპყრობს!
ჰკუას ვკარგავ,
და ვხელდები...
შური, შური,
სისხლი მინდა...
და ორთითითით
ბუმბას ღამით
ორივე თვალს ვუღებ მაღლა.
ს ა მ ი ვ ე ე რ თ ა დ.
ბუმბა — ლამაზი,
ლამაზი ბიჭი,
გიორგი რომ მოკლა,
დარჩა უთვალოდ.
საწყალი ბუმბა!...
მკვდარი მკვდარია,
გინდ შეიცოდე,
გინდა გაკიცხე,
საწყალი ბუმბა დარჩა უთვალოდ.
ლ ა ნ ა. მოდი აქ, ბუმბა!... (გამოჰყავს წინ ბრმა ვიოლინოზე დამკვრელი).
ეს მე გიქენი,
შე უბედურო,
ახლა მიყვარხარ!...
მე ვარ ახლა
შენი თვალები,
მომკალი, ბუმბა,
გინდა, მითხარი,
დანას გიშოვი.
ს ა მ ი ვ ე ე რ თ ა დ.
ბუმბას თვალები
ახლა შენა ხარ,
იცოდე, ლანავ.
ეჰ!!! (ურიტმიანესი აკორდი. ლანა ცეკვავს, დათვი მალაყებზე გადადის)!
ჰეი, ჰეი!...
სანამ ვცხოვრობ,
არ მაჩვენო
ლოყაზე ცრემლი,
რომ მოვკვდები,
არ მიტირო...
ჰეი, ჰეი, ჰეი!...
უუუ!...
ჩემო ცხენო,
სანამ ვზივარ მე შენ ზურგზე,
მანამ მინდა შენი თავი.

აჟავრებენ ცხენის ჭიხვინს. ჭენებას გიჟდება რიტმი და უცებ წყდება. მაყურებლები ფულს უგდებენ დათვს დაირაშიან პირდაპირ მიწაზე. მარინეს ძაღლი ოთახიდან იყეფებს. მათხოვარს ბოშები უყრიან თურდას. ის ლოცავს. ლანა სწრაფად წყნარდება, დამშვიდებული ჰკიდებს ბრმას ხელს. მიდიან. თოლოლეზილ. ფეხშიშველა ბოშას დათვი მიჰყავს.

მოდის მარინე. დათო შეხტებასავით. უცებ აიწყდება ბოშები. უკან მისდევს მარინეს პირდაღებული. დიდი ყურები უთამაშებს, ილრიჯება.

მარინე შედის თავის ოთახში და მაღალ სკამზე ჯდება. ძაღლი ცმუკავს, მერე ისევ წყნარად წვება კუთხეში. დათო დაუკითხავად შედის მარინეს ოთახში და დამნაშავესავით ღგება. მარინე არ უყურებს

დ ა თ ო. (უყურებს ძაღლს) არ მიკბენს, მარინე, რომ ილრინება, ჰა?

მ ა რ ი ნ ე. არა!

დ ა თ ო. ვეთამაშები, რა! მე იო არ მკბენდა, ხომ იცი, არც მე, არც გიოს. ჩქარა მოვა გიო?

მ ა რ ი ნ ე. არა.

დ ა თ ო. სად არის გიო, ქუდი უნდა მიეტანა, ჭრელი, იქ რომ წამართვეს. ხომ იცი, მერე გიომ რომ სცემა, ხომ იცი? ჩქარა მოვა?

მ ა რ ი ნ ე. არა.

დ ა თ ო. რატომ, მარინე?

მ ა რ ი ნ ე. მოკლეს.

დ ა თ ო. (ჯდება ძალიან ნაღვლიანი სახით) ჰო, ვიცი, მე მეგონა აღარ გახსოვდა. დიდი ხანია, არა? და ჩიტომ არ მოგე, არა?

მ ა რ ი ნ ე. წადი, დათო, ცირასთან, გელის, მარტოა, გაუხარდება შენი მისვლა.

დ ა თ ო. ვიქნები რა, ცოტა კიდე.

მ ა რ ი ნ ე. კარგი.

დ ა თ ო. მარინე, აი, მე რა მაქვს, ნა-

ხე, გინდა? უბიდან იღებს ნაჭერში გამოხვეულ ნამცხვარს, პურს, ყველს, ჭამე, რა, ჭამე, დედამ თქვა, ძია მათხოვარს მიეციო. გუშინ სტუმრები გვყავდა, ღვინო დალიეს, მერე იცეკვეს; აქ რომ გოგო ცეკვავდა გიტარით და დათვი ჰყავდათ... რომელი მოერევა, შენი ძაღლი თუ ის დათვი, ჰა? შენ თუ არ გინდა, ძაღლს მივცემ, კარგი?

მ ა რ ი ნ ე. მიეცი მათხოვარს, დედამ როგორც გითხრა, წადი.

დ ა თ ო. კარგი. (გადის) აი, ძია, ეს მარინემ თქვა, მიეციო ძია მათხოვარს.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. გმადლობთ, დათო, გმადლობთ, შენ კარგი ბიჭი ხარ, საწყალი მარინე, თითონ არაფერი უჭამია, მე მიგზავნის.

დ ა თ ო. ჰო, ძია, ჰო, თქვა, მიეციო, მერე ცირასთან წადიო, ახლა იქ წავალ, კიდევ, იცი, რა? აქ რომ ბიჭი დადიოდა, მე რომ ჭრელ ქუდს შემპირდა, აღარ მოვა: მარინემ თქვა, დიდი ხანია, მოკლესო.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. ჰო, მოკლეს.

(დათო მიდის).

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. ეჰ, შე საწყალო, შენა, შენ რა გიშველის, თორემ?...

ც ი რ ა. დათო, დათუნა, მოდი აქ!...

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. წადი, ბიჭო, გეძახის, გესმის?

(დათო ჩუმად იხედება მარინეს ოთახში, მერე მირბის ცირასაკენ).

დ ა თ ო. რა, ცირა?

ც ი რ ა. დაჯექი, ეგ სკამი აიღე ან სავარძელი, მოიწიე აქეთ, ოღონდ ჯერ გადმოიღე ის კალათი, შიგ ვაშლია, ჭამე, არ გინდა?

დ ა თ ო. წითელი ვაშლები?

ც ი რ ა. ჰო, წითელი, კარადაში კამფეტი დევს, ხომ გიყვარს? აიღე, აიღე, ნუ გრცხვენია, ახლა მოდი აქ, რას გევხარ, ბიჭო, თმები არ დაგივარცხნია? მოდი აქ.

დ ა თ ო. არ მინდა, ქუდი მინდა, ჭრელი ქუდი, მიშოვი შენ?

ც ი რ ა. მოდი ჯერ, მოიწიე, ასე, ჩამოჯექი სიწოლზე, აი, ამ სავარცხლით დაგვარცხნი, თმებს არ დაგწიწკნის.

დ ა თ ო. არ მიყვარს დავარცხნა, შენ სულ მვარცხნი.

ც ი რ ა. მოითმინე [illegible] ახე, ახლა ლამაზი ბიჭი ხარ, დედას ვეტყვი ქუდი გიყიდოს, როგორი ქუდი გინდა, ჭრელი, არა?

დ ა თ ო. ქუდს მიყიდი?

ც ი რ ა. რახან შეგპირდი, შეგისრულებ, კიდევ რა გინდა, მითხარი, დათო.

დ ა თ ო. მარინესთან მინდა, წავალ (მიდის).

ც ი რ ა. (თავისთვის) უბედური! რა კარგი გოგოა მარინე, როგორ უყვარს დათოსაც. ნეტა ჩემთან მოვიდოდეს, ვერ ვუძახი, არ ვიცი, რა ვუთხრა, სიარული მაინც შემეძლოს, მივიდოდი მე თვითონ, ეეჰ, დათოს კი შეუძლია წავიდეს, თან სულ იქ უნდა რომ იჯდეს.

(დათო მიდის და მარინეს კედელთან ჯდება).

ც ი რ ა. (თავისთვის) ნეტა არ ეშველება რამე დათოს, ვერ უმკურნალებენ? არ მორჩება? მარინეს შველა კი შეუძლებელია. ვიცი, საცოდავი გოგოა როგორ ვუყვარდი მეც გიოს, ხშირად მოდიოდა ჩემთან, სულ რაღაც მოჰქონდა საჩუქრად. მეც ვდარდობ ახლა, მაგრამ სად ჩემი, სად მარინეს დარდი, ჩემი თავი მეზიზღება, მეც რომ ისე ვერ განვიცდი, მაინც ვჭამ, ვლაპარაკობ, ნუთუ მე ყველაზე ბედნიერი ვარ? (რეკავს საათი ექვსჯერ) უკვე ექვსი გამხდარა, საცაა დედა მოვა, რამდენს წვალობს ჩემთვის, მე კი არ შემიძლია რითიმე დავეხმარო, აი, ახლა კერვას მასწავლის და კარგი იქნება, მაშინ მარინესაც შევუკერავ რამეს, დათოსაც, მათხოვარსაც, ძალიან მომწონს ასეთი კაბა ნატას ჟურნალში რომ ხატია, თუმცა მე რათ მინდა, აი,მარინეს კი როგორ მოუხდებოდა, იქნებ ცოტა გულიც გადაეყოლებინა, ღმერთო ჩემო, რას ვამბობ, მაგის დარდს რა უშველის, რა? განა ვერ ვხედავ როგორ არის გამოცვლილი, ჩემთანაც კი აღარ მოდის, მე კი მაგის მეტი ამხანაგი არავინა მყავს.

ეჰ, რა ცუდი ვარ, ნამდვილი ეგოის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი, მაგის თავი აქვს, ან რა დროს ჩემზე ფიქრია.

მოდი აქ, ჩემო ფისო, მოგიალერსო, შენ მისმენ მარტო ასე ერთგულად, თან თვლემ. გეძინება? კარგი, დავიძინოთ, მეც დავიღალე, ძილი ნებისა, ჩემო ციცკა. ერთხელ კიდევ გადაგისვამ ხელს. აი, აქ იწექი. (იძინებს).

მოდის ქეთო, ოთახსალაგებს, მერე კეტავს. საღამომდე მარინე თავის ოთახში გრძელფეხება სკამზე ზის ისევე ნახევრად სიბნელეში, დათო ნაღვლიანი თვალებით უყურებს. ხანდახან ისმის მათხოვრის ხმა. ღამდება. მათხოვარი მიგორავს შუკის სიღრმეში. დათო ფეხაკრეფით გადის. მერე მირბის.

ამოდის მთვარე ცივი და ნათელი.
მარინეს ოთახი სიბნელეშია.
მთვარე ცირას ანათებს თვალებში.
(ქეთო წვება. იძინებს)
მარინე ისევ ისე ზის გრძელფეხება
სკამზე.
ძილი მთვარეს ულრენს;
ოდნავ შეშფოთებული ილვიძებს
ცირა.

ცირა. დედა მოსულა კიდეც. დედა! თუმცა არა ღირს გაღვიძება, დაღლილია. ეჰ კაბაც რა მალე შეუკერია. ალბათ ხვალ ჩამაცმევს. (თვალებზე ხელს იფარებს) მეშინია. თითქოს მიზიდავს და ფანჯრიდან უნდა წამიყვანოს. როგორ დაჟინებით იყურება. დედა! — არა, ეძინოს. საბანს წავიხურავ. ასე ჯობია. ოჰ, აქაც ატანს. მცივა. მეშინია. გარშემო კი არავინ არის. დედასაც სძინავს, სულ მარტო ვარ. ჯობია წამოვჯდე, თვალებში შევხედო. უფრო შევეჩვევი ასე (მთვარე მაღლა ადის, თვალებში აღარ უნათებს) ახლა კარგია. რა სისულელე იყო შიში, თითქოს პირველად ვხედავდე; გუშინწინ ლექსიც კი დავწერე მთვარეზე და ჩემ ციცკაზე. (კატა ფერხთითაა მორთხმული. მერე ფანჯრის რაფაზე ადის და კუდს მაღლა წევს, კნავის, ჩანს შავი სილუეტი).

ციცკა, ჩემო ფისო, აი წაგიკითხავ ხმამაღლა, შენ ხომ გესმის ჩემი და მერე ისევ დავიძინოთ. კარგი? (ჩამოყავს ფანჯრიდან, იხუტებს).

ცირას ლექსი.

ღამეა.
მე ისევ ვწევარ ჩემ დიდ საწოლში.
გამოხვეული თბილ საბანში
ვთვლემ და ვოცნებობ.
მთვარე უეცრად იპარება მკრთალი
სხივებით.

აღვიძებს ციცკას
სხვა ეზოდან კატის კნავილი.
ის იშმუშნება. იზლაზნება
ზმორებ-ზმორებით.
კუდს აქნევს. უფრო იფხორება
გაღვიძებული.

. . . . . . .

იქითა მხრიდან კნავილი ისევ
მეორდება.
ხან მოიმატებს
ხან მიწყნარდება.
ჩვენ სახლს შორდება
და თან ჩემ საწყალ ფისოს
იბირებს.
მინდა წამოვდგე,
გავხედო მაინც.
სად წაიყვანეს.
საით წავიდა?

მაგრამ (ცრემლნარევი ხმით) ფეხები არ მიშვებს, არა. (უხმოდ ქვითინებს).

მთვარე ჩადის. სულ ღამდება. მერე ოდნავ ნათდება. ცას ეტყობა განათება. ისიც მხოლოდ მარინეს ოთახში. მარინე ისევ გაქვავებულივით ზის. შუკის სიღრმიდან შავებში ჩაცმული, შელში მოხრილი. მაღალი ქალი შემოდის. აქეთ-იქით იხედება, ჩერდება მარინეს ოთახთან, აკაკუნებს. მარინე ოდნავ აბრუნებს თავს, ქალი ისევ აკაკუნებს. მერე შედის პირდაპირ.

ქალი. ეს მე ვარ, შვილო. (ეცემა მის ფეხებთან, კოცნის, მარინე სწრაფად იმართება და უკან იწევს).

მარინე. გთხოვთ, არ გინდათ...

ქალი. ეს მე ვარ, შვილო, იმ ავაზაკის, კაცის მკვლელის დედა. მე, მე, დედა, ჰო დედა, რა გითხრა, რა გითხოვო, არ ვიცი; ჰკუა მაქვს არეული. დღემდე ვერაფრით ვერ გავბედე აქ მოსვლა, მეშინოდა შენი ნახვა. მე უბედუ-

რო, ან როგორ უნდა შემეხედა შენთვის. დღეს კი აღარ შემეძლო, ველარ გავძელი. დედა ვარ, დედა,იცოდე და მარტო დედობამ მომიყვანა, არ მინდა არაფერი სხვა. მე როგორც მშობელი ისე მოვედი სათხოვნელად. ფეხების დასაკოცნად (ეცემა მუხლებზე, კოცნის. მარინე გაქვავებული დგას) არ ვამბობ არაფერს, არა, ვერცა გთხოვ მის პატიებას, არ შეგიძლია, ვიცი, მაგრამ გაიგე, ეგ ერთია ვინც მყავს ამ ქვეყანაზე. მე მომკლან უთხარი იქ, ეს მოკლან, ეს (გულზე ხელს ირტყამს) ხვალ თუ შენ აჩვენე მის წინაალმდეგ, იმას დახვრეტენ, ჩემ შვილს დახვრეტენ წამებით, გესმის, მე ხომ ჯვარს ვეცვი, ბედნიერია გიოს დედა — ის საცოდავი ჩემსავით, უცებ მოხდა ყველაფერი და მორჩა, უცებ მოკვდა ის ცხონებულიც, მე კი ალბათ ამაზე მეტს სიკვდილიც აღარ მიზამს არაფერს, ნუ, ჩემო გოგონი, ნუ აჩვენებ, მაჩუქე მისი სიცოცხლე, შენი ჭირიმე; მითხარი რამე, დამელაპარაკე, გამლანძღე, გამაგდე, ღირსი ვარ, ოღონდ ნუ დგეხარ ასე ჩუმათ, მე აღარ შემიძლია, გესმის, უთხარი რამე დედას, რომელსაც შვილი უნდა მოუკლან, რომელმაც არ იცის ეს, რომელსაც ვერ ეხმარება ვერაფრით.

მ ა რ ი ნ ე. გთხოვთ ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

დ ე დ ა. არა, არა თქვა, არ გინდა ეს, მე, მე მაპატიე, ის უბედური, ის ავაზაკი, ის კაცის მკვლელი, ჩემი შვილია.

მ ა რ ი ნ ე. აი კარები, მე შურს ვიძიებ, ვიძიებ, ყველაფერს ვიზამ იმისათვის, რომ თქვენი შვილიც ზედ მიაყოლონ, ახლა გათავდა, წადით, მეტს აღარ ვიტყვი არც ერთ სიტყვას; აი, ჩემი პასუხი, ის მიიღებს ღირსეულ სასჯელს:

თქვენ შვილს დახვრეტენ,
დახვრე-ტენ, ჰო, ჰო,
წადით ახლა, აღარ შემიძლია მეც
მეტი,
წადით, გესმით, აი კარები, გესმით
თქვენ
ჩემი, ჰა, ჰა, არა?! (თენდება. მათხოვარი მოგორავს უკვე).

დ ე დ ა. მაინც გიკოცნი ფეხებს, რა ვთქვა, მითხარი, სანთლებს დაუნთებ ცხონებულს, რას ვამბ[illegible] შვილზე გთხოვდი, არა? ჰო, მე, მე, მაჩუქე, გადაასახლონ, სამუდამოდ, ოღონდ ჩემმა გულმა იცოდეს, რომ ცოცხალია.

მ ა რ ი ნ ე. ტყუილს ვერ გეტყვით.

დ ე დ ა. დედას, დედას აჩუქე

მ ა რ ი ნ ე. არა და არა.

დ ე დ ა. (ფეხებში უვარდება) შენს ფეხებს ვენაცვალე.

მ ა რ ი ნ ე. (ჯდება გაქვავებული გრძელფეხება სკამზე).

დ ე დ ა. მაშ არა მჩუქნი დაპირებასაც კი?

(იმართება, თავშალი წამოშლილი აქვს უკან, იწევს მარინესაკენ გაშვერილი ხელებით).

დ ე დ ა. ღმერთმა დაწყევლა ერთხელ უკვე ეს ოჯახი, ძირშივე წყეული, უძიროდ გამხმარი, უგულო, კიდევ დაწყევლოს და არ გაგახაროს ჩემი უსისხლოდ მოკვლისათვის შენ, ეშმაკის შვილო! — ერთი მოკლეს, თქვენ მოკალით, თქვენ ახლა მეორეს უსჯით დახვრეტას, იმასაც დახვრეტენ! მაგრამ იცოდე ეს შურისძიება არ მოგასვენებს შენ ყველაზე მეტად; ღმერთო, ისმინე ჩემი წყევლა და გადაუხადე (მისი ხმა სულ მაღლა და მაღლა ადის და უცებ ბოლო სიტყვებზე ტირის). შე უბედურო... (ამბობს გაბზარული ხმით, მიდის დამტვრეული, მოტეხილი, თავისთვის ლაპარაკობს (უკვე გარეთ) მაინც მაქვს იმედი, ბოლომდე რომ არ დალუპავთ დედის გულს. (სულ თენდება, შუკიდან მოდიან ნატა, მარგო, მათ გვერდზე ჩაუვლის დედა).

მ ა რ გ ო. ოო! შავებში ვინ არის ნეტა, ასე ადრე?

ნ ა ტ ა. ჩუ, იმის დედაა.

მ ა რ გ ო. ვისი?

ნ ა ტ ა. შენი მიკვირს, როგორ არ იცი, მკვლელის.

ბ ა ვ შ ვ ი. დედა, დედა, აგერ მათხოვარი, მიეცი რა ფული, არა, მე მომეცი, მე მინდა ჩავუგდო თვითონ.

ნ ა ტ ა. აჰა, აბაზი, არა, მოიცა, მარ-

 

გო, მოდი, მივიდეთ მასთან, ის აქ ზის დილიდან.

მარგო. წამო, დღეს არა.

ნატო. ვერ გცნობ, ვერაფერს ვეღარ ვხვდები.

მათხოვარი. ორიოდ კაპიკი, გამარჯობათ შვილო, ნაცნობი ხარ, თუ არ გეწყინებათ ასე გიწოდებთ თქვენივე გულის სადღეგრძელებლად.

ნატა. აპა, აბაზი, არა მანეთი.

მარგო. მეც მოგცემ, აი, აბაზი. (ლაპარაკი მიდის ნახევარ ხმაში).

ნატა. დიდი ხანია ის აქ იყო?

მათხოვარი. დიახ, ქალბატონო.

ნატა. მერე?

მარგო. მერე?

ნატა. მერე?

მათხოვარი. თქვენ როგორც იცით ქალების ამბავი, ჯერ იმ ქალმა წყევლით ამოაგდო, ძირში მოთხარა, ბოლოს შეეცოდა მარინე, თქვა, ღმერთი დიდია, მაინც იმედი მაქვსო.

მარგო. წავიდეთ, ქეთო, რა უგულოა ის გოგო. თუმცა ღირსია, ყველგან ვიტყვი, ეგეთები ადგილზე უნდა მოკლა.

ნატა. იმას მეტი უნდა ექნა, მაგრამ მარინეს რა გული აქვს არ ვიცი.

ნანა. დედა, მომეცი რა კიდევ აბაზი, მივცემ, რა!

ნატა ხელს ჰკიდებს ნანას, ქაჩავს. მიდიან ცირასთან, ქეთო იქითა ოთახიდან გამოდის, ცირა წევს უმოძრაოდ.

ქეთო. ოჰ, უკვე?

მარგო. რა თქმა უნდა, გვიანაც არის.

ქეთო. შენ საითღა, ნატა?

ნატა. ცირასთან დავრჩები, დღეს გვიან მივდივარ სამსახურში, ცოტა გულს გადავაყოლებ, ცოდოა მთელი დღე მარტო.

ცირა. გმადლობთ, ნატა.

(ბავშვი კატას აწვალებს).

ნატა. როგორ მოგწონს იმ კაბის ფასონი? ქვევით ვიწრო სახელოებით, მხრებთან ფართე, დიდი თეთრი საყელოთი, ბიჭური პერანგივით.

ცირა. ძალიან, ოღონდ კერვა მასწავლე, ნატა, ისე მინდა ვი[illegible]

ნატა. გასწავლი ყველ[illegible]ლადაც ისწავლი. მთავარი პრაქტიკაა, შენ კი იმდენი დრო გაქვს, ეჰ, მე რომ დრო მქონდეს, ოღონდ თვალებს აფუჭებს, სუფთა სამუშაოა. შენ კი მგონი სუსტი თვალები გაქვს, რაღაც გადაღლილი ჩანხარ, არ გეძინა წუხელ? წაიძინე ახლა, ჩემო კარგო, წაიძინე.

(ქეთო საწოლთან სკამზე საუზმეს შლის, მერე ჩანთას იღებს, შვილს კოცნის, გადის).

მარგო. ნახვამდის, საყვარელო, ნახვამდის, ჩვენ წავიდეთ, ნატა, შენ რჩები? ცირა, აუცილებლივ დამახვედრე ახალი ამბები, მეც მოგიტან, ხომ იცი, ვიწვი, შენ კი მანდ ლოგინში მეტს გაიგებ ვიდრე მე, კარგად,ჩემო კარგო, მიმიხვდი რა ამბებზეც გითხარი? (ხელით კოცნას უგზავნის, მიდის).

ნატა. ცირა, საყვარელო, იცი რა? რანაირი უძილო თვალები გაქვს, ოჰ, ათის ნახევარია, მარინეც მიდის სასამართლოში უკვე, აი, გამოვა, არც კი იხედება, წავიდა. ნეტა რა იქნება, რა საინტერესოა? ვიწვი პირდაპირ, ისე მინდა დავეხმარო გასამართლებას, მაინც არ მესმის მაგ გოგოსი, ძალიან მინდა რომ ის დახვრიტონ, ის ავაზაკი, უუჰ! ოღონდ მარინე არ მიყვარს, გოგო და ასეთი? მესმის, იტირო რამდენიც გინდა, ოღონდ ასე იძიო შური? სულ არ არის ქალური, არც ლამაზია, საინტერესოა რატომ უყვარდა გიოს ეგრე ძალიან, რა ბიჭი იყო მერე, ღმერთო შეგცოდე, მეც კი მიყვარდა მგონი, ახლაც მახსოვს მისი გამოხედვა, გაცილებით კარგი გოგო ეკუთვნოდა, იცი...

ცირა. ნატა, გთხოვ მეტს ნუღარ იტყვი ნურაფერს.

ნატა. კარგი, კარგი როგორც გინდა, იცი, მე წავალ, გავიქცევი, ისე მაინტერესებს, ვიწვი, შენთან ბავშვს დავტოვებ, ის მოგივლის, თანაც არც ვიცოდი სად დამეტოვებინა (უგზავნის ხელით კოცნას, მიდის).

მათხოვარს რამდენიმე კაპიკი ფული უგდებს, ისინი სცენის სიღრმიდან შემოდიან, მიდიან შუკისაკენ, იქიდან მოდის დათო, ჯდება მარინეს სახლთან და ხუთ ქვას თამაშობს თავისთვის, მათხოვარი ფულს ითვლის.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. სადილად მეყოფა, მომშივდა კიდეც, წავალ სადმე ვისაუზმებ, იმასთან ჯობია, ირაკლისთან, ერთი ჰიქა ლუდს უფასოდ მალევინებს, კაცსაც გააჩნია, არა? (თვალს უკრავს მაყურებელს, მიგორავს).

ც ი რ ა. მოდი აქ, ნანა.

ნ ა ნ ა. სად?

ც ი რ ა. აი, იმ კაბას ხომ ხედავ, აგერ ნემსი და სათვალეც მომაწოდე.

ნ ა ნ ა. შენ ვერ ილებ, არ შეგიძლია, არა?

ც ი რ ა. ჰო კარგი, არ მინდა (იყურება ჭერში) ნეტა რას შვება ახლა მარინე, წარმომიდგენია იმ ბიჭის სახე, ალბათ სულ ტირის და იხვეწება, აპატიონ, რა თქმა უნდა მარინესაც გული მოულბება, არ იტყვის იმის წინააღმდეგ ყველაფერს, მაშინ დახვრეტას გადარჩება, ღმერთო ჩემო, რა ცოდოა, საწყალ გიოს კი აღარაფერი ეშველება, არაფერი. (ცრემლები მოსდის) რა ცოდვები არიან, ღმერთო ჩემო!

გარედან ისმის მათხოვრის ხმა: მოგორავს, ვილაც ფულს უგდებს.

ც ი რ ა. მათხოვარიც მოგორდა საუზმის შემდეგ, ალბათ შუადღე გადავიდა, ვინ იცის, როგორ არის მარინე, იქნებ ცუდათაა, ნეტავ შემეძლოს მასთან ყოფნა, ის ხომ სულ მარტოა, ნეტა შემეძლოს.

შუკაში მოდის მარინე, თავი ოდნავ დახრილი აქვს და პირდაპირ იყურება შუბლზე ჩამოშლილი თმების ქვევიდან.

დათო წამოხტება, ღიმილით მირბის მისკენ, მაგრამ მარინე არ უყურებს, დათო შემკრთალი იხევს უკან და ბაჯბაჯით მისდევს, შესახვედრად გამოვარდნილი ძაღლი დინჯად უსვამს ტუჩებს, მიყვება.

ცირას კატა გულზე ეხუტება, მარინე დაუკაკუნებლად შედის და მაღალ, გადმოსაკეციან ბავშვის სკამზე ჯდება. დათო კართან დგას დაბნეული, ნანა კუთხეში ე[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ც ი რ ა. გამარჯობა, მარინე.

მ ა რ ი ნ ე. როგორა ხარ, ცირა?

ც ი რ ა. კარგად, გმადლობთ, შენ, მარინე, როგორა ხარ? არა, ნუ მეტყვი ნურაფერს; თუ ხათრი გაქვს, გთხოვ, დამიჯერო, აილე რამე, აგერ აქ დევს რაფაზე, მე ხომ იცი, არ შემიძლია მოგაწოდო, გაუმასპინძლდი შენ თავს, კარგი? დაღლილი ხარ ალბათ, გშია კიდეც.

მ ა რ ი ნ ე. ნუ მთხოვ მეტს, ცირა, არ მინდა.

ც ი რ ა. დააძალე თავს, საშინლად გახდი, თუმცა მოგიხდა თითქოს, გალამაზდი უფრო, დაავადმყოფდები ასე უჭმელი, მელაპარაკე რამე, ჩვენ ხომ ბავშვობის ამხანაგები ვართ! მარინე, დამიჯერე, ვიცი, ძნელია, მაინც ცოდოა, რამდენადაც შეიძლება გადააყოლე გული, აღარც ჩემთან შემოდიხარ, არა, საყვედურს კი არ ვამბობ, მოგაბეზრე თავი, კარგი მეტს აღარ გეტყვი არაფერს, ოღონდ აილე რამე.

მ ა რ ი ნ ე. კარგი, ავილებ. (მიდის იღებს კატლეტს, ადებს პურზე, ჭამს, სვამს წყალს).

ც ი რ ა. აი, აქ ნამცხვარია, ისიც აილე, ჰა! (მარინე იღებს ნამცხვარს, ჭამს).

ც ი რ ა. აი, ესე, ახლა კარგი გოგო ხარ, მოდი ჩემთან, გაკოცო!

(მარინე მიდის, უშვერს ლოყას).

ც ი რ ა. ჩემო კარგო, გაწვალდი ძალიან? მითხარი რითი დაგეხმარო? განა შემიძლია მე რამე, მართლა, დღეს ტელევიზორია, აქ ვუყუროთ ერთად; ჩვენები არ მოვლენ, დარჩები, დარჩები, ვიცი, უკვე რამდენიმე თვეა კინოში არ ყოფილხარ, ალბათ არც გინახია ტელევიზორი, არა?

მ ა რ ი ნ ე. რა გადის?

ც ი რ ა. გამოაცხადეს, დამავიწყდა, მოიცა, ნანა, მოიტანე გაზეთი.

(ნანა თავისთვის თამაშობს კუთხეში, მერე მოაქვს გაზეთი).

ც ი რ ა. (ათვალიერებს) „მეზღვაურები პორტში“.

მ ა რ ი ნ ე. კარგი, ვუყურებ.

ც ი რ ა. მოდი აქ, ჩამოჯექი, დღეს ველარ გცნობ, აი, ასეთი უნდა იყო ყოველთვის, ჰო, ჩემო კარგო.

მ ა რ ი ნ ე. (აბნეულია, ცდილობს გაიღიმოს, იხედება გარეთ: რა მყუდრო შუკაა ჩვენი... ჰო, ჩქარა გავიზარდეთ, სულ გუშინ იყო თითქოს: შენ ურიკაში იჯექი, მე გაგორებდი აქეთ-იქით, ზოგჯერ გარეთაც გავიდოდით დიდ ქუჩაში, ერთხელ იმ ქუჩის იქითა მხარეს ბომბორა ბანტიანი ძაღლი დავინახეთ, არა, შენ დაინახე მგონი პირველად, მარტო მინდოდა მისკენ გაქცევა ისე მომეწონა, მაგრამ შენ ატირდი, მაშინ მივაწექი ურიკას და სირბილით იქით გავწიეთ, სულ მაჩქარებდი, ძაღლის გარშემო კი აუარებელი ხალხი მოგროვდა, ცოტაც და მივდიოდით, მაგრამ უცებ მოსახვევიდან გამოვარდნილი საბარგო მანქანა პირდაპირ ჩვენზე წამოვიდა, მე გამიკვირდა, შენ დაიყვირე, სასწაულით გადავრჩით, მანქანამ კი ჩვენს მაგიერ სხვა გაიტანა, მაღალი შლაპიანი კაცი, რომელიც იქითა მხრიდან გადმოდიოდა და ის ის იყო, გვერდზე ჩაგვიარა, ვერ გავიგე, რა მოხდა, ყველაზე ახლოს კი მე ვიყავი, ის ეგდო, თავის ქალა გადახდილი ჰქონდა, სისხლი არ მოსდიოდა, მხოლოდ ფეხებს ჰიმავდა, მერე გაჩერდა, ხალხმა დაფარა ქუჩა, ბანტიანი ძაღლი საიდანღაც ჩვენთან გაჩნდა, შენ ტიროდი მთელი ხმით, მეც ძალიან შემეშინდა, ტირილი დავაპირე, მაგრამ ბანტიან ძაღლს მოვკიდე ხელი, იმას გრძელი და თბილი ბეწვი ჰქონდა, მთელი თვე აღარ გვიშვებდნენ იმ ამბის შემდეგ სახლიდან.

ც ი რ ა. ნუთუ ასე კარგად გახსოვს შენც ეგ ამბავი, სულ ექვსი წლისანი ვიყავით მაშინ.

მ ა რ ი ნ ე. ჰო, ექვსის, შემდეგ წელს მე დავიწყე სკოლაში სიარული. სალამოს მომქონდა ჩაწერილი გაკვეთილები და ერთად ვსწავლობდით, ყოველთვის ჩემზე ადვილად იხსომებდი ყველაფერს, ოი, რა უნიჭო ვუყვარდი, წარმოგიდგენია, სიარულიც კი მეზარებოდა, მაგრამ მერე შემიყვარდა, ზოგჯერ ექვს-შვიდ საათს ვუკრავდი — სკოლის გაკვეთილებსაც კი ვივიწყებდი. ეჰ, ისე მინდა ახლა კარგად ვუკრავდე, სიამოვნებით გავატარებდი ფორტეპიანოსთან მთელ დღეს, ვერ წარმოიდგენ რა სიამოვნებით შევასრულებდი ლისტს ან რახმანინოვს.

ც ი რ ა. საწყალი, დეიდა ოლია, ეცოცხლა, ეხლა შენ არ დაანებებდი თავს მუსიკას.

მ ა რ ი ნ ე. ჩემი დედა... თითქოს ახლაც ვხედავ საწყალს, რა კეთილი იყო, გამიკეთებდა დიდ თეთრ ბანტს, ოჰ, როგორ არ მიყვარდა ისე მაღლა აწეული თმები, სულ მეჩვენებოდა, რომ ყოველდღე იზრდებოდა ბანტი, დედა კი მომცემდა ხელში შავ დიდ ნოტების შესანახს შოპენის პროფილით ყდაზე; მეორე ხელს მე მომკიდებდა და მივდიოდით მუსიკაზე; იქ გავიცანი გიო.

ისეთი პატარა და ბომბორა იყო ჩემი ბიჭი, მეექვსე კლასში როცა გადავედით, გააგდეს — სულ არაფერს არ სწავლობდა, როგორ დამწყდა გული, ვერ წარმოიდგენ, ვტირე კიდეც ისე ვიყავი მეჩვეული მის ნახვას.

ღმერთო ჩემო, რეებს ვიგონებ, როგორ მსიამოვნებს თან ვერ წარმოიდგენ, როცა ვყვები პატარაობის ამბებს, მგონია, რომ ის ცოცხალია, ასეც არის, სანამ არ მივალ იმ ასაკამდე ჩემი მოყოლის დროს მაინც სულ ცოცხალი იქნება. ჰო, ჰო მომაგონდა... თავი მტკივა. იმდენჯერ მიფიქრია ამაზე, რომ მეჩვენება თითქოს მავიწყდება.

ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, მე დავამთავრე, იმანაც. ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა, მაგრამ არაფერი არ გამხარებია, ისე გულწრფელად, როგორც გაგდებული გიოს ჩუმად მოსვლა მუსიკალურში. მაშინ დედა უკვე მარტოს მიშვებდა, თანაც სწორედ იმ დღეს ბანტი არ გამიკეთა, ყვითელი მოჭერილი გეტრები და მაღალყელიანი ფეხსაცმე-

ლები მეცვა, შავი სწორი კაბა, თან ხელში, რაც ყველაზე ძალიან მიხაროდა, დიდი საქაღალდის მაგიერ, პატარა, მრგვალად რომ იღება ისეთი ნოტების შესანახი მექირა, ყველაფერს ამას ვგრძნობდი, ისე აშკარად, იმდენად ნასიამოვნები ვიყავი ჩემი გარეგნობით, რომ პირველად გიოს დანახვა არც კი გამხარებია, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. მხოლოდ კიბის ბოლოს, სადაც ის იდგა, ვიგრძენი რომ სახე გამიჩერდა და გავწითლდი, ამაყად წავედი პირდაპირ, მე თვითონ არ ვიცი რატომ არ მივედი, არ დაველაპარაკე და უხმოდ ჩავუარე.

— დიდი ხანია ბანტი მოიძრე? — მომესმა იმისი ხმა, მერე რაღაცა ჩაუსტვინა თავისთვის. მე ძალიან გავბრაზდი, თან სულ ვფიქრობდი, იქნებ ჩემი ბრალი იყო და იმიტომ მომაძახა ასე, რომ არ დაველაპარაკე; სულ შეუმჩნევლად მესიამოვნა კიდეც, რომ ასე გაბრაზდა ჩემი არდალაპარაკების გამო. ყოველი შემდეგი დღე მახსოვს თითქმის. ერთი თვეც არ იყო გასული, ჰო, ოცდაერთში მომიკვდა დედა. საწყალი დედა სულ ტიროდა სიკვდილის წინ, მე კი ვუყურებდი გაკვირვებული, გაბრაზებული, მოკვდა საწყალი, დილა იყო მაშინ.

მეორე დღეს ფანჯრიდან დავინახე გიო, ის იდგა იქ, ბოძთან და დანით ჰრიდა რაღაცას, მე ცრემლიანს გამეღიმა, გულზე მომეშვა, მაგრამ ამ ახალმა შეგრძნებამ თითქოს უფრო მატკინა გული, უფრო შემეცოდა დედა და ავტირდი, მერე ცრემლები შევიმშრალე და ფანჯარასთან მივედი.

— დედა მოგიკვდა, — მკითხა იმან.

— ჰო-მეთქი, — წამომივიდა ცრემლები.

— მე, შარშან ბიძა მომიკვდა, ისეთი ღონიერი იყო, სულ მაღლა-მაღლა მისროდა, ჩვენთან იმდენი ხალხი იყო რო, — თქვა და წავიდა.

მეორე დღეს სამი ბიჭი მოიყვანა და მოვიდა. მე ველოდი, სულ არ გამკვირვებია მისი მოსვლა, ახლოს არ მივედი, გარშემო ხალხი იყო და მეუხერხულა.

— აგერ მარინეს სკოლის ამხანაგებიც მოვიდნენ, — დაატირა კუთხის დეიდაჩემმა, — მიდი, მიდი, მითხრა ბიძამ. მაგრამ მე არ წავედი, როცა ისევ გავხედე იქით ჩხუბი იყო გახურებული: გიო და მისი ამხანაგები სეირის საყურებლად მოსულ ბიჭებს ცემდნენ, ისინიც გარბოდნენ, ქვებს ისროდნენ.

ც ი რ ა. მახსოვს ჩვენი ფანჯარა ჩაამტვრიეს სწორედ.

მ ა რ ი ნ ე. ჰო, ვიცი რომ გახსოვს, მარტო შენ იცი ყველაფერი ჩვენი და გამიგებ, შენთან მეჩვენება, რომ ის ცოცხალია, როგორ ვიტანჯებოდი ყოველი მასთან დაშორების დროს, ჯერ კიდევ მაშინ ბიძასთან რომ გადამიყვანეს დედის სიკვდილის შემდეგ და გიოს ველარ ვხედავდი, გავიდა მთელი წელი, მეტიც. აღარ მინდა, არც შემიძლია მეტის მოგონება, გამიგე, ცირა, შენ იცი ჩვენი ყველაფერი, გიო მოკლეს, მოკლეს, ჰო, მოკლეს; მოვიდა, გითხარი კიდევ, ჰო, რას გეუბნებოდი, იცი, ვინ მოკლა? ვიღაცამ, ჰო, ვიღაცამ, ცხოველმა, არაკაცმა, ახლაც მაკანკალებს მას რომ ვიგონებ: თხელ მხრებში ჩამჯდარი თავი მწვანე თვალებით, პატარა ჭროლა, ქერა, „ჩოლკით“.

ყველაფერი ერთ წამში მოხდა. მოვდიოდით ერთად, როგორ დაუძახა აღარ მახსოვს რატომღაც, ის ვიცი — ისინი გვერდზე გავიდნენ, მერე ის გაიქცა, მე ვერ გავიგე, რა მოხდა, როცა მივირბინე გიოსთან, წელში იყო მოხრილი, მე გამიკვირდა, ხელი მოვკიდე, ის სულ მოეშვა „აღარ შემიძლია რო გადავუხადო“ — თქვა თითქოს თავის მართლებით, მერე კიდევ უფრო დასუსტდა, მოეშვა, სულ მოეშვა და გათავდა ჩემი ბიჭი... (ცირა ხელს უწვდის, მარინე მიდის, ლოყებს ადებენ ერთმანეთს და ტირიან).

ც ი რ ა. დაწყნარდი, ჩემო მარინე, ვიყოთ ერთად, დაწყნარდი, ჩემო კეთილო.

მ ა რ ი ნ ე. (უცებ სულ იცვლება, სწრაფად შორდება საწოლს) კეთილო?

არა! არ მინდა ვიყო ეგ, კეთილი. ჰმ, ჰა, ჰა, იცი, რა იყო დღეს? ოთხი თვის შემდეგ ვნახე ის მწვანე თვალები. არავითარი სინანული, არც მონანიება არ ეტყობოდა სახეზე, თუმცა ჩემთვის სულ ერთი იყო. გამომიძახეს, ხალხი გაიყო, მე ვერ ვხედავდი ვერაფერს იმის გარდა, პირდაპირ იჯდა მელოტი მოსამართლე, იმაზე გადავიტანე მზერა, კიდევ ერთხელ მივიხედე ბრალდებულთა სკამისაკენ და დინჯად, ოღონდ ერთი სულის ამოთქმით ვთქვი: აი, ამ ბიჭმა, მე მისი სახელი და გვარი არ ვიცი, მოკლა დანით და წინასწარ განზრახვით, რადგან ვუყვარდი მე, მე კი მას რამოდენიმეჯერ უარი ვუთხარი. ეს არის და ეს, გამოვბრუნდი, ის წამოიწია, სახეზე წამომახურა, მხოლოდ ახლა შევხედე პირდაპირ ხალხს, გავბრუვდი, სიზმარივით მესმოდა ხმები: „კახპავ, ეშმაკის შვილო, დაწყევლილო". პირველად არაჩვეულებრივად მსიამოვნებდა მათი ლანძღვა, ვგრძნობდი, რომ სწორედ ის გავაკეთე, რაც უნდა მექნა. თავისუფლად ვიგრძენი თავი, ამაყად, ძლიერად.

აქეთა მხრიდან გიოს ნაცნობები მიყურებდნენ გაბრწყინებული, ნასიამოვნები თვალებით. „ყოჩაღ, მარინე", — მითხრა კოტემ, გიოს ძმა-კაცმა, რაღაც არ მესიამოვნა მის ქებაში, ისეთი რამე, რაც არ გამიფიქრებია, როცა მლანძღავდნენ, სწრაფად წამოვედი პირდაპირ აქეთ, რა დროა, არც კი ვიცი, იქ ალბათ ისევ გრძელდება სასამართლო... სხვაგან წასვლა არ შემეძლო, ცირა... მე რაც შემეძლო, გავაკეთე. სულ ყურში მედგა გიოს სიტყვები: „აღარ შემიძლია, გადავუხადო!" მე გადავუხადე, მე კმაყოფილი ვარ... დავმშვიდდი... ნამცხვარსაც ავიღებ, კატლეტსაც, დავლევ კიდეც. ახალი წყალია? ოჰ, პაპიროსსაც სიამოვნებით მოვწევ, რა თამბაქოა, აი, ასე ვმშვიდდები მთლიანად. (აბოლებს) ახლა შემეძლება კიდეც გიო ვიგლოვო, ძველი ამბებიც მოვიგონო, მასთან გატარებული დროიდან, როგორც ახლა ვიგონებდი... მართლა, ვინ იცის, როგორი მოსავლელია მისი საფლავი, ჩემი ბიჭი, დასაფლავების შემდეგ აღარ ვყოფილვარ იქ, დავიფიცე, სანამ მისი მკვლელი ცოცხალი იყო, იქ არ მოვსულიყავი, ახლა წავალ. ...ხვალ ალბათ მიუსჯიან, სამი დღის შემდეგ მორჩება ყველაფერი, მაშინ...

ც ი რ ა. მაშინ რა იქნება?

მ ა რ ი ნ ე. არაფერი, იმ ბიჭს დახვრეტენ, აღარ იქნება არაფერი დარდის მეტი.

როგორ დახვრეტენ, იცი არა?! არ იცი! გავიგე: გაიყვანენ ჩუმათ, სამი დღე სიკვდილის მოლოდინში ყოფნის შემდეგ და დაახლიან კეფაში, ნელა დახუჭავს დაუხამხამებლად მწვანე თვალებს, ნეტა შემეძლოს, რომ ვუყურო. ღმერთო ჩემო, რას ვამბობ, ჰო, ნეტა შემეძლოს, ხომ ხედავ, გიჟი ვარ, სისხლის მსმელი და ეს მსიამოვნებს, გესმის შენ ჩემი? თქვი, რამე, თქვი.

ც ი რ ა. მართლა უყვარდი იმ ბიჭს?

მ ა რ ი ნ ე. არა, ჰო, არა, ჰო, არ ვიცი; თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, არა, არა, არა და კიდევ არა.

არ ვიცი, მე ვიცი რომ მარტო გიო არ იქნება მკვდარი, არ იქნება მარტოკა სიცივეში, თქვი, თქვი, ცირა, ხო კარგი ვქენი, ხო, გათბება გიო, ისიც რომ ჩავა იქ, ხომ ვარ ღირსი, რომ გიოს ვყვარებოდი, მეც მყვარებოდა, თქვი, ცირა, ჰა?

ც ი რ ა. ღმერთო ჩემო, მეშინია შენ რომ გიყურებ, ნუთუ შენ ტყუილი თქვი, ტყუილი, უნდა დახვრიტონ კაცი, ვისაც არც კი იცნობდი?!

მ ა რ ი ნ ე. არ ვიცნობდი? იმან მოკლა გიო, რატომ? ჩემთვის სულ ერთია, არც კი ვიცი, არც მინდა ვიცოდე, იმან დამტოვა მე ასე ნახევრად გიჟი, ტყუილა დახვრეტენ? ტყუილა? ჰა, ჰა, განა ეს ტყუილაა?!

ც ი რ ა. მარინე, ნუთუ ეს შენა ხარ, მეშინია, რომ გიყურებ და ყველაფერი ეს შენ გააკეთე, შენ! რომელიც სულ ორი წუთის წინ ასეთი ნაზი, კარგი იყავი. მე ვიცი არ არის ის ხალხი მართალი, რომლებიც ამბობენ შენზე „მარინე უგულო გოგოაო". თუმცა იმ ბიჭის და-

ხვრეტა ძალიან სიამოვნებთ. ხო არა ხარ შენ უგული, მითხარი, ჩემო კეთილო, ხომ არ არის ეგ სწორი?!

მ ა რ ი ნ ე. სწორეა!

ც ი რ ა. ტყუიხარ, მარინე, შენ კარგი გოგო ხარ, უბრალოდ, არ გესმის რას აკეთებ, შენ არ იცი, რა არის სიკვდილის მოლოდინი, ათასჯერ უარესია, ვიდრე თითონ სიკვდილი.

მ ა რ ი ნ ე. შენი სიტყვებიდან უფრო კარგა ვგრძნობ, რომ ისე მოვიქეცი როგორც საჭირო იყო.

ც ი რ ა. დამიგდე ყური, ნულარ იტყვი ნურაფერს, შენ ეგ არ იცი, მე კი ვიცი, აქ ამ ლოგინში ბევრ ისეთ რამეს ვგრძნობ, რაც თქვენ არ იცით, ის არ გხვდებათ ყოველდღე ქუჩაში, სადაც შეიძლება თუნდაც ბევრი ხალხის დანახვით გული გადააყოლოთ დარდს, აქ კი სიმარტოვეა, ყველაზე ცხელ დღეებშიც მცივა და მეშინია. არ გეგონოს თავს გაცოდებდე, მაგრამ მინდა მომისმინო შარშანწინ შემოდგომაზე, ჯერ შენ კიდევ ზღვაზე იყავი, გავცივდი ორპირ ქარში, ჩემთვის გაციებაც კი არ შეიძლება, ამდენი წოლით დასუსტებული ორგანიზმი ვერ უძლებს, გამირთულდა, გადამივიდა ფილტვებში, ყურებზე, მოიწვიეს კონსილიუმი, მე უგრძნობლად ვიყავი — ახლაც არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა უთხრა ექიმმა ბიძაჩემს — „სამ დღეს თუ იცოცხლა დიდი რამ არისო“ და წარმოიდგინე ის სამი დღე იმ სიტყვების გავლენით, უფრო შიშით რომ მოვკეთდებოდი, გონებაზე ვიყავი, არავინ არ დატანჯულა ალბათ ისე, როგორც მე მაშინ, სიკვდილის შეგრძნებამ, თან წინასწარ რომ იყო კიდეც, არაჩვეულებრივი სიცოცხლის ძალა მომცა, ისე არასოდეს არ მომნდომებია, თუნდაც როგორც ახლა ვარ, ნახევრად მკვდარს მეყურებინა ცარიელა კედლებისათვის როგორც მაშინ. მარინე, ყველაფერი ეს მართლა იყო, მითუმეტეს რომ ჩემისთანა ავადმყოფისათვის, რომელიც მიწაზე ცალი ფეხითაც კი არა დგას, სიკვდილი არ უნდა იყოს ძნელი, ო, ამ შეგრძნებას უცებ სიკვდილი სჯობია.

შენ არ იცი, მარინე, თორემ არ შეიძლება შენისთანა მგრძნობიარე გოგო ამას ვერ ხედავდეს, არ იცი შენ, დამიჯერე, გამიგონე, რას შევები, არ გესმის, ღმერთო ჩემო! მარინე, მოდი გონზე, გთხოვ, მარინე, თქვი მაინც, ხომ არა ხარ შენ ასეთი?

მ ა რ ი ნ ე. მე მამტყუნებენ, შენ მამტყუნებ, ცირა? მე არ ვიცი, რა არის სიკვდილის ლოდინი?! შენ, შენ კი იცი, რა არის სიყვარული, რა განვიცადე მე ამ ოთხ თვეში, რა იყო ჩემთვის გიო, თქვი, იცი, რა არის ბიჭის სიყვარული? ოჰ, ღმერთო ჩემო...

ც ი რ ა. (ტირის ქვითინით).

მ ა რ ი ნ ე. (უცებ ეშვება, ცირას შორდება. თავისთვის): ღმერთო ჩემო, ეს როგორრა ვთქვი, როგორ ვაწყენინე ცირას, ოო, მართლა რა ბოროტი გავხდი, საწყალი გოგო. (მიდის მასთან) ნუ, ჩემო კარგო, ნუ, ნუ, მე არა, სულ სხვა ვიფიქრე (არ ტირის, ოღონდ ისე ჩამოდის ცრემლები).

ც ი რ ა. (ქვითინით) მესმის ახლა, მესმის, მარინე, შენი, როგორ შემეძლო გამტყუნება, ოი, რა დამნაშავე ვარ, არ არის შენი ბრალი, ეგ არის ალბათ სიყვარული, ეხლა მესმის, შე საწყალო, მოდი აქ (კოცნის) ჰო, ჰო, არ არის შენი ბრალი, აღარ მესმის მეც არაფერი... (ტირის, მარინეს კოცნის).

დ ა თ ო. მარინე! მარინე! უთხარი რა ცირას, ნუ ტირის, მოდით მეთამაშეთ ქვები, კარგი?

ნ ა ნ ა. მე მინდა თამაში, მომწყინდა, გვეთამაშეთ შენ და ცირა მე და დათოს. მე გავითვლი მარინე კარგი გოგოა, ა-ა-ა, კარგი გო-გო-ა, (გათვლა ხვდება დათოს) შენ კარგი გოგო ხარ?

მ ა რ ი ნ ე. დათო კარგი ბიჭია (ოდნავ ილიმება, ცირაც ილიმებასავით) კარგი, ვითამაშოთ, მოდი აქ ცირას ლოგინთან.

ც ი რ ა. ოჰ, (ცრემლებს იწმენდს, ამოისუნთქავს, უყურებს მარინეს, რომელიც ნერვიულად დაწყნარებულია).

ც ი რ ა. ვითამაშოთ, რამდენი ხანია არ მითამაშია, (თამაშობენ).

დათო. მე კინოს ვნახავ, აქ ტელევიზორია, ამ ყუთში, მე და შენ ხომ ვნახეთ, გახსოვს, ცირა?

ცირა. მართლა, მოაბრუნე, დათო, აქეთ, ასე, ეხლა ჩართე, შენ ჩართე მარინე, აგერ, ჩამრთველი; ასე, ჯერ გახურდეს, მარჯვნივ არის ფოკუსი, შუაში ხმაა, აქეთ სიმკრთალე-სიბაცის დასაყენებელი, ასე დააყენე, არა, სწორედ დროა, ყოჩაღ, დათო, რომ მოგაგონდა, მათხოვარსაც დავუძახოთ, ესიამოვნება. (დათო გარბის გარეთ, ეძახის, ძია, კინო დაიწყო).

ნელა ეშვება თეთრი ფარდა. მათხოვარი მოგორავს ფარდის წინ, ლაპარაკობს სანამ ფარდა დაეშვება:

მათხოვარი. უყურეთ, უყურეთ, ტელევიზორში დღეს ნახავთ გადაცემას ციკლიდან: „მეზღვაურები პორტში“. მეც შემეძლება კარგი ფული გავაკეთო (ხალხს თავს უკრავს, გამოდის ფარდის წინ).

ფარდა სულ ეშვება, ის თეთრია, კამკამა. უკრავენ მუსიკას, ფარდის ერთ კუთხეში ხატია ორი უზარმაზარი გემის ცხვირი, მეორეში ყვითელი მზე და პალმა შავი შტრიხით. ფარდის ზედა ნაწილს ეცემა რამდენიმე ჩრდილი, ქანაობენ — ჩამომხრჩვალ ადამიანებს ჰგვანან, იწყება გაცხოველებული მოძრაობა, გადადის ხმა ჯაზში, ქალები, რაც შეიძლება, ღია კაბებით ჩანან, კაცები —მოკლე შარვლებით, მეზღვაურები — ფორმით, გენერალ-ადმირლები — ცოლით და ბავშვებით.

იქით ვილაცები არშიყობენ, ორი ბიჭი გოგოს აწვალებს, ჯაზი უფრო ხურდება, ჩვენი მათხოვარი ზის წინ და აუარებელ ფულს აგროვებს; მოაგორებენ მოძრავ დუქანს, სვამენ არაყს, ლუდს, იფურთხებიან თევზის ნაფცქვენებს, მუსიკოსები სცენაზევე არიან: „ტრუბა“ — ტიტველ ტანზე შავი კოსტუმით და წითელი დიდი ყელსახვევით; აკორდეონი — „ტილნიაშკით“, ჩელო — ფრაკითა და თეთრ პერანგზე შავი ბანტით: „ბარაბანი“ სულ შიშველია, წელზევით ბანჯგვლიანი. ჯერ შემოდის თემო, მერე გურამი, ორივენი ზორბები არიან და სხვებისაგან გამოირჩევიან, გურამს ჩაბოუნებული „ტილნიაშკა“ აცვია, თემოს ოფიცრის დახეული „ფუფაიკა“ ჰაგონებით.

თემო. ოჰ მე, ძლივს არ დავდგი ფეხი ამ წყეულზე.

გურამი. გადავეჩვიე [illegible] სიარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემო. აბა, რა იქნება. საუკუნეა წყალში ვართ.

გურამი. კარგია, მაინც ნუგეშია, წყალში ხარ და ხმელეთზე გელოდება ვინმე — ისეთი, შენი ირინკა როა.

თემო. შენ რა იცი ჩემი ირინკა?

გურამი. კარგი, მეტს რას უუყურებ, ზოგჯერ კოცნი იმის სურათს

თემო. მერე, იქნება სიცოცხლეში არ ვარგა, რა იცი...

გურამი. კიდე წერილებს ჰომ ვკითხულობდი, შენ არ მაკითხებდი? მახსოვს კიდევ ზეპირად, გითხრა?

თემო. (ნასიამოვნები იჩეჩავს მხრებს) თქვი, რა, (ვიღაცები არაყს აწვდიან, სვამენ, კიდე სვამენ).

გურამი. ზღვაში გასულების სადღეგრძელო იყოს, კიდე იმათი, ვინც ხმელეთზე გელოდება და გწერს წერილს: „ჩემო თემო, ლოდინი დიდხანს, დიდხანს გრძელდება, მაგრამ სიკვდილამდე რომ იყოს, მაინც დაგიცდი, ასეთია ჩემი გული, სულ ბედნიერი იყავი, ჩემზე ნუ იდარდებ! ჰა, რა მხრებს იჩეჩავ, ვითომ არ გახსოვს, ხო ვიცი, გსიამოვნებს როცა გიქებენ და იმაზე გელაპარაკებიან, ვითომ არ ვიცოდე შენი ხასიათი, კარგი გოგოა, ძმაო, კარგი, ეგეთი გოგო ახლა იშვიათია, ამათ კი არ ჰგავს. (აქეთ-იქით ქალები დადიან გამომწვევად).

გურამი. მოიცა, ლამაზო, ლამაზო!

ლამაზი. რა, ჩემო მეზღვაურო? (ხელს უსვამს ნიკაპზე).

გურამი. არაფერი, გაიარე.

თემო. რატო ეგრე, ჯერ უქაზი, მერე აგდებ.

გურამი. შენ რა, შენისთანა გოგო რომ მყავდეს, მორჩა, სხვას არც კი გავეკარებოდი, ახლაც უცებ მომინდა ეგ კახპა, წამო კიდე დავლიოთ, მაგათ მერეც ვნახავთ.

დუქანთან მთვრალი მეზღვაურები კინკლაობენ, ერთს მიათრევენ იქით ქალები. მკერდგა-

მოგდებულები. უყურებენ ჩხუბს. მერე ერთი მათგანი იწყებს ცეკვას როკ-ენდ-როლ. რიტმი გიჟდება: აქეთ გურამი და თემო სვამენ. თვრებიან. მოძრაობები უდუნდებათ. დაწითლებული თვალებით უყურებენ ვნებიან ცეკვას. გურამი ზურგით დგას.

თემო. ერთს ჩქმეტს. ის შეხტება. იცინის, ხელს კიდებს თემოს. უნდა ცეკვაში შეითრიოს.

თემო. თემო. წამო. ბიჭო. რა გულებით ხედავ. თითო სიცოცხლედ ღირს.

ქალები. აქეთ. მეზღვაურებო. ჩვენთან! გურამს: ლამაზო. რა ზურგი შეგვაქციე?

თემო. წავყვეთ.

გურამი. არა. არ მინდა.

თემო. (ექაჩება) წამო.

გურამი. არ მინდა. მე მინდა... (იქნევს ხელს) შენ რა გიჭირს. მე კი არ მინდა, გითხარი. არც შენ გინდა. გეუბნები.

(ცეკვა. უკან იწევს გურამი. ცოტა ბნელდება, კარგი ლამპის ქვეშ გურამი და თემო ჩანან).

თემო. მა რა გინდა?

გურამი. ისეთი გოგო. სიყვარული.

თემო. მართლა. რატომ მითხარი ირინკაზე კარგი გოგოაო?

გურამი. კარგია და იმიტომ!

თემო. (ეწევა). მერე შენ რა! ჰა?

გურამი. მე არაფერი.

თემო. ის ჩემია, ხო იცი! (გურამი ხელს კიდებს და მიათრევს).

გურამი. წამოდი, რაღაცას გეტყვი;

მიდიან, ეშვება ახალი ფარდა განათებული მთვარის შუქით, თეთრ ტილოზე ზღვის მაგიერ ორი სწორი ლურჯი ხაზია. ეს არის უდაბური ზღვის ნაპირი უპალმოდ.

გურამი. აი აქ მარტო ვართ.

თემო. მერე?

გურამი. არაფერი.

თემო. თქვი, რა გინდა, მართლა, რატო თქვი ირინკა კარგი გოგოაო. ჰა?

გურამი. ვიტყვი.

თემო. თქვი.

გურამი. მეც მიყვარს!

თემო. რა თქვი?

გურამი. (უყვირის) მიყვარს! მიყვარს. მიყვარს! (თემო ურტყამს კიდევ ურტყამს).

ბიბლიოთეკა

გურამი. უფრო მაგრა გამარტყი! მიყვარს ძმაკაცის შეყვარებული. მიყვარს ირინკა. ასე. უფრო მაგრად. მომკალით. მიყვარს. ვიდრე შენ ის. მირტყი. მირტყი. ხა. ხა. ხა... (უსტვენს ოთხი თითით).

თემო სულ ურტყამს. თეთრ ფონზე ჩრდილები ჩანს. გურამი დაეცემა. ისევ დგება. ისევ დაეცემა. თემო წიხლს ურტყამს. წაქცეულს ზედ ეცემა და ტირის ხმამაღლა.

თემო. რა ბიჭენი. რა. ბიჭო. უჰ. შენი. რატო მაცემინე თავი. შემომიბრუნე ხელი, აჰა. მიიღე. ურტყამს კიდევ ტირის. შემომიბრუნე ხელი. თორემ მოგკლავ. გესმის. მიშველეთ. ვკლავ (წვდება ყელში. გურამი გდია. ხრიალებს) გურამ. ბიჭო. გამარტყი შენც. ნუ მახრჩობინებ თავს. ნუ მაცემინე თავი. იქნებ მომერიო კიდეც. ბიჭო. მირტყი შენც. არა? მიიღე კიდე! (ყელში ხელს უშვებს. ურტყამს სილას.

გურამი. (ხრიალით) კიდე გამარტყი!

თემო. (ეცემა ზედ ისევ და კოცნის გიჟივით) არა! მორჩა, მორჩა, მორჩა, რისთვის?, გიყვარდეს შენც. არ გიშლი, რატო გცემე (ირტყამს სახეში) გიყვარდეს, გიყვარდეს, ეს რა ვქენი, ბიჭო. ადექი გურამ, გურამ, თქვი რამე. მითხარი, არ შეიძლება ორივეს გვიყვარდეს, ჰა? (ტირის).

გურამი. არა, არ შეიძლება. გაიგე.

თემო. მაინც გვიყვარდეს ორივეს. კიდევ რამდენი დრო გვაქვს ზღვაში სამყოფი, მანამ, ვინ იცის. (თვითონ ირტყამს სახეში, ოღონდ მოსუსტებულად). გვიყვარდეს ორივეს, გურამ (კოცნის. უყურებს დაშტერებით გურამის სისხლიან სახეს, აყენებს, ორივენი მიდიან ზღვის ნაპირის გასწვრივ. ტალღები ცოტათი ხმაურობენ. გრძელი სილუეტები მიყვებიან ჰორიზონტს).

თემო. უცებ ბრუნდება და ისტერიულად ხარხარებს. ხა. ხა. ხა..

გ უ რ ა მ ი. ის ერთადერთია, რა ვქნა, შენ ვერ გაიგებ, რატო, იცი? არა, გეტყვი, შენ რომ გიყვარს იმიტომ — მორჩა!

თ ე მ ო. მორჩება სამსახური, ერთად წავალთ იქ, მანამ გვიყვარდეს ორივეს, მერე...

გ უ რ ა მ ი. ორივესი ხომ არ იქნება მაინც, მირტყი კვლავ, დამახრჩვე; (ამბობს უკვე სუსტად, ულიმღამოდ).

თ ე მ ო. იქ ვნახავთ შემდეგ, ახლა დაწყნარდი. (კოცნის, ხელს ხვევს, მიდიან).

(ზღვა თავისი ორი ლურჯი ზოლით მაღლა ადის).

სალამო ხანია, სასამართლოდან მოდის მარინე, დათოს ვიღაც პატარა ბიჭი მოსდევს, ჯოხით აწვალებს.

დ ა თ ო. მარინე, მარინე!

მ ა რ ი ნ ე. (მკაცრად უყურებს პატარას, ის შეშინებული იმალება).

დ ა თ ო. მცემდა იგი?! მოვუგე და იმიტომ. დღეს აღარ ვუყუროთ კინოს, კიდევ მეზღვაურები იქნებიან, როგორ ცემა არა იმან? მოხვალ შენ?

მ ა რ ი ნ ე. არა.

დ ა თ ო. მე მოვალ შენთან, ვითამაშოთ კიდე. აი, კენჭები, გუშინ ხომ მოგიგეთ, მე კარგად ვთამაშობ, ყველას ვუგებ, იცი? იმიტომ მცემენ მერე, ეგეც იმიტომ მომდევდა, შენ კი არა მცემ, გეთამაშები, მერე კინოს ვუყუროთ, კარგი, მარინე?

მ ა რ ი ნ ე. (დათოს არ უყურებს) დღეს არა, შედის თავის ოთახში, უფრო ღამდება, ჯდება თხელფეხა სკამზე — გაფითრებულია, დათო მის კედელთან დგას; შუკის სიღრმიდან ნელი, მოტეხილი ნაბიჯებით მოდის მკვლელის დედა, თმები გაშლილი აქვს, თავშალი ხელში უჭირავს, უცნაურად იღიმება, ჭკუაზეა შემცდარი.

დ ე დ ა. რა მყუდრო ქუჩაა, რა კარგია აქ სეირნობა, თანაც დღეს გრილი საღამოა, გუშინ კი ცხელოდა, ოი, რამდენი ოფლი მქონდა, ნეტა რა ქვია ამ ქუჩას (მიდის ბოძთან, კითხულობს) მარინე გაქვავებულივით დგება ფეხზე, იქით კუთხეში ეყუდება კედელს, ჩანს პროფილში, ღია თვალებით უყურებს ტიხარს, რომლის უკანაც დედა ლაპარაკობს, თმები დავარცხნილი აქვს „ჩოლკით“, გულამოჭრილი კაბის შიგნით აცვია ბიჭის პერანგი დამდგარი საყელოთი და დიდი შავი სახელოების შესაკრავით.

დ ე დ ა. შუ-კა, ოჰო, მშვენიერი სახელია, ქუჩას ეძახიან შუკას, ქუჩის შუა რა სიმყუდროვეა, არც წავალ იქით, თავი ამატკივა მანქანის ხმაურმა, ახლაც მტკივა თავი, აი, აქ, კეფაზე, თითქოს მიჭერენ, მაგრამ მაინც ადვილია, ალბათ იმიტომაც დღეს გრილა, რა მითხარით? (ყურზე იდებს ხელს, გარშემო ვერაფერს ვერ ამჩნევს, დათო ისე დგას, რომ ის ვერ ხედავს) — მოვიდე? სად? მანდ? კარგი, ოღონდ გზა რომ არ ვიცი, ასე? ღმერთო დიდებულო, რა კეთილი ხალხია, და ნამდვილად მაჩვენებთ ჩემ ბიჭს, კმარა, ვხედავ, oო, პატარაა, აი აქედანაც ძლივსა ჩანს, არა, მანდ ვერ მოვალ, ჯერ არ გაზრდილა, მეშინია ხერხემალი არ ვატკინო, ეს იმიტომ, რომ ძუძუ დამიშრა; რძეც აღარა მაქვს, საწყალი ბიჭუნა, როგორ არ გავს ჩემ შვილს, თან ვიცი რომ ის არის, ახლავე, გენაცვალოს დედა, ახლავე მოგიტან რძეს, აი, ხელის გულით, ნუ მოძრაობ ერთი წამით, აი (იღებს ძუძუს, წურავს ხელის გულზე) აჰა, რძეც, გავაჩინე, ოთახში მოგაწოვო, აღარ გინდა? ნუთუ ასე უცებ გაიზარდე, რამოდენა ხარ უკვე, ოღონდ ხომ გეუბნები ეგ ჩანთა ნუ გაქვს ეგრე მხარზე გადაკიდებული, დაიჭირე ხელში, როგორც წესიერ ბიჭს შეეფერება, ასე კი მარტო ქუჩის ბიჭებმა იციან გადაკიდება. ახლა წადი, დაგაგვიანდება, მოიცა ეგ სისხლი რაღაა, იჩხუბე? ძალიან გცემეს? მართალი თქვი, ხომ არ მოგკლეს, არა? ვიცი, ვიცი, ჩუმად დაიბანე პირი, მამამ რომ არ გნახოს, მეორეთ აღარ გაბედო, არა გრცხვენია? აი, დეიდა გიყურებს, შენ კი უხეშობ.

ყველას ცუდი გონიხარ, მარტო მე ვი-

ცი, არა ხარ ცუდი, ნაზი და კარგი ბიჭი ხარ, ისევ მისდევ კატას, რა დაგიშავა, მოუკვლი დედას! დედას მოუკვდი? ეგ სიტყვა აღარა თქვა მეორედ, აბა შენ თვითონ ოქვი რა სიტყვაა სიკვდილი, იმიტომ ბრაზობენ შენზე სკოლაშიც, მე კი ვიცი, შენ არა ხარ ცუდი, ყველას ჰგონია, რომ კატებს დასდევ და კლავ, წასვლა მოგინდა თანაც? კარგი, მე უარს არ გეტყვი, არ მინდა გაწყენინო, ოღონდ ჯერ მოდი, დაივარცხნე თმა, ასე უკან, სულ უკან, ნუ ურჩობ, რა არის. ერთ საათში მოდი იცოდე, ოო, როგორ მირბის, რა გაუგონარია, თმა კი მაინც არ დაივარცხნა...

ჩუუ — არ გაიგონოს, საშინლად არ უყვარს როცა იმაზე ლაპარაკობენ, მე კი მეპატიება, დედა ვარ. ჩუუ, იმან არ გაიგონოს, მისმინეთ:

შარშან სოფელში იყო ეგ,
წელი არ დამავიწყდება,
როგორ გრიილოდა,
ჩვენ სახლი გვქონდა მაღალ გორაზე,
დიდი გაშლილი მუხების ქვევით;
იქ ცივ წყაროში, სულ ყოველ დილით
ჩემი ბიჭუნა ტანს იზელავდა!
მერე მირბოდა სათამაშოდ.
ბიძამისმა რომ გააკეთა იმ
მშვილდისარით
ესროდა ჩიტებს და ხმლით დასდევდა
დიდკუდა კატებს,
მე სულ ვბრაზობდი, სხვებიც
ჯავრობდნენ
მაინც მიყვარდა,
მეპატიება, არა?
მე ხომ დედა ვარ და კარგად ვიცნობ.
ერთხელ მდინარის პირას ვიჯექი,
ადიდებული და ამღვრეული მოდიოდა
მაღალ მთებიდან
დიდი და შავი ღრუბლის ლაქები
გადადიოდნენ
წყალზე ზევიდან.
ის იყო, წვიმა წამოიწყო.
ცოტა შემცივდა,
გვერდიდან უცებ გავიგონე რაღაც
ხრიალი,
ბუჩქთან. ჩემს უკან ვიღაცა გლეხი
ურემს ტვირთავდა მრგვალი რიყის
ქვებით,
ახლაც არ ვიცი, რა დაუშავა
თვალდახუჭულმა პატარა ფისომ,
რომელიც იქვე მზეზე თბებოდა.
მან ხელი სტაცა,
შუა მორევში გადაისროლა...
ცრემლით გამევსო მაშინ თვალები!
ის გაიჯგიმა, გაიცინა, — უგნური
გლეხი
თავს იწონებდა, ეტყობოდა, თავისი
ქცევით,
ო! ღმერთო ჩემო. ნუ გამახსენებ
ჩემი ბიჭუნა ამოსვრილი,
მხარზე მშვილდისრით
გადმოხტა ტყიდან, წყალში შევარდა
ერთი შევკივლე, მისი ცქერა მე არ
შემეძლო,
ოჰ, რა სუსტი ვარ, რომ ვერ
შევძელი.
როცა გონს მოვეღ ჩემ წინ ფერდაზე
ეგდო ის კნუტი,
ჩემი ბიჭუნა კი ისევ მარტო
მიდიოდა თავისთვის ტყისკენ.
მერე წავედით, სულ გაწუწული
იყო ბიჭუნა.

ჰო, რას ვყვებოდი... წავედი, ოჰ, თავი, ღმერთო მომაგონე, სად გავჩერდი, აქ, ამ ადგილას, მახსოვს, ჰო ის აქ ცხოვრობს, აქ გადმოსახლდა ახლა მგონი, თან როგორ გაიზარდა?!

მართლა, რომ იცოდეთ, გუშინ რა მოგვივიდა, რა კარგი იყო, ახლა კი იშვიათია კარგი ადამიანის ნახვა, გუშინ სწორეთ ბედზე ყველა კეთილი ხალხი ვნახე, რამდენი კარგი თქვეს ჩემს ბიჭუნაზე, ტაშიც კი დაუკრეს, რა მადლობელი ვარ იმათი. ეს რასა გავს, სად დაიკარგა ამდენი ხანი, მე ხომ მახსოვს, რომ ბოლოს აქ ცხოვრობდა, მგონი აქვე მქონდა მეც სადღაც საქმე, არა, სახლში ვერ წავალ, აქ მოვა ის, ასე შემპირდა, გუშინ, როცა მარტოკა იჯდა, გვერდით კი ორი კაცი ედგა თოფებით, მერე მელოტმა მოსამართლემ თქვა რომ დახვრეტენ და ყველამ ტაში დაუკრა, — რა კარგია დახვრეტა, არა?! ამდენი ხალხი ჩემ ბიჭს უკრავდა ტაშს,

მახსოვს, სიხარულით ვიკივლე, ვიტირე, გონიც კი დავკარგე და მერე ცოტა ამტკივდა თავი, ოოჰ, ახლაც მტკივა, ნეტა არ გაივლის? ჯობია ჩამოვჯდე, იქნებ წავთვლიმო კიდეც და გადაიაროს.

გისმენთ! თქვენ ვინა ხართ? (მათხოვარს) ახლავე გიცხადებთ, ფული მე არა მაქვს, არც სხვისი მინდა რამე, მე ისე, ცოტა ხნით აქ ჩამოვჯდები, ჩემი ბიჭუნა თუ მოვიდეს, უთხარით, რომ ვუცდი. ასე... (ჯდება, თვლემს, მარინეც ·ება სკამზე).

(მათხოვარი სინათლისაკენ ინაცვლებს, ბოძის ქვეშ, თანდათან ღამდება და ბოლოს ინთება ნათურა, ბაცად ანათებს სცენას, მათხოვარი თავის ადგილიდან ლაპარაკობს).

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. საწყალი ქალი
დღეს-ხვალ შვილს კარგავს,
გადაცდაო ჰკუას — დიდი
დაიღალავს.
მე მისი მესმის,
მაგრამ დათოს რა მოუვიდა
ისიც დარდობდა?
— ნეტავი ქონდეს მაგისი თავი.
ახლა ერთობა სადმე თავისთვის,
დედა კი ალბათ უშლის თბილ
ლოგინს
უკვე დაღამდა,
წავალ, მოვძებნი ჩაძინებულს
საპარადოში.
— ძილი ნებისა, უბედურო.
— ღამე მშვიდობის ძილი
მისურვეთ, სამაგიეროდ
მივალ თავს მივდებ სადმე კიბეზე,
თქვენ კი იფხიზლეთ, ხმებს
მოუსმინეთ,
სიზმრები ნახეთ.
(გამოდის ცოტა წინ და სიღრმეში
ლაპარაკობს კარგად)
აი, ვინ არის უბედური, (იდებს
გულზე ხელს)
გიყსაც აქვს ბინა,
ქურდსაც, ავაზაკს ციხეში მაინც.
ოჰ, დიდო ღმერთო, რა დაგიშავე,
რატომ არ მომკალ იქ, ჩემ
სოფელთან,
სადაც დავკარგე ორივე ფეხი.
ჩემი კაცობა,
სადაც დავკარგე სირცხვილის
გრძნობა.

. . . . .

მაგრამ რას ვიზამ, ეს არის ბედი
ანუ უფრო სწორედ უბედურება
და მე ნუგეშად ისიც მეყოფა,
რაც გინდა იყოს,
ცუდი ცოცხალი კარგ მკვდარს
ჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა უკან-უკან მიგორავს, მარინე თავის ოთახში დადის, ხან გაჩერდება და მაღლა იყურება, უცებ ტრიალდება, ისმის ხმები: ერთი, ორი ან რამდენიმე, ლაპარაკობს.

ხ მ ე ბ ი. (აქეთ-იქიდან) მარინე! მარინე! შენ კიდე სახლში ხარ, წადი სასაფლაოზე, იქ ბუჩქები ამოვიდა გიოსთან, ვეღარც კი იცნობ იმ ადგილს, იმის გვერდზე, წინ, უკან ახალი უცხო [illegible] კიდევ ემატება, წადი ჩქარა თორემ დაიკარგება, ვეღარ იპოვი, ერთი დღეც და ზედ დაასაფლავებენ ვინმეს, მერე აღარ გექნება ადგილი, სადაც უნდა იტირო, იჯდე, ან რას უნდა მოუარო? დარჩები მარტო, დარჩები უსაფლაოდ, კიდე დგეხარ? რა მოგივიდა, არ შეგიძლია წასვლა? ნუთუ ასე იმოქმედა იმ ბიჭის დახვრეტამ, თუმცა, რა იცი, ჯერ ორი დღეა, შეიძლება არც დახვრიტონ, შეიძლება იცოცხლოს. მარინე! მარინე! ისმინე! გამოფხიზლდი, ნუთუ გინდა რომ იცოცხლოს, აა? თუ გეშინია, რომ გაიქცეს და აღარ მოკლან — არა! უეჭველად დახვრეტენ, ის ახლა სულ მარტოა სიკვდილმისჯილთა საკანში, სქელი, დაგრეხილი რკინებით ჩაწნული კარების უკან, უზარმაზარი რკინისავე ურდულით და ბოქლომით ჩაკეტილში.

ხ მ ა. იქ სიცივეა, სიჩუმეა, ყინავს.

ხ მ ე ბ ი (ბოროტად ხრიალებენ) ნუ გვაწყვეტინებ, ჩვენ უკეთ ვიცით, იქ თაგვებიც კი არ დარბიან, ის წევს გულაღმა, ქვევით სუფთად დაგვილი მიწის იატაკია... მწვანე თვალები ღია აქვს, ანათებენ, არ ტირიან, არც უნდათ

რომ მოინანიონ ცოდვა. შენ რა გაწუხებს, უკეთესი იქაც ეწამება წასავალში... ითვლის წუთებს: ერთი... ორი... სამი... სულ პატარა ხმასაც კი ეპოტინება. აი, გაიჩხაკუნა სადღაც. ნუთუ დრო მოვიდა —ოო, როგორ ელის რომ აპატიებენ. თუ არც უნდა პატიება? თვალებს ხუჭავს, მოუჭირა გუგები ერთმანეთს, ტყუილა, იქ ცრემლები არ არის... ჰა, ჰა, ჰა, შეეშინდა, ტირილი მოუნდა, შეეშინდა, ვაი თუ დახვრიტონ, გიკვირს?

არა მაინც ეჭვი ეპარება, სანამ ცოცხალია არ შეუძლია თავი მკვდრად წარმოიდგინოს... ისევ ნაბიჯები, მერე ტრიალდება გასაღები, ხრიალით ხსნიან მძიმე ბოქლომს, იღება კარი.

ოო, რამდენი ძალა უნდა, რომ არ შეიმჩნიოს, არ წამოხტეს, არ იყვიროს, თუ თავი აღარა აქვს არაფრის; ის წევს; ეს მხოლოდ ექიმია, შედის, უხმოდ სინჯავს, აბა, რა გეგონა, განა შეიძლება ავადმყოფის დახვრეტა, როცა კარგად აღარ ესმის რას უშვებიან. ჯანმრთელია, მიდის ექიმი, ხვალ ისევ მოვა, ხომ შეიძლება ერთ დღეში გაცივდეს, ადამიანს სულ წამი ყოფნის, მაშინ წამლებს მოუტანენ, ან საავადმყოფოში გადაიყვანენ, სიკვდილამდე, შენ კი გეგონა შური იძიე, ხედავ, როგორ უვლიან!

მ ა რ ი ნ ე. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა ვქნა, მირჩიე!

ხ მ ა. წადი საფლავზე, ღამე კარგია იქ, ახლა გიოს სულიც ამოსული იქნება მაღლა, ის კმაყოფილია, გელის, ხედავ, როგორ მოდის შენკენ, ფეხსაც არ აკარებს მიწას? ნუ, მარინე, თვალებში არ შეხედო, ოჰ, რა უმადურია მკვდარი ადამიანიც კი. შენ რამდენი იწვალე, რა არ ქენი მისთვის, ის კი როგორ გიყურებს, მიდი, აკოცე, ო, უმადურო ლანდო, ბრუნდები იქით? არ იღებ შენ საყვარელს, ახლა აღარ გინდა? რა, სულო, მარტო გირჩევნია მანდ ყოფნა, ჩვენ აღშფოთებულები ვართ!

ხ მ ე ბ ი. ო, უმადურო!

ხ მ ე ბ ი ე რ თ ა დ. წადი, წადი საფლავზე, არ მიდიხარ? კიდე დგახარ გაქვავებული, ოოჰ, მაგის ნუ გეშინია, ეგ გიჟი ქალია; დედაა? მერე რა რომ დედაა, გიჟი გიჟია.

ხ მ ა. გიჟი დედაც დედაა.

ხ მ ე ბ ი. მაგას ყურს ნუ უგდებ, ხომ ხედავ არც კი ესმის ჩვენი, ზის და იყურება მაღლა; მაგან წელანვე გაიღვიძა, ჰგონია აქ მოვა მისი შვილი, ხე, ხე, ხე, ხომ გითხარით, არ არის ჭკუაზე, ან აქ რა უნდა, გზა აერია და მოვიდა, გადი ფეხაკრეფით, ვერც კი გიცნობს, რას უცდი, წადი ჩქარა, თორემ გათენდება და გიოს ველარ ნახავ.

ხ მ ა. მოიცა, მარინე! მიდიხარ? სად? გახვალ თუ არა გაიგონებს, ან სად გაექცევი, იქაც ის იქნება იმ ბიჭის სახე, იმ ქალის სახე, დაიცა, იფიქრე, ჯერ კიდევ დრო გაქვს.

მ ა რ ი ნ ე. დრო, დრო, დრო მაქვს? რომელი დრო, რაღაც არ მესმის, მაცალეთ... ოჰ, რა საოცრად ნელა გადიან წუთები და როგორ უცებ მირბიან წლები, საწყალი ბიჭი, ჩემი საყვარელი გიო, ველარც კი წარმოვიდგენ კარგად ცოცხალს და სულ მგონია რაც დავიბადე მას შემდეგ ასეთი ღვარძლით ვიბრძვი მისი ხსოვნისათვის, რა ბოროტი გავხდი... ღმერთო ჩემო... დავსუსტდი... აღარა მაქვს არაფრის თავი, არც მესმის არაფერი, დავიღალე. — ოოჰ, კიდევ ხმები, აა, თავი მტკივა, მეც დამასვენეთ, გესმით, აღარ შემიძლია, ნუთუ ეს არის შურისძიება, რომ უარესად ვეწამო? შე-მე-შვით, მინდა ვიჯდე ასე ნახევრად ძილში, თვალწინ მედგას გიოს სახე.

გიო, ჩემო ქოჩორა ბიჭო, ჩემო ვაჟკაცო... ღმერთო, მომაგონე მისი იერი, ოოჰ, არა, არა, ისევ უბაცდება სახე, ეს მისი თვალები არ არის, ნუთუ ისევ სხვას ვხედავ, დავხუჭავ თუ არა თვალებს. ოო, ეგ ქერა ქოჩორი შენი არ არის, ნუ მატყუებ, არც თვალებია შენი, მწვანე არა გქონდა, ვიცი ეს მისია მისი, აი, უფრო ცხადად ვხედავ.

ოო, რა უბრალოდ მიყურებენ ეს მწვანე თვალები, ზიზღიც კი არა აქვთ.

არც მოხანიება. ღმერთო ჩემო, ისე მშვიდად იყურებიან. ვერც ვაგდებ. იყურონ. იყურონ ცოტა ხანიღა დარჩათ და დაიხუჭებიან. ასევე იყვნენ გიოს თვალებიც, დაიხუჭნენ და ახლა ველარ ვხედავ. ეგენიც ჩაქრებიან, დაეკარგებათ სინათლე; ნუთუ ეგენიც... ოო, როგორ დავიღალე, აღარ მინდა არაფერი, დამასვენეთ, გესმით!

ხ მ ე ბ ი. „იმინე, მარინე! დაისვენე, ჩვენო საყვარელო, ჩვენ ნანას გიმღერებთ, არ გინდა? აბა მარტო ხომ არ დაგტოვებთ ახლა; ჩვენთან ერთად იქნები ყოველთვის, სადაც შენ, იქაც ჩვენ. ეგ სახე გტანჯავს? მწვანე თვალები. რა მოგწონს, კარგი ბიჭია, არა? გინდა ახლა რომ ეგეც მოკვდეს, ეგ ერთიღაა ვისაც ასე ახლო იცნობ, ვიზეც ამდენს ფიქრობ, როგორც კაცზე, როგორც ცუდ კაცზე, ოღონდ მაინც კაცზე, არა? თქვი მართალი, ჩვენი ნუ გერიდება, ჩვენ განუყრელები ვართ ახლა შენგან!

ხ მ ა. ჩუმად! აგერ დედამისი, გაიღვიძა, მგონი აქეთ მოდის, ნუ გეშინია, სწორედ ახლა ვიყავი მე მასთან და გავაღვიძე (შემოდის დედა).

დ ე დ ა. მშვიდობა ამ ოთახს, იწექით, იწექით, ჩემო გოგონა, ფერი აღარ გაქვს, რა მოგივიდა, მითხარი? მართლა, მინდოდა გამეგო, ჯერ არ მოსულა ჩემი ბიჭი? დაწყნარდი, გენაცვალე, მოვა, სწორედ ახლა წამოვლიმა? ძილში მოვიდა უცნობი ულვაშა კაცი; მე მინდოდა გამეგო, მაგრამ შემეშინდა — ის ცოტა ხანი ჩუმად იყო, მერე თქვა, მარტო მაგ გოგოს შეუძლია შენი ბიჭის მოყვანა, მე შენ ხომ გუშინაც გნახე, მოიგონე, მოიგონე? ჩემი ბიჭი მარტო იდგა იმდენ ხალხში, მერე ტაში დაუკრეს, გახსოვს?

მ ა რ ი ნ ე. (თავისთვის) მახსოვს, მახსოვს. (ისმის ტაშის ხმები, იხევს უკან, ყურებზე იკიდებს ხელს) ხალხი, ხალხი და ყველანი მე მიკრავდნენ ტაშს, მთელი დარბაზი, მთელი გზა, ის ხმა ახლაც — ტაშის ხმები, რომელიც მე დავიმსახურე მხოლოდ კაცის მკვლელისთვის. აჰა! (იმართება უცებ) ეს მე მიკრავდნენ ტაშს, მე გავაკეთე ეს — იმ ბიჭს დახვრეტა მიუსაჯეს და ამით დავიმსახურე ტაში. აბა! აბა! [illegible]ვება). ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შენა ხარ, მარინე, მარინე, შენ კაცის მკვლელი? მითხარი ჩქარა, ჩქარა! ნუ მტანჯავთ, რა ხმებია, რა ხმებია, ყურებში მიდგას თუ მეჩვენება, რომ გიოც ბრაზობს ჩემზე, რისთვის? ოჰ, ნუთუ ასეთი ვარ. თავი, ფეხები, ველარც ვიძვრები ადგილიდან, დავსუსტდი სულ მთლად. რამდენი ძალა მქონდა ცოტა ხნის წინ, ღმერთო, მომეცი უნარი... არა! დავძლევ კიდევ თავს, ვიპოვი ძალას, ასე მარინე, გაიმართე მარინე!... ჯერ კიდევ არ არის გვიან.

დ ე დ ა. (უკვე დრო არის, ჩქარა გათენდება) ჩემო გოგონა, წადი და ჩემი ბიჭი მომიყვანე, მე კი აქ ცოტას ჩავთვლემ.

მ ა რ ი ნ ე. ღმერთო დიდებულო, შენ მითხარი, მართლა შენ მიშველი... (იწერს პირჯვარს, მიდის, ნელ-ნელა თენდება, მოგორავს მათხოვარი, ჯერაც არ გამოგორებულა! იწერს პირჯვარს).

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. უფალო, შენ მაშოვნინე დღეს ბევრი ფული და კვირის თავზე სანთელს დაგინთებ. თუ უფრო მეტს მაშოვნინებ, ორს დაგინთებ, ხო ვიცი, შენც მექრთამე ხარ, არა? (ეშმაკურად უკრავს თვალს) მარინეც უკვე წავიდა გიოს საფლავზე, ღმერთო, შენ სახელს დიდება, ერთ სანთელსაც გიოს სახელზე დაგინთებ, ბევრჯერ მოუტანია ხუთმანეთიანი.

ამასობაში ცირას ოთახში მეორე ოთახიდან — ის ოთახი კულისებშია, გამოდიან მარგო, ნატა, ნანა, სუსანა, სხდებიან საწოლიდან მოშორებით, ქეთო ჩაის აწყობს.

ნ ა ტ ა. რა კარგია, დღეს კვირაა, მთელი დღე თავისუფლები ვართ.

მ ა რ გ ო. არ გვეკუთვნის თუ, რასაც ჩვენ ვშრომობთ.

ნ ა ტ ა. ვინ თქვა, რომ არ გეკუთვნის, ქეთო, ხომ იცი მე მაგარი ჩაი არ მიყვარს. შენ, სუსანა, როგორი დაგისხას, მოდი აქ, ნანა, აი, თუმანი, კუთხიდან ნამცხვარი მოიტანე.

მარგო. ოლონდ ნიგვზიანი, იცოდე, ფხვიერი. გაიმეორე.

ნანა. ნიგვზიანი, ფხვიერი.

ნატა. ხურდას მოიტან, იცოდე, კარგა დათვალე: გესმის?

ნანა. ორ შანეთს, არა?

ნატა. ხედავთ, უკვე იცის, ეგ ისეთი ყოჩაღი მყავს, სახლში ყველაფერს თითონ აკეთებს, როცა მე სამსახურში ვარ, საწყალი სიკო, ნეტა მოსწრებოდა.

მარგო. შენ ბავშვი მაინცა გყავს.

ნატა. მშურს შენი ბედი, შენ ჩემზე კარგადა გაქვს აწყობილი მაინც საქმე, რას მედრები, ასეთ პატარას მოვლა არ უნდა. სამსახური — სახლი, სახლი — სამსახური, სულ გამუდმებით გზაზე ვარ.

ქეთო. თქვენ რა გიჭირთ, აი მე... (იხედება ცირასკენ, უცებ წყვეტს, სუსანას:) თქვენ მაგარი ჩაი დაგისხათ?

სუსანა. დიახ, საშუალო.

(ქეთო ასხამს ჩაის, ბავშვი ხელში ფულით გარბის, გზაზე ფეხს წამოკრავს რაღაცას და ღრიალით ბრუნდება უკან).

ქეთო. | (ერთად) კარგი, აღარ
მარგო. | გინდა..

ნატა. შენ ხომ ვერ გაგაგზავნის კაცი, რა ბავშვია, პირდაპირ არ ვიცი.

მარგო. არაფერიც, ეს ჩემი გოგოა, მოდი გაკოცო ახლა თვალებში, კარგი გოგო ვინ არი? დედა უფრო გიყვარს თუ მამა, მითხარი, გეთაყვა?

ნანა. დედა.

მარგო. სულ დამავიწყდა, მამა გახსოვს?

ნანა. არა.

ქეთო. დაანებე ბავშვს თავი, მარგო, ნანა, გაიქეცი, გენაცვალე, მარინეს დაუძახე, ჩაი დავალევინოთ.

ცირა. არ არის სახლში, მისი ფეხის ხმა გავიგე, წავიდა, წავიდა, გუშინ უფრო ადრე წავიდა.

მარგო. სად?

ნატა. ალბათ საფლავზე, სხვაგან სად უნდა წავიდეს?

სუსანა. ახალი ამბავი იცით? მაგის შესახებ სწორედ.

მარგო. ჰო, მკვლელს მოუსაჯეს სიკვდილი.

ნატა. მაგრამ ეგ გოგო რაღაც ქაჯი ყოფილა — პირდაპირ ასეთი გამბედაობა, ჩემი გულისათვის რომ ვინმე დახვრიტონ, გინდა ჩემი ქმრის მკვლელიც იყოს, ამას მაინც ვერ ვიზამ, უწინ თავს მოვიკლავ, ვერა, არ შემიძლია, ქალი— ქალია, რაც გინდა თქვით.

სუსანა. ყური დამიგდე, ნატა, მე მაგაზე არ ვამბობ, ეგ უკვე მოძველდა, მაგ ამბის შემდეგ ორი დღე გავიდა.

ქეთო. აბა რის შესახებ?

სუსანა. მარინეზე.

მარგო. კიდევ იყო რამე?

სუსანა. (ახლო მიიწევს) გუშინ დილით პროკურატურაში იყო და განცხადება დაწერა — არ ვილაპარაკეო სწორე სასამართლოში, არ არისო დახვრეტის ღირსი, თან ახსნა-განმარტება დაამატა, გული გაუხდა ცუდად, რაღაც არეულივით ლაპარაკობდა, ექიმმა თქვა, შიმშილისაგან აქვსო, ამ მის ჩვენებას არ იღებენ მხედველობაში.

მარგო. რატომ?

ნატა. საწყალი, ადრევე ეტყობოდა რომ აირია.

სუსანა. რაც მთავარია კიდე არ მითქვამს, (უფრო ახლო იწევენ ერთმანეთთან, ისე რომ ცირამ ვერ გაიგონოს, ცირა იქითაა გადაბრუნებული).

სუსანა. ჩვენი მთავარი მსაჯული გიჟდება მარინეზე, მე ხომ მისი მდივანი ვარ, ყველაფერს ლაპარაკობენ ჩემთან, — ჩემი საქმე პატარაა, ვზივარ და სასამართლო ოქმებს ვწერ, იმათ გონიათ მარტო ასოებს ვხედავ საერთოდ და ხმა არ მესმის. გუშინ კაბინეტში მოვკარი საიდუმლო ლაპარაკს ყური: ჩემი უფროსი ეუბნებოდა თავის ნაცნობს, ერთი ახალგაზრდა ბიჭია, ეგეთი მოხერხებული ყმაწვილი იშვიათია; ხმას დაუწიეს, მაინც გავიგონე. ასე თქვა: ეგ გოგო ჩემი გახდეს და ყველა კაპრიზებს ავუსრულებო.

ნ ა ტ ა. ნეტა რა მოწონთ მაგ გოგოსი ასე, არ მესმის პირდაპირ.

მ ა რ გ ო. შენ ისევ შენსას იძახი, მე სულ სხვა არ მესმის — ახლა აღარ უნდა? მართლმსაჯულებას ხომ არ შეუძლია ხან ასე, ხან ისე, მე მგონია...

ქ ე თ ო. ღმერთო შეგცოდე, ბოლო ხანებში მართლა არ იყო ნორმალური მგონი, ობლად გაზრდილი ბავშვია, თან სულ მარტო ცხოვრობს, საწყალი.

მ ა რ გ ო. რაც მართალია, მართალია, ზოგს დარდი უნდება.

ნ ა ტ ა. მაინც რა მოწონთ ასე მისი?

ქ ე თ ო. მოიცათ, მოყვეს სუსანა.

ს უ ს ა ნ ა. ის ყმაწვილი, მსაჯულის ნაცნობი, რაღა ყმაწვილი, უკვე ესე, ოცდაათის იქნება, შეხვედრია მარინეს ოლონდ არა, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ უთქვამს, ის ჭკვიანი ბიჭია, თან ცდილობს მთავარი მსაჯულის გული მოიგოს, მასზეა მისი ბედი დამოკიდებული, ერთი კარგი ადგილი გათავისუფლდა და იმას უმიზნებს.

ქ ე თ ო. ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის, ღმერთო ჩემო, არა საწყალი გოგო არ არის ნორმალური, მე ნამდვილად დამნაშავე ვარ, მაგრამ რა უნდა მექნა, ნუთუ ჩემი ბრალი არის, რომ ჩემი ცირას ბავშვობის მეგობარი ასეთ დღეშია, მე უნდა მომევლო, წარმოგიდგენიათ ცირა რომ იყოს მაგის ადგილას, არა, შეუძლებელია, ცირა სულ სხვანაირია, მერე, მერე, სუსანა.

ს უ ს ა ნ ა. დღეს ოთხ საათზე უნდა შეახვედროს ვითომ მოსალაპარაკებლად.

ქ ე თ ო. ღმერთო ჩემო, რა ვუშველო, ღმერთო ჩემო, სით წავიდე?

ქ ა ლ ე ბ ი. (ლაპარაკობენ ყველანი ერთად).

— დაწყნარდი, დაწყნარდი.

— შენი ნერვების აშლა არ შეიძლება.

— შენ უკეთ იცი ეს.

— არაფერიც არ იქნება.

— ნუ გეშინია, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული.

— თანაც მარინე ისეთი ყოჩაღი გოგოა.

— მარინეს ძვირად ხმას [illegible] გასცემს.

ნ ა ტ ა. სინდისმა თუ დაქენჯნა ბოლოს.

ქ ე თ ო. მათხოვარი, მათხოვარი, სად არის მათხოვარი? (მათხოვარი მოგორავს) იცი, რა, ჩვენი მარინე ცუდ დღეშია, აღარ არის ქვეყანაზე, ახლა გავიგეთ — თავისი ქალიშვილობის ფასად, საწყალმა კი თითონაც არ იცის რა, ვერცა გრძნობს, უნდა ციხიდან გამოიყვანოს მკვლელი, ვინც თითონვე მიიყვანა დახვრეტამდე, შენ ყველა იცი, ვინ სად ცხოვრობს, გაქანდი მთავარი მართლმსაჯულის ბინაზე, იქ იქნება მარინე, ვითომ ფულს თხოვ, უთხარი, რომ მოატყუებენ, იმას მაინც დახვრეტენ, არ შეუსრულებენ არაფერს, გაქანდი ახლავე, მოიცა, აჰა თუმანი, გეყოფა, მერე კიდევ მოგცემ.

ს უ ს ა ნ ა. ქეთი, შენ მე დამღუპე, რომ გაიგოს სამსახურიდან მომხსნის უეჭველად.

მ ა რ გ ო. რატომ უნდა მოგხსნას?

ს უ ს ა ნ ა. მიხვდება, რომ ჩემი ნათქვამია.

ნ ა ტ ა. სუსანა სწორია, რატომ უნდა დაიღუპოს სხვისი გულისათვის, თანაც ასეთი საზიზღრისათვის, როგორიც მარინე გამოდგა, თქვენ წარმოიდგინეთ, ისე დავიბენი ვერც კი შევაფასე მისი საქციელი. ახლაც სუსანა რომ არა, ვერ გავიგებდით ვერაფერს, ღმერთო, ნუ მიწყენ ისეთი ეჭვები მებადება გიოს მკვლელზე, რა ერთგული გვეგონა და რა ყოფილა მარინე, ხედავთ, ხედავთ სადამდე მიდის ადამიანის ვერაგობა, როგორ აგვიხვია ყველას თვალები, ქეთო, ტყუილა ზრუნავთ მისთვის, მე მგონი ჩვენზე უკეთ ესმის რასაც აკეთებს, ღმერთო, როგორ აგვიხვია ყველას თვალები.

მ ა რ გ ო. მე თავიდანვე ესე ვფიქრობდი, რომ რაღაც იმალება მანდ.

ქ ე თ ო. მაგრამ რად უნდა ყველაფე-

რი ეს, არ მესმის, ღმერთო მოწყალევ. საწყალი მარინე.

(ცირა მთელი ამ ხნის განმავლობაში სლუკუნებს, ტირის, მერე საბანს იხურავს თავზე, ქეთო მიდის ეფერება).

ქ ე თ ო. ნუ ტირი, ცირა, ყველაფერი კარგად იქნება.

ს უ ს ა ნ ა. (ქეთოს) რა მიქენი ქალო, დამღუპე, სამსახური დამაკარგინე. შენ ჩვენ მსაჯულს არ იცნობ.

ქ ე თ ო. არა, მეც უნდა გავიქცე (ემზადება). ოჰ, უკვე საღამოვდება. საცაა დაბნელდება, აღარ მესმის რას ვლაპარაკობ ისე დავიბენი (იღებს ჩანთას, იხედება სარკეში).

ც ი რ ა. (ქვითინით) ჩქარა, დედა, გეთაყვა, შენი ჭირიმე.

ქეთო გადის, ისმის გორგლების ხმა, მოგორავს მათხოვარი. ღამდება. ამასობაში ინთება პატარა სინათლე, დღის სინათლე, ოღონდ ბაცი.

ქ ე თ ო. ჩქარა, ჩქარა, თქვი რაშია საქმე, როგორ არის?

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. (ორივე ხელს იშვერს).

ჩემი თვალით ვუყურე, ჩემი ყურით გავიგონე, მეორე მხარეს ავგორდი გორაკზე, მსაჯულის სახლში სინათლე ენთო, ფარდის ჩამოფარება დავიწყებოდა, ღმერთია მოწამე.

ყველანი გარეთ გამორბიან, ცირას უნდა ადგეს, გამოიქცეს, ეცემა, წამოიწევს, ქვითინებს.

მ ა რ გ ო. მერე, მერე?

ს უ ს ა ნ ა. ვერ მოასწარი გაფრთხილება? ხომ არ გაუგია მსაჯულს?

ნ ა ტ ა. აცალეთ მოყვეს, თქვი.

ქ ე თ ო. (თავზე აქვს მოკიდებული ხელი, გაქვავებული დგას).

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. მარინე ჩუმად იყო, თმები ქონდა გაშლილი, სულ აწეწილი, წამოდგა ტახტიდან, მშვიდად გაისწორა კაბა, წამოსვლისას თქვა: მე არ ვნანობ, ახლა მჯერა, რომ იმას აღარ დახვრეტენო და გამოვიდა. მსაჯული იჯდა სავარძელში მოღუშული და წევდა პაპიროსს, მერე მე გამოვქანდი, მინდოდა მეთქვა მარინესათვის, დღეს ღამის თორმეტ საათზე ხდება სამოცდათორმეტი საათი, თუ უკანასკნელ ცნობებში არ თქვეს, არ დახვრეტენ.

მ ა რ გ ო.
ნ ა ტ ა.
ს უ ს ა ნ ა. (ერთად) კი, მაგრამ რაშია საქმე, რათ [illegible] ყველაფერი ეს, არ გვესმის.

ნ ა ტ ა. მე მგონი, მესმის. აქ რაღაც არაა წმინდა და ხალხის თვალის ასახვევადაა გაკეთებული ყველაფერი.

ს უ ს ა ნ ა. ეგ მე დიდი ხანია ვიფიქრე. ნამდვილად არ გაუგია მსაჯულს?

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი. (ყურადღებას არ აქცევს) ღმერთი დიდია, ქვეყანაც.

მარინეს ოთახში ძალლი ყმუის ხმადაბლა, დედა, რომელსაც მჯდომარეს ეძინა აქამდე, გაღიმებული სახით გამოდის გაძეძილი გრძელი თმებით, ერთხანს დგას, ვერავის ვერ ხედავს, ყველანი უფრო შფოთავენ. მერე მიდის, იკარგება შუკაში. ნელა მოდის მარინე.

ნ ა ტ ა. (ნანას) შედი ოთახში, ფეხებში ნუ გვედები, არ არის შენი საქმე.

ქ ე თ ო.
ს უ ს ა ნ ა. (ერთად) ჩვენც შევიდეთ.

მათხოვარი კუთხეში იყუჟება. გამოდის დათო, მერე მარინეს წინ უშვებს და უკან მისდევს, მარინე ხელს გადაუსვამს თავზე, გაუღიმებს. სულ ღამდება, მარტო ნათურები ანათებენ. მარინე მალალფეხება სკამზე ზის თითქმის ბნელ ოთახში, აქეთ პატარა ნათურა ანთია, ბოძზე რადიო ლაპარაკობს ახალი ჰესის მშენებლობის დამთავრების შესახებ, რომლის გახსნასაც ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა... საათი რეკავს თორმეტჯერ. მარინე ზის და თავი მაღლა აქვს აწეული.

— ვაგრძელებთ უკანასკნელი ცნობების გადმოცემას, — აცხადებენ რადიოში, — მოისმინეთ ქალაქის ამბები.

ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს  კ ა ც ი. გუშინ გაიხსნა ახალი უგამყიდველო მაღაზია. მომხმარებლებმა თავიანთი აღტაცება გამოთქვეს.

ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს  ქ ა ლ ი. სამი დღის წინ (რადიო ხრიალებს, ხმები აღარ ისმის, მერე ხრიალი წყდება და მკვეთრად გაისმის: სასამართლოს გადაწყვეტილებას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში!

ძაღლი, რომელიც წკმუტუნებდა, ხმამაღლა ღმუის, მარინე ისევ ისე გაშეშებული რჩება.

(1953 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

## წიგნიდან: „ტყეში"

* * *

აქ დავივანე, გრილ ჩრდილოვანში
და ტყის გაცრეცილ მზეში ვნებივრობ.
უნდა ხის ქერქზე ვწერო ლექსები,
ბულბულებს დავაზეპირებინო.

უნდა ხის ქერქზე ვწერო ლექსები, —
ბულბულებს დავაზეპირებინო.
აქ დავივანე, გრილ ჩრდილოვანში
და ტყის გაცრეცილ მზეში ვნებივრობ.

## ტყის ნაკადულთან

ტყეში შემალულ უცნობ ბილიკებს
მივენდე,
მივდევ,
მივექანები.
ქალაქს დავტოვე ქუჩის ხეებზე
ღამით მიბმული მღვრიე ქარები.
ტყის ნაკადულთან დავდგი კარავი,
ტყის ნაკადულთან საფლავს ვიმზადებ.
ალარსად წავალ, ამ ხეებიდან
მკერდზე ჩრდილები გადმომიზვავდეს.

მზით დამწვარ კანზე ფოთლებს დავიფენ,
შუბლს ანთებიანს ვიცხრობ ნეშოთი.
იქ მღვრიე ღრუბლებს მაფენდი, ცაო,
და, მღვრიე ქარო, შენ თარეშობდი.
აგრე, ბულბულო, გალობის ჩრდილში
ველური ვარდი ამომიზარდე.

. . . . . . .

ტყის ნაკადულთან დავდგი კარავი,
ტყის ნაკადულთან საფლავს ვიმზადებ.

## ფირალი ტყეში

ტყეში შეჰქონდათ სული ფირალებს,
აჯანყებულებს ღვთის რისხვასავით.
ზეცაზე ჩქეფდა მთვარის მდინარე,
შიგ კალმახივით ხტოდა ვარსკვლავი.
ტყე ბილიკ-ბილიკ მალავდა ფირალს,
ნესტიან ჩრდილებს ქსოვდა ფირალთან.

ტყეში ათასი ფრინველი ფრინავს,
ფირალი ჩიტის ფრთით დაფრინავდა.
აჯანყებულ ფიქრს ფოთლებში ხვევდა
და ტყეს ცვიოდა ფოთლები მჭკნარი.
და შემოდგომის ცრემლგამშრალ სევდას
მიაცურებდა მდინარე მთვარის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბუდეები თოვლში

ჩიტის ბუდეებს შესცივდათ თოვლში,
შიშველ ხეებზე ტყეში მიწნულებს.
შორს გადაფრენილ ჩიტებზე სევდა
მაღლიდან წვეთ-წვეთ,
ვით ძუძუდან,
ჩამომიწურეს.
ზამთრის აფრების ნიავში სცივათ,
მიენდვნენ ზამთრის განაბულ დევებს.
ჩიტის ბუდეებს შესცივდათ თოვლში,
შიშველ ხეებზე მიწნულ ბუდეებს.

* * *

მგლები დაძრწიან ცხვრების სარბევად,
სული მოვითქვი მგლების ბუნაგთან.
ტყე შუაღამის გარინდულია,
ცად მთვარე ბრუნავს, როგორც ბრუნავდა.
ღამე ჩაბუდდა მშიერ ბუნაგში,
იქ მგლის ლეკვები დედებს ელიან.
მე შევისვენე მგლების ბუნაგთან,
რომ მწყურვალს მთვარის რძე დამელია.
ტყის გარე ძრწიან ყმუილით მგლები...
მთვარე კვლავ ბრუნავს, როგორც ბრუნავდა.
ტყე შუაღამის გარინდულია,
ვწოვ მთვარის ძუძუს მგლების ბუნაგთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იორამ ქემერტელიძე

# მეუღლე

## ნოველა

*კორნელი კეკელიძის ხსოვნას.*

ზის პროფესორი.
სამი დღეა უკვდება ცოლი...
ზის პროფესორი —
თეთრი, როგორც ქათქათა თოვლი.
ზის პროფესორი.
ხელში ცოლის უჭირავს ხელი.
ზის გარინდული.
სასწაულს ელის...

არ გაულია სამი დღეა
მეუღლეს თვალი.
დუმს ქალბატონი.
ფერი ადევს სახეზე მთვარის...
დუმს ქალბატონი.
სანთელივით გალანდულ ყვრიმალს
მოლურჯო ნერვი გაჰკრავს ხოლმე
მკრთალად და წვრილად...

დუმს ქალბატონი...
თავთით დები უსხედან —
ტყუპი.
დროდადრო ძალად
წყალს ასმევენ კოვზიდან
ყლუპით.
და ორივე დას
ავსილი აქვს თვალები
ცრემლით...
ზის პროფესორი.
ხელში ცოლის უჭირავს —
ხელი...

დუმს ქალბატონი... —
სანთელივით გალანდულ ყვრიმალს
მოლურჯო ნერვი გაჰკრავს ხოლმე
მკრთალად და წვრილად.
ვით შავი ელვა.
გაჰკრავს ხოლმე გალანდულ
ყვრიმალს...
და თეთრ პროფესორს
სულ ჰგონია.
დაუშვებს
წვიმა...

დაუშვა კიდეც...
გაიელვა...
იქუხა თანაც...
და აჰა, —
უკვე ორივენი
წვიმაში დგანან:

ორი პატარა მეზობელი.
პატარა სოფლის
ჩვეულებრივი ლალა და ოფლი;

გოგო და ბიჭი —
ნაშიერი პატარა სოფლის.
სასიხარულოდ ცოტა რამე —
წვიმა რომ ჰყოფნით;

მკვიდრები —
მთაზე შეფენილი
პატარა სოფლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უჩვეულონი
ქვეყანაზე თავისი ყოფნით...

და ცეკვავს წვიმა
ლურჯ ბალახზე
გიჟური ვნებით
იგუდებიან ფანჯარასთან სიცილით
დები...
შიშინებს მიწა —
დახვატული ზაფხულის ალხით,
ალტაცებულა ცა და მიწა
ერთურთის ნახვით...

პატარა ბიჭი — ფეხშიშველა —
წვიმაში დარბის
და წვივებდაკარწახებული
ბალახში ცეკვავს.
გაოგნებული დატყლაპუნებს,
წვიმს...
დგას წვიმაში
მთლად გალუმპული —
გაბრუებული
პირველყოფილი ნეტარებით
და შეუცნობი სიწმინდით სავსე...
წურწურ-წურწურით
        ჩამოდის
        წვიმა
მთელ სახეზე...
ნეტარებით ილოკავს ტუჩებს
და დროდადრო
სულის შებერვით,
სულ ერთი წამით
სულისმოთქმისთვის —
ცდილობს, როგორმე მოიშოროს
პირისახიდან
თუ ცხვირპირიდან
წვიმა!..
მთლად გაილუმპა...
ფეხისგულებით —
        მიწას ჩაჭკვრია,
თავზე და მხრებზე —
        ზეცა ელვრება! —
გაერთიანდა ცა და მიწა
        ალტაცებისგან!
გაერთიანდა ცა და მიწა
        მისი სხეულით!...
ღმერთო!
ეს სულაც არ არის წვიმა!
ანდა,
იქნება,
წვიმაც არის!!!

ცეკვავს წვიმაში
გოგო და ბიჭი,
და ერთმანეთის
ახარებთ ცეკვა...
გაოგნდა წვიმა,
რეტდასხმული ელვით და მეხით
და სველ მიწაზე
წამდაუწუმ უსხლტება ფეხი,
უცებ ფანჯარას
გულმოსული მოადგა ქალი,
მოუსვა ხელი ტყუპებს,
შიგნით შეყარა ძალით,
დაუტატანა მერე გოგოს
ფანჯრიდან ცხარედ,
კარი გაალო,
აივანზე დაუხვდა გარეთ,
კიბეზე ხელი შეაშველა,
შეიქოთქოთა,
თითი უქნია,
წაუთაქა კიდეც ცოტ-ცოტა;
გამოიტანა ტაშტი, წყალი...
ჩაჯდა და სწრაფად
ფეხი ჩაბანა,
გალუმპული გააძრო კაბა,
შემოახვია მერე ტანზე
თავშალი ჭრელი
და გულმოსულად
კარისაკენ
უბიძგა
ხელი...

ბიჭი კი...
        უხმოდ დგას წვიმაში...
წვიმს ისევ გარეთ,
გულდაწყვეტილი დგას...
    და უმზერს
    მოხურულ კარებს...
დგას გარინდული,
პირისახე წვიმით აქვს სველი,
კაცმა არ იცის —
        წვიმით თუ
        ცრემლით!...

თვალდახელშუა გაიზარდა
პატარა ბიჭი...

როგორც ამბობენ,
ასახელა სოფელი ნიჭით;
როგორც ამბობენ,
ენატრება მშობლიურ სერებს,
ერის კაცია
(გაზეთებში როგორაც სწერენ)!
თვითონ არც სჯერა, —
არცა ფიქრობს თვითონ ამაზე...
სოფლის სერების —
კი სწყურია თვალს სილამაზე!
კი ესიზმრება ხოლმე ხშირად
ის ძველი ოდა,
გადაფერდილი რომ იყო ოდნავ...
კაკლები,
ღელე,
ჯილეები,
კოდის წისქვილი —
ისევ ისეა,
წყაროც ისევ მოდის წინწკილით...
მოუცლელობას რა ვუთხარი,
გზასა და მანძილს,
თორემ, რა მოხდა,
ჩაირბენდა ხანდახან კაცი!
ან ვილა დარჩა,
რომც ჩახვიდე, ვილასღა ნახავ,
მოიძულია სოფელი ხალხმა.
ვისაც იცნობდა
და ვინც ახსოვს მთელი სიცოცხლე,
ყველანი წავიდ-წამოვიდნენ
ან დაიხოცნენ...
თვითონ ის გოგოც,
წვიმაში რომ უყვარდა ცეკვა,
ყოველ საღამოს კარებს უღებს
(ზარს როცა რეკავს)...
სადღაა გოგო,
გოგო ხომ არ იქნება მუდამ!
აგერ ორმოცი წელი გადის,
რაც გვერდში უდგას —
მეუღლეობა —
კართან დგომა არაა მარტო,
თუ გიხარია,
    უხარია,
თუ დარდობ,
    დარდობს!
გამოიცვალა ყველაფერი,
ხალხი,
ქვეყანა...
ყველამ აუღო ალღო ჩვენ ხანას;
მხოლოდ ტყუპები...
ორი ტყუპი პატარა გოგო,
არ გამოცვლილან,
რა თქმა უნდა, მობერდნენ ოღონდ.
ცოტა სიმკვირცხლეც დაეკარგათ,
ცოტა ხალისიც...
(ასეთ ასაკში
ყველა კარგავს ცოტა თვალისჩინს);
გაუთხოვრობის ბრალიაო,
ხუმრობენ სახლში
და — ქალბატონი და
სიძე — მახვში!..
ბაზარში —
    სწორედ ქალბატონი,
    მათი და დადის,
ტყუპები ბინას ალაგებენ,
ადგამენ სადილს;
მერე მთელი დღე
ფანჯარასთან სხედან მარტონი,
ელიან, როდის გამოჩნდება
სიძე — ბატონი!
რომ გამოჩნდება...
ვინ იქნება, აბა, პირველი:
მახვში მოდისო, —
გასძახებენ დას ორივენი.
და მოდის,
ტყუპებს მოაშორებს ღიმილით
        ფანჯრებს,
ტილოს გადახდის
მაგიდაზე გაწყობილ საჭმელს
და დგება კართან...
ყრუ ნაბიჯი ესმის შორიდან —
ერთი და ორი,
სამი,
ოთხი,
ჰა, ამოვიდა!..
დგას კართან ჩუმად...
იცის, უნდა გააღოს კარი,
მაგრამ არ აღებს,
დაირეკოს ჯერ უნდა ზარი...

ზის პროფესორი,
ხელში ცოლის უჭირავს ხელი,
დაბრუნებია სასწაული —
სიზმრები ჭრელი...
ზის პროფესორი,
სამი დღეა, უკვდება ცოლი,
ზის პროფესორი
თეთრი, როგორც ქათქათა თოვლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეჩვენება ძილღვიძილში —
მაგიდას უზის,
ირგვლივ ისეთი სიჩუმეა,
ხმა ისმის ბუზის:
ფურცლავს ქაღალდებს.
წერს,
ინიშნავს,
დუმს ხანაც დიდხანს —
ათასი ფიქრი წამოშლილა,
ათასი კითხვა...

ზის გარინდული,
ქვადქცეული და მოწუსხული,
ათჯერ დაწერა
და წაშალა რაღაც
ნუსხურით,
ასომთავრულით
თუ მხედრულით
თუ ძველლურსმულით...
წერს,
შლის,
ისევ წერს...
მერე ისევ ზის გალურსული...

მეუღლეს —
ფრთხილად,
ფეხაკრეფით
შემოაქვს
ჩაი.
ეგება, ყელი გაისველოს
ცოტათი მაინც.
ის კი ვერც გრძნობს,
ქვადქცეული
მაგიდას უზის,
გრძნობს კი, რომ
ირგვლივ
აბეზარი
დაბზუის
ბუზი...
ვერც კი გაიგო,
დაღამდა და გათენდა
ძველი ფრესკების ქარაგმებთან,
ჯვრებთან,
ხატებთან...
და უხიცინებს აუტანლად
სასაში
ღველფი —
სიგელ-გუჯრების, ეტრატების
მტვერი და
ფერფლი...
...გადაიქანცა კიდევ ცოტა...
ეროვნული ბიბლიოთეკა
სადღაა ჯანი! —
ახლა ჯობია,
წაატყუოს
ცოტათი
თვალი;
იხდის,
და წვება იქვე ტახტზე...
და ხუჭავს თვალებს, —
გონია — ჩათვლემს,
ჩაიძინებს, გონია, მალე...
ბორგავს ბურანში...
ეჩვენება, რომ ძინავს დიდხანს,
ისევ ათასი ფიქრი ტანჯავს,
ათასი კითხვა:
ესმის —
ოთახში
აბეზარი
დაბზუის
ბუზი
და ეჩვენება —
ისევ-ისევ მაგიდას უზის,
თან ეძინება —
ძილის თავიც არა აქვს თანაც...
რომ გაიღვიძოს,
თან იმისიც არა აქვს ძალა...

ამდგარან დებიც...
(თუ ეძინა მეუღლეს, ნეტა!)
გვერდით ოთახში
ფეხაკრეფით დადიან —
(ხედავს!)
ვერ ხედავს, მაგრამ გრძნობს
(დილით ხომ ასეა მუდამ!)
აბა რა დიდი დანახვა უნდა!
ესმის ჩურჩულიც...
და მეუღლის ხმაც ესმის უმალ —
„არ უძინია მთელი ღამე,
ქალებო, ჩუმად...“
არ ესმის, მაგრამ ხვდება,
(დილით ასეა მუდამ!)
აბა რა დიდი მიხვედრა უნდა...

ზის პროფესორი...
ხელში ცოლის უჭირავს ხელი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბრუნებიია სასწაული —
        სიზმრები ჭრელი.
დუმს ქალბატონი...
სანთელივით გალანდულ ყვრიმალს
მოლურჯო ნერვი გაჰკრავს ხოლმე
მკრთალად და წვრილად...
დუმს ქალბატონი...
ფერი ადევს სახეზე მთვარის...
და უცებ, უცებ —
        წამიერად
        გაალო
        თვალი...
მძიმედ აზიდა ქუთუთონი,
        მძიმედ და
ნელა
მძინარ მეუღლეს,
ცრემლიან დებს შეავლო მზერა;
შეატყო დებს, რომ...
მისი მზერა ენიშნათ ცუდად
და ის-ის იყო,
ის-ის იყო, კივილიც სურდათ,
უნდა ეტკიცათ, ის-ის იყო —
        ლოყაზე ხელი,
ის იყო, უნდა აეხადათ
        კივილით ჭერი —
უკანასკნელი მოიკრიბა სნეულმა ძალა
და ძლივძლივობით,
ძლივძლივობით
        რალაცა
        ბრძანა...
უფრო ტუჩებით მიხვდნენ დები
        ნათქვამს და...
        შიშით
გახევებულებს
        შეაცივდათ
        კივილი
        პირში...
ტუჩებით, მაგრამ...
        გაიგონა
        ნამდვილად
        ყურმა:
„არ უძინია სამი ღამე,
ქალებო, ჩუმად"...

. . . .

და ქალბატონის
        სანთელივით
        გალანდულ
        ყვრიმალს
მოლურჯო ნერვი
        შეაცივდა
        მკრთალად
        და
        წვრილად...

იყურეთ დებო,
გაიმაგრეთ როგორმე გული,
იყურეთ დებო,
ნუ გადახვალთ თქვენი დის სურვილს!
არ გაალვიძოთ პროფესორი,
არა ჰქნათ ცოდვა,
არ უძინია სამი ღამე,
იძინოს ცოტა...
სულ ცოტა მაინც,
სულ, სულ ცოტა,
სულ ცოტა... ჰოდა...

...ძინავს პროფესორს,
სამი დღეა უკვდება ცოლი,
ზის პროფესორი,
თეთრი, როგორც ქათქათა თოვლი...
ვერც კი გაიგო,
დაალამდა და დაათენდა
ძველი ფრესკების ქარაგმებთან,
        ჯვრებთან,
        ხატებთან...
და უხიცინებს აუტანლად
        სასაში
        ღველფი —
სიგელ-გუჯრების, ეტრატების
        მტვერი და
        ფერფლი.
ხელს უსვამს ფრთხილად,
ეფერება გაცრეცილ გრაგნილს —
მიმქრალ ასოებს,
გახეხილებს წლებისგან ჯაგრით.

მეუღლეს ფრთხილად,
ფეხაკრეფით შემოაქვს ჩაი,
ეგება
ყელი
გაისველოს —
        ცოტათი მაინც...

ამოტივტივდა, აჰა, უცებ
ტაძარი თეთრი,
ცად ავარდნილი გუმბათით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქათქათა მკერდით:
ტაძრის გარშემო —
უამრავი
იოევა
ხალხი —
ყველას
სამოსი
აცვია
თალხი...
შიგნით, ტაძარშიც,
დუმს ყოველი —
ერიც და ბერიც.
დაცვენილ ფრთებით —
მოუფარავთ
ანგელოსთ
ჭერი.
ღვთისმშობელს —
თვალზე
შეყინვია
კურცხალი
ცრემლი.
ვილაცას
ხელში
მისი
მკვდარი
უჭირავს
ხელი...

. . . . . .

ძინავს პროფესორს,
ხელში ცოლის უჭირავს ხელი,
და ძილღვიძილში ხმა ჩაესმის
ჩუმი და ნელი —
„არ უძინია სამი ღამე,
ქალებო, ჩუმად...“

ხოლო ქალები, ტყუპი დები,
სხედან და... დუმან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# წეროების პოლიგონი

## როგორ „გაჩნდნენ" თვითმფრინავები ქვეყანაზე...

რა ლამაზად დაეწყობიან ხოლმე წეროები ცის კაბადონზე.

ქარავანს თავში მეთაური ჩაუდგება, ყველაზე ღონიერი და ძლიერი, რათა უკან მიმყოლებს ფრენა გაუადვილოს, გუნდი სამშვიდობოს გაიყვანოს. ამ ცის ლაჟვარდებივით, უკიდეგანო ჰორიზონტებივით უსასრულოა მათი მარული.

თვითმფრინავები და წეროები...

პარადზე ცაში აჭრილი და სიმეტრიულად დაწყობილი მოაღლუმე თვითმფრინავების ასოციაციას აღძრავენ წეროები. არავის სმენია გუნდი არეულიყოს, თოფის ბათქზედაც კი მხოლოდ წუთიერად თუ შერჭვიფდება წეროთა გუნდი, მერმე ყველა თავის ადგილს იკავებს, მოკავკავე ფრინველებს ხმა დაეწმინდებათ, თვალებში მოწოლილი სიმღვრივე დაუწკდებათ, კვლავ ძველებურის სიმშვიდით გაუწვებიან ცისიერ ბილიკებს...

მეთაური ჟამიდან-ჟამად უკან გადმოხედავს ხოლმე თანამოძმეთ, ყოველშემთხვევისათვის გადმოხედავს... იცის, ამ გადმოხედვაში არის რაღაც მანუგეშებელი, შემაგულიანებელი.

თვითმფრინავები და წეროები...

მაგრამ, ვინ უწყის, რა ენერგიისა და ძალისხმევის ფასად უჯდება მეთაურს წინამძღოლობა, რა ქანცგამომცლელია მისთვის უვალ სივრცეებთან შებმა, ქარებსა და წარღვნებთან პირველი კვეთება, სხვათათვის გზის გაკვალვა.

ყველაზე მეტი ქირხლი და წვიმა ჩაედინება თვალებში, ყველაზე მეტი ქარი და ლუსკუმი ეხლება და ეხეთქება მხრებსა და ბეჭებზე...

არ ვიცი, რამდენად ბუნებრივია ეს შედარება თვითმფრინავებისა და წეროებისა, ანდა რამდენად რეალური და ლოგიკურია იგი, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია — როგორც მოვლენას, ადამიანთა გონების ერთგვარ უნარსა და თვისებას — ასოციაციასაც აქვს თავისი ლოგიკა და ქვეშეცნეული თუ ხილული საფუძვლები და კანონები...

და რაღა მაინცდამაინც ჩვენს შემთხვევაში უნდა მოიშალოს მთელი ეს საფუძველთა საფუძვლები...

კვლავ გავიხსენოთ ის თავდაპირველი ლამაზი შედარება თვითმფრინავებისა და გაზაფხულის ჟანტიან დღეს სამხრეთის ქვეყნებიდან თბილი ჰაერის ტალღებს გადმოყოლილი, ბუნების რაღაც შეუცნობელი და უცნაური ძალით ლამაზად დაწყობილი, ლაღად მოკავკავე უმშვენიერესი წეროებისა, ათადან და ბაბადან მოყოლებული მირიადჯერ რომ გაუდევნებიათ ადამიანებს გაოცებული მზერა და იმ თვალუწვდენელ სიმაღლეებსა და ლაჟვარდებზე მეოცნებეთ გულიანი ოხვრა აღმოხდენიათ და პირჯვარი გარდაუსახავთ...

ასე იწყებოდა ოცნება წეროებზე.

ასე გაჩნდნენ პირველი თვითმფრინავები დედამიწაზე...

## საუბარი შინაგან საქმეთა მინისტრთან...

რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა დღეს ყველას აინტერესებს და მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ჩვენს ზახელოვან მშრომელებსაც. განსაკუთრებით ისეთი აუგი საქმეები, როგორიცაა ბინის ქურდობა, მკვლელობა, მანქანების მოტაცება, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა და სხვა, უარყოფითად ზემოქმედებს მათ შრომით ნაყოფიერებაზე, ისინი პირდაპირ და პრინციპულად აყენებენ საკითხს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევების — ლოთების, ქურდების, უსაქმურებისა და მუქთახორების მიმართ მომთხოვნელობის გამკაცრების შესახებ.

— ჩვენს ისედაც დაძაბულ საუკუნეში მავანთა მხრიდან დამატებითი საზრუნავისა და სა-

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 8, 9, 10.

დარღვევების შემომატება მართლაც მეტისმეტია, დადგნენ დაზგებთან, ან მინდორში გავიდნენ სამუშაოდ და იცხოვრონ ჩვენსავით, შეძლების კვალობაზე. — ამბობენ მშრომელები. პრინციპულადაც სვამენ საკითხს და მართლებიც არიან. კოლექტივში გამორიულ ზოგიერთ მახინჯზე როცა ჩამოვარდებოდა საუბარი, მის უგვანობას რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებრივი წესრიგის არც თუ მთლად სახარბიელო მდგომარეობით ხსნიდნენ. სკოლასაც ადანაშაულებდნენ, სადაც იგი ვერ აღზარდეს როგორც საჭირო იყო. განსაკუთრებით მშობლები უსვამდნენ ხაზს სკოლაში დამკვიდრებულ ფორმალიზმსა და მოჩვენებითობას, პედაგოგებისა და დირექტორების ერთი ნაწილის წრესგადასულ თავხედობას და თავიანთ აღზრდილებს ვერ მალავდნენ ხოლმე, მუქთახორების, ქურდებისა და ლოთების მიმართ. საზოგადოების, მილიციისა და მართლმსაჯულების მხრიდან მეტისმეტად ლოიალურ დამოკიდებულებასა და შემწყნარებლობასაც აღნიშნავდნენ.

როცა ახე ფართოდ სვამდნენ მშრომელები საკითხს, მე კვლავ მიმტკიცდებოდა რწმენა, რომ ესენი იყვნენ ჩვენი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მოწინავენი არა მხოლოდ შრომით ფრონტზე, არამედ საზოგადოებრივ ასპარეზზედაც და ამდენად მათი გულისტკივილიც სულ სხვა ელერადობას იძენდა, სხვა მასშტაბებს მოიცავდა.

მართლაცდა, საზოგადოებრივი წესრიგი ქარხნისა და ქალაქისათვის ერთი ცნება იყო. საერთო პრობლემას წარმოადგენდა. ფართო თვალსაზრისით ამ საკითხის გაშუქება რომ გადავწყვიტე, შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონ გურამ გვეტაძის გულითადობისა და საჭირბოროტო საკითხების გულთან მიტანას იმედმაც შემაგულიანა. ასე შედგა ჩვენი მოკლე საუბარი რესპუბლიკაში ოპერატიული მდგომარეობის თაობაზე.

— ბატონო გურამ, როგორ დაახასიათებდით მოკლედ რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას საზოგადოებრივი წესრიგის სფეროში? რა ტენდენციები გამოიკვეთა ბოლო ხანს, ხანუგეშო თუ?... — ასეთი შეკითხვით მივმართე მინისტრს:

### გურამ გვეტაძე:

— მოგეხსენებათ, ჩვენი სამოქმედო უბანი თავისი სოციალური და საზოგადოებრივი ხასიათით მეტად რთულია. იგი ეხება პატიოსანი კაცისა და საერთოდ მთელი ჩვენი საზოგადოების მშვიდობიან, უდრტვინველ და უსაფრთხოო ცხოვრებას, ადამიანების პირადი ღირსებების დაცვას. ამიტომაცაა, რომ ჩვენს სფეროში მიღწეული არსებითი წარმატებებიც კი საერთო ვითარების ფონზე ისე ფერმკრთალდება, რომ მათი რეალობა ბევრის თვალში ეჭვსაც კი იწვევს. ცხოვრებას, ყოველდღიურობას ახალ-ახალი დანაშაულობანი მოაქვს. დროის კვალობაზე იხვეწება დანაშაულის ფორმები და მეთოდები. ბუნებრივია, მილიციას უჭირს ყველაფერზე თვალის გადევნება. ბევრი რამ გაუხსნელი და ბნელით მოცული რჩება, ბევრ დანაშაულსაც სათანადო შეფასება არ ეძლევა ან ვერ ეძლევა, ყოველივე ეს კი იწვევს მოსახლეობის ფართო წრეებში ერთგვარ უკმარისობას ბადებს...

ამიტომაც, როცა გვეკითხებიან ბოლომე ტენდენციებზე, ჩვეულებრივად ციფრების ენას მივმართავთ. სიტყვიერად კი მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, რომ მდგომარეობა ვერ არის კარგად. მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია! და მართლა, განა შეიძლება რესპუბლიკაში თითზე ჩამოსათვლელიც რომ გვქონდეს დანაშაულობანი ჩვენი დარგის მესვეურმა კმაყოფილების ნიშნად ხმამაღლა განაცხადოს — ყველაფერი რიგზეა, მიღწეულით კმაყოფილნი ვართო? მე მგონი, ასეთი მიდგომა საქმისადმი უპასუხისმგებლობა უფრო იქნებოდა, ვიდრე პრობლემისადმი მამულიშვილური დამოკიდებულება.

ახლა კი ნება მიბოძეთ ჩვენს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, ზოგიერთი მონაცემი მოგაწოდოთ. მაშ ასე, გასულ წელთან შედარებით დანაშაულის დონე რესპუბლიკაში შემცირდა 2,4 პროცენტით, მათ შორის განსაკუთრებით საშიში დანაშაულისა — 8,6 პროცენტით. განზრახ მკვლელობისა — 18 პროცენტით; სხეულის განზრახ დაზიანებისა — 17 პროცენტით, არასრულწლოვანთა გაუპატიურებისა — 18 პროცენტით, მოსახლეობის ქონების ხელყოფისა — 1,2 პროცენტით.

უნდა ითქვას ისიც, რომ გასულ წელს მომხდარ დანაშაულობათა 98 პროცენტი გახსნილია, რაც ჩვენს სისტემაში კარგ მაჩვენებლად არის მიღებული. და აი, კვლავ ეს უკმარისობის გრძნობა, პროცენტებში ზოგი რამ კარგად გამოიყურება თითქოს, მაგრამ რა გუნებაზე დადგება კაცი, როცა იცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი მძიმე კატეგორიის დანაშაული გაუხსნელია, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტების მთავარი წილი მოდის თბილისზე, ქუთაისზე, აფხაზეთზე, რუსთავზე, ზუგდიდის რაიონზე, კახეთის ქალაქებზე, ზესტაფონზე...

გორის რაიონში ავლაგმეთ ძმები გორგაძეების ბანდა, მახარაძის რაიონში — ძმები ელიაძეების ჯგუფი. დავიჭირეთ გარე კახეთსა და თბილისში მოქმედი 24-კაციანი ბანდა, რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯი გაბლდათ საშიში ბოროტმოქმედი, რუსთავის მკვიდრი—ზუმბაძე, რომელმაც 28-კაციანი ბანდა შეაკოწიწა. იმანაც შარშან დაასრულა თავისი მოღვაწეობა, ახლახან ავლაგმეთ ბრეგვაძის (მეტსახელად კატა)

16-კაციანი ბანდა, რომელიც ძირითადად ქუთაისში, რუსთავსა და ტყიბულში მოქმედებდა და ეწეოდა მოქალაქეთა შანტაჟსა და დაშინებას.

ახეთი გახლავთ მოკლედ ციფრებით წარმოდგენილი ფაქტები.

ცხოვრება წინ მიდის, ფუფუნების საგნებზე მოთხოვნილება იზრდება, განსაკუთრებით ეს შეიგრძნობა ჩვენი მოსახლეობის უსაქმურ ნაწილში, შეუსაბამობანი მოთხოვნილებასა და შესაძლებლობებს შორის თანდათან მატულობს. ანდა საიდან ექნებათ ხორცმეტებსა და მუქთახორებს მათი ნდომის დაკმაყოფილების საშუალება და შესაძლებლობანი, როცა თითის განძრევაც კი არ უნდათ, ყოველივე ეს კი უბიძგებს მათ დანაშაულისაკენ. და ამ კატეგორიის ახალგაზრდების მისწრაფება მუქთახორობისა და უსაქმურობისადმი თუ კი დროულად არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები, მომავალშიაც დიდხანს გაწვალებს ჩვენს საზოგადოებას. ჰო, იმას ვამბობდი, პროცენტებს ცოტა დაეჯერებათ-მეთქი. ამით იმისი თქმა მსურდა, რომ დღეს წარმოუდგენლად გაფართოვდა და გაიზარდა კომუნიკაციური არხები და ამავე დროს ინტენსიური გახდა ადამიანთა კონტაქტები, ახლა არც ერთი დანაშაული არ რჩება დაუფიქსირებელი საზოგადოების მიერ; ახე, რომ საზოგადოებამ მაკონტროლებელი ფუნქციებიც შეიძინა, და რაც თქმა უნდა, ვიდრე ერთი დანაშაულიც არსებობს, მისთვის ეს პროცენტული მაჩვენებლები დიდ შეღავათს არ წარმოადგენს. ასევე არ წარმოადგენს იგი ჩვენთვისაც...

ავტორი:

— ბატონო მინისტრო, როგორ დამოკიდებულებაშია დანაშაული და უმუშევრობა ერთმანეთთან? და რა ღონისძიებები ტარდება მუქთახორობისა და უსაქმურობის საწინააღმდეგოდ?

ბურამ გვეტაძე:

— თქვენი შეკითხვის პირველ ნაწილზე არაორაზროვნად შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრობა საფუძველთა საფუძველი, თავშესაფარი და ნავთსაყუდელია დანაშაულისათვის. უმუშევრობის მოვლენა შეიძლება შევადაროთ აშმორებულ ჭაობს, რომელიც მალარიისა და ციებ-ცხელების, ასევე სხვადასხვა ინფექციურ დაავადებების კერას წარმოადგენს ხოლმე.

ნათქვამის ნათელსაყოფად კვლავ სტატისტიკას მივმართოთ. იგი კი გვეუბნება, რომ რესპუბლიკაში მომხდარი ყველა დანაშაულის 86 პროცენტს ჩადის უმუშევარი და უსაქმური.

რა ღონისძიებები განვახორციელეთ ამ მიმართულებით და რა ეფექტი გამოიღო ჩვენმა მცდელობამ? თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად მოგეხსენებათ, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დამოკიდებულება საერთოდ ამ საკითხებისადმი და მათ შორის მუქთახორობისადმი. ამ თვალსაზრისით მრავალი ღონისძიება იქნა გატარებული განსაკუთრებით ამ ბოლო ათი წლის მანძილზე და მრავალი კიდევ უნდა გატარდეს იმისათვის, რომ შესამჩნევ შედეგებს მივაღწიოთ. ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს ჩვენი ერთგვარი უკმარისობა ამ კამპანიების შედეგებისადმი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ რაიმე დააკლო ხელმძღვანელობის მიერ მიღებული დადგენილებების განხორციელებას.

ზოგადად გეტყვით, რომ გამოვლენილთა 80 პროცენტის სამუშაოზე მოწყობას, ასე თუ ისე, ვახერხებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ერთობ მოვიკოჭლებთ მათი ადგილებზე დამაგრების საქმეში.

— თქვენ რა გამოსავალს ხედავთ შექმნილი მდგომარეობიდან? როგორც სტატისტიკა ცხადყოფს ეს მუქთახორებისა და უმუშევრების დონე თანდათან მატულობს, ესე იგი, გამოდის რომ „ციებ-ცხელებისა და მალარიისთვის ბუდე ისევ რჩება".

— ჩვენთან ამ ბოლო დროს შემუშავდა მოსაზრება ახალგაზრდობის შრომითი-პროფილაქტიკური დასაქმების აუცილებლობის შესახებ. ალბათ უნდა ჩამოყალიბდეს თავისი არსით, მნიშვნელობითა და სტრუქტურით დახვეწილი და ქმედითი ახალგაზრდობის შრომითი დასაქმებისა და პროფილაქტიკის თანამედროვე სისტემა. ვინც არ მუშაობს მან თავისი ადგილი სწორედ ამ პროფილაქტორიუმებში — დახურული ტიპის საწარმოებში უნდა ჰპოვოს. აქ შრომითი საქმიანობის შეგნებული, ნებაყოფლობითი ჩაბმის თაობაზე მრავალგზისი გაფრთხილებისა და შეხსენების მერმე ალბათ იძულებითი საშუალებების გამოყენებაც დაგვჭირდება... ამ შრომით პროფილაქტორიუმებში ჩავაბამთ აგრეთვე რეციდივისტებსაც, ვინც განმეორებით იდენს დანაშაულს. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრმოხდილთა დანაშაულის დონე ამჟამად რესპუბლიკაში 15.5 პროცენტს შეადგენს, რაც არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია. ამ მხრივ ერთობ მცირედი წარმატებები გვაქვს მოპოვებული და აი, ეს შრომითი პროფილაქტორიუმების სისტემა ამ საქმეშიაც მოგვეხმარება...

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს მართლაც აქვს მორალური უფლება — მოითხოვოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი პირველ რიგში ჩვენგან, ვისაც ამისი დამყარება უშუალოდ გვევალება და ასევე მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისაგანაც.

მართლაცდა, მარტოოდენ ერთადერთი მილიცია თავისი არასაკმარისი შტატებით ამ საერთო-სახალხო საქმეს სანამდე უნდა გასწვდეს თუ იქ გვერდში არ ამოუდგა მილიონთა მოქალაქეობრივი მრწამსი, თვითშეგნებულობა და პრინციპულობა, საერთო შემართებულობა და უკომპრომისო დამოკიდებულება საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებისადმი.

მუშათა კლასი მართალია, როცა გამოთქვამს თავის გულისტკივილს რესპუბლიკაში მომხდარი ყოველი დანაშაულის გამო. და ისიც გასაგებია ჩვენთვის, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს მათს განწყობილებაზე, შინაგან სიმშვიდესა და ენთუზიაზმზე, საბოლოო ჯამში კი შრომის ნაყოფიერებაზე ამ უსიამო ფაქტების ავზედითი დინამიკა, რომელიც, როგორც ეს აღინიშნა, თითქოს კლებულობს, მაგრამ არა ისე თვალშისაცემად, რომ კაცმა შვებით ამოისუნთქოს და თავი სამშვიდობოზე გასულად იგულოს.

— ბატონო მინისტრო, ყველა ერთხმად გამოთქვამს თავის კმაყოფილებას ფულის გამოძალვის მიზნით მსუბუქი მანქანების გატაცების შემთხვევების წინააღმდეგ თქვენს მიერ გატარებული ღონისძიების გამო... ამის შესახებ რომ არ ითქვას, უსამართლობა იქნებოდა...

— აქ კი მართლაც მივაღწიეთ რაღაცას. შეიძლება ამის თაობაზე ხმამაღლა თქვას კაცმა. და ამას, მე მგონია, კეკლუცობასა და თავისმოწონებაში ვერავინ ჩამოგვართმევს. ამჟამად ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ ამ სფეროში მოპოვებული წარმატებების ზღვარზე გავიდეთ როგორმე სხვა სახის სამართალდარღვევათა სფეროშიაც. ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით სასურველ მიზანს მივაღწევთ...

დღეს, როცა საერთაშორისო ვითარება ასე გართულდა, იმპერიალისტები ატომური და ეკონომიკური ომით გვემუქრებიან, როცა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, თანამედროვე ცივილიზაციამ, ეკოლოგიური, ეკონომიკური, ურბანიზაციული და ათასი სხვა სახის საზრუნავები და პრობლემებიც მოიყოლა თან, როცა მშრომელი ადამიანის გონება და მისი ფიზიკური შესაძლებლობები მიმართულია უკეთესი მერმისისადმი, როცა საზოგადოებრივი ნერვი საერთაშორისო ამბებისაგან ასე დაძაბულია, ერთი სიტყვით, როცა პატიოსან ადამიანებს საზოგადოებრივი თუ პირადი ხასიათის სატკივრები და პრობლემები საკმარისად აქვთ მოზღვავებული, ასეთ ვითარებაში ქურდებისა და მძარცველების, მუქთახორებისა და ლოთებისაგან მიყენებული უსიამოვნებანი და სულიერი თუ მორალური ტკივილები მართლაც უკვე მეტისმეტია. ადამიანების გუნება-განწყობილების, მათი მხნეობისა და თავმოყვარეობის შემლახველი, ჩვენივე საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ამ ბოროტებისა და სიძულვილის იმპულსების წყარო უნდა წვეთ-წვეთ ამოიხაპოს. მავანთა და უღირსთა პარპაში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბოლო უნდა მოვუღოთ. ეს არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი საზოგადოებრიობის ნომერ პირველი ამოცანაა.

## ქარხნის კომპიუტერი

ბატონ ვლადიმერ გეგიას შეიძლება ქარხნის თანამედროვე, შეუცდომელი ელექტრონული კომპიუტერი უწოდოს ადამიანმა.

ყველა მონაცემი, ყველა ციფრი და ყველა მაჩვენებელი საბოლოოდ მის ხელში იყრის თავს. მართლაც დირექტორის ღირსეული მოადგილე გახლავთ იგი ეკონომიკის დარგში. ქარხანაში გატარებული ნებისმიერი ღონისძიების, აქ დანერგილი სიახლისა და ექსპერიმენტის, ახალი მეთოდებისა თუ საკადრო სისტემის, საწარმოო და ტექნოლოგიური უბნების რეორგანიზაციისა და სხვა რამ წამოწყებათა ეფექტურობა, შიდა საწარმოო ძალებისა და მოცულობის ზრდა თუ კლებადობა ისევე, როგორც ფოტო-ფირი იძენს ხოლმე თავის ბოლოსახეს გამხსნელ ნივთიერებაში, ვლადიმერის კაბინეტში საცნაურდება საბოლოოდ.

სათქმელად ადვილია, მაგრამ მთელმა ამ ციფრების მარულამ, ათასმა მაჩვენებელმა, მონაცემმა და ფაქტმა ვლადიმერ გეგიას გონების პრიზმაში უნდა გაიაროს და როცა საბოლოო პასუხი „გაშანშალდება“ მხოლოდ მერმე შეუძლია ქარხნის ხელმძღვანელობას თავისი კომპეტენტური სიტყვის თქმა ზემოთჩამოთვლილი ექსპერიმენტებისა თუ წამოწყებათა ეფექტურობაზე, ეკონომიკურობასა და მიზანშეწონილობაზე.

ამიტომაც არის, რომ ვლადიმერ გეგიას მიერ გამოტანილ ეკონომიკურ განაჩენს გულის ფანცქალით ელოდებიან ქარხანაში. რას იტყვის ძია ვლადიმერი? როგორი იქნება მისი შეფასება? — ეს რაც შეეხება შიდა საწარმოო ხასიათის ურთიერთობათა ასპექტს, საამქროთა უფროსების, ახალ წამოწყებათა და მეცნიერული სიახლეების დანერგვის ავტორ-სპეციალისტთა, ასევე ადმინისტრაციის, პარტკომის, პროფკომისა და კომკავშირული ორგანიზაციის მესვეურთა საქმიან და ამავე დროს შიშნარევ მიმართებას საბოლოო შედეგების მაუწყებელი კაბინეტისადმი და ამ კაბინეტის გულკეთილ, კაცთმოყვარე და ღიმილიან, მაგრამ მათთვის მაინც მრისხანე და შეუვალ „ციფრების მეფესთან“ ვლადიმერ გეგიასთან. ჩვენი დამოკიდებულება კი ძია ვლადიმერთან ამ შემთხვევაში უფრო ზოგადი ხასიათისაა, რამდენადაც გვაინტერესებს არა რომელიმე ცალკეული უბანი და ერთი კუთხე, ან რომელიმე წამოწყების, ახალი მეთოდისა, აი, მაგალითად, ბრიგადული მეთოდის დანერგვით მიღებული ეფექტის მდგომარეობა, არამედ ამ წამყვანი ქარხნის ეკონომიკური ასპექტები და საწარმოო მაჩვენებლების ანალიტიკური და ყოვლისმომცველი სურათი.

რა გამოხატულებას ჰპოვებს ციფრების ენით მთელი ეს გაწამაწია, მთელი ეს განგაში ადმინისტრაციის მესვეურებისა, პარტიულ, კომკავშირული, კომკავშირული ხელმძღვანელებისა? მთელი ეს სიახლეები, რაც აქ დამკვიდრდა, მკვიდრდება და ახლო მომავალში დამკვიდრდება? მთელი ეს ნოვაციური წამოწყებანი, მოძრაობანი და საწარმოო რეფორმები? — ჩვენი შეკითხვა ბატონი ვლადიმერისათვის მარტივ ანაბანას წარმოადგენს, მას არც საანგარიშო მოწყობილობა, არც ელექტრული გამომთვლელი მანქანა, ერთადერთი, საკუთარ უბის წიგნაკში ჩაიხედა, და არ ვიცი იქ რა ამოიკითხა ასეთი, მერე კი სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით შეაფასა მოვლენათა მსვლელობა...

— რამდენი წლით გნებავთ დავიხიოთ უკან? — მეკითხება ვლადიმერი.

— ხუთი წელი, მგონი, საკმარისი იქნება... — ვითომ დიდ მცოდნესავით ვპასუხობ.

— კეთილი და პატიოსანი, მაშინ დავიწყოთ უმთავრესით — წარმოების მოცულობის ზრდის ტემპით, იგი 1978 წელთან შედარებით გაიზარდა 224,2 პროცენტით, ესე იგი ორჯერ მეტად... ხოლო, რაც შეეხება შრომის ნაყოფიერების ზრდას, თუ კი 1978 წელს მის მაჩვენებელს პირობითად ასად მივიჩნევთ მაშინ 1982-ის მონაცემებით იგი შეადგენს 203-ს, ესე იგი, გაიზარდა ორჯერ და მეტად. მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ მთელი ამ ზრდის 92 პროცენტი მიღწეული იქნა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ, და არა სამუშაო ძალის მექანიკური ზრდის მეშვეობით, რაზედაც მოდის დანარჩენი 8 პროცენტი.

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფონდუკუგების მაჩვენებელი. აქ საქმე უფრო რთულადაა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ ბოლო წლებში ქარხანა გაფართოვდა, აიგო, განახლდა და შემოემატა ახალი კორპუსები, საამქროები, რომელიც ბოლომდე არაა ჯერ დამთავრებული, და ბუნებრივია, პროდუქციასაც არ იძლევა, მიღებულია ახალი პროგრამული მართვის ჩარხები, ტექნიკური დანადგარები, რომელთა მთელი სიმძლავრით ამოქმედება და სათანადოდ დატვირთვა ჯერ არ მოხერხდა, ყოველივე ეს კი ზედმეტ ტვირთად აწევს ფონდუკუგების მონაცემებს, რომელიც გამოიყვანება წარმოებული პროდუქციისა და საწარმოო საშუალებათა, მათ შორის შენობების, დაზგების, მანქანა-იარაღების, ტექნიკურ მოწყობილობათა მთლიანი ფიზიკური და საწარმოო მოცულობის ურთიერთშეფარდებით. მაგრამ მიუხედავად ამ დაუმთავრებელი და ახლად დამთავრებული შენებლობებისა და ქარხნის ხელახლა ალჭურვით გამოწვეული არამწარმოებლური უბნების გაფართოებისა, უკუგების ფონდი გაიზარდა 154 პროცენტით. ეს ჩვენი ქარხნისთვის, რალა თქმა უნდა, ერთობ მოკრძალებული მონაცემი გახლავთ...

ამ წლების მანძილზე მუშახელის დენადობა შემცირდა 16,6 პროცენტიდან — 7,2 პროცენტამდე, ესე იგი, 2,3-ჯერ.

1978 წელს არასაპატიო გაცდენები შეადგენდა ნამუშევარი დროის 0,92 პროცენტს, გასულ წელს კი შეადგინა 0,25 პროცენტი, ესე იგი, შემცირდა 3,7-ჯერ...

ბატონ ვლადიმერის მოწოდებულ ამ ბოლო მონაცემს, სამუშაო დროის არასაპატიო მიზეზით გაცდენებს რომ ახახავდა, ჩვენი თხოვნით მცირედი კომენტარი გაუკეთა პანტიკო თორდიამ, მან, კერძოდ, თქვა:

— აქ ერთი მომენტია მხედველობაში მისაღები, ჩვენ, სამუშაო დროის გაცდენების მხრივ საერთო-საკავშირო დონესთან შედარებით არც თუ სახარბიელო მაჩვენებელი გაგვაჩნია, რაც ჩემის აზრით, ქართული სოციალური ყოფის სპეციფიკიდან, ჩვენთვის დამახასიათებელი ურთიერთდამოკიდებულების ტრადიციებიდან გამომდინარეობს, კერძოდ კი აიხსნება იმით, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ ძლიერია ნათესაური კავშირები, ნეგატიური, ზოგიც სასარგებლო ადათჩვეულებანი, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი არსებობენ, ადამიანები ინტენსიურად მოძრაობენ სოფლიდან ქალაქად, ქალაქიდან სოფლად, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით... ყოველივე ეს კი იწვევს სამუშაო დროის დანაკარგებს, საწარმოო რიტმის დარღვევას და სხვადასხვა არასასურველ მოვლენებს.

ამას წინათ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების საკავშირო თათბირის მონაწილეები გვესტუმრნენ. დისციპლინის განმტკიცების კამპანიასთან დაკავშირებით სამუშაო დროის დანაკარგების პრობლემაზე და მისი გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციაზე ჩამოვარდა საუბარი, შუა აზიის ერთ-ერთი რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პარტიულმა მუშაკმა პირდაპირ დასვა საკითხი, რომ სამსახურში დაგვიანების ალკვეთის მიზნით მკაცრად უნდა დაგვესაჯა, ეგრეთ წოდებული „შატალისტები". მას ერთი-ორმა სხვამაც დაუჭირა მხარი. სტუმრები გამოდიოდნენ საწარმოო დისციპლინისა და საშემსრულებლო წესრიგის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობიდან, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, საერთო-საკავშიროზე დაბალი დონისა აღმოგვაჩნდა. მათ ეს მონაცემები უმაგრებდათ ზურგს და თამამად აყენებდნენ თავიანთ მოსაზრებებს მშრომელებთან ურთიერთობის გამკაცრებისა და მომთხოვნელობის გაზრდის თაობაზე. მაგრამ ბოლოს ჩვენ რომ ავიღეთ სიტყვა და ადგილობრივი ვითარების ფონზე შევაფასეთ მდგომარეობა სულ შეიცვალა ამ საკითხისადმი მთელი დარბაზის დამოკიდებულება.

—ეს მართალია, რომ წესრიგი, საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა უნდა მოვთხოვოთ თანამშრომლებს — აღვნიშნე სიტყვაში გამოსვლისას

— და ამისათვის ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ კიდევაც, მაგრამ ეს საშუალებანი უნდა განვახორციელოთ ლოთებისა და ყალთაბანდების მიმართ, ასეთი კატეგორიის მუშაკები კი ჩვენ თითზე ჩამოსათვლელი თუ გვეყოლება. დაგვიანებისა და გაცდენების შემთხვევები კი ძირითადად მოდის მუშათა კლასის არც თუ შეუგნებელ ნაწილზე, რაც ერთი შეხედვით ვინმეს შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს, იმ ნაწილზე, ვისაც მშობლიურ სოფელში თუ მეზობელ ქალაქში დარჩენილი მშობლების, ნათესავების, მეგობრების სიყვარულის გრძნობა შემორჩენია, მისდევს ზოგიერთ ადათ-ჩვეულებას, მონაწილეობს ჭირსა და ლხინში, რაც ბუნებრივია, გარკვეულ დროს მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში იგი ველარ ეტევა დასვენების დღეებში, აგვიანებს სამსახურში. მართალია, ასეთი მუშაკი კანონმდებლობის ძალით ხშირი დაგვიანებისათვის სამსახურიდან დათხოვნას იმსახურებს და ჩვენ ერთ ხანობა ასეც ვიქცეოდით, მაგრამ რა შედეგი მივიღეთ სინამდვილეში? იძულებული ვხდებოდით გამოცდილი მუშის ადგილზე მიგვეღო ახალბედა, გამოუცდელი, უსუსური კადრი, რომელიც თვითონაც არ იყო დაზღვეული ამ დაგვიანებისაგან. მთელი ქარხნის მასშტაბით რომ განვაზოგადოთ ასეთი სიტუაცია, მეტად არასახარბიელო პერსპექტივის წინაშე აღმოვჩნდებით. და ჩვენც, ლამის იყო, „გავკოტრდით" კიდევაც. გავაგდეთ ერთი, გავაგდეთ მეორე, მესამე... და ასე შემდეგ. მაგრამ მერე რა? საიდან, როგორ გინდა შეივსო ეს დანაკლისი? ამიტომაც ჩვენ სხვა გზა ვარჩიეთ, ბუნებრივია, ტრადიციებსა და ჩვევებს ვერ შევებრძოლებოდით, მშობლისა და მოყვასის სიყვარულს ვერ გადავაჩვევდით ადამიანებს, მიცვალებულის გაპატიოსნებაზე ხელს ვერ ავალებინებდით და რომც განგვეხორციელებინა ასეთი რამ, არც მოგვცემდა იგი სასურველ შედეგს, პირიქით, ხელში შემოგვრჩებოდა ყველა ადამიანური გრძნობისაგან დაცლილი პრაგმატიკოსი, რაღაც უსულგულო მანქანა — რობოტი, საბოლოო ჯამში საზოგადოებას მეტ ზიანს რომ მოუტანდა ვიდრე სიკეთეს. ამიტომაც ნდობის განმტკიცებით ვცადეთ ამ ერთგვარი გარღვევის ამოვსება — როცა ამისი სათანადო საფუძველი ჰქონდათ ხოლმე მუშებს, უარს არ ვეუბნებოდით სოფელში წასვლაზე, თანაც გულახდილად ვუხსნიდით საწარმოო ვითარებას. ყოველივე ეს მათში დადებით რეაქციას იწვევდა, თანდათან კი კოლექტივში ჩამოყალიბდა ტრადიცია, როცა ვინმე გადაუდებელ საქმეზე მიდის და სამუშაოს აცდენს, იგი წინდაწინ გამოიმუშავებს თავის ნორმას, ანდა ჩამოსვლის მერმე რჩება სამსახურში. მართალია, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ყოველივე ეს იწვევს საწარმოო რიტმის შეფერხებას, ზოგიერთ სხვა სიძნელეებსაც ჰქმნის, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც ყველაზე ხელსაყრელ გამოსავალს წარმოადგენს... რომ ვთქვი, დადებითი გამოძახილი ჰპოვა-მეთქი მუშებში, ეს კიდევაც აისახა მონაცემებში; როგორც უკვე მოგახსენათ ამის შესახებ ბატონმა ვლადიმერმა, არასაპატიო გაცდენების შემთხვევები ლამის ოთხჯერ შემცირდა ან ბოლო დროის მანძილზე ჩვენს ქარხანაში...

## სერიიდან — „პორტრეტები"
## ოჯახური სიმფონია

— თქვენი აზრით, ერთადერთი, გამრავლების პრობლემის გადაჭრა უშველის ამ საქმეს? — ვკითხე ნინოს.

მეუღლემ ქმარს გადახედა, იქნებ შენ გასცე პასუხიო. ეტყობა, მათი შეხედულებანი აღნიშნულ საკითხზე ერთმანეთს ემთხვეოდა.

— რიცხობრიობა მთავარი უნდა იყოს, ჩემის აზრით, მაგრამ სასურველია მედლის მეორე მხარეც არ გამოგვრჩეს მხედველობიდან, პარალელურად თვისობრიობაზეც უნდა ვიფიქროთ. — მოკლედ მიაპასუხა ბიძინამ.

ავტორი:

ბიძინას თქმისა არ იყოს, მეტად მწვავედ აღიქმება დღეს გამრავლების პრობლემა. ჩვენი ერი, მოგეხსენებათ, მცირერიცხოვანია, მაგრამ ეს მაღალი თვისობრიობა ისეთი ფაქტორია, რომ თითქმის ერთგვარად წამოსწევს და ანაზღაურებს ამ მცირერიცხოვნებას, გარეშე თვალისათვის ქართველები რაღაც სამი მილიონი კი არა, უფრო მრავალრიცხოვანი ერი ვართ, ეს იმიტომ, რომ ყველა საქმეში ჩვენი წილი გვიდევს, ნებისმიერ ცხოვრებისეულ სფეროში და მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგშიაც საკავშირო და მსოფლიო მასშტაბითაც სახელოვნად გაგვაქვს ჩვენი ლელო. ეს მომენტი კი ქმნის მრავალრიცხოვნების ილუზიას... მაგრამ აი, თუნდაც წარმოების სისტემაში კადრების დეფიციტს, მაღალმთიანი სოფლების დაცარიელებას, მომცდარი სამეურნეო სავარგულების ათვისების პრობლემას რაღას უშველის? აი, მაგალითად, სამხრეთ საქართველოს უმეტესი რაიონების, სადაც ბარაქიანი სავარგულები ინტენსიურად ვერ აგვითვისებია, ასევე თუშეთისა და ხევსურეთის და ზოგიერთი ჩვენი სხვა კუთხეების არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობა ავიღოთ, ჩვენი სოფლის მეურნეობის გასაჭირი ჩამოთვლილ რეგიონებში ხომ ადგილობრივი მოსახლეობის სიმცირით არის გამოწვეული? აქ უკვე ერთადერთი — თვისობრიობით ვერ გავალ ფონს; სახელოვანი მწერლები და კომპოზიტორები, ასევე ნებისმიერი დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწეები ამ დაცარიელებული ველ-მინდვრების ინტენსიური ათვისებისა და საერთოდ მუშა-ხელის პრობლემის საკითხში. სამწუხაროდ, ვერაფერს გვიშველიან, ყველა ისინი ხომ თავიანთ

საქმეში არიან საჭირონი და შეუცვლელნი... ასე, რომ ერის გამრავლება ყველა დღევანდელი ჩვენი სატკივრის სალბუნი მგონია... მითუმეტეს ამჟამად გაცილებით მეტი საშუალებებია იმისათვის, რომ მოზარდი, რაგინდ მრავალშვილიან ოჯახშიაც არ უნდა იზრდებოდეს იგი, განათლებულ და ფართო გონებრივი თვალსაწიერის მოქალაქედ ჩამოყალიბდეს. მხედველობაში მაქვს კომუნიკაციისა და ინფორმაციის ინტენსივობის დღევანდელი მასშტაბები და შესაძლებლობანი, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მოზარდის გონებრივი შემეცნებისა და სულიერი და მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით თანამედროვე მაღალგანვითარებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის. ეს ფუნქცია ათეული წლების წინ კი, მოგეხსენებათ, მთლიანად საშუალო სკოლას ჰქონდა დაკისრებული... ასე, რომ მრავალშვილიანობა სულაც არ მოიცავს დღეს თავის თავში ჩამორჩენილობისა და ერთგვარი გაუნათლებლობის საშიშროებას, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ რატომღაც...

ისიც საინტერესოა, რას დებენ თვისობრიობის აპოლოგეტები ამ ცნებაში? რა იგულისხმება მათი აზრით ამ თვისობრიობაში? ერთადერთი მაღალი მატერიებისადმი ლტოლვა? მეცნიერული მიღწევები? განათლებულობა? თუ უფრო ფართო მნიშვნელობით არის იგი გაგებული? ცხოვრებას, როგორც ზემოთაც ითქვა, მილიონი წახნაგი გააჩნია, მილიონი კუთხე-კუნჭული აქვს და ყველა მათგანს თანაბარი გულისხმიერებით სჭირდება მიხედვა და მკურნალობა, თუ გინდა რომ, აკაკის თქმისა არ იყოს, აწყობილი ჩონგური არ გაგიფუჭდეს; ხოლო თუ კი ეს თვისობრიობის ცნება ყველა ცხოვრებისეულ ასპექტს მოიცავს, ამას რა სჯობია, ასეთ გაგებას სულითა და გულით უნდა მივესალმოთ...

ჩვენ, ასე ვთქვათ, მეტად საჭირბოროტო თემაზე ერთგვარი ლირიკული გადახვევა გამოგვივიდა. ახლა, როგორც ეს თამადას სჩვევია ხოლმე სუფრაზე, „საქმესაც მივხედოთ"... საწარმოო პრობლემებს მივუტრიალდეთ და რაღა თქმა უნდა, მხოლოდ დროებით გადავდოთ გვერდზე ისეთი ეროვნული სატკივრები, როგორიცაა გამრავლებისა და მოზარდის მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების საკითხები, დემოგრაფიული ამბები და სხვა...

— ორიოდე სიტყვით იქნებ გვითხრათ, რა ამოცანები წუდება ამჟამად თქვენს საამქროში, რა მნიშვნელოვან სიახლეებს ნერგავთ წარმოებაში? — კვლავ ჩამოვუგდე საუბარი ჩემს რესპონდენტებს.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲤᲔᲘᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენს საამქროში მექანიკური დეტალების თერმული დამუშავება,—ესე იგი,მათი ნორმალურ დონეზე დარბილება, ანდა პირიქით—განმტკიცება წარმოებს. ამჟამად ჩვენთან ინერგება ახალი ტექნოლოგიური პროცესები, და, შესაბამისად, პროდუქციასაც მაღალხარისხოვანს ვაწარმოებთ. ამ ბოლო ხანს ახალი უბნები შეემატა საამქროს — ეს გახლავთ ფხვნილთა მეტალურგიის უბანი, უახლესი განხრა ფხვნილთა მეტალურგიაში, სულ ორი წელია, რაც დავიწყეთ მისი ათვისება, შედეგები კი პირდაპირ გასაოცარია...

— რაში მდგომარეობს ამ მეთოდის უპირატესობა?

— დანაკარგები მინიმუმამდეა დაყვანილი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ახალი დარგისათვის ძირითად ნედლეულს სწორედ დანაკარგებისაგან მიღებული ფხვნილის სპეციალურად დამზადებული ნაერთი წარმოადგენს. და რაც მთავარია, ნარჩენებისაგან მიღებული საბოლოო პროდუქცია გაცილებით უფრო მტკიცე და მაღალხარისხოვანია ჩვეულებრივი წესით და ჩვეულებრივი ნედლეულისაგან დამზადებულზე; გარდა ამისა, იგი უფრო ეკონომიურიც არის, ყველაფერი ეს ერთად აღებული მთელი ქვეყნის მასშტაბით რომ განვავრცოთ, მართლაც რომ წარმოუდგენელ ეფექტს მისცემს ჩვენს სამამულო წარმოებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო... დრო და ამ მეთოდის ათვისება და ფართოდ დანერგვა ჩვენს მრეწველობაში...

— რას გვეტყვით თქვენი საამქროს კოლექტივზე?

— ჩვენი საამქრო მთელი ქარხნის შემადგენელი ნაწილია. ასე რომ დიმიტროველთათვის დამახასიათებელი ყველა ავისა და კარგის განვრცობა თავისუფლად შეიძლება ჩვენს კოლექტივზედაც. სხვებივით აწუხებთ ჩვენი კოლექტივის წევრებსაც ყველა მოუგვარებელი საკითხი და პრობლემა და ამავე დროს ახარებთ საერთო მიღწევები და წარმატებანი, განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი; კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა კადრების ნაკლებობას, და უფრო კი დამაფიქრებელ პერსპექტივას ამ თვალსაზრისით. დამაფიქრებელს იმდენად, რამდენადაც საამქროს თანამშრომელთა 15 პროცენტი ამჟამად უკვე პენსიონერია. ესე იგი, მალე ისინი ალბათ დაემშვიდობებიან საწარმოს. ეს რიცხვი კი საკმაოდ სოლიდურია. მოგვივა კი შევსება? და რა დონისა და პროფესიული მომზადების ახალ კადრებს მივიღებთ? ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც ეს საკითხი ჩვენი ქარხნისა და რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას ესახება.

გვჯერა, მოსალოდნელი რეფორმები და გარდაქმნები ზოგადსაგანმანათლებლო და პროფტექნიკურ სისტემაში ჩვენს წისქვილზეც დაასხამს წყალს...

ეროვნული

## სამართალი გიჯით დადის...

ავტორი:

ალბათ მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ტერმინი — „კადრების დაწინაურების დემოკრატიული ფორმა", შედარებით ახალი ცნებაა ჩვენთვის და ყურსაც ამიტომ უცხოდ ხვდება, ბუნებრივია, პანტიკოს ნათქვამმა ჩემშიაც აღძრა ცნობისმოყვარეობა და ინტერესი, რომ ამ ნოვაციური საკადრო პოლიტიკის არსსა და შინაარსში მიახლოებით მაინც გავრკვეულიყავი.

ფრთიანი გამოთქმა — „მიზანი ამართლებს საშუალებასო". უსათუოდ საავიაციო ქარხანასაც ეხება. ქარხანას, სადაც საწარმოო დავალებები ყოველთვის დიდი გადამეტებით სრულდება და მთელი მისი არსებობის მანძილზე არ ყოფილა გეგმების, ნაკისრ ვალდებულებათა და სოციალისტურ დავალებათა შეუსრულებლობის არც ერთი შემთხვევა. ასეთი მონაცემები და უტყუარი ფაქტები ძალაუნებურად გაიძულებენ საწარმოო-საშემსრულებლო მექანიზმის არსში, სხვადასხვა ასპექტებსა და ნიუანსებში გარკვევასა და გათვითცნობიერებას. ერთ-ერთი ასპექტი და გნებავთ, ნიუანსი გახლავთ სწორედ ის ზემოთმოხსენებული დემოკრატიული ფორმა კადრების დაწინაურებისა და წამოწევისა. მართლაც, როცა შედეგები ფენომენალურია, იქ საშემსრულებლო და შრომითი საქმიანობის მეთოდებზე დაეჭვება უკვე წვრილმანი მჩხრეკელობაა და მეტი არაფერი. აქ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება მხოლოდ — ქარხანაში დამკვიდრებული საქმიანობის პრაქტიკა შესწავლასა და განზოგადებას იმსახურებს.

მაშ ასე, ეს დემოკრატიული ფორმა... ამ შემთხვევაში ყველა გზას რომისაკენ კი არა, პარტიული ორგანიზაციისაკენ მივყევართ. აქ სხვა მრავალ წამოწყებასთან ერთად ჩაეყარა საფუძველი ამ მეტად თანამედროვე და პერსპექტიულ სიახლესაც საკადრო პოლიტიკაში. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, დაახლოებით ასე იყო აქაც — კადრების უკმარისობამ და ამ მიმართებით შექმნილმა რთულმა ვითარებამ სერიოზულად ჩააფიქრა ხელმძღვანელობა. მაშინ მათ დაიწყეს გამოსავალი გზების ძიება. დაძაბული შრომითი ურთიერთობების პირობებში მოხდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი და სასიამოვნო პროცესი, კოლექტივი, ადმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი, პროფკომი და კომკავშირის კომიტეტი ერთ არსებად შეიკრა და გაერთიანდა. სხვადასხვა საამქროების მოწინავე წარმომადგენლები, ქარხნის ძირითადი ბირთვი რომ შეადგინეს, ერთმა საერთო სადარდელმა და საფიქრალმა მოიცვა — როგორ დაძლეულიყო სხვადასხვა სახის ობიექტური თუ არაობიექტური მიზეზებით გამოწვეული საქარხნო სიძნელეები სხვადასხვა უბნებზე და მათ შორის საკადრო სფეროშიაც?

ალექსანდრე მიხაილოვი — პარტკომის მდივნის მოადგილე:

— შეიძლება ვინმეს გაზვიადებად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ ჩამოყალიბდა რაღაც ქართული დიდი ოჯახის, გნებავთ, საძმოსა და თემის მსგავსი მშრომელთა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის, ადმინისტრაციისა და, საერთოდ, ქარხნის ხელმძღვანელთაგან შემდგარი ერთობა, ფორმითა და შინაარსით თანამედროვე, მაგრამ საერთო საქმისადმი დამოკიდებულების და საზოგადოებრივი ინტერესების ერთგულებით იმ ძველი თემისა თუ დიდი ოჯახის ტრადიციებსა და პრინციპებთან მიახლოებული უშველებელი კოლექტივი.

ჩვენ როცა გავაანალიზეთ შექმნილი სიტუაცია, ავწონ-დავწონეთ ყოველივე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ახლა უკვე ჩვენის მხრიდან სათანადო კორექტივების შეტანა ამ ოჯახის, კოლექტივის ცხოვრებაში, რათა კიდევ უფრო განგვემტკიცებინა ათეული წლების მანძილზე თანდათანობით და შეუმჩნევლად მოპოვებული ეს წარმატებანი, დიახ, კიდევ უფრო განგვემტკიცებინა და გაგვენვითარებინა და ამავე დროს ახალი იმპულსები და სტიმული მიგვეცა ამ პროცესისათვის, დაგვეჩქარებინა მისი სრულყოფის ტემპები, სასურველი მიმართულებით წარგვემართა პროცესის განვითარება მომავალში და თანაც ჩვენს წინაშე წამოჭრილ სიძნელეებსაც შევბრძოლებოდით კოლექტივის ამ ერთიანი და უშველებელი ძალის გამოყენებით. ურთიერთნდობის დონე საშუალებას გვაძლევდა ჩვენი პოლიტიკის არსი სამზეოზე გამოგვეტანა, ყველა წამოჭრილი და სადაო საკითხის, სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში ჩაგვერთო მშრომელთა ფართო წრეები, მათი წარმომადგენლები და პარტიული კომიტეტის მუშაობისათვის საჯარო შინაარსი მიგვენიჭებინა.

ერთ-ერთი ფორმა მშრომელთა წარმოების მართვაში მონაწილეობისა გახლავთ სწორედ კადრების წამოყენებისა და არჩევისას იმ კოლექტივის აზრის გათვალისწინება, სადაც წამოყენებული კადრები საქმიანობენ და სადაც მათ იცნობენ ყველაზე უკეთესად. ასეთმა პრაქტიკამ წარმოების ყველა რგოლის საერთო მოწონება დაიმსახურა და იგი კოლექტივის ცხოვრების ნორმად იქცა...

— ბატონო ალექსანდრე, ამ ახალი საკადრო პოლიტიკის ყველაზე არსებით ასპექტს როგორ გამოკვეთავდით? მაინც რაში მდგომარეობს მისი არსი?

— რაღა თქმა უნდა, კოლექტიურობის პრინციპში; მოგეხსენებათ, რა ფართო ცნების შემცველია იგი, უფრო სწორად, თვით ცნებები—საჯაროობა. კოლექტიურობა ყოვლისმომცველია თავისი შინაარსით. აქ ყველა ნიუანსია გათვალისწინებული, ყოველშემთხვევაში, შეცდომები

მინიმუმამდეა დაყვანილი. კოლექტიური პრინციპით შეფასებისას ხელმძღვანელობა ღებულობს სრულ და ზუსტ ინფორმაციას ამა თუ იმ კადრზე, თანამშრომლები ახასიათებენ მას ყოველმხრივად. აღნიშნავენ მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს. წამოყენებული კანდიდატიც ასეთ მეგობრულ ატმოსფეროში გებულობს ამხანაგებისაგან ბევრ რამეს საკუთარ თავზე; ბუნებრივია, იგი ცდილობს შემდეგში გამოასწოროს სუსტი მხარეები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთან, როგორც იტყვიან ხოლმე, კაცი შორს ვერ წავა. თანამდებობაზე არჩევა ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს, მთავარია, უნდა გაამართლო, თორემ პასუხს მოგთხოვენ ისევ ის ადამიანები, ვინაც აღგაზევეს. ასე, რომ თუ კი არ შეეცადა იგი ამ ახალ ამპლუაში სუსტი მხარეების დაძლევას, მოკლე ხანში „ჩაფლავდება"... ალბათ ამ გულწრფელ ანგარიშგებიანობაში მდგომარეობს ამ ახალი მეთოდის მთავარი არსი და მნიშვნელობა...

— რაიმე მონაცემები თუ გაგაჩნიათ ამ თვალსაზრისით? მხედველობაში მაქვს ამ პოლიტიკის უკუგებითი მხარე, როგორ გამოიყურება იგი?

— მხოლოდ ბოლო სამ წელიწადში, დემოკრატიული პრინციპით არჩევნებისა და კადრების წამოწევის საფუძველზე 150 ადამიანი დავაწინაურეთ. დამერწმუნეთ, რომ ეს ერთი ქარხნისათვის არც თუ ისე ცოტაა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ის გახლავთ, რომ ამ მეთოდის, თუ რაც გნებავთ დაარქვათ მას, ცხოველმყოფელობა ჩვენი ქარხნის საზღვრებს გასცდა. ამ ას ორმოცდაათი დაწინაურებულიდან მრავალი მათგანი არჩეულია არა თვით ქარხნის შიგნით, არამედ სულ სხვა ორგანიზაციისა და საწარმოს, გნებავთ, დარგის ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ასე, მაგალითად, ავტოცენტრის გენერალურ დირექტორად დავაწინაურეთ ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ამხანაგი ხაზარაძე, ხოლო გაერთიანება „სინათლის" გენერალურ დირექტორად წარმოების ხელმძღვანელი ამხანაგი გამგებელი, „ცეკავშირის" უნივერსალური ბაზის მმართველის მოადგილედ—ამხანაგი ბეთლემიძე, საქარხნო რაიონის თავმჯდომარის მოადგილედ — ამხანაგი ხველელიანი, ნავთობაზის დირექტორად — ამხანაგი ფეიქრიშვილი და ასე შემდეგ...

როგორც ზემოთაც ითქვა, ნაწილი ჩვენი წამოყენებული კადრებისა, უკვე წარდგა ასე ვთქვათ, თავიანთი წამომყენებელი კოლექტივების წინაშე და მოახსენეს მათ გაწეული მუშაობის შესახებ, ერთი სიტყვით, ანგარიშები ჩააბარეს. ასეთი ანგარიშის ჩაბარება, როგორც წესი, ხდება ერთი-ორი წლის განმავლობაში ახალ ადგილზე დაწინაურებიდან და თვით პროცესი გაწეული მუშაობის შეფასებისა კოლექტივის მხრიდან დიდი ინტერესით ჩაივლის ხოლმე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევის დემოკრატიული პროცესი მნიშვნელოვნად ამაღლებს კადრებში პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას შემოთავაზებული საქმისა და თანამდებობისადმი, ჩააფიქრებს მათ ამაზე, თუ რამდენად შეეფერებიან შემოთავაზებულ ადგილს. ჩვენს საკადრო პრაქტიკაში გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა კოლექტივის მიერ არჩეულმა ამხანაგებმა შემდეგში უარი განაცხადეს შემოთავაზებულ თანამდებობაზე, თუმცა მანამდე კი ეჭვი არ ეპარებოდათ საკუთარ შესაძლებლობებში და ეგონათ, რომ ახალ ადგილზე გაართმევდნენ თავს საქმეს.

დემოკრატიული არჩევისა და წამოწევის ტექნოლოგია ერთობ მარტივი და უბრალოა, ოღონდ ეფექტი კი მეტად მნიშვნელოვანი და, მე ვიტყოდი, მოულოდნელიც კი. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ გზით დაწინაურებულ კადრებს თავი შეერცხვინოთ. ვერ გაემართლებინოთ. მრავალი მათგანი უკვე მეორედ იქნა წამოყენებული.

— თქვენ ახსენეთ ტექნოლოგია... ბარემ ორიოდ სიტყვით, მოგვიყევით კიდევაც მის შინაარსზე... იქნებ სხვადასხვა წარმოების ხელმძღვანელები დაინტერესდნენ თქვენი გამოცდილებით და თავიანთ ორგანიზაციებში დანერგონ და განახორციელონ მომავალში იგი... მკითხველსაც უთუოდ დააინტერესებს თვით ამ მეთოდის პროცესუალური მხარე...

— კადრების განყოფილების თანამშრომლები, ქარხნის ხელმძღვანელობა, პარტიული კომიტეტი განსაზღვრავენ დასაწინაურებელ კანდიდატურას, სწავლობენ მის პირად საქმეს. ამის მერე ჩვენ ვხვდებით მას უშუალოდ თავის კოლექტივში, სადაც თანამშრომლები, კოლეგები, როგორც ზემოთაც ითქვა, გამოწვლილვით განიხილავენ მისი ხასიათის მხარეებს. პარტორგანიზაციის თავმჯდომარე, ვისაც მიჰყავს ეს შეხვედრა, აცნობს შეკრებილთ ამხანაგის დემოგრაფიულ მონაცემებს, მოკლედ ახასიათებს ახალ თანამდებობაზე მისი ფუნქციებისა და მოვალეობის არსს. თუ წამოყენება ხდება ქარხნის ფარგლებს გარეთ რაიონული თუ ქალაქის მასშტაბით, მაშინ ამ შეხვედრაზე ვიწვევთ იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, სადაც იგზავნება ჩვენი კანდიდატურა სამუშაოდ. ეს ამხანაგები საუბრობენ ახალი სამუშაოს სპეციფიკაზე და სთხოვენ კოლექტივს გამოთქვან თავიანთი პირუთვნელი მოსაზრება — შესძლებს თუ არა მათი თანამოძმე აღნიშნული საქმის ღირსეულად წარმართვას. მთელი შეხვედრის მიმდინარეობის შესახებ ფორმდება ოქმი.

ასეთი მიდგომა საქმისადმი მორალურ-ფსიქოლოგიურად კეთილისმყოფელად მოქმედებს მშრომელებზე, მთელ კოლექტივზე, აძლევს მათ დამატებით სტიმულს მუშაობაში, უნერგავს რწმენას პატიოსნებისა და სიკეთისადმი, უნვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას მინდობი-

ლი საქმისადმი, ალავსებს მ:თ მოქალაქეობრივი სიამაყითა და ენთუზიაზმით.

ყველაფერი ეს მქონდა მხედველობაში, როცა ვთქვი, რაღაცით ჩვენი კოლექტივი იმ ძველ ოჯახს, მრავალრიცხოვან სამმოს, შეზმატკბილებულ ერთიან თემს დაემსგავსა-მეთქი, მოგეხსენებათ, ერთ მუშტად შეკრული საძმო და თემი რა ძალასაც წარმოადგენდა ერისა და ქვეყნისათვის... იმ ტრადიციების ახალ მოთხოვნათა დონეზე აღდგენა მიგვაჩნია თანამედროვეობის ყველაზე დიდ მონაპოვრად, ყველაზე დიდ მიღწევად, ტრადიციებისა, რომლის წიაღშიც არ შეიძლება ავი ზრახვა, მაცდური აზრი და ფიქრი გაჰაჰანდეს, რომელიც გამორიცხავს უტილიტარიზმს, ანგარებას, შენ-ჩემობიას, ზერელობას, მოჩვენებითობას, ყველაფერ იმას, რაც სამწუხაროდ ნიშანდობლივია ჩვენი ეპოქისათვისაც, და რაც ახე ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებას, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის ცალკეული დარგების, მთელი ეკონომიკის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო სფეროების კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით წინსვლას.

დიდი ოჯახი! ეს არ გახლავთ უკან მიბრუნება, ანდა უკან დახევა, ეს არის წინსვლა და განვითარება, სადღეისო მოთხოვნილებათა დონეზე მხრების გაშლა იმ წმიდათა-წმიდა, მამაპაპურისა და ძირძველის გათვალისწინებით, რომელსაც ჰქვია ჩვენი წინაპრების, ჩვენი ქვეყნის, სახელოვანი კულტურული მემკვიდრეობა, ქართველი ხალხის საუკუნეების მანძილზე შექმნილი და თაობებისათვის შემონახული ხელთუქმნელი განძეული.

მხოლოდ ასე, წარსულის, აწმყოს და მომავლის — ამ უმყარესი ხამთა კავშირის საფუძველზე შეიძლება აშენდეს სამომავლო ნათელი და ღირსეული შენობა წინსვლისა და წარმატებებისა... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ახე გვჯერა...

## და ბოლოს კიდევ ერთი შეკითხვა ქარხნის დირექტორს.

— ბატონო პარტიკო, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წილში რა ადგილს მიუჩენდით თქვენს ქარხანას? როგორია მისი მნიშვნელობის ეროვნული ასპექტი?

— ფრიად საპატიო ადგილს მივუჩენდი. სხვას რომ ყველაფერს შევეშვათ, ჩვენი ქარხანა ალბათ ერთ-ერთი პირველთაგანია რესპუბლიკაში, სადაც ხდება მოწინავე, უახლესი საბჭოური და არა მარტო საბჭოური მიღწევებისა და მონაპოვრების ათვისება. ქარხნის სიდიადე და სიდიდეც, თუ გნებავთ, მის ამ თანამედროვეობისათვის ნიშანდობლივი წარმოების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სირთულეშია. ამავე დროს ეს რთული პროცესები მიღწეულია გონივრული გზებითა და საშუალებებით, უახლესი ტექნიკისა და გამოცდილების დანერგვითა და გამოყენებით. ასე რომ ტექნოლოგიურ სირთულეზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მრავალთა გონებისათვის მიუწვდომელი ტექნიკური პროცესების უმარტივეს ტექნოლოგიურ ხაზებამდე დაყვანა, რობოტული და კომპიუტერული მართვის სისტემების დანერგვა და საერთო-საკავშირო მიღწევების საკუთარი რაციონალური წინადადებებითა და სიახლეებით შევსება და გამდიდრება. ყოველივე ეს კი უბრალო ამბავი როდია, მრეწველობა დღეს ის ქვაკუთხედია, რომელზედაც არის დაფუძნებული ერის ძლიერება და ღონიერება. მრეწველობა, რაღა თქმა უნდა, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ დონეს განსაზღვრავს. ამის თაობაზე შესანიშნავად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის 15 ივნისის პლენუმზე: „კარგად არის ცნობილი, რომ საბოლოო ანგარიშით ყოველი საზოგადოების განვითარების სახეს განსაზღვრავს მისი საწარმოო ძალების განვითარების დონე, წარმოების ურთიერთგანვითარების ხასიათი და მდგომარეობა. ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებაში ახლა უკვე მივადექით ისეთ ისტორიულ მიჯნას, როცა არა მარტო მომწიფდა, არამედ გარდუვალიც გახდა - საწარმოო ძალების ღრმა თვისებრივი ცვლილებები და ამის შესაბამისად წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა. ეს, უბრალოდ, ჩვენი სურვილი კი არ არის, ეს ობიექტური აუცილებლობაა და, როგორც იტყვიან, უამისოდ ფონს ვერ გავალთ. ამ გარემოებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით უნდა მიმდინარეობდეს ცვლილებებიც ადამიანთა შეგნებაში, საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა იმ ფორმაში, რომელსაც ზედნაშენს ვუწოდებთ..."

აქ თითქმის ყველაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რას შეიძლება წარმოადგენდეს რესპუბლიკისათვის ჩვენი ქარხანა... მხოლოდ ერთსაც დავუმატებთ, რომ იგი ამავე დროს არის ჩვენი ტექნიკური და საინჟინრო კადრების შეუცვლელი სამჭედლო, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რესპუბლიკის სხვა ტექნიკური სასწავლებლებისათვის ერთგვარი პრაქტიკული და შრომითი გამოსაცდელი პოლიგონი, საუცხოო ასპარეზი და ასევე ჩვენი მეცნიერული კადრების სამჭედლო, მათი თეორიული ნააზრევის შემოწმებისა და პრაქტიკული ცხადყოფის საუცხოო მოედანი. ამ თვალსაზრისით ჩვენი ქარხანა შეუცვლელია. გარდა ამისა, მე ვიტყოდი, რომ სწორედ ჩვენს ქარხანაში ხდება ადამიანთა შეგნების ფსიქოლოგიური და მორალური მეტამორფოზა უშუალოდ წარმოების სრულყოფასთან კავშირში, რაზეც ბრძანებდა ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩვენი ქვეყნის მეთაური. ესე იგი, აქ ხდება თანამედროვეობის შესაფერისი მსოფლმხედველობის და საზოგა-

დოებრივი ცნობიერების ზედნაშენის გამომუშავებაც. ასე, რომ ქარხანა მარტო საწარმოო გეგმები როდია, იგი უფრო მნიშვნელოვანი რამაა თავისი არსითა და სოციალური ასპექტით... შეიძლება აქ ისტორიული გამოცდილებაც მოვიშველიოთ — არც თუ შორეულ წარსულში ყველაზე მოწინავე იდეები და აზრები სწორედ მუშათა კლასის, და თანაც მოწინავე მუშათა კლასის წიაღში იბადებოდა, იქ ეურებოდა საფუძველი ყოველგვარ სიახლეს...

— ქარხნის კოლექტივის წინაშე მდგომ ამჟამინდელ ამოცანებს როგორ დაახასიათებდით?

— ჩემს თავს უფლებას მივცემ და კვლავ მოვიშველიებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის 1983 წლის პლენუმზე გამოთქმულ მოსაზრებას: „ჩვენ უნდა უდიდესი მუშაობა გავწიოთ როგორც სადღეისო ისე სახვალიო მანქანა-მექანიზმებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად. უნდა განვახორციელოთ წარმოების ავტომატიზაცია. უზრუნველვყოთ კომპიუტერებისა და რობოტების უფართოესი გამოყენება, მოქნილი ტექნოლოგიის დანერგვა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სწრაფად და ეფექტიანად გარდავქმნათ წარმოება ახალი პროდუქციის დასამზადებლად..."

დიახ თითქოს ჩვენს საწარმოზე ლაპარაკობდა ამხანაგი ანდროპოვი. აქ მოცემული ყოველი სიტყვა ჩვენს სამომავლო ფიქრებსა და ამოცანებს ასახავს...

* * *

რა ლამაზად დაეწყობიან ხოლმე წეროები ცის კაბადონზე.

ქარავანს თავში მეთაური ჩაუდგება, ყველაზე ღონიერი, ყველაზე ძლიერი, რათა უკან მიმყოლებს ფრენა გაუადვილოს, გუნდი სამშვიდობოს გაიყვანოს. ამ ცისიერი ლაჟვარდებით, ამ ტრიალ და უკიდეგანო ჰორიზონტებით უსასრულოა მათი მარული, დამქანცველია ფრინველთა ხეტება და მარათონი...

ნაცნობი გზებით მოიქცევიან წეროები — გასულს რომ დაკვალეს, მარადიულია მათი სწრაფვა და მიმოფრენა, იქ როს ბალახი გადაჭკნება, წყალი დაშრება, მყინვართ სიგრილეს მოაშურებენ...

არავის სმენია, გუნდი არეულიყოს, თოფის ბათქზედაც კი მხოლოდ წუთიერად თუ შერქვიფდება წეროთა გუნდი, მერმე ყველა თავის ადგილს იკავებს, მოკავკავე ფრინველებს ხმა დაეწმინდებათ, თვალებში წამოშლილი სიმღვრივე დაუწკდებათ, კვლავ ძველებურის სიმშვიდით გაუწვებიან ნაცნობ ბილიკებს...

წეროები და თვითმფრინავები... მოაღლუმენი, ცაში გრუხუნით მონავარდე რკინის ჩიტები. მართალია მათი ხმაური აურუებს გარემემოს და წეროებივით არც ორი სამშობლო გააჩნიათ — სამხრეთისა და ჩრდილოეთისა, საგაზაფხულო და საზამთრო ადგილსამყოფელი, ერთი მთლიანი, უწყვეტი ხაზით შემოსაზღვრული მამული, მათი საასპარეზო და სადარდებელი.

მართალია, გადამფრენები არ არიან წეროებივით და არც ორი სამშობლო გააჩნიათ — სამხრეთისა და ჩრდილოეთისა, იმათსავით უხმაურო ცხოვრებაც არ გამოსდით, მაგრამ მკვიდრი დედმამიშვილებივით მაინც ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს...

თვითმფრინავები და წეროები...

მოსწყინდათ ადამიანებს შორით ცქერა და სევდიანი ოცნება ცისიერ სიმაღლეებზე. ქროლვასა და ლაჟვარდებთან შერკინებაზე და მათ თვითმფრინავი გამოიგონეს...

წეროები ხომ ბუნებამ შექმნა, ისევე, როგორც ყოველივე და ყველაფერი და მათ შორის ადამიანიც. მაგრამ იგი უჯიათი, თავისნწვერა, ჩხირკედელა და მეოცნებე ვინმე აღმოჩნდა, თავისდა საბედისწეროდ თუ საბედნიეროდ ბუნების ამ მშვენიერ ქმნილებებს — წეროებს გამოეკიდა...

და ეს მარული დღესაც გრძელდება...

სწრაფვა წეროებისაკენ, იმ იდეალური წესრიგისა და სრულყოფილობისაკენ, ზენაარმა რომ დაანათლა უწყინარ ფრთოსნებს.

ბუნებასთან ჭიდილი ურთიერთპაექრობას დაემსგავსა, გადაიზარდა სხვა რამეში და მას ბოლო არ უჩანს...

ადამიანი ელექტრონათურასავით საბედისწერო წრედშია ჩართული, ჯერ კი ანთია და ბჟუტავს, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველა ნათურა იწვება, თუმცა ნათურა რა სახსენებელია, გადაიწვება და გამოცვლი, ახალს დაუყენებ, ყველაფერი ისევ თავისი რიგით წავა და წარიმართება, მაგრამ სად ადამიანი და სად ნათურა, აქ უფრო რთულადაა საქმე — გამოცვლა გამორიცხულია, ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ დროზე გამორთო, სამარადჟამოდ გათიშო იმ საბედისწერო წრედიდან...

მაგრამ ვიდრე ეს არ მომხდარა...

ვიდრე ამის საშუალებას არ გაძლევენ...

უნდა იწვალოს ადამიანმა.

წითელ ხაზზე, წმიდათა-წმიდა სამანზე გადმოსვლა აკრძალულია, ისევე, როგორც წითელ შუქნიშანზე ქუჩის გადაკვეთა... წარსულის მწარე გაკვეთილები გვამცნობენ ამას.

მამულის ღალადისს კი ვინაც არ მიაყურადა, კარგი დღე არავის დასდგომია.

უწყიან ეს დიმიტროველებმა.

ამიტომაც ისწრაფვიან ცისიერი სიმაღლეებისაკენ...

წეროებისაკენ...

პოლიგონზე მაჭარივით თუხთუხებს მშვიდობიანი ბრძოლის ორკიოლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჟილაძე

# ვარდის ფურცლობის ნიშანი

რუსთაველის ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კულტურული მოვლენა იყო კარის მწერლობა, მეფის ხაზინის მიერ დაფინანსებული პროფესიული კავშირი მწერლობისა, მტკიცე წესდებით, ჩვევებითა თუ საერთო მიზნით განმტკიცებული ორგანიზაცია, რომელსაც უზარმაზარი როლი მიუძღვის როგორც ძველი ლიტერატურის ძვირფასი ტრადიციების შენახვისა და გაგრძელების, ასევე თვისობრივად სრულიად ახალი საერო ლიტერატურის დამკვიდრების საქმეში.

საქართველოს მეფის კარზე, ისევე როგორც აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, უამრავი მწერალი მოღვაწეობს, უამრავი პროფესიონალი ლიტერატორი: მთარგმნელი, პოეტი, მემატიანე, პროზაიკოსი. საერთოდ ქართული კარის მწერლისთვის დამახასიათებელია ერთგვარი უნივერსალიზმი, ის ერთდროულად პოეტიც არის, მთარგმნელიც და პროზაიკოსიც. ეს თვისება შემდეგ და შემდეგ ტრადიციად გაჰყვა ქართულ მწერლობას.

თამარის კარის მწერლობა მეტად მნიშვნელოვანი, გავლენიანი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია, რომელსაც საფუძველი დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა და რომელიც თამარის დროსაც წარმატებით განაგრძობს თავის მისიას — უმაღლეს დონეზე წყვეტს ქართული კულტურის პრობლემებს.

ცნება „კარის ლიტერატურა" არ ნიშნავს მხოლოდ სახოტბო პოეზიას, ეს უკანასკნელი მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ისევე, როგორც პროზა, თარგმანი და ისტორიოგრაფია...

შეიძლება ითქვას, კარის ლიტერატურა იმ დროს საქართველოში საერო მწერლობის დამკვიდრების ინსტიტუტია. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მკვლევარების მიერ აღნიშნულია სარაინდო რომანის დიდი როლი ფეოდალური იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და ამ იდეოლოგიის კოდიფიკაციაში. საერო მწერლობა საქართველოშიც დიდად უწყობდა ხელს საზოგადოების მორალურ-ეთიკური კოდექსისა თუ ქცევის ახალი ნორმების შექმნასა და დამკვიდრებას.

ვეფხისტყაოსნის პროლოგში წარმოდგენილ მოშაირეთა ტიპებს, ჩვეულებრივ, რუსთაველის დროინდელ პოეტებად მიიჩნევენ ხოლმე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს აზრი სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენი მეცნიერების წყალობით, ვიცით, თუ როგორი იყო ის ლიტერატურული გარემო, ის შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელშიაც ყალიბდებოდა რუსთაველის პოეტური სული, ფრთას შლიდა მისი

დასასრული. იხ. „მნათობი", № 10.

გენია. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემო რუსთაველის **ღირსია და შესაფერი!**

„მაღალ ტაძარში მაღალია სულისკვეთება“-ო, თქვა დიდმა ინგლისელმა პოეტმა. დღეს ჩვენთვის ცნობილია იმ მწერლების შემოქმედებითი შესაძლებლობანი, რომლებიც რუსთაველის მხარდამხარ ილვწოდნენ. ვიცით, თუ რა დიდი ოსტატობის ნიმუშები დაუტოვეს მათ მშობლიურ ლიტერატურას. მათ მიერ შექმნილი ბრწყინვალე მხატვრული ტილოები დღესაც განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ქართულ მწერლობაში. ამიტომაცაა, რომ ყველაზე უფრო ყალბად პროლოგის ის სტროფები გვეჩვენება, სადაც პოეტებია დახასიათებული და დაჯგუფებული. პროლოგის ეს სტროფები (14. 15. 16. 17. 18) აშკარად მერეა დაწერილი, უფრო სწორად — მერეა ჩამატებული, თანაც, სხვადასხვა დროს. შეიძლება სხვადასხვა საუკუნეშიც. ასეთი პოეტები, ამ სტროფების მიხედვით რომ ვეცნობით, ასეთი საუბარი პოეზიაზე — უფრო შემდგომი, მორალურად და კულტურულად დაქვეითებული ეპოქებისთვისაა დამახასიათებელი და ბუნებრივი (რუსთაველი ამბობს: „მობურთალსა — მოედანი“-ო, ინტერპოლატორი კი აზუსტებს „ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“-ო. როცა ამ ფრაზას ვკითხულობთ, რატომღაც მახსენდება კასტელის ჩანახატი: „ჩოგანი“. მგონი, ეს ფრაზაც იმდროინდელი უნდა იყოს...).

ვეფხისტყაოსნის ტექსტის გადამწერები ალბათ თვითონაც ჩუმ-ჩუმად პოეტები იყვნენ და, ისევე როგორც ყველა იმდროინდელი ანუ დაცემის ხანის პოეტი, შეპყრობილნიც რუსთაველისადმი ჯიბრის გრძნობით. გენიამ იცის ასეთი წათამამება, გენიოსი გათქმევინებს, ასე ხომ მეც ვიტყოდიო, მაგრამ „ასე“ რომ თქვა, უსათუოდ... გენიოსიც უნდა იყო!

შავთელი, ჩახრუხაძე, მოსე ხონელი, რუსთაველი — აი, ჩვენამდე მოღწეული სახელები იმ მწერლებისა, მეფის კარზე ერთდროულად, გვერდიგვერდ რომ მოღვაწეობდნენ.

მკვლევართა ცნობით, იმდროინდელი ქართველი მწერლები „განსაკუთრებული ყურადღებით“ იპყრობდნენ სპარსულ ლიტერატურას და ქართულადაც თარგმნიდნენ სპარსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. მაშინ სპარსული ლიტერატურა უცხო და ახალი ხილი იყო ქართველი მწერლებისათვის, ისინი პირველად ეცნობოდნენ ამ დიდ, მაღალპოეტურ სამყაროს. მაგრამ თავად ქართული ლიტერატურის დონე იმდენად მაღალი იყო, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი გაგებით „თარგმნა“ ჩვენი გაგებით „გადმოქართულებას“ უდრიდა, ამის შესანიშნავი მაგალითი გახლავთ, თუნდაც, მსოფლიო ლიტერატურის ისეთი შედევრი, როგორიც „ვისრამიანია“.

„ვისრამიანის“ ქართული თარგმანი, ანუ ქართული „ვისრამიანი“, მართლაც, განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში, იმდენად განსაკუთრებული, რომ უაღრესად მოულოდნელ, უცნაურ და თამამ ფიქრებსაც კი აღძრავს ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანის გულში. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მკვლევარების მიერ ქართული „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის ტექსტების საფუძვლიან შეჯერება-ანალიზს, ენობრივ შეპირისპირებასა და, რაც მთავარია, მათ მიერ აღმოჩენილ „საოცარ მსგავსებას“ ორი პოემის („ქართული ვისრამიანის“ და ვეფხისტყაოსნის) ტექსტებისა, მაშინ ადვილი დასაშვებია, ჩვენი „მოულოდნელი, უცნაური და თამამი“ ფიქრები უკვე მეცნიერული ჰიპოთეზის სახითაც წარმოვიდგინოთ.

მე პირადად, სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, რომ „ვისრამიანი“ ქართულად შოთა რუსთაველის თარგმნილი იყოს. თუმცა, ახალს არაფერს ვამბობ, რადგან ჩვენი მეცნიერების მიერ, არსებითად, ეს უკვე დამტკიცებული ფაქტია, ოღონდ ხმამაღლა, მგონი, არც ერთ მათგანს არ აღუნიშნავს.

ჩემი ნათქვამი ჰაერში გამოკიდებული რომ არ დარჩეს, შეძლებისდაგვარად, მივყვები და თქვენს ყურადღებას

მივაპყრობ ჩვენი გამოჩენილი მკვლევარების გამონათქვამებს ამ ორი პოემის „საოცარი მსგავსების“ თაობაზე:

„ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ „ვისრამიანი“ „ვეფხისტყაოსანზე“ ადრეა დაწერილი“-ო, ამბობს იუსტინე აბულაძე. ეს, არსებითად, ჩვენი მეცნიერების მიერ, მართლაც უკვე დამტკიცებული ფაქტია. როცა, ქართული „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის მსგავსებაზე იუსტინე აბულაძის ღრმად მეცნიერულ დაკვირვებებს ეცნობი, ყოველ წამს ელოდები: აი, ახლა, აი, ახლა იტყვის, ორივე თხზულება ერთ ავტორს ეკუთვნისო, ანუ ერთმა და იმავე ავტორმა თარგმნა სპარსულიდან „ვისრამიანი“ და დაწერა ვეფხისტყაოსანიო. მაგრამ... არ ამბობს. ერთი რამ კი უეჭველია — მეცნიერს აფორიაქებს, აწვალებს, სიმშვიდეს უფრთხობს ამ ორი ნაწარმოების „საოცარი მსგავსება“! დიახ, მას ეკუთვნის ეს გამოთქმა. მან იცის (ვინ უნდა იცოდეს უკეთესად!), რომ ვეფხისტყაოსანი სპარსული პოემებისაგან განსხვავდება და არა მარტო განსხვავდება, რუსთაველი, როგორც პოეტი, უპირისპირდება კიდეც აღმოსავლურ პოეზიას; მას გააჩნია განსაკუთრებული „ნიშანდობლივი თვისება, რომელიც საგრძნობლად განასხვავებს აღმოსავლური პოეზიის ყველა წარმომადგენლისაგან“. სწორედ ამიტომაც აწუხებს, არ ასვენებს მეცნიერს ის ფაქტი, რომ ქართულად ნათარგმნი „ვისრამიანი“ ასე ჰგავს ვეფხისტყაოსანს, უფრო ვეფხისტყაოსანს, ვიდრე თავის სპარსულ დედანს!

„ქართული და სპარსული „ვისრამიანი“ ცალ-ცალკე თითქოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული თხზულებებია“, წერს დავით კობიძე.

ნიკო მარი „ვისრამიანის“ ქართულად მთარგმნელს „თარგმანის ავტორს“ უწოდებს! ნიკო მარის გამჭრიახი თვალი იმასაც ამჩნევს, ეს თარგმანი სრულიად სხვა მთარგმნელობით სკოლას რომ ეკუთვნის, გამოირჩევა სასულიერო ლიტერატურის თარგმანებისაგან. მთარგმნელს კი მეტად ძლიერი ხელი აქვს, რასაც შეეხება, ყველაფერს საკუთარ დაღს ასვამს. ნიკო მარი უაღრესად საინტერესო დაკვირვებებს გამოთქვამს „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის მსგავსებაზე, კონკრეტულად კი — ამ ორი პოემის პარალელურ სახეებსა თუ პასაჟებზე. ერთ ადგილას, როცა ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ შედარებას იხილავს, წამოიძახებს კიდეც: „ზუსტად ისევეა, როგორც „ვისრამიანის“ თარგმანშიო!“

ა. გაწერელიას აღნიშნული აქვს „ვისრამიანისა“ და ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ადგილის დამთხვევა.

ა. ბარამიძე ფიქრობს, ქართული „ვისრამიანი“ თავისუფალი თარგმანიაო.

ი. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ პროზად დაწერილი ქართული „ვისრამიანი“ არაფრით ჩამოუვარდება „მშვენიერ ლექსად დაწერილ“ სპარსულ დედანს.

ნაწარმოები, უნდა თუ არა ეს ავტორს, ყოველთვის ატარებს მისი სულის ანაბეჭდს, „ერთი და იმავე მწერლის ნაწარმოებები ყოველთვის ინარჩუნებენ რაღაცნაირ ფიზიოგნომიურ მსგავსებას“.

იუსტინე აბულაძე ვეფხისტყაოსანს ჰომეროსის „ოდისეას“ ადარებს და ამით კიდევ ერთხელ უპირისპირებს მას აღმოსავლურ, კერძოდ, სპარსულ პოეზიას. მისივე ნათქვამია: „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ ორივე ერთსა და იმავე ბრწყინვალე კლასიკური ეპოქის ნაწარმოებია“-ო.

„ჩვენს ყურადღებას იპყრობს... ამ ორი ნაწარმოების საოცარი მსგავსება გარეგანი ფორმის მხრით!“

„პოეტური ფიგურები და სიმბოლიკა ერთგვარია ორსავე მწერლის ენაში“!

„ვეფხისტყაოსანი“... გარეგანი ფორმით უახლოვდება „ვისრამიანს!“

„შოთას სტილი და გრამატიკული წყობილება და საერთოდ, ენის ნორმები, სრულიად იგივეა, რაც „ვისრამიანის“ მთარგმნელის“! — აქედან ერთი ნაბიჯღაა დარჩენილი, ორივე პოემა ერთი და იმავე ბრწყინვალე პოეტის

ნაწარმოებად რომ აღიაროს. საერთოდ, იუსტინე აბულაძის ნარკვევში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ ორი პოემის დეტალური მსგავსების (იგულისხმება ენა და სტილი) ფაქტებს...

ამავე დროს, „ვისრამიანი" და ვეფხისტყაოსანი გარეგნულად მიილტვიან რა ერთმანეთისაკენ, შინაგანად ეთიშებიან, ებრძვიან, „კლავენ" ერთმანეთს, თუმცა, სხვანაირად არც არის მოსალოდნელი, რუსთაველის პოეზია სრულიად განსხვავდება სპარსული პოეზიისაგან. მართალია, „ვისრამიანმა" აშკარად მოახდინა გავლენა ვეფხისტყაოსანზე, მაგრამ ეს იყო სულ სხვა სახის გავლენა, ანუ გავლენა საპირისპირო შედეგით. ვეფხისტყაოსანი არის „ვისრამიანისადმი" დაპირისპირებული რომანი, ფსიქოლოგიური სტრუქტურით, ადამიანთა ურთიერთობათა თავისებურებით. დიახ, აქ უკვე სულ სხვა სამყაროა, სხვა ადამიანები, სხვა ურთიერთობანი, სხვა იდეალები...

გავიხსენოთ, თუნდაც, ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობის ერთი პატარა ფრაგმენტი, რომელშიაც ცხადად მოჩანს ეს დაპირისპირება, განსხვავება, ერთგვარი პროფესიონალური ჯიბრი და, ამავე დროს, აშკარა უპირატესობაც რუსთაველისა.

„მერმე ავდეგ წამოსავლად.
მან დამიწყო ქვექვე წვევა.
მწადდა, მაგრა ვერ შევჰმართე
შემოჭრომა, შემოხვევა".

ტარიელის ეს სიტყვები ზოგიერთი მკვლევარისათვის მისი, ანუ ტარიელის, „ბუნებრივობის", „უცოდველობის" და წესიერების საბუთია. მაგრამ განა ნესტანის სურვილიც ასევე „ბუნებრივი და უცოდველი" არ იყო? ამ ქვეყნად ხომ ბევრი რამ არ არის ისეთი „ბუნებრივი და უცოდველი", როგორც ახალგაზრდა ქალისა და კაცის ურთიერთ ლტოლვა, მითუმეტეს, როცა მათ ერთმანეთი უყვართ... არაბუნებრივი იქნებოდა, მათ რომ ასეთი ლტოლვა არ ჰქონოდათ.

რუსთაველი დიდი პოეტია, რომლისთვისაც ცხადია, რომ „მაღალზნეობრივი" სიყვარული არის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური, ბუნებრივი, ჯანსაღი სიყვარული. ეს „დიდებული უსიტყვო სცენა" იმითაც არის მართლაც დიდებული, რომ ვგრძნობთ მხურვალებას ქალ-ვაჟის ვნებისა, ვგრძნობთ, თუ რა ძალით მიილტვიან ისინი ერთმანეთისაკენ და ვგრძნობთ იმ გასაოცარ, ადამიანურად კი მეტად გასაგებ და ამიტომაც დიდი სიმართლით აღბეჭდილ მომენტსაც, როცა გმირი, რომლისთვისაც არაფერია გახელებული ვეფხის კოცნა, ხელის შეხებასაც ვერ უბედავს სასურველ არსებას („ვერ შევჰმართე"!), თუმცა, მასაც ნესტანივით სული მისდიოდა („მწადდა"!) „შემოჭრომა, შემოხვევისთვის". აქ კიდევ ერთი საიდუმლოა ამოხსნილი ადამიანის ბუნებისა, ამიტომაცაა სწორედ ის „განსხვავებული" „ვისრამიანის" შესატყვისი ეპიზოდისაგან, ამიტომაცაა ის გაცილებით მნიშვნელოვანი.

რუსთაველს ამ შემთხვევაში სხვა ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი და გენიალურად გადაჭრა კიდეც, თორემ მას, რამდენადაც მის პოემას ვიცნობთ, აზრადაც არ გაუვლია, გაეკიცხა ეს მშვენიერი, ბუნებრივი, ადამიანური კავშირი ორ მოსიყვარულე არსებას შორის. უფრო მეტსაც ვიტყვი: თვითონ ტარიელიც კი, რომელიც მთლად ახალი გამოჯანმრთელებულია სიყვარულის პირველი ელდის შემდეგ, ნესტანის გამოგზავნილ, საგანგებოდ პირშებურვილ ასმათს ვერ იცნობს და არშიყობას დაუპირებს:

შევე, დავჯე ტახტსა ზედა;
ქალი მოდგა ნოხთა პირსა,
ჩემსა ახლოს დასაჯდომად
თავი მისი არ აღირსა;
ვარქვი: „მანდა რად ჰზი შენ, თუ
სიყვარული ჩემი გჭირსა?
მან პასუხი არა მითხრა,
ჩემთვის ჰგვანდა სიტყვა-ძვირსა.

მართლაც, თუკი თინათინისა და ავთანდილის, ნესტანისა და ტარიელის სიყვარულს, „მაღალი ზნეობის" პოზიც-

ებიდან სექსუალურ საფუძველს გამოვაცლით. ნამდვილად იდეალიზებულ სქემებად გადავაქცევთ ამ მშვენიერ ადამიანებს.

პასკალი ამბობდა: „ადამიანი არც ანგელოზია და არც მხეცი. და მისი უბედურება ისაა, რომ, რაც უფრო მიელტვის დაემსგავსოს ანგელოზს, მით უფრო მხეცად გარდაიქმნება ხოლმე“-ო. სწორედ ამ აზრის ძალისხმევასა ვგრძნობთ ბელინსკის აფორიზმში: „...ადამიანი არც მხეცია და არც ანგელოზი, ამიტომ, ვალდებულია უყვარდეს მხეცურად ან პლატონურად კი არა, არამედ — ადამიანურად“. სხვათაშორის, „ანგელოზური სიყვარული“ „მხეცურ სიყვარულზე“ ნაკლებად პათოლოგიური როდია...

როგორც უკვე ვთქვი, მე პირადად, სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია ის ამბავი, რომ რუსთაველმა სიჭაბუკეში თარგმნა „ვისრამიანი“, ხოლო შემდეგ, გაცილებით გვიან, ანუ სიჭარმაგეში, სხვა პოეტურ თუ მსოფლმხედველობით სიმაღლეზე მდგარმა, დაწერა ვეფხისტყაოსანი. ორივე ნაწარმოები გენიალური მოვლენაა, ორივე გამარჯვება ქართული კულტურისა.

„ვისრამიანი“ გენიის სიჭაბუკის წიგნია, ვეფხისტყაოსანი კი სიჭარმაგის დროინდელი, არსებითად, უკვე სხვა (ანდა ძალზე გარდაქმნილი!) პიროვნების მიერ დაწერილი, პიროვნებისა, რომელსაც არა მარტო ლიტერატურული პოზიცია აქვს სრულიად სხვა, არამედ ცხოვრებისეულიც!

პროზად თარგმნილი ქართული „ვისრამიანი“ (თუკი ეს მართლაც პროზაა და თავისუფალი ლექსი არ არის, ნიკო მარს აკი უნდოდა მისი ორ სტრიქონიან ლექსებად დაწყობა!) გაცილებით დეკორატიულია, ორნამენტულია, მღელვარეა, ვიდრე ლექსად დაწერილი ვეფხისტყაოსანი. აქ ჯერ კიდევ სიჭაბუკის ვნებები დუღს, ხოლო ვეფხისტყაოსანში ემოციურობის ნაკადი გონიერების ფილტრშია გატარებული. შემთხვევით არ არის პოემაში ავთანდილი, რომელიც თავისი ბუნების გამო, წარმოუდგენელია აღმოსავლური პოეზიისათვის, აღმოსავლური სადევგმირო ეპოსისათვის. ავთანდილი ლირიკული გმირია! „ავთანდილი, როგორც ჰამლეტი, მუდამ კონკრეტული, სიტუაციურად გასაგები და ადამიანურია. ავთანდილი განსხვავდება აღმოსავლეთის გმირებისაგან მაღალი მორალური და რაინდული ხასიათით“-ო, წერდა კონსტანტინე კაპანელი.

7.

კარის მწერლობის ყველაზე კოლორიტული წარმომადგენლები მაინც მეხოტბეები არიან! იმდროინდელი სახოტბო პოეზია გამოკვეთილად ინტელექტუალური ხასიათისაა, აქ უკვე მხატვრულ ხერხადაა ქცეული ფილოსოფიური აზრი, ციტატი, ან, თუნდაც, რომელიმე ფილოსოფოსის სახელი. ეს, როგორც ჩანს, იმდენად დაკანონებული წესია, თვით რუსთაველიც კი ვერ არიდებს თავს, თუმცა, თავისი სულისკვეთებით სახოტბო პოეზიისაგან ძალიან შორსა დგას. რუსთაველი, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც შებორკილია წესითა თუ ტრადიციით. მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო, კერძოდ, ის ფაქტი, თუ როგორ იძია შური გენიამ თავის შემბორკავ სქემაზე, დააკვირდით როგორ ერთობა, როგორ თამაშობს, როგორ ხუმრობს, როგორ თავისუფლად, ლაღად ეპყრობა რუსთაველი იმ ზვიად, კუშტ და შემაძრწუნებლად სერიოზულ ცნებას, რასაც ფილოსოფიური ციტატი ჰქვია. რუსთაველისათვის არ არსებობს ფილოსოფიური ავტორიტეტი, მას შეუძლია საკუთარი აზრი ჩინურად გაასაღოს და მის საძებნელად, მართლაც ჩინეთში გააგზავნოს მკვლევარი, რომელსაც ფილოსოფიური ეპიგონობა პოეტისათვის დიდ პატივად მიაჩნია (ასეთი მკვლევარები, საკვირველია, მაგრამ მაინც არიან!). რუსთაველს შეუძლია თავისი აზრი სხვას მიაწეროს, თუნდაც, პლატონს. ფსევდოდიონისე არეოპაგელს „ბრძენს“ კი უწოდებს, მაგრამ პოემიდან არ ჩანს, რომელი უფრო ბრძენია მისთვის, დიონი-

სე, უსამი თუ დავარი. პოემაში ვერ ამოიკითხავთ სახელს მწერლისას თუ ფილოსოფოსისას, რომლის მიმართაც რუსთაველს ქვეშევრდომული დამოკიდებულება ჰქონდეს. ამ სიტყვას იმიტომ ვახსენებ, რომ ჩვენს მეხოტბეებს ახასიათებთ ასეთი რამ, ამიტომაც მათ პოემებში ერთგვარი შემაწუხებელი ინტელექტუალური სიმძიმეა დამკვიდრებული. რუსთაველი ჩვენს თვალწინ ამსხვრევს მისთვის არასასურველი ტრადიციის ბორკილს („ათავისუფლე მონები“!), ოღონდ, ეს მსხვრევა ჯერ დამთავრებული არ არის. პოეტი ჯერ კიდევ აჟღრიალებს მაჯებზე შერჩენილ ჯაჭვის ნაწყვეტებს. მართალია, სწორედ ამ ბორკილების გამო ის პირველ ფილოსოფოსადაა გამოცხადებული ზოგიერთი მკვლევარის მიერ, მაგრამ ერთია მკვლევარის სურვილი და მეორე კი ის სინამდვილე, რომელიც ჩვენს წინაშეა გადაშლილი პოემის სახით. ლომის გალიის ღირსება ის კი არ არის, რომ რკინისაა, არამედ — ლომი რომ ზის შიგ!

იმდროინდელი კარის სახოტბო პოეზიას ამშვენებს ორი შესანიშნავი პოეტი: ჩახრუხაძე და შავთელი.

თუნდაც, ეს ორი სახელიც ამტკიცებს, რომ ქართული საერო პოეზია თავიდანვე სულდგმულობდა აქტუალური ეროვნული პრობლემატიკით, იღებდა რა თავის მაცოცხლებელ საზრდოს ქართული ლიტერატურის ტრადიციებიდან, გვევლინებოდა აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული მწერლობის, დაპირისპირებულ ფენომენად. „თამარიანიც“ კი, რომელიც, მკვლევარების სამართლიანი მოსაზრებით, უფრო მეტადაა დავალებული სპარსული პოეზიისაგან, ვიდრე „აბდულ მესია“, საინტერესოა მაშინ, როცა ებრძვის ამ გავლენას, უფრო სწორად — როცა სძლევს ამ გავლენას, როცა საკუთარ ანუ ქართულ გზაზე გადის.

უპირისპირდებოდა რა ჩახრუხაძისა და შავთელის შემოქმედებით მეთოდს, რუსთაველი, როგორც მათი მეტოქე, განიცდიდა გავლენასაც, რომელსაც არ შეიძლებოდა სასიკეთო კვალი არ დაეტოვებინა მის გენიალურ შემოქმედებაზე. რუსთაველის სტროფის სიმკვრივე, თუ შეიძლება ითქვას — სტროფის ფსიქოლოგიური სტრუქტურა, მისი სტრუქტურული დასრულებულობა უსათუოდ ზემოთნახსენები პოეტების საერთო სკოლაშია დამუშავებული. მართალია, რუსთაველი უპირისპირდება ეგრეთწოდებულ „წიგნურ ლექსთწყობას“, მაგრამ უსათუოდ უნდა დავსძინო, რომ ცნება **„წიგნური“** მისი შემოქმედებითი მეთოდისათვის ორგანულია და, ამდენად, შეიძლება ითქვას (და ასე უფრო ზუსტი ვიქნებით), რომ რუსთაველის პოემაში უკუგდებულია ისეთი „წიგნური ლექსთწყობა“, როგორიც დამახასიათებელი იყო შავთელისა თუ ჩახრუხაძისთვის. რუსთაველის პოემაში ხალხური შაირი გატარებულია „წიგნური ლექსთწყობის“ მძლავრ კულტურულ ბრძმედებში და მიღებულია სრულიად ახალი, თვისობრივად ახალ საფეხურზე მდგარი **რუსთაველის** (და არა ხალხური!) **შაირი, რომელშიაც გაძლიერებულია** (და არა „შენარჩუნებული“!) **პოლიფონიურობა.**

თუკი რუსთაველის შაირი ნამდვილად რაიმეს უპირისპირდება, უპირველეს ყოვლისა, ხალხურ შაირს. ეს ჩვეულებრივი, მარტივი პარალელიზმებითაც ადვილად მტკიცდება. რუსთაველის ლექსი **ინტელექტუალურია** ფართო გაგებით, ეს არის ძირითადი, სამახსოვრო პირობა, როცა რაიმე ასეთი სახის მსგავსებაზე ვიწყებთ საუბარს. მისი პოემა ფოლკლორული სტიმულებით კი არ არის წარმოშობილი, არამედ, პირიქით, ფოლკლორული სტიმულების დაძლევის გზით (ასევეა ვაჟა-ფშაველას პოეზიაც!). რუსთაველის ლექსის მუსიკალური სინტაქსი, ჟღერა, საერთოდ, საგრძნობლად განსხვავდება ხალხური შაირისაგან.

თუკი ლირიკული პოემების ავტორები თავიანთი ვირტუოზულობის მოჯადოებულ წრეში ტრიალებენ, საკუთარი ელვარებით მოხიბლულნი, რუსთაველისათვის წრე არც კი არსებობს. მისი ყო-

ველი სახე ფრთებით არის დაბადებული, ამიტომაც, მას სჭირდება სივრცე, რათა თავისი რაობა ბოლომდე გამოაჩინოს.

ის ოქროს გალია, შავთელსა და ჩახრუხაძეს თავიანთი ზღაპრულად მგალობელი ჩიტებისათვის რომ გაუმზადებიათ, რუსთაველისათვის წარმოუდგენელია.

რუსთაველის ყველა მეტაფორა ოთხივე მხარეს გახსნილია, ბუნებრივად ერთვის სივრცეს და სივრცე იფინება მასში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. რუსთაველის მეტაფორა მრავალსაფეხურიანია, მრავალგანზომილებიანი, ჯადოსნური ყუთიდან ამოდის ახალი ჯადოსნური ყუთი, ოღონდ, უფრო დიდი, ვიდრე პირველი („დიდი მცირესა შინა“ — „ძეგლისწერის“ ფრაზაა!) და ასე დაუსრულებლად. ყოველ მეტაფორაში მოქცეულია შეკუმშული სივრცე, სამგზავროდ, სატრანზიტოდ ჩაკეცილი ქვეყანა, რომელიც შემდეგ ჩვენს თვალწინ იშლება და კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ პოეზიის განზომილება უსაზღვროებაა.

„მიეფინების მზე ველად“ — ეს ტარიელი მიდის ცხენით! „თავგაგლეჯილი ასმათი“-ო, ამბობს რუსთაველი ნესტანის დაკარგვით გაგიჟებულ ქალზე და არ შეიძლება ამაზე დრამატული, ტრაგიკული ხატის შექმნა სულ ერთი სიტყვით. თუმცა, სწორედ ერთი სიტყვითაა შექმნილი ასეთი საოცრება: „გასისხლმდინარდა“ — ეს უგრძესი, უმძაფრესი, უწითლესი მეტაფორა ქართულ ენაში!

რუსთაველს შეუძლია ერთი ფრაზით პლასტიკის ასეთი ზუსტი დეტალიზაცია მოახდინოს: „ღილ-ჩახსნილი საამბოლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა“, ანდა მიზანსცენა ერთი მოძრაობით შეკრას, გაამთლიანოს: „ადგა, ამყვა და წავედით“.

„რა შეულამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის“-ო, იტყვის პოეტი ავთანდილზე და ჩვენც მოგვეჩვენება, თითქოს სამყარომ საკინძე შეიხსნაო.

აი, სიტყვით მხატვრობის კიდევ ერთი მაგალითი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით ვლეს და სალამო-ჟამს
გამოუჩნდეს დიდნი კლდენი.
კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს,
ძირსა წყალი ჩანადენი.
წყლისა პირსა, არ ითქმოდა,
შამბი იყო თუ რაზდენი.
ხე დიდრონი, თვალ-უწვდომი,
მაღლა კლდემდის ანაყრდენი.

როგორი ფერადია ეს სურათი, თუმცა, არც ერთი ფერი არ არის ნახსენები! ამ ნახატიდან საამური, თითქოს საყდრული სიგრილე გვეფინება. შამბში გამკრთალი წყლის „ჩხაპუნებაც“ კი გვესმის. „დიდრონ“, ტანაყრილ, ლაღად ტოტებგაშლილ ხეებს შორის შიშველი კლდეები ილანდება.

„ველი აჩნდა მზიან-ჩრდილნი“-ო, წერს პოეტი და ეს სურათი უცნაური, მოულოდნელი მანერითაა შესრულებული: მარტო ველს კი არ ვხედავთ, თუმცა, ველს ახსენებს სწორედ, არამედ — ცასაც, ალაგ-ალაგ ღრუბლებით დაფარულს, რომელთა შორის მზე იჭყიტება.

პოეტი მზეს, ლამპარივით, იქ ჩამოკიდებს ხოლმე, საიდანაც ყველაზე მეტი ინტენსივობით ეფინება შუქი საგნებს, სახეებს, გარემოს. რუსთაველს უყვარს სინათლე: მისი დღე მზით არის გაჩაღებული, ღამე — მთვარით, კოცონით, ჩირაღდნით. პოემას თითქოს ცეცხლი უკიდია, ცეცხლი გიზგიზებს შედარებებში, მეტაფორებში. ჩვენს წარმოდგენაში სამუდამოდ რჩება ხატი ცეცხლის დასანთებად ჩამუხლული ავთანდილისა: „ცეცხლი დააგზო კვესითა“...

კიდევ ერთ სურათს გავიხსენებთ, რომელიც, შეიძლება, სიტყვით მხატვრობის მწვერვალად ჩაითვალოს, სასწაულად, სიტყვის გრანდიოზული შესაძლებლობის ზეიმად. ხაზი და ხმა ერთმანეთშია თითქოს შენივთული, რათა ახალი, მაგრამ უკვე სულჩადგმული ხაზი და ხმა წარმოქმნას: „ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“

— ეს შუბოსანი მხედრის სურათია და ვხედავთ კიდეც, როგორ მიდის, როგორ გრძელდება, გრძელდება, გრძელდება, სანამ მიზანს მიაღწევდეს!

რუსთაველის პოეტური სახე, მეტაფორა ასოციაციებით არის მოქსოვილი, შეკრული, გაცოცხლებული. ეს ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური, მისტიკური, კოსმიური, რელიგიური, ყოფითი, ცხოვრებისეული ხასიათის ასოციაციები ავსებენ, ამაგრებენ, ამდიდრებენ, ამძაფრებენ, უსასრულობამდე აგრძელებენ ჩვენს ფანტაზიას, რადგან ფანტაზიაზე თამამები არიან, ქმნიან პოეტური წარმოდგენების ჯაჭვურ რეაქციას, გარდაიქმნებიან ოცნების ბიძგად, საყრდენად.

პოემის მხატვრულ შედარებებში ჩანს უზარმაზარი ცოდნა ხალხის ყოველდღიური ყოფისა, ადამიანთა დამოკიდებულებებისა, ურთიერთობებისა. პოეტის მხატვრული შედარებების საფუძველი ცხოვრებაა, ჩვენი ხალხის ყოფაა, თავისებურებაა, ჩვევებია. როგორი მეტყველია თუნდაც ეს სურათი: „ერთგან დაწვეს, ვით მაყრები". მოვუსმინოთ, რა გემრიელად აფიცებს ვაჭრებს ავთანდილი: „მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა; თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!" თითქოს აი, ამ წუთას გავიგონეთ ეს ფრაზა: „რად მინდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია". „გული მი და მო მიარდა"-ო, იტყვის ტარიელი და ფიზიკურად შეიგრძნობ საკუთარი გულის ფეთქვას. ნახეთ, როგორი ცოცხალი, პლასტიკური სურათია, თითქოს შენი თვალით ხედავ: „ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქეთ დგებოდეს". „ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა". — ამბობს ტარიელი, ანუ ცეცხლზე უფრო მხურვალე, ცეცხლზე უფრო დამწველი, ცეცხლის ცეცხლითო, თითქოს ცეცხლს სულს უბერავს, აჩაღებს, აძლიერებს.

მობრუნდეს, ყმამან ავთანდილს
ხელი შეუპყრა ხელითა,
ერთგან დასხდეს და იტირეს
დიდხანს ცრემლითა ცხელითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უხმო სცენა ერთ დიდ პოემას უდრის. რამდენი რამეა ნათქვამი ამ ერთად ტირილით. ეს სულთა ნათესაობის, **ერთნაირობის** მიხვედრის სიხარულია, იმის ნეტარი განცდაა, რომ თვითეული მათგანი „სულით ობოლი" არ არის! ერთდროულად წამსკდარი ცრემლი სწორედ ამის დამამტკიცებელია. არ არსებობს უფრო მეტყველი რამ. ვიდრე ორი მახლობელი სულის ერთდროული დუმილია.

ასევე დიდებულია პოეტის მიერ ნაგრძნობი და არაჩვეულებრივი ძალით გადმოცემული **სამყაროს** დუმილი, როცა ავთანდილი ფიქრით ვარსკვლავებს ესაუბრება. ეს არის, თუ შეიძლება ითქვას, დუმილის სიმღერა, ადამიანის ფიქრის იდუმალი გამოსხივება გარესამყაროში და, ამიტომაცაა, რომ ეს სიმღერა, ანუ ამეტყველებული ფიქრი ერთნაირად ესმის ყველას და ყველა**ფერს**: ადამიანს, წყალს, ხეს, ქვას, ნადირსა თუ ფრინველს...

ნახეთ, როგორი მოძრაობაა სულისა, როგორი ზუსტი გამოვლენაა განცდისა:

ქალი ადგა, გამეყარა,
დავწევ, ამოდ დამეძინა,
მაგრა შევკრთი, საყვარელი
ჩემი ვნახე ძილსა შინა;
გამეღვიძა, აღარა მყავ,
სულ-დგმულობა მომეწყინა,
ღამე ასრე გავათენე,
მისი ხმაცა არ მესმინა.

გაიხსენეთ ხალხური:

ღამის-ღამ მომაგონდები,
წამოვჯდები და ვტირიო.

განა შეიძლება, თუნდაც ამ პატარა ფრაგმენტის შემდეგ, პოემაზე არ ილაპარაკო, როგორც ფსიქოლოგიურ ნაწარმოებზე? განა შეიძლება ის სარაინდო რომანების ვიწროდ შემორკალულ ჩარჩოში ჩატოვო და არ განიხილო, რო-

გორც თანამედროვე ფსიქოლოგიური პროზის საფუძველი და სტიმული?

საერთოდ, რუსთაველი ჩარჩოს ვერ იტანს. ის, რაც დასავლურ სარაინდო რომანში ჟანრის დამახასიათებელ ნიშნად ან რაინდობის თვისებად აღიქმებოდა, ვეფხისტყაოსანში ჩვენი ერის სულისკვეთებად, მისწრაფებად, თავისებურებად აჟღერდა. მაგალითად: „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“ კრეტიენ დე ტრუას რომანში ეს შეგონება რაინდს უნდა ახსოვდეს, რუსთაველის აზრით — **ყველას!**

რუსთაველი წერს ისე, როგორც მანამდე არავის დაუწერია. უპირისპირდება ყველას და ამ განდგომით ხდება ყველასი. მისი გმირები ცხოვრობენ და მოქმედებენ ისე, რომ სრულიად განსხვავდებიან მანამდე ცნობილ ყველა გმირისაგან. ტარიელი რიდეს უგზავნის საჩუქრად ნესტანს, როცა ჩვენ საჩუქრების **უზომობას** შევეჩვიეთ არა მარტო აღმოსავლურ, არამედ მედიევილური დასავლეთის ლიტერატურაშიც. ძალზე მოკრძალებულად ვიტყვი, თუმცა სითამამისთვის საფუძველი საკმარისად გამაჩნია, რომ შეიძლება ეს ერთგვარი ირონიაც კი იყოს იმდროინდელ პოეზიაში გამეფებული საჩუქრობამანიის მიმართ, იმის მსგავსი რამ, რაც შემდგომში სერვანტესმა სარაინდო რომანის მისამართით გამოავლინა...

პოემის ტექსტის მდინარებიდან რამდენიმე სიტყვა ისმის განსაკუთრებული სიმძაფრით, მაგალითად: ცეცხლი, ცრემლი, ვეფხი, სისხლი, მზე... ეს სიტყვები წყლიდან ამომსხლტარი თევზებივით, გაიბრწყინებენ ხოლმე ჰაერში, რათა ისევ იმაზე მიგვანიშნონ, რომ პოემის დიდებული სტიქიონი სიცოცხლითაა სავსე.

ყველა ხალხი თავის მშობლიურ ენაში კითხულობს, ხედავს იმ ემოციურხატოვან წარმოსახვათა ანბანს, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია და რომელიც ემყარება ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას გარესამყაროსთან, მოვლენების ფსიქოლოგიურ აღქმასა და შეფასებას. ადამიანი მშობლიური ენის თავისთავადი პოეტურობიდან იღებს ბიძგს თავისი ფანტაზიის გასაშლელად. არც ერთი ენა, გარდა მშობლიურისა, მას ასეთ პოეტურ ხილვებს არ მოუვლენს. მშობლიური ენა ადამიანს ბიოლოგიური არსებიდან შემოქმედად გარდაქმნის. კაცი, რომელიც თავის მშობლიურ ენაზე მეტყველებს, ფიქრობს, ან წერს, უკვე თავისთავად შემოქმედია, უკვე სახეებით აზროვნებს, ყოველი სიტყვა მისთვის, მართლაც, მხატვრული სახეა, გარკვეული სმენით თუ მხედველობითი ასოციაციების აღმძვრელი. ადამიანი, ფაქტიურად, თავისი მშობლიური ენის სარკმლიდან უყურებს და აღიქვამს გარესამყაროს. ენა აყალიბებს არა მარტო ჩვენს წარმოდგენებს, არამედ ჩვენს ხასიათსაც. მართლაც, შეიძლება ითქვას, არსად ისე სრულყოფილად არ ასახულა, არ შენახულა საერთო-სახალხო ხასიათი, როგორც ენაში, მშობლიური ენა სხვა არაფერია, თუ არა მეტყველი საერთო ეროვნული ხასიათი, ბუნება. გარკვეული თვალსაზრისით, ენა ისტორიაა ერისა.

ერთი და იმავე ცნების მიმართ სხვადასხვა ხალხის დამოკიდებულება სხვადასხვანაირია, ისევე როგორც სხვადასხვაა მათი ისტორიული ბედი, გეოგრაფია, ბუნება, რწმენა, ცხოვრების წესი, ადათ-ჩვევები. აი, თუნდაც, სიტყვა **ვეფხი**, რომელიც ალბათ მთავარი სიტყვაა პოემისა. სიტყვა-მეტაფორაა — ვეფხისტყაოსანში, ისევე როგორც საეროთოდ ქართველი ხალხის წარმოდგენაში (და ესეც ვეფხისტყაოსნის წყალობით!) უკავშირდება სილამაზეს, სიმტკიცეს, შეუპოვრობას, გაბედულებას, რისხვასაც კი („ვეფხი პირ-გამეხებული!“). ეს სიტყვა ფერებითაა სავსე, მუსიკით, პლასტიკით და, რაც მთავარია, იგი ქალური საწყისის, ქალური მშვენიერების სიმბოლოცაა. ასეთი წარმოდგენა კი, რასაკვირველია, ძალიან განსხვავდება თუნდაც ვეფხისგან გამ-

წარებული, დაწიოკებული ინდოელის წარმოდგენისაგან...

პოემის სხეული იმდენად მკვრივია, იმდენად მოქნილი, რომ ცოცხალი არსების მოძრაობას მოგვაგონებს. ვეფხისტყაოსანზე შეიძლება ისევ რუსთაველის სიტყვებით ითქვას: „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“-ო. ეს პოემა ისეა სავსე პოეზიით, რომ დაკარგულია საზღვარი ფორმასა და შინაარსს შორის, იქმნება ფორმისა და შინაარსის აბსოლუტური ერთიანობის განცდა.

პოემის ერთიანი მელოდია მკვრივი, პლასტიკური სხეულია, თითქოს ცალკე არსებობს თავისთვის, შეგიძლია ხელითაც კი შეეხო, თითქოს შეიძლება კიდეც ამ მელოდიის მუსიკალური პარტიტურის შექმნა, პოემისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. მუსიკა და სიტყვა ამ პოემაში გენიოსის ნებით სამუდამოდ ერთმანეთთან დაკავშირებული სიამის ტყუპები კი არ არიან, არამედ ერთდროულად, ერთმანეთში წარმოშობილი, საერთო სიცოცხლით გაერთიანებული ფენომენები.

არსებობს აშკარა, პირობითად მარტივი, გარეგანი მელოდიურობა და არსებობს ფარული, შინაგანი მელოდია, მუსიკა, რომელიც ისევე უნდა აღმოაჩინო შენთვის, როგორც შენი სულის ცალი, შესატყვისი, ანუ **შენი პოეზია** ამ საუნჯეში, და რომელიც, ამავე დროს, არ ექვემდებარება არავითარ ლოგიკურ ახსნას. აქ გრძნობა ბატონობს და თუ გრძნობ, გესმის კიდეც! ეს მელოდია მკითხველის პოეტური სმენის პირდაპირპროპორციულია: რაც უფრო დახვეწილია და ფაქიზი მკითხველის მუსიკალური, პოეტური სმენა, რაც უფრო ღრმად შეუძლია მკითხველს მუსიკის განცდა, მით უფრო მდიდარია და ღრმა პოემის მელოდიაც. ამ მელოდიამ დაატყვევა და გაამდიდრა ქართველი ხალხის გულისყური, ჩაესმოდა რა ბავშვობიდანვე, ისეთივე პირველი და დიდებული, როგორიც დედის ნანინაა, ის ამ მელოდიაში იზრდებოდა, ამ მელოდიით ითქვამდა სულს და ამ მელოდიით კვდებოდა. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა“ — ეს იყო ყველაზე ამაყი სიმღერა ჩვენი სულისა, რომელიც ჩვენს არსებობას ამ ქვეყნად ყველაზე სწორ გამართლებას აძლევდა.

ამრიგად, პოემის მთავარ მელოდიად მე მივიჩნევ არა სპეციფიკურად მუსიკალურ, გარეგნულ მხარეს, არამედ იმ დიად პოეტურ აზრს, რომელიც ისახება პოემის მხატვრულობის თვალჩაუწვდენელ სიღრმეებში, როგორც სიცოცხლე ოკეანის წიაღში, ამოდის, თანდათანობით იძენს ძალას და უკვე სრულყოფილი გვევლინება, როგორც აზრის აზრი, სიტყვის სიტყვა, სიმღერის სიმღერა...

პოემა სავსეა ცოცხალი ხმებით: ტალღის ტყლაშუნით, ნაკადულის რაკრაკით, ცეცხლის ტკაცუნით, ცხენების ჭიხვინით... ისმის ძაღლების ყეფა, ნიჩბების ჩქაფუნი, დარაჯთა ყივილი და ყველაფერი ეს იმ „ბგერით პეიზაჟს“ ქმნის, რომელიც კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ნაწარმოების შინაგან სამყაროს, ჩვენს თვალწინ მუსიკაში მხატვრობა ისახება!..

რუსთაველმა შესძლო, ბუნების მარადიულ და საიდუმლოებით სავსე მოვლენებისათვის, როგორიცაა, ვთქვათ, მნათობთა ბრუნვა, მდინარეთა დინება, დღისა და ღამის მონაცვლეობა, ზღვათა ღელვა — დაეწყვილებინა, დაეკავშირებინა ასევე საიდუმლო მოძრაობა ადამიანის სულისა და ეს დიადი ერთიანობა ექცია ახალ სამყაროდ, თვისობრივად ახალ ადამიანთა ქვეყნად, რომელსაც თავისი მორალი, თავისი წესჩვეულება, თავისი ბრწყინვა, ანუ ესთეტიკა გააჩნია, და ეს ქვეყანა ეჩუქებინა კაცობრიობისათვის, როგორც ადამიანის შესაძლებლობათა ჰიმნი, ამდენად, როგორც ნუგეში, როგორც გამხნევება და, რაც მთავარია, როგორც იმედი. რუსთაველმა შექმნა გამოგონილი სამყარო, მაგრამ არც ერთ ქართველ ადამიანს არ შეუქმნია უფრო ქა-

რთული რამ, ვიდრე ეს სამყაროა...

რუსთაველის გენიამ წარმოაჩინა ქართული ენის მზადყოფნა დიდი რომანული ამბების გადმოსაცემად, ადამიანის სულის უფაქიზესი ნიუანსების დასახასიათებლად, ყოველგვარი ადამიანური ვნების გასაანალიზებლად.

დანტე „ნადიმში" იტალიურ ენას ქერის პურს უწოდებს, ანუ ყველასათვის ხელმისაწვდომს. რუსთაველმაც სწორედ ასეთ, ყველასათვის გასაგებ ნათელ ენაზე დაწერა თავისი უკვდავი პოემა. აიყვანა რა უმაღლეს მწვერვალზე ქართული სალიტერატურო ენა, აქცია ის ქართველი ხალხის სულიერი აღზრდის ინსტიტუტად, შეიძლება ითქვას, ქართული ეროვნული ზნეობის საფუძვლად, ზნეობისა, რომელიც მოყვრის ერთგულებას, პიროვნების პატივისცემასა და ხალხთა მეგობრობას ქადაგებს.

რუსთაველმა აიღო ორი ერთნაირი, პარალელური ამბავი, პერსონაჟთა თითქმის ერთნაირი კონფიგურაციით და ამ თითქმის ერთნაირ ამბებს მიანიჭა აბსოლუტური განსხვავებულობის იერი, გმირთა ხასიათების ღრმად ფსიქოლოგიური განვითარების შედეგად. ის, რაც მიღწეულია ამ პოემაში, როგორც ხელოვნების ქმნილებაში, რასაკვირველია, გმირთა იდეალიზაციის გზით ვერ მიიღწეოდა. უკეთეს შემთხვევაში, ორი სხვადასხვა ფერის ნახევარსფერო დაეხურებოდა ერთმანეთს, შეიკვრებოდა წრე, ბურთი, იდეალურად დასრულებული, სრულყოფილი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ ლამაზი, უაზრო გართობის საგანი.

ვეფხისტყაოსანი პოლიფონიური რომანია. ორი სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად დაძრული სიუჟეტი გზას მიიკვლევს პოეტური ხილვების ლაბირინთში. ისევე, როგორც გვირაბის გაყვანის დროს, პოემაშიც „გზა" ერთდროულად ორი საპირისპირო მხრიდან იჭრება, ერთმანეთის შესახვედრად მიილტვის ორი სიუჟეტური ამბავი, პირობითი აღნიშვნით — „არაბეთი" და „ინდოეთი". ავთანდილსა და ტარიელს, სიუჟეტური თოკების მიერ პირველად გამკვანძველებს, მოსდევს „უთვალავი ფერით" აჭრელებული ორი სამყარო, ორი სისტემა, ორი გალაქტიკა, დიდი შემოქმედის წყალობით, ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთში ჰარმონიულად განფენილი, ასეთი ძალით რომ ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენებს.

ამავე დროს, ეს ორი სამყარო, რაც უფრო უახლოვდება ერთმანეთს, მით უფრო ნათელი ხდება მათი განსხვავებაც. გრანდიოზული მეტაფორები თუ სახეები, რა თქმა უნდა, არ შეიძლება აღვიქვათ, როგორც კონკრეტული სინამდვილის, კონკრეტული ისტორიული სიტუაციისა თუ მომენტის ამსახველი ჩვენებანი, ამათ შევეცდებით მათში ისტორიული ალეგორიების აღმოჩენას, რადგან, როგორც ეს მოხდება, ანუ როგორც კი პოემის რომელიმე მხატვრულ სახეს დავუკავშირებთ ნებისმიერ ისტორიულ პიროვნებასა თუ ფაქტს, დაიკარგება კიდეც ის მთავარი, რითაც ეს პოემა ერთდროულად განუმეორებლობის, იდუმალებისა და მიუღწევლობის განცდას ბადებს, ანუ დაიკარგება პოეტური სიმართლე, რომლის წყალობითაც, პოემაში არ არის არც ერთი არამოტივირებული ეპიზოდი და რაც თითქოს ალოგიკურად გვეჩვენება, სწორედ ისაა სიდიადე პოეტისა, საკვირველი პოეტური ლოგიკით გამართლებული, რაც ძირითადად განსაზღვრავს კიდეც პოემის ღირსებას. ეს არის ადამიანის ბუნებრივი ქცევის ლოგიკა, ადამიანურობის აქამდე შეუმჩნეველი ნიუანსების ჩვენება.

ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ასეთი ნიუანსია ვეფხისტყაოსანში ზშირად ნახსენები **„ჭრელად ლაპარაკი!"** ნათქვამია, კაცი ერთს ფიქრობს, მეორეს კი ამბობსო. ვეფხისტყაოსანში ადამიანის ეს თვისება მხატვრულ ხერხადაა ქცეული და სრულყოფილებამდე მიყვანილი. ამიტომაც, ზოგ შემთხვევაში, წმინდა წყლის სიმართლედ, ანდა უფრო ზუსტად, გმირის ნამდვილ აზრად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მივიღოთ ის, რასაც ხმამაღლა ამბობს, უსათუოდ უნდა ვეცადოთ, მივხვდეთ, თუ რას მალავს! ეს კი მნიშვნელოვანია, თუნდაც, იმიტომ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მკვლევარები ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან ავტორისა და მისი პერსონაჟების შეხედულებებს, პოზიციებს...

ვეფხისტყაოსანში **„ჭრელად ლაპარაკი“** ორჭოფულ ლაპარაკს ნიშნავს, ცარიელი სიტყვებით შენიღბულ სიცრუეს. „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად“ — მიმართავს ავთანდილი შერმადინს. საგულისხმოა, რომ ტარიელს საკადრისად არ მიაჩნია ჭრელად ლაპარაკი: „რადმცა რა ვჰკადრე მეფესა თხრობა რასაცა ჭრელისა“, მაგრამ „ჭრელად“ ელაპარაკება თინათინი ავთანდილს, ავთანდილი — როსტევანს, როსტევანი ავთანდილს და თვით ტარიელი — ფარსადანს: იმიტომ მოვკალი ნესტანის საქმრო, ინდოეთის ტახტს ვერავის დავუთმობო. ფარსადანი ამ ჭრელი ლაპარაკის ნამდვილ აზრს ჩაწვდება — თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ მითხარიო? — ასე უპასუხებს და უპასუხებს „ჭრელად“ — ეს უსინდისო კაცის პასუხია, რადგან ფარსადანმა ძალიან კარგად იცოდა, ნესტანსა და ტარიელს ერთმანეთი რომ უყვარდათ. „ვიცი, ვიცი... მას უყვარდა ქალი ჩემი“ — ესეც ფარსადანის სიტყვებია!

**„ჭრელად ლაპარაკი“** სასახლის ენაა! პოემის გმირთა ხასიათების განხილვისას ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება.

მკვრივი, თავისთავადი და მხურვალე სიუჟეტი „სპარსულ“ ანუ ზღაპრულ, უცნაურ ამბავს სიცოცხლის ტემპერატურას ანიჭებს, ჭრის გზებს ახალი სივრცეების წიაღში, იმ ყრუ კედელში, რომელიც აქამდე გარს ერტყა ჩვენს წარმოდგენებს, ჭრის სარკმელს, რათა გმირებმა თავისუფლად ისუნთქონ. სიუჟეტის საოცრად სიმეტრიული განტოტებები ნაწარმოების თვალუწვდენელ ველებზე წყალუხვი არხებივით განფენილან. მართლაც, სიუჟეტს პოემაში დიდი როლი აკისრია ამ პოეტური წალკოტის აყვავებისათვის.

ვეფხისტყაოსანი მაქსიმალურად შეკრული, მოკლე პოემაა, ალბათ იმ ტექსტზეც მოკლე, ამჟამად ხელთ რომ გვაქვს (ვგულისხმობ 1957 წლის გამოცემას). მკვლევარების სამართლიანი მოსაზრებით, ინტერპოლატორები და გადამწერები ტექსტს არ ამოკლებდნენ, არ კვეცავდნენ, დამატებით კი საკმაოდ ბლომად ამატებდნენ, მით უფრო, რომ ამგვარი დამატება სანაქებო საქმიანობადაც კი ითვლებოდა.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“-ო, გვასწავლის შოთა რუსთაველი. რუსთაველის აზრით, ბრძენი ის არის, ვისაც გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა შეუძლია. ასეთი შეხედულება ბრძენზე საერთოდ გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში. აი, არჩილი ფიქრობს, რომ თეიმურაზმა, რუსთაველისაგან განსხვავებით, არ იცოდა გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა, ამიტომაც არ იყო ბრძენიო: „თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს“!

„ჰამლეტის“ ერთ-ერთი უჭკვიანესი პერსონაჟი (იქ ყველანი საოცრად ჭკვიანები არიან!) — პოლონიუსი ამბობს: „მაშ, მოკლედ ვიტყვი, მოკლე სიტყვა სულია ჭკუისა, გრძელი სიტყვა კი მხოლოდ მისი სამოსელია“-ო. სწორედ ჭკუის, გონების სულია ის შუქი, ვეფხისტყაოსანს შიგნიდან რომ ანათებს, ერთნაირად რომ გვიზიდავს, მოგვიხმობს ყველას, რადგან გენია თავის მკითხველს არ ასხვავებს, ის ყველას ეკუთვნის და ყველა მისია.

ჩვენი ტექსტოლოგი-მეცნიერების მიერ პოემის ტექსტის კვლევისა და დადგენის სფეროში მიღწეულმა აშკარა წარმატებებმა ერთგვარად არასასურველი შედეგიც გამოიღო: ტექსტოლოგებს გაუჩნდათ პრეტენზია პოემის მხატვრული რაობაც თვითონვე დაედგინათ. ეს, რასაკვირველია, ცოდვა არ არის, როგორც ვთქვი, გენია ყველას ეკუთვნის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ტექსტოლოგებმა იმავე ინსტრუმენტებით

იმავე კაბინეტში დაუპირეს პოემას ოპერირება, სადაც ადრე მხოლოდ, ასე რიგ საჭირო ფილოლოგიურ პრობლემებს სწყვეტდნენ.

თუკი მეცნიერული ტექსტის ლოგიკა არსებობს, და მის არსებობაში ეჭვი არც შეიძლება ვინმეს შეეპაროს, ასევე მის გვერდით, მის პარალელურად არსებობს პოეტური ტექსტის ლოგიკაც და ესეც ყველასათვის ცნობილი ამბავია... ამავე დროს, ეს ერთდროული, პარალელური არსებობა სრულებითაც არ არის მშვიდი და უმტკივნეულო პროცესი. ეს ორი „ლოგიკა" ერთმანეთის გვერდით ვერაფრით ვერ თავსდება, ვერ ეგუება ერთმანეთს და, რა თქმა უნდა, ესეც არ არის საკვირველი. ამ ორი „ლოგიკის" ერთმანეთთან ბრძოლის ტიპიურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ფრაგმენტის წაკითხვის ამბავი. ჯერ გავიხსენოთ ეს ფრაგმენტი: თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის საძებნელად წასვლას უბრძანებს. თავის სამფლობელოში მიბრუნებული ავთანდილი ერთგულ მსახურს შერმადინს ეტყვის:

უბრძანა: „აჰა, შერმადინ,
ამად მე შენგან მრცხვენიან.
ჩემნი საქმენი ყოველნი
გცოდნიან, გაგივლენიან.
მაგრა არ იცი, აქამდის
რანიცა ცრემლი მდენიან!
მე ვისგან მქონდეს პატიჟნი,
აწ მასვე მოულხენიან. (151).

მოვუკლავარ თინათინის
სურვილსა და სიყვარულსა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდის
ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა,
ვერ ვაჩენდი აქანამდის
ჭირსა ჩემგან დაფარულსა,
აწ მიბრძანა საიმედო,
ამად მხედავ მხიარულსა. (152)

მიბრძანა: „მიცან ამბავი
მის ყმისა დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ-ვქმნა მაშინღა
შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მინდა უშენოდ,
მომხვდეს ხისაცა რგულისა!
მომცა წამალი გულისა,
აქამდის დადაგულისა. (153).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ადგილი ასე იკითხება 1957 წელს დასტამბულ პოემაში, ისევე, როგორც თითქმის ყველა ჩემთვის ცნობილ ტექსტში, გარდა ვახტანგ VI მიერ გამოცემული ტექსტისა. ყველა მკვლევარი, რომელიც მხარს უჭერს აღნიშნული ადგილის ასეთ ვარიანტს, ფიქრობს, რომ შუა (152) სტროფი ხელს უწყობს დანარჩენი ორი სტროფის (151, 153) აზრობრივ დაკავშირებას. ვახტანგ VI კი, როგორც ვთქვით, ეს სტროფი თავის გამოცემაში ამოღებული აქვს, რასაც „ხარვეზად" უთვლიან. როგორც ჩანს, ვახტანგს ეს სტროფი ჩამატებულად, ზედმეტად მიუჩნევია და, ჩემი ღრმა რწმენით, სამართლიანადაც.

საქმე ის არის, რომ თუ არ გავითვალისწინებთ მოსაუბრეთა — ავთანდილისა და შერმადინის — ურთიერთდამოკიდებულებას, თუ არ გავითვალისწინებთ თითოეული მათგანის ხასიათს, იმ მორალურ თუ ეთიკურ, თუნდაც კასტურ (რაინდულ!) კოდექსს, რომლის დაცვაც ორივეს (განსაკუთრებით — ავთანდილს!) ევალება, თუ არ გავითვალისწინებთ მიჯნურისადმი, ან, საერთოდ, სიყვარულის გაგებისადმი რაინდთა დამოკიდებულების მაშინდელ თავისებურებას, მაშინ ეს შუა (152) სტროფი პოემის ტექსტში მართლაც აუცილებელი მოგვეჩვენება, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ყველაფერს იმას, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რისი გაუთვალისწინებლობაც დაუშვებელია, მაშინ კიდევ ერთხელ უნდა ვირწმუნოთ ვახტანგის გამჭრიახობა და ეს სტროფი ტექსტიდან უსათუოდ ამოვიღოთ!

ვახტანგ VI ამ შემთხვევაშიც გამოამჟღავნა რუსთაველის ერთი უპირველესი მწერლური თვისების ღრმა ცოდნა: პოეტისათვის დამახასიათებელია მაქსიმალური ლაკონიურობა, გარდა ამისა, ის უაღრესად ზუსტია ხასიათთა ფსიქოლოგიური შენების დროს, ფხიზლად მისდევს მხატვრულ, პოეტურ ლო-

გიკას, ნაწარმოების შინაგან კანონზო-მიერებას.

განა ავთანდილმა არ იცის, შერმადინს მისი და თინათინის ამბავი შეტყობილი რომ აქვს? განა ეს ამბავი არაბეთში ვინმესთვის საიდუმლოა? მაგრამ, ამავე დროს, არავის, თვით შერმადინსაც კი, ავთანდილისაგან არ გაუგია ეს ამბავი. ავთანდილს ერთხელაც კი არ დასცდე-ნია თავისი მიჯნურის სახელი, რადგან ეს დაუშვებელი, **აკრძალული** იყო რა-ინდული კოდექსით. დასავლეთ ევრო-პის კურტუაზიაში რაინდისთვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მძიმე დანაშაუ-ლად ითვლებოდა სატრფოს სახელის გა-მხელა!

„არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩე-ნა ჭირთა, მალვა", — ამბობს რუსთა-ველი და ამასაც ამბობს: მიჯნური „ხამს, თვისსა ხვაშიადსა არვისთანა ამ-ჟღავნებდეს"-ო და კიდევ: „ავად შეჰ-ფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხა-დება"! ყველას გვახსოვს, რასაკვირვე-ლია, ავთანდილის შემდეგი სიტყვები: „დმერთო, მიჯნურობა არ დამაჩნდეს, და-მცავფარე!" ამასთანავე, ყველას გვახსოვს ის საბედისწერო დუმილიც ტარიელისა, როდესაც ნესტანის და, ამდენად, მისი ბედიც წყდებოდა საბ-ჭოზე. ვერ თქვა, მე მიყვარს ნესტან-დარეჯანიო და ვერც იტყოდა, არა მა-რტო იმიტომ, ნესტანმა რომ აუკრძალა, არამედ იმიტომაც, ჭეშმარიტი რაინდი რომ გახლდათ და უმალ სიკვდილს არ-ჩევდა სატრფოს სახელის გათქმას.

„მრცხვენიან"-ო, ამბობს ავთანდი-ლი, მაგრამ დარწმუნებულია, შერმადი-ნი გაუგებს და აპატიებს. ისიც იცის, შერმადინისთვის, ისევე როგორც მრავ-ლისთვის და მრავალისთვის, ცნობილი რომაა მისი მიჯნურის სახელი. შეიძ-ლება ითქვას, თინათინი ავთანდილის ოფიციალური სატრფოა: „...ჩემი მიჯ-ნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად", — უუბნება თინათინი ავთანდილს. აი, შერმადინი იმას კი ვერ აპატიებდა ავ-თანდილს, მისთვის სატრფოს სახელი რომ გაემხილა ანუ პირიქით რომ მომხ-დარიყო და არა ისე, როგორც მოხდა.

„მრცხვენიან"-ო! — არ უნდა დაგვა-ვიწყდეს, რომ ამას ავთანდილი ამბობს, „ჭრელად ლაპარაკის" ოსტატი. თანაც, რად უნდა მის სიტყვებს დაზუსტება. რა საჭიროა იმის ახსნა, თუ ვინ უბრ-ძანა ავთანდილს უცხო მოყმის მოძე-ბნა, რა ისეთი გაუგებარია შერმადინი, ვერ მიხვდეს, ვის შეეძლო დაევალები-ნა, ებრძანებინა ავთანდილისთვის ეს? ასეთი ადამიანი არაბეთში ორია — როსტევანი და თინათინი. მაგრამ ავ-თანდილი ხომ ამბობს, მან მიბრძანა, ვისი გულისთვისაც „ცრემლი მდენი-ან"-ო, ვინც მითხრა „ქმარი არ მინდა უშენოდ"-ო! ამას რაღა გამოცნობა უნ-და, რაღა ახსნა, რაღა დაზუსტება? ის-ღა დაგვრჩენია, სინანულით ვთქვათ, რამდენად უფრო ეკონომიურად და გო-ნივრულად ხმარობდნენ სიტყვებს ძვე-ლად...

ისევე, როგორც მუსიკალურ ინსტ-რუმენტს ვერ ააწყობ, თუკი მუსიკალუ-რი სმენა არა გაქვს, პოეტურ ტექსტ-საც (მეცნიერულსაც!) ვერ დაადგენ, თუკი პოეტური სმენა არ გაგაჩნია...

ვახტანგმა იმიტომ ამოიღო ეს სტრო-ფი (152), კარგად რომ იცოდა, კარგად რომ გრძნობდა რუსთაველის ხელწე-რის თავისებურებას, პოემის ერთიანი მელოდიის ჟღერას. უამსტროფოდ ეს პაწაწინა ფრაგმენტი უცებ ღრმა ქვე-ტექსტით იტვირთება, კიდევ ახალ გან-ზომილებას იძენს. ის, მართლაც, აის-ბერგსა ჰგავს, რომელსაც მხოლოდ თა-ვი მოუჩანს წყლიდან. ოღონდ, შუბლ-ზე ნუ წავაწერთ, ეს აისბერგიაო...

ორი ძლიერი სვეტი, ორი შემოქმე-დებითი იდეა, რომელზედაც დგას ვეფ-ხისტყაოსანი, არის **ძებნა და პოვნა!** ისევე, როგორც ევროპული სარაინდო რომანის ერთ-ერთმა ცნობილმა მკვლე-ვარმა თქვა, „ტრისტანი და იზოლდა" შუა საუკუნების დასავლეთის ყველაზე „საზღვაო" რომანიაო, ჩვენც შეგვიძ-ლია, ვეფხისტყაოსანთან დაკავშირე-ბით გავიმეოროთ, რომ ის ყველაზე

„საზღვაო" ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში!

შეიძლება ითქვას, პოემაში ყველაზე აშკარა სიმბოლო — ზღვაა. სწორედ ზღვასთანაა დაკავშირებული ძებნის იდეა, რომელიც სიუჟეტის მამოძრავებელი მოტორის როლს ასრულებს.

ამ პოემაში დაეძებენ ერთმანეთს და პოულობენ საკუთარ **თავს**: „იგი პოვეს, რაცა ძებნეს".

**ზღვა** პოემის დასაწყისშივე შემოეგებება მკითხველს („უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების"). ამის შემდეგ, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა სახით ხშირად გამოჩნდება იგი: ზოგჯერ, როგორც პოემის გეოგრაფიის ისეთივე შემადგენელი ნაწილი, როგორიც ველია, ტყე ანდა მთებია; ზოგჯერ კი, როგორც რთული მეტაფორის საწყისი საფეხური, უფრო სწორად საფუძველი. აი, სიყვარულის პირველი ელდისაგან თავზარდაცემული ტარიელი გამოტილი წევს, აქეთ-იქიდან „ჯალაბნი" უსხედან, ვით მენავენი: „გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა". ტარიელის—ინდოეთის ამირბარის, ანუ ადმირალის — ასოციაცია მეზღვაურის ასოციაციაა: მაშინ ხომ ორივე მხარეს ჩარიგებული მენიჩბეები მართავდნენ ხომალდს! ამ მეტაფორაში ყველაფერი მოძრაობს, შეიძლება ითქვას, ეს „მოძრავი" მეტაფორაა. მოძრაობა კი, თავისთავად, მეტაფორის მეორე მნიშვნელობასაც ცხადყოფს, უფრო განზოგადებულსა და იდუმალს: ამ ნავით ტარიელი სხვა, **ახალ** სამყაროში გადადის, ამ ახალ სამყაროს კი **სიყვარული** ჰქვია.

ზღვა ამ პოემაში, შეიძლება ითქვას, **შინაა**, ხოლო ამ პოემის ავტორი თითქოს ზღვის ნაპირზეა დაბადებული და გაზრდილი („ზღვისა პირსა"), ზღვასთანაა შერწყმული და დაკავშირებული მისი ფიქრი და ოცნება შორეულ ქვეყნებსა და ფათერაკებით სავსე მოგზაურობაზე. ვხედავთ ნავსადგურებს („ზღვის კიდე"), ნავებს, ხომალდებს („მეფემან ნავი-ხომალდი მოკაზმა ზღვასა კიდესა"), ვხედავთ მეკობრეთა გრძელდრომიან გემს, რომელსაც ნავთა დასამსხვრევად ცხვირზე სახნისი აქვს მიმაგრებული. „გამოჩნდა ნავი მეკობრე, დრომითა მეტად გრძელითა, მას ნავსა ნავთა სალეწად სახნისი ჰგია ძელითა". მართლაც, შემზარავია მეკობრეთა ხომალდის დრომის დანახვა მოგზაურთათვის, ამიტომაცაა, ასე „გრძლად" რომ მოსჩანს (თუ ეჩვენებათ), მთელ ცას რომ ფარავს...

ზღვა არის ის ორიენტირი, რომელსაც ადამიანი მგზავრობის დროს განსაკუთრებით გამოჰყოფს: „ალმოსავლეთით წადიო, პირსა იარე ზღვისასა". ადამიანი ცდილობს ზღვასთან, როგორც კეთილ სტიქიასთან, მუდამ ახლოს იყოს: ზღვის პირას ნადირობს, კოცონს ზღვის პირას ანთებს, ზღვის პირას ათევს ღამეს: „თხა მოკლეს და მიირთვეს, ცეცხლი შეჰქმნეს ზღვისა პირსა"...

ზღვასთან პოეტი ასე ძლიერად რომ არ იყოს დაკავშირებული, ნამდვილად ვერ შეიქმნებოდა ასეთი ბრწყინვალე სახე: „ზღვასა შეველ, მომეგება მეომარი, ვითა ღელვა".

და, რაც მთავარია, პოემაში ზღვა უკავშირდება **ნესტანის ძებნას.**

მართალია, ზღვა პოემაში რეალისტურად წარმოდგენილი სამყაროა (არც ზღვის „ქვიშიანი" ნაპირი გამორჩა პოეტის თვალს, ამიტომაც, მექარავნეთა და მეზღვაურთა ფეხის ხმაც გვესმის, ნაპირზე ხრაშახრუშით რომ დადიან), მაინც აშკარად იდუმალებით არის მოცული: ნესტანი ზღვაში დაკარგეს („იქ, სადაც ზღვისა ჰიპია"), მზე ზღვაში ჩაიკარგა. რუსთაველის ცნობილი მხატვრული სახე **„მზიანი ღამე"** ამ შემთხვევაში, მთელი ნაწარმოების მამოძრავებელი იდეის — **ძებნის** სიმბოლური, განზოგადებული ხატია, რომელშიაც, არსებითად, მოქცეულია მთელი პოემის დედააზრი: ღამეში ჩაკარგული მზის პოვნა და დაბრუნება ანუ სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე!

ამრიგად, თეოლოგიურმა კლიშემ

ამ პოემაში ასეთი პოეტური მნიშვნელობა, აზრი შეიძინა: მზე ზღვაში ჩაინთქა, ჩაიმალა, ქვეყანაზე ბინდი ჩამოწვა, მაგრამ ადამიანის გულმაც და გონებამაც იცის, რომ ამ ბინდში სადღაც მზე იმალება, ამდენად, ეს ბინდი მზიანია! ბნელში ჩაკარგულ მზეს დაეძებენ პოემის გმირები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. მზის ძებნა გაცილებით დიადი მიზანია, ვიდრე სატრფოს ძებნა, ანდა, უკეთესია, თუ ვიტყვი, რომ რუსთაველის მიერ სატრფოს ძებნა გათანაბრებულია მზის ძებნასთან. მალე ამ ნაპოვნი მზით ანუ ღამიდან გამოხსნილი მნათობით, გაკაშკაშდება გმირთა სახეები და ის აზრიც გაკაწრავს ჩვენს გონებას, რომ ისინი იმიტომ ეძებდნენ მზეს, რათა ეპოვნათ და დაენახათ საკუთარი თავი! აი, ის დიადი პოეტური აზრი, რომელმაც პოემა ყველაზე მაღალ რენესანსულ ქმნილებათა შორის მოაქცია.

„მზიან ღამეს“ — ამ თეოლოგიურ კლიშეს, პოემაში სხვა მნიშვნელობაც აქვს მინიჭებული, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებ.

რადგან ზღვაზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა თქვენი ყურადღება ერთ გენიალურ სიტყვას მივაპყრო. დიახ, ერთი სიტყვაც შეიძლება იყოს გენიალური, თუკი ზუსტად თავის დროზე და თავის ადგილზე იქნება ნახმარი, თუკი შესძლებს მთელი ამბის მაგივრობა იკისროს. ეს სიტყვა გახლავთ „მომეწყინა“ ტარიელის ფრაზაში: „ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა“!

ტარიელისთვის ხომ ზღვა, ისევე როგორც ვეფხის ტყავი, ნესტანის განსახიერებაა, ამიტომაც არ არსებობს მისთვის უფრო პოეტური რამ, ვიდრე ზღვაა! და მაინც სწორედ ეს ადამიანი ამბობს ამ სიტყვას — „მომეწყინაო“ და იტყვის თუ არა, მაშინვე ზღვას დაუბრუნდება კიდეც თავისი ჩვეულებრიობა. ჩვენს წარმოდგენაში მაშინვე წამოიშლება ყოველდღიური ერთფეროვნებით გაბეზრებული მეზღვაურების სახეები, ანძაზე ზურგით აკრული მათი მეთაურის მუდმივი სიფხიზლისაგან დაძაბული და დაღლილი თვალები, მეზღვაურთა ღარიბი, ერთფეროვანი ტრაპეზი, გემბანის ხეხვასა თუ ნიჩბებისაგან დაბებრებული ხელისგულები. აი, რა შეუძლია ერთ სიტყვას, აი, რა ძალით შეუძლია ერთი სიტყვით მაქსიმალური ეფექტის მიღწევა რუსთაველს...

რუსთაველის სიდიადე პოეზიის ენაზე ამეტყველებული ცხოვრებისეული სიბრძნეა, სიმართლეა ადამიანის ბუნების შესახებ. ზემოთ ვთქვი, რუსთაველი ფილოსოფოსი კი არა, პოეტია-მეთქი და მაინც, თუკი რომელიმე ქართველი პოეტი იმსახურებს იწოდებოდეს ფილოსოფოსად, ეს, რასაკვირველია, რუსთაველია, თუკი ფილოსოფიის ცნებას ძალიან ფართო გაგებით ავიღებთ, ერთგვარი სისტემის სახით წარმოვიდგენთ რუსთაველის დამოკიდებულებას ადამიანებსა, ღმერთსა, განგებასა თუ ბუნების მოვლენებთან.

გრანდიოზული პოეტურობით გასხივოსნებულ ამ „სისტემას“ საფუძვლად უდევს აზრის მიზანდასახული მოძრაობა ბოროტების დასათრგუნავად. ასე რომ, პოეტის მთელი ფილოსოფია ამ ცენტრად ქცეული იდეის გარშემოა თავმოყრილი, ამ იდეის გარშემო ბრუნავს, ბრწყინავს, ცოცხლობს...

რუსთაველის მიხედვით, ადამიანის ცხოვრებას ორი უზენაესი ფენომენი განაგებს: „სოფელი“ („საწუთრო... ყოვლისა დამამხობელი“), რომელიც დაუნდობელია, რომელსაც განსაკუთრებით ტარიელი ვერ შეთვისებია, და ღმერთი („ღმერთი ერთი“), რომელთანაც მეტად საინტერესო, მეტად „ადამიანური“ დამოკიდებულება აქვს ავთანდილს.

„სოფელი“ პოემაში მეტაფიზიკური ცნებაა, მეტაფიზიკური კატეგორიაა. ეს ამბავი უკვე თავისთავად მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ უზენაესი ფენომენის ასეთი წარმოდგენა პოეტური აზრია და არა პოეტის პირადი რელიგიური რწმენა, რომელიც უდავოდ ქრისტიანულია. რუსთაველი ავტორია პოეტური რელიგიისა და, თუნდაც ამიტომ,

არ შეიძლება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეოლოგიური მოძღვრების „ადეპტად“ ჩაითვალოს.

პოემაში „სოფელი“ და „ღმერთი“ ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეს წარმოადგენს. ამავე დროს, ორივე ერთად **განგებაა!** განგება მკაცრია: სინათლეს „ახლავს“ სიბნელე, ყველაფერი ისე ხდება, როგორც განგებას სურს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი განგების ყურმოჭრილი მონაა. თუნდაც, ეს ფრაზა: „ვის მოუკლავს სიკვდილამდე თავი კაცსა მეცნიერსა“ — გვაუწყებს ადამიანის თავისუფალ ნებაზე — წარმართოს თავისი სიცოცხლე ისე, როგორც თვითონ უნდა ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოლომდე, სიკვდილამდე იბრძოლოს თავისი სიცოცხლისთვის.

სადაც სიცოცხლეზეა საუბარი, იქ უსათუოდ სიკვდილიცაა ნაგულისხმევი. ამიტომ, ეს დრამატიზებული სიცოცხლე თითქოს უფსკრულებზე გადადის, ამ უფსკრულების იდუმალი სიჩუმითა თუ სიბნელითაა შემოხაზული, შემოწერილი მისი წრე, სივრცე, თუნდაც უსასრულობა, რადგან ამ პოემაში ერთი ნათელი უსასრულობა (სიცოცხლე) მეორე ბნელი უსასრულობით (სიკვდილით) იზოგება. ამიტომაა, პოემაში ყველაზე მარტივ კონტრასტს — სიცოცხლესა და სიკვდილს, სინათლესა და სიბნელეს — ასეთი ღრმა აზრი რომ ენიჭება.

ამ ერთერთ ყველაზე უფრო მართალ წიგნში, არც სიკვდილის შიშია დავიწყებული. გავიხსენოთ თუნდაც ამბავი შერმადინისა, რომლის სახელიც ქართველი კაცის წარმოდგენაში ერთგულების სინონიმად ქცეულა. ხომ დაუჯერებელია, რომ მან ავთანდილს უღალატოს (შეიძლება, ეს სიტყვა „ღალატი“ მისი მისამართით არც კი უნდა მეხმარა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა ვერ მოვძებნე), მაგრამ აი, შეხედეთ, როგორ იქცევა ის როსტევან მეფესთან შეხვედრის დროს და დასკვნა მერე გამოვიტანოთ, თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, ეს საქციელი მას სრულებითაც არ ამცირებს ჩვენს თვალში, ოდნავადაც არ ბღალავს მის კეთილშობილებას, რამდენადაც, რაც მთავარია, [illegible] არაფერი უშავდება ავთანდილს.

შერმადინი როსტევანს ავთანდილის ანდერძს რომ გადასცემს, ეტყვის:

მოახსენა: საწოლს ვპოვე
ესე მისგან დანაწერი-ო

კი მაგრამ, ავთანდილმა ხომ უბრძანა, სთხოვა, წერილი შენი ხელით მიართვი მეფეს და ყველაფერი შენებურად, ბრძნულად მოახსენეო?

მისცა ანდერძი შერმადინს,
რა გაათავა წერითა,
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა
საქმითა მეცნიერითა,
შენ დაგამეტებს ვერავინ
მსახურებითა ვერითა“.
მოეხვია და ატირდა
ცრემლითა სისხლთა ფერითა!

ეტყობა, ავთანდილს შერმადინის იმედიც ჰქონდა, სიტყვას შემაწევსო, რაც უნდა ძნელი წარმოსადგენი იყოს, სიმართლე ის გახლავთ, რომ შერმადინი არ ასრულებს ავთანდილის თხოვნას, ბრძანებას და ეს იმიტომ ხდება, სიკვდილის რომ ეშინია. ტყუილად არ წერს რუსთაველი... მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად“-ო. როსტევანი მომკლავსო, ფიქრობს და ამ შიშს ამჟღავნებს კიდეც, უფრო სწორად, შიშს სახელს არქმევს: „მე თუ მომკლავთ, მემართლებით, სიცოცხლე მჭირს შეუფერი“-ო, ეუბნება მეფეს და მასაც ატყუებს, რადგან, მართალია, ეუბნება, თუ მომკლავთ, კარგს იზამთ, სასიცოცხლო აღარა ვარო, მაგრამ გულის სიღრმეში, რასაკვირველია, სიცოცხლე სწყურია, პირველი ტყუილი ხომ სწორედ ამიტომაცა თქვა — ეს წერილი ავთანდილის საწოლ ოთახში ვიპოვეო. მას რომ სიკვდილის არ შეშინებოდა, ავთანდილის დანაბარებს პირნათლად შეასრულებდა. აქ ის მომენტიცაა საინტერესო, რომ როსტევანს შეუძლია სრულიად უდანაშაულო

ადამიანი მოკლას! ეს უნდა დავიმახსოვროთ...

ვეფხისტყაოსანში სასწაული და გმირობა არ შორდება ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლებს. აი, ტარიელი. მართალია, გმირია, მაგრამ მის გმირობაში არაფერია არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი, სასწაულებრივი. ტარიელი ხატაელებს მხოლოდ იმიტომ დაამარცხებს, წინასწარ რომ გააფრთხილებს ვიღაცა: ხატაელები მახეს გიგებენო. გაფრთხილებული ტარიელი უკვე თავის მხრივ ატყუებს რამაზს. ამ შემთხვევაში მისი ქმედება ელინთა უჭკვიანესი და უეშმაკესი გმირის საქციელს გვაგონებს. ტარიელისთვის ყველა ხერხი, რომელიც გამარჯვებინებს, ერთნაირად მისაღებია.

გმირი ტარიელი რიგითი ჯარისკაცივით ომობს, იჭრება კიდეც ბრძოლაში („ხელსა ხმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა, არ-ნადებად"), ჭრილობას უხვევენ, სტკივა კიდეც, „მონა დასტაქარი", თან რომ დაჰყავს ყველგან, ისეთი გაწაფული ქირურგია, ფრიდონს „ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდილნი არ ატკივნა". აი, ამ პატარა მხატვრული შტრიხით, თითქოს დაჭრილი ფრიდონის კვნესაც შემოგვესმა. კვნესა კი არა, ფრიდონს წყლული ისე სტკივა, ყვირილით იღებს იქაურობას. გაიხსენეთ ტარიელის სიტყვები:

> ზახილი მესმა. შევხედენ,
> მოყმე ამაყად ყიოდა,
> შემოირბევდა ზღვის პირ-პირ,
> მას თურმე წყლული სტკიოდა.

აქ სიტყვა „ამაყად", რომელიც მხოლოდ იმიტომ არის ნათქვამი, უფრო ღირსეულად რომ წარმოგვიდგინოს ფრიდონი, საქმის ვითარებას, რა თქმა უნდა, არ სცვლის.

პოემის გმირები ადამიანურად, ნორმალურად, „ზომიერად" არიან გმირები: ომში იჭრებიან, ჭრილობას იხვევენ, ექიმები თან დაჰყავთ, მტერზე პირდაპირ, ჯიქურ კი არ მიდიან, ან მიეპარებიან, ანდა დიდხანს „თათბირობენ", თითოეულ ნაბიჯს ზომავენ, ამოწმებენ, ჩვენი ზოგიერთი მკვლევარისაგან განსხვავებით, ჩვენმა გმირებმა არ იციან, რომ „მათ რაიმე სისუსტე... არ ახასიათებთ", ისინი უფრო ფხიზლად და გონივრულად უდგებიან საქმეს.

რადგან „თათბირი" ვახსენე, იმასაც ვიტყვი, რომ ქაჯეთის ციხის ასაღებად გამართული თათბირის სცენაში არის ერთი საგულისხმო დეტალი — ვაჟკაცური იუმორის მშვენიერი მაგალითი, რომელიც იმასაც ამტკიცებს, სამივე გმირი გულის სიღრმეში ბრძოლის დროს მოსალოდნელ სიკვდილზეც რომ ფიქრობს და, ამავე დროს, მზად არის მეგობრების გულისთვის თავი გასწიროს, პირველი თვითონ შეიჭრას ბრძოლაში ფრიდონი, აკაკის სიტყვებით, „უმცროსი, მაგრამ საჭირო და გამოსადეგი", ტარიელს ღიმილით ეტყვის: ციხეში შევარდნა — დასწრებაზე თუ მიდგებოდა საქმე, მაგ სწრაფ ცხენს არ გაჩუქებდი, ჩემთვის დავიტოვებდიო. კარგი ნათქვამია, ღირსეული ადამიანის შესაფერი...

აქვე უნდა ვთქვა, რომ არაფერი ისე ჩვეულებრივი არ არის პოემაში, როგორც ქაჯეთის სამეფო. ფატმანი თავის მონებს, როცა უნდა და როგორც უნდა, ისე აგზავნის ქაჯეთში და ქაჯებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა ხდება მათ ცხვირწინ. ფატმანის მონები გაცილებით უფრო გრძნეულები არიან, ვიდრე ქაჯეთის მკვიდრნი. ასე რომ, ვეფხისტყაოსანში, როგორც ჩვენმა მკვლევარებმა შეამჩნიეს, არაფერია ზღაპრული. ფანტასტიკა ვეფხისტყაოსანში არ სცილდება თუნდაც დღევანდელი პროზის ფანტასტიკურ პასაჟებს.

ტარიელის ცხენიც კი, რომელიც ყველაზე სწრაფი არსებაა პოემაში (ფატმანის გრძნეული მონის შემდეგ!), ქაჯური კი არა, ადამიანური წარმოდგენითაა სწრაფი. ეს ცხენი, როგორც ვიცით, ადრე ფრიდონისა იყო, მასზე ამხედრებულმა ფრიდონმა ნესტანის მხლებლებსა თუ მცველებს ვერ ჩაუსწრო ნავირზე. სანამ ფერდობს ჩაირბენდა, ნავი

უკვე ჩამავალ მზესავით ანათებდა ჰორიზონტზე.

ამიტომ, ჩემი აზრით, დევების საგანძურის, დევების საჭურველის პოვნა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქაჯეთის ციხეზე თავდასხმის დროს ჩვენს გმირებს კარგი იარაღი ჰქონდეთ, ისევე შეუსაბამოდ მოსჩანს პოემის მთელ ფსიქოლოგიურ სინამდვილეში, როგორც აქილევსის ფარი „ილიადაში“! ეს ფარი ელადის სამყაროს სარეკლამო ტრანსპარანტს, ანდა მოძრავ გამოფენას უფრო ჰგავს, ვიდრე საბრძოლო, თავდაცვით იარაღს. ფარი აქილევსის დედის თხოვნით გამოჭედა ჰეფესტომ, თუმცა ყველაზე უკეთ თეტიდამ იცოდა, მის შვილს ფარი რომ არ სჭირდებოდა. არადა, ყველაზე დიდი ფარი პოემაში სწორედ აქილევსს უჭირავს. აქილევსი, მეტად ღირსეული გმირი, სრულებითაც არ არის დამნაშავე, ამ უზარმაზარ, უაზრო ფარს რომ დაათრევს. ბრალი ორ პიროვნებას მიუძღვის და თანაც ორივე ღმერთია — ერთი აქილევსის დედაა, მეორე კი — თავად ჰომეროსი...

ვეფხისტყაოსანში არ არიან მკითხავები, კუდიანი დედაბრები, ნათელმხილველები. რუსთაველის გმირები დახმარებისათვის ჯადოსნებს არ მიმართავენ. **ისინი გაცილებით განათლებულები არიან, ვიდრე სხვა სარაინდო წიგნების გმირები.** მათ საკუთარი თავის იმედი აქვთ, უპირველეს ყოვლისა — **ცოდნის!** ჩვენმა გმირებმა იციან, რა ელით, რას მიაღწევენ და რას ვერა, საითკენ უნდა წარმართონ თავიანთი გააზრებული ძალისხმევა. აქ ადამიანის შესაძლებლობათა სასწაულობა, ანდა სასწაულებრივი შესაძლებლობანია გადმოცემული. ვეფხისტყაოსნის გმირი თვითონ მიიკვლევს გზას შეუვალ სიბნელეში თანამავალ ვარსკვლავთა თანხლებით, მათზე დაკვირვებით პოულობს გზას ხსნისას, გზას აღთქმული ნაპირისაკენ, ახალი მიწების აღმომჩენი მეზღვაურივით, თამამი და მარტოხელა...

დიახ, მართლაც რომ ბევრი რამ არის ახალი, პირველად აღმოჩენილი ამ მარადიულ წიგნში. აი, თუნდაც, ტერმინი „მართალი სამართალი“ გავიხსენოთ. რამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რამდენი ცხარე, დაუნდობელი კამათი თუ ბრძოლა, ზოგიერთი მკვლევარი შეეცადა, ამ ტერმინის მოშველიებით, ტარიელის მიერ ხვარაზმშას ვაჟის მოკვლა გაემართლებინა. ეს კი, ანუ ეს მკვლელობა — არც ერთი რელიგიური, მორალური თუ სამართლებლივი ეთიკით კარგ საქციელად, სათნოებად არ ჩაითვლება და არც შეიძლება ჩაითვალოს. უპირველეს ყოვლისა, თვითონ რუსთაველი არ თვლის ამ აქტს „ქველმოქმედებად“ და „სათნოებად“, თუნდაც იმიტომ, რომ ის ქრისტიანი პოეტია, „არა კაც კლა“ მისთვის სავალდებულო ცნებაა. ასე რომ, პოეტის მაგივრად ბოდიშის მოხდა საჭირო არ არის, ჩემი აზრით, გაუმართლებელიცაა. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდებოდა შექსპირის შემოქმედების მკვლევარი, ასეთი რამ რომ განეზრახა!

მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ რუსთაველის პოემის გმირები **შეგნებულ დანაშაულს** ჩადიან, ეს მათ იციან და ამიტომაც ახსენდებათ საერთოდ **სამართალი!** მართლაც, რატომ უნდა გაახსენდეს ადამიანს სამართალი, რატომ უნდა დაიწყოს მასზე ფიქრი, თუკი ეჭვის ჭია არ უღრღნის გულს, თუკი არ იცის, რომ დანაშაულს ჩადის?!

„ქმნა მართლისა სამართლისა“-ო, გაიძახიან პოემის გმირები, თითქოს პირველად ქმნიან ამ ქვეყნად სამართალს, ამაოების ქვაზე ფრჩხილებით კაწრავენ პირველ პარაგრაფს საკუთარი სამართლისას, რადგან სხვა ყველა დანარჩენი სამართლის თვალსაზრისით ისინი **დამნაშავენი** არიან. ამასთანავე მათი დანაშაული უფრო დიდი და მიუტევებელია, ვიდრე ხვარაზმელი სასიძოსა და ტრაბახა, ქალების მაბეზღარა ჭაშნაგირის მკვლელობა. ესაა **მეფის ბრძანების არშესრულება, მეფის ნების წინააღმდეგ წასვლა** — არ არ-

სებობს იმდროინდელ საზოგადოებაში ამაზე უფრო მძიმე დანაშაული. შესაბამისად, სასჯელიც უმძიმესია. ნესტანი — ერთადერთი შვილი — მშობლებმა არსებითად სასიკვდილოდ გაიმეტეს. მისი დანაშაული იმდენად მძიმეა დაუსჯელობა წარმოუდგენელია! ავთანდილის დანაშაულსა და სასჯელზე ჩვენ უფრო დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი. ხოლო, რაც შეეხება ფატმანს, იმისა კი არ ეშინია, ქმარმა ღალატი არ გამიგოსო, არა, ეს სრულებითაც არ ადარდებს, იმისი ეშინია, ნესტანი რომ გააპარა, მეფეს რომ უღალატა, ჭაშნაგირიც ხომ სწორედ ამის გამხელით ემუქრება, იცის, მეფის ღალატი გაცილებით დიდი დანაშაულია ქალისთვის, ვიდრე ქმრისა.

დიახ, გმირებმა იციან, რასაც აკეთებენ და მაინც არ იხევენ უკან, თუმცა, დანაშაულის სიმძიმე აძრწუნებთ, ხმამაღლა არც კი ახსენებენ, სახელს არ არქმევენ, ურჩევნიათ იცრუონ (ტარიელმა თქვა, სასიძო ინდოეთის ტახტის გულისთვის მოვკალიო!), დაიბრალონ სხვა ყველანაირი დანაშაული, ოღონდ, ის ნამდვილი, შემზარავად დიდი არ გაამხილონ, რადგან ვერაფრით ვერ უკავშირებენ, არ უნდათ, რომ დაუკავშირონ „სიყვარული“ და „დანაშაული“ ერთმანეთს, ან როგორ უნდა დაუკავშირონ, როცა სიყვარული მათთვის იგივე „სამართალია!“.

„იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა“-ო, წერს რუსთაველი ჭაშნაგირზე, აქ მეტად ზუსტი: ფსიქოლოგიური მომენტია დაჭერილი: გაცოფებული ჭაშნაგირი გათენებას ელოდება „გულითა ჯავრიანითა“, მოღალატე ფატმანს შვილები რომ „კბილით დააჭმევინოს!“ როცა ავთანდილი მის ოთახში შევიდა, ეტყობა, ძილგამტყდარი ჭაშნაგირი ფეხზე წამოვარდა, ამიტომაც ავთანდილმა: „ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა“.

**დანით დაკლაო!** — ჭაშნაგირი ადამიანივით კი არ მოკლეს, ღორივით დაკლეს! აი, ამ ერთი ზუსტად ნახმარი სიტყვით („დაკლა“) — პოეტმა ავთანდილს მოხსნა ყოველგვარი ბრალდებები, ჭაშნაგირს მიეზღო ის, რისიც ღირსიც იყო!

ავთანდილი ჭაშნაგირს თითს მოსჭრის, გვამს კი ზღვაში გადაისვრის: „ზღვითაკე სარკმლით გატყორცნა, ზღვისა ქვიშათა დარია“. ფატმანთან მობრუნებული, ერთ საოცარ ფრაზას იტყვის: „აჰა, თითი და ბეჭედი და დანა მაქვს სისხლიანი“ — თითქოს მხოლოდ ახლა, ამ წუთას შეამჩნია, სისხლიანი დანა ჯერ ისევ ხელში რომ სჭერია და შეცბა, ხმა გაებზარა... ბოლოს და ბოლოს, რკინისა ხომ არ არის, ისიც ადამიანია და არც მისთვისაა ადვილი კაცის მოკვლა...

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შემზარავია, მაგრამ ნუ გვავიწყდება დაუნდობელი, ბნელი, მკაცრი შუა საუკუნეები: ყველა კუთხიდან, კუნჭულიდან იმზირება სიკვდილის თვალი. დანაშაულისათვის შეიძლება საკუთარი შვილის ხორციც შეგაჭმევინონ: „ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჭმეველი“.

ალა იასტრებიცკაია წიგნში — „X I X I I საუკუნეების დასავლეთი ევროპა“ წერს: „შუა საუკუნეები არამარტო უმოწყალობით გამოირჩეოდა, არამედ უმოწყალობას ღირსებადაც კი თვლიდა. „არ არსებობს ომი უსისხლოდ და უცეცხლოდო“, — ამბობს მეთორმეტე საუკუნის პროვანსელი ტრუბადური რაინდი ბერტრან დე ბორნი. სიკვდილის უგულებელყოფა, სხვისი სიცოცხლის უგულებელყოფას განაპირობებდა, სხვისი სიკვდილის უპატივცემულობას“.

ეს ის ბერტრან დე ბორნი გახლავთ, რომელიც „ჯოჯოხეთში“ ასე მოევლინება დანტეს:

„ხელი წაევლო საკუთარი თავის ქოჩორზე,
ლიფლიფასავით მოაქანებდა...

იზოლდამ თავისი უახლოესი მეგობარი, ბრანჟანე, რომელმაც მისთვის არასასურველ სარეცელზე შესცვალა პირველ ღამეს, მოაკლევინა და ამისთვის არავის გაუმტყუნებია იგი.

ნესტანის ფრაზა: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, ფრაზა, რომელშიაც მკაფიოდ ჟღერს ტრაგიკული ნოტა, წარმოქმნილი ერთნაირ სიტყვათა დაწყვილებით — „მართალი“ — „სამართალი“ — და რომელიც ასე დამახასიათებელია რუსთაველისათვის (გაიხსენეთ, თუნდაც, ტარიელის ნათქვამი: „ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“), ნიშნავს ერთადერთს, შეიძლება ითქვას, **საბედისწეროდ ერთადერთ სამართალს**, უფსკრულში ჩამოშვებულ თოკს, მორევზე გადმოწვდილ ტოტს, განწირულობის უდაბნოში წვიმის წვეთს... ნესტანს უყვარს ასეთი გამოთქმები („ცან სამართალი მართალი“!). დიახ, ეს ნესტანის სამართალია, ეს ასეთი სახელით შევიდა სიყვარულის დიად ისტორიაში, სადაც „დამნაშავე“, „ცოდვილი“ მიჯნურები ვარსკვლავებივით ბრწყინავენ, თავ-თავიანთი „მართალი სამართლით“ გასპეტაკებულნი, გაუკვდავებულნი... აქ კანონის, უფრო სწორედ — მართლმსაჯულების, თუ გნებავთ — ლოგიკის, უფრო მეტიც — გონიერებისა და სიყვარულის მარადიული შეუსაბამობის მეტყველი სურათებია. აი, მაგალითად: კანონის მიერ მოკვეთილი ჟიულიენ სორელის თავი მშვენიერი მატილდა დე ლამოლის მუხლებზე...

„მართალი სამართალი“ მიჯნურთა თავშესაფარია! მოროას ტყეა, სადაც ტრისტანსა და იზოლდას ერთიმეორის გვერდით ბედნიერებს სძინავთ; კოშკია, სადაც ნეტარებით გაოგნებული ვისი და რამინი ერთმანეთში ჩანთქმულან, ანდა, სულეთია, სადაც ცოცხლად ჩასული ორფეოსი ევრიდიკეს აჩრდილს შესცქერის. განა ამაზე არ ოცნებობდა ნესტანი: „თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი“-ო.

„მართალი სამართალი“ ნესტანისათვის არის მისი და ტარიელის არსებობის, ამქვეყნად ერთად ყოფნის, ერთად სიცოცხლის სამართალი, ამავე დროს, ეს არის საკუთარი ნების, გადაწყვეტილების, საკუთარი შეხედულების, მრწამსის დამკვიდრების ლოზუნგი. საკუთარი პიროვნების უსაზღვრობა — თავისუფალი სივრცის კარია, [illegible] კი არა — ამ კარის გასაღები, პაროლი!

„მართალი სამართალი“, როგორც ვთქვი, ძალიან ბუნებრივი ფრაზაა რუსთაველისთვის. გაიხსენეთ: „ქება საქებარი“, „ღმერთი ილმრთო, ცაცა იცო“, „თავი მონად მომიმონდეს“... პოემის პირველსავე სტროფში წერია: „ძალითა მით ძლიერითა“-ო.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ამ გამოთქმას არავითარი კავშირი არა აქვს იურისპრუდენციის ტერმინოლოგიასთან. თუკი ასეთი გამოთქმა მართლაც გვხვდებოდა სასამართლოსა თუ სხვა დაწესებულების საბუთებში, მას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და ამ პოეტურ სახესთან არავითარი ნათესაობა არ აკავშირებს.

როდესაც ნესტანი ამ „მართალ სამართალს“ ქაჯეთის ციხეში კვლავ გაიხსენებს, საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ „მართალი სამართალი“ მისთვის იგივე სიყვარულის სახელია, სინონიმია:

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა,
კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი
გულისა გულსა მივა რად.
შენთვის მოვკვდები,
გავხდები ყორანთა დასაყივარად.
ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი
სატირლად და სატკივარად.

დიახ, ეს არის გულიდან გულში ელვასავით გადასული სიყვარული — „მართალი სამართალი“ — ყველაზე დიდი „სატკივარი“ და ყველაზე დიდი შვება ამქვეყნად, ანდა — შვება და სატკივარი ერთად, ერთარსებად ქცეული, შენივთული, ღვთაებრივი ცეცხლით შედუღაბებული.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, დანაშაულისა და სასჯელის ცნებები ლიტერატურასა და იურისპრუდენციაში სხვადასხვა რომ არის! მაგალითისათვის, რა უნდა მივუსაჯოთ ოიდიპოსს, მედეას, ნესტანს, ივანე კარამაზოვს? სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლი

მიესადაგება მათ „დანაშაულს“? ანდა, რამდენად კეთილშობილური ნაბიჯი იქნება ჩვენგან, ჩვეულებრივი მოკვდავებისაგან, ჩვეულებრივი ინჟინრებისაგან, ექიმებისაგან, ვექილებისაგან, პედაგოგებისაგან, ლიტერატორებისაგან — ამგვარი ლიტერატურული „დამნაშავეების“ გამართლება, დაცვა (თუმცა, თავისთავად იბადება არა ნაკლებ ღრმააზროვანი კითხვა: ვისგან უნდა დავიცვათ, ანდა ვის თვალში უნდა გავამართლოთ ისინი?!)...

ვის ეცოდინებოდა დღეს მედეას სახელი, თუკი ასეთ, მართლაც შემზარავ დანაშაულს არ ჩაიდენდა? კაცობრიობამ მამისა და სამშობლოს იმდენი მოღალატის სახელი იცის, მედეასთვის ვილა მოიცლიდა, თუკი, ვიმეორებ, ასეთ არაადამიანურ განაჩენსა და სასჯელს არ გამოუტანდა საკუთარ თავსა თუ ყველას, ვინც კი სიცრუისა და ღალატის გზაზე შეაყენა იგი! ცნობილია, რომ მითში, და ალბათ სინამდვილეშიც, დიდებული კოლხი ქალი შვილებს არ კლავდა. მისი უკვდავება გენიალური ევრიპიდეს წყალობაა. ევრიპიდეს ტრაგედია, შეიძლება ითქვას, ყველაზე ცხადი მაგალითია წარმოდგენათა იმ უფსკრულისა, ლიტერატურასა და მართლმსაჯულებას შორის რომ დევს...

ნესტანის სიდიადე მისი ქცევის ალოგიკურ სიმართლეშია. ნესტანის სიდიადე სიყვარულის ერთგულებაშია და ბოლოს, ნესტანის სიდიადე ის გახლავთ, რომ სწორედ მან დაგვანახვა და დაგვარწმუნა, რომ ყველაზე დიდი ერთგულება ამ ქვეყნად სიყვარულია. აი, ეს არის სწორედ მისი „მართალი სამართალი!“

შოთა რუსთაველი ძალზე თავისუფლად ექცეოდა ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ საგანძურს, რომელიც მსოფლიო ინტელექტუალურ აზრს მანამდე დაეგროვებინა, მის ხელში ყველა მანამდე არსებული სიბრძნე (პოეტური თუ ფილოსოფიური) სრულიად ახალ, სრულიად სხვა განზომილებისა და მნიშვნელობის ფორმასა და შინაარსს იძენდა.

ნ. კონრადი ბ. როულენდის მეტად საინტერესო წიგნის „დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნების“ ბოლოსიტყვაობაში, როცა განიხილავს იაპონელი მხატვრის ხიროშიგეს ნაწარმოებთა გავლენის თავისებურებას ჯეიმს ებოტ მაკ-ნეილ უისტლერის შემოქმედებაზე, წერს: „ზოგიერთი თავიანთი ნიშნით, რაც უნდა მახლობელი იყოს ხიროშიგესა და უისტლერის პეიზაჟები, ისინი მაინც ხელოვნების განსხვავებული მოვლენებია: უისტლერის სურათებში გამოყენებულმა ხიროშიგესეულმა ხელოვნების ხერხებმა სრულიად სხვა თვისება შეიძინეს“-ო.

ასევეა რუსთაველთან დაკავშირებითაც ყველაფერი ის, რასაც ჩვენი მკვლევარები პარალელს უძებნიან უკვდავ პოემაში, რასაკვირველია, არ გვაძლევს უფლებას, რაიმე გავლენასა თუ იდენტურობაზე ვილაპარაკოთ, რადგან განსხვავებულ ლიტერატურულ სამყაროდან წამოღებულ მხატვრულ ხერხს აქ შეძენილი აქვს „სრულიად სხვა თვისება...“

რუსთაველის მხატვრული ენის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ სხვის მიერ ნახმარი სიტყვა, ან თუ გინდ სახე — აქ სულ სხვა მნიშვნელობას, ნიუანსს, აზრს, ფერს იძენს. რუსთაველი აშკარად ბევრ სიტყვას თუ ფილოსოფიურ სენტენციას ისრუტავს მწერლობისა თუ ფილოსოფიისაგან (არ შეიძლება არ ერწმუნო ჩვენი მკვლევარების დაბეჯითებით მტკიცებებს!), მაგრამ სახეებსა თუ ფილოსოფიურ სენტენციებს, როგორც ვთქვი, სრულიად ახალ გაგებას ანიჭებს, რომ არაფერი ვთქვა ფორმაზე. ასე რომ, რაც ვეფხისტყაოსანშია, მხოლოდ რუსთაველს ეკუთვნის, ამ დიადი პოეზიის სამფლობელოში შეღწეულ ყველა გამოთქმასა თუ ხატს რუსთაველის ქვეშევრდომობა აქვს მიღებული. რა თქმა უნდა, მათი წარმომავლობის გენეტიკური ფესვების გამოჩხრეკა შეიძლება, მაგრამ... აზრი

არა აქვს. რადგან ფესვისა და ნაყოფის სხვადასხვაობა ამ შემთხვევაში აბსოლუტურია!

პოემის ყველა სიტყვა რუსთაველის მიერაა ამქვეყნად პირველად თქმული!

რუსთაველმა არაბული არისტოტელიზმი კარგად იცის. ქრისტიანული ნეოპლატონიზმიც, პანთეიზმიც, სპარსული პოეზიაც, ალბათ მანიქეველთა სექტის არსებობაც იცოდა და კიდევ ბევრი სხვაც, ჩვენი მკვლევარებისთვის ჯერ აღმოუჩენელი რამ. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის სრულიად ახალი სამყაროს შემქნელია, ახალი ადამიანებით, ახალი შუქით, ახალი ხმებით რომ გავსებულა.

აი, ჩემს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები „მზიანი ღამე“, ერთ-ერთი იმ სახეთაგანი, რომელიც თავისი იდუმალებით, თავისი ამოუხსნელობით, გაურკვევლობით ახდენს დიდ შთაბეჭდილებას (ამდენად, შეიძლება, მუსიკას ეკუთვნოდეს, ვიდრე პოეზიას!), უფრო სწორად, ქმნის ლექსის იდუმალ ფონს, სიღრმეს კი არა, სიღრმისეულ სივრცეს, საითაც მიილტვის ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, აღგზნებული და, ამავე დროს, ოდნავ შემკრთალი ჩვენი გონება. ეს სახე კი თეოლოგიაში, კატაფატიკა-აპოფატიკის ერთ-ერთი ნიმუში, ღვთის სახელის აღმნიშვნელი კლიშე იყო, ისეთივე, როგორც „უჟამო ჟამი“. რუსთაველის პოემაში ეს თეოლოგიური კლიშე საოცრებად იქცა, ახალი საიდუმლო სივრცე შემატა პოემას, დიახ, რუსთაველის „მზიანი ღამე“ პოეტური სახეა და არა თეოლოგიური ცნება. ამიტომაც, ის გაცილებით მეტის დამტევია, მეტს ნიშნავს, მეტს აღნიშნავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეტსაც გვაძლევს, ვიდრე თეოლოგიური „მზიანი ღამე“.

სხვათა შორის, რუსთაველი თვალისმომჭრელი, დამაბრმავებელი შუქის წარმოსადგენად მხოლოდ კონტრასტს არ მიმართავს. გავიხსენოთ სხვა, სრულიად განსხვავებული ხერხებით, ალმატებლობითი ერთიანობით მიღწეული, შექმნილი მეტაფორა: „ანათებს დღესა მზიანსა“! (ტინათინი). ხედავთ, თუ რა — შუქის უმეტეს შუქი! სინათლის სინათლეს, მზის მზეს?! „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი, ჩემი აზრით, თვითონაც პოეტი, იტყოდა: „ნათელი უმეტეს ნათლისა“-ო.

ფილოსოფიურ ცნებასა და პოეტურ მეტაფორას შორის შეიძლება არსებობდეს რაღაც კავშირი, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს **იდენტურობა**. შეიძლება ზოგიერთი ცნება, მაგალითად, უკვე აღნიშნული „მზიანი ღამე“ რომელიმე ფილოსოფიური თუ თეოლოგიური მოძღვრების წიაღში იყოს წარმოშობილი, მაგრამ ვეფხისტყაოსანში გადმოსული, უკვე მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის სამყაროს ეკუთვნის, პოეტურ მეტაფორადაა ქცეული. ეს „ურთულესი ფილოსოფიური პარალელიზმი“ პოეტურ პარალელიზმადაა გარდაქმნილი და უფრო ღრმა, უფრო ფართო გაგება ენიჭება, ვიდრე თეოლოგიაში ჰქონდა. ინარჩუნებს რა მცოდნეთა თვალში თავის პირველ მნიშვნელობას, უფრო დემოკრატიული, ადვილად მისაწვდომი, ადვილად აღსაქმელი ხდება და, ამასთანავე, იმ მუდმივი შუქის წყაროს ფუნქციასაც იძენს, რომელიც პოემაშია განფენილი („დღისით და ღამით ვჰხედვიდე“).

როდესაც ნესტანი ამბობს: „დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“-ო, აქ, ჩემი აზრით, უკვე ახსნილია „მზიანი ღამის“ რუსთაველისეული გაგების არსი. აქ პოემის ყველაზე ბრძენი ქალი რომელიმე ფილოსოფიური თუ რელიგიური მოძღვრების თეზისს კი არ ავითარებს, როგორც ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს მიაჩნია, არამედ თავის საწადელს, ოცნებას გვამცნობს: მას სურს იცხოვროს, იარსებოს მხოლოდ და მხოლოდ მარადიულ სინათლეში!

ნესტანის წერილის ერთი ფრაგმენტი თვითმკვლელობამდე მისული ქალის მოთქმაა დაკარგულ ბედნიერებაზე, დაკარგულ სიყვარულზე. პირველად ვხე-

დავთ ნესტანში სუსტ. სასოწარკვეთილ ქალს, რაც თავისთავად საოცრად მეტყველსა და ცოცხალ ფერს მატებს მის ხასიათს, ვგრძნობთ გალიაში გამოკეტილი ფრთოსანი არსების ლტოლვას ცისკენ — „მომცნეს ფრთენი და ალვფრინდე...“ (ფრთებს ის ნატრობს, ვისაც ფრენა შეუძლია!). ვხედავთ ადამიანის მისწრაფებათა გრანდიოზულობას, გვესმის ადამიანის მუსიკად ქცეული, შთაგონებული სულის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, ტრაგიკულად დაჭიმული სიმის თრთოლვა.

რა არის ეს? ნუთუ ამის ახსნა რიგითი ფილოსოფიური თეზისით შეიძლება? „ნუთუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?“ — როგორც რუსთაველის ღირსეული მემკვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილი იტყოდა...

არა, ეს არც პანთეიზმია, არც ნეოპლატონიზმი, არც... არც... არც... ეს ადამიანის სულის მუსიკაა!

ეს არის **რუსთაველის პოეზია!**

ისევე, როგორც დავით აღმაშენებელმა საეკლესიო საგალობლების კლიშეებით შექმნა სრულიად ახალი საერო ხასიათის ლირიკული ნაწარმოები „გალობანი“, რუსთაველმაც გაქვავებული თეოლოგიური სახეებისაგან გამოძერწა, შექმნა მრავალი, სიცოცხლითა და ვნებით დატენილი, დიადი პოეტური სახე.

რუსთაველი არსებულ ლიტერატურას ზოგჯერ იყენებდა როგორც თავისი მეტაფორების საშენ მასალას და მისი მიდგომა ტრადიციისადმი უაღრესად შემოქმედებითი იყო. რუსთაველი, თავისი ძლევამოსილი ტალანტის წყალობით, მშენებელი პოეტია, მსგავსად წარსულის გენიოსებისა, ჰომეროსი იქნება ეს, ვერგილიუსი თუ ფირდოუსი, რუსთაველმა ააგო ახალი სამყარო, „ახალი რეალობა“, რომლის საძირკველშიაც ჩატანებულია კაცობრიობის შემოქმედებითი აზრის მთელი ადრინდელი გამოცდილება. ცაში კი აღმართულა აქამდე არნახული სართული შვებისა და იმედისა — **ადამიანის სახლი!**



— ნესტან-დარეჯანი ტარიელს მიმართავს:

მზე უშენოდ ვერ იქმნების,
რადგან შენ ხარ მისი წილი-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მზე“ რომ აქ ასტრონომიული ცნება არ არის, ამაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტია, მაგრამ აშკარად არც რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობის კატეგორიაა. უფრო ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ნესტანი თავის თავზე ამბობდეს, თავის თავს უწოდებდეს **„მზეს“**. გავიხსენოთ სხვა ადგილიც პოემიდან, სადაც ეს კიდევ უფრო ცხადად ჩანს. ეს არის ნაწყვეტი ნესტანის პირველი წერილიდან: „მზემან მეტი რალა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე!“, რაც მეფური სიამაყის და ღვთაებრივი ქალურობის, სინაზის დამამტკიცებელია. მაგრამ, და ეს არის საინტერესო, ნესტანი ხომ მარტო თავისთავს არ უწოდებს **„მზეს“**, ტარიელიც **მზეა, მზის წილია** („შენ ხარ მისი წილი“), ოღონდ, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის **„მზე“, ცალ-ცალკე არც ერთის სიცოცხლე არ შეიძლება, წარმოუდგენელია** („ვერ იქნების“), **ერთად კი, არა მარტო ცოცხლობენ, ანათებენ!**

აი, ასეთი ადამიანური, კონკრეტული, მიწიერი და არა ფილოსოფიურ-აბსტრაქტული ვნებები ტრიალებს ამ დიდი პოემის „მხურვალე ცის ქვეშ“.

პოეზია ადამიანის სულის მეტყველებაა, იგი გამოხატავს, გამოთქვამს, წარმოგვიდგენს სიცოცხლის ხმას, სიცოცხლის დიად მოძრაობას, ადამიანის არსებობის, ადამიანურობის — თუნდაც როგორც ფილოსოფიური კატეგორიის დამკვიდრების აქტს.

როდესაც ჩვენი მკვლევარების ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს ეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველა მათგანს წაკითხვამდე ჰქონდა შემუშავებული თავისი შეხედულება პოემაზე, თანაც, იმის მიხედვით, თუ რაზე მუშაობდა, სანამ ვეფხისტყაოსნის კვლევას შეუდგებოდა — არისტოტელეს სწავლობდა თუ პლატონს... მართლაც, ვინც პოემაში არის-

ტოტელიზმს პოულობს, ის ადრე არისტოტელეთი იყო გატაცებული, ხოლო ვინც — პლატონიზმს, ის უსათუოდ პლატონის ნაწარმოებებით იყო მოხიბლული და ა. შ. და ა. შ. არ არსებობს მკვლევარი, რომელიც თავისი მოსაზრების დამამტკიცებელ მაგალითს ვეფხისტყაოსანში არ პოულობდეს...

ამ ჩემს ნათქვამში ოდნავი ირონიაც კი არ ურევია, როგორც შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. პირიქით, მიმაჩნია, რომ ყველა მოსაზრებას უნდა „ყოვლად ბრძნითა დუმილითა პატივი ვცეთ" (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სიტყვებია!), ჩემი დამოკიდებულება ჩვენი სახელოვანი მკვლევარების შეხედულებების მიმართ უფრო ნათლად რომ გამოვთქვა, ახლა ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე დიდ ფილოსოფოსს მივმართავ დახმარებისათვის და პლატონის სიტყვებს გავიხსენებ: „ყველა ღმერთი, რა თქმა უნდა, თაყვანისცემის ღირსია, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, თავდაპირველად თვითეული მათგანის არსი გავერკვია"...

ნესტანის წერილი, შეიძლება ითქვას, ჩვენი მკვლევარების ფილოსოფიური შეხედულებების სასინჯი ქვაა. ჩვენს მკვლევარებს თუ დავუჯერებთ, ნესტანი ტარიელს ქაჯეთის ციხიდან, სიყვარულს კი არა, საკუთარ ფილოსოფიურ თეორიას უმტკიცებს.

ნესტანი კონკრეტული ქმედების, პრაქტიკული აზროვნების, გაბედული, თამამი პიროვნებაა. გაიხსენეთ თუნდაც, მის მიერ შედგენილი გეგმა, რომლის წყალობითაც ჩვენმა სამმა გმირმა ქაჯეთის ციხე აიღო. ნესტანისთვის განზოგადებული ფილოსოფიური მსჯელობანი დამახასიათებელი არ არის, ის მაქსიმალურად კონკრეტულია ლაპარაკისა თუ მოქმედების დროს. შეიძლება ითქვას, განყენებული, ზოგადი მსჯელობებისათვის ნესტანი ძალიან ბრძენია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის მეფის ასულია, განათლებულია, ბევრი რამ იცის, მაგრამ საუფლისწულო-სავალდებულო განათლების არევა ფილოსოფიაში არ შეიძლება.

ნესტანი, შეიძლება ითქვას, ყველაზე შექსპირული ხასიათია ამ პოემაში. ამას რომ ვამბობ, რასაკვირველია, რაიმე მხატვრულ მსგავსებას კი არ ვგულისხმობ, აღვნიშნავ მისი ხასიათის მიზანდასახულობას, პრაქტიკულობას, გაბედულებას, გონიერებას და, ამავე დროს, რისხვას, სინაზეს, სიყვარულს, რაც მას მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე თვალსაჩინო გმირთა შორის აყენებს.

აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი ამბობს: „ნესტანი... გმირულად უძლებს სიყვარულის რთულ ეპოპეას"-ო. მართალია, არ მესმის, როგორ შეიძლება „ეპოპეის" გაძლება, რთული იქნება თუ მარტივი, მაგრამ მაინც ვეთანხმები პატივცემულ ფსიქიატრს, რადგან ორი სიტყვა **„გმირულად" და „უძლებს"** ძალიან უხდება ნესტანს, მისი ხასიათის ლირიკულ მელოდიას:

აქათ თავსა გარდავიქცევ,
ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
სული ჩემი შეივედრე,
ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი.

და ესეც ხომ ნესტანის ნათქვამია:

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს,
შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული
ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა!

ნუთუ ეს მხოლოდ „ფიზიოლოგიური გუნება-განწყობის დაქვეითებაა", როგორც აკადემიკოსი ფიქრობს, და არა სიყვარულით სავსე და, ამის გამო, უკვდავი გულის ნათება სიკვდილის წყვდიადშიც კი?!

ნესტანი დავარის აღზრდილია: „დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი, მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი".

თუ ნესტანის მიხედვით ვიმსჯელებთ, დავარი საუკეთესო აღმზრდელია. თვალის ზერელე გადავლებით შეიძლებოდა დავარი აკაკი წერეთლის ჰაჯი-უსუბის წინაპრადაც მიგვეჩნია, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აკაკის გმირის სიტყვები „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“ — დავარის საბედისწერო მოქმედებით არის შთაგონებული: „დავარ თქვა: „მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და!... დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“. თუმცა, რასაკვირველია, ჰაჯი-უსუბის აღზრდილი და ნესტანი აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ასეთი მსგავსება, ვგულისხმობ დავარსა და ჰაჯი-უსუბს, როგორც ვთქვი, მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილების შედეგი იქნებოდა. სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთანა გვაქვს საქმე: **დავარი ნესტანს არ ამტყუნებს, ესმის მისი!** ეს კი საოცარი რამ გახლავთ იმ დროისათვის, მაგრამ ამასთანავე, სიყვარულზე ყველაზე დიდი პოემის ავტორს არ შეიძლებოდა სხვანაირად დაეწერა.

დავარი ძმის ბრძანებას ასრულებს მხოლოდ, მისი სიბრაზე საკუთარ თავზე, საკუთარ უმწეობაზე გამწარებული ადამიანის სიბრაზეა, ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია წინ აღუდგეს **დესპოტიზმს!** ამიტომაცაა ასეთი დაუნდობელი, ასეთი უხეში მისი სიტყვები, ამიტომაც იკლავს თავს — **„მქმნელი ამისი“!** აბა, რატომ უნდა მოეკლა თავი, თუკი ისევე ფიქრობდა, როგორც ძმა?! არა, ის ისე ფიქრობდა, როგორც ნესტანი, ის „მართალი სამართლის“ ანუ სიყვარულის მხარეზე დადგა, ოღონდ, გაბრძოლებით მხოლოდ ის შესძლო, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა: საკუთარ თავს მოუსწრაფა სიცოცხლე! ასე რომ, დავარის საქციელი პროტესტია, ამბოხია. დიახ, სულ სხვა გრიგალი დაქრის ამ პოემაში, სულ სხვა, ახალი ხასიათები იკვეთება, როგორც ქალაქები — კლდეში...

ნესტანი ბრძენია. მას მამიდა დავარმა „სიბრძნე“ ასწავლა და არა ფილოსოფია. ამავე დროს, ისიცაა საინტერესო, რომ გენიალური პოეტის მიერ ამ პოემაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, უფრო მეტიც — დანათესავებული, თვით ქაჯეთი და ინდოეთიც კი. აი, ჩვენ ვხედავთ, როგორ დადის ნესტანი ქაჯეთის ციხის ეზოსა თუ ტალანებში, როგორ აკვირდება ყველაფერს, თითქოს რაღაცას იხსენებს, თითქოს ბავშვობის ენაადგმულ მოგონებებს უგდებს ყურს, თითქოს მამიდა დავარის ხმა ესმის... ვხედავთ მცველებსაც, თვალს რომ აყოლებენ ამ მზეთუნახავ ქალს („მჭვრეტთა მზარავს“), ბნელ დერეფნებს რომ ანათებს თავისი შუქით, ბედისწერასავით ამაყი და გამოუცნობი, და მართლაც, სულ მალე, ამ ლამაზი ქალის გულისთვის, ყველანი უკლებლად ჩაიხოცებიან გვირაბებისა თუ ხვრელების მისადგომებთან.

ნესტანი ქაჯეთის ციხეში მთლად უცხოდ არ უნდა გრძნობდეს თავს, მთლად უცხო სამყაროში არ მოხვედრილა. მისთვის აქ თითქმის ყველაფერი ნაცნობია. მამიდა ალბათ ბევრს მოუთხრობდა ამ საოცარ ქვეყანაზე, სადაც გათხოვილი იყო და სადაც დაქვრივდა კიდეც. უნდა ვიფიქროთ, რომ დავარი ნესტანს სწორედ ქაჯეთში აგზავნიდა, რადგან იმ მონებს („პირითა მის ქაჯებითა“), რომლებსაც ნესტანი ჩააბარა და უბრძანა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჰიპია“-ო, ძალიან გაუხარდათ („მათ გაეხარნეს“), ასე გაუხარდება ადამიანს სამშობლოში დაბრუნება, მათ სიხარულისთვის სხვა მიზეზი არ ჰქონდათ.

მაგრამ ნესტანი მარტო მამიდამისის აჩრდილს არ დაჰყვება ციხის ეზოში, სევდიანი ფიქრებითა თუ მოგონებებით შეპყრობილი, მისი პრაქტიკული გონება დაძაბული მუშაობს, იმახსოვრებს ყველაფერს, რასაც ხედავს, ყველა ხვრელს, კარს, სადარაჯოს, ითვლის მცველებს, ადგენს ციხის გეგმას: „ციხეს კზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან, გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან, დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან, მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“.

„გზა გვირაბითა შემოვა“-ო! გზა! ო, როგორ უნდა ნესტანს, ტარიელი რომ მოვიდეს, გამოიხსნას, წაიყვანოს!

ნესტანის წერილი ერთპერსონაჟიანი დრამაა თითქოს, სულის ხეთქების, აფორიაქების, „ხოს“ და „არას“, ლოგიკურისა და ალოგიკურის სუნთქვაშემკვრელი ბრძოლა, შეტაკება ზღვის მოქცევაუკუქცევასავითაა: წადი, ინდოეთს მიხედეო, — თითქოს უბრძანებს, მაგრამ მაშინვე ემუდარება, სთხოვს, ეძახის, მოუხმობს, მოდი, გამანთავისუფლეო. „უშენოდ ჩემი სიცოცხლე ვამე, რა დიდი ძნელია“! ამ სიტყვების მერე როგორ უნდა წავიდეს ტარიელი, რათა რამე „არგოს“ ნესტანის მშობლებს? ის ვერსად ვერ წავა, გარდა... ქაჯეთის ციხისა!

ზოგიერთ მკვლევარს უკვირს, ქაჯეთის ციხის აღება სულ რამდენიმე სტროფით რომ არის გადმოცემული, უფრო დეტალურ, ეპიკური ხასიათის „მხატვრულ აღწერას“ ელოდებოდნენ. პოეტმა კი იმედი გაუცრუა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას საერთოდ არ ახასიათებს ამბის დაწვრილებით აღწერა, ერთი მეტაფორის წყალობით ეპიკოსის ერთი წლის სავალს ერთ წამში გადის, „მოკლედ თქმის“ ოსტატია, არა მარტო რამდენიმე სტროფით, ერთი სტრიქონით შეუძლია მთელი სიცხადით წარმოგვიდგინოს სიუჟეტის რომელიმე მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი. მეორეც, აქ ხომ ციხის აღების სცენის სრულიად ორიგინალური მწერლური გადაწყვეტაა. ეს არის ბატალური სცენის აღწერის სრულიად ახალი ხერხი მსოფლიო ლიტერატურაში.

ქაჯეთის ციხის აღების სცენა პოემაში ზოგიერთ მკვლევარს შეიძლება იმიტომ „ეპატარავება“, ნესტანის წერილებს რომ ივიწყებს, ფატმანსა და ტარიელს რომ გაუგზავნა ციხიდან, სადაც დაწვრილებით აღწერს ქაჯეთის ციხის გეგმას. ბრძოლის დროს ეს წერილები ჩვენს მახსოვრობაში ცოცხლდება და ბრძოლაც ჩვენი გონების თვალწინ, იმ დერეფნებსა, გვირაბებსა თუ ხვრელებში მიმდინარეობს, რომლებზედაც ნესტანი ადრე, თავის წერილებში ლაპარაკობდა. ამიტომაცაა „მოკლე“ ეს ნაწილი და ამიტომაცაა სწორედ იშვიათი, განუმეორებელი, რუსთაველის ოსტატობის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ნიმუში.

არის კიდევ ერთი პატარა დეტალი, რომელიც ამ ბრძოლას უაღრესად რეალისტურ იერს ანიჭებს: როგორც ვიცით, ჩვენი გმირები ქაჯეთის ციხის ასაღებად სამას მეომარს წაიყვანენ, მაგრამ „სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლდა“-ო, იტყვის პოეტი ბრძოლის დამთავრების შემდეგ. ის ას ორმოცი, ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცი უაღრესად აკონკრეტებს ბრძოლას, ვიზუალურად აღსაქმელს ხდის გვამებით მოფენილ ქაჯეთის ციხის ეზოსა და სანგრებს...

მწერლის შრომა ხვნა-თესვასა ჰგავს. მართლაც, ვინც კარგად, ღრმად მოხნავს მიწას, ვინც საიმედოდ, საფუძვლიანად ჩამალავს ხნულში მარცვალს, სწორედ ის მიიღებს მეტ ნაყოფს, ანუ ყველაზე უკეთ გაამჟღავნებს მარცვლის ჭეშმარიტ არსს. წერა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი მისტიკური პროცესია, რადგან დაფარვის საშუალებით აზრის გამდიდრებას გულისხმობს, მეტაფორა ხომ სწორედ ამისთვისაა გაჩენილი. მართლაც, არის იდუმალების ელემენტი ამ საქმიანობაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მხატვრული ტექსტი მისტიკის საკუთრებად გამოვაცხადოთ. აქედან კაბალისტიკამდე ერთი ნაბიჯია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არის რამდენიმე ცდა რუსთველოლოგიაში, პოეტი მისტიკისადმი მიდრეკილ მოაზროვნედ წარმოგვიდგინონ. რუსთაველი ხალხის წიაღიდან ამოზრდილი, უნათლესი პოეტია...

8.

ვეფხისტყაოსანი შავთელისა და ჩახრუხაძის პოემებისაგან განსხვავდება არა მარტო გრანდიოზული მხატვრულობით — თუმცა, ისინიც მაღალმხატვრული ნაწარმოებებია — არამედ პროგრესიული პოლიტიკური პრობლემითაც, პოზიციითაც, რაც განსაკუთრებით საინტერესოა.

თუ შავთელისა და ჩახრუხაძისთვის მეფე (პირველ შემთხვევაში — დავით აღმაშენებელი და თამარი, ხოლო მეორე შემთხვევაში — თამარი!) ღმერთისგან არის მოვლინებული, შეიძლება ითქვას, ამქვეყნიური ღმერთია, ვეფხისტყაოსანში მეფისადმი კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობა, უფრო ზუსტად — რუსთაველი ასხვავებს მეფეებს, ყველა მეფე მისთვის ერთნაირი არ არის, „დიდი ძეს“ კარგ მეფესა და ცუდ მეფეს შორის.

რასაკვირველია, ეს იდეა, ეს იმდროისათვის მკრეხელური აზრი, ანუ ანტიფეოდალური, ანტიპატრონყმური გაბრძოლება, პოემის ზედაპირზე ხელშესახებად არ დევს, მაგრამ ნაწარმოების ანალიზი, გმირთა ხასიათების გადასინჯვა ფსიქოლოგიური რეალიზმის კრიტერიუმებით (ამის საშუალებას პოემა იძლევა), ცხადსა ხდის პოეტის პოლიტიკურ მრწამსს, რომელიც ძალიან განსხვავდება ლირიკული პოემების ავტორთა ქვეშევრდომული ოლტაცებისაგან და, როგორც რადიკალური სიახლე იმ დროის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, წარმოადგენს ნამდვილად რენესანსულ მოვლენას.

ვეფხისტყაოსანში ახალი ცხოვრება იწყება, იქმნება ახალი ოჯახები. და ეს ხდება დიდი ბრძოლითა და დრამატიზმით. ეს კი იმითაც არის საყურადღებო, რომ პოემაში აშკარად შეიმჩნევა ძველისადმი, არსებულისადმი დაპირისპირების ტენდენცია. დიახ, აქ ძველის წიაღში ისახება ახალი ცხოვრება! არც ერთი იმდროინდელი სარაინდო რომანი, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურაში, ასეთ სიმაღლეზე არ ასულა! თუნდაც ამიტომ არ შეიძლება სწორი იყოს მკვლევარების ის მოსაზრება, თითქოს პოემაში გამოხატული სამყარო, საზოგადოება ჰარმონიულია და, ამავე დროს, ზუსტად გამოსახავს სინამდვილეში არსებულ ასევე ჰარმონიულ საზოგადოებას, ქართულმა პატრონყმურმა ურთიერთობამ რომ წარმოშვა „ციხე-კოშკების, გალავნიანი ქალაქების, ჯავშანში ჩამსხდარი რაინდების გარემოთი“, სადაც „ყველა კმაყოფილია თავისი ხვედრით“ და [illegible] „საზოგადოებრივი სინამდვილე აყენებს ადამიანის პიროვნული დრამის პრობლემებს, მაგრამ არა სოციალურს“. ასეთ მოსაზრებებს კ. კეკელიძის მართალი სიტყვები უნდა დავუპირისპიროთ: „...არაბეთში არაა... „ჰარმონიული“ მდგომარეობა და სულისკვეთება... პოემა ამ მხრივ სულ სხვა სურათს იძლევა“.

მართლაც, თვალის ერთი გადავლებითაც კი ჩანს, რომ არაბეთსა და ინდოეთში მაინცდამაინც დიდი სიამტკბილობით არ ცხოვრობენ. ნუთუ ის სამი ძმა, ტარიელის გაძარცვას რომ მოინდომებენ, კმაყოფილები არიან თავიანთი ხვედრით? ნუთუ ავაზაკობა, მეკობრეობა კმაყოფილებას გამოხატავს, საზოგადოებრივი ჰარმონიის ნიშანია? ჩვენ ხომ ვიცით, რომ სწორედ იმ ეპოქაში ძალიან იყო გავრცელებული ყაჩაღობა და მეკობრეობა. ტყუილად კი არ იყო შემოღებული „კაცისა ძელზე ალბმა“ ქურდობისათვის. რომელ კმაყოფილებაზე, რომელ ჰარმონიაზე შეიძლება ლაპარაკი, სადაც ერთი „თხაა“, მეორე კი — „მგელი“? განა „მიეც გლახაკთა საჭურჭლე“ სოციალურ ჰარმონიის ნიშნავს? ან ამდენი „ობოლი“, „ქვრივი“, „მათხოვარი“ მხოლოდ „პიროვნული დრამის პრობლემებია“? განა ტარიელის დრამა სოციალური ხასიათისა არ არის? გაზარდეს, მისი სამეფო შემოიერთეს, მიესიყვარულნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ასული ცოლად არ გაატანეს, იმიტომ, რომ ვასალის შვილი და თვითონაც ვასალი იყო. იცოდნენ, ნესტანს რომ უყვარდა, მაგრამ მისი გრძნობა არაფრად ჩააგდეს. ჩვენ ვნახეთ, თუ რა სასტიკად დასაჯეს მშობლებმა ნესტანი წინააღმდეგობის გაწევისთვის — რაც საკუთარი სიცოცხლისათვის ბრძოლა უფრო იყო, ვიდრე მშობლების წინააღმდეგ ამბოხი, — გულიდან მოიწყვიტეს, მოიშორეს, გადა-

აგდეს, დაკარგეს, სასიკვდილოდ გაიმეტეს!

როგორც ჩვენმა მკვლევარებმაც შეამჩნიეს, ფარსადანი — ნესტანის მამა — სასტიკი მმართველია და დადებითი თვისებებით არ გამოირჩევა. მერე და მერე დავინახავთ და დავრწმუნდებით, რომ როსტევანი ფარსადანზე სასტიკი და დაუნდობელი ყოფილა. ერთი წუთით დავუშვათ, ხვარაზმშას მეორე ვაჟი რომ ჰყოლოდა და იმ ვაჟს თინათინის შერთვა მოენდომებინა, განა თინათინი და ავთანდილი შეიძლებოდა მშვიდად ყოფილიყვნენ?

„მისი გმირების მთავარი სილამაზე მათ სიმართლეშია“-ო, ამბობდა დოსტოევსკი პუშკინის შესახებ. დიახ, „მთავარი სილამაზე“ რუსთაველის გმირებისა ის გახლავთ, რომ მიწაზე უდგათ ფეხი და, აკაკი წერეთლისა არ იყოს, ნაოცნებარი და ჰაეროვანი კი არ არიან, არამედ ცოცხალი, ნამდვილი არსებანი. ამითაა სწორედ საინტერესო ეს პოემა. ამავე დროს, უსათუოდ გასათვალისწინებელია ის ამბავიც, რომ მისი გმირების ურთიერთობის **საშინაო პირი** (თუ შეიძლება, ასე ითქვას) სხვაა, **საგარეო** კი — სხვა, გარეთ ნიღბები უკეთიათ და „ჭრელად“ ელაპარაკებიან ერთმანეთს. თუკი ავტორის მიერ შემოთავაზებულ ამ პირობითობას არ გავითვალისწინებთ, მორიდებით რომ ვთქვა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

ტარიელი სასიძოს მოკლავს, ფარსადანი ამ ამბავს რომ გაიგებს, გაბრაზდება და ტარიელს შეუთვლის: „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე“-ო. ტარიელი კი უპასუხებს: სასიძო იმიტომ მოვკალი, რომ ინდოეთის ტახტს ცოცხალი თავით არავის დავუთმობო. ამით ნესტანის (რომელმაც ჩაიფიქრა ეს მკვლელობა) დანაშაულს თავის თავზე იღებს („დანაშაულზე ფიქრიც დანაშაულივით შემზარავია“-ო, ამბობს რასინი „ფედრას“ წინასიტყვაობაში), ცდილობს ნესტანს აარიდოს ოდნავი ეჭვიც კი, საერთოდ ჩამოაშოროს ნესტანის სახელი ამ სისხლიან დრამას. გრძნეული დავარი მაინც მიხვდება სიმართლეს და ნესტანს ეტყვის: „როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე“-ო! ტარიელი კი გაიძახის: „სხვა მეფე იჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!“ (ესეც ნესტანმა ასწავლა!).

ეს არ არის „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, რომელიც დიდიხნის მერე, სულ სხვა პოლიტიკურ ვითარებაში გაჩნდა, როგორც ამბოხებულთა მოწოდება. ტარიელი თავისუფალი, გალაღებული, ძლიერი, თვითონ დამპყრობი ქვეყნის შვილია. ტარიელი რომ ინდოეთიდან წამოვა და ნესტანის ძებნას დაიწყებს, მას მერე ერთხელაც კი არ გაახსენდება ინდოეთი, რა ბედი ეწია, გამძვინვარებულმა, გამწარებულმა ხვარაზმშამ ხომ არ აიკლო იქაურობა, რაც სავსებით მოსალოდნელია. არა, ტარიელს ეს სრულებითაც არ აღელვებს, მან იცის, ამ ქვეყნად არ არსებობს ძალა, მის სამშობლოს რაიმეს რომ დააკლებს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტარიელი ხვარაზმშას ვაჟს იმიტომ ჰკლავს, ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძვისო.

ტარიელს ნესტანის სიყვარულის მეტი სხვა იდეა არ ამოძრავებს, არც სასიძოს მოკვლამდე და არც სასიძოს მოკვლის შემდეგ. სასიძოსაც ნესტანის ჯიუტი წაქეზებით კლავს. მართალია, ფეხს ითრევს, არ უნდა, მაგრამ ბოლოს მაინც ნესტანის ხათრი დაძლევს და ეს მძლეთა მძლე გმირი, რომელიც კეთილშობილების, რაინდობის განსახიერებაა, მიეპარება სტუმარს და მოკლავს...

აი, რა ძალა აქვს სიყვარულს, აი, როგორ „აბრმავებს“ ზოგჯერ ის ყველაზე ნათელ გონებასაც კი!

ხოლო, რაც შეეხება ბრძოლას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ტარიელი ამ ცნებას საერთოდ არ იცნობს და არც შეიძლება იცნობდეს. მისი სამშობლო ისედაც დამოუკიდებელია, აღზევებულია და ძლიერი. საგმირო საქმეებს, რომლებსაც მისგან ნესტანი მო-

ითხოვს, თავდაცვითი კი არა, პირიქით, შემტევი ხასიათი აქვს.

ქართველმა ხალხმა ეს იდეა მერე ამოიკითხა ვეფხისტყაოსანში, მერე, როცა თავისუფლება დაკარგა და გამაჰმადიანებული მბრძანებლების ხელში აღმოჩნდა. ზევით ვთქვი, ჩვენმა ხალხმა პოემაში თავისი ბედის ამოცნობა სცადა-მეთქი. დიახ, მან იქ იპოვა ერთი დიდი, სახელმძღვანელო აზრი: თავისუფლებას ისევე უნდა გაფრთხილება, როგორც თვალის ჩინს და ამისათვის არასოდეს არ არის გვიან, მაშინაც კი, როცა იმედის ნატამალიც კი აღარ კიაფობს, რადგან თავისუფლებისათვის ბრძოლა იგივე თავისუფლებაა! ასე იქცა ვეფხისტყაოსანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშად.

სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი-ო.

წამოისვრის აკაკი წერეთელი კონკრეტული ხასიათის ლოზუნგს, შთაგონებულს შოთა რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო ქლერადობის სტრიქონით: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

რუსთაველი ამბობს: „ხამს მეფეთა ერთგულება“-ო, მაგრამ აშკარაა, რომ მისთვის სულერთი არ არის, რომელ, უფრო სწორად **როგორ** მეფეზეა ლაპარაკი. მკვლევარებმა შენიშნეს, რომ პოეტი ძალიან დაუნდობელია ფარსადანის მიმართო, მაგრამ პოეტს არა მარტო ფარსადანი, როსტევანიც არ ახატია გულზე, როსტევანის მიმართაც დაუნდობელია, როსტევანის, რომელიც საერთო სიმპათიით სარგებლობს ჩვენი მკვლევარების შრომებში. რუსთაველი ფარსადანს როსტევანს კი არ უპირისპირებს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ ფარსადანსა და როსტევანს აერთიანებს საერთო — **დესპოტიზმის** — ნიშნით და მათ, ანუ ფარსადანსა და როსტევანს უპირისპირებს **ახალ მეფეებს**, საკუთარი **ღირსებებით** რომ მოიპოვებენ ტახტს — ავთანდილსა და ტარიელს!

რუსთაველის ბრძოლა მეფის წინააღმდეგ უკეთესი მეფის სახელით — ბაგრატიონების დინასტიის წინააღმდეგ ბრძოლა კი არ არის, არ შეიძლება ასე დავაკონკრეტოთ პოემა, ისტორიული ანალოგიები ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, არამედ ეს არის დიდი რენესანსული იდეა, ანუ „ოცნება იდეალურ მმართველობაზე“.

იყო არაბეთს როსტევან,
მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი,
ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე,
მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო,
კვლა მოუბარი წყლიანი —

თითქმის მთელი ცხოვრებაა დაფორმულებული ამ ოთხ სტრიქონში, ერთ სტროფშია ჩატეული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თვისება ხელმწიფისა. ეს სტროფი, როგორც ხედავთ, არაბეთის მეფე როსტევანის ქებათა-ქებაა. ყველა მეფე, რაც უნდა დიდი წარმოდგენისა ყოფილიყო საკუთარ თავზე, უსათუოდ კმაყოფილი დარჩებოდა, მისთვისაც ასეთი სტრიქონები რომ ეძღვნათ. მაგრამ ეს დასაწყისი, შესავალია მხოლოდ, ამიტომაც სიფრთხილე გვმართებს, დაკვირვებით უნდა მივადევნოთ თვალი როსტევანის ხასიათის განვითარებას. მართლაც, როდესაც პოემის სიღრმეში შევდივართ, როცა როსტევანის ხასიათს მოქმედების დროს — **სცენაზე** ვაკვირდებით, ვგრძნობთ, ნამდვილად ისე რომ არ არის საქმე, როგორც ზემოთ მოყვანილ სტროფშია წარმოდგენილი. როსტევანის ბიოგრაფიის პირველ აბზაცში გამოთქმული ეპითეტები ცალკე რჩება, მეფის ნამდვილი სახე კი — ცალკე. მერე კი (თანდათანობით!) ვრწმუნდებით, რომ პოემაში ფარულად („შეფარვით“) **სასტიკადაა გაკრიტიკებული** ყველას გასაგონად ნაქები მეფე. თანდათანობით იმაშიც დავრწმუნდებით, რომ ხასიათის ორპლანიანობა, ქვეტექსტურობა საერთოდ დამახასიათებელია რუსთაველისთვის, რაც ამაღლებს კი-

დევ მას ძველი დროის ყველაზე დიდ შემოქმედთა შორის.

ქართულ კრიტიკაში შეინიშნება მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა ერთგვარი გაფეტიშება. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, იაკობ ცურტაველის ცნობილი რომანის მთავარ პერსონაჟს — შუშანიკს. რუსთაველის გმირები ხომ კერპთა ქანდაკებებივით არიან წამომართულნი მკვლევარების წიგნებში. არადა, ისინი, პოეტის ჩანაფიქრით, იმიტომ არიან მშვენიერები, ნამდვილი ადამიანები რომ არიან!

> მეფემან იხმნა ვაზირნი,
> თვით ზის ლალი და წყნარია.

რა მშვენიერი სიტყვაა **„წყნარი“**, რა ზუსტად გამოხატავს როსტევანის სულიერ მდგომარეობას: მას ხომ თინათინის გამეფების საქმე მოგვარებული აქვს, ხოლო ის, რაც ამის შემდეგ ჩვენს თვალწინ გათამაშდება, კარგად დადგმული სპექტაკლია, მეტი არაფერი. მეფე ვეზირებს გაანდობს თავის სურვილს, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ ფორმალური ჟესტია, რადგან ვეზირებმა ალბათ კარგახანია იციან მეფის განზრახვა, ანდა ხვდებიან, გრძნობენ მაინც. მართლაც არც ისე ძნელი მისახვედრია, რა უნდა აწუხებდეს უმემკვიდრო მეფეს.

> მე გარდავსულვარ. სიბერე მჭირს.
> ჭირთა უფრო ძნელია.
> დღეს არა, ხვალე მოვკვდები.
> სოფელი ასრე მქმნელია,
> რაღაა იგი სინათლე,
> რასაცა ახლავს ბნელია?
> ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ,
> ვისგან მზე საწუნელია.

ჯერ **„ძეს“** ამბობს, **„ასულს“** — არა, ყოველ შემთხვევისათვის. არ უნდა, გაამწვავოს ვითარება, ჯერ ნიადაგს სინჯავს, ცოტახნის მერე კი უფრო თამამად იტყვის: „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან“-ო. ხედავთ, რა უცებ კარგავს მნიშვნელობას ზმნის მრავლობითი ფორმა **„დავსვათ“** — საპნის ბუშტსა ჰგავს იგი, ანდა წყალზე დაწერილ ფიცს, ხელმწიფის ზვიად **„დავსვი“**-სთან შედარებით. საინტერესოა, რომ ვეზირებმა მაინც გაიბრძოლეს: „მაგას ნუ ჰბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია...“ ორფსკერიან ყუთივითაა ეს ფრაზა: აქ არა მარტო ქათინაურია გამოთქმული, არამედ იმის ნამდვილი მიზეზიც, თუ რატომ თანხმდებიან ვეზირები მეფის სურვილს („ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია“!) როსტევანი **ჯერ კიდევ** ძლიერია, არა მარტო როგორც მეფე, არამედ — როგორც მეომარიც. აქ მის ფიზიკურ სიძლიერესაც აქვს გასმული ხაზი. მართალია, ჩვენს ზოგიერთ მკვლევარს როსტევანი „ღრმა მოხუცებული“ ჰგონია, მაგრამ ეს ასე რომ არ არის, პოემაში სულ მალე გამოჩნდება — ნადირობის დროს, რომელიც სამხედრო მანევრებს უფრო ჰგავს ამ ვითარებაში, ვიდრე სპორტულ გართობას. როსტევანი სწორედ აქ ამტკიცებს თავის ფიზიკურ სიძლიერეს, თავის **ახალგაზრდობას**. მან იცის, რომ სხვანაირად (თუკი ის მართლაც ბებერი და უძლური იქნება), მის ქალიშვილს ტახტს არავინ გააკარებს; ამიტომაც, თვითონ, საკუთარი ხელით უნდა გააკეთოს ეს და ამიტომაა სწორედ საჭირო, რომ მისი ეშინოდეთ ისევე, როგორც ადრე. ეტყობა, ამ სამეფო კარზე ნადირობა ხშირად იმართება, თანაც, როგორც წესი, ყოველთვის როსტევანი იმარჯვებს.

> ლეკვი ლომისა სწორია,
> ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

დაიკნავლებენ ვეზირები და ამ არაჩვეულებრივი, ვირტუოზული ლიქნით აბრჭყვიალებულ ფრაზაში გვირგვინოსანი ლომის ბუხუნი გაისმის. დიახ, აქ **„ლომს“** უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე „ძუს“ ან „ხვადს“...

> არაბეთს გასცა ბრძანება
> დიდმან არაბთა მფლობელმან:
> „თინათინ ჩემი ხელმწიფედ
> დავსი მე, მისმან მშობელმან;
> მან განანათლეს ყოველნი,
> ვით მზემან მანათობელმან.

მოდით და ნახეთ ყოველმან:
შემსხმელმან, შემამკობელმან!

ეს მარტო ბრძანება კი არაა, **გაფრთხილებაცაა:** სხვა არავინ, მხოლოდ მაქებარი, „შემამკობელი“ მოვიდესო.

თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით გამართულ ნადიმზე როსტევანი უეცრად მოიწყენს. ავთანდილი და ვეზირი სოგრატი დაღვრემილ მეფესთან გასამხიარულებლად მივლენ... მეფე შესჩივლებს, დავბერდი, მემკვიდრე არა მყავსო. მან უკვე მიაღწია თავის საწადელს: ასული დასვა ხელმწიფედ. ახლა შეუძლია სიმართლე თქვას — „ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი“-ო. აი, რა აწუხებს მას. მახსენდება კ. კეკელიძის ძალზე მახვილგონივრულად ნათქვამი სიტყვები: როსტევანს რომ ვაჟი ყოლოდა, იმას გაამეფებდა და არა თინათინსო. მეფისთვის რომ გუნება გამოესწორებინა, ავთანდილმა შესთავაზა, მოდი, ნადირობაში შევეჯიბროთო. ავთანდილმა და მეფემ დათქვეს:

ვინცა იყოს უარესი,
თავ-შიშველი სამ დღეს ვლიდეს-ო.

უქუდოდ სიარული შეიძლება სამარცხვინოდ ითვლებოდა იმ დროს, მაგრამ ნამდვილად უმნიშვნელო სანაძლეოა ისეთი პიროვნებებისათვის, რომელთაგან ერთი მეფეა, ხოლო მეორე — სპასპეტი, ახალგამეფებული თინათინის მიჯნური! ამასთანავე, ჭკვიანი კაცი მეფეს შეჯიბრს რომ შესთავაზებს, თანაც გუნების გამოსასწორებლად, გასამხიარულებლად, სიბერის დასავიწყებლად, რასაც როსტევანი უჩივის („სიბერე მჭირს“). რასაკვირველია, წინასწარაა მზად სანაძლეოს წასაგებად, ძალიანაც რომ სჯობდეს მეფეს. მაგრამ ავთანდილს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ მეფე არ შეიძლებოდა ყოფილიყო „**უარესი**“. აი, სად დაუშვა მან თავისი ერთადერთი, საბედისწერო შეცდომა, რაც სამი წლით განდევნის ფასად დაუჯდა. თუმცა, როგორც ადამიანმა, ამ განდევნის წყალობით, ბევრი რამ შეიძინა კიდეც, თუნდაც, როგორც პიროვნებამ, შეიცნო საკუთარი თავი.

ამავე დროს, სანაძლეო, რა თქმა უნდა, სულ სხვა, შეუდარებლად მნიშვნელოვან რამეზე იყო დადებული. ფრჩხილები რომ გავხსნათ — **გამარჯვებული სამეფოს იგებდა!** ანუ ერთი ინარჩუნებდა, მეორე კი — იძენდა! და ორივემ, მეფემაც და სპასპეტმაც, ეს ძალიან კარგად იცოდა, ასეთი სანაძლეოს დადება მეფესთან, ჯერ კიდევ არ იყო მთავარი შეცდომა ავთანდილისა. როცა მეფემ თქვა, ჩემს სამეფოში ჩემი ბადალი მონადირე არ მეგულებაო, ავთანდილმა უპასუხა: „მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნილა უკუთქმანია. გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“-ო. მერე, გინდაც სხვა არაფერი მომხდარიყო, ესეც კმაროდა მეფის გასარისხებლად, მარტო ამ ორ სიტყვას — „ცუდნილა უკუთქმანია“ — არ აპატიებდა ავთანდილს როსტევანი.

როსტევანი, რა თქმა უნდა, შეჩვეულია გამარჯვებას. უფრო მეტიც — სხვანაირად ვერც კი წარმოუდგენია! „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებლად... ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუმცდარებლად“ — ეუბნება ავთანდილს და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ამ თორმეტ მხლებელ მონასთან ერთად შერმადინსაც ასახელებს: „ერთაი შენი შერმადინ...“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეფეს არ უნდა **მათი არბიტრები ობიექტურები იყვნენ! შერმადინის ჭკუის იმედი აქვს,** ავთანდილს ხელს დაუჭერს, გააფრთხილებს, გამოაფხიზლებს, მეტი არ მოგივიდეს, მეფეზე მეტი არ დახოცოო. მაგრამ იმის ილუზიურმა წარმოდგენამ, ავთანდილი მალე თვითონვე რომ გახდებოდა მეფე, როგორც თინათინის ქმარი, შერმადინს ჩვეული სიფხიზლე დაავიწყა, თავბრუ დაახვია, თუმცა რას წარმოიდგენდა ვინმე, მათ შორის შერმადინიც, სრულებით რომ არ აპირებდა როსტევანი ტახტის დათმობას, თუნდაც, თინათინისთვის. მან თინათინი ტახტზე მხოლოდ იმიტომ დასვა, ყველას რომ დაჰკარგვოდა მადა ამ ტახტის დაუფლებისა.

არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ როსტევანი მარტო თორმეტი მონისა და შერმადინის თანდასწრებით არ აპირებს ავთანდილთან შეჯიბრებას, არამედ — მთელი ხალხის თვალწინ, ანუ უამრავი და უამრავი მოწმის თანდასწრებით: „ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: მოდით და მოიჯარენით". ასე სახალხოდ თავის მოჭრას კი არც ერთი მეფე არ აპატიებს არავის, თუნდაც ის ავთანდილი იყოს, მისი ქალიშვილის საქმრო. თუმცა შეიძლება **განსაკუთრებით** მას არ აპატიოს!

ამრიგად, მოხდა ის, რასაც როსტევანი ყველაზე ნაკლებად ავთანდილისგან ელოდა: ავთანდილი ვერ მიხვდა, რომ ეს ნამდვილი ნადირობა კი არ იყო, არამედ, როგორც უკვე ვთქვი, მანევრები, ანუ მეფის ძლიერების ჩვენება, ანუ მათი გაფრთხილება, ვინც ერთი წამით მაინც დაიჯერა როსტევანის სიბერე.

ავთანდილ იყო სპასპეტი,
ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი,
მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერთ უწვერული, სადარო
ბროლ-მინა საცნობარისა;
მას თინათინის შვენება
ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.

ეს არის და ეს! გენიალური პოეტი ამით გვეუბნება, რომ ავთანდილი, ჯერჯერობით, ფიზიკურად ძლიერი, ლამაზი კარისკაცია მხოლოდ, არავითარი განსაკუთრებული თვისება არ გააჩნია და არც მოეთხოვება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოემის დასაწყისის ავთანდილი ბევრი-ბევრი მომავალი როსტევანია, იგი ხომ როსტევანის მიერაა აღზრდილი და გაწვრთნილი! ყოველ შემთხვევაში, ავთანდილი უსათუოდ ასეთი იქნებოდა, არაბეთიდან უცხო მოყმის საძებნელად რომ არ წასულიყო. სხვათა შორის, ზემოთ მოყვანილ სტროფში ტყუილად არ არის ნახმარი სიტყვა: „ჯერთ"! დიახ, ჯერჯერობით, ავთანდილი მარტო „უწვერული" კი არა. საერთოდ, **ავთანდილი არ არის!** სასწაულმოქმედის ხელითაა ჩასმული ეს პაწაწინა სიტყვა სწორედ იმ ადგილას,— სწორედ იმ ბორცვზეა დასკუპებული, საიდანაც სტროფში განფენილი სივრცე, მის გამო, რაღაცის დიდის, მნიშვნელოვანის მოლოდინით ივსება (პირველად ნამდვილ ავთანდილს მაშინ დავინახავთ, როცა ასმათს დაიყოლიებს. მას ხომ დარწმუნების, დაყოლიების, დამორჩილების გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა! შეიძლება ეს თვისება მისთვისაც მოულოდნელია, შეიძლება კი არა, ნამდვილად ასეა, მაგრამ ავთანდილი კიდევ ბევრ ახალ რამეს აღმოაჩენს საკუთარი არსების სიღრმეში!).

ავთანდილმა როსტევანზე „ოცითა უფროსი" დახოცა მხოლოდ. თუ გავიხსენებთ ავთანდილის ბრძოლას მეკობრეებთან, რომელიც ავთანდილის ფიზიკური შესაძლებლობის დემონსტრაციაა, დავინახავთ, თუ რა ძლიერი ყოფილა როსტევანი! მართლაც, სწორედ ასეთი ძლიერი უნდა ყოფილიყო, ტახტზე რომ თავისი ასული დაესვა.

ავთანდილმა როსტევანზე ოცი ნადირით მეტი დახოცა და... დაისაჯა კიდეც ამისთვის! პირველი ხელმწიფური აქტი, რომელიც კი თინათინმა განახორციელა (თუ განახორციელებინეს!) თავისი საქმროს დასასჯელად იყო მიმართული: ავთანდილი სამი წლით მოიშორეს თავიდან. უცხო მოყმის ამბავი მშვენიერ მიზეზად იქცა ამისათვის. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. ყველა იმდროინდელი ხელმწიფე იგივეს გააკეთებდა, ფეოდალური სახელმწიფოს სათავეში ძლიერი მეფე-მეომარი უნდა მდგარიყო. ბუნებრივია, რომ ასეთი მეფე მეტოქეს ვერ აიტანდა. ამიტომ, არც მეტოქეს უნდა დაეშვა შეცდომა, არ უნდა განერისხებინა მბრძანებელი.

(ნადირობის სცენაში არის ერთი ფრაზა, იმდენად დინამიური, უნებლიედ გინდა, ხელი წაატანო, ფურცლიდან რომ არ გასხლტეს, არ გაიქცეს: „მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს"...)

ნადირობის დროს როსტევანმა და

მისმა ამალამ ნახა „უცხო მოყმე", რომელიც წყლის პირას იჯდა და ტიროდა. როსტევანმა მის დასაძახებლად მონა გაგზავნა, მაგრამ რაინდმა მონას ყური არ ათხოვა, არც კი გაუგია მისი ხმა. „იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა". მონა გაწბილებული დაბრუნდა, როსტევანი განრისხდა: „მეფე გაჰკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე". ახლა თორმეტი მონა გააგზავნა, „მიდით და აქა მომგვარეთ"-ო, ანუ შეპყრობა დაუპირა რაინდს. იმ რაინდმა კი, რაც მეტად ბუნებრივია და სხვანაირად ძნელი წარმოსადგენიც, არ შეაპყრობინა თავი მონებს. ახლა მეფემ მთელი ლაშქარი მიუსია და თვითონაც გაექანა რაინდის შესაპყრობად. როსტევანისგან განსხვავებით, რაინდმა დაინახა რა მეფე, ადგა და გაერიდა, პატივი სცა, როგორც ნამდვილ რაინდს შეეფერებოდა.

ტარიელი გაქრა.

როსტევანი გადაირია!

„ლაშქარი მკვდართა სტიროდეს,
სწრაფვა აქვს წყლულთა ხვევისა..."

როსტევანი კი იმაზეა გაცოფებული, უცხო რაინდი რომ ვერ შეიპყრო (სხვათაშორის, ვინც კი ტარიელს დაინახავს, თავდაპირველად მისი შეპყრობის მწველი სურვილით განიმსჭვალება ხოლმე. „მისი მოგვინდა შეპყრობა"-ო, ამას სამნი ძმანი ხატაელნი ამბობენ. ტარიელის შეპყრობა, როსტევანივით, უნდოდა ერთ, ჩვენთვის უცნობ მეფესაც, ცოტა ხნით ადრე, სანამ ტარიელი ავთანდილს შეხვდებოდა).

„ენახეთ მიზეზი ლხინთა ლევისა", — ეს როსტევანის სიტყვებია. არ ყოფილა ჯერ შემთხვევა, რომ მისი ბრძანება, სურვილი არ შესრულებულიყოს და აი, აქ რუსთაველი იტყვის ფრაზას, რომლის წყალობითაც დავინახავთ, რომ როსტევანს სხვებიც, მათ შორის მისი ახლობლებიც, ამტყუნებენ: „ზოგმა თქვეს, თუ „მართალია", ზოგი: „ღმერთო! უზრახვიდა".

გურამ პეტრიაშვილი თავის სტატიაში „გვაქვს უთვალავი ფერითა" როსტევანის მართლაც უცნაურ განრისხებას უცხო მოყმეზე სამართლიანად ხსნის, იმ წყენით, რომელიც ნადირობის დროს ავთანდილთან დამარცხებამ მიაყენა. აი, აქ იფეთქა მისმა ბრაზმაო. საერთოდ, როსტევანის ხასიათის გაანალიზებისას გურამ პეტრიაშვილი, ძირითადად, სწორ პოზიციაზე დგას, არც როსტევანის „ნებიერობა" რჩება შეუმჩნეველი და არც ის, „თუ როგორ ესროლა სკამი სოგრატს" ამ „მოწყალე" ხელმწიფემ. მაგრამ, ჩემი აზრით, სცდება, როდესაც წერს: „როგორც მეფეს, ცხადია, გაეხარდა ავთანდილის გამარჯვება (ხომ სწორედ ამისთვის იყო ნადიმზე დაღონებული, ვერავინ მჯობნისო), მაგრამ როგორც ადამიანმა ეს მიიღო მოხუცებულობისა და სიკვდილის მიახლოებად და მის ქვეცნობიერებაში დარჩა უსიამოვნო შეგრძნებად, რომელმაც მაშინვე წამოჰყო თავი, როგორც კი საბაბი მიეცა ამისათ". არა! როსტევანი ნადიმზე აშკარად თამაშობდა დაღონებას. დიახ, **თამაშობდა!** რუსთაველმა ტყუილად როდი იხმარა ტერმინი **„ჭრელი"** — თუკი არსებობს „ჭრელი საუბარი", არსებობს „ჭრელი ქცევაც": ამას თუ დავივიწყებთ, ბევრი ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესო ნიუანსი შეუმჩნეველი დაგვრჩება და იმ მკითხველებს დავემსგავსებით, რომლებსაც თვითონ გ. პეტრიაშვილი ასე მკაცრად, თუმცა სამართლიანად აკრიტიკებს. სწორედ რომ **მეფეს** არ გაუხარდა ავთანდილის გამარჯვება! ზემოთ უკვე ვთქვი და კიდევ დავამტკიცებ, რომ ყველაფერზე მეტად, მას, რასაკვირველია, ის არ ესიამოვნა, მისმა აღზრდილმა იმდენი ჭკუა რომ ვერ იხმარა, მეფისთვის არ ეჯობნა, თანაც მაშინ, როცა მეფეს ასე **სჭირდებოდა გამარჯვება!**

როსტევანი რის როსტევანი იქნებოდა, თავისი სიბრაზე სახალხოდ გამოეხატა. ეს ხომ კიდევ უფრო გაამძაფრებდა მისი დამარცხების ამბავს სხვათა თვალში. მან, როგორც ეს ძლიერ პიროვნებას და ჭკვიან მმართველს ეკადრება, საქვეყნოდ, სხვების გასაგონად

სიხარულიც კი გამოთქვა ავთანდილის გამარჯვების გამო. მაგრამ დააკვირდით აქ ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსს — „უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“! — ამ ფრაზაში მთავარი აზრობრივი აქცენტი მოდის სიტყვებზე: **„მისისა განაზარდისა“!** ანუ მეფემ ავთანდილის გამარჯვება ღიმილითა თუ სიცილით („სიცილით ლაღობს“) მაინც თვითონ მიიწერა: ეს მან ასწავლა, მან გაზარდა, მან გაწვრთნა ასეთი ავთანდილი, მხოლოდ და მხოლოდ, მისი წყალობაა, ავთანდილმა ასე კარგად რომ ინადირა! მას სიბრაზის გადმოსანთხევად სხვა საბაბი სჭირდება და, როგორც გ. პეტრიაშვილი აღნიშნავს, იპოვა კიდეც — „უცხო მოყმე“ სწორედ რომ ბედზე გამოჩნდა!

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ მოიპოვება ასე „უკუთქმით“ შესრულებული პორტრეტი პერსონაჟისა. ასე რომ, რუსთაველი არა მარტო „შეფარვით ქების“ დიდოსტატია, არამედ — შეფარვით ძაგებისაც! ესეც ხომ რუსთაველის ნათქვამია: „მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა...“

შევეცდები, სხვა მაგალითებიც მოვიყვანო, თუმცა უკვე ნათელია, რომ რუსთაველის დამოკიდებულება მეფისადმი, უზენაესი მმართველისადმი, მბრძანებლისადმი — კრიტიკულია. მას ეჭვი ეპარება აბსოლუტური მბრძანებლის სამართლიანობაში და მიტომაც მისივე სიტყვებს პოემის პროლოგიდან: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს“-ო, მეფისადმი პოეტის დამოკიდებულების გარკვევის დროს ვერ გამოვიყენებთ.

რა თქმა უნდა, როსტევანს დადებითი თვისებებიც აქვს, მაგრამ, როცა ამ თვისებებს ვიხსენებთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს როსტევანის ვეზირი „ბერი სოგრატი“. რუსთაველი პოემაში შემთხვევით, თუნდაც ერთი შთამბეჭდავი პასაჟის გულისთვის, არავის შემოიყვანდა. როგორც ჩანს, როსტევანის სიბრძნის, სამართლიანობის, გონივრული მმართველობის უდიდესი ნაწილი სოგრატის წყალ[illegible] ისეთი პერსონაჟია, რომელიც [illegible] ორ როლს ასრულებს: ერთს აშკარას, ანუ ვეზირისას (რომელიც „მოსამართლე და მორჭმული“ მეფის ხელით უსათუოდ დაილუპებოდა, მისგან ნასროლი სკამი რომ არ აეცდინა) და მეორეს — **ფარულს**, ანუ მეფის მოკარნახისას, მეფის საჯარო გამოსვლების **უჩინარი ავტორისას**, კულისებიდან რომ მუხტავს ენერგიით როსტევანის ხელმწიფურ ძლევამოსილებას.

მეფე თინათინმა სარდალი ავთანდილი დაიბარა და უბრძანა, უცხო მოყმის ამბავი გაგვიგეო. შენ იმიტომ გავალებ ამას, რომ „სამსახური ჩემი გმართებს“-ო, არ დაგავიწყდეს „ყმა“ და, თანაც, „ჩემი მიჯნური“ რომ ხარო (ამ შემთხვევაში, რაინდი და ვასალი ერთ ცნებაშია გაერთიანებული).

ავთანდილისთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ არის („მე სიკვდილსა მოველოდი“), იცის (უკვე მიხვდა), რაც ჩაიდინა, იმის პატიება არ შეიძლება. მას ახლა თავის ადგილზე უთითებენ, რადგან ნადირობის დროს მიღწეულმა წარმატებამ შეიძლება თავბრუ დაახვიოს და ახალი სისულელე ჩაადენინოს.

ეს რომ ასეა და ავთანდილმაც სწორედ ასე გაიგო, შევიტყობთ ცოტა ხნის მერე, როდესაც ავთანდილი შერმადინს აუხსნის თავისი მოულოდნელი გამგზავრების მიზეზს: „პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად“ ეს ხომ თინათინის სიტყვების გამეორებაა („სამსახური ჩემი გმართებს“), ოღონდ, ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო აქცენტირებულია ავთანდილის ვასალობა.

ავთანდილი მიხვდა, რატომაც სჯიან: „ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“! ჯერჯერობით ის ხომ მორჩილი ვასალია მხოლოდ. გაბრუებული თინათინის ვარდისფერი სიყვარულით, დამჯერე ჯარისკაცია, რომელიც თავის დანაშაულს მიხვედრილა („ხამს მეფეთა ერთგულება“), ჯერ ძალიან ადრეა ამ დიდებულ ფრაზამდე:

რაზომცა სწყრები, შემინდევ
შეცვლა თქვენისა მცნებისა.
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა
მე მაგისისა თნებისა;
აწ წასვლა იყო წამალი
ჩემთა საზმილთა გზნებისა.
სადა გინდ ვიყო, რა მგამა,
ყოფამცა მქონდა ნებისა!

აი, აქ კი (ვიმეორებ — დიდიხნის მერე!) დაუპირისპირდება ერთიმეორეს **„სამსახური“ და „ნება“!**

როგორც ვიცით, სწორედ თინათინმა ურჩია მამას (საკვირველია, თვითონ როსტევანი რატომ ვერ მიხვდა!), რომ კაცები გაეგზავნა და მთელ ქვეყანაზე მოეკითხა იმ უცხო მოყმის ამბავი („გაგზავნე კაცნი ყოველგან მისთა ამბავთა მცოდნელი“). რა იცი, იქნებ მოჩვენებაც კი იყო, ან ეშმაკისეული „სიცრუე“-ო.

მართლაც, თინათინის რჩევის შემდეგ, „მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა“. გაგზავნილებმა მთელი წელი ძებნეს უცხო მოყმე, ქვაც კი არ დარჩენიათ გადაუბრუნებელი, მაგრამ ვერაფერი შეიტყვეს და ხელცარიელები დაბრუნდნენ არაბეთში.

როსტევანმა თქვა, მართალი ყოფილა ჩემი ასული, ის უცხო მოყმე სინამდვილეში არც კი არსებულა („გარდმოჭრილი ზეცით ზეო“), ასე რომ, გვეყო „შეჭირვება“, დავივიწყოთ ეს ამბავიო.

როსტევანი რომ გაღიმებული ნახეს, ყველამ გაიხარა. აქამდე ძალიან უკვირდათ მეფის უაზრო რისხვა. დიახ, სწორედ რომ უაზრო, რადგან უცხო მოყმე არავის არაფერს უშავებდა და, რაც მთავარია, მხოლოდ პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას იწვევდა, როგორც ყველა განმარტოებული და ღრმად დამწუხრებული, კეთილშობილი ადამიანი.

ამგვარად, გაიარა ხანმა და იმ უცნაური მოყმის ამბავი ყველას გულიდან გადაუვიდა, ყველას... როსტევანის გარდა! ნუ ვენდობით მის ღიმილს, რადგან არსებობს „ჭრელი საუბარი“, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არსებობს „ჭრელი ღიმილიც“, „ჭრელი ცრემლიც“, „ჭრელი რისხვაც“. ამის მაგალითებს პოემაში მრავლად ვხვდებით. როსტევანს არ შეიძლებოდა ეს ამბავი დაევიწყებინა, უპირველეს ყოვლისა, როგორც მეფეს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას თინათინისაგან შევიტყობთ: თინათინი ავთანდილს ეტყვის:

გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს
მინდორს მხეცი დაგეხოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე,
რომე ცრემლი მოეხოცა?
მას უკანით გონებამან
მისმან ასრე დამამხოცა,
შენ გენუკვი მონახვასა,
კიდით კიდე მოჰლახო ცა.

**„გახსოვს“-ო!** — ვითომც არაფერი, ვითომც ეს არ იყოს მთავარი, ვითომც ავთანდილსაც ეს ამბავი ისევე არ ახსოვდეს, როგორც როსტევანს, ოღონდ, შიშითა და ცუდის წინათგრძნობით შეპყრობილს („მე სიკვდილსა მოველოდი...“). „შენ გენუკვი მონახვასა“-ო, ამას ის ქალი ამბობს, რომელსაც არც კი სჯეროდა, უცხო მოყმე სინამდვილეში საერთოდ თუ არსებობდა. მაინც რა მოხდა, რამ გაახსენა ის უცნაური რაინდი ხელმეორედ, მას ხომ არსებითად არც კი აინტერესებდა ეს ამბავი და ყველაზე მშვიდი, გონივრული პოზიცია ეჭირა?

საქმე ის არის, რომ თუმცა, უცხო მოყმის ამბავი ყველას გადაავიწყდა, სამაგიეროდ, ყველას ახსოვს, ავთანდილმა საქვეყნოდ როგორ დაამარცხა როსტევანი! დიახ, ჩვენ ვხედავთ ბოლმიან მეფეს, რომელსაც ვერაფრით ვერ მოუნელებია თავისი დამარცხება და ახლა ქალიშვილის ხელით სჯის ავთანდილს, სამი წლით აძევებს!

„სამსა ძებნე წელიწადსა“-ო, ეუბნება თინათინი ავთანდილს — ქვეყნის სპასპეტს, სახელმწიფოებრივი საქმეებით უაღრესად დატვირთულ ვეზირს.

მოვუსმინოთ ავთანდილს, თუ რას უბარებს იგი შერმადინს, თავის ერთგულ მსახურს წასვლის წინ („ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად“) და ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რამდენ საქმეს აკეთებდა ავთანდილი, თუნდაც, თავის საფეოდალოში:

ლაშქართა და დიდებულთა
ალაშქრებდი, ჰპატრონობდი;
დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი
და ამბავსა მათსა სცნობდი,
წიგნსა სწერდი ჩემ მაგივერ,
უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი...

შემდეგ:

ლაშქრობა და ნადირობა
შენი ჩემსა დაასახე.

შემდეგ:

გლახაკთა მიეც საჭურჭლე,
ოქრო, ვერცხლი და რვალია .

შემდეგ:

სანაპირო გაამაგრე,
მტერმან ახლოს ვერ იბარგა...

ხოლო წერილში „თავის ყმათა თანა“ ავთანდილი წერს:

მე შერმადინ დამიგდია
ჩემად კერძად პატრონობდეს,
სიკვდილსა და სიცოცხლესა
სადამდისცა ჩემსა სცნობდეს,
ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს,
ვარდს არ ზრიდეს, არ აჭნობდეს,
შემცოდესა ყველაკასა
ვითა ცვილსა დაადნობდეს.

ამ სტროფში ერთი საინტერესო დეტალიცაა: ავთანდილი ზუსტად იმეორებს ერთ ადგილს როსტევანის სიტყვიდან, თინათინის კორონაციის დროს რომ წარმოსთქვა მეფემ, გახსოვთ „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“?! მას შემდეგ დიდი ხანი არ არის გასული, ეს ეფექტური ფრაზა, ეტყობა, ხსოვნაში ჩარჩენია ერთგულ სპასპეტს, ამიტომაც ლაპარაკობს თავისი გამზრდელის სიტყვებით: „ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს“...

აი, რამდენ საქმეს აკეთებდა ავთანდილი მარტო თავის სამფლობელოში, მაგრამ, ამასთანავე, ის ხომ სპასპეტიც იყო! განა შეიძლებოდა ასეთი კარისკაცის სამი წლით მოშორება, კარისკაცისა, რომელიც, ამავე დროს, თვითონ მეფეს — თინათინს უყვარს?! ცხადზე ცხადია, რომ ეს თინათინის სურვილით არ ხდება!

თინათინი, საერთოდ, უინიციატივო, მშვიდი პიროვნებაა, გართულებები მისი სტიქია არ არის. „თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა“-ო, თქვა ილია ჭავჭავაძემ. თინათინის სიყვარული მშვიდია, ნესტანისა — შმაგი. ნესტანი იბრძვის, თინათინი მეფობს, ან უფრო სწორად — მეფობანას თამაშობს. დიახ, ბავშვები კი არა, უფროსები თამაშობენ, მითუმეტეს, თუკი გავიხსენებთ, რომ მონტენი ბავშვების თამაშს „ამ ასაკის ყველაზე მნიშვნელოვან და ღრმააზროვან საქმიანობას უწოდებს. თინათინს, სინამდვილეში, თამაშის მეტი არც არაფერი დარჩენია. სახელმწიფოს მართვის საჭესთან მას არავინ მიუშვებს, უკვე დაავიწყდათ ლოზუნგი: „ლეკვი ლომისა სწორია...“ ამ ლოზუნგმა თავისი მისია უკვე შეასრულა, ახლა მართლაც შეიძლება დავიწყებული იქნეს...

აშკარაა თინათინს მამა უფრო უყვარს (თუ ეშინია?), ვიდრე ავთანდილი. ნესტანი კი სიყვარულისათვის მამასაც სწირავს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფრაზა, მარი ბროსემ რომ თქვა: „თინათინ და ავთანდილი წარმოადგენენ მარტივ სიყვარულსა“-ო.

თინათინი, ერთი შეხედვით, ლამაზი სკულპტურის შთაბეჭდილებას ტოვებს. სკულპტურულია მისი პოზა, ჟესტი. საერთოდ, მისი პლასტიკური ინტონაცია ამ პოემაში. დადის წელგამართული, თავაწეული, ოდნავი რხევაც კი არ იგრძნობა მისი ნაკვთებისა, ამიტომ უეცრად ვიგრძნობთ გენიის სიმხურვალეს, როდესაც თავდაჭერილი, მედიდური თინათინი მოულოდნელად აღელდება, თითქოს წონასწორობა დაკარ-

გაო და სწორედ ის ფიცი, ავთანდილს რომ მისცემს სხაპასხუპით, ჩურჩულით (თან თვალი კარისკენ უჭირავს), ნათელს გახდის ჩვენთვის იმ ფაქტს, რომ მას ყველაზე მეტად არ უნდა ავთანდილის წასვლა, თანაც სამი წლით. რომელ ქალს უნდა ეს, თინათინს რომ უნდოდეს? პოეტმა თითქოს ერთი წამით გადასწია ფარდა და თინათინის ნამდვილი სახე დაგვანახვა.

თინათინის ხასიათი, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა ხასიათთან შედარებით, გაცილებით რთულია ამ თვალსაზრისით, რომ აქ უფრო ღრმაა უფსკრული ხილულსა და უხილავს შორის, ანუ დაწერილსა და ნაგულისხმევს, სხვა სიტყვით — ქვეტექსტს შორის.

თინათინი ავთანდილის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს, როგორც მიჯნური, მაგრამ სხვა გზა არა აქვს! ვის? თინათინს? მეფეს? დიახ, თინათინს! მეფეს!

რუსთაველის ხნული ძალიან ღრმაა, მარცვალი ძალიან ღრმადაა მიწაში ჩაფლული, ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ წერა, გარკვეული თვალსაზრისით, ხვნა-თესვასა ჰგავს, რაც უფრო ღრმად არის გავლებული ხნული, რაც უფრო ღრმადაა ხნულში ჩაფლული, ჩამალული მარცვალი, მით უფრო სავარაუდებელია კარგი მოსავალიც. მარცვალი ხნულიდან ჩიტმა კი ვერ უნდა ამოკენკოს, არამედ მხოლოდ ბუნების ძალას უნდა შეეძლოს მისი ისევ ზევით ამოტაცება, აღმოცენება!

ზოგიერთი მკვლევარი ერთმანეთს უპირისპირებს „იდეალიზებულ" და „ემპირიულ" გმირებს, მაგალითად, თინათინს უპირისპირებს ფატმანს, მაგრამ ამ ნიშნით გმირთა დაჯგუფება შეუძლებელია, რადგან ეს გმირები, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაზე უწინარეს ადამიანები არიან" და ესაა მათი საერთო ნიშანიც და თვისებაც.

მაშ ასე: თინათინმა ავთანდილს უცხო მოყმის მოსაძებნად წასვლა უბრძანა. ავთანდილის პასუხი ააშკარავებს ამ „ჭრელი" საუბრის ჭეშმარიტ არსს და ისიც საინტერესოა, რომ ავთანდილი იქით ამშვიდებს თინათინს: „მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე, ვითა მონა სამსახურად განაღამცა წავე, წა მე!"

აქ განგებ აქვს ხაზი გასმული „სამსახურს". ავთანდილი თინათინს ელაპარაკება, როგორც **მეფეს**, არ იმჩნევს, რომ იცის, ვინც არის ამ ქვეყანაში ნამდვილი მბრძანებელი, ის ხომ ერთხელ იმის მოწმეც გახდა, თინათინი დაუკითხავად რომ ვერ **შემოვიდა** მამასთან, ვერ გაბედა შემოსვლა. ნუ დავუჯერებთ როსტევანის გაკვირვებას: „რად დაჰბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?" როსტევანს ყველაფერი არ უნდა დავუჯეროთ, უნდა ვეცადოთ მისი ნათქვამის ქვეტექსტი ამოვიკითხოთ. ავთანდილი იყო იმ დროს იქ, ამ ამბავს ის ესწრებოდა და იმიტომაც შეიცხადა ასე როსტევანმა, თორემ, ეტყობა, თინათინი ყოველთვის **მხოლოდ** მამის ნებართვის ან დაძახების შემდეგ შედიოდა მამასთან. მეფეთა საუბარი „ჭრელია", მათ ენას საგანგებოდ უნდა შესწავლა. კრავივით მორჩილად ლაპარაკობს შექსპირის რიჩარდ III სიყვარულზე, **სათნოებაზე**, მაგრამ განა მისი სიტყვის ნდობა შეიძლება? მართალია, როსტევანისა და რიჩარდის ხასიათების დაკავშირება ზოგს ხელოვნურად შეიძლება მოეჩვენოს, მართლაც, როსტევანი ასე შორს, რასაკვირველია, არ წასულა, მაგრამ სჯობს რუსთაველი ისევ შექსპირს შევადაროთ (საგულისხმო მსგავსებებია ამ ორ ბუმბერაზს შორის!), ვიდრე ჩვენი ზოგიერთი მკვლევარის ვეგეტარიანულ კერძებს დავჯერდეთ.

ავთანდილის **გაძევება**, ვითომ უცხო მოყმის საძებნელად გაგზავნა, რა თქმა უნდა, უროსტევანოდ არ მოხდებოდა. იმიტომ, რომ ნამდვილი მბრძანებელი არაბეთში როსტევანია და არა თინათინი. პოემაში ტყუილად როდია ნათქვამი: „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა"-ო .ეს ტახტი „მამისად" დარჩება კიდეც დიდხანს! ამაში ადვი-

ლად დავრწმუნდებით, როცა ავთანდილი მეორედ, უკვე **თვითონ** მოინდომებს არაბეთიდან წასვლას. მაგრამ იქამდე ერთი რამეც უნდა ვთქვა: ავთანდილს პირველად უცხო მოყმის საძებნელად ნამდვილად იძულებით აგზავნიან და ეს იქიდანაც ჩანს, თავად მას აშკარად რომ არ მიუწევს გული წასასვლელად:

მე სოფელმან მომაშორვა
უკეთესსა ჩემსა მზესა-ო.

ამბობს ვულდაწყვეტილი. მაგრამ ის ბრძანების უსიტყვო ამსრულებელია. თანაც, როგორც ჩანს, სულ იმას აკეთებს, რაც თვითონ არ უნდა, მაგრამ აუცილებლად კი მიაჩნია:

რაც არა გწადდეს, იგი ქმენ.
ნუ სდევ წადილთა ნებასა.

როსტევანს თავი ისე უჭირავს, თითქოს არც კი იცის, სად და რისთვის მიდის ავთანდილი. ეს ერთგვარი თამაშია, პირდაპირ რომ ვთქვა, ცინიზმამდე მისული დამოკიდებულება ქვეშევრდომისადმი, ბოროტად გამოყენებული ძალაუფლება. ამ შემთხვევაშიც, ავთანდილი როსტევანის ღირსეული პარტნიორია, არც თვითონ ეუბნება წასვლის მიზეზს, ისიც თამაშობს. მან უკვე ძალიან კარგად იცის, რომ მისი გაძევება როსტევანის წყალობაა, ამაში თინათინის მხურვალე ფიცმა (რომელიც პატიების თხოვნას უფრო ჰგავდა!) დაარწმუნა. თანაც, ეს არც ისე ძნელი მისახვედრი იყო — როგორ შეიძლებოდა სპასპეტის სამი წლით წასვლის ამბავი მეფეს არ სცოდნოდა? ის კი არა, ავთანდილი უკვე იმასაც მიხვდა, წასვლის ნამდვილი მიზეზი ხმამაღლა რომ არ უნდა ეთქვა, არავისთვის არ უნდა გაემხილა. ამიტომაცაა, რომ **ყველას გასაგონად** ამბობს:

მე წავიდე, მოვიარო,
ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ხელმწიფობა
მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო,
მორჩილ-ქმნილი გავახარო,
ურჩი ყოვლი ავატირო,
ძლევენნი გკადრნე ზედა-ზედა,
არ სალამი დავაძვირო.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ყველაფერი მის მაგივრად შერმადინმა უნდა შეასრულოს, რადგან ავთანდილი სინამდვილეში სულ სხვა საქმეზე მიდის არაბეთიდან, უცხო მოყმე უნდა მოძებნოს, რის შესახებაც ავთანდილს სიტყვაც კი არ დაუძრავს. რა არის ეს, ნუთუ ავთანდილი როსტევანს ატყუებს? არა, მისი სიტყვა კარისკაცთა გასაგონად არის წარმოთქმული, ეს არის ოფიციალური ვერსია მისი „მივლინებისა", სწორედ ისეთი, როგორიც მისი მდგომარეობის დიდებულს შეეფერება, უპირველეს ყოვლისა — სპასპეტს. აკი პოეტი წერს: „დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მათ მისგან შენარონია, შესთვალა..."! ხედავთ — **სხვისი პირით, ეჯიბის საშუალებით, ყველას გასაგონად შეუთვალა მეფეს ის, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით.** ავთანდილი ამ შემთხვევაში ეხმარება როსტევანს, როგორც ვთქვი, მისი „ჭრელი თამაშის" ღირსეული პარტნიორია. ზოგჯერ თვით მეფეებსაც კი ერიდებათ, თავიანთი უაზრო გულისწყრომა რაიმეს საბუთად რომ მოიყვანონ!

ავთანდილი გონიერი ქვეშევრდომია. მან ერთხელ, ნადირობისას, დაუშვა შეცდომა, მაგრამ აღარ გაიმეორებს...

ავთანდილის სიდიადე ის არის, რომ თუკი პირველად ძალით აგზავნიან უცხო მოყმის მოსაძებნად, მეორედ თვითონ, თავისი ნებით მიდის! პოემის მანძილზე ავთანდილი იზრდება, როგორც პიროვნება, იმიტომ, რომ თანდათანობით შეიცნობს თავის ამქვეყნიურ მოწოდებას — **ავთანდილობას!** პოემის დასაწყისში, მართალია, ის კარგი მონადირეა, კარგი ჯარისკაცია („არა გჭირს შენ ომთა გარდუხდელობა"). მაგრამ ჯერ „გონიერთა დასტაქარი" არ არის.

ავთანდილი თავის მეგობარ ტარიე-

ლთან წასვლას რომ დააპირებს, თინათინს გაანდობს თავის სურვილს. თინათინი ნებას დართავს, განზრახვას მოუწონებს კიდეც: „შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა, ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“. თინათინი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, არც ავთანდილი ელოდა მისგან სხვანაირ გადაწყვეტილებას. მაგრამ თინათინის ნებართვა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, თუმცა, როგორც ვიცით, თინათინი უკვე კარგახნის მეფეა.

მართალია, ავთანდილი ამაყად აცხადებს: „ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდგე მე რად“-ო, მაგრამ გულის სიღრმეში იცის, რომ მთავარია როსტევანმა გაუშვას. როსტევანმა დართოს ნება, იმიტომ, რომ ნამდვილი მბრძანებელი, გამგებელი ისევ როსტევანია, ის როსტევანი, ოთხი წლის წინ ვეზირებს რომ შესჩიოდა: „სიბერე მჭირს“-ო!

ავთანდილი არც კი იფიქრებდა, არაბეთში ამ მხრივ რაიმე დაბრკოლებას თუ შეხვდებოდა, რაიმე თუ შეაფერხებდა მისი რაინდული მოვალეობის აღსრულებას. ახლა კი მეფესთან შესვლაც კი ვერ გაუბედავს, გული უგრძნობს, არ გაუშვებენ და იცის კიდეც, რატომ: სწორედ იმიტომ, რატომაც გაუშვეს პირველად!

როსტევანს ის კი არ ეწყინა, ავთანდილი მეორედ რომ მიდიოდა არაბეთიდან, არამედ — **თავისი ნებით რომ მიდიოდა!** აქ შეეტყო სწორედ, იმ უცხო მოყმის ამბავი სრულებითაც რომ არ აინტერესებდა, თორემ სხვანაირად, ანუ უცხო მოყმის ამბით გულწრფელად რომ ყოფილიყო დაინტერესებული, არ შეიძლებოდა, ავთანდილი არ გაეშვა. თვითონაც ხომ, ბოლოს და ბოლოს, რაინდი გახლდათ და სარაინდო კოდექსის ის მუხლი, „მოყვრობაზე“ რომ ქადაგებდა, მისთვისაც ცნობილი და, სხვათა შორის, მისთვისაც სავალდებულო იყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ავთანდილმა უკვე მოიხადა სასჯელი, ახლა ის აქ უფრო სჭირდებოდათ — არაბეთში. მეფეს უცხო მოყმის გაგონებაც აღარ უნდოდა. ავთანდილის ხეტიალი დამთავრდა, მან ახლა თავის პირად მოვალეობას — სპასპეტობას უნდა მიხედოს, თინათინსაც ეყო ამდენი ხნის მოლოდინი. საკმარისია...

მკვლევარები, რომლებიც გრძნობენ, როსტევანი იდეალური გმირის მოთხოვნილებებს რომ ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ არ უნდათ საკუთარი ხელით გამოძერწილი კერპი დაამსხვრიონ, ავთანდილის გაპარვას მეფის ღალატად თვლიან, როსტევანს სჭირდებოდაო, თუმცა, იმასაც დასძენენ, „სხვა გამოსავალი“ არ ჰქონდაო. არა, ავთანდილი იმიტომ არ წასულა, „სხვა გამოსავალი“ რომ არ ჰქონდა, იგი იმიტომ წავიდა, **ასე რომ უნდოდა!** ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, მისი წასვლა, მართლაც, როსტევანის ღალატი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ავთანდილს ეცოდინებოდა, უიმისოდ მართლა რომ ვერ გაძლებდნენ ვერც მეფე და ვერც „სპანი“, მაგრამ განა სამი წლის წინაც ის სპასპეტი არ იყო? ვინ უშვებს ვიღაც მოყმის საძებნელად სპასპეტს, ურომლისოდაც, მკვლევარებისა არ იყოს, სახელმწიფოს შეიძლება საფრთხე დაემუქროს? სამი წლის წინ ავთანდილი როსტევანს სრულებითაც არ სჭირდებოდა, თვითონაც მშვენივრად უძღვებოდა საქმეს. სამი წლის მერე კი, როგორც ჩანს, რაღაც შეიცვალა არაბეთის სამეფოში. ნუთუ როსტევანი მართლა დაბერდა? მას ხომ სიბერისა ყველაზე მეტად ეშინოდა! და მაინც, ავთანდილი მოღალატე იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუკი როსტევანი მას არჩევანის საშუალებას მისცემდა. ავთანდილს როსტევანი არაფერს ეკითხებოდა, როგორც მოესურვება, ისე ექცევა, უშვებს ან არ უშვებს, მაგრამ პირველ ავთანდილსა, რომელიც დასაჯეს და სამი წლით გააძევეს, და მეორეს, რომელიც თვითონ, თავისი ნებით წავიდა, გაიპარა („ჰე, მეფეო, გავიპარე“), რადგან არ გაუშვეს — ძალიან დიდი განსხვავებაა. როგორც უკ-

ვე ვთქვი, ჩვენს თვალწინ გმირის ხასიათის იმ დროისათვის თითქმის წარმოუდგენელი სახეცვლილება, განვითარება მოხდა.

რასაკვირველია, ეს არ არის ფეოდალის ჩვეულებრივი თავნებობა, რაც მეფეს არც თუ ისე გაუკვირდებოდა, ეს არის ადამიანის ბრძოლა თავისი პიროვნული ღირსების დასამკვიდრებლად. ამდენად, ეს აქტი (ავთანდილის გაპარვა) უფრო სულიერ სფეროს განეკუთვნება, ვიდრე პოლიტიკურს.

ნუ ვიფიქრებთ, თითქოს ავთანდილს ტარიელისკენ, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, თოკით ეწევიან, არაბეთში კი ძაფიც არ ამაგრებს. არის წუთი, როცა ავთანდილი ნანობს კიდეც შინიდან წამოსვლას: „რად შემასწარ ამა ბედსა“-ო, მიმართავს საყვედურით ღმერთს („იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე...“), მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი სინანულია.

ავთანდილი და ტარიელი სწორედ იმით გამოირჩევიან, განსხვავდებიან იმდროინდელი ლიტერატურის სხვა რაინდებისაგან, რომ გაცილებით უფრო თავისუფლები არიან. ავთანდილი როსტევანის ერთგული კი არ არის, არამედ, საკუთარი თავისა, საკუთარი იდეალებისა. ვერც ტარიელზე ვიტყვით, პატრონის ერთგულიაო. ისიც თავისი სიყვარულის ერთგულია, ამდენად, ერთგულია საკუთარი მრწამსისა.

აი, რას ამბობს ავთანდილი ტარიელზე:

იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო,
თუმცა ძლივ ღირს ვარ ყმობისა!

რითია მაინც ასე განსაკუთრებული, რითი გამოირჩევა თუნდაც ავთანდილისაგან ტარიელი? უპირველეს ყოვლისა, ალბათ იმით, რომ ამ პოემაში ის ერთადერთია, რომელიც კი არ ცხოვრობს, კი არ იბრძვის, არამედ **კვდება** სიყვარულისთვის („აქ ვარ და აქა ვკვდები“), ტარიელი წამებულია, მაგრამ წამების გზა მან თვითონვე აირჩია. სწორედ **ღვთაებრივი** და ამდენად **ჭეშმარიტად ადამიანური** ტანჯვაა, მას რომ სხვებისაგან გამოარჩევს, განსაკუთრებულობის შარავანდედს რომ იდგამს, ბოკაჩომ დანტეს „კომედიას“ **„ღვთაებრივი“** უწოდა იმიტომ, რომ ეს ნაწარმოები არაჩვეულებრივი ძალით გამოხატავდა ადამიანის ნიჭის შესაძლებლობათა, მიღწევათა უმაღლეს ზღვარს. მაგრამ, ამავე დროს, რასაც ჩვენ „ღვთაებრივს“ ვუწოდებთ, მისი გრანდიოზულობის გამო, შრომა იქნება ეს, ტანჯვა, სიმამაცე თუ მოთმენა, სწორედ ის არის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ადამიანისათვის, სწორედ ის არის ადამიანური. ადამიანის შესაძლებლობათა საზღვარი დადგენილი არ არის და არც შეიძლება მისი დადგენა. ადამიანს საკუთარ შესაძლებლობათა სასაზღვრო ბოძი, მხარზე გადებული, როგორც საკუთარი ჯვარი, ყოველდღე უფრო და უფრო შორს გადააქვს იმ სამყაროში, რომელსაც ღვთაებრივს ვუწოდებთ მისი შეუცნობლობისა და იდუმალობის გამო. ამას კი იმიტომ ვამბობ, რომ დიადმა, მართლაც და ღვთაებრივმა ტანჯვამ გახადა ჩვენთვის ძვირფასი **და მახლობელი** ტარიელი. ეს ის ადამიანია, რომელიც შეგნებულად მიილტვის სიკვდილისაკენ, როგორც **მარადიული სიცოცხლისაკენ,** რადგან იმქვეყნად აპირებს ნამდვილი ცხოვრების დაწყებას. და ჩვენც, როცა მისი მდუღარე ცრემლით დათუთქული სიტყვები გვესმის, გვჯერა, ამ ძლევამოსილი პიროვნების თავის საყვარელთან შეერთება სასწაულს მოახდენს — სიკვდილს **სიცოცხლედ გარდაქმნის!**

ეს არ არის რომელიმე რელიგიის მიერ აღთქმულ სამოთხეზე ოცნება, ეს არის ამქვეყნიური საზღვრის გადალახვის მძლავრი სურვილი. განა ასეთივე **ღვთაებრივი** ცეცხლი არ უკიდია ნესტანის ამ სიტყვებსაც:

მომცეს ფრთენი და აღვფრინდე,
მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა!

ტარიელი იმითაც არის დიდი, რომ პატრონყმურ საზოგადოებაში. სადაც

ყველა ვინმეზეა დამოკიდებული და ყველას კი ერთი მბრძანებელი — მეფე ჰყავს, არ ეშინია ასეთი რამ თქვას:

დია მძულს მეტი მოყვრისა
შიში, კრძალვა და რიდობა,
მძულს განუწყვეტლად კუშტობა
და სულ-მძიმობა, დიდობა;
თუ მოყვარეა, გულისა
ქმნას ჩემკენ მონაზიდობა,
თვარა მე ჩემდა, იგ მისდა,
დია სჯობს კიდის-კიდობა.

ეს ბრწყინვალე სიტყვები მეგობრობის ნამდვილი არსის გაცხადებაა, მეგობრობისა, სადაც, ყველანი სწორნი თუ არ იქნებიან, თუ ერთი მათგანი „დიდობას“ არ მოიშლის, მეგობრობა, მოყვრობა აღარ იქნება! დე, ის „ერთი“ თუნდაც მეფე იყოს! ვინც მოყვარეს ეძებს — ეძებს ტოლს, ცალს, ღირსეულ მეგობარს, ტარიელის მიხედვით, მეგობრობა ის დიადი მონაპოვარია, რომლის ყველა წევრი **მეფეა**, უფრო ზუსტად — **მეუფეა საკუთარი თავისა, საკუთარი სინდისისა!** ამ სიტყვების ფონზე დასავლეთევროპული კურტუაზია მოძველებულ და მოსაწყენ ერთფეროვნებად გვეჩვენება. ამ სიტყვებში უკვე ახალი მზის პირველი სხივი ჰკიატებს...

9.

ქართული რენესანსი უკვე აღიარებული ფაქტია არა მარტო ჩვენი მკვლევარების, არამედ უცხოელი მეცნიერების მიერაც. აი, ახლახან ცნობილმა ჩეხმა მეცნიერმა, მთარგმნელმა და ქართველოლოგმა ვაცლავ ჩერნიმ განაცხადა: „თამარის მეფობის პერიოდში, რომელიც ითვლება ოქროს ხანად საქართველოს ისტორიაში, საქართველო დაადგა განვითარების იმ გზას, რომელიც შემდგომში გაიარა ყველა დასავლეთევროპულმა ქვეყანამ“-ო. ხოლო ვეფხისტყაოსნის იტალიურ ენაზე პოეტური თარგმანის ერთ-ერთმა ავტორმა, ჩემს მიერ ერთხელ უკვე მოხსენიებულმა მარიო პიკიმ თქვა: „თამარის სამეფო კარზე... ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად ქართული რენესანსი“-ო. როგორც მოგეხსენებათ, ადრე უამრავ და უამრავ უცხოელ მეცნიერს გამოუთქვამს მსგავსი მოსაზრება.

პროფესორი მ. ა. გუკოვსკი ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ ფურცლებზე გაშლილი დისკუსიის დროს ამბობდა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, აღორძინებაზე ვილაპარაკოთ იმ ქვეყნებში, სადაც შეინიშნება ამ მოვლენის მხოლოდ ზოგიერთი ნიშანიო. მაგრამ არსებობს ერთი ნიშანი, — დასძენდა პროფესორი, — რომელიც ერთ-ერთი **გადამწყვეტია** აღორძინების განსაზღვრის დადგენის დროსო, ეს ნიშანი ის გახლავთ, რომ „აღორძინების ეპოქაში წარმოიშობა ადამიანის ახალი ტიპი, ახალი კულტურით, აშკარად განსხვავებული წინა ეპოქის ადამიანისაგან“-ო.

აი, სწორედ ეს **„გადამწყვეტი“** ნიშანი ახასიათებდა ქართულ აღორძინებას რუსთაველის წყალობით და სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, მასზე მთელი სერიოზულობით ვილაპარაკოთ და კიდევ იმიტომაც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, რუსთაველმა საზოგადოებაში აღმოაჩინა **დესპოტიზმი**, როგორც პოლიტიკურ-სოციალური, ასევე მორალურ-ეთიკურ ფენომენი, გამოაცხადა ის **ბოროტებად** და დაუპირისპირა მას მისი დამთრგუნველი თავისუფალი ადამიანის პიროვნება — **სიკეთე!** ამით გაუსწრო მან აღმოსავლეთის დიდ პოეტებსაც!

რუსთაველი ქმნის არა „მეფეთა“, არამედ ადამიანთა წიგნს, ამიტომაც, ის ადამიანებს კი არ აღმერთებს, სამყაროს ცენტრში, ღმერთის ადგილზე ადამიანს კი არ წარმოგვიდგენს, არამედ ააშკარავებს ადამიანის ძლევამოსილებას, ადამიანს უახლოებს ადამიანურობის ცნებას, ადამიანს აჩვენებს მისი ადამიანური შესაძლებლობების სიდიადეს, აკავშირებს მეორე ადამიანთან სიყვარულით, მეგობრობის უმტკიცესი ჯაჭვით, გამოჰყავს სიმარტოვის სიბნელიდან, აჩვენებს ცას, ვარსკვლავებს.

აჩვევს ფიქრს, ასწავლის გზას საკუთარი თავისაკენ, უნერგავს მეორე ადამიანის ნდობას, ებრძვის და საერთოდ არ სცნობს მიჯნას, საზღვარს, ღობეს, ჯებირს, როგორც ადამიანებს, ასევე ქვეყნებს შორის...

რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან,
წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაკვირდიან,
რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა,
ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.
მოვიდიან შესამკობლად.
ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიც თევზნი,
ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით,
მაშრიყით და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი
და მისრეთით მეგვიპტელნი.

აშკარაა ავთანდილის მსგავსება ორფეოსთან, რომელიც „თავისი ხმის ძალით“ (დანტეს გამოთქმაა!) აცოცხლებდა უსულო საგნებსაც კი. „ორფიკულ არგონავტიკაში“ ვკითხულობთ: „...ვიმღერე კაცთა სუსტ, მრავალეროვან მოდგმაზე. გამოქვაბულებსა და ხვრელებში შეაღწია ჩემი ლირის თაფლივით ტკბილმა ხმამ. შეირხნენ წვეტიანი მთები და პელიონის დაბურული ტყეების (კენწეროებს) მისწვდა ხმა და ფესვებიანად ამოთხრილნი ადგილსამყოფელს ტოვებდნენ: გრიალებდნენ ქვები, სიმღერის გამგონე ნადირნი ბუნაგებიდან გამოდიოდნენ“-ო.

ავთანდილის სიმღერა სულიდან მოულოდნელად ამომსკდარი გალობაა განთავისუფლებული კაცისა, იმ ადამიანისა, ვინც თავისუფლებას გემო გაუგო, ჩაწვდა მის აზრს, იგრძნო მისი ფრთების ძალა, გაბრუვდა მისი თვალუწვდენელი სივრცეებით. ამდენად, ის უსაზღვროებაში მიქრის და არა რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში. კარგი იქნებოდა, თუკი ერთხელ კიდევ გავიხსენებდით ფანტასტიკურ გეოგრაფიას.

ავთანდილი თითქოს კოსმოსში მოფრინავს და პლანეტებს, სულჩადგმულ არსებებივით ეფერება. ის სიხარულისაგან, აქამდე განუცდელი თავისუფლებისაგან მღერის. დიახ, მან მოიპოვა **თავისუფლება,** ჩაიდინა იმდროინდელი საზოგადოებისათვის წარმოუდგენელი რამ — გამოიჩინა საკუთარი ნება და ამ აქტით ავთანდილმა ზღაპრული არაბეთიდან რენესანსში გადააბიჯა. ის აღარ არის მხოლოდ სპასპეტი, ან თუ გნებავთ, მხოლოდ, თინათინის საქმრო, ის **ადამიანია, პიროვნებაა, გამგებელია საკუთარი ბედისა!**

ვინ შეიძლება იყოს ყველაზე ახლობელი ასე უსაზღვროდ თავისუფალი და ამ თავისუფლების შეგრძნებისაგან უსაზღვროდ ბედნიერი ადამიანისათვის? ალბათ ის კოსმიური სხეულები, რომელთაც საკუთარი ორბიტა, საკუთარი თვისებები გააჩნიათ. ალბათ ამიტომაა საგანგებოდ გამოყოფილი და აღნიშნული თითოეული პლანეტის **საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი** ნიშნები. ავთანდილიც მათი „ცალია“, **ავთანდილს** ესმის მათი!

კოსმოსის წყვდიადი განათებულია ადამიანის ხმით, ეს ხმა აცოცხლებს სამყაროს. ავთანდილიც დღეიდან, ამ პლანეტებივით, **უკვე საკუთარი გზით ივლის...**

მზე და ვარსკვლავები, ან თუნდაც, მზე და მთვარე ერთად, როგორც მათ ავთანდილი ხედავს, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პოეზიაში და მისი სხვა ახსნა, რასაკვირველია, ხელოვნური იქნება. რუსთაველის ცა, გიორგი ნადირაძისა არ იყოს, „არა ასტრონომიული, არამედ პოეტური ცაა“.

ავთანდილის პლანეტების რაობას, მათ დანიშნულებას პოემაში დიდიხნის მერე ახსნის ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა იტყვის:

ხოლო ვარსკვლავთა თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო-ო.

**„თანამავალი ვარსკვლავები“** — ხატად ქცეული ოცნებებია, ღამით ცაზე რომ ელანდება მგზავრობისაგან გაწამებულ ავთანდილს. გარდა ამისა, ეს არის ბუნების გაცოცხლების დიადი აქტი, რადგან თანამავალი ვარსკვლავები სულჩადგმულ არსებებივით უსმენენ და ესიტყვებიან კიდეც ავთანდილს. ეს ბუნების დიადი წიგნის ცოდნაა და არა რომელიმე, თუნდაც, „არაბულ-საბუნებისმეტყველო“ სახელმძღვანელოებისა...

ვეფხისტყაოსნის პლანეტები ხომ, თითქოს ცაში კი არა, ავთანდილის სულის უსაზღვრობაში ტრიალებენ!

ავთანდილის სიმღერასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა გაგვეხსენებინა პასკალის „მოთქმა“, პირობითად ასე ვუწოდებ ფრანგი ფილოსოფოსის ცნობილ მაქსიმს, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ ახალი, ჰელიოცენტრული სისტემით შეძრწუნებული ადამიანის ჩივილად (სხვათაშორის, ამავე თვალსაზრისით, ალბათ, საინტერესო იქნებოდა ისევ ავთანდილისა და დავით გურამიშვილის წიგნის ლირიკული გმირის შეპირისპირებაც).

ავთანდილი თითქოს სამყაროს პატრონია, მისი საუბარი პლანეტებთან ამას ამტკიცებს, თითქოს მათი საიდუმლო მის ხელში იყოს: „აქა ავთანდილი ვარსკვლავთა ეუბნების თავის ბუნებას“ (ვახტანგ VI). პასკალის ლირიკული გმირი კი მიწასთანაა გასწორებული გრანდიოზულ, შეუცნობელ ციურ საგანთა მიერ: „...აი, ჩემი მდგომარეობა: უბადრუკობა, უმწეობა და უკუნეთი!“

ავთანდილი — ილია ჭავჭავაძის მიერ თერგისადმი მიმართულ სიტყვებს თუ გავიმეორებთ — „სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა“. ავთანდილი სამი წლის მარტოდმარტო ხეტიალის შემდეგ, როცა მას საკმარისი დრო ჰქონდა, ჩაეხედა თავის სულის სიღრმეში, მიდის განთავისუფლების იდეამდე. უდარდელი, სნობისტური, უიდეო კურტუაზიული დროსტარებიდან ტანჯვითა და ხიფათებით სავსე ადამიანურ ცხოვრებაში გადადის და სწორედ ამის შემდეგ ვხედავთ ნამდვილ [illegible] ვწვდებით მისი გონების საოცარ ქმედებას, მის სიბრძნეს.

ავთანდილისათვის ადრე „ტანჯვა“ („ჭირი“) უცნობი იყო, მაგრამ არაბეთიდან წასვლის შემდეგ უკვე ეზიარა ნამდვილ ადამიანად გარდამქმნელ ამ აუცილებელ ფენომენს. აი, რას წერს რუსთაველი: „ნეტარ. მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რასა ჭირია!“ „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად“, „წესი არის მამაცისა, მოჭირვება, ჭირთა თმენა“! ტანჯვის საშუალებით, ტანჯვის გზით ეზიარება ადამიანი თავისი არსებობის ჭეშმარიტ არსს. აქ ნაგულისხმევია მორალური წამებით, სულიერი ტკივილით აღბეჭდილი აქტი ადამიანის არსების ეგოისტური ჩარჩოების მსხვრევისა...

აი, კიდევ ერთი, ჩემი აზრით, საინტერესო თვისება ავთანდილისა: მას ახასიათებს არსებობის ტრაგიკული განცდა! მისი ბედი, მისივე ანდერძის მიხედვით, ტრაგიკულია. ტრაგიზმი კი იმაში მდგომარეობს, ავთანდილმა იცის, მისი შესაძლებლობა, საერთოდ, მისი არსება განგებით რომ არის შეზღუდული. ამ თვალსაზრისით, ავთანდილის ანდერძი ერთგვარად ეხმიანება ჰამლეტის ზოგიერთ გამონათქვამს. შეიძლება ითქვას, ეს ორი ხასიათი — ავთანდილი და ჰამლეტი — ერთი დიდი ინტელექტუალური დინების სათავე და დასასრულია. ავთანდილისთვის ადამიანის შესაძლებლობათა საზღვარი ბედისწერითაა შემორკალული. ავთანდილი მიდის ტრაგიკულამდე, მაგრამ იქვე ჩერდება, ფილოსოფიურ იდეას არ აქცევს პირად ტრაგედიად, ეს მისთვის ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. ამას ჰამლეტი გააკეთებს რამდენიმე საუკუნის მერე და თავისი გვამით ჩაკეტავს იმ დიადი სამყაროს კარს, რომელსაც ევროპული რენესანსი ეწოდება და რომელიც ოთხი საუკუნით ადრე ავთანდილის სიმღერით გაიხსნა.

განსაკუთრებული ეკონომიურ-პოლიტიკური პირობების გამო, რომელიც საქართველოში შეიქმნა მეთერთმეტე საუკუნის დასასრულიდან მთლიანად მეთორმეტე საუკუნეში. შესაძლებელი გახდა ჩვენი კულტურის ისეთი გზით განვითარება, მისთვის დღეს რენესანსული რომ გვეწოდებინა.

რენესანსი იწყებოდა ყველგან, სადაც ილვიძებდა ადამიანის პიროვნული შეგნება, სადაც მეტი საშუალება იყო შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ხუნდების გარღვევისა, საკუთარი არსების შეცნობისა, საკუთარი პიროვნების თვითაღზრდისა, თვითშექმნისა, სადაც კულტურის მაღალი დონე ხელს უწყობდა ახალი აზრის დამკვიდრებას.

ჯოვანი პიკო დელა მირანდოლამ (1463-1494) შეადგინა „900 თეზისი ყველაფერზე, რაც შეცნობადია". თეზისები გამიზნული იყო რომში საერთოევროპული დისპუტისათვის. დისპუტი არ შემდგარა, მაგრამ დარჩა პიკო დელა მირანდოლას შესავალი სიტყვა ასეთი სახელწოდებით: „სიტყვა ადამიანის ღირსებაზე". ეს რენესანსული აზროვნების შედევრი შედგენილია რუისურბნისის კრებიდან დაახლოებით 400 წლის შემდეგ. რუის-ურბნისის კრებაზე კი, როგორც ვიცით, მიიღეს დადგენილება, რომელშიაც თეზისს ადამიანის ღირსების შესახებ ერთ-ერთი ძირითადი, შეიძლება ითქვას, ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამდენად, ჰუმანისტური აზროვნება დამახასიათებელი ყოფილა ამა თუ იმ საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ჰუმანიზმის, როგორც აღორძინების „მსოფლმხედველობითი შინაარსის" ჩამოყალიბებამდე.

რენესანსი გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე პეტრარკა დაიბადებოდა და დაიწყო არა მარტო იქ, სადაც დასრულებული სახეც მიიღო, არამედ სხვაგანაც, იტალიისაგან საკმაოდ დაშორებით, ოღონდ, ერთი და იმავე, გენეტიკურად საერთო კულტურის სამყაროში.

ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში" ახსენებს რა „დასავლეთ ევროპაში წარმოშობილ" ეგრეთწოდებულ რენესანსს", სამართლიანად წერს: „საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკ. დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა"-ო. დიდი სწავლულის მოსაზრება იმითაც არის საინტერესო, რომ იმდროინდელ საქართველოში შექმნილი ვითარება ევროპული რენესანსის პრიზმიდან არის დანახული, კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული ქართული რენესანსის საერთოევროპულ რენესანსთან ნათესაობის ფაქტი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას — ჩვენ ევროპული რენესანსის დილის სპექტაკლს ვესწრებოდით, თანაც, საკუთარი ძალებით დადგმულს...

რენესანსის ნიშნები, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ისინი გვხვდება იქ, სადაც ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი, ან უფრო ზუსტად — ყველაფერი ისეთ სახეს იღებს, მოვლენები ისე თავისებურად ერთიანდება, ლაგდება, რომ შესაძლებელი ხდება, ვილაპარაკოთ მომავალ რენესანსზე.

სწორია, როცა საქართველოში რენესანსის ნიშნებზე ვსაუბრობთ, რომლებიც, სხვათა შორის, გაცილებით მეტია აქ, ვიდრე იტალიის უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყნებში, ისიც სწორია, როცა ქართული საზოგადოების განვითარებისათვის ჰუმანისტური იდეების განსაკუთრებულობას აღვნიშნავთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რენესანსული ნიშნები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, არ უდრის რენესანსს, ეს ერთი და იგივე არ არის. ნიშანი სწორედ იმიტომ ჰქვია, რომ წინ უსწრებს მოვლენას, შეიძლება ისედაც მოხდეს, ნიშანი იყოს, მოვლენა კი არა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღეს არა მარტო რენესანსის ნიშნებს, არამედ საერთოდ ქართულ რენესანსს ვახსენებთ და ეს უკვე, როგორც ვთქვი, საყოველთაოდ აღიარებული აზრია. ქართული რენესანსის ცნება კი, უპირველეს ყოვლისა, რუსთაველის სახელს უკავშირდება.

მართალია, საქართველოს კულტურა და მეცნიერება იმ დროისათვის უდავოდ დიდ აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ მხოლოდ ამის გამო ქართულ რენესანსზე ვერ ვილაპარაკებდით, ქართული და იტალიური რენესანსების სოციალ-პოლიტიკური თუ კულტურული პარალელების მოძებნა, დადგენა, რაიმე მსგავსებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი და უხერხულიც კი იქნებოდა, რომ არ გვყოლოდა **რუსთაველი — პოეტი**, რომელიც აშკარად ვერ ეტევა ლიტერატორთა მიერ დადგენილ სქემებში, არღვევს კლასიკურ წარმოდგენებს, ანუ ჰარმონიას თეორიასა და ცდას, თეორიასა და სინამდვილეს შორის. სწორედ მან **ერთმა** გახადა შესაძლებელი ასე დაბეჯითებით გველაპარაკა აღორძინებაზე ქართულ სინამდვილეში. არაფერს და არავის ისე არ უხდება ეს ტერმინი **აღორძინება,** როგორც ამ ქართველ პოეტს! ერთ მწერალს უთქვამს, ნამდვილად დიდი ის არის, ვის გვერდითაც ყველაფერი დიდად მოჩანსო...

გენიალური ფირდოუსი და ნიზამი, რომლებთანაც ერთად ხშირად მოიხსენიებენ რუსთაველს, რჩებიან შუა საუკუნეების კულტურის უდიდეს მნათობებად, რუსთაველი კი თვისობრივად უკვე სხვა ეპოქას ეკუთვნის, კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ახალ ერას, რადგან მის მიერ ადამიანთა მოდგმის სარბიელზე გამოყვანილია **ახალი ადამიანი,** რომელიც უკავშირდება და შეიცნობს არა მარტო გარესამყაროს, არამედ საკუთარ თავსაც, აღმოაჩენს საკუთარი არსების წიაღში **პიროვნებას** რუსთაველი თავისუფლდება შუასაუკუნეობრივი ტრადიციული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ხუნდებისაგან. გვაძლევს არაჩვეულებრივად მკაფიო სურათს ადამიანის ხასიათის დიალექტიკური აღმასვლისა, ადამიანის სულის „უცნაური და უთქმელი" თვისებებისა.

აი, რატომაა რუსთაველი დიადი და მარადიული!

აი, რატომ აღვიქვამთ მას, როგორც განახლებას, გაღვიძებას, ვარდის ფურცლობის მაუწყებელ სიმღერას, გაზაფხულს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

# ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი

იმ ისტორიულ პირთა შორის, რომელნიც ქართველი ხალხის გმირულ წარსულს ამშვენებენ, ვახტანგ გორგასალს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

მიუხედავად იმისა, რომ გორგასლის მოღვაწეობის ხანას 1500 წელი გვაშორებს — ამ დიდი ქართველისადმი ინტერესი, პატივისცემა და სიყვარული დღესაც განუზომელია. ასეთი პატივისათვის თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად გადაქცევის ფაქტიც საკმარისია. რა თქმა უნდა, მეფე, რომლის სახელი ქვეყნის დედაქალაქის დაარსებას უკავშირდება. მხოლოდ ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში შარავანდედით შეიმოსებოდა, თავისი ხალხის მუდმივი სიყვარულისა და შთაგონების წყაროდ იქცეოდა. მაგრამ ვახტანგ გორგასლის ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე მარტო ზემოაღნიშნულით არ განისაზღვრება. V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოში მიმდინარე ძირითადი მოვლენები — ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ქართლის სამეფოს მიერ ადრე დაკარგული სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ძველი ქართული მიწების დაბრუნება და იქ არტანუჯის საერისთავოს შექმნა, ანტიირანული აჯანყება 482-484 წლებში, ქართლში ავტოკეფალური ეკლესიის შექმნა და ახალი საეპისკოპოსოების დაარსება, დიდი საერო და საეკლესიო აღმშენებლობითი საქმიანობა და ბევრი სხვაც სწორედ ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული.

ვახტანგ გორგასალი, თავისი დროის უძლეველი მებრძოლი და გამოჩენილი სარდალი, ქართველი მხედრობით, რომელთა წინ მიჰქონდათ შემდეგში „გორგასლიანად" წოდებული საბრძოლო დროშა, ირანის შაჰების მოთხოვნით, მონაწილეობდა ბიზანტია-ირანის ომებში. მცირე აზიასა და სინდეთში ებრძოდა თეთრ ჰუნებს, რომლებიც იმ ხანად ირანის იმპერიისათვის ყველაზე ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდნენ. ირანის შაჰინ-შაჰის დავალებით ვახტანგი და მისი ბიძა, რან-ქართლის მარზპანი ვარაზ-ბაკური, ქართველ-ირანელთა შეერთებული ლაშქარით ჩრდ. კავკასიაში ებრძოდნენ ჰუნ-თურქებს. ვახტანგ გორგასლის სარდლობით ქართველთა მონაწილეობა ირანის გაჩუწყვეტლივ ბრძოლებში შაჰინ-შაჰებისათვის ხშირად გადამწყვეტი გამარჯვების მომტანი იყო.

ვახტანგ გორგასალი დიდი ფიგურა რომ იყო მაშინდელ საერთაშორისო ასპარეზზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასთან დანათესავებას ესწრაფოდნენ არა მარტო ბიზანტიის იმპერატორები, არამედ ქართლის სამეფოს მაშინდელი სიუზერენნი — ირანის შაჰინ-შაჰებიც კი. მათ კარგად იცოდნენ, რომ ასეთი დანათესავება, გარკვეულად, ვახტანგის პოლიტიკურ ორიენტაციასაც განსაზღვრავდა.

სამწუხაროდ, ამ დიდი ეროვნული მოღვაწის ცხოვრების ზუსტი წლები დღემდე დადგენილი არ არის. საქმეს ის ართულებდა, რომ ძველ საისტორიო ქრონიკაში, სადაც ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მოღვაწეობა არის აღწერილი, ის თარიღი, რომელზედაც დამყარებული იყო „ქრონიკაში" მოხსენიებული სხვა თარიღები, ჩანს, რაღაც მიზეზით, ადრევე დაიკარგა და XI ს-ში, როცა ჯუანშერი ქართლის ლეგენდარული მეფის შესახებ ახალ ცხოვრებას ადგენდა, აღარ არსებობდა. სხვა მხრივ წარმოუდგენელია „ქართლის ცხოვრების" კრებულის შემდგენლებს ვახტანგის დაბადების ან გარდაცვალების მანიშნებელ თარიღზე მითითება მხედველობიდან გამორჩენოდათ (უფრო ნაკლებ სავარაუდებელია ასეთი ცნობა გვიან და-

კარგულიკო). ფაქტი ერთია, „ქართლის ცხოვრების“ არც ერთ, დღემდე მოღწეულ რედაქციაში ვახტანგ გორგასლის დაბადებისა და გარდაცვალების წლებზე არავითარი მითითება არ არის.

ვახტანგ გორგასლის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღის შესახებ, როგორც ჩანს, არც ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიას“ ჰქონდა ზუსტი ცნობა და არც დიდ ქართველ ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს.

ვახტანგ გორგასლის დაბადების ან გარდაცვალების ზუსტი თარიღის დასადგენად საჭირო ცნობა დღემდე ვერც უცხოურ საისტორიო წყაროებში იქნა მიკვლეული. V ს-ის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი ვახტანგ გორგასალს მხოლოდ ამიერკავკასიის ხალხების 481-484 წწ. ანტიირანულ აჯანყებასთან დაკავშირებით იხსენიებს. რაც შეეხება ბიზანტიურ და სხვა საისტორიო წყაროებს, ვახტანგ გორგასალი საერთოდ არ არის ნახსენები.

საისტორიო წყაროთა ასეთი მონაცემების მიუხედავად, ვახუშტი ბაგრატიონიდან მოყოლებული, საქართველოს ისტორიის არაერთმა მკვლევარმა სცადა ვახტანგ გორგასლის დაბადება-გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენა. მაგრამ, რადგანაც მისი გარდაცვალების თარიღის განსასაზღვრავად ჯუანშერის თხზულება ხელმოსაკიდ მასალას არ იძლევა, ამ მკვლევართა ნაშრომებში ვახტანგის გარდაცვალების თარიღი თითქმის 50 წლის ფარგლებში მერყეობს. ასე, მაგ., ვახუშტი ბაგრატიონმა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალება 499 წლით განსაზღვრა. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების ვახუშტისეული დათარიღება გაიზიარეს ი. კლაპროთმა, ფ. დიუბუა დე მონპერემ, ხ. ბარათაშვილმა, მ. ბროსემ, დ. ბაქრაძემ. მ. ჯანაშვილმა ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების თარიღი 532 წელზე გადაიტანა. ს. გორგაძის მტკიცებით ვახტანგი 503 წელს გარდაიცვალა. ს. კაკაბაძემ 1928 წ. გამოცემულ ნაშრომში ვახტანგის გარდაცვალება 488 წლით დაათარიღა, ხოლო 1959 წელს — ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში — 484 წლით. აკად. კ. კეკელიძემ ვახტანგ გორგასალის ცხოვრების წლები 486-496 წლებით განსაზღვრა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული 502 წ. არის მიღებული. ჯუანშერს ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგი მის მეფობაში წარმოებულ „ბერძენ-სპარსელთა“ მეორე ომის დასაწყისში დაიღუპა. აქედან გამომდინარე ს. გორგაძემ „ბერძენ-სპარსელთა“ მეორე ომი ბიზანტია-ირანის 502-506 წლების ომად მიიჩნია და ვახტანგის გარდაცვალება 503 წლით დაათარიღა. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად 503 წლის ნაცვლად, 502 წლის შემოდგომა მიიღო.[1] მაგრამ, ლ.-ნ ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, ეს თარიღი „დამყარებულია მეტად არასაიმედო საფუძველზე“.[2] ამიტომ იყო რომ, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღის დასაზუსტებლად კვლევა გრძელდებოდა. კ. თუმანოვმა 1963 წ. გამოცემულ ნაშრომში ვახტანგის გარდაცვალება 522 წელზე გადაიტანა.

ვახტანგ გორგასლის ცხოვრების წლების დასადგენად ძირითადი ცნობები ჯუანშერის თხზულებაში გვაქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენამდე მოღწეული ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ XI ს-შია შედგენილი და მასში, ისტორიულთან ერთად, მრავლადაა ჩართული არარეალური, ლეგენდარული ამბები. რადგან ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ გმირი მეფის პირადი ფიზიკური თვისებების, ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ ხალხმა ისეთი ლეგენდარული ამბები შეთხზა, რომ ვახტანგის თანამედროვე ავტორის მიერ შედგენილი,* მისი მოღვაწეობის ამსახველი „ქრონიკა“ აღმავლობის გზაზე მიმავალ ქართული ფეოდალური საზოგადოების სულიერ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებდა. როგორც ჩანს, ამის გამო XI ს-ის ქართველმა ისტორიკოსმა — ჯუანშერმა, ძველი „ქრონიკა“ ვახტანგ გორგასლის ღვაწლისა და გმირობის გადმოსაცემად ნაკლულად მიიჩნია და იგი ვახტანგ გორგასლის შესახებ, მის დროისათვის ხალხურ ზეპსიტყვიერებაში არსებული ლეგენდარული ხასიათის ამბებით ისე გაამდიდრა და ისეთი „სარაინდო“ შინაარსის თხზულება შექმნა, რომ დღეს, როცა ვახტანგის თანამედროვე ავტორის მიერ შედგენილი „ქრონიკა“ ცალკე აღარ არსებობს და მხოლოდ ჯუანშერისეული „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ გვაქვს, მასში ძნელია ისტორიულად რეალურისა და ლეგენდარულის გამიჯვნა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ისტორიის უდიდესი მესაიდუმლე და მკვლევარი აკად. ივ. ჯავახიშვილი ჯუ-

---

* 1892 წ., „ქრონიკების“ I წიგნში (გვ. XXXIV-XXXV) თ. ჟორდანიამ მიუთითა, რომ ჯუანშერის თხზულებაში შესულ ძველ ნაწარმოებში „ვახტანგის მშობლების მეფობა აწერილია, როგორც გაგონილი, ხოლო თვით ვახტანგის ცხოვრება ისე დაწვრილებით არის მოხსენიებული, რომ მემატიანე თანამედროვე უნდა იყოს და თვით-მხილველი მოთხრობილისა“. „მთელი მატიანე საგსეა უტყუარი ნიშნებით, რომელნიც ამოწმებენ ამ მატიანის თანამედროვისაგან დაწერას“.

ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ჯუანშერს ხელთ უნდა ჰქონოდა ვახტანგ გორგასლის შესახებ VI ს-ში დაწერილი მოკლე თხრობა. ამიტომ მისი ნაწარმოების მთავარი ბირთვი მაინც საისტორიო მასალას წარმოადგენს.[3]

ანშერის თხზულებას, როგორც წყაროს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა, ისე V ს-ის ქართლის სახელმწიფოს ისტორიისათვის „თითქმის გამოუდეგარად“ თვლიდა.*

„ჯუანშერის მიერ დაწერილი „ცხორება ვახტანგ გორგასლისა“, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — ...იმგვარ დაუჯერებელ ცნობით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას. ამიტომ გასაოცარია, როდესაც ბ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ამბობს: თვით ვახტანგის ცხოვრება ისე დაწვრილებით არის მოხსენებული, რომ მემატიანე თანამედროვე უნდა იყოს და თვითმხილველი მოთხრობილისა“-ო.[4] ივ. ჯავახიშვილი აანალიზებს რა ჯუანშერის ცნობებს აღნიშნავს: „ჯუანშერს თავის თხზულებაში მრავალი ქრონოლოგიური ცნობები აქვს მოყვანილი. მას თავისი თარიღები დამყარებული აქვს ერთს რომელსამე საფუძველზე და შემდეგ აღნიშნავს ხოლმე, რამდენი წელიწადი იყო გასული ამის შემდგომ“.[5] რაც შეეხება ჯუანშერის თხზულების მეცნიერულ ღირებულებას, ამ მხრივ აკად. ივ. ჯავახიშვილს „ზოგიერთ ცნობის“ გარდა, მასში თითქმის არაფერი მიაჩნდა ფასეულად. „...ცხორების მთელი მოთხრობაც არსად არ შეიცავს იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს უტყუარს სურათს და თვითმხილველობისა ხომ ნიშანწყალიც არ ეტყობა“. ჯუანშერი „...როცა თხზულებასა სწერდა სანდო მასალა მის შესახებ ხელთ არა ჰქონდა, ეს საუცხოვოდ მისი „ისტორიითა“-ცა მტკიცდება: იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარსა და სანდო საბუთს“.[6] „ამგვარად, — ასკვნის იგი — ზემონათქვამითგან ცხადად ჩანს, რომ ჯუანშერის თხზულება ვახტანგის დროის ისტორიისათვის, ზოგიერთ მცირეოდენ ცნობის გარდა, თითქმის გამოუდეგარია და საყურადღებოა მხოლოდ როგორც დამახასიათებელი იმისა, თუ რა ცნობები და წარმოდგენა ჰქონიათ XI საუკუნეში განათლებულ ქართველ წრეებს ვახტანგ გორგასალის პიროვნებასა და მეფობაზე“.[8]

იმ „ზოგიერთ მცირეოდენ ცნობად“, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს ჯუანშერის თხზულებიდან შედარებით მისაღებად მიაჩნდა, ირანელებთან ვახტანგ გორგასლის ბოლო ომის აღწერა არის (აქ მოთხრობილია, როგორ დაიწყო ბრძოლა, დასახელებულია გეოგრაფიული პუნქტები, სადაც ომი სწარმოებდა, სპარსელები საქართველოში რომ აღმოსავლეთიდან შემოვიდნენ, რომ მათ შემუსრეს... ქალაქნი კამბეჩანისანი და ჭერემის ციხე და ველის ციხე“).[9] ჯუანშერის თხზულების ამ ნაწილის შესახებ იგი წერს: „ჯუანშერს ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღის შესახებ ძველი და კარგი ცნობა უნდა ჰქონებოდა“, „... ჯერ კიდევ XI ს-ში ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ ძველი და კარგი საისტორიო წყაროები ყოფილა, მაგრამ ამ წყაროთა ცნობები ტენდენციურად შეუცვლიათ და დაუმახინჯებიათ“.[10]

აკად. ივ. ჯავახიშვილის შემდგომი თაობის საქართველოს ისტორიის მკვლევარების მიერ ჩატარებული დიდი კვლევითი სამუშაოების მიუხედავად, ჯუანშერის თხზულებაში არსებული ისტორიული რეალობის ამსახველი მრავალი ფაქტი და მოვლენა ჯერ კიდევ „საიდუმლოებითაა“ მოცული. ჯუანშერის თხზულების გაცნობისას აუცილებლად გაგახსენდებათ X ს-ის ცნობილი ქართველი მოღვაწის — იოანე-ზოსიმეს სიტყვები: ამ ნაწარმოებში „მრავალი საიდუმლო არს დამალული“. „საიდუმლოთა“ დიდი ნაწილი თვით ვახტანგ გორგასლის ეპოქის მოვლენებს, მისი და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების თარიღების გარკვევას ეხება. ჩვენდა საბედნიეროდ, ჯუანშერის თხზულებაში შესული ვახტანგ გორგასლის თანამედროვე უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ქრონიკა“, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილიც მიუთითებდა, ერთ თარიღზეა დამყარებული. ამიტომ ვახტანგის გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენა საკმარისი აღმოჩნდა მასში დასახელებული თითქმის ყველა თარიღის გასარკვევად.

ჯერ ვნახოთ, რა მასალა გვაქვს ჯუანშერის თხზულებაში ვახტანგ გორგასლის ცხოვრების თარიღთა გასარკვევად. მასში აღნიშნულია, რომ თავისი მეფობის განმავლობაში ვახტანგმა ორჯერ იომა ირანელებთან. ორივე ეს ომი სამართლიანად არის მიჩნეული ბიზანტია-ირანის ომად.

ჯუანშერის ცნობები ამ ომების შესახებ დაწვრილებით გააანალიზა ლ.-ნ. ჯანაშიამ, ამიტომ მის მსჯელობას ქვემოთ შედარებით სრულად მოვიყვანთ.

„ბიზანტია-ირანის პირველი ომის დროს, — წერს ლ-ნ. ჯანაშია, — ჯუანშერის სიტყვით, ბერძნების კეისარი იყო ლეონ დიდი, ხოლო სპარსთა მეფე — ურმისდი“. „ლეონ დიდი, განაგრძობს იგი, — უეჭველია, არის ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I (457-474), ურმისდი კი შაჰი ჰორმიზდ III (457-459), რომლის შემდეგ ირანის ტახტზე იჯდა... მისი უმცროსი ძმა პეროზი (459-484)... რაც მთავარია, ლეონ I-ის, ჰორმიზდ III-ისა და პეროზის მეფობაში არავითარი ომი ბიზანტიასა და ირანს შორის არ ყოფილა“.[11] „ბიზანტია-ირანის მეორე ომის და-

* ჯუანშერის თხზულების იმ ნაწილის შესახებ, რომელშიც ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობაა ასახული, აკად. კ. კეკელიძე წერდა: „ბრძოლა ვახტანგ გორგასლანისა ხაკანთან და სხვადასხვა მტრებთან, როგორიცაა ხაზარნი, ჰინდონი, სინდნი, სპარსნი, ბერძენნი, აბაშნი, ბრძოლა რომელსაც ისტორიაში ვერც ადგილს მოუძებნით და ვერც მიზეზს, შეთხზული უნდა იყოს უმთავრესად ამირან-დარეჯანიანის ზეგავლენით“.[7]

წყების წინ, ჯუანშერის სიტყვით, ლეონ დიდის ნაცვლად ტახტზე დამჯდარა... ზენონი. ამავე დროს ირანში ტახტზე ასულა ახალი შაჰი, ისევ „ხუასრო". ლ.-ნ. ჯანაშიას თანახმად, ზენონი 474-491 წ.-ში იყო ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე, „ხუასრო" კი ირანის შაჰი ვალარში (484-488) უნდა იყოს, მაგრამ არც მათ დროს მომხდარა ბიზანტია-ირანის ომი.[12]

შემდეგ ლ.-ნ. ჯანაშია აღნიშნავს, რომ „ვახტანგ გორგასლის მეფობის მახლობელ ეპოქაში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი მოხდა 442-სა და 502-506 წლებში. შეიძლებოდა მხედველობაში არ მიგვეღო ჯუანშერის მიერ ბიზანტიისა და ირანის მეფეების ხსენება და გვეფიქრა, რომ ჯუანშერის ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომი არის 442 წლის ომი, ხოლო მეორე — 502-506 წლებისა; მაგრამ რიგი გარემოებებისა ეწინააღმდეგება ამ ვარაუდს.

442 წ. ბიზანტია-ირანის ომი ცოტა ხანს გაგრძელდა და მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებს ადგილი არ ჰქონია, რადგან იმპერატორ თეოდოსიუსს ომი არ უნდოდა და იგი სწრაფად დაეზავა სპარსელებს. ჯუანშერის აღწერით კი ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომი მეტად სისხლისმღვრელი იყო და სულ მცირე ათ წელიწადს გაგრძელებულა".[13]

„ამასთან ჯუანშერის მიხედვით ბიზანტია-ირანის პირველსა და მეორე ომს შორის ოცდათხუთმეტ წელს გაუვლია (პირველი ომის დამთავრებისას ვახტანგი ოცდახუთი წლისა იყო, ხოლო მეორე ომის დაწყებისას სამოცისა). მაგრამ, — შენიშნავს ლ.-ნ. ჯანაშია,—422-სა და 502 წლებს შორის სამოცი წელია. ასე რომ, თუ ჯუანშერის პირველ ომს მივიჩნევთ 442 წ. ომად, მაშინ მეორე ომი უნდა მომხდარიყო 477 წ., ხოლო თუ მეორე ომს მივიჩნევთ 502-506 წლების ომად, მაშინ პირველი ომი უნდა მომხდარიყო 467 წ. ჩვენ კი ვიცით, რომ არც 467-სა და არც 477 წლებში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი არ ყოფილა". ამის შემდეგ ლ.-ნ. ჯანაშია ასკვნის, რომ „...ჯუანშერს მეტად არასწორი ცნობები ჰქონია ბიზანტიასა და ირანის ისტორიაზე და ამიტომ ძნელი დასადგენია, რომელი ომები უნდა ვიგულისხმოთ ჯუანშერის მიერ ნახსენებ ბიზანტია-ირანის ომებში. ეს კი ძალიან ართულებს ჯუანშერის მიერ ნახსენებ ვახტანგ გორგასალის სპარსელებთან ომის დათარიღებას".[14] რასაც თავის მხრივ „...დიდი მნიშვნელობა აქვს ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღებისათვის".[15]

როგორც ვხედავთ, ჯუანშერის ცნობების გაანალიზების შემდეგ ლ.-ნ. ჯანაშია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჯუანშერს მეტად არასწორი ცნობები ჰქონია ბიზანტია-ირანის ისტორიაზე. „ის ცნობები, რომელიც აქვს ჯუანშერს ქართლის ბრძოლების შესახებ ირანის წინააღმდეგ, მეტად საეჭვოდ გამოიყურებიან". აღნიშნულიდან გამომდინარე ლ.-ნ. ჯანაშიამ ვახტანგის გარდაცვალების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ 502 წელზეც უარი თქვა და მიუთითა: „...ჩვენს ხელთ არსებული ცნობები საშუალებას არ იძლევიან ზუსტად დავათარიღოთ ვახტანგ გორგასლის მეფობა. ჯერჯერობით ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ვახტანგის მეფობა მოდიოდა V ს. მეორე ნახევარზე".[16]

ვახტანგის გარდაცვალების თარიღად მიღებული 502 წ. მართლაც „მეტად არასაიმედო საფუძველზე" არის დაფუძნებული. ბიზანტია-ირანის 502-506 წლების ომის შესახებ მოღწეული ისტორიული წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ ომი ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის შაჰმა კავად I-მა (488-497, 499-531) დაიწყო და ომის პირველსავე წელს ბრძოლები მცირე აზიაში ჰქონდა. იგი ქართლში არ შემოსულა.[17] ჯუანშერის ცნობით კი ვახტანგ გორგასალი „იორსა ზედა" ბრძოლაში დაიჭრა და უჯარმაში გარდაიცვალა. ამიტომ ცხადია, ომი, რომელშიც ვახტანგი დაიჭრა, ბიზანტია-ირანის 502-506 წლების ომი არ იგულისხმება. ისეთ ომზე კი, რომელიც ბიზანტია-ირანს V ს-ის ბოლოს ქართლის ტერიტორიაზე ჰქონდა, დღემდე არაფერი იყო ცნობილი. სწორედ ეს ართულებდა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენის საქმეს.

ბიზანტია-ირანის ამ უცნობი ომის შესახებ ჩვენი ყურადღება მიიქცია სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ერთმა ცნობამ. დასახელებულ სირიულ აგიოგრაფიულ ძეგლში ირან-ქართლის მარზპანის ფირან გუშნასპის გაქრისტიანებისა და მარტვილობის ამბავი არის გადმოცემული. ამიტომ მასში არსებული ზოგიერთი ცნობა მეტად მნიშვნელოვანია V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის.

სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ავტორის ცნობით, რან-ქართლის მარზპანი — ფირან გუშნასპი სპარსელებსა და რომაელებს შორის „იმ მხარეში (იგულისხმება ამიერკავკასია, ვ. გ.) გურზანისა და არანისათვის მიმდინარე ომში იქნა დატყვევებული და ამ ომის დამთავრების (ზავის დადების) მეორმოცე წელს ავიდა მეფე ხოსრო ტახტზე".[18]

ძეგლში მოხსენიებული „გურზანი და არანი" ქართლი და ალბანეთია, ხოლო „მეფე ხოსრო" — ირანის შაჰინ-შაჰი ხოსრო I ანუშირვანი. იგი 531 წელს ავიდა ირანის ტახტზე. მეორე მხრივ, მისი ტახტზე ასვლის წელი თუ ამიერკავკასიაში„ გურზანისა და არანისათვის" მიმდინარე ომის დამთავრების მეორმოცე წელი იყო, მაშინ ირანსა და ბიზანტიას შორის ზავი 581—40 = 491 წელს დადებულა.

ჯუანშერის თხზულებაში შესული ძველი ქართული „ქრონიკის" ავტორის ცნობით, აღმოსავლეთიდან კახეთზე გამოვლით შემოსულ ირანელებს ქართველები „იორსა ზედა შეებნენ". „სამ დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს..." მეო-

თხე დღეს კი „ლამესა ნისლისაგან განცისკრებულსა ოდენ დაესხა ვახტანგ სპარსთა ზედა... შევლო ვიდრე პალატამდე მეფისა... მოკლა შაჰის ძე“... და მუნ შინ სპარსთა ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე“. შემდეგ კი „...დამძიმდა წყლულები ვახტანგისი“ და „წარვიდა უჯარმოს“. ირანის შაჰი კი „რუსთავს ჩადგა“.

„ირისა ზედა“ ბრძოლის შემდეგ, აღნიშნულია ძველ ქართულ „ქრონიკაში“ „...ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისი მოკუდა, და დაჯდა მეფედ ზენონ...“ მართალია, როცა წყაროში ვახტანგის სიმამრად ზენონი არის დასახელებული და მის გამეფებაზეა საუბარი —შეცდომაა, მაგრამ 491 წ. 9 აპრილს მართლაც გარდაიცვალა იმპერატორი ზენონი. მეორე მხრივ, ომის დაწყების წინ, წყაროს ცნობით, ირანის ტახტზეც მოხდა ცვლილება — „მოკუდა ხუასრო და დაჯდა ძე მისი ხუასრო“. 491 წლის წინ — კერძოდ 488 წელს, ირანის ტახტზე მართლაც მოხდა ცვლილება. ამ წელს შაჰინ-შაჰი ვალარში ტახტიდან ჩამოაგდო მისმა ძმისწულმა კავადმა. როგორც ვხედავთ, ბიზანტიისა და ირანის მეფეების შესახებ ძველი ქართველი ავტორის ცნობები არც ისე უზუსტოა (ეს უზუსტობანი გვიან, გადამწერ-რედაქტორების დროს უნდა გაჩენილიყო ტექსტში), როგორც ეს დღემდე ეგონათ.

ამრიგად, ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორის მიერ მითითებული ბიზანტია-ირანის მეორე ომი, რომელშიც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა (იგი ამ დროს „დღეთა მიწევნილ იყო ვითარ სამოცისა წლისა“), სირიულ ძეგლში მითითებული ირან-ბიზანტიის 491 წლის ომი უნდა იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვახტანგის გარდაცვალება 491 წლით უნდა დათარიღდეს. რადგან ამ დროს ვახტანგი 60 წლისა ყოფილა, მისი დაბადება 431 წელზე მოვა.

ვახტანგის თანამედროვე ავტორისავე ცნობით, ირანელთა წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი და მეორე ომს შორის 35 წელი ყოფილა გასული, რადგან პირველი ომის დამთავრებისას ვახტანგი 25 წლისა იყო. რადგანაც მეორე ომი 491 წ. მომხდარა, პირველი ომი 491—35 = 456 წელს დამთავრებულა და 431 წ. დაბადებული ვახტანგ გორგასალი, 456 წელს მართლაც 25 წლისა იქნებოდა.

ახლა, რაც მთავარია, ბიზანტია-ირანის რომელი ომი უნდა დამთავრებულიყო 456 წელს?

ვახტანგის თანამედროვე ავტორი აღნიშნავს, რომ ჩრდ. კავკასიაში ლაშქრობიდან დაბრუნებისთანავე ვახტანგ გორგასალმა და მისმა ბიძამ ვარაზ-ბაკურმა ბიზანტიის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. ამ ომის დროს საომარი მოქმედება ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ დას. საქართველოში ვახტანგი მოქმედებდა როგორც შაჰის ვასალი და ეს ომი განხილული უნდა იყოს როგორც ბიზანტია-ირანის ომი.[19]

ამ ომის შემდეგ, 456 წ. ზავის დადებაში მონაწილეობდა V ს-ის ცნობილი ბიზანტიელი დიპლომატი და ისტორიკოსი პრისკოს პანიელი, რომლის თხზულებაში შემონახულია ცნობა ამ მოლაპარაკების შესახებ.[20]

ვახტანგ გორგასლის თანადროული ავტორის ცნობათა სიზუსტის საილუსტრაციოდ ვფიქრობთ, ჯერჯერობით მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია.

სწორედ 491 წლის ადრე გაზაფხულზე, რომ დაიწყო კავად I-მა ომი და ისიც საქართველოს ტერიტორიაზე, ეს შემთხვევითი არ იყო. როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ხალხების ანტიირანული აჯანყება 481-484 წ-ში, მართალია, მარცხით დამთავრდა, მაგრამ თვით ირანში დატრიალებულმა მოვლენებმა (შაჰის დაღუპვა, ბრძოლა ტახტისათვის) და სხვა წინააღმდეგობებმა აიძულა ახალი შაჰი ვალარში (484-488) ამიერკავკასიის ხალხთა მიმართ მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო... ვარაუდობენ, რომ ქართლშიც გაუმჯობესდა მდგომარეობა, აქედან გაწვეული იქნა სპარსთა ჯარი.[21] აღნიშნულთან ერთად, ლაზარ ფარპეცის ცნობით, ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების იდეა ხომ ქართლიდან, კერძოდ ვახტანგ გორგასლიდან მოდიოდა.[22] მან პირველმა დაიწყო ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანის შაჰინ-შაჰს პეროზს, ყველაზე საშიშ პიროვნებად ამიერკავკასიაში ისევ ქართლის მეფე მიაჩნდა. ამიტომ შემოუთვალა მან თავის სარდალს ზარმიჰრ ჰაზარავუხტს „... წასულიყო ქართლში და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან გაეძევებინა...“[23]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალარშის მაგიერ 488 წელს ირანის ტახტზე ასული ენერგიული შაჰინ-შაჰი კავად I, შინაური საქმეების მოგვარებისთანავე შეეცდებოდა ქართლში (საერთოდ ამიერკავკასიაში) ადრე შერყეული პოზიციები აღედგინა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ მის ასეთ ნაბიჯს ბიზანტიასთან შეტაკებაც მოჰყვებოდა.

კავადმა ამიერკავკასიის ხალხთა 481-484 წლების ანტიირანული აჯანყების გამოცდილებით იცოდა, რომ სანამ ვახტანგი ცოცხალი იყო, მას ქართლის დამორჩილება გაუძნელდებოდა — პირველ რიგში, ვახტანგის მოშორება იყო საჭირო, ეს კარგად ჩანს, ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორის მიერ შედგენილი „ქრონიკის“ ტექსტიდან: „ვახტანგ მოუწოდა პეტრე კათალიკოსსა და რქუა: „უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათჳს გუბრძვანან...“. ასევე არ იყო შემთხვევითი, რომ „სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“.

ქართლში ირანელთა მოსალოდნელი შემოჭ-

რის შესახებ, წყაროს ცნობით, ბიზანტიის საიმპერატორო კარი ადრევე იყო ინფორმირებული. ვახტანგმა „წარავლინა მოციქული და მიუმცნო კეისარსა". ქართველთა მოკავშირე — ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ასული ახალი იმპერატორი „გამოვიდა სპერად, გამოსვლად ქართლს. და ვითარცა ცნა სიმძიმე ვახტანგისი, დაადგრა კარნუქალაქსა. და მივიდა მუნ ხუასრო, და შეიბნეს ხუასრო და კეისარი კარნიფორას", „ვერ სძლეს ერთმანეთსა". ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიელებმა უხალისოდ იბრძოლეს. ბიზანტია-ირანს შორის 491 წლის ზაფხულში დაიდო ზავი და ქართლში ირანელთა ბატონობა ძველი ფორმით აღდგა. როგორც ჩანს, სწორედ კარნიფორის ბრძოლაში იქნა დატყვევებული ბიზანტიელთა მიერ ირან-ქართლის მარზპანი ფირან გუშნასპი და ჩვენთვის საინტერესო ცნობაც ამიტომ აისახა მისი მარტვილობისადმი მიძღვნილ სირიულ აგიოგრაფიულ ძეგლში.

განუზომელია სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ცნობების მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ საერთოდ ქართული კულტურის ისტორიისათვისაც. გარდა იმისა, რომ ძეგლის ერთი ცნობის (სხვა ცნობებზე აქ არაფერს ვამბობთ) საშუალებით ზუსტად დგინდება ვახტანგ გორგასლისა და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების ზოგი თარიღი. დღეის შემდეგ ასევე ზუსტად შეგვიძლია მივუთითოთ როდის დაიწყო ვახტანგმა დიდი საალმშენებლო საქმიანობა თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად გადასაქცევად როცა მთავარია, ჯუანშერის თხზულებაში შემონახული ძველი ნაწარმოების სახით ჩვენ ხელთ არის V ს-ის ისტორიული ნაწარმოები — „ქრონიკა ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა", რომლის ავტორი, როგორც თ. ჟორდანია ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიუთითებდა, უეჭველია ვახტანგის თანამედროვე იყო. იგი თვითმხილველი ყოფილა ფარნავაზიანთა სამეფო სახლში მიმდინარე ამბებისა და ზუსტად აღუნუსხავს როგორც სამეფო კარზე, ისე ქართლის სამეფოში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

„ქრონიკა ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა" საერთოდ არსებული „ფარნავაზიანთა სახლის" უძველესი ქრონიკის გაგრძელება უნდა ყოფილიყო. V ს-ის დამდეგისათვის ქართულ საისტორიო მწერლობას უკვე მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზა რომ ჰქონდა გავლილი, ამას იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობასთან"* ერთად, ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორის მიერ შედგენილი და ჯუანშერის თხზულებაში დღემდე შემონახული „ქრონიკაც" მოწმობს.

* აკად. კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ იაკობ ცურტაველს შესაძლებელია ვახტანგ გორგასლის მეფობაც ჰქონდა აღწერილი.[24]

## მითითებული ლიტერატურა


1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 289.
2. ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 164.
3. ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 11.
4. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 191.
5. იქვე, გვ. 194.
6. იქვე, გვ. 191-192.
7. კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და და მისი ისტორია, „ჩვენი მეცნიერება", № 4, 1923, გვ. 36-37.
8. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 194.
9. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I. გვ. 289.
10. იქვე. 291.
11. ლ.-ნ. ჯანაშია. დასახ. ნაშრომი, გვ. 163.
12. იქვე.
13 იქვე, გვ. 163-164.
14. იქვე, გვ. 164.
15. იქვე, გვ. 164, შენ № 213;
16. იქვე, გვ. 168, შენ. № 215. შდრ., მისივე ნაწილი წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" II, თბ., 1972, გვ. 106.
17. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 289.
18. G. Hoffmann, Auszüge aus syrischen Akten persischen Martyrer, Leipzig, 1880, გვ. 80.
19. ვ. გოილაძე, ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ეპოქაზე. „ცისკარი", 1983, № 8. გვ. 148.
20. Сказания Приска Панийского, М., 1899, გვ. 4, 83—84.
21. მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 86.
22. ლ.-ნ ჯანაშია, დასახ. ნაშრომი. გვ. 243 და შემდეგი.
23. იქვე. გვ. 263.
24. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 115, შენ. № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

# ფრანც კაფკა

## დაბადებიდან 100 წლისთავი

ან ღვთის რჩეული უნდა იყოს კაცი, ან ღვთის მადლს მოკლებული, რომ მთელი სიცოცხლე ისე უსიხარულოდ, უხალისოდ, უიმედოდ იცხოვროს, როგორც ფ. კაფკამ (1883-1924) იცხოვრა, და მაინც იპოვოს საკუთარ თავში ძალა, მაინც იშრომოს, ილვაწოს, იტანჯოს და შექმნას ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, კაცობრიობას რომ დააფიქრებს, aაღელვებს და აალაპარაკებს. ეს კი უაღრესად ძნელი საქმეა და ხელეწიფება მხოლოდ მაძიებელ, სულიერად ძლიერ, დიდი ნიჭით, შრომის უნარითა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებულ პიროვნებას. ფ. კაფკა რომ ასეთი პიროვნება იყო, ამას ცხადყოფს მისი მძიმე ცხოვრებაც, რთული შინაგანი სამყაროც, მსოფლმხედველობრივი მრწამსიც და იმ დროისათვის მოურჩენელი ავადმყოფობაც. ჰლექით დაავადებული არა მარტო სიტყვებს, კონსტრუქციებს, იდეებსა და მხატვრულ ფორმებს ებრძოდა, არამედ მძიმე სენსაც, უძილობასაც, მოჩვენებებსაც და კოშმარებსაც. მარტოობით თავმობეზრებული, ოთხ კედელს შორის გამოკეტილი, მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებოდა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, დღიურს წერდა. ეს დღიური ყველაზე ნათლად გადმოგვცემს მის სულიერ განწყობილებას, მისი ფანტაზიისა და წარმოსახვის უჩვეულობას და მის დამოკიდებულებას როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოებისადმი. 1910 წელს დღიურში იგი წერს: „ბოლოს და ბოლოს, ხუთი თვის უქმად ყოფნის შემდეგ, რომლის განმავლობაში არაფერი დამიწერია ისეთი, კმაყოფილი რომ დავრჩენილიყავი და რის ანაზღაურებაც არ შეუძლია აარავითარ ხელისუფლებას, თუმცა ყველა ვალდებულია გააკეთოს ეს, გადავწყვიტე ისევ ჩემს თავს გავესაუბრო. ამის უნარი ჯერ კიდევ შემწევს. რაკი დავისახე ამგვარი მიზანი, აქ მართლაც შემიძლია რაღაც დავცინცლო ჩემს თავს, თივის იმ ზვინს, ამ ხუთი თვის მანძილზე რომ გავხდი და რომლის ბედიც, მგონია, მხოლოდ ისაა, რომ ზაფხულში ცეცხლი წაუკიდონ და ისე სწრაფად დაიწვას, რომ მაყურებელმა თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწროს. დაე, ამგვარი რამ სწორედ მე გადამხდეს თავს, დაე, თუნდაც ათასჯერ გადამხდეს, მე ხომ არ ვდარდობ დროზე, ბედკრულ დროზეც კი. მე არ ვარ უბედური, მაგრამ არც ბედნიერი მქვია, არც გულგრილი ვარ, არც დაუძლურებული და არც დაღლილი, არც ინტერესი მაკლია რაღაც-რაღაცეების მიმართ, მაშ რაღაა ეს? ის, რომ მე არ ვიცი, რა არის ეს, დაკავშირებულია ალბათ იმასთან, რომ წერის უნარი მაკლია. მე მგონი ამას ვგრძნობ, მაგრამ მიზეზისათვის ვერ მიმიგნია. ყოველი საგანი, ჩემს გონებაში რომ წარმოიშობა, თავის ძირიდან კი არ არის ამოზრდილი, არამედ სადღაც შუიდან იზრდება. შეეცადე და გააჩერე ისინი, შეეცადე და გააჩერე ბალახი და თვითონაც მოეჭიდე მას, როცა იგი შუა ღეროდან იწყებს ზრდას“.

ფ. კაფკა ყველგან და ყოველთვის ეძებდა მტკიცე, ძირმაგარ საყრდენს, მაგრამ ვერასოდეს პოულობდა, ყოველთვის უნდოდა მშვიდი და უშფოთველი ყოფილიყო, მაგრამ საკმარისი იყო წარმოედგინა ბალახი, რომელიც შუა ღეროდან იზრდება, და იმ წამსვე კარგავდა მოსვენებას, დაღლილსა და სულშეხუთულს ყოველთვის ენატრებოდა სიმხნევე, სიხალისე, მაგრამ საკმარისი იყო, შინ თუ გარეთ, ადამიანის სიბეჩავე სიბრიყვე დაენახა, მაშინვე ეშხამებოდა გუნება, ენატრებოდა თავისუფლება, სამართლიანობა, ადამიანური ღირსების ხელშეუხებლობა სოციალური თანასწორუფლებიანობა, გონებაგახსნილი, სულიერად მდიდარი საზოგადოება, მაგრამ არც თავისუფლების არ-

სებობისა სჯეროდა, არც სამართლიანობისა, არც თანასწორუფლებიანობისა და არც გონებაგახსნილი, სულით მდიდარი საზოგადოებისა. იმ დროს ერთმანეთისაგან გათიშულობა და გაუცხოება იმდენად ჰქონდათ უკვე გამჯდარი ძვალ-რბილში ადამიანებს, იმდენი ეჭვი და უნდობლობა იყო დახვავებული ირგვლივ, იმდენად ეშინოდა მეზობელს მეზობლის, გამვლელს გამვლელის, კოლეგას კოლეგის, რომ ადამიანთა ამგვარი ურთიერთობა ფ. კაფკამ ცხოვრების არაბუნებრივ ფორმად და ტრადიციულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაკლად მიიჩნია და ადამიანის შეცვლისა და გარდაქმნის, კაცთა მოდგმის გაუმჯობესების იმედი დაკარგა

განათლებით ფ. კაფკა იურისტი იყო, დამზღვევი საზოგადოების რიგითი მოხელე. მხატვრულ ნაწარმოებებზე ძირითადად საღამოს ან ღამე მუშაობდა. ამავე დროს, არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ შედევრებს, საყოველთაო მნიშვნელობის თხზულებებს ქმნიდა; ბეჭდავდა ცოტას, კრიტიკულად განწყობილი, ახალ ნაწარმოებს მეგობრების ვიწრო წრეს უკითხავდა და, ღამეული კოშმარებით აფორიაქებული, დილით სამსახურში გარბოდა. ეს ორმაგი ცხოვრება, რაღაცის მალვა და რაღაცის გამოჩენა, ისედაც გაორებულს და გამარტოხელებულს ათმაგად აორებდა, თავის თავისაგანაც კი თიშავდა, ამის გამო ერთხელ ასეთი სიტყვებიც კი წამოსცდა: „ჩემთვის საშინელებაა ეს გაორებული ცხოვრება, საიდანაც მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს — სიგიჟე".

მოხელედ მუშაობამ, ბიუროკრატიულმა დაწესებულებებმა, ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დიდმა და პატარა ქალაქებმა, მათი მცხოვრებლების კარჩაკეტილმა და უინტერესო ცხოვრებამ, საკუთარ სამშობლოში უსამშობლობამ და პირველი იმპერიალისტური ომით გამოწვეულმა საერთო განწყობილებამ წარუშლელი კვალი დასტოვეს ფ. კაფკას სულსა და მეხსიერებაში. მისი გმირების მოქმედების გარემო და ქალაქის ძირითადი ლანდშაფტი თითქმის ყველა ნაწარმოებში ერთნაირია და მუქი და ნაცრისფერი საღებავებითაა დასურათებული: ვიწრო, მოკირწყლული ქუჩები, ცივი ნათელით ან მთვარის უსიცოცხლო სხივებით გაშუქებული, ნახევრად განათებული, ნაცრისფერფასადიანი, მრავალბინიანი სახლები, რომელთა ფანჯრებიდან დღისითაც და ღამითაც იმზირებიან მოხუცები, უსაქმურები, სახიჩრები და თვალყურს გადევნებენ, თავიანთ სამყაროში გითრევენ, გაეჭვიანებენ. ამ სახლების კიბეები და დერეფნები თითქმის მუდამ ჩაბნელებული და საჭმლის, მტვრისა და სიმრუშის სუნითაა გაჟღენთილი. ასეთ სახლებში შესვლა და გამოსვლა ყოველთვის რაღაც უსიამოვნებასა და საფრთხესთანაა დაკავშირებული. ამ ვიწრო ბინებში, დერეფნებში და კიბეებზე დადიან უცნაური ადამიანები, მოჩვენებები, ერთმანეთის მტრები და ამთვალისწუნებლები, ერთმანეთში დაეჭვებული ქალები და კაცები, რომელთა ინტერესები ისე ეწინააღმდეგება ერთმანეთს, როგორც მათი ბნელი და ფარული ზრახვები. განსაკუთრებით საშინელია სახელმწიფო დაწესებულებების ოთახები და კანტორები, კიბეები და დერეფნები. რომანში „პროცესი" ისინი ისევე იცვლიან სახეს, როგორც ის ადამიანები, სასამართლოსთან რომ არიან დაკავშირებულნი და პროცესის მსვლელობაში ისეთ ნიღბებს ირგებენ, როგორიც პროცესის ამა თუ იმ სტადიას შეეფერება.

საერთოდ, კაფკას უყვარდა შენობების, მათი ფასადების, მათი ინტერიერის, ქუჩების ფერების, ჩაცმულობის, ნივთებისა და ფერწერული ტილოების აღწერა, უყვარდა აზრის არაკებით გადმოცემა და მათი ბუნდოვან, ალოგიკურ, პარადოქსულ სამოსელში გახვევა. მისი ფერები ყოველთვის მძიმე და მწუხრისფერია, მუქია თავის ტონალობითაც, შინაგანი არსითაც და ემოციური სიმძაფრითაც, მუქი ცივი და გამთოშავი, ხატვის სტილი მკვეთრად გრაფიკული, კონტრასტული და რიტმულად დაძაბული, ინტონაცია ექსპრესიული, ნაწარმოების შინაარსითა და სტრუქტურით გაპირობებული, აზროვნების კომპონენტები უჩვეულო, მახვილი, ზოგადკაცობრიული, მეხსიერება მოჩვენებებით, ასოციაციებითა და ფანტასტიკური ამბებით გადატვირთული. იგი მონდომებით ცდილობდა განთავისუფლებულიყო ყოველივე ამისაგან, დასხლტომოდა ხელიდან გროტესკულ სახეებს, ირაციონალურ მოვლენებს, მაგრამ ამაოდ. ყველაზე ცხადად თვითონ გრძნობდა, რომ სიკვდილამდე ვერ დააღწევდა მათ ტყვეობას თავს.

სინამდვილის ტრაგიკული შეგრძნება მისთვის იმდენად ორგანული იყო, რომ ტანჯვის, შიშისა და ჭმუნვის გარეშე არსებობა არ შეეძლო. ეს კი უკიდურესობამდე ამძაფრებდა მარტოობის გრძნობას და ცხოვრების ალოგიკურობის, ირაციონალიზმისა და უაზრობისაგან გამოწვეულ შეშფოთებას. ის, რაც ფ. კაფკას სულში ხდებოდა და ის, რასაც მისი გმირები ტრაგიკულ დასასრულამდე მიჰყავდა, თითქმის იდენტური იყო. იგი გარედან კი არ ადევნებდა თვალყურს თავისი გმირების უსიხარულო, უაზრო ცხოვრებას, არამედ იმგვარივე ცხოვრებით ცხოვრობდა, იმასვე ფიქრობდა, იმასვე განიცდიდა, რასაც მისი ნაწარმოებების პერსონაჟები.

წერის ორიგინალურ მანერას, სტილს, გამომსახველ საშუალებებს ფ. კაფკამ მანამდე მიაგნო, სანამ მხატვრული ნაწარმოებების წერას შეუდგებოდა. მისი ფანტასტიკური მოთხრობები და რომანები, ის დაუჯერებელი ამბები, მის ნაწარმოებებში რომ იჩენენ თავს, უაღრესად რეალურ გარემოში, ყოველდღიური ცხოვრებ-

ის ფარგლებში მიმდინარეობს და ისეთი ყოფითი წვრილმანებითაა დატვირთული, რომელთა გარემოცვაში მისი პერსონაჟები უაღრესად მიწიერნი არიან, ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრებით ცხოვრობენ და თავით ფეხებამდე ებმებიან იმ ქსელში, რასაც გარსშემომცველი ცხოვრება ჰქვია და რომლის უხილავ, მაგრამ დამთრგუნველ ძალებს ვერსად დაემალები. მის მოთხრობებსა და რომანებში სწორედ ფანტასტიკურ, დაუჯერებელ, პარადოქსულ ამბებს შეაქვთ მწერლის აზროვნების თავისებური კომპონენტები, მისი ეთიკური და ესთეტიკური მრწამსი, ცხოვრებისადმი პირობითი დამოკიდებულების გარდუვალობა, ფართოდ გაშლილი მეტაფორები, წარმოდგენით დაუჯერებელი, მაგრამ დასაშვები და გასაგები სიტუაციები და მწვავე ირონია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფ. კაფკას ირონია არ არის კაცთმოძულე, ცინიკური. იგი ბუნებით სათნო, ფაქიზი კაცი იყო, შესანიშნავად იცნობდა როგორც ცხოვრებას, ასევე ადამიანს, იცოდა, იმ ლოდის სიმძიმე, კაცს რომ აწევს მხრებზე, და უფრო თანაუგრძნობდა მის ყოველდღიურ ჭიდილს ყოფიერების დამთრგუნველ ძალებთან, ვიდრე დასცინოდა. მას მხოლოდ სიბრიყვე, სიჩლუნგე, სიხარბე, უგუნურობა არ უყვარდა ადამიანში, მხოლოდ მის უსაფუძვლო თავდაჯერებულობას ქარაფშუტობას, უხეშობას და უთავბოლობას დასცინოდა მწარე, მაგრამ შემწყნარებლური ღიმილით და ამ ღიმილს თავის თავზეც ისევე ავრცელებდა, როგორც სხვებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფ. კაფკას თვითონ შეჰქონდა ნაწარმოებებში ის ფანტასტიკური, დაუჯერებელი, პარადოქსული ამბები, მკითხველს რომ აცვიფრებს, ისეთ ხორც ასხამდა მათ, ფანტასტიკურ ქარგას ისეთ რეალურ სამოსელში ახვევდა, რომ მკითხველი იჯერებდა და ინტერესით კითხულობდა მის ნაწარმოებებს. ამ მხრივ უაღრესად ფანტასტიკური და დაუჯერებელი მოთხრობაა „გარდაქმნა“. ულიმღამო ცხოვრებით თავმობეზრებული კომვოიაჟერი ზამზა ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად, ამაზრზენ მწერად გადაიქცევა და ამ მეტამორფოზის შემდეგ მწერის ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ გარემოსა და ადამიანებს ადამიანური გრძნობებით და შეგნებით აღიქვამს.. მწერად ქცეული ზამზა საშინლად იტანჯება, გრძნობს, რომ მისი გარდაქმნით ირგვლივ არაფერი შეცვლილა, ცხოვრების საშინელება ყოველდღიურ წვრილმანებშია ჩაბუდებული და ფატალურად განიცდის სხვებისა და საკუთარ უმწეობას, იმ ამბავს, რომ არც მას და არც მის მახლობლებს არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. არა და ასე ცხოვრება სამარცხვინოცაა და სახიფათოც არა მარტო მისთვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისათვისაც. ყველას ეშინია მეზობლებმა, ნაცნობ-მეგობრებმა, გარეშე ადამიანებმა არ გაიგონ ის სამარცხვინო და საშინელი ამბავი. მათ ოჯახში რომ დატრიალდა, რადგან თუ გაიგეს, დაიწყებენ ჩხრეკას, მიზეზისა და დამნაშავის ძიებას და შეიძლება ბრალი ამ უცნაურ გარდაქმნაში მას ან მისი ოჯახის წევრებს დასდონ. ზამზას მისი ოჯახის წევრების მისდამი ზიზღიც ტანჯავს და საკუთარ და სხვების წამებას რომ ბოლო მოუღოს, შიმშილით იკლავს თავს. ასე სცადა ფ. კაფკამ გამოეხატა ამ ცხოვრების უაზრობა, ადამიანის სიბეჩავე, უძლურება და მისი ბედის ფატალურობა.

ცხოვრება რომ ცვალებადი, მერყევი, არასაიმედო და ფატალურია, მისი გამტკიცება, შეცვლა და გარდაქმნა რომ არ შეიძლება, რომ ვერ ააშენებ ისეთ ციხე-სიმაგრეს, ბოროტმზრახველთა და მოძალადეებისაგან დაგიცვას, რომ ადამიანსა და გარე სამყაროს შორის იმთავითვე ჩამოვარდნილი კონფლიქტის აღმოფხვრის ცდა ამაო შრომაა, ამის გამოხატვა ფ. კაფკამ სცადა ერთ-ერთ ალეგორიულ მოთხრობაში „სორო“.

ფ. კაფკას დაწერილი აქვს ბევრი საინტერესო მოთხრობა და ნოველა: „გამომასწორებელ კოლონიაში“, „სოფლის ექიმი“, „ვაჭარი“, „განაჩენი“, „ანგარიშგება აკადემიას“, „ახალი ვექილი“, „მომღერალი ჟოზეფინა“, „ხიდი“, „რკინიგზის მგზავრები“, „სიმართლე სანჩო პანსაზე“, „მოშიმშილე“, „პრომეთეოსი“, „პოსეიდონი“ და სხვა მრავალი. ყოველი მათგანი მწერლის მსოფლმხედველობისა და მრწამსის გამომხატველია, მაგრამ მწერლის განწყობა, მისი იდეური კრედო, მისი მელანქოლია, მარტოობა, შინაგანი წინააღმდეგობები, მისი წერის მანერა, სტილი და მაინც მის რომანებშია საძიებელი. ფ. კაფკას დაწერილი აქვს სამი რომანი: „უგზოუკვლოდ დაკარგული“, „პროცესი“ და „ციხე-დარბაზი“. მათ შორის ერთი „პროცესი“ დამთავრებულია, ორი დანარჩენი კი — დაუმთავრებელი. სამივეს პირობითი ფონი აქვს შექმნილი და სამივეში ფანტასტიკური სიტუაციები ყოველდღიური ცხოვრების პროზაულ ერთფეროვნებაში მიმდინარეობს.

რომანის „უგზოუკვლოდ დაკარგულის“ მოქმედება იმდროინდელი ამერიკული ცხოვრების ფონზე იშლება. მართალია, კარლ როსმანი ევროპაში დაიბადა და გაიზარდა. აქ მიიღო აღზრდა და განათლება და ამერიკაში მხოლოდ მას შემდეგ გადაბარგდა, როცა, მოსამსახურე გოგოსაგან შეცდენილი, მშობლიური სახლიდან გააგდეს, მაგრამ რომანის გმირის თავგადასავალი იმ დღიდან იწყება, როცა იგი გემით ევროპიდან ამერიკაში ჩადის და ამერიკული ცხოვრების წესს ეცნობა. რომანში ფანტასტიკური და რეალური ერთმანეთშია ჩახლართულ-ჩაწნული, ხოლო არარეალური რეალურ სამოსელში გახვეული. ცხოვრებისეული სინამდვილე და ყოფითი დეტალები დამაჯერებელს ხდის დაუჯერებელს. კარლ როსმანის ბედს უამრავი შემ-

თხვევითი მოვლენები და ფატალური, გაუგებარი და გაუთვალისწინებელი გარეშე ძალები განაგებენ.

ნაწარმოებში ყველაზე საინტერესო მაინც ის თავია, სადაც აღწერილია ჰიპერბოლიზებული, უზარმაზარი სასტუმრო „ექსიდენტალი", სადაც კარლ როსმანი, ბიძის შემოწყრომისა და მრავალი თავგადასავალის შემდეგ, ლიფტიორად მოეწყო. სასტუმროს მრავალრიცხოვან მოსამსახურეთა შორის ჯერჯერობით ერთადერთი შინაგანად თავისუფალი ადამიანი ევროპიდან ჩამოსული ჭაბუკია. იგი იმ სამყაროს გარეთ დგას, რომლის მოსამსახურეც ბედნიერი შემთხვევის წყალობით გახდა და რადგან მოსამსახურეთა საერთო მასაში არ გაითქვიფა, უკეთ ხედავს იმ ნაკლს, მექანიკური თუ ავტომატური ცხოვრების იმ უარყოფით მხარეებს, სხვები რომ ვერ ამჩნევენ. ამიტომ უფრო ღრმად, უფრო მძაფრად განიცდის ამგვარი ცხოვრების უაზრობას, უსიხარულობას და საბოლოოდ რწმუნდება, რომ სასტუმროს მოსამსახურეები ველარასოდეს გადაეჩვევიან ამგვარი ფორმით ცხოვრებას. ისინი სასტუმროს ადმინისტრაციის, მის მიერ დამყარებული წესრიგის და რეჟიმის ყურმოჭრილი მონები არიან ამ წესრიგის განმტკიცებაში თვითონ ეხმარებიან ადმინისტრაციას.

ამ სასტუმროს ყველა მოსამსახურე, დაწყებული უფროსი კლერკით და უმცროსი მზარეულით და კარისკაცით დამთავრებული, გაუცხოებული და განმარტოებულია, ყველა მხოლოდ თავის თავზე, თავის სამსახურეობრივ მოვალეობაზე ფიქრობს და ავტომატური კეთილსინდისიერებით ასრულებს იმ საქმეს, რაც აკისრია. მათ გაუცხოებას და გათიშულობას კიდევ უფრო ამძაფრებს ტექნიკური ცივილიზაცია და ბოლოს და ბოლოს ადამიანი მანქანის უბრალო დამატება ხდება.

ფ. კაფკას არც ამ შემთხვევაში უღალატა ინტუიციამ და თითქმის ზუსტად გაითვალისწინა იმ ტრანსკონტინენტური კომპანიებისა და ტრესტების ბიუროკრატიული აპარატის მასშტაბები, მათი სექციების, ბიუროების, საწარმების განშტოებულობა, მათი იერარქიული საფეხურები და მმართველი აპარატის მოწყვეტილობა და ფატალურობა მრავალრიცხოვანი მოსამსახურეების, აგენტებისა და მუშახელისაგან. ექსპლოატატორი უსახური, უჩინარი, მიუწვდომელი და შეუვალია, მასთან ბრძოლა თითქოსდა რეალურ, მაგრამ გამისტიცირებულ ძალასთან ბრძოლაა და ასეთ ვითარებაში სამართლიანობისა და თანაბარუფლებიანობის ძიება უაზრო და უშედეგოა. დღეს მსოფლიო ლიტერატურაში ტრანსკონტინენტალური კომპანიებისა და ტრესტების მმართველი აპარატის სტრუქტურასა და საქმიანობაზე მრავალი მოთხრობა და რომანი იბეჭდება როგორც ამერიკაში, ასევე დასავლეთ ევროპაში და მათი ავტორებიც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ადამიანის ხელით შექმნილი უზარმაზარი ტექნიკური ცივილიზაცია თვით ადამიანის წინააღმდეგაა მიმართული.

რომანი დაუმთავრებელია, კარლ როსმანის ბედი კი გაურკვეველი, მაგრამ რომანის შეფასებისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ბედნიერად დასრულდა ნაწარმოების გმირის ცხოვრება თუ ტრაგიკულად. მთავარი ისაა, რომ ფ. კაფკამ შესძლო ამერიკის იმგვარად აღწერა, როგორც მისი მდიდარი ფანტაზია, მისი წარმოსახვის უნარი კარნახობდა და დაგვანახა არა მარტო ტექნიკური ცივილიზაციის უსულგულობა, რაც ადამიანებს ერთმანეთისაგან თიშავს და აუცხოებს, არამედ ადამიანის უსასრულო, ყოველდღიური, დაუმთავრებელი კონფლიქტი უცნობ გარე სამყაროსთან და ისიც, რომ ძველი ევროპიდან ახალ ამერიკაში გაქცევას არავითარი აზრი არა აქვს, ცხოვრება იქაც ცხოვრებაა და გაქცევა არ ამსუბუქებს იმ სულიერ კრიზისს, ევროპელი რომ განიცდის.

მეორე რომანი „პროცესი" იმით იწყება, რომ ბანკის ერთ-ერთ მოსამსახურეს, რომელიც ყოვლად უინტერესო, ბანალური ცხოვრებით ცხოვრობს და იმის იმედიც კი აქვს, რომ სამსახურში ცოტათი მაინც მაღლა აიწევს, ერთ მშვენიერ დილას, ჯერ კიდევ საწოლში მწოლარეს, თავზე დაადგებიან და, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი დაუშავებია, მაინც დააპატიმრებენ. მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი დაპატიმრება, მას მხოლოდ უცხადებენ, დაპატიმრებული ხარო და ბრალდებას უყენებენ, ყველაფერი დანარჩენი კი ისევ ისევე რჩება, როგორც მანამდე იყო. მას უფლება აქვს სამსახურში იაროს და იმავე ცხოვრებით იცხოვროს, როგორც მანამდე ცხოვრობდა. სწორედ აქედან იწყება იოზეფ კ-ს სულიერი წამება და ტრაგედია და ამ წამებასა და ტრაგედიას ერთი მიზეზი კი არა აქვს, არამედ მრავალი. საერთოდ ფ. კაფკა იმ აზრისაა, რომ ადამიანის ტანჯვასა და ტრაგიკულობას ერთი მოტივი კი არ უდევს საფუძვლად, არამედ მრავალი. თუმცა იოზეფ კ-ს არაფერი დაუშავებია, თითქოს საგანგაშო არაფერი მომხდარა, მაგრამ მაინც დაპატიმრებულია და იმ დღიდანვე მას უკვე ეჭვის თვალით უყურებენ.

რომანში გაკვრითაც კი არ არის ნახსენები, რა დანაშაული ჩაიდინა, რა ბრალი მიუძღვის იოზეფ კ-ს სასამართლოს წინაშე — ეს სასამართლო ჩვეულებრივი სასამართლო კი არა, არამედ რაღაცნაირი მისტიციზირებული დაწესებულება, ზერეალური ძალაა, რომლის ასავალ-დასავალის გაგება შეუძლებელია, სამაგიეროდ, უაღრესად ფანტასტიკურად და კაზუისტიკურად აქვს აღწერილი რომანის გმირის ხეტიალი სულისშემხუთველ, უჰაერო, ბინძურ და ვიწრო კანცელარიებში, მუდამ ავადმყოფი,

თითქმის მომაკვდავი ვექილის უცნაურ ბინაში, მხატვრის სახელოსნოში, სადაც ადამიანს აუტანელი სიცხისაგან გული ულონდება და სადაც ნაადრევად გარყვნილი გოგონები მტრულად ეკიდებიან და ჭუჭრუტანებიდან უთვალთვალებენ, ჩაბნელებულ კათედრალურ ტაძარში, სადაც უცნაურ სურათს ხედავს და ამავე სასამართლოს მსახური მღვდელი მარტო მას უკითხავს ქადაგებას და უყვება უცნაურ და ალოგიკურ არაკს კანონის ღია კარის შესახებ. ფ. კაფკას სხარტად და საინტერესოდ აქვს აღწერილი ის სიტუაციები და ეპიზოდები, როცა იოზეფ კ. ხვდება მასავით დაპატიმრებულ პირებს, ვექილის მომვლელ ქალიშვილს ლენის, რომელიც ცხოვრობს ყველასთან, ვისაც კი ბრალი ედება, ვექილის და დახმარება სჭირდება.

უმნიშვნელო მოვლენებისა და ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვანი დეტალების მიხედვით გვიხატავს, როგორი დევნილი, პატივაყრილი და ყოველი მხრიდან მტრული, უძლეველი ძალებითაა გარშემორტყმული მისი გმირი. ბოლოს და ბოლოს მას საკუთარ უდანაშაულობაშიც კი ეპარება ეჭვი და აღარ იცის რა ქნას, როგორ მოიქცეს. ამ მდგომარეობამდე იგი მიჰყავს უსასრულობამდე იერარქიულ, რეპრესიულ აპარატს. ყოველივე ამას თან ახლავს შესაბამისი კოლორიტი, ცივი, მუქი ფერები, უჩვეულო სინათლე და უჩვეულო სიბნელე, გამაბრუებელი სუნი და უსიამო ბგერები, გაუგონარი არაკები და ამ არაკების ამოუხსნელი აზრი.

ისევე როგორც ფ. კაფკას გმირების ცხოვრებასა და ტრაგედიას მრავალი მიზეზი, მრავალი მოტივი აპირობებს, ასევე მისი რომანების წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია ერთგვაროვანი და ერთაზროვანი დასკვნის გამოტანა. ალბათობა მის რომანებში იმდენია, რამდენი წახნაგიც აქვს ცხოვრებას. შეიძლება „პროცესში" ფ. კაფკას იმის თქმა უნდოდა, რომ სახელმწიფო დაფუძნებულია ძალადობაზე, ამ ძალადობას ახორციელებს უზარმაზარი სასამართლო და პოლიციის აპარატი, რომელთაც ფესვები წარსულში აქვთ გადგმული, და, დანიშნულების თვალსაზრისით, უცვლელი და უძლეველია. სანამ ისინი არსებობენ, იარსებებს დამნაშავეც, რადგან დამნაშავის გარეშე მათ არსებობას აზრი არ ექნება. ამ აპარატის სტრუქტურა ისეთია, რომ მისი დამთრგუნველი ძალის გამოყენება ყველგან და ყოველთვის, შეიძლება განსაკუთრებით მოაზროვნე, პატიოსანი, ფაქიზი და შინაგანად თავისუფალი ადამიანის წინააღმდეგ და თანაც ისე, რომ თვით აპარატი ამის გამო ერთი ბეწოთიც არ ზარალდება, რადგან განყენებული, იერარქიული და უსახურია და მარტოხელა ადამიანი, რა ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, მას ვერაფერს დააკლებს. მის წინააღმდეგ ამხედრებული, სიმართლის მაძიებელი ადამიანი იმთავითვე განწირულია, რადგან უპირისპირდება უხილავ, ირეალურ და არა რაღაც კონკრეტულსა და ხელშესახებ ძალას.

ამ რომანში ფ. კაფკას, ალბათ, იმის თქმაც უნდოდა, რომ ადამიანი პირველყოფილი ცოდვის მატარებელია, ჩადის თუ არა დანაშაულს, მაინც დამნაშავეა და როცა ვინმეს რამეში ბრალს სდებენ, მეორე ადამიანს ეს არ უკვირს, მის დამნაშაობაში დარწმუნებულია, ხოლო თუ ამა თუ იმ კაცის დადანაშაულებას ბიუროკრატიული აპარატი მოჰკიდებს ხელს, მისი დანაშაული თითქმის დასაბუთებულია და ბრალდებულს უკვე ველარაფერი იხსნის განაჩენისაგან. ამიტომაა, ბრალდებულის ბრძოლა ყოველთვის უიმედო და ამიტომაც თავდება მისი ცხოვრება ტრაგიკულად, ასკვნის ფ. კაფკა.

როგორც სიუჟეტური ხაზის განვითარებით, ასევე ფორმით, სტრუქტურით, აზრობრივი წიაღსვლებითა და კონფლიქტურობით ძალზე საინტერესოა ფ. კაფკას მესამე რომანი „ციხედარბაზი". აქ თითქმის უკიდურესობამდეა მიყვანილი მისი სკეპცისი და ცხოვრებისეული მოვლენების ფატალურობა, გაქვავებული ტრადიციების მქონე საზოგადოებაში შეღწევისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

მთავარი გმირი ამ რომანშიც ინიციალით, ერთი ასოთია წარმოდგენილი, მიწისმზომელის პირობითი სახელი აქაც კ-აა, მაგრამ იგი „პროცესის" გმირზე უფრო აბსტრაქტული, განზოგადებული და პირობითია. მისი ხასიათის, მისი თვისებების, თვალთახედვისა და წარსულის შესახებ მკითხველმა არც სოფელში ჩამოსვლამდე იცის რამე და ვერც მერე გებულობს. ერთი სიტყვით, იგი სიმბოლო, კონსტრუქცია უფროა, ვიდრე ცოცხალი ადამიანი თავისი ვნებათღელვით, განცდებით, ფსიქიკითა და ხასიათის თავისებურებებით. მიუხედავად ამისა, „ციხე-დარბაზის" კ-ა მაინც საგრძნობლად განსხვავდება „პროცესის" კ-საგან. იგი უფრო მიზანდასახული, ბრძოლისუნარიანი და შეუპოვარია. ჯიუტად ისწრაფვის იმისაკენ, რომ შეაღწიოს ციხე-დარბაზში, შევიდეს იმ კანონის ღია კარში, „პროცესში" რომ არის აღწერილი, რაც იდუმალებით მოცულ, გაუგებარ, დროისა და სივრცის არამქონე სამყაროში შესვლას ნიშნავს, რაც, ფ. კაფკას აზრით, უბრალო მოკვდავისათვის მიუღწეველია და სანამ კაცობრიობა არსებობს, მიუღწეველიც ყოველთვის იარსებებს. ადამიანის არსებობის ერთ-ერთი ტრაგიკული მხარე სწორედ ეს არის. ხანდახან ფ. კაფკა იმასაც უშვებს, ვთქვათ და, ადამიანმა შესძლო და შეაღწია ამ სამყაროში, მერე რას იპოვის იქ? აბსოლუტს. აბსოლუტი კი ყოველთვის შემზარავი და მომაკვდინებელია, აბსოლუტური სიმართლე და სამართლიანობაც კი.

რომანის გმირის ფუნქციას ფ. კაფკამ ფორმაც შესაფერისი მოუნახა. ერთმანეთს დაუპი-

რისპირა უცხო კაცი, რომელმაც არაფერი არ იცის იმ სოფლის შესახებ, სადაც ჩამოვიდა და სოფლის მკვიდრნი, რომლებიც უცხო კაცს არ იცნობენ, მაგრამ, მათი აზრით, თავიანთ ცხოვრებას და იმ ტრადიციებს, მემკვიდრეობით რომ მიიღეს, ძირფესვიანად იცნობენ. ამ კონფლიქტში კ-ს უპირატესობა ისაა, რომ უცხოა, არაფერი იცის სოფლის საუკუნეობით ჩამოყალიბებული, უცვლელი ცხოვრების შესახებ და ამიტომ უფლებაც აქვს და შეუძლია კიდეც შეაფასოს აქაური ცხოვრება, დაგმოს ყველაფერი, რაც დასაგმობია და მის გარდასაქმნელად იბრძოლოს, სოფლელების უპირატესობა კი ის არის, და ამას დაუფარავად გამოთქვამენ, რომ თავიანთ ცხოვრებაზე, გაქვავებულ ტრადიციებზე, ერთხელ და სამუდამოდ დანერგილ წესწყობილებაზე თითქმის ყველაფერი იციან, ყველაზე მეტად კი ის, რა მოჰყვება ირიბულად ან განზე გადადგმულ ნაბიჯს და ამ ცხოვრებაში რაიმეს შეცვლის ცდას.

გარემო და მოვლენები ამ რომანშიც ისევე ფანტასტიკურია, როგორც ფ. კაფკას სხვა რომანებსა და მოთხრობებში. უცხო კაცი სოფელში საღამოს ჩამოდის, ირგვლივ ყველაფერი თოვლითაა დაფარული, ყველაფერი ფერდაკარგული და გათოშილია. მიწისმზომელი კ-ა სოფელში არავის იცნობს და ამიტომ ღამის გასათევად სასტუმროს მიაკითხავს, სადაც სასადილო ოთახში ტომარაზე აწვენენ. მეორე დილით, როცა გაიღვიძებს, ეუბნებიან, სოფელი ციხე-დარბაზს ეკუთვნის და ციხე-დარბაზს ემორჩილებაო. რეკავს ციხე-დარბაზში, ერთ-ერთი უმცროსი მოხელე ეუბნება, მოდიო. გამოვა გარეთ, დაბა უბადრუკია, ერთადერთი ეკლესია და ერთადერთი სკოლა მოხვდება თვალში. მიემართება ციხე-დარბაზისაკენ, გზაში ხვდება სკოლის მასწავლებელს, ადგილობრივ მკვიდრთ, რომელთაც უკვე იციან იგი რომ მიწისმზომელია და ,სოფელში ჩამოვიდა, გადაეყრება თავის თანაშემწეებს, ერთს არტური ჰქვია, მეორეს — იერემია, ისინი გველებივით გვანან ერთმანეთს, ჯიუტად მიისწრაფვის ციხე-დარბაზისაკენ, უსაშველოდ იღლება, თოვლს ალმურივით ასდის სუსხი, ჰაერი ითოშება, მაგრამ მას მაინც სურს მიაღწიოს ციხე-დარბაზამდე, მაგრამ, რაც უფრო წინ მიიწევს, ციხე-დარბაზი სულ უკან და უკან იხევს, თითქოს ვიღაცა ბაგირით ექაჩებაო, და რადგან საწადელს ვერ მიაღწევს, ისევ სასტუმროში ბრუნდება.

კ-ს აკვიატებული თავგამოდებით სურს შეაღწიოს ციხე-დარბაზში, გაიცნოს მისი მფლობელნი, მოხელეები, მოსამსახურეები, ჩაწვდეს ამ კუნძულივით გამოცალკევებული სოფლის მართვის სისტემას, დაიმკვიდროს ადგილი იმ დაბაში, სადაც სამუშაოდ მოიწვიეს.

როგორც კი ციხე-დარბაზის მოხელეები მიხვდებიან, რომ კ-ს თავისუფლების მოპოვება და სოფლის ტრადიციული ცხოვრების შეცვლა სურს, ცდილობენ მის წინააღმდეგ მთელი სოფელი განაწყონ, პირადად მას კი პატივს აყრიან და სოფლის სკოლის დარაჯად განაწესებენ. ყოველი ცდა, მოიშოროს უხილავი ხელისუფლების მძიმე უღელი, სოფლის მკვიდრთათვის მარცხითა და უბედურებით მთავრდება. სოფელში ყოველი ურჩობა, ამბოხი, თუმცა არა დიდი სისასტიკით, მაგრამ მაინც უკომპრომისო წეთოდურობით ითრგუნება. დამთრგუნველები კი აქაც უსახური, აბსტრაგირებული, ცხოვრებას მოწყვეტილი, საკუთარი მიზნის საკუთარ თავში გამახორციელებელი ბიუროკრატიზმია. ბიუროკრატიას სურს უცვლელად გაიმეოროს ყოველივე ის, რაც მემკვიდრეობით მიიღო. და ცხოვრების გაუმჯობესებაზე კი არ ზრუნავს, არამედ საკუთარი აპარატისა და საკუთარი მეთოდების გაუმჯობესებაზე, რაც თვით მას და მის მოხელეებს ცხოვრებას აშორებს, აუცხოებს და საქმის წარმოების მონად ხდის. ეს კი, იმის მაგივრად, რომ წინააღმდეგობები აღმოფხვრას, კიდევ უფრო ამძაფრებს მათ და, რაც უფრო დიდია ბიუროკრატიული აპარატი, მით უფრო მეტი ადამიანია მის ქსელში გახვეული. ამას თვით ბიუროკრატული აპარატის მოხელეებიც გრძნობენ, იციან, რომ მათ დაწესებულებებში ფორმალიზმი და უყაირათობა სუფევს, მაგრამ ხელისუფლების სიმტკიცესა და სწორუპოვრობაში ეჭვი არ ეპარებათ.

ბოლოს კ-ა ხვდება, რომ თავისუფლებას ვერაფრით ვერ მოიპოვებს და მზადაა ნებაყოფლობით დაიდგას ქედზე იმ ხელისუფლების უღელი, სოფელს რომ განაგებს, იცხოვროს ისე, როგორც სოფლის მკვიდრნი ცხოვრობენ, ოღონდ ნუ იქნება მარტო, გარიყული, განაპირებული, მაგრამ...

დასრულებული არც ეს რომანია. მაქს ბროდი წერს, ფ. კაფკა ამ რომანის დასრულებას ასე აპირებდაო: „მიწისმზომელი ბრძოლაზე კი არ იღებს ხელს, არამედ სიძაბუნისაგან კვდება. მომაკვდავის სარეცელთან თავს იყრიან სოფლელები, ამ დროს ციხე-დარბაზიდან მოდის განკარგულება, თუმცა არ იყო დაკანონებული იმის უფლება, რომ კ-ს სოფელში ეცხოვრა, მაგრამ გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, ნება ეძლევა სოფელში იცხოვროს და იმუშაოსო". და ამ განკარგულებას უგზავნიან კაცს, რომელიც შიმშილით კვდება. ეს ხომ ან ბიუროკრატული აპარატის მოუქნელობის შედეგია, ანდა მწარედ დაცინვა და ცინიზმი.

ამგვარად, სამივე რომანში ფ. კაფკა ეხება ადამიანის მდგომარეობას იმ გარემოში, რომელშიც ცხოვრობს, გვაცნობს თავის დროის ისტორიულ და სოციალურ გარემოს, გვაზიარებს ოციან წლებში წარმოქმნილ ეთიკურ, ესთეტიკურ და მორალურ საკითხებს, გაუცხოების, ტექნიკური პროგრესისა და ადამიანსა და გარე

სამყაროს შორის აღმოუფხვრელი წინააღმდეგობის ახალწარმოქმნილ პრობლემებს და გვიხატავს იმ ბიუროკრატულ აპარატს, რომლის წინააღმდეგ არცერთ მწერალს არ გაულაშქრია ისე მკაცრად, როგორც ფ. კაფკამ გაილაშქრა.

ფ. კაფკას შემოქმედება მთელი მისი ეპოქის ნიშნების მატარებელია, იგი იტევს ყველა იმ წინააღმდეგობას და ახალწამოჭრილ მწვავე პრობლემებს, კაცობრიობამ რომ თავის თავში მის დროს აღმოაჩინა. პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში და მისი დამთავრების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ხელოვნებისადმი შემოქმედთა დამოკიდებულებაც. გაჩნდა მრავალი ახალი ლიტერატურული მიმართულება ექსპრესიონიზმი, დადაიზმი, ფუტურიზმი, სურეალიზმი და სხვ. ვინც მოდერნისტი არ იყო, ჩამორჩენილად ითვლებოდა. ბევრი მწერლისა და პოეტის სულში დეკადენტურმა განწყობილებამ მოიკიდა ფეხი. ფ. კაფკას თავისი ესთეტიკური შეხედულებები წერილობითი სახით არ ჩამოუყალიბებია, დიდი პოლემისტი არასოდეს ყოფილა, ხოლო თავის ნაწარმოებების მიმართ ზედმეტ კრიტიკულობასაც კი იჩენდა (ალბათ ამიტომ დაუბარა მაქს ბროდს, მისი სიკვდილის შემდეგ დაეწვა ისინი), მაგრამ დღიურებსა და კერძო საუბრებში, მოგონებების სახით რომ შემოინახეს ცალკეულმა პირებმა, ხშირად გამოსთქვამს აზრს როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვა მწერლებზე, პოეტებსა და მხატვრებზე. ფ. კაფკა ბევრს ფიქრობდა ხელოვანის ბედზე, მის დანიშნულებაზე, მის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. აი, რას ეუბნება იგი ჩეხ პოეტს გ. იანოუხს: „თქვენ პოეტს აღწერთ, როგორც საოცარ გოლიათს, ფეხები რომ მიწაზე უდგას, თავი კი ღრუბლებში აქვს გაყოფილი. რა თქმა უნდა, მეშჩანური პირობითობის თვალსაზრისით, ეს ჩვეულებრივი სახეა, ეს არის სანუკვარი სურვილი, რასაც არაფერი არა აქვს საერთო სინამდვილესთან. სინამდვილეში პოეტი ბევრად უფრო პატარაა და ჩვეულებრივ ადამიანზე უფრო სუსტი. ამიტომაც გრძნობს სხვებზე უფრო მძიმედ და მწვავედ მიწიერი ყოფის სიმძიმეს. შემოქმედება მხატვრისათვის — ტანჯვაა, რის მეშვეობითაც იგი თავს ითავისუფლებს ახალი ტანჯვისათვის. იგი გოლიათი კი არა, მეტად თუ ნაკლებად, ჭრელი ფრინველია, რომელიც საკუთარი არსებობის გალიაშია გამოკეტილი“.

ფ. კაფკას, როგორც ხელოვანს, უაღრესად განვითარებული აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. იგი ფიქრობს, რომ ყველაფრისათვის, რაც ქვეყნად ხდება, რაც ცხოვრებაში მახინჯი, ბიწიერი და მიუღებელია, თვითონაც აგებს პასუხს და რადგან მისი ბრძოლის იარაღი, მისი „ლოცვის ფორმა“ მხატვრული ლიტერატურაა, იგი ამ იარაღით ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვასა და საამქვეყნოზე გამოტანას: დღიურში იგი წერს: „უზარმაზარი სამყარო მიდევს თავში... როგორ გავითავისუფლო თავი ან როგორ გავთავისუფლდე მისგან ისე, რომ იგი არ დავფლითო. უმჯობესია ათას ნაწილად დავფლითო, ვიდრე საკუთარ თავში ვატარო ან იქვე დავმარხო. მე სწორედ ამისთვისა ვარ მოვლენილი ამქვეყნად და ეს ჩემთვის ცხადზე ცხადია“.

ფ. კაფკა ხელოვანის ბედს და მის ტრაგიკულ ხვედრს არა მარტო კრიტიკულ წერილებში, დღიურში და კერძო საუბრებში ეხებოდა, არამედ რამდენიმე ნოველაში მისი განზოგადებული სახეც კი დაგვიხატა. ხელოვანისაგან იგი მოითხოვდა უანგარობას, პატიოსნებას, ჭეშმარიტების დაულალავ ძიებას. მხოლოდ ეს იყო, ფ. კაფკას არ სჯეროდა, რომ ჭეშმარიტება, რა თქმა უნდა, ის ჭეშმარიტება, მას რომ მხედველობაში ჰქონდა, მართლაც არსებობს, და ამიტომ ამბობდა „ხელოვანის არსებობა ჭეშმარიტებით დაბრმავებულის არსებობააო“. მის უკანასკნელ კრებულში ხელოვანის ბედსა და ხვედრს ეხება რამდენიმე ნოველა: „ძაღლის გამოკვლევები“, სადაც იგი ეპაექრება გვიანბურჟუაზიული ხელოვნების წარმომადგენლებს, „მომღერალი ჟოზეფინა“, რომელშიც პრობლემატურადაა დასმული ხალხისათვის ხელოვნების საჭიროების საკითხი, „ჰაერის ძაღლები“, ძალზე უცნაური მოთხრობა, ლაპარაკია ხელოვნების მეშვეობით საზოგადოებრივი დისონანსების აღმოფხვრაზე და „მოშიმშილე“, სადაც ფ. კაფკა შემოქმედის ნიჭსა და არტისტულ მგზნებარებას თვით ხელოვანის ხასიათისა და გემოვნების ნაკლისა და მისი უუნარობის შედეგად თვლის. მოშიმშილემ იმიტომ აირჩია ხელოვნების ეს დარგი, რომ მისთვის ყველა, უგემრიელესი საჭმელიც კი — უგემური იყო. ამით ფ. კაფკას იმისი თქმა უნდა, ხელოვანს ხელოვნება მხოლოდ თავისთვის სჭირდება და იმიტომ იკლებს ყველაფერს, იმიტომ შიმშილობს და იტანჯება, რომ მას არ იტაცებს არავითარი სხვა ფასეულობა, ცხოვრების სხვა ასპარეზი.

ასეთია ძირითადად ფ. კაფკას მიერ აღქმული სამყარო, მისი სტრუქტურა, მისი ფერები, მისი აბსტრაგირებული სახე, რაშიც იგი ბნელს უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ნათელს, მაგრამ მიუხედავად სკეპტიციზმისა, პესიმიზმისა და მელანქოლიისა, ფ. კაფკა მაინც აქტიური, მოქმედი, მებრძოლი კაცი იყო, სჯეროდა, რომ ხელოვნება ზნეობრივად ძლიერია, სოციალურად ფუნქციონალური და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შეძლებისდაგვარ გავლენას ახდენს. ეს რომ ასე არ იყოს, იგი იმავე ჩეხ პოეტს გ. იანოუხს არ ეტყოდა: „ჩრდილები ვერ ჩააქრობენ მზეს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართველი დიპლომატი პოლონეთსა და ირანში

პოლონეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ბოგდან გურჯიცკის* ელჩობა ირანში, რაც აქამდე მონოგრაფიულად არ ყოფილა დამუშავებული ისტორიოგრაფიაში. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის გურამ ზედგინიძის აღნიშნული ნაშრომი.

წიგნი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. შესავალში მოცემულია განსახილველ საკითხთან დაკავშირებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა. განხილულია ნარატიული, დოკუმენტური წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა პოლონურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ქართულ ენებზე.

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში ავტორი ეხება პოლონეთ-ირანის ურთიერთობის განვითარებას მე-17 ს-ის 60-იან წლებამდე. წინა პლანზეა წამოწეული საკითხი იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია ამ ორი, ტერიტორიულად ძალზე დაშორებულ, სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ერთიერთობის დამყარების საჭიროება.

1453 წლის 29 მაისი. თურქეთის სულთანმა მეჰმედ II (1451-1481) ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი 53-დღიანი ალყის შემდეგ დაიპყრო და ამხედრებული შევიდა აია სოფიას ტაძარში. კონსტანტინოპოლი, ქრისტიანული სამყაროს ბურჯი, დაეცა. არ გასულა დიდი ხანი და თურქებმა ბოლო მოუღეს ტრაპიზონის იმპერიას (1461 წ.), ხოლო 1475 წ. მათ ყირიმის ნახევარკუნძულიც დაიპყრეს. თურქები ფაქტიურად გაბატონდნენ შავი ზღვის აუზში. შავი ზღვა „თურქეთის ტბად" იქცა.

კონსტანტინოპოლის დაცემამ და შავი ზღვის აუზში თურქების გაბატონებამ უაღრესად შეაშფოთა დასავლეთი ევროპა: თურქებმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი, შავი ზღვის აუზსა და მცირე აზიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზები გადაკეტეს. დასავლეთ ევროპის მეფე-ხელმწიფეებმა უფრო აქტიურად დაიწყეს აღმოსავლეთში პოტენციური მოკავშირეების ძიება. 1453 წ, ვენეციის რესპუბლიკისა და ბურგუნდიის ელჩები სთხოვენ პოლონეთის მეფე კაზიმეჟ იაგელონჩიკს, რათა მან ვენეციის ელჩებს მისცეს სარეკომენდაციო წერილები ასტრახანს მშვიდობით მისაღწევად, საიდანაც მათ ირანისაკენ მგზავრობა აქვთ განზრახული. კაზიმეჟ იაგელონჩიკმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა და ელჩობამ მშვიდობიანად მიაღწია ირანს.

„თეთრბატკნიან" თურქმენთა მბრძანებელმა უზუნ-ჰასანმა, რომელიც თავის მხრივ ეძიებდა მოკავშირეებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, პოლონეთის მეფის მოქმედება სათანადოდ შეაფასა. მან პოლონეთის მეფის სახით თანამოაზრე შეიცნო და პოლონეთში გააგზავნა სპეციალური ელჩობა, რომელმაც მეფეს მიულოცა უფლისწულის დაბადება და ძვირფასი საჩუქრები მიართვა.

პოლონეთსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შემდეგ წლებშიც გრძელდება. 1459 წ. რომის პაპის ინიციატივით შეიქმნა ანტიოსმალური ლიგა, რომელშიც მონაწილეობდნენ რომის პაპი, ვენეცია, ნეაპოლის სამეფო, უნგრეთი, ბურგუნდია და პოლონეთი. ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ საქართველოს მეფე-მთავრებს და უზუნ-ჰასანსაც. მაგრამ ამ ანტიოსმალურ კოალიციას წარმატება არ მოჰყოლია.

1472 წ. უზუნ-ჰასანმა პოლონეთში კვლავ გააგზავნა ელჩები, რომელთაც მეფე კაზიმეჟს შეთავაზეს თურქების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. პოლონელებმა ამჯერად ვერ ისარგებლეს უზუნ-ჰასანის წინადადებით, მაგრამ 1474 წ. უკვე პოლონეთი სთავაზობს ირანის მბრძანებელს თურქების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას. უზუნ-ჰასანი სიხარულით გამოეხმაურა ამ წინადადებას:

პოლონურ ქრონიკებში დაცული ცნობების მიხედვით 1474 წ. პოლონეთში მოვიდა კატაჯან ძენუსი (კატერინო ძენო!), რომელიც მანამდე 3 წლის განმავლობაში უზუნ-ჰასანის კარზე იმყოფებოდა. მან უზუნ-ჰასანის დავალებით პო-

* გურამ ზედგინიძე, ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1988

ლონეთის მეფეს გადასცა წერილები) ირანის მბრძანებელი პოლონეთის მეფეს თურქებისა და უნგრელების წინააღმდეგ სამხედრო კავშირს სთავაზობდა; ამასთანავე, პოლონელ უფლისწულს სთავაზობდა საცოლედ თავის ქალიშვილს, რომელსაც მზითვად კონსტანტინოპოლისა და მთელი საბერძნეთის მიცემას ჰპირდებოდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრიც ვერ განხორციელდა.

პოლონეთ-ირანის ურთიერთობა ცხოველდება XVII ს-ის დასაწყისიდან. ეს ურთიერთობა კვლავ მიზნად ისახავდა სამხედრო კავშირის შეკვრას, რომელიც მიმართული იქნებოდა საერთო მტრის — ოსმალეთის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, XVI ს. უკანასკნელ მეოთხედში. ირანის საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება კრიზისს განიცდიდა. ოსმალეთმა ისარგებლა შაჰ თამაზ I-ის გარდაცვალების შემდეგ ირანში შექმნილი გართულებებით, დაარღვია 1555 წ. ამასიის ზავი და დაიპყრო ირანის ხელდებული აღმოსავლეთი ამიერკავკასია და საკუთრივ დასავლეთ ირანის საკმაოდ დიდი ნაწილიც. შაჰ აბას I. რუსეთთან მოლაპარაკებისა და თურქების წინააღმდეგ მათი გამოყენების, ამაო ცდის შემდეგ, იძულებული გახდა 1590 წ. დაედო ოსმალეთთან ირანისათვის მეტად საზიანო და სამარცხვინო ზავი, რომლის ძალითაც მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასიას და დასავლეთი ირანის გარკვეული ნაწილი ოსმალთა ხელში გადავიდა. ეს ზავი აბას I დროის მოგებისა და სულის მოთქმისათვის სჭირდებოდა. ირანის ნიჭიერმა და ენერგიულმა მბრძანებელმა მოკლე ხნის განმავლობაში შეძლო ირანის სამხედრო და ეკონომიკური ცხოვრების გადახალისება და XVII ს. დასაწყისისათვის მტკიცედ გადაწყვიტა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყება. სწორედ ამ მიზნით იგი 1599 წ. დასავლეთ ევროპაში ქრისტიან მეფე-ხელმწიფეებთან აგზავნის ანტონი შერლის და ჰუსეინ-ბეგის ელჩობას, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III მონახულებაც. ელჩობა ირანიდან ევროპისაკენ გაემართა მოსკოვის სამეფოს გავლით, სადაც იგი დაკავებულ იქნა ბორის გოდუნოვის ბრძანებით. იმ დროს რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობა დაძაბული იყო და ირანისა და პოლონეთის დაახლოებას რუსეთს ხელს არ აძლევდა. ირანის ელჩებს გზის გაგრძელების უფლება მისცეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი პოლონელებთან არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებდნენ. ელჩები კრაკოვიდან პირდაპირ ვენაში წავიდნენ ისე, რომ მეფე სიგიზმუნდი არც უნახავთ.

მეფე ვლადისლავ IV-ის დროს პოლონეთ-ირანის ურთიერთობა უფრო ინტენსიური ხდება. თუ აქამდე ირანი ეძიებდა პოლონეთის სახით ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეს, ახლა უკვე პოლონეთიც დაინტერესებულია ამით (მხედველობაში გვაქვს თეოფილ შემბერკის ელჩობა 1636 წ., იური ილინიჩის ელჩობა 1646 წ. და სხვ.).

1665 წ. დაწყებულმა ვენეცია-თურქეთის ომმა თითქმის მთლიანად შეწყვიტა ირანიდან თურქეთის გზით ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში აბრეშუმის გატანა.

რუსეთიდან ევროპაში სამი სავაჭრო გზა მიემართებოდა: I — ბალტიის ზღვით (აბრეშუმის გატანა რუსეთისათვის მიუღებელი იყო, რადგანაც ამ გზას კონტროლს უწევდნენ შვედები) II—თეთრი ზღვის სავაჭრო-სანაოსნო გზა (არხანგელსკზე გადიოდა), მაგრამ თეთრი ზღვა წელიწადის ყველა დროს არ იყო სანაოსნოდ გამოსადეგი. III—გზა გადიოდა პოლონეთზე, მაგრამ ამ გზით ვაჭრობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი იყო პოლონეთის თანხმობა. ანდრუსოვოს საზავო ხელშეკრულება, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო. პოლონელებს რუსეთში სატრანზიტო ვაჭრობის უფლებას აძლევდა. ხოლო პოლონეთი სანაცვლოდ ხსნიდა თავის სავაჭრო გზებს რუსეთისათვის.

რუსეთის მთავრობის რჩევით, 1668 წ. პოლონეთიდან ირანში გაგზავნილი იქნა ელჩობა ბოგდან გურჯიცკის მეთაურობით. სწორედ ამ საკითხებზეა ვრცლად საუბარი სარეცენზიო წიგნის პირველ თავში.

წინამდებარე წიგნის მეორე თავი გურამ ზედგინიძემ მთლიანად მიუძღვნა ბოგდან გურჯიცკის ვინაობისა და წარმომავლობის დადგენას. ავტორს მოაქვს იან სტრეისის, კაპიტან ბუტლერის, კარმელიტების ქრონიკის, რუსული დოკუმენტური წყაროების ცნობები, რომლებშიც ბოგდან გურჯიცკი ქართველად იხსენიება. მისი ნამდვილი სახელის და გვარის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა კი ავტორი გამოთქვამს საინტერესო ვარაუდს, რომ ბოგდან გურჯიცკის ნამდვილი სახელი შეიძლება ალავერდა, ღვთისავარ ყოფილიყო (ბოგდან არის ალავერდას, ღვთისავარის თარგმანი). გ. ზედგინიძეს ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს ის გარემოება აძლევს, რომ ანალოგიური შემთხვევები დადასტურებულია წყაროებში. ავტორს მოაქვს მ. თამარაშვილის ნაშრომიდან ადგილი, სადაც სწავლული პატრი წერს: „ის ქართველი თავადი ალავერდაშვილი ყოფილა, რადგან კარდინალი თავის წერილში ასე უწოდებს: «Nobile Georgia no Deodate».

წიგნის ავტორს ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ბოგდან გურჯიცკის ქართველად მიიჩნევს თანამედროვე პოლონელი ისტორიკოსი ბოგდან ბარანოვსკი.

გ. ზედგინიძის აზრით, ბოგდან გურჯიცკი კეთილშობილური წარმოშობის, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელია: „პოლონეთის მეფის იან კაზიმეჲის მიერ ირანის შაჰ სულეიმანთან გაგზავნილი ელჩი ბოგდან გურჯიცკი

ეროვნებით ქართველი იყო. პოლონეთში მოხვედრამდე ბოგდანი ქართლის მეფის როსტომის ქვეშევრდომი იყო და, შესაძლოა, სწორედ მისი დავალებით აღმოჩნდა იგი მე-17 საუკუნის 50-იან წლებში პოლონეთის მეფის სამსახურში" (გვ. 55).

მესამე თავი ეხება ბოგდან გურჯიცკის ელჩობას ირანში 1668-1675 წწ-ში. ავტორი საგულდაგულოდ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 1667 წლის 30 იანვარს სოფ. ანდრუსოვოში დადებული ზავის შემდეგ, 1667 წლის 14 დეკემბერს, მოსკოვში დადებული იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება. რომლის მიხედვითაც რუსეთმა და პოლონეთმა ვალდებულება იკისრეს შეერთებული ძალით გამოსულიყვნენ თურქეთისა და ყირიმელი თათრების წინააღმდეგ. ამავე დროს, რუსი დიპლომატები პოლონელ ელჩებს ურჩევდნენ, რომ ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნებოდა პოლონეთს პირდაპირი კავშირი დაემყარებინა ირანთან. როგორც ჩანს, ამ ურთიერთობის განახლების იდეა ამჯერად რუსეთის მეფისგან მოდის.

ავტორი დაწვრილებით იხილავს ელჩობის შემადგენლობას. საინტერესოა, რომ ირანში ელჩად მიმავალ ბოგდან გურჯიცკის თან ახლდნენ მისი ყმები (10 კაცი), რომელთა შორის უმეტესობა ქართველები იყვნენ.

გ. ზედგინიძის აზრით, ირანისაკენ მიმავალ ბოგდანს გზად საქართველოზეც უნდა გაევლო. თავისი მოსაზრების შესამაგრებლად ავტორს მოაქვს სათანადო არგუმენტები, რომელთა შორის ხელშესახებია ბოგდანისადმი პოლონეთში მიცემული ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, მას აუცილებლად უნდა გაევლო საქართველოზე და ვახტანგ V-ის წერილი პოლონეთის მეფე იან კაზიმექისადმი (დათარიღებულია 1671 წლის 26 მარტით). საინტერესოა, რომ საქართველოზე გავლისას ბოგდანს თავისი ამალისათვის ასამდე ქართველი შეუმატებია. ელჩობა დიდი პატივით იქნა მიღებული ისპაანში.

ბოგდან გურჯიცკის ელჩობა ისპაანში 6 თვეს დაყოვნდა. სომეხ ვაჭართა მიერ სპარსული საქონლის რუსეთის გზით პოლონეთში გატანის საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი. ბოგდანს პოლონეთში დაბრუნებისას თან გაატანეს საპასუხო ელჩობა. სომეხ ვაჭართა კომპანიას უბოძეს შაჰის სიგელი, რომლის საფუძველზედაც მათ ნება მიეცათ სპარსული საქონლის ასტრახანის გზით რუსეთში გატანისა.

გ. ზედგინიძე ვარაუდობს, რომ ბოგდან გურჯიცკის წარმატებით შეუსრულებია საქართველოსთან პოლონეთის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარების დავალება (ქართული ნედლი აბრეშუმისა და სხვა საქონლის პოლონეთში გატანა და გასაღება).

ბოგდან გურჯიცკი მოსკოვს დაბრუნდა. სადაც იგი შეხვდა პოსოლსკი პრიკაზის მეთაურს არტამონ მატვეევს (1675 წლის 3 იანვარი). მათ საუბარი ჰქონიათ რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხების თაობაზე. სხვა მრავალ საკითხთა შორის ისინი შეხებიან ქართველი უფლისწულის, ერეკლე დავითის ძის მოსკოვიდან საქართველოში წასვლას. ავტორის აზრით, ბოგდანის პასუხი არტამონ მატვეევის კითხვებზე იმითაცაა საინტერესო, რომ კარგად ჩანს მისი (ე. ი. ბოგდანის პოზიცია ირან-საქართველოს ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. „ბოგდან გურჯიცკი ქართლისა და კახეთის სამეფოების საშინაო პოლიტიკაში ბაგრატიონების მუხრან-ბატონების შტოს წარმომადგენელთა — შაჰნავაზ ხანისა, იგივე ვახტანგ მეხუთისა და მისი ვაჟის შაჰნაზარ ხანისა, იგივე არჩილ მეორის ინტერესების დამცველად გამოდის" (გვ 130).

შემდეგ სარეცენზიო წიგნის ავტორი მთელი რიგი არგუმენტების მოტანით ასაბუთებს ამ მოსაზრებას. მისი აზრით, „ბოგდანის პასუხში ჩვენ ვხედავთ მის უკმაყოფილებას ერეკლეს გაგზავნის გამო, რადგან მან იცის, რომ შაჰს ერეკლეს გამოყენება სურს ვახტანგისა და არჩილის წინააღმდეგ" (გვ. 133).

ირანის შაჰს რომ ასეთი გეგმები ჰქონდა, ეს კარგად ჩანს სომეხი ვაჭრის გრიგოლ ლუსიკოვისათვის შაჰის მიერ მიცემული დავალებიდან: გრიგოლ ლუსიკოვს ერეკლესათვის უნდა გადაეცა დანაბარები, რომ ქართლის მფლობელი შაჰნავაზ-ხანი ძალზე გაძლიერდა და შაჰს აღარ ემორჩილება, ხოლო კახეთშიც შაჰნავაზის შვილი, ე. ი. არჩილი მეფობსო. შაჰი ერეკლეს მოუწოდებდა ჩასულიყო ირანში, სამაგიეროდ მას მისი პაპის თეიმურაზის სამეფოს, ე. ი. ქართლ-კახეთის მიცემას ჰპირდებოდა (გვ. 133).

ავტორის მიერ მოხმობილი მასალიდან აშკარაა, რომ „ბოგდან გურჯიცკი, როგორც ეროვნებით ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველო-ირანის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში ქართველ პოლიტიკოსთა იმ ნაწილის შეხედულებას იზიარებდა, რომლებიც საგარეო პოლიტიკაში ირანულ ორიენტაციას ადგნენ" (გვ. 135).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არტამონ მატვეევთან საუბრისას ბოგდანს წამოუყენებია იდეა რუსეთსა და ირანს შორის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის შექმნისა.

1675 წლის მაისში ბოგდან გურჯიცკი პოლონეთში დაბრუნდა, სადაც იგი საკმაო პატივით მიიღეს და დაასაჩუქრეს კიდეც: 1676 წ. პოლონეთის სეიმმა ბოგდან გურჯიცკის და მის ძმას ფარსადანს პოლონეთის აზნაურობა შლიახტიჩობა მიანიჭა, ხოლო მეფე იანმა გაწეული სამსახურისათვის მათ ლენჩიცის მაზრაში მამულებიც უბოძა (გვ. 140).

მეოთხე თავში მოთხრობილია ბოგდან გურჯიცკის — პოლონეთის ელჩის და ირანის შაჰის

კარზე 1676-1699 წწ-ში რეზიდენტის მოღვაწეობაზე.

ნაშრომი დაწერილია საარქივო მასალის, პირველწყაროებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ფართო გამოყენებით. გურამ ზედგინიძე ელჩობის მიზნებს მარჯვედ უკავშირებს იმდროინდელ ევროპასა, რუსეთსა და საქართველოში შექმნილ ვითარებას. მისი მსჯელობა ნათელია და დასკვნები დამაჯერებელი.

სარეცენზიო წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს მისდამი. თან ერთვის რეზიუმეები რუსულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე. აქვს საძიებელი.

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ გვაქვს მცირეოდენი შენიშვნა: ავტორი წერს: „მე-17 ს-ში ირანი წარმოადგენდა ჩამორჩენილსა და ღარიბ ქვეყანას" (გვ. 26). არაა სწორი ირანი ჩამორჩენილი და წელში გატეხილი იყო XVI საუკუნის 90-იანი წლებისათვის. თურქეთმა ისარგებლა შაჰ-თამაზ I-ის შემდეგ ირანში დატრიალებული ამბებით, დაარღვია 1555 წ. ამასიის ზავი და მოკლე ხნის განმავლობაში ხელთ იგდო არა მარტო ირანის ხელდებული აღმოსავლეთი ამიერკავკასია, არამედ საკუთრივ დასავლეთ ირანის დიდი ნაწილი. შაჰ აბას I სასწრაფოდ დადო ოსმალებთან 1590 წ. ირანისათვის საზიანო ზავი. ზავი, რომელიც მას დროის მოგებისათვის სჭირდებოდა. შემდეგ იგი შეუდგა რეფორმების გატარებას (სამხედრო, ეკონომიკური, ადმინისტრაციული ღონისძიებები...), რამაც XVI ს-ის ბოლოსათვის ირანის სახელმწიფო მოძლიერა.

შაჰ აბას I XVII ს-ის დასაწყისში, კერძოდ 1602 წ., დაარღვია თურქეთთან დადებული ზავი და ომი დაიწყო მის წინააღმდეგ. ამ ომში მან დიდ წარმატებებს მიაღწია.

შაჰ აბას I დროს აყვავდა ვაჭრობა-ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა. ირანის ეკონომიკური აღმავლობა ინერციით გრძელდებოდა მისი მემკვიდრეების დროსაც (შარდენი გაოცებულია XVII ს-ის 60-70-იან წლებში ირანის ეკონომიკის მაღალი დონით), თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნულ იქნას, რომ სახელმწიფოს რღვევის პირველი ნიშნები უკვე ჩანს აბას II და სოლეიმანის დროს.

ქვეითის — ნაცვლად ავტორი წერს — „ფეხოსანი ჯარისკაცი", რაც სწორი არაა.

სარეცენზიო ნაშრომის არარსებითი ხასიათის ნაკლად მიგვაჩნია წყაროებიდან მოტანილი ციტატების სიჭარბე. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ავტორს თავისი სიტყვებით გადმოეცა წყაროთა ცნობები.

ზემოაღნიშნული მცირედი ხარვეზი ოდნავადაც ვერ აყენებს ჩრდილს სარეცენზიო წიგნს. დიახ, გურამ ზედგინიძის ნაშრომი — „ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზზე" ქართული ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია.

**დავით კაციტაძე**

# მრავლისმეტყველი ფურცლები

„საისტორიო მოამბის" უკანასკნელმა გაერთიანებულმა ტომმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა მნიშვნელოვანი და ღრმა შინაარსიანი საბუთები არის დაცული ჩვენს არქივებში და რამდენად საჭიროა ამ საბუთების გამოქვეყნება, რათა ჩვენს თვალთა წინ გადაიშალოს ის დიდი და თვალშეუდგამი მოღვაწეობა, რაც არცთუ ძლიერ შორეულ წარსულში გაუწევიათ წინაპართა თაობებს.

არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ აღიჭურვოს ადამიანი იმათ მიმართ, ვინც მეთაურობს და ხელმძღვანელობს ამ მეტად საჭირო და საინტერესო მოამბის შედგენა-გამოცემას. „საისტორიო მოამბის" სარედაქციო კოლეგია, მთავარი საარქივო სამმართველო და ის ავტორები, რომელნიც ახდენენ სხვადასხვა საინტერესო საბუთების პუბლიკაციას შესაფერისი მიმოხილვებითა და შენიშვნებით, დიდ სამსახურს უწევენ სხვადასხვა დარგში მომუშავე მკვლევართ. პირველხარისხოვანი დოკუმენტების გამოქვეყნება და მათი საჯარისობა მისასალმებელიცაა და დასაფასებელიც.

ძნელია ყველა პუბლიკაციის შეფასება და სათანადო ადგილის მიჩენა იმ დარგების ისტორიაში, რომლებსაც პუბლიკაციები ეხება. ესაა, რომ, მიუხედავად საარქივო დაწესებულებათა ფონდების გამოყენების პრაქტიკისა, ჯერ კიდევ ძლიერ ბევრია უცნობი მასალა, რაც ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ინტელიგენციის ისტორიის, ზოგად ისტორიის, ლიტერატურის და სხვა დარგთა წარმომაჩინებელნი არიან. ამ გაერთიანებულ ტომში მკითხველი ნახავს XVII საუკუნის საქართველოს გარეპოლიტიკის [illegible]

„საისტორიო მოამბე", ტ. 45-46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს, მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის მაჩვენებელ მასალას, ქვანახშირის მრეწველობის ისტორიის, თბილისის მაზრის სოფლის მეურნეობის მაჩვენებელ დოკუმენტებს და სხვ.

წყება საბუთებისა, რომელთა პირები ავსებს ამ გაორმაგებულ ტომს, ძვირფასი მასალებია სხვადასხვა საკითხთა და თემათა შესწავლისა და დამუშავებისათვის, ძლიერ ბევრი მათში სრულიად ახალი და უცნობია საკითხის მკვლევართათვის. ამდენად, მათი პუბლიკაცია ყოველმხრივ გამართლებულია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მასალებს საკითხთა გულში და არსში შევყავართ, ისინი მკითხველის წინაშე შლიან ახალ-ახალ პლასტებს ამა თუ იმ საკითხისა თუ პრობლემის დამუშავების პროცესში.

აღსანიშნავია დოკუმენტები, დაკავშირებული ცნობილი ლიტერატურის და ქართული პოეზიის რუსულად მთარგმნელის ივანე თხორჟევსკის სახელთან. იგი ხომ თავის მეუღლესთან ერთად საკმაო ხნის განმავლობაში თბილისში ცხოვრობდა და რუს მკითხველს აცნობდა ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. ივანე თხორჟევსკი და მისი მეუღლე ალექსანდრა პალმი ცნობილნი არიან ფსევდონიმით „ივანდამარია".

ი. თხორჟევსკის მოღვაწეობის მიმნიშნებელ საბუთებს წინ უძღვის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვა, ბიოგრაფიული ცნობები, თხორჟევსკის წარმომავლობა, მისი საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი და დრო, თბილისში თხორჟევსკის სამოსამართლო და ჟურნალისტური მოღვაწეობის ჩვენება, მისი მონაწილეობა 80-იანი წლების თბილისის რუსულ იუმორისტულ-სატირულ პრესაში, თხორჟევსკის — გამომცემელ-ავტორისა და მაშინდელი ცენზურის ურთიერთობის აღწერა, თხორჟევსკის მიერ ვიქტორ ჰიუგოს ლექსების თარგმანების გამოცემის ისტორია, დასასრულს, ქართულიდან რუსულად გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავის და სხვათა ლექსების მისივე თარგმანის შესახებ.

ი. თხორჟევსკისთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია სულ ოცდაჩვიდმეტი საბუთი, რომელთაგან მხოლოდ სამია სხვადასხვა დროს დაბეჭდილი და გამოცემული — თბილისის მსახიობთა კავშირის დებულება (რომლის შემდგენელია ი. თხორჟევსკი), პატარა ამონაწერი გიორგი თუმანიშვილის წიგნიდან „დახასიათებანი და მოგონებანი" (რუსულად გამოცემული 1900 წ.) და გაზეთ „კავკაზ"-ში 1910 წელს დაბეჭდილი ნეკროლოგი ივანე თხორჟევსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. დანარჩენი მასალა მკითხველთა უმრავლესობისათვის უცნობია და პირველად ქვეყნდება (ი. თხორჟევსკის შესახებ მცირე წერილი დაბეჭდილია „ქართული ენციკლოპედიის" მეექვსე ტომში, (ავტორი პროფ. ვ. შადური).

გამოქვეყნებულ საბუთთა შორის არის ი. თხორჟევსკის ლექსი, დაწერილი ნეკრასოვის ხსოვნისათვის, რომლის გამოქვეყნება თავის დროზე საცენზურო კომიტეტს არ დაუნებებია („ნეკრასოვის სიკვდილზე"), აქვეა იმავე ავტორის ლექსი „კითხვა", აგრეთვე აკრძალული ცენზურისაგან, ცოლ-ქმრისაგან ჰაინედან გადმოთარგმნილი ლექსი „სიზმარი", ისევ აკრძალული, ასევე პიერ ბერანჟეს ლექსის — „მეფე რომ ვიყო" თარგმანი.

თბილისური რუსული პრესის ისტორიისათვის საინტერესო ცნობებია გამოქვეყნებული ამ ტომში. „საქართველოში რუსული პრესის ბიბლიოგრაფიაში", რომელიც შეადგინა გ. ზერცალოვმა და გამოიცა 1941 წელს, აღნიშნულია, რომ ჟურნალ „ფალანგას" რედაქტორი იყო ი. ფითოევი. საარქივო საბუთები კი გვამცნობენ, რომ ამ ჟურნალის პროგრამას ხელს აწერენ ჯერ ი. თხორჟევსკი, შემდეგ ი. ფითოევი. „ფალანგა" გამოდიოდა 1880-1881 წლებში, იგი ცენზურამ დახურა. მის სანაცვლოდ ი. თხორჟევსკიმ გამოსცა ჟურნალი „გუსლი" („სანთური"), რომელიც გამოდიოდა 1881 წლის 6 დეკემბრიდან და 1882 წელში. აღსანიშნავია, რომ გ. ზერცალოვს ჟურნალი „ფალანგა" არ უნახავს, რადგან თბილისის მთავარ წიგნსაცავებში არ მოიპოვებაო. იოსებ გრიშაშვილს ზერცალოვის წიგნის 29-ე გვერდზე, სადაც დასახელებულია „ფალანგა", მიუწერია: „რამდენიც გინდა მეცა მაქვს".

ი. თხორჟევსკი რუსულ დემოკრატიულ ლიტერატურასთან ძლიერ ახლოს იყო. მისი საკუთარი შემოქმედება არის ამის დამადასტურებელი საბუთი, აგრეთვე ისიც, რომ მისი თხზულებები ხშირად იკრძალებოდა ცენზურისაგან. საინტერესო ამბავი გადახდა მის ჟურნალს „გუსლი". ჟურნალის სატიტულო გვერდზე და ყდაზეც ჟურნალის სახელის პირველი რუსული ასო გ გამოხატავდა სახრჩობელას, რომელზეც თოკი იყო ჩამოკიდებული. პირველი ნომერი ამისთანა გარეკანით გავრცელდა. რასაკვირველია, ყველა მიხვდა გარეკანში და სატიტულო ფურცელში გამოხატულის აზრს — ბეჭდვითი სიტყვა სახრჩობელასათვის იყო გამზადებული, ცენზურამ ფარული აზრი მაშინ შენიშნა, როცა ჟურნალის პირველი ნომერი უკვე გავრცელდა. რასაკვირველია, დაფაცურდნენ კიდეც და მუქარის წერილი მისწერეს რედაქტორს, მკაცრი წინადადება მისცეს სასწრაფოდ მოესპო ჟურნალის სათაური სურათი (ვინიეტკა) და ახალი წარედგინა დასამტკიცებლად.

1884 წლის 10 ოქტომბერს საცენზურო კომიტეტს აუკრძალავს ი. თხორჟევსკის ფელეტონი — „ქართველ პოეტთა შემოქმედების ნიმუშები" რომელიც უნდა დაბეჭდილიყო გაზეთ

„ახალ მიმოხილვაში“ („ნოვოე ობოზრენიე“). ი. თხორჟევსკის წერილი ინფორმაციული ხასიათისაა, იგი არის მიმართვა ამ რუსული გაზეთის მკითხველთადმი, რომ რედაქცია ასრულებს თავის სიტყვას და, იმ მიზნით. რომ მკითხველს გავაცნოთ ამიერკავკასიის ძირითადი მოსახლეობის — ქართველთა ყოფა. ამისათვის საჭიროა მივმართოთ მის ლიტერატურას, რადგან მასში ასახულია ხალხის ხასიათი. ამასთან, საჭიროა ვიგემოთ ნაყოფი ქართული პოეზიისა, რადგან მისი ხასიათი და ფორმა ადვილად შეიძლება რუსულად აჟღერდეს. ავტორი მკითხველებს გაახსენებს, რომ რუსული გაზეთი დიდი ხანია აქვეყნებს ილია ჭავჭავაძის პოემას, გრიგოლ ორბელიანის. გიორგი ერისთავის. აკაკი წერეთლისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებებს. რომ გრიგოლ ორბელიანი ეკუთვნის XIX საუკუნის უხუცეს პოეტთა წყებას, ხოლო ნ. ბარათაშვილი თანამედროვე ქართული პოეზიის საფუძველმდებელია. იგი შემქმნელია „შინაარსიანი პოეზიისა“, რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს და ერთ-ერთი მათში არის ილია ჭავჭავაძე, რომლის ჩემგან თარგმნილი პოემა „განდეგილი“ უკვე დავბეჭდეთ. ი. თხორჟევსკი ამჯერად მკითხველს სთავაზობდა ვახტანგ ორბელიანის ლექსის „ორი შენობა“-ს თარგმანს. აგრეთვე მამია გურიელის „რაშიდ ვარდან ოღლის“ ნაწილის და აკაკი წერეთლის „ავადმყოფი“-ს თარგმანებს. ცენზურას, ეტყობა, ვახტანგ ორბელიანისა და აკაკი წერეთლის ლექსების თარგმანისა შეეშინდა, რადგან მათში ცხადი ალეგორიით იყო გამოხატული ეროვნული გულისტკივილი.

ი. თხორჟევსკის. მეუღლესთან ერთად. იაკობ გოგებაშვილის თხოვნით მონაწილეობა მიუღია „რუსკოე სლოვო“-სათვის ქართულიდან რუსულად თარგმნილი მასალების მიწოდებით.

აქვეა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“-ს ერთი თავი — „ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ“ რუსულად თარგმნილი ი. თხორჟევსკისაგან, „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოსაქვეყნებლად გამზადებული, ოღონდ ცენზურისაგან აკრძალული. აქვეა მასალები ი. თხორჟევსკის ჟურნალის „არგონავტი“-ს ირგვლივ, ჟურნალის პროგრამა, თხოვნა ჟურნალის გამოცემისათვის და სხვა ოფიციალური დოკუმენტები.

ზემოთხსენებულ გ. ზერცალოვის წიგნში „არგონავტი“ ნაჩვენებია მხოლოდ 1901 წელს, ნამდვილად კი იგი გამოდიოდა მომდევნო ორ წელიწადსაც. ამას ადასტურებს ამ ტომში გამოქვეყნებული საბუთები და ი. გრიშაშვილის მინაწერიც იმავე ზერცალოვის წიგნზე: „მე მაქვს არგონავტი 1902-1903“.

უკანასკნელი საბუთი ი. თხორჟევსკის შესახებ არის 1910 წლის 6 აპრილს გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილი ნეკროლოგი. იგი დაუსაფლავებიათ კუკიის სასაფლაოზე.

ი. თხორჟევსკი საქართველოს, ქართული პოეზიისა და საერთოდ ლიტერატურის მეგობარი და კეთილისმყოფელი იყო. მისი თარგმანების კრებული გამოცემულია ერთ წიგნად.

დ. ომიაძის პუბლიკაციას ეწოდება „მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე“ (სსსრ კინოფოტოდოკუმენტების სახელმწიფო არქივში დაცული მასალების მიხედვით). ამ ნაწილში არის მცირე მიმოხილვა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, ჩამოთვლილია მისი მთავარი ნაშრომები, არის ცნობა, რომ არქივში დაცულია ივანე ჯავახიშვილის ხმის ორიოდე ჩანაწერი. პატარა მიმოხილვა მთავრდება ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების თარიღის (1940 წლის 18 ნოემბერი) აღნიშვნით. ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელი ლექცია შედგა ახლანდელ ხელოვნების მუშაკთა სახლში, რომლის სამომხსენებლო დარბაზი მაშინ ნახევრადაც არ იყო შევსებული მსმენელებით. ამან უფრო ინტიმური გახადა ის საღამო, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა გაატარა თავის მსმენელებთან, როცა მან ბოლომდე ვერ მიიტანა თავისი მოხსენება. იგი კითხულობდა ჯერ დაუბეჭდავ ნაშრომს ქართული ლიტერატურის შესახებ. მასალის წინასიტყვაობაში კი დ. ომიაძე წერს, ვითომც მრავალრიცხოვანი ყოფილიყოს მსმენელთა აუდიტორია.

საბუთთა წყებაში დაბეჭდილია ის სიტყვა, რომლითაც ივანე ჯავახიშვილმა მიმართა თავის ამომრჩეველთ, აქვე დაბეჭდილია სხვადასხვა დროს ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრეთა და მოწაფეთაგან ჩაწერილი მოგონებები მეცნიერის მრავალმხრივ მოღვაწეობასა და მის ნათელ პიროვნებაზე.

სამოცდაოთხი საბუთი აქვს გამოქვეყნებული ლეილა ნანიტაშვილს. ესაა მოსე ჯანაშვილისა და მის კორესპონდენტთა მიმოწერა, ამოკრეფილი ქართული ლიტერატურის მუზეუმის საცავიდან და ხელნაწერთა ინსტიტუტიდან.

სახელოვანმა ქართველმა მოღვაწემ, ისტორიკოსმა და ფილოლოგმა მოსე ჯანაშვილმა ხანგრძლივი სიცოცხლე მთლიანად მიუძღვნა სამშობლო ქვეყნის ისტორიასა და მწერლობას. მრავალრიცხოვანი ნაშრომის ავტორი, მკვლევარი, მასწავლებელი, ქართული არქეოგრაფიის დაუღალავი მუშაკი. თავისი მშობლიური კუთხის — საინგილოს გულმდუღარე მოამაგე მოსე ჯანაშვილი ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოში და მის გარეთ მცხოვრებ ქართველ და არაქართველ ქართველოლოგებთან, ჰქონდა მათთან მიმოწერა მეცნიერების აქტუალურ თემებზე და საკითხებზე, ქართულ ხელნაწერებზე, წიგნებზე... აქ გამოქვეყნებულია მოსე ჯანაშვილის სხვათათვის გაგზავნილი და მასთან მიწერილი კერძო წერილები, რომელთაც დიდი მეცნიერული და შემეცნებითი ღირებულება გააჩნიათ. აქ არის წერილები ნათესავებთან, მეგობრებთან, მოღვაწეთა მთელ წყებასთან, წერენ მისი თანატოლები, ახალგაზრ-

დები, მწერლები და მეცნიერები, მიმდინარეობს მსჯელობა ქართულ ხელნაწერებზე, წიგნებზე და მათ გამოცემაზე, ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებზე, ქართული ენის კვლევაზე... ეკითხებიან და სთხოვენ გარკვევას, დახმარებას, რჩევას და ხშირად ფულადადაც.

„საისტორიო მოამბის" წინამდებარე ტომი მკითხველს სთავაზობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მასალებს, კერძოდ, XVII საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტებს. ესაა თ. ტივაძის მიერ დამუშავებული პუბლიკაციები შაჰ აბას მეორისა და რუსთა მეფის ალექსი მიხეილის ძის, ასტრახნის ვოევოდა პანსკის წერილებისა, როსტომ ქართლის მეფისაგან ალექსი მიხეილის ძისათვის გაგზავნილი საჩუქრების შესახებ, ერეკლე პირველთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა, შაჰ აბას პირველისაგან გრემიდან გატაცებული ხატების მოსკოვის მეფესთან გაგზავნის თაობაზე შექმნილი საბუთებისა.

უაღრესად საყურადღებო მასალების პუბლიკაცია ეკუთვნის გ. გაბუნიას, რომელსაც სათანადო არქივიდან ამოკრეფილი აქვს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლის ფურცლები ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის დროს (1900-1905 წწ). ორმოცდათვრამეტი საბუთი გვაცნობს თბილისის სასულიერო სემინარიის, თბილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლის, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეთა მღელვარებას. გორის მოსწავლეთაგან პროკლამაციების გავრცელებას, ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სკოლის მოწაფეთა, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის, ლანჩხუთის სკოლის მოსწავლეთაგან დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებას და პროკლამაციების კითხვა-გავრცელებას. აქვეა მოსწავლეთა პროტესტები სასწავლებელთა დირექტორების უხეშობასა და უწესოებაზე და სხვა, რაც შესანიშნავ სურათს ხატავს ახალგაზრდობის შეურიგებელი სულისა და რევოლუციური გატაცებისა საერთო სახალხო რევოლუციური მოძრაობის ეტაპზე.

საინტერესო მასალაა წარმოდგენილი საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ისტორიისათვის (1921-1941 წწ.), რომელნიც ლ. ნანიკაშვილს გამოუქვეყნებია (სულ 28 საბუთი).

. ი. ბერიძის პუბლიკაციები შეეხება სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიას თბილისის მაზრაში, შემდეგ კი ოლქსა და რაიონში 1921 წლის 18 აგვისტოდან 1932 წლის ჩათვლით.

რამდენიმე იურიდიული საბუთია გამოქვეყნებული მ. კეკელიას მიერ, რომლებიც შეეხება ქართლში ოსმალთა ბატონობის პერიოდს (XVIII საუკ. პირველ ნახევარში). აქ „დიდისა და ცამდის ამაღლებულის ხელმწიფის" ვეზირის ისაყ-ფაშას ოთხი განჩინების ტექსტია დაბეჭდილი.

„საისტორიო მოამბის" წინამდებარე ტომში გამოქვეყნებული მასალა, მათი ხასიათი და შინაარსი, აგრეთვე, ზოგიერთ პუბლიკაციას დართული შენიშვნები ამ წიგნსაც, როგორც საერთოდ ამ სერიის ყველა ტომს. საინტერესო ხასიათს ანიჭებს, ხოლო სპეციალურ საკითხთა მკვლევარს იგი პირველხარისხოვან საბუთებს აწვდის.

სოლომონ ხუციშვილი

# ჯავახური დიალექტის ლექსიკონის შედგენის ცდა

ქართული ენის გამოწვლილვით შესწავლა ქართველოლოგიის ყურადღების ცენტრშია. საკმაოდ დიდი, შთამბეჭდავი წარმატებებია მიღწეული ძველი და თანამედროვე ქართული ენის შესწავლაში. გაშუქებულია ქართული ენის ისტორიის მრავალი კარდინალური საკითხი.

კარგად არის ცნობილი, რომ ენის ისტორიის სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელია. ერთი მხრივ. წერილობითი წყაროებისა და. მეორე მხრივ. დიალექტების მონაცემების საფუძვლიანი გამოკვლევის გარეშე. ისიც არ არის სადავო. რომ ხშირ შემთხვევაში წერილობითი ძეგლების საბუთებს. თავისთავად უაღრესი მნიშვნელობის მქონეს. ავსებენ დიალექტთა მონაცემები. ენათა ისტორიიდან მრავალი ფაქტის მოხმობა შეიძლება. როცა ცოცხალმა მეტყველებამ (კილოებმა) შემოინახეს ისეთი უნიკალური, ენის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი მოვლენები. რომლებიც წერილობით წყაროებში არ შემონახულა. ამ თვალსაზრისით ქართული ენის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ მის დიალექტს.

ბუნებრივია, ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებასა და მის განვითარებაში დიალექტებმა მეტ-ნაკლები მონაწილეობა მიიღო, ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით. რომ ამ მხრივ

გრ. ბერიძე. „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა". „საბჭოთა საქართველო".

განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართლურმა, მესხურმა, ჯავახურმა, იმერხეულმა, მოგვიანებით კი — კახურმა და იმერულმა დიალექტებმა.

ქართული სალიტერატურო ენის ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლები თვალნათლივ ამტკიცებენ, რომ სამწერლობო ენა მე-5-8 საუკუნეებში უპირატესად იმ მეტყველებას ემყარებოდა, რომელიც ქართლის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული.

მე-7 საუკუნის II ნახევრიდან მე-12 საუკუნის I მეოთხედამდე ქართული სალიტერატურო ენა გარკვეული პოლიტიკური პირობების გამო მესხურ მეტყველებას ეფუძნება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ყალიბდება უდიდესი მწიგნობრული სკოლები, იწერება და ითარგმნება უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლები (ეს საკითხი კარგად არის გაშუქებული ნ. მარის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ლ. მენაბდის და სხვათა ნაშრომებში).

მესხეთმა და ჯავახეთმა ქართულ მწერლობას მისცეს ბასილი ზარზმელი, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, მოსე ხონელი, შოთა რუსთაველი და სხვები.

მათ შემოქმედებას, ქართველი ერის მდიდარ ტრადიციებთან ერთად, სწორედ ისტორიული სამხრეთ საქართველოში გავრცელებული მეტყველებაც ასაზრდოებდა; ამ მოღვაწეთა შორის ორი ტიტანი — ეფთვიმე მთაწმიდელი და შოთა რუსთაველი — ქართული სამწერლობო ენის რეფორმატორებია.

მესხური და ჯავახური დიალექტები ქართლურის ახლო მონათესავე ერთეულებია. საფიქრებელია, რომ ქართლური, მესხური, ჯავახური, იმერხეული ისტორიულად ერთ დიალექტს წარმოადგენდნენ და მათი ცალკე კილოებად ჩამოყალიბება შედარებით ახალი მოვლენაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკვე მე-11-12 საუკუნეებში მესხური და ჯავახური დიალექტები უკვე არსებობდნენ, რაც ირკვევა ამ ეპოქის ძეგლებში დადასტურებული რიგი ცნობებით.

(ვფიქრობთ, არ იქნება უინტერესო იმის აღნიშვნაც, რომ გიორგი მცირის თხზულებაში „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ გიორგი მთაწმიდელი დაიბადა **„ახალქალაქს ჯავახეთისასა“**).

ქართული ენის სამხრეთ-დასავლური დიალექტების კვლევას საფუძველი ჩაუყარა ნ. მარმა, შემდგომში ეს საქმე განაგრძეს ვ. თოფურიამ, შ. ძიძიგურმა, ი. მაისურაძემ, გრ. ბერიძემ და სხვებმა. 1981 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გრიგოლ ბერიძის მონოგრაფია „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (210 გვ.).

გრიგოლ ბერიძემ ჯავახური დიალექტის უზადო მცოდნემ, ამ წიგნის შედგენითა და გამოქვეყნებით დიდი სამსახური გაუწია ქართველოლოგიას.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ დიალექტთა შესწავლა საშური საქმეა. სალიტერატურო ენა დიალექტთა თავისებურებებს თანდათან შლის. ამ პროცესს ერთგვარად აჩქარებს მიგრაცია — ახალგაზრდობის სწრაფვა ქალაქებისაკენ (განსაკუთრებით თბილისისაკენ), სადაც დიალექტთა დამახასიათებელი ფორმები სულ მალე იშლება ხოლმე. ამის შესახებ წერს ავტორი: „დღევანდელ სასაუბრო ენაში ბევრი ჯავახური კუთხური სიტყვა-თქმებია დაკარგული. ჯავახეთის ქართული სოფლებიდან ახალგაზრდობა ქალაქისაკენ მიიჩქარის, მოხუცები სიცოცხლის დაისს უცდიან. გულსატკენია, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგაც დაბრუნება და მამაპაპეულ მამულში დასახლება არავის სურს, იმ მამულში, სადაც მთვარე მზესავით ანათებს, ხოლო კალმახი და დიკის პური ბზესავით ყრია“ (გვ.3-4).

ცნობილია, რომ ენა ერის სულს გამოხატავს. ამავე დროს იგი ერის ისტორიის სარკეცაა.

ჯავახური დიალექტის ლექსიკურ ფონდს, ერთი მხრივ, დაუცავს შთამბეჭდავი არქაიზმები, რაც კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს ჯავახურისა და ძველი ქართულის ორგანულ ნათესაობას, მეორე მხრივ, ჯავახურში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ნეოლოგიზმები, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შავბედობის ხანა მესხურის, ჯავახურის, იმერხეულის ლექსიკას დიდად დასტყობია. ამიტომაც არის ასე მოჭარბებული ამ დიალექტთა ლექსიკაში არაბული, სპარსული, თურქული სიტყვები. უცხოენოვან ლექსემებს ძირქართული შეუვიწროვებია, საუბედუროდ, საკმაოდ ხშირად გაუდევნია კიდეც.

გრ. ბერიძე თვალნათლივ აჩვენებს ჯავახურის თანამედროვე ვითარებას. ჩანს, რომ ჯავახურში მრავალი ისეთი სიტყვა ან გამოთქმაა დაცული, რაც ქართული ენის სხვა დიალექტებს არ ახასიათებთ (თუ ვიმსჯელებთ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით): **აბრაზება** — „ცუდი სუნის დაყენება“ (გვ. 6); **არეზილი** — **„აბეზარი“** (გვ. 6); **აბზიება** — „ბზის ჭამის მობეზრება“ (გვ. 6); **აბური** „გარეგნობა“ (გვ. 6); **ადა** — „კუნძული“ (გვ. 7); **აზუზა** — „გაუბედავად ადგომა“ (გვ. 7); **ალაჯა** — „მოწნული ლოგინი“ (გვ. 8) და სხვ.

არქაიზმთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: **აზავერი** (გვ. 7); **აჯილა** (გვ. 16); **ბაქანი** (გვ. 17); **ბაყლი** (გვ. 17); **გათავნება** (გვ. 26); **მჭელი** გამოჭელვა, (გვ. 28); **განქიქება** (გვ. 30); **გლა** (გვ. 33) და მრავალი სხვა.

გრ. ბერიძე ხშირად იძლევა ვრცელ განმარტებებს, რომლებიც უსათუოდ დააინტერესებს და კარგ სამსახურს გაუწევს ეთნოგრაფებსაც: **ახორთლალება** (გვ. 15); **გაკვერილი გზა** (გვ. 26); **გარე ბიძა, გარე ბიძაშვილი** (გვ. 29); **გარესახლი** (გვ. 29); **გუთნეული** (გვ. 34); **დარანი** (გვ. 40); **დარბაზი** (გვ. 40); **დართობა** (გვ. 40); **და-**

**ხანულება (გვ. 45); საპარავი** (გვ. 113); **საქვე//საქვი** (გვ. 114) და სხვა.

იდიომატური გამოთქმებით მდიდარია ყველა დიალექტი. მათ შორის ჯავახურიც. გრ. ბერიძის დამსახურება ისიც არის, რომ მან ჯავახურისათვის დამახასიათებელი მოვლენები კარგად წარმოაჩინა: **სუფრის ამატება** — „სუფრის ალაგება“ (გვ. 9); **ბედდაძვირებული ქალი** — „შინაბერა“ (გვ. 18); **გადაჭკრა თავი** — „მოკვდა“; **გავაკება** — „საქმის გაადვილება“, **კარის გამოკეტვა** — „წყევლა“ (გვ. 27); **გაფრანგება** — „ძლიერ გაბრაზება“ (გვ. 30); **გულის ახვევა** — „უგუნებოდ ყოფნა“ (გვ. 35); **იშოვნა შვილი (ქალმა)** — „უკანონო შვილი გააჩინა“ (გვ. 69); **ნაავდრი ყვავი** — „უსაქმური“ (გვ. 91); **სიკეთით თვალის აკვრა** — „სიკეთის გაკეთება“ (გვ. 117);**სულის მიცემა** — „სიკვდილი“ (გვ. 118) და სხვ.

გრ. ბერიძეს თავის წიგნისათვის „ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა“ უწოდებია. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი შეადგენს და გამოსცემს ჯავახური დიალექტის სრულ ლექსიკონსაც, რომლის საჭიროებას სარეცენზიო ნაშრომი თვალნათლივ წარმოაჩენს. აქვე ვიტყვით, რომ, სამწუხაროდ, არ არსებობს ჯავახური დიალექტის სრული მიმოხილვა.

რა თქმა უნდა, ასეთ ნაშრომს შეიძლება ნაკლიც აღმოაჩნდეს და გრ. ბერიძის წიგნიც არაა გამონაკლისი. მაგალითად, ჩვენი აზრით, ერთი ხარვეზი ისაა, რომ სალექსიკონო ერთეულად ხან საწყისია მიჩნეული, ხან კი პირიანი ზმნა. ეს არათანმიმდევრულობა მით უფრო თვალში საცემია, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე გვერდზე დასტურდება ისეთი ფორმები, როგორიცაა: **აბალთა, აბოლავამს, აბრაზა, ამთავრებს, აქოთავა, აბლაყუნდა** (გვ. 6) და **აბზიება, აბჟრიალება, აბუზარვება, აბლუნძვა** (გვ. 6); **მოაგვარა, მოატანს, მოატყვილიანა** (გვ. 88); **შეხკდომა, შეფუფნა, შექვირითება, შეღერება** და სხვა (გვ. 148).

მეორე: განმარტება ზოგჯერ დასახვეწია. მაგ., **აბოლავამს** სიტყვა ასეა ახსნილი: „ურემს დააბოლოებს მეტი სიმძიმე, როცა უკან მეტი უდევს“ (გვ. 6); ან კიდევ **აქოთავა** სიტყვასთან ვკითხულობთ: „უწესრიგოდ აურდაურია“ (გვ. 6); ცხადია, **უწესრიგოდ** ზედმეტია; **დაბეხილი** — „ფეხებიდან ინვალიდი“ (გვ. 36) და სხვა.

მესამე, ზოგჯერ მითითებული ფორმა არაა ლექსიკონში წარმოდგენილი. მაგ., **მურკ** — სიტყვასთან წერია: ნ. მურკლი (გვ. 93). **მურკლი** კი ლექსიკონში არ არის: დათაკვრა სიტყვასთან არის მინიშნება **ნ. თაკარა** (გვ. 37). ეს უკანასკნელი ფორმა კი წიგნში არაა მოტანილი და სხვ.

მეოთხე, არის ისეთი შემთხვევები, როცა ლექსიკონში შეტანილია ფორმა ან გამოთქმა, რომელიც საყოველთაოდ იხმარება ქართულში და სპეციფიკურად ვერ მიიჩნევა დიალექტისათვის: **სიქა გააცალა** (გვ. 118); **სული კბილით მიჭირავს** (გვ. 118); **სწრება** (გვ. 119); **ტაიჭი** (გვ. 120); **უბირი** (გვ. 123); **უზმა** (გვ. 124) და სხვ.

უდავოა, რომ ამ ნაშრომით [illegible] გრიგოლ ბერიძემ დიდი საქმე გააკეთა. იგი გამოადგება ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ენა, ქართული სიტყვა. დარწმუნებული ვართ, ჩვენი მწერლები, რომლებიც ასე ეძიებენ და ფაქიზად უვლიან ნავლწაყრილ. ხალხის წიაღში მთვლემარე ლექსიკის მარგალიტებს, ბევრ საგულისხმოსა და საინტერესოს მოიძიებენ ამ წიგნში.

ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებინა პატარა გამოხმაურება ამ კარგ ნაშრომზე, მაგრამ, ვფიქრობთ, საჭიროა, ითქვას ისიც, რომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ცოტა გვაქვს გაკეთებული ქართული ენის ცალკეული დიალექტების შესწავლისათვის, ამბობენ; გაქექილს გატეხილი სჯობიაო და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, ქართველურ ენათა ლექსიკის კვლევა დღევანდელ მოთხოვნებს დიდად ჩამორჩება.

დავიწყოთ იმით, რომ არ გვაქვს ძველი ქართული ენის სრული ლექსიკონი. დიდი მადლობა და თაყვანისცემა ეკუთვნის სულხან-საბას, ჩუბინაშვილსა და ილია აბულაძეს, მაგრამ ხომ კარგად არის ცნობილი ისიც, რომ მათი ლექსიკონები ვერ მოიცავენ ძველი ქართულის ლექსიკის მესამედსაც კი. არადა, ძველი ქართული ენის სრული ლექსიკონის საჭიროებაზე სიტყვის გაგრძელება დღეს უხერხულიც კი იქნებოდა.

ასევე დიდი ხარვეზია ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის არ არსებობა. ხშირად ჩვენ ვმარჩიელობთ, რა დროიდან ჩანს ესა თუ ის სიტყვა ქართულში, რა მნიშვნელობები ჰქონდა მას ქართული ენის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე და სხვ. ისტორიული ლექსიკონი ამ და კიდევ სხვა მრავალ კითხვას უპასუხებდა. ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის გარეშე ვერ გადაწყდება ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი კვლევის უაღრესად აქტუალური საკითხები.

განა ნორმალურად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ დღემდე არ გვაქვს მონოგრაფიული გამოკვლევები, რომლებშიც აღნუსხული იქნებოდა ბერძნულიდან, ლათინურიდან, არაბულიდან, თურქულიდან, სომხურიდან სირიულიდან, რუსულიდან და სხვა ენებიდან შეთვისებული ლექსიკა? შეიძლება დავასახელოთ არაერთი შემთხვევა, როცა მკვლევარებს ნასესხები სიტყვები მშობლიურად მიუჩნევიათ და ისინი თვითნებურად დაუშლიათ. ამ ტიპის ნაშრომები რომ არსებობდნენ უხერხულობას თავიდან ავიცდენდით.

გაცილებით უფრო კარგად გვექნებოდა ქართველურ ენათა ურთიერთობის ის-

ტორია გარკვეული. რომ არსებობდეს მეგრულ-ჭანური და სვანური ენების ლექსიკონები. სამწუხაროდ, სვანური ენის ლექსიკონის გამოცემა გაჭიანურდა, ხოლო მეგრულისა და ჭანურის ლექსიკონის შედგენაზე მხოლოდ ცალკეული მკვლევარები თუ ფიქრობენ. როდის გვექნება ეს უაღრესად საჭირო წიგნები, არავინ იცის.

შეიძლება ვინმემ თქვას (და მართალიც იქნება!), რომ მეგრულ-ჭანურისა და სვანურის ლექსიკონებზე ოცნებაც კი ძნელია მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ გვაქვს ასე თუ ისე სრული ლექსიკონები ისეთი დიალექტებისა, როგორიცაა: კახური, ხევსურული, ფშაური, მთიულური, მოხეური, ინგილოური, ფერეიდნული, იმერხეული, მესხური, გურული, რაჭული, ლეჩხუმური.

ქართული და სხვა ქართველური ენების დიალექტთა ლექსიკონები ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, სხვა მრავალი დარგის სპეციალისტთა შეუნელებელ ინტერესს იწვევს. სავსებით გასაგებია, რომ ამგვარი ნაშრომები მხატვრული სიტყვის ოსტატთა სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს. სულმნათი ვაჟა ამბობდა: „ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს. ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა; ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულს ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას. თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არადა, არც არაფერი ამითი წახდება". („მცირე შენიშვნა", თხზულებანი. II. ტ., თბ., 1979, გვ. 567-568). მართლაც, რომ კარგად და ნათლადაა ნათქვამი!

**ზურაბ სარჯველაძე**

# ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲬᲘᲔᲠᲘ

გრიგოლ ჭულუხიძის ლექსების კრებული „თოვლიანი გაზაფხული", შეიძლება ითქვას, ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშია მკითხველის წინაშე. ამ წიგნამდე მან ძიებებისა და ფიქრის, პოეტურ სიტყვასთან ჭიდილის საინტერესო გზა განვლო. გ. ჭულუხიძის პირველი კრებული 1968 წელს დაიბეჭდა. მას არ გამოუწვევია დიდი ხმაური არც სალიტერატურო კრიტიკაში და არც მკითხველთა საზოგადოებაში. საერთოდ, ახლა ძალიან ძნელია პირველი კრებულით მკითხველის გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვიო, სრულად გამოავლინო პოეტური შესაძლებლობა. პირველი კრებული ამის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პირველი წიგნი ავტორის პირველი პოეტური ნაბიჯია, რომელიც უხვად შეიცავს ცდებისა და მოსინჯვის საწყისებს, ამ პერიოდში იგი გავლენებსაც განიცდის და მხატვრული ოსტატობის უკმარისობასაც. ყოველივე ამას ემატება აგრეთვე ზოგიერთი რედაქტორის მფრთხალი დამოკიდებულება, ეგრეთ წოდებული, „გაბედული და პრეტენზიული" ლექსებისადმი. ორიგინალური პოეტური ინტონაციებისა და მხატვრული სტილის, თუნდაც აზროვნების სტილის სრულყოფილად დახვეწასა და გამომუშავებას, საკუთარი პოეტური ხმის გამკვეთრება-გაძლიერებას უფრო პოეტის შემდგომ წიგნებში უნდა ველოდოთ, როცა ძიებებისა და მიგნებების ალმართს გაივლის ავტორი, ცხოვრებისეული გამოცდილებაც დაუგროვდება და მხატვრული ოსტატობის საიდუმლოებასაც გაიშინაურებს.

მაგრამ იმის გამო, რომ წინამდებარე რეცენზია გ. ჭულუხიძის განვლილი შემოქმედებითი მოღვაწეობის მიმოხილვას არ ითვალისწინებს, ჩვენი ინტერესის მიღმა რჩება იმ გზების გაცნობიერება, რითაც ავტორი ზემოდასახელებულ წიგნამდე მოვიდა. ამ წიგნში უფრო ფართოა და მრავალმხრივი პოეტის თვალსაწიერი, ახლებურია მისი დამოკიდებულება და მიმართება გარემო სინამდვილესთან, მეტია ემოციურობა და ფილოსოფიური განსჯა.

კრებულის ანალიზი იმ ლექსით უნდა დავიწყოთ, რომელსაც ჰქვია „ორმოცი წლის კაცი". იგი ორმოცი წლის პოეტის ავტოპორტრეტია თავისი პროზაული ცხოვრებით, ყოველდღიური ყოფითი მოვლენების აღქმითა და ფილოსოფიური თვალსაწიერით: „დილით გავიდა. არავის გახსენებია — ორმოცი წლის დაბრუნდა სახლში. შეათვალიერეს — ცარიელ ბადურას დააცხრა თვალით ცოლი, შვილი და დედა. ყველამ თავისი მოიკითხა: — ხორცი! — პერანგი! — პური! უსიტყვოდ ჩამოჯდა კუთხეში და ვერ გაიხსენა ორმოცი წლის კაცმა, როდის იქცა ხორცად, პერანგად, პურად". აქ ყოველდღიური პროზაული ყოფის სურათი ფილოსოფიურ ასპექტშია გააზრებული. ამ ლექსს შინაარსითა და განწყობილებით ენათესავება „ერთი კვირის ნოველა". ეს ლექსები საინტერესოა როგორც იდეურ-შინაარსობლივი თვალსაზრისით, ისე ავტორისეული მსოფლაღქმით, ფილოსოფიური გააზ-

---

**გრიგოლ ჭულუხიძე, „თოვლიანი გაზაფხული", გამომც. „საბჭოთა საქართველო".**

რებით და ფორმისეული მხარით. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფორმის ლექსები ბოლო პერიოდის ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და არა მოდურ გატაცებად, როგორც ზოგჯერ საყვედურით წამოსძახებენ ხოლმე ახალგაზრდა ავტორებს. მართლაც, ამგვარი სალექსო ფორმა მტკიცედ დამკვიდრდა ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაში. გ. ჯულუხიძის პოეზიაზე დაკვირვება ადვილად საცნაურს ხდის, რომ პოეტმა ორგანულად შეისისხლხორცა თავისი თაობის ფორმისეული მიღწევები. და არა მარტო შეისისხლხორცა, თავისი წილიც გაიღო ამგვარი ფორმის დამკვიდრებაში. თუ ავტორი პირველ წიგნებში ტრადიციული პოეტური სტილისა და აზროვნების მომხრედ გვევლინებოდა. რასაც, თუ არ ვცდები, მოსაწყენი ერთფეროვნება ემუქრებოდა, მისი ბოლო წიგნები ფორმისეული მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ წიგნებში ნაკლები იყო ძიება, ლოკალიზებული იყო პოეტის თვალსაწიერი, ნაკლები იყო ორიგინალური მხატვრული სახეებით აზროვნება, ვერც თემებისა და განწყობილებების სიუხვე მოგხიბლავდათ.

მაგრამ პოეტურმა ძიებამ და შემოქმედებითმა წვამ თავისი ნაყოფი გამოიღო: გრ. ჯულუხიძემ უმალ აუბა მხარი სამოცდაათიანი წლების პოეტური ახალგაზრდობის მიერ მოტანილ და დამკვიდრებულ მხატვრულ სიახლეებს. სინამდვილემ ახალი მოთხოვნები წაუყენა მხატვრული სიტყვის ოსტატებს, რასაც გრ. ჯულუხიძეც გამოეხმაურა და მისმა ლექსებმა ახლებური ელფერი შეიძინეს. სიტყვასა და აზრს ახალი ემოციური დატვირთვა დაეკისრა, სახემ სიმკვეთრე და სინათლე შეიძინა. ლექსის აზრობრივი შინაარსი ლაკონური და ტევადი გახდა. ადრე იშვიათად დაგაფიქრებდა მისი ლექსი, დღეს კიდეც დაგაფიქრებს და კიდეც აგაღელვებს.

ამ კრებულში პოეტმა მართებულად შეიტანა იმ ლექსების ნაწილიც, რომელიც ადრეული ხანის მის წიგნებში იყო დაბეჭდილი. ეს ის ლექსებია, რომლებშიც თვალნათლივ გამოირჩეოდა ის ძირეული ნიშან-თვისებები, საგრძნობლად რომ გადაახალისეს პოეტის შემდგომი პერიოდის პოეტური ინტონაციები. ეს კი გულისხმობს არა მარტო სათქმელის ახლებურად გააზრებას, არამედ ახალი სათქმელის მიგნებას, ყოველდღიური ყოფითი მოვლენების მხატვრულ-ფილოსოფიურ ასპექტში წარმოსახვას, ჩანაფიქრის სიღრმისეული შრეების განფენას, აზრის ნათლად გამოხატვას და სხვა პოეტურ-მხატვრულ აქსესუარებს, რის გარეშეც საერთოდ არ არსებობს ასე თუ ისე მხატვრულად ღირებული ხელოვნების ნაწარმოები. ამ სიტყვების მიღმა სულაც არ ვთვლით, რომ თითქოს ამჟამად გრიგოლ ჯულუხიძის პოეზია აბსოლუტურად იყოს განრიცხებული ჩრდილოვან მხარეებს, ან მის პოეზიაში არ გვხვდებოდეს როგორც მხატვრულად სუსტი სტრიქონები, ისე თემატიკურად გაუმართლებელი ლექსები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი ხარვეზები შემოქმედებითი ძიების გზაზე ყოველთვის ახლავს პოეტს. ძიებისა და წვის პროცესი უთუოდ გულისხმობს ჩავარდნებსა და მარცხს. მაგრამ როცა მათ იშვიათი და გამონაკლისი ხასიათი აქვთ, მიღწევების მკვეთრ ფონზე მხოლოდღა წვრილმან ნაკლად აღიქმება. „თოვლიანი გაზაფხული“ ძირითადად განრიდებულია არსებითი ხასიათის ხარვეზებს. ავტორს უცდია წიგნში ის ლექსები შეეტანა, რაც მის პოეტურ პროფილს შედარებით სრულყოფილად წარმოაჩენდა, პოეტურ ინტონაციასა და აზროვნების სტილს საცნაურს გახდიდა.

გრიგოლ ჯულუხიძის პოეტური ინტონაცია და აზროვნების სტილი, ჩვენი აზრით, ცხადად არის გამოკვეთილი ისეთი ხასიათის ლექსებში, როგორიცაა „ბუმბული“, „ზარები და ეკლესია“, „ხარი“, „პარალელები“, „ფოთოლი“ და სხვ. ეს ლექსები უმნიშვნელო ნაწილია იმისა, სადაც პოეტის თვალთახედვა და მიმართება გარემო სამყაროსადმი გამორჩეული და თავისებურია: „ამა სოფლის ორომტრიალში ბუმბულის წონა აქვს ადამიანს და არავინ უწყის საიდან დაუქროლებს ზენა ან ქვენა... ქარი ღვთის ძალაა და ჩვენც მივფარფატებთ ქარის მიმართულებით. ქარი ზოგს სანაგვეზე დააფრენს, ზოგს იასამნის ტოტზე, ზოგს კიდევ ჩინარის მაღალ კენწეროზე..., ამა სოფლის ორომტრიალში ბუმბულის წონა აქვს ადამიანს“. აქ ადამიანების ბედი სრულყოფილადაა გამოხატული. გარემომცველ სამყაროში ადამიანის ყოფა იმ სინამდვილეს ემორჩილება, რა გზასაც თავად ადამიანი აირჩევს, მაგრამ, ცხადია, ეს არჩევანი მარტოოდენ სურვილზე როდია დამოკიდებული. საკუთარი ცხოვრების გზა თავად უნდა განსაზღვრო იმ სინამდვილით, რომელსაც შენვე შექმნი იმავე საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპებით, რომელიც ლოგიკასა და ფხიზელ განსჯას ექვემდებარება. გრ. ჯულუხიძის ლექსების ლირიკული გმირი მკაცრ სინამდვილესთან დაჯახებით გამოფხიზლებული პიროვნებაა. ყოველი ასეთი შეჯახება ცხოვრებასთან ახლებურადააზრებინებს რეალურ სინამდვილესა და ადამიანურ ყოფას, ამ დროს სინამდვილე სრულიად ახალ ასპექტში აღიქმება, ცხოვრება უფრო რთული და მრავალფეროვანია. ამგვარი სიღრმით აღიქმება გრ. ჯულუხიძის „მგზავრი“: „შენ ხარ მგზავრი და გზაჯვარედინზე სამოგზაურო ამინდს მოელი, ვილაც გეძახის, ვილაც გაშინებს კამეჩისფერი საღამოებით. მოდის აპრილი, სახელდახელოდ გათენებული მგლების ყმუილით... და გეჩვენება: ერთად მიფრინავს ყველა მართალი, ყველა ტყუილი. ანგელოზებიც გიზის სასთუმალს და გიბედებენ დღეებს უწმინდესს... მაინც სხვა არის შენი საწუთრო, დღე დღევანდელი არ ჰგავს გუშინდელს. საით მიდიხარ, ჩემი ცხოვრების აყეფებულო ლურჯო მდინარევ? სხვა ვინ ინანებს,

ამ ალმართებში თავს თუ ქურდულად მოიმძირნარებ".

ალბათ საინტერესოა, რომ ზემოთ ნახსენები ლექსი („ბუმბული") დაწერილია 1981 წელს, „მგზავრი" კი 1971 წელს. ერთმანეთისაგან ათი წლით დაშორებულ ამ ორ თარიღს შორის საერთო ის გახლავთ, რომ გრ. ჭულუხაძის პოეტური სტილი ამ შემთხვევაში არსებითად არ შეცვლილა.

სტილისადმი ერთგულება სულაც არ გულისხმობს მხატვრული აზროვნების ერთფეროვნებას. ყველა ახალი მხატვრული ხერხი თუ გამოსახვის ახალი საშუალება და ფორმა ჭეშმარიტმა პოეტმა საკუთარ სტილს, საკუთარ პოეტურ ინტონაციას უნდა დაუმორჩილოს, საკუთარი ხელწერა დაატყოს, მისეული პოეტური იერი შეუნარჩუნოს. სტილისადმი ერთგულება სხვაგვარად წარმოუდგენელია. გრ. ჭულუხაძის ლექსებში, როცა ერთად კითხულობთ ძველსაც და ახალსაც, ეს ერთიანი სტილი აშკარად შეიმჩნევა და ეს იძლევა სწორედ იმის საფუძველს, რომ ავტორის პოეტური პროფილი მთლიანობაში წარმოვიდგინოთ.

გრ. ჭულუხაძის ლექსების ფორმისეული მრავალგვარობა ავტორის სტილურ თავისებურებაზე მიგვანიშნებს. პოეტის სათქმელის სიახლე და მხატვრული თავისებურება უფრო თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი ბოლო პერიოდის ლექსებში; ფორმა შინაარსის ადეკვატურია და, პირიქით, შინაარსი შესატყვის ფორმაშია მოქცეული. ფორმისა და შინაარსის ასეთი თანხვედრა მის ლექსებს ბუნებრიობასა და უშუალობას ანიჭებს. ასეთ შემთხვევაში არც ფორმაა ნაძალადევი და არც აზრია ხელოვნურად გართულებული.

პოეტის ამ წიგნში შეხვდებით როგორც ტრადიციული ფორმის ლექსებს, ისე ვერლიბრს, როგორც ჭვარედინი რითმებით გაწყობილ ათმარცვლიან პოეტურ ნიმუშებს („მარტო თბილისში", „ქარებთან ერთად", „პოეტის ბედი", „საუბარი ომში დაღუპულ მამასთან" და სხვ.), ისე ურითმო და სრულიად სხვადასხვა ზომის ლექსებს. როცა გრ. ჭულუხაძის ვერლიბრზე ფიქრობ, სრულიადაც არ გეჩვენებათ იგი ნაძალადევი და ხელოვნური, ისე, როგორც არაერთი ვერლიბრისტი მოგვევლინა ამ ფორმის „ალორძინების" პირველ ხანებში, როცა ხელოვნურად დატეხილი სტრიქონები და რითმებს საგანგებოდ განრიდებული სტრიქონები ვერლიბრად საღდებოდა. სხვათაშორის, დაკვირვებულმა მკითხველმა ალბათ კარგა ხანია შეამჩნია, რომ ამ ბოლო ხანს ვერლიბრისტების კვალს ადევნებულებმაც ისწავლეს ვერლიბრის შექმნა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნული იერით ზუსტად დაამგვანეს ვერლიბრს, ხოლო ნამდვილი პოეზიის ცეცხლის დანთება ვერლიბრშიც ძნელია და ტრადიციულ ლექსშიც.

სიტყვისა და აზრის შესატყვისობა ემოციურობას ანიჭებს ლექსს. უამისოდ მას ეკარგება თავისი ღირებულებაც და დანიშნულებაც. გრ. ჭულუხაძის ვერლიბრის ფორმით შექმნილი არაერთი ლექსი უთუოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს („შემოდგომა", „მელანქოლია", „თოფი", „ხარები", „ნატვრის ჩიტი", „კარგი დღე", „განაჩენი" და სხვ.) და როცა ასეთი ფორმის ლექსებში სრულყოფილადაა წარმოსახული სიტყვისა და განცდის ერთიანობა, მაშინ, ცხადია, აღარც ფორმა ხდება საჭოჭმანო და საკამათო, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, საკამათო და საეჭვოა მხოლოდ ის ფორმა, რომელიც თვითმიზანს ემსახურება და ნაკლებად ესადაგება სათქმელის შინაარსს. გრ. ჭულუხაძე ხშირ შემთხვევაში წარმატებით ცდილობს თავისი ჩანაფიქრს შესატყვისი ფორმა მოუძებნოს და ლექსს ბუნებრიობა და ესთეტიკური ღირებულება მიანიჭოს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პოეტმა ან სათქმელს შესატყვისი ფორმა ვერ მოუძებნა, ან, შესაძლოა, თვით სათქმელი იყო პოეტურ ცხოველმყოფელობას მოკლებული, რის გამოც ნაწარმოების იდეური შინაარსი გამოუკვეთელი დარჩა (მაგ. „მთა", „ამ დროს" და სხვ.).

შეიძლებოდა აგრეთვე ცალკეულ მხატვრულ ხარვეზებზეც გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ ყოველივე ეს ისეთი, ასე ვთქვათ, თანმხლები თვისებებია, ყველა ჭეშმარიტ პოეტს რომ ახლავს შემოქმედებით ძიების გზაზე და რისი არსებობაც კრიტიკოსთა „დაუხმარებლადაც" კარგად უწყიან თავად ავტორებმა.

**რევაზ ჩხარტიშვილი**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1983.

გადაეცა ასაწყობად 1. 09. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 10. 83 წ. ანაწყობის ზომა 7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღ-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 07235. ტირაჟი 32.000. შეკვ. 2072. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ